დედაუნივერსიტეტის ძნელბედობის ჟამი

(2004-2013)

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

დედაუნივერსიტეტის ძნელბედობის ჟამი (2004-2013)

ავტორ-შემდგენელი
გიორგი გოგოლაშვილი

ავთანდილ არაბულის რედაქციით

თბილისი
2016

2004 წელს რევოლუციით გზით მოსულმა ხელისუფლებამ საუნივერ-სიტეტო რეფორმა დაიწყო... დაიწყო და დაამთავრა დედაუნივერსიტეტის მშვიდობიანი ცხოვრება...

ეს არ არის მოგონებათა წიგნი; ეს დედაუნივერსიტეტის ძნელბედობის დროს მოვლენათა მიმდინარეობის პარალელურად გამოქვეყნებულ მასალათა კრებულია... ჩვენი თუ სხვისი...

სამწუხაროდ, XXI საუკუნის დასაწყისში დედაუნივერსიტეტის ირ-გვლივ განვითარებულ მოვლენათა შეფასება არ მომხდარა – არც პოლიტიკუ-რი და არც სამართლებრივი... ჩვენ იმედს არ ვკარგავთ... ამ წიგნის გამოქვეყ-ნების ერთ-ერთი მიზანი ესეც არის...

და კიდევ: დე, იცოდეს ისტორიამ!..

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

რუსუდან გრიგოლიასი

რუსუდან რატიანის

თინათინ გაბროშვილის

ტექნიკური რედაქცია

ლევან ვაშაკიძისა

წინასიტყვა

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, დროს ტკივილების დაყუჩების უნარიც შესწევსო... ტკივილსაც გააჩნია, თურმე. ის ტკივილი, რომელიც რევოლუციის გზით მოსულმა ხელისუფლებამ მიაყენა ქართულ საუნივერსიტეტო საზოგადოებას, დრომ ვერ დააყუჩა; პირიქით, გაამძაფრა!.. იმ ტკივილს მხოლოდ სამართლიანობის აღდგენა მოაშუშებს; დანგრეული უნივერსიტეტის ფეხზე დაყენება მოარჩენს... ამ იმედით გადავწყვიტეთ ამ წიგნის შედგენა...

მრავალს, ვინც დედაუნივერსიტეტს ჭრილობები და ტკივილი მიაყენა, ეს ყოველივე დაავიწყდა და მშვიდადაა!.. მეტიც, ანტიგმირმა გმირის მანტია მოისხა (ერთ-ერთ ტელეგადაცემაში გ. ხუბუა ჩიოდა, ნაციონალური ხელისუფლებისაგან რეპრესირებული ვარ, ვიჩაგრებიო...)... იმდროინდელ საუნივერსიტეტო მოძრაობის თავკაცობაზე ზოგი ისეთი ვინმე აცხადებს პრეტენზიას, იმ წლებში ჩვენს ახლოს რომ არ გაუვლია...

ამიტომაც გადავწყვიტეთ ამ მასალის შეკრება და გამოქვეყნება...

წიგნი ოთხი ნაწილისაგან შედგება.

პირველ ნაწილში ჩვენს რამდენიმე წერილს წარმოვადგენთ, 2005-2013 წლებში გამოქვეყნებულს. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს ვაგებ... მრავალთაგან მხოლოდ რამდენიმე შევარჩიე, არსებითი სურათი რომ დამეხატა მოვლენათა განვითარებისა. ამ მონაკვეთში ბოლოს იმ წერილების ნუსხაც დავურთე, რომელთა შეტანაც ვერ მოხერხდა წიგნში. უნივერსიტეტის ისტორიით დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიძიოს... ფაქტები თუ მეორდება, ნუ დამძრახავთ: წერილები სხვადასხვა დროს იწერებოდა; ჩვენ პასუხსა თუ რედაქციას ველოდებიდით მავანთაგან, მაგრამ ამაოდ...

მეორე ნაწილში „საუნივერსიტეტო დარბაზის“ საქმიანობის ამსახველ ძირითად პუბლიკაციებს მოვუყარეთ თავი და წარმოვადგინეთ I დანართის სახით... ესეც ისტორიაა...

მესამე ნაწილში „ბოლონიის პროცესის“ შესახებ იმჟამად გამოქვეყნებულ რამდენიმე ავტორის საინტერესო წერილი შევიტანეთ. **„ბოლონიის პროცესი“ – მიზეზი თუ საბაბი?** (II დანართი); პასუხი მკითხველმა გასცეს...

2006 წლის აგვისტოში ძალიან საინტერესო სასამართლო პროცესი გაიმართა, რომელიც „ხულიგანი პროფესორების“ პროცესის სახით არის ცნობილი...

მეოთხე ნაწილში III დანართის სახით ჩვენ მხოლოდ ამ პროცესის ამსახველ დოკუმენტებს ვბეჭდავთ...

და ბოლოს: 2013 წლის თებერვალში სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით მივმართეთ ახალ ხელისუფლებას. ამ მიმართვასაც ვაქვეყნებთ აქ (IV დანართი).

დიახ: დე, იცოდეს ისტორიამ...

გ. გოგოლაშვილი

ზედი ქართული უნივერსიტეტისა ათასწლეულის კარიბჭესთან

წინასიტყვა

„მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების, მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“, – ეს შეგონება XVIII საუკუნეში ითქვა. **დავით გურამიშვილი** თვლიდა, რომ მართლის თქმა იყო ერთ-ერთი გზა ქვეყნის გადარჩენისა და კიდევ, მეორე გზა ქვეყნის გადარჩენისა განათლებული, შეგნებული, ნასწავლი თაობის აღზრდა არისო (ამიტომაც მიაპყრო პოეტმა სწავლა-აღზრდის საკითხს საგანგებო ყურადღება)... მე არ ვიცნობ შემთხვევას, ვინმეს ეჭვი შეეტანა ამ აზრის ჭეშმარიტებაში.

XIX საუკუნეში წერდა **აკაკი წერეთელი:** „ვინ არ იცის, რომ ჩვენი ბედისწერა განათლებაზედ არის დამოკიდებულიო“. ასე რომ, დღესაც ძალაშია შეგონება: **განათლება გადაარჩენს ქვეყანას**; უნდა ვამხილოთ ყველა ბოროტება, რაც დაღუპავს და გადააგვარებს ერს, ვამხილოთ და დავგმოთ იგი... ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ „მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების“... მაგრამ ეს არ არის მთავარი... **მთავარია, გადარჩეს ქართული უნივერსიტეტი!** ქართული უნივერსიტეტის გადარჩენა ქართული განათლების გადარჩენაა, ქართული მეცნიერების გადარჩენაა, საქართველოს გადარჩენაა!... **დიახ, დღეს გადარჩენის პრობლემა უდგას ქართულ უნივერსიტეტს!...** რატომ? აი, ამის თაობაზე მინდა ვისაუბრო...

* * *

ითქვა: არცერთ უნივერსიტეტს არცერთი ქვეყნის ისტორიაში არ შეუსრულებია ისეთი მნიშვნელოვანი როლი, როგორიც შეასრულა ქართულმა უნივერსიტეტმა ქართველი ერის ისტორიაში.

განათლებული საზოგადოებისათვის ამ აზრს განმარტება არ სჭირდება; დღემდე ეს სადავოდაც არავის გაუხდია. დიახ, დღემდე.

დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში... დიახ, დღეს არათუ სადავოდ მიაჩნიათ, საერთოდ ამ აზრის პრინციპული იგნორირება ხდება. ერთ-ერთ ოფიციალურ შეხვედრაზე ქართული უნივერსიტეტის ამგვარ მნიშვნელობაზე რომ გავამახვილე ყურადღება, განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (ა. დიდებულიძე) გამინაწყენდა, რით არის ვითომ აგრარულ უნივერსიტეტზე უპირატესიო...

შენიშვნა: რატომ ვამჯობინებთ სახელწოდებას **ქართული უნივერსიტეტი:** 1917 წელს, უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების პროექტში „თავისუფალი უნივერსიტეტი“ ჩაწერეს, მაგრამ 1917 წლის 22 ივნისის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე ივანე ჯავახიშვილის წინადადებით სიტყვა „თავისუფალი“ შეიცვალა სიტყვით „ქართული“. ასე ეწოდა **ქართული უნივერსიტეტი.** ამ სახელწოდებაში კარგად ჩანდა მიზანიც და ამოცანებიც რუსეთის უზარმაზარ იმპერიაში პირველი არარუსულენოვანი უმაღელსი სასწავლებლისა.

როცა საქართველოში გამრავლდა უნივერსიტეტები, გახშირდა გამოყენება ტერმინისა – **„დედაუნივერსიტეტი“.** დიდი **ილია** გავიხსენოთ: „ქართველისათვის **„დედა“** მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც **„დედა-ენას“** ეძახის, უფროს ქალაქს – **„დედა-ქალაქს“,** მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას – **„დედა-ბოძს“,** უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს **„დედაბურჯს“,** სამთავრო აზრს – **„დედა-აზრს“**... ცხადია, ამ გაგებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი **„დედაუნივერსიტეტია“!..**

დიახ, XXI საუკუნეში ზემოწარმოდგენილი აზრის პრინციპული იგნორირება ხდება. ქართული უნივერსიტეტი არათუ უპირველეს და უმნიშვნელოვანეს უმაღლეს სასწავლებლად მიაჩნიათ, არამედ – მრავალთაგან ერთ-ერთ რიგით უმაღლეს სკოლად (დღეს არსებულ ორასზე მეტ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სასწავლებელთაგან)! უფრო მეტიც: ყველაზე კორუმპირებულ, ყველაზე უღირს დაწესებულებად...

არ ვაჭარბებ, გავიხსენოთ ბოლო წლების ვითარება: მიზანმიმართულად პრესითა თუ ტელევიზიით, საჯარო გამოსვლებითა თუ ქუჩის აქციებით ხდება სახელის გატეხა, დისკრედიტაცია ქართული უნივერსიტეტისა. თუ რატომ, ნუ ვიჩქარებთ დასკვნის გაკეთებას... დასკვნა ბოლოსთვის შემოვინახოთ. ჯერ მივყვეთ მოვლენათა განვითარებას...

ამბავი დასაწყისისა

ათასწლეულთა მიჯნაზე აშკარა და დაუფარავი ბრძოლა დაიწყო ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ.

ვფიქრობ, მე საკმაოდ კარგად ვიცნობ ქართული განათლების სისტემას; მით უმეტეს, უმაღლესი განათლებისას. „რეფორმატორები“ ისეთი შთაბეჭდილების შექმნას ცდილობდნენ, თითქოს აქ, დედაუნივერსიტეტში, ინგრეოდა

ქვეყანა; აქ არის კორუფციის, არაპროფესიონალიზმისა და სხვა ათასი უბედურების ბუდე. რამდენიმე სატელევიზიო გადაცემა მომზადდა სათაურით „შავი საქმეები თეთრ ტაძარში“. ასახელებენ კორუმპირებულ პირებს: რექტორს, პროფესორ-მასწავლებლებს (ზოგადად)... კორუფციის სათავედ მისაღები გამოცდები ცხადდება (ასახელებენ თანხებს, სად რა ღირდა „მოწყობა“...) და საუბარია მხოლოდ დედაუნივერსიტეტში ჩატარებულ მისაღებ გამოცდებზე...

მანამდე ფრაგმენტულად მიმდინარე ბრძოლებმა ორგანიზებული ხასიათი მიიღო 2002 წელს. „ბრძოლას“ სათავეში იმჟამად ანტიკორუფციული საბჭოს წევრები **გიგი თევზაძე** და **გივი თარგამაძე** ჩაუდგნენ. მთავარი სააგიტაციო საშუალება გაზეთი **„24 საათია“**; სადაც „თავი გამოიჩინა“ ჟურნალისტმა **ეთერ მამულაშვილმა.** აქტიურობენ ტელეკომპანიები.

შექმნილ ვითარებაში მკითხველსა თუ მსმენელს გაუჭირდებოდა აღქმა იმისა, ეს იყო ფიქრი ზოგადად საქართველოში უმაღლესი განათლების შესახებ, თუ კერძოდ ერთი სასწავლებლის პრობლემებზე. გაზეთებში ჩნდება სათაურები: **„უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების გაუქმება მოითხოვეს“, „უნივერსიტეტის წინააღმდეგ ახალი სარჩელი მზადება“...** მაშინ, როცა საქართველოში 200-ზე მეტი „უნივერსიტეტი“ იყო, ავტორები გულისხმობენ მხოლოდ **ქართულ უნივერსიტეტს – დედაუნივერსიტეტს.** მათი მიზანი იყო მხოლოდ ამ უნივერსიტეტის ავტორიტეტის შელახვა, დაცემა... ქართული საზოგადოების ყური უნდა შეჩვეოდა იმ აზრს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ქართული განათლების სისტემის შემარცხვენელი დაწესებულება! სხვაგან კი ყველაფერი რიგზეა(!)...

ზემოდასახელებულმა „ლიდერებმა“ რამდენიმე პრესკონფერენცია გამართეს, სატელევიზიო დებატები მოაწყვეს (რუსთავი-2-ში ე. ხოფერიას „ღამის კურიერში“ 2002 წლის აგვიტსოში მეც მომიხდა **გ. თევზაძის** პირისპირ ჯდომა)... ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც ამოიყენეს მხარში (**დ. უსუფაშვილი გ. თევზაძესთან** ერთად იღებდა მონაწილეობას დებატებში და იურიდიულად „ამაგრებდა“ თავისი მშობლიური უნივერსიტეტის კორუმპირებულობის მითს...).

„ორგანიზატორებმა“ შექმნეს და შეაკოწიწეს „თსუ-ზე განაწყენებულ მშობელთა და აბიტურიენტთა კომიტეტი“. აბუნტებენ და უნივერსიტეტის წინააღმდეგ აქეზებენ უნივერსიტეტის გარეთ დარჩენილ აბიტურიენტებსა და მათ მშობლებს. იბრძვიან, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტთა დარღვეული უფლებების აღდგენისათვის“, მათი „შელახული უფლებების რეაბილიტაციისათვის“.

იკრიბებიან სახალხო დამცველის ოფისში და იქიდან უშენენ ქვასა და გუნდას დედაუნივერსიტეტს...

გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნდა საუბარი ერთ-ერთი აბიტურიენტის

მშობელთან: ჩემს შვილს უნივერსიტეტში „მათემატიკის გამოცდაზე ექვსიანი დაუწერეს: ახლა სარჩელს ვამზადებ და იმედი მაქვს, რომ სამართალს აუცილებლად ვიპოვიო“. მაშინაც ვთქვი, მათემატიკის გამოცდაზე არაობიექტური შეფასების შემოწმება-გადამოწმებას სასამართლო რისთვის სჭირდებოდა (უნივერსიტეტი იჩემებდა ორჯერ ორი შვიდიაო?)?... მაგრამ მათთვის (უნივერსიტეტის წინააღმდეგ მებრძოლთათვის!...) საჭირო იყო „განაწყენებული ხალხის“ შეკრება, გვერდში ამოყენება... მათი გულის მოგება, რომ მათთან ერთად მიეტანათ იერიში უნივერსიტეტზე (ამ თემაზე უფრო ვრცლად იხ. „მისაღები გამოცდების სეზონური პრობლემები“, გაზ. „თბილისი“, 16 სექტემბერი, 2002).

ისეთი აჟიოტაჟი ატეხეს, ისეთი შთაბეჭდილების შექმნა სურდათ, თითქოს საზოგადოების დიდი ნაწილი დედაუნივერსიტეტს უპირისპირდებოდა. არადა, რეალობა სულ სხვა იყო.

ძალიან თუ არ გამიგრძელდა საუბარი 2002 წლის აგვისტო-სექტემბრის მოვლენებზე, სტატისტიკასაც გადავავლოთ თვალი: 2002 წელს ქართულ უნივერსიტეტში ბიუჯეტით დაფინანსებულ ვაკანტურ ადგილებზე კონკურსში მონაწილეობა მიიღო 3787-მა აბიტურიენტმა; მათგან ჩაირიცხა 1883 („საქართველოს რესპუბლიკა“, № 196, 2002 წ.). 1904 აბიტურიენტი ვერ მოხვდა საბიუჯეტო სექტორზე; ანუ: „კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლთა“ ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, 1904 აბიტურიენტი აღმოჩნდა განაწყენებული. როგორც „24 საათი“ იტყობინებოდა, „განაწყენებულ მშობელთა და აბიტურიენტთა კომიტეტში“ „ჯერჯერობით მხოლოდ 20-მდე ადამიანია გაერთიანებულიო“... დაახლოებით 6000 კაციდან (1904 აბიტურიენტს მივუმატოთ ორჯერ მეტი მშობელი თუ ახლობელი) მხოლოდ 20 კაცი დაიყოლიეს ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ საბრძოლველად!...

ჩაჭრილ და ვერჩარიცხულ აბიტურიენტთა თანადგომის მოპოვება სხვა ხერხითაც სცადეს; წერდნენ: „კომიტეტი მოითხოვს, ყველა ჩაჭრილი თუ ქულადაკლებული აბიტურიენტის იანვრამდე საბიუჯეტო განყოფილებაზე ჩარიცხვას“. ამონარიდი **გ. თევზაძის** ერთ-ერთი წერილიდან: „ის, ვინც წელს უნივერსიტეტში საბუთები შეიტანა, ყველა უნდა ჩაირიცხოს“... რატომ? რის საფუძველზე?

როცა საპასუხო წერილი მივიტანე გაზეთ „24 საათში“ (თავისუფალი პრესის ლიდერიაო!...), ორიოდე დღის თათბირის შემდეგ **დალი კუპრავამ** (გაზეთის პასუხისმგებელი პირი იყო) დაბეჭდვაზე უბოდიშო უარი მითხრა. არადა იმავე გაზეთიდან მუქარის ხმებიც გაისმა: **გ. თევზაძე** – „ეს (ყველას ჩარიცხვა – გ. გ.) თავიდან აგვაცილებს სტუდენტების (უნდა იყოს აბიტურიენტების – გ. გ.) მხრიდან ქუჩაში მოსალოდნელ გამოსვლებს, რის შესახებაც ბოლო ერთი კვირაა საუბრობენ“ (ვინ საუბრობს, სად, რატომ – არ ჩანს...)... სხვა-

თა შორის, ეს ნაკარნახევი აზრი შემდეგ „განაწყენებული კომიტეტის“ წევრებმაც გაიმეორეს: „გვეყო, რასაც აქამდე ვითმენდით. სექტემბერში უკვე ქუჩაში გამოვალთ და სახელმწიფო კანცელარიის წინ შიმშილობას გამოვაცხადებთ“. იმავე გაზეთში ასეთი სათაურიც ჩნდება: „ანტიკორუფციული საბჭოს წევრები გამოცდების (უნდა იყოს: გამოცდების შედეგების – გ. გ.) გაუქმებას მოითხოვენ“. პუბლიკაციიდან ნათლად არ ჩანდა, ეს ანტიკორუფციული საბჭოს საერთო აზრი იყო, თუ მხოლოდ **გივი თარგამაძისა** და **გიგი თევზაძის. გ. თარგამაძე** ასეთ რამესაც წერდა: „მისაღები გამოცდების ის წესები, რომლებიც წლების მანძილზე უნივერსიტეტში არსებობს, შეურაცხმყოფელია“, თითქოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სხვა წესები ჰქონოდათ...

რომ აღარ გადავღალო მკითხველი, ვიტყვი: **ეს იყო წინასწარ გამიზნული, კარგად ორგანიზებული, პრესითა და ტელევიზიით ზურგგამაგრებული კამპანია ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ.** როგორც ვთქვით, ამ ბრძოლის მეთაურობა **გიგი თევზაძემ** და **გივი თარგამაძემ** იკისრეს, „თავისუფლების ინსტიტუტი“ და სოროსის ფონდი უმაგრებდა მათ პოზიციებს.

ვიმეორებთ, „სიმართლისათივს მებრძოლთ“ არ აინტერესებთ ბედი ქართული განათლებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში წინასაუნივერსიტეტო ეტაპის შესახებაც იტყოდნენ რამეს, ანდა სხვა უმაღლესი სასწავლებლების მდგომარეობითაც დაინტერესდებოდნენ... „მიზანი ერთია, დიდი მიზანი“... და ეს **სამიზნე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია!...**

* * *

მერე უფრო მძლავრ ტალღად აზვირთდა შეტევები ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ. 2003 წელს ასპარეზზე **„კმარა“** გამოჩნდა. უნივერსიტეტში მოიძებნა იმ სულისკვეთების სტუდენტები, 20-იან წლებში რომ პირველობდნენ („მე მოვკლავ დედას, მე მოვკლავ მამას, თუკი პარტია მიბრძანებს ამას!“...)... და იწყება მუხლჩაუხრელი ბრძოლა დედაუნივერსიტეტის წინააღმდეგ. ძალზე ხშირად ათასგვარ უარყოფით კონტექსტში გაისმის რექტორის სახელი. არ არის ჩემი მიზანი ვინმეს დაცვა. ვთქვი კიდევაც ერთხელ უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე: თუ დამნაშავეა ბატონი **როინ მეტრეველი,** აგებინონ პასუხი მას, თუ დამნაშავეა **გოგოლაშვილი,** მას მოსთხოვონ პასუხი; უნივერსიტეტს თავი დაანებონ-მეთქი... ასახელებენ გვარებს კორუმპირებული პროფესორებისას... „კორუმპირებული“ რექტორიც, პროფესორებიც განაგრძობენ საქმიანობას... ილანძღება ქართული უნივერსიტეტი, ითელება ფეხქვეშ მისი ღირსება...

ვთქვი მაშინაც: ჩვენ, უნივერსიტეტელები, არ ვიქცეოდით სწორად – თავიდანვე უნდა ამოგვეღო ხმა; თუ მართალი იყო ის, რასაც ჩვენ მიმართ ამბობდნენ, დამნაშავეს პასუხი უნდა ეგო, ჩვენვე უნდა გამოგვეჩინა ამის ინი-

ციატივა... თუ ცილისწამება და ბინძური ჭორი იყო, რასაც გვაწერდნენ, ცილისმწამებელს უნდა ეგო პასუხი. ამ მხრივ დუმილს ამჯობინებს უნივერსიტეტი. არადა, მოიცა ძალი ბოროტებამ. „ახალი მედროშე“ გამოუჩნდა უნივერსიტეტის საწინააღმდეგო მოძრაობას – **თეა თუთბერიძე** და **და-ძმანი მისნი... და იხედნება საზოგადოების ყური; ეჩვევა უნივერსიტეტის ლანძღვა-გინებას.** ბოროტება ნელ-ნელა მიიწევს მიზნისაკენ; მიზანი „ნათელია“: სრული დისკრედიტაცია უნივერსიტეტისა, ფეხქვეშ გათელვა მისი ღირსებისა...

„თავისუფლების ინსტიტუტმა“ და **სოროსის ფონდმა „კმარა“** დააყენეს ფრონტის წინა ხაზზე...

ქმნიან და ერთმანეთს უპირისპირებენ სტუდენტურ ორგანიზაციებს. იმართება რაღაც არჩევნებისმაგვარი, შეკრებები; შეურაცხმყოფელი გაწევ-გამოწევები; ხელჩართული შეხლა-შემოხლა უნივერსიტეტის შენობაში და ამას შესაშური ოპერატიულობით აშუქებენ ტელევიზიები, გაზეთები... და ეს ხდება იმ ტაძარში, **ქუდმოხდილი რომ შემოდიოდა დიდი ივანე ჯავახიშვილი...** წარამარა ისმის აქტივისტების შეძახილები: „როინა უნდა გადადგეს“... – ასეთ რამეს არა თუ ამ ტაძარში, არავინ არავის აკადრებდა ამ სფეროში ცოტა ხნის წინათ. მერე („რევოლუციის“ შემდეგ) „კმარას“ აქტივისტები გამოუტყდნენ საზოგადოებას (თუმცა, გამოუტყდნენ კი არა, სიამაყით განაცხადეს) – ასეთი მიმართვები, პიროვნული შეურაცხყოფა და მისთანანი, მათი ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო... ფილმებიც აჩვენეს – ასე იყო ევროპაშიცო...

და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ მიზნისაკენ. ვთქვით – მიზანი ის იყო, ქართულმა საზოგადოებამ გული აიყაროს დედაუნივერსიტეტზე... აღარ მოისურვოს გალანძღული, შეჩვენებული, სახელგატეხილი ცოდნის ტაძრის გამოქომაგება... ვიმეორებ, არ არის ხსენება სხვა უმაღლესი სასწავლებლებისა – ქვეყანას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქცევს!... არადა, საზოგადოებამ ყველაფერი იცის; იცის ისიც, თუ სადმე შემორჩა ღირსება და პატიოსნება, ეს ქართულ უნივერსიტეტშია.

არ ვამბობ იმას, რომ უნივერსიტეტში არ ყოფილა დარღვევები; იყო ალბათ დანაშაულის ტოლფასი ქმედებაც... მაგრამ ითქვა ათასგზის: 6000 კაციან კოლექტივში, ცხადია, იქნება უღირსიც და უსინდისოც, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოსავალი ერთია – დამნაშავე უნდა დაისაჯოს... როდის ყოფილა, უღირსი ღვთისმსახურის მხილების გამო ტაძარი დაენგრიოთ?!... არადა უღირსს ვერ ამხელენ და ტაძარს კი ანგრევენ!...

გადახვევა: **ტაძარს** ლამაზსიტყვაობისათვის არ ვამბობთ. ღრმად გვწამს: საქართველოში არის რამდენიმე ტაძარი, რომლითაც საუკუნე იწონებს თავს; რომელიც ეპოქასთან გაიგივდება – **XI საუკუნე და სვეტიცხოველი; XII საუკუნე და გე-**

ლათი... ამ რიგში **დგას XX საუკუნე** და **ქართული უნივერ-სიტეტი!** XX საუკუნეში უფრო დიდი და ეროვნული მნიშ-ვნელობის ძეგლი არ შექმნილა საქართველოში!...

სჯიან უნივერსიტეტს „რატომ კარგი აგიგიას“ პრინციპით. ვთქვით, არ-ცეთრი კონკრეტული დანაშაული (თვეობით იჯდა და იქექებოდა დოკუმენ-ტებში პროკურატურა, კონტროლის პალატა...) და მაინც „დამნაშავე“... მაშინ, როცა ერთ-ერთ სამინისტროში ბოლო დროის თითქმის ყველა მინისტრი თუ მაღალჩინოსანი დაიჭირეს, სამინისტრო არავის გაუუქმებია... დაიჭირეს ორი სახელმწიფო უნივერსიტეტის (აგრარული უნივერსიტეტისა და ენისა და კულტურის უნივერსიტეტის) რექტორი, დაიჭირეს კორუფციაში მხილებული ერთ-ერთი უნივერსიტეტის (ტექნიკური უნივერსიტეტის) პროფესორები... თუმცა იმ უმაღლეს სასწავლებელთა უარყოფით კონტექსტში ხსენებაც არ ხდება... პირიქით... ლაფს ქართულ უნივერსიტეტს ესვრიან!... ლანძღავენ მის პროფესორ-მასწავლებლებს. ცხადია, აქ დანაშაულზე არ არის საქმე... თუმცა ვთქვით, დასკვნა ბოლოს გავაკეთოთ-თქო... მივიდეთ იქამდე.

მიზეზი და მიზანი

მოდით, იქნებ ჯობდეს, ნუ გადავდებთ ბოლოსთვის საქმეს – ვთქვათ თავში, რატომ იქცა „რეფორმატორების“ სამიზნედ ქართული უნივერსიტეტი. დავწერე არაერთგზის:

საქართველოში იყო **სამი ძალა,** რომელსაც შესწევდა საზოგადოებაზე ზემოქმედების დიდი უნარი: **ქართული ეკლესია, ქარული უნივერსიტეტი** და **მწერალთა კავშირი.** სამწუხაროდ, ქართული ეკლესია თავის რეალურ შესაძ-ლებლობას ბოლშევიზმის ეპოქაში ვერ ავლენდა. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მას მიეცა საშუალება, რეალურად ეჩვენებინა თავისი ძალა.

ხოლო თუ რა ძალა იყო ქართული უნივერსიტეტი და მწერალთა კავში-რი, ორი ფაქტის გახსენებაც კმარა ამის დასტურად:

პირველი – **1978 წლის 14 აპრილი.** ამაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მა-გრამ მინდა ამ კუთხითაც დავინახოთ: კონსტიტუციის პროექტის ობიექტური განხილვა, ეროვნული სულისკვეთების გამოღვიძება და მასობრივი პროტეს-ტის გრძნობის გაღვივება ძირითადად ამ ორი ძალის (თბილისის სახელმწი-ფო უნივერსიტეტისა და მწერალთა კავშირის) დიდი დამსახურებაა. თვით-მხილველები ამბად უყვებოდნენ ერთმანეთს მწერალთა კავშირში ჩატარებუ-ლი სხდომების შედეგებს, სადაც კონსტიტუციის პროექტი განიხილებოდა. ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, ვთქვათ, **ნოდარ წულეისკირისა** და **აკაკი ბაქრაძის გამოსვლები** და სხვა.

უნივერსიტეტის კათედრებსა თუ აუდიტორიებში მიმდინარე განხილვებს ვერ აბრკოლებს მთავრობისგან თითდაქნეული პარტკომი, რექტორატი. უფროს თაობას ჯერ კიდევ ახსოვს 1956 წლის მარტი და შიშნარევი თვალებით შეჰყურებს ახალგაზრდობას. თუმცა არიან ისეთი პროფესორებიც, ვინც აუდიტორიებში, კათედრის სხდომებზე ასაბუთეაბენ, რა საფრთხეს შეიცავს კონსტიტუციის ახალი პროექტი და იმუხტება ახალგაზრდობა საბრძოლო ჟინით... ამ ძალის დაოკება შეუძლებელი ხდება და სწორედ 14 აპრილს უნივერსიტეტის ეზოდან დაიწყო მსვლელობა მთავრობის სასახლისკენ. მოწაფეებს სკოლის კარები ჩაუკეტეს. ფანჯრებიდან ხტებოდნენ, ჩანთებზე ცარცით „დედაენას“ აწერდნენ და დროშასავით ზეაწეული ჩანთებით შეუერთდნენ უნივერსიტეტიდან დაძრულ ტალღას... გზადაგზა უერთდებოდა უამრავი შენაკადი. ქარხსნებიდან მუშები გამოვიდნენ – შვილების გვერდით დადგნენ. ითქვა მერე, მთავრობის სასახლის ზემო მხარეს რუსის შეიარაღებული ჯარი იდგაო...

ვერ შეძლო ხელისუფლებამ შეჩერება უნივერსიტეტიდან დაძრული ძალისა...

ეს იყო (თუ არ ვცდები) პირველი შემთხვევა, როცა იმპერია ეროვნული მოძრაობის წინაშე უძლური აღმოჩნდა და უკან დაიხია!

მე შევახსენებ ქართულ საზოგადოებას: მედროშე, თავკაცი ამ მოძრაობისა იყო ქართული უნივერსიტეტი და მწერალთა კავშირი!... ეს იცის ისტორიამ და იცის იმანაც, ვისაც არ აძლევს ხელს ქვეყანაში ასეთი ძალის არსებობა; ძალისა, რომელსაც შესწევს უნარი საზოგადოებაზე ძლიერი ზემოქმედებისა...

მეორე მაგალითი: ოთხმოციანი წლების ბოლოა. ეროვნული მოძრაობა აღმავლობას განიცდის. ეროვნული მოძრაობის ლიდერები – **ზვიად გამსახურდია** და **მერაბ კოსტავა** – ხან უნივერსიტეტში არიან, ხან – მწერალთა კაშვირში. **მუხრან მაჭავარიანია** თავკაცი ქართველი მწერლებისა. ფაქტობრივ მისი კაბინეტია შტაბი ეროვნული მოძრაობისა. ეს უძლიერესი ძალა იყო. იმპერია საფრთხის წინაშე დადგა. უნივერსიტეტს ხშირად სტუმრობენ საკავშირო ხელისუფლების წარმომადგენლები, ადგილობრივი მთავრობა...

ეს ისტორია დაიწერა და დაიწერება კიდევაც...

და იცის საზოგადოებამ ძალა უნივერსიტეტისა, ძალა მწერალთა კავშირისა...

ღვთის მადლით, XX საუკუნის ბოლოს ეკლესიამ დაიბრუნა თავისი უფლებები ჩვენი ერის ცხოვრებაში, როგორც უმთავრესმა ეროვნულმა ძალამ, რომელსაც საზოგადოებაზე ზემოქმედების განუსაზღვრელი უნარი შესწევს. ეს კარგად გამოჩნდა ეროვნული მოძრაობის აღორძინების პერიოდში... და გაიმარჯვა ეროვნულმა მოძრაობამ!...

არაეროვნული, უფრო სწორად, ანტიეროვნული ინტერესები ამოძრავებდა ხელისუფალს, მას, ვისაც სურდა, თავის ნებაზე ემართა საზოგადოება. ქართული ეკლესია, მწერალთა კავშირი და ქართული უნივერსიტეტი მას „ხელს უშლიდა“ მიზნის მიღწევაში: გავიხსენოთ სოროსის (თუ სოროსელების) განცხადება – საერთო კულტურული სივრცის შექმნაა საჭირო; **პატრიოტიზმი ფაშიზმის საფუძველია. „არ შეიძლება ვენდოთ სახელმწიფოებს, რადგან ისინი ხელმძღვანელობენ ეროვნული ინტერესებით“** („რეზონანსი“, 1 ნოემბერი, 2005 წ.). ესაა სწრედ არაეროვნული, უფრო სწორად ანტიეროვნული ინტერესი... როგორც **ოთარ ჭილაძე ამბობს: „ეკლესიასტესი არ იყოს, ახალი და უჩვეულო არაფერი ხდება. განა ლენინსაც ისევე არ აღიზიანებდა პატრიოტიზმი და ეროვნულობა, როგორც გლობალიზაციის დღევანდელ მესვეურებს აღიზიანებთ?“** („კვირის პალიტრა“, 30 იანვარი, 2006 წ.). ცხადია, ამ ინტერესის განსახორციელებლად საჭირო იყო იმ ძალთა განეიტრალება, ვინც ამ ინტერესს შეუშლიდა ხელს...

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ცალკე თემაა. გავიხსენოთ რელიგიური სექტებისადმი თავგამოდებული მხარდაჭერა ზემოდასახელებულ ორგანიზაციათაგან (თავისუფლების ინსტიტუტი, სოროსის ფონდი...)... არაერთი ცილისმწამებლური პუბლიკაცია საეკლესიო მიწებისა და ტაძრების(!) გაყიდვა-გასხვისების თოაბაზე... მღვდელმსახურთა ურთიერთდაპირისპირება და წმინდა სინოდისადმი დაპირისპირებული სასულიერო პირების (ბ. კობახიძის, ზ. თევზაძის, გ. ჩაჩავას...) მიმართ გამოჩენილი მხარდაჭერა ისევ იმ ორგანიზაციათაგან... სასულიერო აკადემიის სტუდენტთა ბუნტი (და მერე ბუნტის მოთავე სტუდენტთა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშვნა ხელისუფალთა მიერ)... სულ ახალახან სახალხო დამცველის მიერ გაკეთებული განცხადება პარლამენტის სხდომაზე (მართლმადიდებლობას პრივილეგია არ უნდა ჰქონდესო...), რამაც, თქვენ წარმოიდგინეთ, უმრავლესობის „ნაფიც წევრთა“ პროტესტიც კი გამოიწვია და სხვა... და სხვა... ღვთის მადლითა და შეწევნით, ქართული ეკლესია მტკიცედ დგას!...

90-იანი წლების შუა ხანებიდან დაიწყო მწერალთა კავშირის წინააღმდეგ აქტიური კამპანია. სქემა ნაცნობია: ურთიერთდაპირისპირება, ძალადობა... ერთის აღმახნულს მეორე დაღმა ფარცხავს... ბრალდება-ცილისწამებანი (გავიხსენოთ ყბადაღებული „სოკოს ბიზნესი“, მითვისებული ფართები და მსგავსი „დანაშაულობანი“). „ტომები“ იწერება ერთმანეთის საბრალდებოდ... და „ორივე დაღალულს“ „ძაღლი ჰკიდებს პირს“... გაითიშა, გაიყო, დაიქსაქსა... ახლა შენობაც უნდა წავართვათო... და შემლეს ამ ძალის (მწერალთა კავშირის) მეტ-ნაკლებად განეიტრალება. „აღარ სცალია“ მწერალთა კავშირს

ქვეყნის საპატრონოდ, საკუთარი თავშესაფრისათვის ბრძოლა გაუხადეს უმთავრეს საქმედ... დაქირავებული (ხელისუფლების ფავორიტი) ახალგაზრდა ლიტერატორები (ზოგი არცთუ ახალგაზრდა, საშუალო თაობის) დაუპირისპირეს ღვაწლმოსილ ადამიანებს: ამას წინათ ტელეგადაცემაში **ლაშა ბუღაძემ(!) ოტია იოსელიანს** წინადადების დასრულების საშუალებაც არ მისცა. **ოტია იოსელიანმა** გადაცემა დატოვა და **ლ. ბუღაძე** გამარჯვებული იერით ბოლომდე იჯდა სტუდიაში!...

შედარება: გავიხსენოთ, 20-იანი წლების ბოლოს **ივანე ჯავახიშვილსა** და ქართული უნივერსიტეტის სხვა პროფესორებს როგორ უდიერად ექცევიან იმდროინდელი სტუდენტები, ასპირანტები – კომკავშირლები; შეურაცხყოფენ, უნივერსიტეტიდან წასვლას აიძულებენ... ჩამოჰგავენ **ლ. ბუღაძე** და მისი მეგობრები იმდროინდელ კომკავშირლებს...

ამ საქმეში უფრო კომპეტენტურ პიროვნებას მოვუსმინოთ:

„დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ქართული მწერლობის წინააღმდეგ ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში დაიწყო გეგმაზომიერი და მიზანდასახული შეტევები, რაც, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება და საკმაოდ წარმატებულადაც. ჩვენს თვალწინ ინგრევა თავად ცნება მწერლობისა, როგორც ხალხის სულიერი და ზნეობრივი მთლიანობისა... ვიღაცას ძალიან უშლის ხელს თავად ქართული მწერლობა, როგორც უაღრესად ეროვნული ფენომენი“ (**ოთარ ჭილაძე,** „კვირის პალიტრა“, 30 იანვარი, 2006 წ.).

მოკლედ, ხანგრძლივი ბრძოლა მწერალთა კავშირის წინააღმდეგ მოძალადეთა გამარჯვებით მთავრდება... საზოგადოება შორიდან უყურებს მოვლენათა განვითარებას... საზოგადოებას მწერალთა კავშირის მიმართ უნდობლობა უჩნდება... მიზანი თითქმის მიღწეულია.

ჯერი უნივერსიტეტზე მიდგა. ფრაგმენტული, ეპიზოდური შეტევები დასაწყისი იყო ხანგრძლივი და დაუნდობელი ომისა.

ვთქვით, ეს ერთი მხარეა, რატომაც აქვთ იმ ძალებს ინტერესი უნივერსიტეტის დაცემა-დაკნინებისა...

მეორე მხრივ: – ქართული განათლებისა და მეცნიერების წინსვლაც არაა მიზანი დაპირისპირებული ძალისა. რატომ? ესეც არაერთგზის ითქვა და დაიწერა.

გავიხსენოთ ერთი ფაქტი: 2004 წლის 6 მაისს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **(კ. ლომაიამ)** და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარემ **(ლ. ბერძენიშვილმა)** ერთობლივი ბრიფინგი გამართეს ღია ეთერში. თითქმის ყველა სატელევიზიო არხი აჩვენებდა და ქვეყანას შეფასებისა და

გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გააცნეს. სავალალო დასკვნა გაკეთდა: „ოთხწლედის დასრულებისას სწავლების შემდგომი ეტაპისათვის – მე-5 კლასისათვის – მზად არის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის საშუალოდ 42%“. იმავე დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ამ კვლევის შედეგების პრეზენტაცია, 14 მაისს – პრეზენტაცია გაიმართა პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში; 15 მაისს – წიგნის სახლში... ტესტირება 6300 მოსწავლეს ჩაუტარესო...

რა არის ამგვარი აჟიოტაჟის მიზანი? თუ მეხუთე კლასელთა ნახევარზე მეტმა არ იცის წერა-კითხვა (ამგვარადაც აფასებდნენ შედეგებს), ვინაა დამნაშავე? როგორ მოხვდნენ ის ბავშვები მეხუთე კლასში? უფრო ადრე – მეოთხეში? მესამეში?... ეს კითხვები იმთავითვე დავსვით, მაგრამ ეს არ იყო მთავარი, როგორც ჩანს. მთავარი იყო, ქვეყანას (უფრო ქვეყნის გარეთ) დაენახა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის ნახევარმა წერა-კითხვა არ იცის...

ეს რა შუაშიაო, მკითხავთ. ითქვა და დაიწერა: საქართველო ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნად აღიარეს დასავლეთში... **ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყანა და მაღალი დონე განათლებისა, მეცნიერებისა, კულტურისა შეუსაბამობაა;** ან საქართველოს უნდა მოეხსნას ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნის სტატუსი, ანდა განათლებისა და მეცნიერების დონე მოვიდეს ეკონომიკასთან შესაბამისობაში... განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მოხსნა ფინანსურად და ეკონომიკურად დააზარალებს ქვეყანას (ჩინოვნიკთა ერთი ნაწილის ჯიბეებს...)... საუბედუროდ, მეორე გზა აირჩიეს... და ამიტომაც გახდა შეტევის ობიექტი განათლება და მეცნიერება.

ამგვარად: ორი ფაქტორი – **საზოგადოებაზე საკუთარი დიქტატის დამყარების სურვილი და განათლებისა და მეცნიერების განვითარების უდაბლესი დონიდან დაწყება – არის მიზეზი ქართულ უნივერსიტეტთან გამართული ომისა...**

ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის

უნივერსიტეტის ფეხზე დგომა მოსვენებას უკარგავს იმ („დაინტერესებულ“) ჯგუფს, ვერ ითმენენ...

„ვარდების რევოლუციის“ მეორე დღეს, როცა პრეზიდენტმა **ე. შევარდნაძემ** განცხადება გააკეთა თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე, გვიან ღამით „კმარას“ დროშების ფრიალით უნივერსიტეტს მოადგნენ (**თეა თუთბერიძე, ჩიორა თაქთაქიშვილი, გიორგი კანდელაკი, გიორგი ონიანი** და ძმანი მათნი) და რექტორის გადადგომა მოითხოვეს.

მოვლენები ასე განვითარდა: შეიკრიბა დიდი სამეცნიერო საბჭო, იმსჯელა და რექტორის გადადგომის საკითხი მიზანშეუწონლად მიიჩნია. ისევ

მოადგნენ უნივერსიტეტს დროშებით... გადადგომის განცხადება გააკეთა რექტორმა...

სასწრაფოდ მოდის უნივერსიტეტში **ნინო ბურჯანაძე; მიხეილ სააკაშვილიც** ჩაერია საქმეში და რექტორი დარჩა თანამდებობაზე...

ახლოვდებოდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები; უნივერსიტეტის თანადგომა სჭირდებოდა მომავალ პრეზიდენტს, მომავალ ხელისუფლებას...

უნივერსიტეტს ესტუმრა პრეზიდენტობის კანდიდატი **მ. სააკაშვილი.** დიდმა საბჭომ თანადგომა აღუთქვა მას... პრეზიდენტობის კანდიდატისაგანაც ბევრი სასიკეთო დაპირება მივიღეთ (ამის თაობაზე ქვემოთაც ვისაუბრებთ)...

მერე გაიმართა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები... თითქოს ცხოვრება კალაპოტში ჩადგა...

ტაქტიკა შეიცვალა...

* * *

ფრაგმენტულმა, ეპიზოდურმა შეტევებმა მათთვის სასურველი შედეგი რომ არ მისცა „უნივერსიტეტის ბედით დაინტერესებულ“ პირებს, გადაწყდა, შექმნილიყო უმაღლესი განათლების ისეთი კანონი, რომელიც სამართლებრივად მოაქცევდა დედაუნივერსიტეტს ჩინოვნიკების ხელში.

2004 წლის გაზაფხულზე ინტერნეტში გამოჩნდა კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ. უნივერსიტეტის დიდ სამეცნიერო საბჭოზე დაისვა საკითხი, განგვეხილა ეს კანონპროექტი. უნივერსიტეტის რექტორმა ბრძანა, დაველოდოთ, სანამ პრესაში გამოქვეყნდება, ან ოფიციალურად მოგვაწვდიანო. ისიც ითქვა, ინტერნეტში განთავსება კანონპროექტისა არაა ოფიციალური პუბლიკაციაო.

დაველოდეთ. არ გამოქვეყნებულა პრესაში, არც არავის მოუმართავს ოფიციალურად. ამიტომ გადაწყდა, სექტემბერში უნივერსიტეტში განხილულიყო კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ; გამოვითხოვეთ პარლამენტიდან.

ჩატარდა კანონპროექტის განხილვა ცალკეულ ფაკულტეტებზე; წინადადებები გადაეცა რექტორატს.

2004 წლის 27 სექტემბერს გაიმართა უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომა. განვიხილავდით კანონპროექტს. სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა მსჯელობა. აზრი საერთო იყო: **ამგვარი კანონი უმაღლეს განათლებას სიკეთეს არ მოუტანს. კანონპროექტი საკმაოდ დაუხვეწავია და არა აქვს იმგვარი სახე, რომ მისი შეტანა შეიძლებოდეს პარლამენტში.**

მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ **მიხეილ სააკაშვილს**;

მოვახსენეთ ჩვენეული შენიშვნები; უარყოფითად შეფასდა ეს კანონპროექტი და ვთხოვეთ: **„მოგმართავთ თხოვნით, არ დაუშვათ წარმოდგენილი კანონპროექტის განხილვა, უზრუნველყოთ განათლებისა და მეცნიერების განვითარების ეროვნულ ტრადიციებსა და ფასეულობებზე დაფუძნებული კონცეფციის შემუშავება პროფესიონალთა მიერ და მისი საჯარო განიხილვა, იმ ანგარიშით, რომ სწორედ ასეთი წესით მიღებულ, შეჯერებულ კონცეფციას დაეფუძნოს მთელი შემდგომი კანონშემოქმედებითი საქმიანობა“.** მიმართვა გამოქვეყნდა პრესაშიც.

როგორც ვთქვით, კანონპროექტის განხილვა გაიმართა **ორშაბათს, 2004 წლის 27 სექტემბერს.**

მოვლენები განვითარდა ელვისებურად. როგორც ჩანს, ამგვარ შეფასებას (შეიძლება ამგვარ სითამამესაც!) არ ელოდა სამინისტრო. აღშფოთებული მინისტრი **კ. ლამაია** აკეთებს კომენტარს ტელევიზიით. აცხადებს, რომ უნივერსიტეტი რეფორმის წინააღმდეგია; რომ **„უნივერსიტეტელები არიან კორუმპირებულები“; „არ ეთმობათ მისაღები გამოცდები და ამიტომ არ ეთანხმებიან წარმოდგენილ კანონპროექტს“. „ჩვენ ამ უსინდისო და უნამუსო ადამიანებს არ დავუბრუნებთ ფულის შოვნის ამ ხერხსო“** – ეს ამონარიდია მინისტრის **(კ. ლომაიას)** კომენტარიდან. „უსინდისო“, „უნამუსო“, „ისტერიული“ და მისთანა ეპითეტები არ დაუშურებია მინისტრს ჩვენ მიმართ სხვადასხვა გამოსვლაში. არადა, მკითხველს შევახსენებთ, ვინ მიიღო დიდ საბჭოზე მონაწილეობა კანონპროექტის განხილვაში: აკადემიკოსებმა **თამაზ გამყრელიძემ, მარიამ ლორთქიფანიძემ, თეიმურაზ კოპალეიშვილმა,** პროფესორებმა **ანზორ ხელაშვილმა, რისმაგ გორდეზიანმა, ჯუმბერ ჭუმბურიძემ, ჯემალ მებონიამ, მაია ნათაძემ, მარინე ჩიტიშვილმა, გიორგი გოგოლაშვილმა** და სხვებმა. ყველა გამოსვლა იყო კონკრეტული; განიხილებოდა პრობლემური საკითხები. ანგარიში ამ სხდომისა გამოქვეყნდა გაზეთ **„თბილისის უნივერსიტეტში“.** მინისტრს არ უცდია, პასუხი გაეცა იქ დასმული თუნდაც ერთი კონკრეტული შეკითხვისათვის, ემსჯელა ჩვენ მიერ პრობლემურად მიჩნეულ რომელიმე საკითხზე. მან ზოგადი შეფასება გააკეთა: **„კრებაზე აქტიურობდნენ ისინი, ვინც კორუფციული ლუკმის დაკარგვამ შეაშინა. ჩვენ მათ ამ ლუკმას არ დავანებებთ!“** (ესეც ციტატაა მინისტრის გამოსვლიდან... „არ დავანებებთ“ იმას ნიშნავს, მე მინდა ეს კორეფციული ლუკმაო და მართლაც დაიწყო შემდეგ საუბარი დაკარგულ მილიონებზე...).

სასწრაფო დავალება მიიღეს განათლების სამინისტროს მაღალჩინოსნებმა **გიგი თევზაძემ** და **რატი ამაღლობელმა.** ისინი და სამინისტროს აქტიური მხარდამჭერი ლიტერატორები – **ლ. ბუღაძე, ზ. სამადაშვილი, ლ. ბაქრაძე** და სხვები – შეიკრიბნენ მ. კოსტავას ქუჩაზე ლიტერატურულ კაფეში, რომ **დაეგმოთ უნივერსიტეტის მოქმედება.** საზოგადოებასთან ურთიერთობის სა-

მსახურის უფროსმა **რატი ამაღლობელმა** საქვეყნოდ განაცხადა: უნივერსიტეტში გამართულ შეკრებაზე კანონპროექტის მიმართ არცერთი კონკრეტული შენიშვნა არ გამოთქმულაო. ეს აზრი მან შედმგომაც არაერთხელ გაიმეორა. ყურადღება მიაქციეთ: ასეთ „ზუსტ“ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური!

ლიტერატურულ კაფეში სამინისტროს მაღალჩინოსნების ინიციატივით შეკრებილმა ჯგუფმა „საზოგადოების წარმომადგენელთა სახელით(!)“ განცხადება გააკეთეს და დაგმეს „უნივერსიტეტის უღირსი საქციელი...“ სხვათაშორის ამ ჯგუფის ფონზე ამ თემაზე შედმგომშიც ბრიფინგებს მართავს მინისტრი...

ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში **გიგი თევზაძემ** განაცხადა: **ჩვენ უნივერსიტეტთან არ ვითანამშრომლებთო,** კორუმპირებულები არიან და ამიტომო... ეს „არგუმენტი“ მოჰქონდა მინისტრსაც, როცა ამ თემაზე აკეთებდა კომენტარს! მეტიც, ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში **მინისტრს** ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა, „როგორ ხვდებით უნივერსიტეტის კრიტიკასო“, რაზეც ასეთი პასუხი მიიღო მინისტრისგან: **„როგორც ქარავანიო“.** ე. ი. რაო? უნივერსიტეტის აზრი ძაღლის ყეფააო ჩემთვის! მაშინვე დავწერე: „ბატონ მინისტრს შეუძლია საკუთარი თავი აქლემს შეადაროს, მაგრამ მას არა აქვს უფლება, ჩვენს დედაუნივერსიტეტს შეურაცხყოფა მიაყენოს“-მეთქი. მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ! ეს დასაწყისია!...

აქტიურად დაუჭირა მხარი მინისტრს და დაუპირისპირდა მშობლიურ უნივერსიტეტს სამინისტროს კიდევ ერთი მაღალჩინოსანი – **სიმონ ჯანაშია.**

(ყველა ის, ვინც უნივერსიტეტის წინააღმდეგ გაილაშქრა, გარდა მინისტრისა, სამწუხაროდ, უნივერსიტეტელია... იეთიმ გურჯი გაგახსენდება კაცს: „სირცხვილი იმ გუთნისდედას, თავის მამის საფლავს ხნავდესო...“).

მოკლედ, გახმაურდა უნივერსიტეტის პროტესტი და სამინისტრო თავგამოდებით ზრუნავს, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ უნივერსიტეტს საქმე არ აინტერესებს, მას კორუფციული ინტერესები ამოძრავებს!

როგოც ჩანს, ამაში ბატონი პრეზიდენტიც დაარწმუნეს და კანონპროექტის საუნივერსიტეტო განხილვის მეორე დღეს, სამშაბათს, **28 სექტემბერს,** ბატონი პრეზიდენტი დედულეთს სტუმრობდა ზემოიმერეთში და ამ თემაზე კომენტარი სრფ. ცხრუკვეთიდან გააკეთა; **„წითელ პროფესორებს“, „მარქსიზმ-ლენინიზმის პროფესორებს“** მკაცრად დაგვიქნია თითი.

როგორც ჩანს, ხელისუფლება ჩააფიქრა ქართული უნივერსიტეტის კოლექტიურმა პროტესტმა. **დიდი საბჭო საშიშ ძალად შეფასდა და საჭირო იყო ამ საბჭოს გაჩერება.**

მოვლენები მძიმედ ვითარდება და... ელვისებურად. ვითხოვთ მინისტრთან შეხვედრას, არ მოდის უნივერსიტეტში... მოვახერხეთ სამინისტროში

შეხვედრა ამ პრინციპით – „რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა“...

უნივერსიტეტის ოფიციალურ დასკვნაზე პასუხი არ ისმის (საბჭოს დასკვნას ვგულისხმობ)... საბჭო მაინც საბჭოა და, როგორც ვთქვით, მისი არსებობა არ აძლევს ხელს **კ. ლომაიას**... უნდა შეჩერდეს მისი მუშაობა და... გადაწყდა – რექტორმა, **როინ მეტრეველმა,** უნდა დატოვოს თანამდებობა.

მოვლენები განვითარდა ელვის უსწრაფესად:

ოთხშაბათს, 2004 წლის 29 სექტემბერს, პროფ. **რ. ლორთქიფანიძე** იტალიიდან ჩამოიყვანეს თბილისში:

ხუთშაბათს, 30 სექტემბერს, ქალბატონი რუსუდანი დანიშნეს პრორექტორად;

პარასკევს, 1 ოქტომბერს, საგანგებო საბჭოს სხდომაზე ბატონი **რ. მეტრეველი** გადადგა.

საბჭოს განმარტება არ მიუღია, რატომ, რისთვის, რის საფუძველზე გაკეთდა გადადგომის განცხადება... დაახლოებით ვხვდებით, რაც ხდება... საბჭოს სხდომას პრეზიდენტი **მ. სააკაშვილი** ესწრებოდა. რექტორის მოვალეობის შემსრულებელი არ დაუნიშნავთ. პრორექტორები თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ... უნივერსიტეტის დიდ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აღარ ჰყავდა... **საბჭომ, ფაქტობრივ, შეწყვიტა მუშაობა.** გაიმართა ორიოდე ფორმალური შეკრება...

რექტორის არჩევნები დაინიშნა 2004 წლის 13 დეკემბრისათვის.

ერთი ბრძოლა მოგვიგეს... ომი გრძელდება...

* * *

იმჟამად პარლამენტში განიხილებოდა კანონპროექტი **ზოგადი განათლების** შესახებ. შეჩერდა მისი განხილვა და **უმაღლესი განათლების** შესახებ კანონპროექტის განხილვა დაიწყო დაჩქარებული წესით.

თუ ეს პროექტი კანონად იქცა, კანონშემოქმედთა მიზანი მიღწეული იქნება: **უნივერსიტეტი** (ყოველ შემთხვევაში გარდამავალ პერიოდში) **დაკარგავს ყოველგვარ დამოუკიდებლობას; არავითარი ავტონომია; იგი იქნება სამინისტროს ნების მორჩილი შემსრულებელი.**

ქართული უნვიერსიტეტის რექტორის არჩევნებში რამდენიმე კანდიდატი იღებს მონაწილეობას. ზოგი მათგანი აშკარად მიუღებელია ხელისუფლებისათვის (მაგალითად, **მიხეილ ქურდიანი**). ამანაც დააფიქრა სამინისრტრო და კანონპროექტში „შესაბამისი“ ცვლილებები შედის:

პროექტის მიხედვით ასეა: კანონის ძალაში შესვლა გამოიწვევს რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას. კანონპროექტის პირველ ვარიანტებში ივარაუდებოდა, რომ გარდამავალ პერიოდში უნივერსიტეტში დაინიშნებოდა დროებითი მმართველი, თუმცა არ იყო განსაზღვრული ამ დროებითი

მმართველის სამეცნიერო და აკადემიური რწმუნებები; იქნებოდა ის მეცნიერი და პედაგოგი, თუ შემთხვევით შერჩეული პირი, რომელსაც უმაღლეს განათლებასთან არავითარი კავშირი არ ექნებოდა. ადვილი მისახვედრია: პროექტში სამინისტრომ თავისი კონკრეტული ინტერესი ჩადო. განხილვისას პროექტის ამ მუხლზე საგანგებო მსჯელობა იყო. ოპონენტებს ვერაფერი უპასუხეს და „უკან დაიხიეს". დროებითი მმართველი დანიშნული რექტორის მოვალეობის შემსრულებლით შეიცვალა – რექტორის მოვალეობის შემსრულებელს დანიშნავს პრეზიდენტი: „საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია რექტორის მოვალეობის შესრულება დააკისროს განთავისუფლებულ რექტორს, ან რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშნოს ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორი. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია ვადამდე გაათავისუფლოს რექტორის მოვალეობის შემსრულეაბელი". მოკლედ, სამინისტრომ აქაც ზუსტად გათვალა: მისი ნების წინააღმდეგ წასვლა ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის შეცვლით დასრულდეს. გავიხსენოთ სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის ამბავი: სამედიცინო კოლეჯის სტუდენტები პროტესტს გამოხატავდნენ. რექტორმა **რამაზ ხეცურიანმა** კოლეჯის სტუდენტთა მხარე დაიჭირა... შეიცვალა იგი და მაშინ გახდა „კორუმპირებული"... ეს გაფრთხილებაც იყო სხვა რექტორებისათვის: არ დაიჯერებ ჩვენსას, ასე მოგივა შენც...

ქართული უნივერსიტეტის რექტორის მოახლოებული არჩევნები ქვეყანაში ლამის ნომერ პირველ მოვლენად იქცა. გავიხსენოთ: თითქმის ყველა სატელევიზიო არხი ღია ეთერში გადასცემდა არჩევნების პროცესს. ცხადია, არცერთი უმაღლესი სასწავლებლის რექტორის საკითხი არ გამხდარა ფართო მსჯელობის საგანი. მეტიც, ვთქვი ზევით: სხვა უნივერსიტეტების რექტორებს იჭერენ, უშვებენ და ცხოვრება ძველებურად გრძელდება. ქართულ უნივერსიტეტში კი ყოფილი რექტორი **(რ. მეტრეველი)** ამჟამინდელი რექტორის მრჩევლად რომ დაინიშნა, ქვეყანა შეიძრა... **ყველაფერი ნათელია – პრობლემა დედაუნივერსიტეტია!...**

გვიან მიხვდა სამინისტრო, რომ მხოლოდ მათთვის სასურველი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა მათ საუნივერსიტეტო პრობლემებს ვერ გადაუწყვეტდა... ამიტომაც პირველი მოსმენით მიღებული იყო კანონპროექტი პარლამენტში, როდესაც ჩანაწერი გაჩნდა დეკანების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ; რექტორებთან ერთად კანონის ძალაში შესვლა დეკანებსაც შეუწყვეტდა უფლებამოსილებას. რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დანიშნავდა დეკანის მოვალეობის შემსრულებელს... ამით საქმე „მოწესრიგდა": **ადმინისტრაციული მართვა მთლიანად ერთ ხელში მოექცა.** არ ვაჭარბებ, ვინც უნივერსიტეტის ვითარება იცის, დამეთანხმება: **ფაქტობრივ ადმინისტრაციული მართვა სამინისტროს კონტროლს დაექვემდება-**

რა. დაწერა ამის თაობაზე პარლამენტარმა **დ. ზურაბიშვილმა:** უნივერსიტეტში დეკანის მოადგილეც კი არ ინიშნება „ზემოდან“ ჩარევის გარეშეო. დაეჯერება პარლამენტარს: რეორგანიზაციის პერიოდში იგი განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და უმრავლესობის წევრი იყო, ამიტომ იცოდა სხვაზე მეტი... ყველა ადმნისტრაციული თანამდებობა თითქმის გარედან დაკომპლექტდა. არც პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას დაგიდევდნენ; მთავარი იყო, „მათი კაცი“ ყოფილიყო თანამდებობაზე.

ასე რომ, კანონპროექტში „დეკანების საიკიხთის“ შემოტანით ხელისუფლებამ მოიმზადა საკანონმდებლო ბაზა დიქტატურისათვის.

პარლამენიტი, რა თქმა უნდა, მხარს უჭერს სამინისტროს. კომიტეტის თავმჯდომარემ **ნოდარ გრიგალაშვილმა** არაერთგზის თქვა და დაწერა, რომ ადრე არსებული კანონით უნივერსიტეტს ავტონომია არ ჰქონია: სამეცნიერო საბჭოს მიერ არჩეული რექტორი პრეზიდენტს უნდა დაემტკიცებინაო. აი, ჩვენი კანონი ანიჭებს უნივერსიტეტს სრულ ავტონომიასო... მოდით, ბოლოს ერთად დავასკვნათ, მოგვანიჭა თუ არა ამ კანონმა ავტონომია...

2004 წლის ნოემბერში უნივერსიტეტში იმართება საპროტესტო შეკრებები, განხილვები; ფაკულტეტებზე, ორჯერ სააქტო დარბაზში საუნივერსიტეტო განხილვა-აქცია ჩატარდა... პრესაში, ტელევიზიაში აქტიურობენ უნივერსიტეტის ბედით დაინტერესებული პიროვნებები. ხელისუფლება დედაუნივერსიტეტიდან მოსმენილ კრიტიკას ყურადღებას არ აქცევს. ცდილობს „თავისებურად“ უპასუხოს ქართული უნივერსიტეტის აქტიურობას. ამ დროს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ტაშითა და ზარზეიმით ხვდებიან მინისტრს, სამინისტროს მაღალჩინოსნებს...

უნივერსიტეტის პროფესორებმა წერილით მიმართეს მინისტრს, სთხოვეს უნივერსიტეტში მობრძანება და კანონპროექტის თაობაზე საუბარი. უარი მივიღეთ. სამინისტროში მოდითო, გვითხრეს. ათიოდე უნივერსიტეტელი ვეახელით სამინისტროში, შევხვდით მინისტრსა და მის გუნდს. კონკრეტული საუბარი ვერ შედგა. გვითხრეს, დაწერეთ თქვენი აზრი, მოვგაწოდეთ, განვიხილავთ და გადავწყვეტთ, გავითვალისწინოთ თუ არაო...

მინისტრი უნივერსიტეტში მაინც მოვიდა „კმარას“ აქტივისტთა მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე სტუდენტებთან. ეს სამინისტროსათვის წარუმატებელი შეხვედრა იყო. მინისტრი ცდილობდა, დაერწმუნებინა სტუდენტები, რომ მათი ლექტორ-მასწავლებლები წინააღმდეგნი იყვნენ რეფორმისა, ისინი კორუმპირებულები არიან (როგორც წესი, მის საუბარში მისთვის ჩვეულმა ლექსიკურმა ერთეულებმაც გაიჟღერა – „უნამუსო“, „უსირცხვილო“, „უვიცი“ (გაუგიათ ლუის კეროლის ნათქვამი – „სიმართლე ისაა, რასაც ორჯერ გაიმეორებ“ და იმეორებენ...), რეფორმატორები ცდილობენ, გაათავისუფლონ უნივერსიტეტი უღირსი პროფესორ-მასწავლებლებისაგან და მისთანანი. მო-

კლედ, **მინისტრი მოუწოდებდა სტუდენტებს, დაგმე შენი აღმზრდელი და ბედსა გწევო...** ეს ბოლშევიკური მეთოდი იყო. გვახსოვს, ასე გააძევებინეს სტუდენტ-კომკავშირლებს უნივერსიტეტიდან **ივანე ჯავახიშვილი.** საბედნიეროდ, ამჯერად სტუდენტებმა არ მიიღეს **კ. ლომაიას** შემოთავაზებული ტაქტიკა... მეორე დღეს მინისტრი მაღლივ კორუპსშიც უნდა შეხვედროდა სტუდენტებს. უარი შემოუთვალა: სტუდენტებში პროვოკატორები არიან და არ შეგხვდებითო...

მოკლედ: უნივერსიტეტი პრობლემად რჩება ხელისუფლებისათვის.

როგორც ჩანს, გადაწყვიტეს კანონპროექტით უკმაყოფილო პროფესორ-მასწავლებელთა „დამშვიდება“, მათი გულის მოგება: ცდილობენ, შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, რომ უსმენენ და ანგარიშს უწევენ უნივერსიტეტელებს.

2004 წლის 17 ნოემბერს საკომიტეტო განხილვა იყო კანონპროექტისა. მიგვიწვიეს რამდენიმე უნივერსიტეტელი, გვალაპარაკეს, მოვგისმინეს და „ქმნეს გულისა...“

იმავე დღეს, 17 ნოემბერს, ათიოდე უნივერსიტეტელი პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიგვიღო თავის რეზიდენციაში ინგოროყვას ქუჩაზე. საუბარი ძირითადად კანონპროექტს შეეხებოდა. გულდასმით მოისმინა პრეზიდენტმა ჩვენი გულისტკივილი. ძირითადი თემა უნივერსიტეტის დაფინანსება იყო. კანონპროექტი უმაღლეს სასწავლებელთა საბაზო-საბიუჯეტო დაფინანსებას არ ითვალისწინებდა. იყო საუბარი, რომ ეს უმძიმესი შედეგების მომტანი იქნებოდა საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის. ჩანდა, პრეზიდენტმა კარგად გაიგო ჩვენი გულისტკივილი. თქვა, როგორ შეიძლება, ისეთი უმაღლესი სასწავლებელი, როგორიცაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დარჩეს სახელწიფო დაფინანსების გარეშე. მან ახალციხისა და ზუგდიდის ფილიალებიც დაასახელბა – პოლიტიკური თვალსაზრისით არ შეიძლება ეს სასწავლებლები არ დააფინანსოს სახელმწიფომო (მერე გვახსოვს, ზუგდიდის ფილიალი საერთოდ დახურეს, ახალციხისა – სასწავლო უნივერსიტეტად გადააკეთეს, რა თქმა უნდა, საბაზო დაფინანსება მოუხსნეს...)... იყო მსჯელობა სხვა საკითხებზეც...

ბატონმა პრეზიდენტმა დაპირება მოგვცა, რომ პრობლემა მოიხსნებოდა, წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს შეუნარჩუნდებოდა საბიუჯეტო დაფინანსება. მან ასეთი დავალება მისცა განათალების მინისტრს ჩვენი თანდასწრებით. ჩვენთვის იმჟამად წარმოუდგენელი იყო იმის გაფიქრებაც კი, პრეზიდენტის სიტყვა შეიძლება არ შესრულებულიყო. მიზეზიც გვქონდა სიხარულისა და გახარებულები წამოვედით კანცელარიიდან. ყოველივე ეს პრესითა და ტელევიზიითაც გახმაურდა; დიდ სამეცნიერო საბჭოსაც მოვახსენეთ ეს სასიამოვნო ფაქტი... თურმე ეს „დამშვიდების ღონისძიება“ იყო... **მინისტრი თავს უქნევდა პრეზიდენტს, მაგრამ კანონპროექტში ცვლილება არ მო-**

მხდარა. მას შემდეგ, რაც კანონი მიიღეს, არაერთგზის დაისვა პრესასა თუ ტელევიზიაში ასეთი კითხვა: პრეზიდენტმა წაიღო თავისი სიტყვა უკან, თუ მინისტრმა არ შეასრულა პრეზიდენტის დავალება? ამ კითხვაზე პასუხი არავის გაუცია... კანონში კი ჩაიწერა, რაც სურდა სამინისტროს... სამინისტრომ ამჯერადაც იზეიმა გამარჯვება!...

არც მთლად ლირიკული გადახვევა: არსებობს გამოთქმა: „მეფის სიტყვა კანონია". ისიც გახსოვთ, ალბათ: „მეფე ხარ და ხამს!... მეფე ხარ და გევალება!... მეფე ხარ და გმართებს!..." ჰოდა, აღარ გვყავს მეფე და ამიტომაც პრეზიდენტზეც ითქმის ასე: მისი სიტყვა უნდა იყოს კანონი, „სხვათა შორის თქვაო... სიტყვის მასალად გამოიყენაო... მერე რა, რომ თქვაო..." – არ შეიძლება ასე ილაპარაკო პრეზიდენტის სიტყვაზე. ხელისუფლებამ, კანონმდებლებმა ყველაფერი უნდა იღონონ, პრეზიდენტის სიტყვა რომ შესრულდეს.

ჩვენდა საუბედუროდ, არ ხდება ასე!... პრეზიდენტის სიტყვა არ არის ანგარიშგასაწევი ხელსიუფლებისა და კანონმდებლებისათვის...

არადა, შეუძლებელია არ იცოდნენ იმ ხელისუფალმა თუ კანონმდებელმა, რომ პრეზიდენტის სიტყვის შეუსრულებლობა უპირველესად სწორედ პრეზიდენტის ნდობის დაკარვგას იწვევს.

არ ვიცი, ჩვენი ხმა მივა თუ არა პრეზიდენტამდე, მაგრამ მაინც მინდა ვთხოვო მას:

ბატონო პრეზიდენტო, ნუ მისცემთ უფლებას ხელისუფალსა თუ კანონმდებელს, არ შეასრულონ თქვენი სიტყვა: ბატონო პრეზიდენტო, გაიხსენეთ თქვენი სიტყვა და იყავით მისი შესრულების გარანტი!

შეიძლება ვინმემ მითხრას, რაზეც საუბრობ, დედაუნივერსიტეტის პრობლემა ხომ არ არის, მთელი საგანმანათლებლო სისტემის პრობლემაა..., მეტყვიან და მართალიც იქნება, მაგრამ აქ ერთი მომენტია საგულისხმო. სხვები ქართულ უნივერსიტეტს – დედაუნივერსიტეტს – შემოჰყურებენ. ერთერთ შეხვედრაზე თელავის უნივერსიტეტის პროფესორ**მა ვლადიმერ ელანიძემ** საჯაროდ მისაყვედურა: მთელი საქართველო თქვენ შემოგყურებთ და რატომ ხმას არ იღებთო. თქვენ-მეთქი? – ჩვენ ვინ რას გვეკითხება; ძალა თქვენს სიტყვასა და საქმეს აქვსო. სხვაც ბევრი ითქვა მსგავსი საყვედური... და ეს **ფაქტია: უნივერსიტეტის მაგალითი, უნივერსიტეტის სიტყვა, უნივერსიტეტის საქმე განსაზღვრავს ეროვნული სკოლის ბედს...** იციან ეს „იქ, ზემოთ", და ამიტომაცაა ასეთი „ყურადღება" ქართული უნივერსიტეტისადმი...

2004 წლის 27 სექტემბრიდან (დიდი სამეცნიერო საბჭოს იმ სხდომიდან,

კანონპროექტი რომ განვიხილეთ) 13 დეკემბრამდე (რექტორის არჩევნებამდე) საუნივერსიტეტო ცხოვრება მეტ-ნაკლებად ჰგავდა საუნივერსიტეტო ცხოვრებას.

მჯერა, დადგება დრო, როცა ობიექტურად შეფასდება უნივერსიტეტის ძალისხმევა, შეიქმნება ნორმალური კანონი უმაღლესი განათლების შესახებ; გავიხსენოთ: მგონი, სამი თვის მანძილზე ამაზე აქტიური თემა პრესასა თუ ტელევიზიაში არ ყოფილა. უნივერსიტეტმა გამოსცა ბროშურა (კრიტიკული ანალიზი კანონპროექტისა); იყო უამრავი საგაზეთო პუბლიკაცია... შევეცადეთ ზოგი მათგანისათვის თავი მოგვეყარა და ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ (№ 7-9, 2004 წ.) გამოვაქვეყნეთ. პრინციპული ხასიათის წინადადებები უპასუხოდ რჩებოდა. მოიძებნენ ტაშის დამკვრელებიც. ზოგჯერ ისეთი ვინმე გვასწავლიდა, რა არის განათლება და მეცნიერება... თუმცა ამაზე მსჯელობა არცა ღირს...

შემაშფოთებელი და აღმაშფოთებელი ის იყო, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ „იმათ“ უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტელებისადმი, კრიტიკული აზრისადმი. ერთ კონკრეტულ ნიმუშს გავიხსენებ სამინისტროსთან „თანამშრომლობის“ მაგალითად. „24 საათში“ გამოქვეყნდა პროფესორ **თემურ კობახიძის** წერილი „რამდენიმე მოსაზრება უმაღლესი განათლების კანონპროექტის თაობაზე“. წერილი გადმოვბეჭდეთ ჟურნალის „ბურჯი ეროვნებისა“ ზემოხსენებულ ნომრეში. კომენტარიც დავურთეთ. გადმოვწერ:

> „ვფიქრობთ, ბატონი **თ. კობახიძის** წერილში საკმაოდ არგუმენტირებულად და პროფესიონალურად არის საკითხები განხილული. დასკვნები დამაჯერებელია... მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენთვის... ასე არ ფიქრობენ „რეფორმატორები“, კერძოდ, რეფორმის ერთ-ერთი თავკაცი **გიგი თევზაძე.** მან საპასუხო წერილი გამოაქვეყნა „24 საათში“. სიმართლე გითხრათ, იშვიათად მინახავს ასეთი **არალოგიკური, არაპროფესიონალური** პასუხი. უამრავი კითხვა ჩნდება, როცა „რეფორმატორები“ თავს იცავენ:
>
> რატომ ვართ „იქით ნაპირზე“, ვისაც შენიშვნები გვაქვს კანონპროექტის მიმართ (გ. თევზაძის წერილის სათაური ასეთი იყო – **„იქით ნაპირზე კიდევ გამოჩნდნენ“**)?
>
> რატომ თვლიან, რომ ვებძრვით და არა ვთანამშრომლობთ მათთან (ციტატა: **„მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ, როდესაც კარგად და ცხადად გვეცოდინება, ვინ გვებრძვის და სად უნდა ვიბრძოლოთ“**)?
>
> რატომ ფიქრობენ, რომ ანონიმური არის ის ბუკლეტი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აწერია?

> რატომ ვითვლებით კანონპროექტის დახვეწის (გაუკეთესების) მსურველები **„წინააღმდეგობის ფრონტის კომისრებად“**?
>
> რატომ ცდილობენ ოპონენტის დისკრედიტაციას (ძირითადად ცილისწამების გზით) და არა არგუმენტირებულ მსჯელობას კანონპროექტის სადავო მუხლებზე? – ამგვარი შეკითხვა მრავლადაა, მაგრამ, სამწუხაროდ, **გიგი თევზაძეს** და, საერთოდ, **„რეფორმატორებს“ ეს არ აინტერესებთ არგუმენტები“...**

რამდენადაც ეს წერილი განათლების სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის, უპირველესი მაღალჩინოსანის წერილია, შეიძლება სამინისტროს პოზიციადაც მოვიაზროთ (გავიხსენოთ, **გ. თევზაძე** სამინისტროს სახელით საუბრობს: განათლების სამინისტრო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არ ითანამშრომლებსო... როცა მინისტრთან და მის გუნდთან შეხვედრისას მე ვკითხე **კ. ლომაიას,** ეს **გ. თევზაძის** პირადი აზრია თუ სამინისტროსი-მეთქი, გარკვეული პასუხი ვერ მივიღე – თითქოს დაიბნა **კ. ლომაია;** გ. თევზაძემ თავი დახარა და ჩაილაპარაკა, ახლა ვითანამშრომლებთო – თავიანთი სასურველი რექტორი ჰყავდათ უკვე...). მით უფრო საგულისხმოა ის დასკვნა, რომელსაც ამ წერილში გვთავაზობს ავტორი:

„რაც შეეხება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელშიც, როგორც ბატონი კობახიძე ამბობს, თურმე რეფორმა მთელი მისი ისტორიის განმავლობაში მიმდინარეობს და ყველაფერი კარგადაა: ეს ის უნივერსიტეტია, საიდანაც გააგდეს ივანე ჯავახიშვილი; ეს ის უნივერსიტეტია, სადაც ლექტორები პირდაპირ თუ არაპირდაპირ სტუდენტებსა და აბიტურიენტებს ფულს სძალავენ; ეს ის უნივერსიტეტია, სადაც სტუდენტების ერთმანეთისათვის დაპირისპირება მმართველობის ნორმად ითვლება; ეს ის უნივერსიტეტია, სადაც სწავლების ხარისხი კორუფციის ზრდის პროპორციულად ეცემა“.

განაჩენი გამოტანილია; ლოგიკური დასკვნა ეს იქნება: ასეთი უნივერსიტეტი არ უნდა არსებოდეს და ყველაფერს იღონებს სამინისტრო, რომ ეს განაჩენი აღასრულოს...

* * *

აქ, **გ. თევზაძის** ზემომოყვანილ პუბლიკაციაში, ერთ-ერთ ბრალდებად სტუდენტების ერთმანეთთან დაპირისპირება იქნა წამოყენებული... მოდით, ესეც გავიხსენოთ.

რექტორობის კანდიდატად სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა პროფესორი **მიხეილ ქურდიანი** დაასახელა. პრესითა თუ ტელევიზიით ეს ჯგუფი გაილანძღა – მოსყიდულები არიანო... გამოჩნდა სხვა ჯგუფი, რომელიც დაუპი-

რისპირდა ამ (და სხვა) ჯგუფსაც. დაპირისპირებამ სერიოზული ხასიათი მიიღო; ფიზიკური შეხლა-შემოხლაც მოჰყვა ამ დაპირისპირებას. ტელეკომპანია „მზის“ პირდაპირ ეთერში ორი ყმაწვილი დასხეს – გიორგი **სიგუა** და **მესხი** (სახელი, სამწუხაროდ, არ მახსოვს). ცხარე პაექრობაში **მესხმა** თქვა, რომ მათ (მის ჯგუფს) ფინანსური დახმარება სამინისტრომ გაუწია (ალბათ გაიხსენებთ: ეს ის სტუდენტია, ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში რომ თქვა, ჩემი საყვარელი წიგნი მ. სააკაშვილის წიგნია და ყოველდღე ვკითხულობო...).

17 ნოემბერს პრეზიდენტთან შეხვედრისას მე ვთქვი, უფრო სწორად, ვთხოვე მინისტრს, რომ ხელი არ შეეწყოთ სტუდენტთა დაპირისპირებისათვის, არ დაეფინანსებინათ ასეთი ჯგუფები და ზემომოყვანილი მაგალითი გავიხსენე. ბატონი პრეზიდენტი დაინტერესდა და იკითხა, რაზეა საუბარიო. მინისტრმა ბრძანა, სტუდენტთა ერთ ჯგუფს საგურამოში, ილიას სახლ-მუზეუმში, უნდოდა წასვლა, მოგვმართეს და დავაფინანსეთო. მაშინაც შევნიშნე, საგურამომდე წასვლას სამინისტროს დაფინანსება რად სჭირდება-მეთქი. საგურამო საბაბია. სამინისტრო ახდენს სტუდენტური ჯგუფების დაფინანსებას, წახალისებას და ამით ხელს უწყობს მათ დაპირისპირებას. არადა, ამას შემდეგ ბრალდებად დაპირისპირების პროვოცირებას უნივერსიტეტს წაუყენებენ და ამით საზოგადოების თვალში უნივერსიტეტის დისკრედიტაციას ცდილობენ...

* * *

2004 წლის 13 დეკემბერს გაიმართა რექტორის არჩევნები. რექტორად ქალბატონი **რუსუდან ლორთქიფანიძე** ავირჩიეთ. 13 დეკემბრისათვის კანონი ორი მოსმენით მიღებული იყო. მესამე მოსმენა 21 დეკემბერს გაიმართა; კანონი 2005 წლის 11 იანვარს გამოქვეყნდა, ასე რომ, ქალბატონ **რუსუდან ლორთქიფანიძეს** უფლებამოსილება შეუწყდა 11 იანვარს. თებერვლიდან ბრძანება დაიწერა ქალბატონ რუსუდანის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

ფაქტობრივ, უნივერსიტეტში ამ დღიდან დაიწყო ახალი ცხოვრებაც – უმაღლესი განათლების ახალი კანონის შესაბამისი „რეფორმების“ ხანა.

სტრუქტურული ცვლილებების პრობლემები

რეფორმა უნივერსიტეტში სტრუქტურულ ცვლილებებსაც ითვალისწინებდა. ითქვა, ბევრი ფაკულტეტია (ეს მართლაც ასე იყო) და უნდა გამსხვილდეს ფაკულტეტებიო, მაგრამ როგორ, რა პრინციპით? გადაწყდა, 22 ფაკულტეტის ნაცვლად იქნება ექვსი.

საინტერესო დამთხვევა: 1930 წელს, როდესაც უნივერსიტეტი პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთდა, მაშინაც ექვსი ფაკულტეტი დატოვეს...

რატომ ექვსი? ყველა შემთხვევაში „ბოლონიის პროცესს“ იშველიებენ. ამ საკითხს საინტერესოდ აშუქებს **დავით ზურაბიშვილი** – იმჟამად (წერილის გამოქვეყნების დროს) საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე: „ბუნებრივია, აქ ლოგიკურად ისმის კითხვა: **რატომ ექვსი** და **რატომ ეს ექვსი?** წესით ამგვარი სტურქტურული ცვლილებები რაღაც კონკრეტული პრობლემების მოგვარების მიზნით უნდა ხორციელდებოდეს. იმის განსაზღვრა, თუ რამდენი ფაკულტეტია საჭირო უნივერსიტეტში, მთელი საუნივერსიტეტო სისტემის (სწავლების პრინციპები, აკადემიური და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა, საკადრო რესურსები და ა. შ.) ანალიზს უნდა ეყრდნობოდეს. სხვაგვარად შეუძლებელია გაიგო, „ცოტაა“ თუ „ბევრი“ ოცდაორი ფაკულტეტი“ („24 საათი“, 12 ივნისი, 2005 წ.). ცხადია, კითხვა ასეც შეიძლება დაისვას: ცოტაა თუ ბევრი 6 ფაკულტეტი...

და მაინც, **რატომ ექვსი?** თურმე ნუ იტყვით და, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რომ ექვსი ფაკულტეტი უნდა დარჩენილიყო, ამის შესახებ განათლების მინისტრი და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირები ჯერ კიდევ რევოლუციამდე აცხადებდნენ (ე. ი. 2004 წლამდე შევნიშნავთ: მინისტრი **კ. ლომაია** და მისი გუნდის წევრები იმჟამად „თავისუფლების ინსტიტუტში“, „სოროსის ფონდსა“ თუ სხვა მსგავს ორგანიზაციებში იყვნენ დასაქმებულნი. „რევოლუციამდე“ დედაუნივერსიტეტის ბედიც იქ წყდებოდა... – გ. გ.). ეს განცხადებები კეთდებოდა სრულიად დაუფარავად და ამის ერთადერთი არგუმენტი იყო, რომ „ევროპაში ასეა“ (დ. ზურაბიშვილი).

რატომ ექვსი? ასე გადაუწყვეტიათ თურმე „იქ, მაღლა“... მაგრამ რატომ? არავინ იცის...

არადა, „იქ, ევროპაში“, არ ყოფილა მთლად ასე. ისევ **დ. ზურაბიშვილს** მოვუსმინოთ: „რაც შეეხება უნივერსიტეტებში ფაკულტეტების რაოდენობას, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ აქაც არავითარი სტანდარტი არ არსებობს: არც ფორმალური და არც არაფორმალური. ბოლონიის პროცესი ამ თემას საერთოდ არ ეხება... შორს რომ არ წავიდეთ, იგივე ბოლონიის უნივერსიტეტი, რომელიც მე-11 საუკუნეში დაარსდა და მსოფლიოს უძველესი უნივერსიტეტია, ოცდასამ (23) ფაკულტეტს ითვლის; მე-15 საუკუნეში დაარსებული ვენის უნივერსიტეტი ჩვიდმეტს (17); მიუნჰენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტი თვრამეტს (18)“...

ისიც კი ითქვა, რომ ფაკულტეტების გაერთიანება დაფინანსების შემცი-

რების მიზნით მოხდაო. ასეა ვითომ? გაერთიანებულ იურიდიულ ფაკულ-ტეტზე ორმოცამდე ადმინისტრაციული თანამდებობა შემოიღეს...

ჩვენს შემთხვევაში გადაწყდა, რამდენიმე ფაკულტეტის გაერთიანებით (ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, ისტორიის, ფილოსოფიის, ხელოვნებისა და საზოგადოებრივ პროფესიათა) შექმნილიყო ერთი ფაკულტეტი – ჰუმანიტარული.

ფილოლოგებმა ვიმსჯელეთ, ავწონ-დავწონეთ და დავასკვენით: უმჯობესი იქნებოდა სამი ფაკულტეტის – ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობისა და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის – შეერთებით შექმნილიყო გაერთიანებული ფილოლოგიის ფაკულტეტი. დასაბუთება ვრცელი და არგუმენტირებული იყო... ყურადღება არავის მიუქცევია.

ეს სტილია მუშაობის: კეთდება რაღაც, არავინ არავის ეკითხება, არავინ არავის უთანხმებს... ჩვენ, რიგით უნივერსიტეტელებს, განმარტებასაც არავინ გვაძლევს, რა ხდება და რატომ... ასეა გადაწყვეტილი „იქ, მაღლა“...

უნივერსიტეტი ორგანიზაციულად უნდა დასუსტდეს, სტრუქტურა-ლად უნდა დაიშალოს, ამიტომ უნდა გაუქმდეს კათედრა (დავაკვირდეთ: იშ-ლება მყარი ტრადიციული სტრუქტურული ერთეულები და კოწიწდება ახა-ლი – მეტ-ნაკლებად დაშორებული, ფაკულტეტების სახით...).

უცნაური ფაქტი: ეროვნულ გამოცდებზე გააერთიანეს ისტორია და გეოგრაფია, უნივერსიტეტში კი ეს ორი დარგი სხვადასხვა ფა-კულტეტზე აღმოჩნდა...

მოგეხსენებათ, კათედრა იყო ძირითადი სტრუქტურული ერთეული უნივერსიტეტისა. ახალი კანონი კათედრის გაუქმებას არ ითვალისწინებს. თუმცა, როგორც ჩანს, ეს იდეა ფარულად მაინც იყო ჩადებული. ეს არაა ეჭვი-ანი კაცის ფიქრი. თავად განსაჯეთ:

2004 წლის ნოემბერში პარლამენტში საკომიტეტო მოსმენაზე პირველი და მეორე წაკითხვის წინ საგანგებოდ დავსვით კათედრის საკითხი: კანონ-პროექტის პირველ მუხლში არ იყო განმარტებული კათედრა (კათედრა მო-ხსენიებულია მხოლოდ ერთხელ: ფაკულტეტის სტრუქტურაზე საუბრისას ფრჩხილებშია ჩასმული, როგორც ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული ინ-სტიტუტისა და ლაბორატორიის გვერდით). ადმინისტრაციული და აკადემი-ური თანამდებობების ჩამონათვალში არ იყო კათედრის გამგე. ასე რომ, არ ჩა-ნდა, კათედრის გამგე ადმინისტრაციული თანამდებობაა თუ აკადემიური. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს: აკადემიურ თანამდებობებზე ასაკობრივი ზღვრის საკითხი 2009-2010 სასწავლო წლამდე არ ამოქმედდება... ჩვენ მიერ დასმულ კითხვას მინისტრმა გვერდი აუარა. კომიტეტის თავმჯდომარემ გან-

მარტა: ეს საგანგებოდ გავაკეთეთ; არ ჩავწერეთ, რომ ადმინისტრაციული თანამდებობაა, თორემ 65-წლიანი ზღვარი შეეხებოდაო. კათედრისა და კათედრის გამგის საკითხი თავად უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოსო... კერძო საუბარში ისიც მითხრეს, კათედრა სხვადასხვა რამ უნდა იყოს სპორტის აკადემიასა და უნივერსიტეტში; ამიტომ სასწავლებლის წესდებამ განსაზღვროს მისი სტატუსიო. დავეთანხმეთ...

შედეგი: ახალი ადმინისტრაცია მოვიდა თუ არა უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოსთან პირველივე შეხვედრისას იმჟამად კოორდინატორმა **ლ. გორდეზიანმა** თქვა, რომ კათედრა აღარ იარსებებსო, რატომ? – განმარტება ბუნდოვანი იყო...

იურიდიულად კათედრა არავის გაუუქმებია, ოღონდ: 2005 წლის სექტემბრიდან კათედრის გამგეებს ფინანსური დანამატი როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო (ეკონომიკური შემოსავლებით მიღებული) ხელფასიდან მოეხსნა. როცა ვიკითხეთ, რა არის ეს, უქმდება კათედრა? იმჟამად რექსტორის მოადგილემ **ლ. გორდეზიანმა** არაორაზროვნად გვიპასუხა: „პრინციპში კი“...

დავინტერესდით. არანაირი სამართლებრივი დოკუმენტი არ არსებობს არც ხელფასის შემცირების თაობაზე, არც თანამდებობრივი პასუხისმგებლობის მოხსნის შესახებ... ერთ-ერთ ოფიციალურ შეკრებაზე „ყოფილი კათედრის გამგეებიც“ გვიწოდეს.

კათედრა კი, როგორც სტრუქტურული ერთეული, ჯერ იურიდიულად არსებობს...

ასე რომ, კათედრა არის და აღარც არის.

ღიმილიანი ანალოგია: აკაკიმ იხუმრაო ერთხელ: უცნაური კაცი ვარ – ცოლი მყავს და არცა მყავს, პენსია მაქვს და არცა მაქვსო... ასეა კათედრის საქმეც...

ეს ქაოსია, ადმინისტრაციული და ორგანიზაციული ქაოსი. როცა სტრუქტურები იცვლება, ჯერ უნდა შეიქმნას ახალი, შემდეგ გაუქმდეს ძველი. ახლის შექმნის კონტურები არსებობს – სამუშაო ვარიანტები; გადაწყეტილი აქაც არაა რაიმე პრინციპულად...

არ ვიცით, რა არის „ყოფილი კათედრის გამგეების“ იურიდიული და მორალური პასუხისმგებლობა ჯერ კიდევ არსებული კათედრების მიმართ...

გამოიკვეთა, ფაკულტეტის ძირითადი სტრუქტურული ერთეული იქნება ინსტიტუტი... თუმცა ცდილობენ, ეს ინსტიტუტიც არ იყოს მყარი, სტრუქტურულად ძლიერი ერთეული... თუმცა ეს მომავლის საქმეა...

ფაქტია, რომ ეს პროცესიც – ფაკულტეტების სტრუქტურული რეორგანიზაცია – უსაშველოდ გაიწელა. არადა, სასწავლო პროცესზე ეს ქაოსი უარ-

ყოფითად მოქმედებს... რატომ უარყოფითად? თავად განსაჯეთ: 2006 წლის 4 თებერვალს გადაწყდა, რომ სწავლა (II სემესტრში) დაიწყება ზოგ ფაკულტეტზე 20 თებერვალს, ზოგან – 27 თებერვალს... რატომ? ვერ ვასწრებთ სასემესტროდ მომზადებასო... რა არის მოსასწრები? თურმე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტშიც გადაუდვიათ სწავლის დაწყება... ეჭვი ჩნდება, „ვერ მოსწრება“ საბაბია; მიზეზი სხვა ჩანს... ვნახოთ.

სამეცნიერო სექტორის ბედი

უმაღლესი განათლების კანონი განმარტავს:

„**უნივერსიტეტი** – მრავალდარგოვანი უმაღლესი **საგანმანათლებლო-სამეცნიერო** დაწესებულება, რომელსაც აქვს სამივე აკადემიური ხარისხის მინიჭების უფლება...“

„**ინსტიტუტი** (უმაღლესი სკოლა) – უმაღლესი **საგანმანათლებლო** დაწესებულება, რომელსაც აქვს რამდენიმე დარგში აკადემიური ხარისხის მინიჭების უფლება...“

განსხვავებას მათ შორის ის ქმნის, რომ უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო სექტორი, ინსტიტუტს – არა.

სამეცნიერო სექტორი – ესაა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ლაბორატორიები, კაბინეტები, ცენტრები... და იქ დასაქმებული მეცნიერ-მუშაკები.

ჯერ იყო და განათლების კანონპროექტში გაქრა ცნება **მეცნიერ-თანამშრომელი.** თავდაპირველ ვარიანტში იყო. 2004 წლის 17 ნოემბერს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სხდომაზე ეს საკითხიც დავსვი. მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის ამოღება, შესაბამისად სამეცნიერო ხარისხის იგნორირება, უმაღლეს სასწავლებელს აქცევდა მხოლოდ აკადემიურ დაწესებულებად; ეს ფაქტობრივ გამოიწვევდა მეცნიერებისა და განათლების დაშორებას. უარყოფა ამ აზრისა არავის უცდია, მაგრამ... მაგრამ საბოლოოდ კანონში მაინც არ აისახა თანამდებობა – მეცნიერ-თანამშრომელი. ეს სიტყვა კანონში მხოლოდ ერთხელაა ნახსენები, ისიც გარდამავალ დებულებებში, სადაც საუბარია იმის თაობაზე, რომ „უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა უზრუნველყონ დაწესებულებაში დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების გადაყვანა ამ კანონით გათვალისწინებულ შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე“ (მუხლი 89, პუნქტი 11). ასე რომ, კანონის სრულყოფილად ძალაში შესვლის შემდეგ უნივერსიტეტში იქნება მხოლოდ აკადემიური თანამდებობებიო.

ეს იყო დასაწყისი უნივერსიტეტში სამეცნიერო სექტორის გაუქმებისა.

გავიხსენოთ 27-ე მხულის I პუნქტი: „ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი (კათედრა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია, კლინიკა, პროგრამული მიმართულება და სხვა) და დამხმარე (ბიბლიოთეკა და სხვა) სტრუქტურული ერთეულები“. ეს მუხლი ზემომოყვანილ მუხლთან შეუსაბამობაშია: სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული მეცნიერი თანამშრომლის გარეშე უაზრობაა. **კანონმდებელი აქ ან ცდება, ან გვატყუებს.**

საკანონმდებლო ბაზა მომზადდა. **სამეცნიერო სექტორის ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო.**

კანონის მიღება და უნივერსიტეტიდან სამეცნიერო სქეტორის გატანა ერთი იყო: 2004 წლის ბოლოს უნივერსიტეტს ბიუჯეტიდან ჩამოეჭრა სამეცნიერო სექტორის დასაფინანსებელი თანხა – 1 800 000 ლარი. თანხა გადატანილი იქნა განათლების სამინისტროში; მას განკარგავს შესაბამისი დეპარტამენტი. უნივერსიტეტის სამეცნიერო სექტორი გადაიყვანეს გრანტულ დაფინანსებაზე. ამის თაობაზე ჩვენ გვიან გავიგეთ, გაზაფხულზე, როცა სავალალო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით...

2004 წლის დეკემბერში გამოცხადდა კონკურსი. **მის პირობებში არ იყო ნათქვამი, რომ, ვინც ვერ მოიპოვებდა გრანტს, მას ხელფასიც აღარ მიეცემოდა.** როგორც განმარტავდნენ კაბინეტ-ლაბორატორიების ხელმძღვანელები, მათ ეს გრანტები დამატებით ფინანსურ საშულებად მიიჩნიეს (ჯამაგირს ზევით...). ზოგმა უბრალოდ ვერ მოასწრო განაცხადის შეტანა – ვადები იყო ძალიან შემჭიდროებული; ზოგმაც ვერ გაიგო, კონკურსი რომ გამოცხადდა. ამის თაობაზე როცა ვმსჯელობდით შემდგომ, განგვიმარტავდნენ, ვის რა ბრალი ჰქონდა, ვინ იყო დამნაშავე რომელ შემთხვევაში და ა. შ. მაგრამ, ცხადია, დამნაშავის ძიება საქმეს ვერ გამოასწორებდა.

2005 წლის 27 ივნისს უნივერსიტეტში განცხადებების დაფაზე გამოიკრა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოსული წერილი, რომელსაც ხელს მინისტრის მოადგილე **თ. სამადაშვილი** აწერდა (№ 01–17–21/6451; 23. 06. 2005 წ.). წერილი გვამცნობდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოსული 191 განაცხადიდან დაფინანსდა 113 პროექტი. განაცხადი გაკეთებული იყო 1529 ფიზიკურ პირზე, პროექტში დასაქმებულია 737 ფიზიკური პირი. ასე რომ, განაცხადის შემტანი 800-მდე პირი დაუსაქმებელი დარჩა! ე. ი. შეუწყდა თანამშრმოლობა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ზოგიერთ სამეცნიერო-კვლევით ქვედანაყოფს საერთოდ არ წარმოუდგენია განაცხადი, რის გამოც მ. წ. ივნისიდან დაფინანსებას ვეღარ მიიღებენ“ (ციტატაა სამინისტროს წერილიდან), უმუშევრად დარჩენილთა რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება. ზუსტი ციფრი არ სახელდება...

კულუარული ინფორმაცია მოსალოდნელი შემცირებების თაობაზე ად-

რევე გავრცელდა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა პასუხს ვერ იძლეოდა – ელოდა ინფორმაციას სამინისტროდან; 25 მაისს მივიღებთო ამ ცნობას – გვეუბნებოდნენ... კერძო კონტაქტებით (სამინისტროდან გამოტანილი ამბით) სახელდებოდა გამარჯვებული თუ დამარცხებული პროექტები. ეს ფაქტიც საინტერესოა ისტორიისათვის – კონკურსის ობიექტურობასა და გამჭვირვალობაზე როცა ისაუბრებენ...

უნივერსიტეტს არავითარი მონაწილეობა არ მიაღებინეს ამ კონკურსის წარმართვაში...

როცა ხმაური ატყდა შედეგების გამოცხადების შემდეგ, დაიწყო გადაბრალებები. დამნაშავედ უნივერსიტეტსაც ასახელებდნენ... პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე, **ნ. გრიგალაშვილი,** წერდა: „ვაღიარებ, რომ შეცდომა იქნა დაშვებული. რა მნიშვნელობა აქვს, რექტორის მხრიდან, სამინისტროს მხრიდან თუ ხელსიუფლების მხრიდან ინფორმაციის მოწოდების თვალსაზრისით. მაგრამ როცა გასწორდა ეს შეცდომა (ე. ი. ინფორმაცია მიეწოდათო – გ. გ.) და ამის შემდეგ ერთი და იგივე პიროვნებები ისევ დათხოვნაზე საუბრობენ, რა უნდა იფიქრო?“ („ახალი თაობა“, 9 ივლისი, 2005 წ.). ამ კომენტარზე კომენტარი ძნელია...

მათი აზრით, თურმე სიკეთეს გვიკეთებენ და ვერ ვიგებთ; უმადურები ვყოფილვართ; „დამეთანხმეთ, რომ ჩანაფიქრი კარგი გვქონდა, – წერს **ნ. გრიგალაშვილი,** – ფინანსურადაც განვახორციელეთ ეს, მაგრამ ნაცვლად სიკეთისა, მივიღეთ წყენა“. დადგება დრო და ამგვარ განცხადებებზეც გააკეთებენ შესაბამის კომენტარს... ახლა კი ფაქტები... არც ტყუილს უკადრისობდნენ. უცნაური მანიპულირება ხდება ციფრებით. ერთ-ერთ ინტერვიუში მინისტრი **კ. ლომაია** წერდა: „თსუ სამეცნიერო სექტორი მილიონი ლარით იყო დაფინანსებული, წელს 200 000 ლარით მეტი დაფინანსება მივეცითო“. კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. გრიგალაშვილი** ბრძანებდა: „თუ შარშან მეცნიერების დაფინანსება იყო მილიონ 800 000 ლარი, ბევრით არა, მაგრამ 200 000 ლარით ეს დაფინანსება გაიზარდა, ანუ სახელმწიფომ ცოტა ფულის ნაცვლად ბევრი ფული გაიღო მეცნიერებისათვის. შედეგად კი რა მიიღო – განაწყენება, ბუნტი“...

სინამდვილეში საქმე ასეა: უნივერსიტეტიდან წაიღეს მილიონ რვაასი ათასი ლარი, რაც იყო სამეცნიერო სექტორის დაფინანსება. მინისტრის მოადგილის **თ. სამადაშვილის** ხელმოწერილ წერილში ვკითხულობთ: „დაფინანსებული პროექტების საერთო ღირებულებამ 2005 წლის 1 ივნისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შეადგინა 1 078 556 ლარი...“ ე. ი. 722 000 ლარით ნაკლები დაუბრუნეს უნივერსიტეტს, ვიდრე წაიღეს!... **ან მინისტრმა და კომიტეტის თავმჯდომარემ არ იციან, რა ხდება სინამდვილეში (რაც მეეჭვება), ანდა შეგნებულად შეჰყავთ შეცდომაში საზოგადოება (რაც უბედურებაა).** უფრო ალბათ მეორე... მიზანი? – უნდა დაარწმუნონ საზოგადოება, რომ უნივერსიტეტს

„უკმაყოფილების, ბუნტის“ საფუძველი არა აქვს. უმადურები არიანო!...

ნიშანდობლივია ის ცინიკური დამოკიდებულებაც, სამინისტრო რომ იჩენს უნივერსიტეტისადმი. ოფიციალურ შეკრებაზე შეკითხვა დასვეს, როდის იქნება კონკურსის შედეგები ცნობილი, როდის გავიგებთ, ვართ თუ არა თანამშრომლებიო და პასუხად მიიღეს – **„როცა მიხვალთ სალაროში ხელფასის ასაღებად, აღარ მოგცემენო ხელფასს“...** სხვათა შორის, თითქმის ასე მოხდა 2005 წლის 27 ივნისს. განცხადებათა დაფაზე განათლების სამინისტროს წერილთან ერთად გამოაკრეს სია იმ თანამშრომლებისა, რომელთაც მიიღეს გრანტი. 800-მდე თანამშრომელი ამაოდ ეძებდა საკუთარ თავს სიებში... საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამ სიების გამოკვრა წინასწარ არ იყო შეთანხმებული რექტორთან... **რექტორატი შემდეგ არკვევდა, ვინ გამოაკრა სიებიო და „ვერ გაარკვიეს“...**

დაფინანსების გარეშე დარჩა მრავალი ლაბორატორია, კაბინეტი... ე. ი. დაიხურა!

ქართულ საზოგადოებას ახსოვს – ამას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა... იყო გამოსვლები, შეიქმნა დაუმორჩილებლობის კომიტეტი, ვარაზისხევში გზაც გადაკეტეს ერთხელ... ტელევიზია-პრესა აქტიურად აშუქებენ მოვლენებს... სამინისტრო ხელს რექტორისაკენ იშვერს... თანამშრომლებიც უნივერსიტეტის რექტორისაგან ითხოვენ ბრძანების გაუქმებას, უმუშევრად დარჩენილი თანამშრომლების სამსახურში აღდგენას. რექტორმა **რ. ლორთქიფანიძემ** არაერთგზის განმარტა, რომ მას არავინ გაუთავისუფლებია უნივერსიტეტიდან; მართლაც, მას ასეთი ბძრანება არ დაუწერია, მაგრამ... განათლების მინისტრის მოადგილე **თ. სამადაშვილი** მიმართავს რექტორს: „მოგმართავთ თხოვნით, წარმოდგენილი ფორმის ნიმუშის მიხედვით გააფორმოთ შრომითი ხელშეკრულებები გამარჯვებული პროექტების თითოეულ თანამშრმელთან“... ვისაც არ გაუფორმდება ხელშეკრულება, თავისუფალია სამსახურიდან... არადა, როგორც ვთქვით, **სამინისტროს უნივერსიტეტისათვის არც მილიონ 800 000 ლარის წაღება უკითხავს, არც ის შეუთანხმებია, რამდენს დაუბრუნებდა გრანტების სახით და არც ის, რომელ პროექტს მიეცემოდა გრანტი...**

გამოქვეყნდა აკადემიკოს **თენგიზ სანაძის** წერილი საქართველოს პრეზიდენტისადმი. მოვიყვანთ ამ წერილის ერთ მონაკვეთს, საიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ ჩატარდა კონკურსი და რა პრინციპით გაიცა გრანტები: „მეცნიერების დეპარტამენტის თავმჯდომარემ **ლევან ცინცაძემ** მამამისს – **ნოდარ ცინცაძეს** – თვეში 600 ლარი, ხოლო დამატებითი ხარჯებისათვის 7000 ლარი გამოუყო (თეორეტიკოსი **ნ. ცინცაძე** ძირითადად უცხოეთში მოღვაწეობს). ამავე დროს, ექსპერიმენტატორს, პროფესორ **როლანდ მირიანაშვილს,** რომლის შრომები აღიარებულია საერთაშორისო დონეზე, დაენიშნა ხელფასი თვეში 47 ლარი და სხვა ხარჯებისათვის დაფინანსება გათვალისწინებული არ

არის. თეორეტიკოსებისა და ექსპერიმენტატორების გათანაბრება შეფასების კრიტერიუმებში შრომების რიცხვით თანამედროვე პირობებში სრულიად მიუღებელია“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 8 ივლისი, 2005)... ამ ციტატიდან აშკარაა, თუ როგორი ობიექტურობით ჩატარდა კონკურსი... არის თუ არა ეს კორუფცია?... პროტექციონიზმი?... მიკერძოება?... ამავე წერილში აკადემიკოსი **თ. სანაძე** ითხოვს: „უნდა გაუქმდეს მეცნიერების დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კევლევითი სამუშაოების დაფინანსების გადაწყვეტილება და სამეცნიერო საზოგადოების მიერ შემუშავებული და შეთანხმებული კრიტერიუმებით სრული გამჭვირვალობის პირობებში სამეცნიერო პროექტების შეფასება მოხდეს ხელახლა...“ ამ მიმართვას მხარი ფიზიკის მთელმა ფაკულტეტმა (და არა მარტო მან) დაუჭირა...

როგორც ყველა მიმართვა, ესეც უპასუხოდ დარჩა... უმუშევრად დარჩენილ მეცნიერებს დასაშოშმინებლად სტიპენდიები დაუნიშნეს. ხელშეკრულება 2005 წლის ბოლომდე გაფორმდა. მერე რა მოხდება? – არავინ იცის... თუმცა როგორ არ ვიცით: გრანტის მიმღები 737 პირიც უმუშევარი რჩება...

არიან თუ არა „სტიპენდიანტები“ უნივერსიტეტის თანამშრომლები? ან თუნდაც, სამინისტროს მიერ დაფინანსებული მეცნიერ-მუშაკები – უნივერსიტეტის თანამშრომლები? ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითია... ხელისუფლებამ დაინახა, რომ მეცნიერ-თანამშრომლები მორჩილი ხალხია და არ აპირებს რადიკალური ნაბიჯების გადადგმას. იცის, რომ გასაცოდავებულ ადამიანებს ლუკმა-პურის საფასურის დაკარგვისაც ეშინიათ. აქ დავით კლდიაშვილის პერსონაჟის პრინციპი მოქმედებს: **„ამაზედაც გმადლობ, უფალო, ამაზედაც გმადლობ“...**

და რამდენიმე ხმაურიანი შეკრების შემდეგ სიტუაცია „დაწყნარდა“.

იყო დაპირება: ნოემბერში გამოცხადდება ახალი კონკურსი გრანტებზე. მონაწილეობის მიღება იმასაც შეეძლება, ვინც ამჯერად ვერ მიიღო გრანტი და იმასაც, ვინც წლის ბოლომდე დაფინანსდაო. ჰო, არ მითქვამს, მგონი გამარჯვებული პროექტები დაფინანსდა 2005 წლის დეკემბრის ჩათვლით. 2006 წლისათვის მათაც ახალი გრანტი უნდა მოეპოვებინათ... დაპირებული კონკურსი არ გამოცხადდა. ასე რომ, „სტიპანდიანტებს“ იმედი არ გაუმართლდათ... წინა კონკურსში გამარჯვებულებიც უმუშევრები რჩებიან... ისიც არ იციან, „სტიპენდიას“ მიიღებენ თუ არა...

რამდენადაც ჩემსთვის ცნობილია, უნივერსიტეტმა იშუამდგომლა სამინისტროს წინაშე, რომ, ვინც დაფინანსდებოდა, იმათ რამდენიმე თვით მაინც გაუგრძელდეთ დაფინანსება. რა იქნება შედეგი, არ ვიცით.

ასე რომ, **სამეცნიერო სექტორი მთლიანად დაფინანსების გარეშე დარჩა.** რა მოჰყვება ამას?! – კიდევ რამდენიმე ასეული დაემატება უნივერსიტეტელ უმუშევართა არმიას...

რა ელის უნივერსიტეტში არსებულ იმ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ლაბორატორიებს, კაბინეტებს? დაწყებული ექსპერიმენტები, ცდები, სამუშაოები უნდა შეწყდეს? ვინ გათვალა, რა შედეგები მოჰყვება ამას?

მე ვიცი, რომ ამ მხრივ ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის ფაკულტეტებზე არსებული ვითარება კატასტროფულია; ასევეა სხვაგანაც. უკეთესად ვიცნობ ფილოლოგიის ფაკულტეტის კაბინეტ-ლაბორატორიების მუშაობას. ქართული ხელნაწერების შემსწავლელი სამეცნიერო-კევლევითი ლაბორატორია „ორიონის“ მუშაობით, მისი შედეგებით ნებისმიერი სამეცნიერო დაწესებულება მოიწონებდა თავს. 2005 წლის ივნისიდან ლაბორატორია აღარ ფინანსდება; დაწყებული სამუშაოები შეწყდა... 2005 წლის ბოლომდე ჰქონდა დაფინანსება ონომასტიკურ ლაბორატორიას; ის, რაც ამ ლაბორატორიამ გააკეთა თითქმის 40 წლის არსებობის მანძილზე, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით განუზომელი მნიშვნელობისაა. მთელი საქართველო აღიწერა სოფელ-სოფელ, მინდორ-მინდორ, ხევ-ხევ... ეს უნიკალური მასალა დასამუშავებელია... ბევრი ითქვა ვაჟა-ფშაველას კაბინეტის თაობაზეც... სერიოზული პასუხი ამგვარ კითხვებზე არავის გაუცია. უნდა ვიფიქროთ, რომ პარლამენტარ **დ. კირკიტაძისა** და თავისუფლების ინსტიტუტელ ყოვლისმცოდნე **თ. თუთბერიძის** კომენტარები ამ თემაზე არ უნდა იყოს შორს ოფიციალური პოზიციისაგან:

დავით კირკიტაძე – „ვთვლი, რომ ის, რაც კეთდება უნივერსიტეტში, იქნება სასიკეთო შედეგების მომტანი. ამ რეფორმით, ჩემი აზრით, უფრო მოქნილი და ოპტიმალური გახდება აღნიშნული უმაღლესი სასწავლებელი“ (გაზეთი „თბილისი“, 28 ივნისი, 2005).

თეა თუთბერიძე – „რაც შეეხება კაბინეტებს, საკითხავია, რას აკეთებდნენ ეს კაბინეტები? რაღაც ფუნქცია ხომ უნდა ჰქონდეს. ის უნდა გამოადგეს პირველ რიგში სტუდენტებს. არა? მას ეს კაბინეტები არაფერში ადგებოდა. მაშ, ვის ადგებოდა? ვაჟას? გალაკტიონს? აკაკის? როცა გატარდება რეფორმა, კაბინეტებიც იარსებებს და ფუნქციებიც ექნება“ (გაზეთი „ქრონიკა“, 8-14 აგვისტო, 2005).

და კიდევ ერთი კომენტარი: „ჩემთვის მთავარი ის კი არ არის, კაბინეტს ვაჟა-ფშაველას, რუსთაველის ან გალაკტიონ ტაბიძის სახელი რომ ჰქვია. მთავარია, ეს კაბინეტი რას აკეთებს ეროვნული მეცნიერებისათვის; ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის ღვაწლის სტუდენტებამდე მიტანისათვის ისეთი კაბინეტის არსებობას, სადაც ნაშრომები არ იქნება და შემოქმედებითი ღვწა, დისკუსია არ მიმდინარეობს, სჯობს საერთოდ არ გვქონდეს“ (ბურჯი ეროვნებისა“, 4-9, 2005). ამ შეფასების ავტორი პროფესორი **იგორ კვესელავაა** – **საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი**... ასეთ „კვალიფიციურ“ შეფასებას ახდენენ და რჩევებს აწვდიან, როგორც ჩანს, პრეზიდენტს... ამიტომაა კარგად ჩვენი საქმე...

საინტერესო გადახვევა: საქართველოს პრეზიდენტის ერთ-ერთი მრჩეველი **გიორგი გაჩეჩილაძე** ტელეიმედის გადაცემაში ამტკიცებდა, რომ ერისათვის (ერის განსაზღვრისათვის, ერის არსებობისათვის) ენას არა აქვს მნიშვნელობა; „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ ლამაზი პოეტური ფრაზაა და არა ჭეშმარიტებაო.. გასაგებია, რა რჩევებს მისცემენ პრეზიდენტს...

ეს ხდება მაშინ, როცა **მიმდინარე პროცესები (კაბინეტების დახურვა) აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ ივანე ჯავახიშვილის „მესამე სიკვდილად“ შეაფასა:** „მესამე სიკვდილი“ ივანე ჯავახიშვილმა განიცადა უკვე ჩვენს დღეებში, როდესაც მის მიერ შექმნილ და მისივე სახელობის უნივერსიტეტში, რომელიც ყოველი ქართველისათვის უმაღლესი განათლების მთავარ და წმინდა კერად იქცა და იგი ქართველთა მიერ ეროვნულ უმაღლეს სასწავლებლად აღიარეს, ივანე ჯავახიშვილის კაბინეტი უქმდება, უმაღლესი განათლების კანონში არსებული მთელი რიგი ხარვეზებისა და ამ კანონის შესაბამისად უნივერსიტეტში ნაჩქარევად და გაუაზრებლად ჩატარებული სტრუქტურული ცვლილებების გამო. ამავე მიზეზით ჩვენს მთავარ ეროვნულ უნივერსიტეტში უქმდება ისეთი ეროვნული კერები, როგორიცაა „რუსთაველის კაბინეტი“, „ვაჟა-ფშაველას კაბინეტი“, „გალაკტიონის კაბინეტი“ და მრავალი სხვა ეროვნული სასწავლო-სამეცნიერო კერა და უნივერსიტეტის უამრავი თანამშრომელი პირდაპირი გაგებით ქუჩაში გაშვებული აღმოჩნდა. თუ ამ კანონის შესაბამისად ჩატარებული რეფორმებისა და რეორგანიზაციის შედეგად უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში უქმდება ამგვარი სამეცნიერო კაბინეტები და სასწავლო-კვლევითი უჯრედები, ეს ნიშნავს, რომ **ასეთ „რეფორმირებას“ არაფერი აქვს საერთო ეროვნულ უნივერსიტეტში სასწავლო-კვლევითი სისტემის გააზრებულ რეორგანიზაციასა და მის საერთო ოპტიმიზაციასთან**“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 6 ივლისი, 2005).

ვთქვი ერთ-ერთ ოფიციალურ შეკრებაზე და მინდა გავიმეორო: უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო სექტორის რეფორმის შეფასებაში ერთ მხარეს დგანან **დ. კირკიტაძე** და **თ. თუთბერიძე,** მეორე მხარეს – **თამაზ გამყრელიძე და მრავალი სხვა.** საუბედუროდ ჩვენდა, განათლების მინისტრი **კ. ლომაია** მოვლენათა შეფასებისას **პირველების მხარეზე აღმოჩნდა...**

საით მიდის ეს გზა? აღვნიშნეთ წიგნის ამ მონაკვეთის დასაწყისში: **განსხვავებას უნივერსიტეტსა და ინსტიტუტს შორის ქმნის სამეცნიერო სექტორი. სამეცნიერო სექტორის ლიკვიდაცია უნივერსიტეტს აქცევს ინსტიტუტად, თუ საერთოდ დარჩა უმაღლეს სასწავლებლად (მინისტრი დაიქადნა, „ნაჯახით ამოვძირკვავო“)...**

ისტორია მეორდება?

მცირე ისტორიული ექსკურსი. წარმოგიდგენთ რამდენიმე ფრაგმენტს წიგნიდან **„ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე“,** თბილისი, 2004 წ.:

„1925 წელს **მთავრობამ იერიში მიიტანა უნივერსიტეტის ავტონომიაზე. დიდი მეცნიერი** (ი. ჯავახიშვილი – გ. გ.) **შეებრძოლა** ამგვარ ქმედებას და **ძვირადაც დაუჯდა.** 1926 წლის ივნისიდან ივანე ჯავახიშვილი გადააყენეს რექტორობიდან და პრაქტიკულად ჩამოაშორეს უნვიერსიტეტს“... (ხაზი ყველგან ჩვენია – გ. გ.).

„ივანე ჯავახიშვილის ნაცვლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად 1926 წლის სექტემბერში **თევდორე** (თედო) **ღლონტი** დაინიშნა. თედო ღლონტი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მემარცხენე ფრთის ერთერთი ლიდერი იყო... 1921 წლიდან თანამშრომლობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან. 1924 წელს, როდესაც საქართველოში ბოლშევიკების მიერ გაჩაღებულმა სისხლიანმა ტერორმა კულმინაციას მიაღწია, თ. ღლონტი საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) წევრი ხდება...“

„**უნივერსიტეტები** იმხანად მთელს საბჭოთა კავშირში **განიხილებოდა ოპოზიციური აზრის ბუდედ**... თბილისის უნივერსიტეტის ძველი პროფესორისათვის საბჭოთა წყობილება მიუღებელი იყო როგორც მისი სოციალური, ისე ეროვნული პოლიტიკის გამო...“

„საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით ჩატარდა თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია. **ამ პროცესს „რეორგანიზაცია“ პოლიტიკური მოსაზრებით უწოდეს. სინამდვილეში ეს იყო უნივერსიტეტის დაშლა** რამდენიმე უმაღლეს სასწავლებლად მისი საბოლოო გაუქმების მიზნით...“

„უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა ოთხი სპეციალიზებული სასწავლო ინსტიტუტი... 2 საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელსაც შეუერთეს თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი და სამხატვრო აკადემია“...

„პედაგოგიური ინსტიტუტი იყო ნამდვილი მონაცვლე უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო პროცესისა“...

„საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს ჩამოყალიბების პერიოდისათვის (1930-1931 სასწავლო წლისათვის) **ექვსი ფაკულტეტი ჰქონდა**“...

„პედაგოგიურ ინსტიტუტში სწორედ უნივერსიტეტის ტრადი-

ციები უნდა ჩამკვდარიყო. ამ მიზანს ემსახურეაბოდა 1930 წელს საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად ივანე ვაშაყმაძის (1901-1937) დანიშვნა. ი. ვაშაყმაძე სწორედ რომ შესაფერისი პიროვნება იყო“...

„1933 წლის 8 იანვარს... პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე აღდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი...“

„**ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის დასამარებას ისახავდა მიზანდ** საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ ფილიპე მახარაძის, ხოლო კათედრის გამგის მოადგილედ ლუკა ციხისთავის დანიშვნა...“

„1935 წლის ივნისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა კარლო ორაგველიძე (1902-1937) (ყურადღება მიაქციეთ რექტორების ასაკსაც – გ. გ.)... **კარლო ორაგველიძეს ხვდა წილად ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის წინააღმდეგ მიმართული სამარცხვინო კამპანიის ბოლომდე მიყვანა**...“

„**ძველი პროფესურა თავის პოზიციას არ თმობდა. უნივერსიტეტში პროფესორად დაბრუნებული ივანე ჯავახიშვილი არ იცვლიდა არც მოქალაქეობრივ და არც მეცნიერულ მრწამსს.** სწორედ ამის გამო 1935 წლის მარტ-აპრილში ივანე ჯავახიშვილი მეორედ წარდგა ტირანიის სამსჯავროს წინაშე...“

ისტორია მეორდება? – როგორც ჩანს, კი...

კონკურსები...

2003 წლის დეკემბერში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი **მიხეილ სააკაშვილი** უნივერსიტეტს ესტუმრა. დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ბრძანა, რომ მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში ქვეყანაში ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი განათლება იქნებოდა; იზრუნებდა პროფესორ-მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების გაუმჯობესებაზე; მოაგვარებდა მათი სოციალური დაცვის პრობლემას; არ მოხდებოდა განათლების სფეროში დასაქმებულ პედაგოგთა შტატების შემცირება...

გულწრფელად მოვიხიბლეთ დანაპირებით და ჩვენც თანადგომა აღვუთვქით **მ. სააკაშვილს** კარსმომდგარ საპრეზიდენტო არჩევნებში...

ამასობაში მომზადდა და გამოქვეყნდა კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ, სადაც ადმინისტრაციული და პედაგოგიური თანამდებობის პირთათვის ზღვრულ ასაკად გამოცხადდა 65 წელი. ამან, ცხადია, უნივერსიტეტის თანამშრომელთა შეშფოთება გამოიწვია. მოდით, დავფიქ-

რდეთ, საქმეში ჩახედულმა ობიექტურმა პირმა წარმოიდგინოს მეცნიერების რომელიმე დარგი დღეს 65 წლისა და უფროსი ასაკის პროფესორ-მასწავლებელთა გარეშე... თავად ბატონმა პრეზიდენტმა უნივერსიტეტში ერთ-ერთი სტუმრობისას ბატონი თამაზ გამყრელიძის მაგალითი მოიშველია... საკუთარი ბებია-ბაბუის ასაკიც გაიხსენა და დაასკვნა, რომ 75 წლის კაცის სამსახურიდან გაშვება ტრაგედიაა...

ეს ბატონმა პრეზიდენტმა უფრო ადრე, 2004 წლის 31 ოქტომბერს, დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზეც თქვა. იმ შეხვედრაზეც ისაუბრა განათლების პრიორიტეტულობაზე, სოციალური დაცვის გარანტიების შექმნაზე და იმის შესახებ, რომ შტატების შემცირება არ მოხდებოდა უნივერსიტეტში, ქუჩაში არვის გაუშვებდნენ...

კანონპროექტის განხილვის პერიოდში ისიც კი გაიხსენეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობაში არსებული ასაკობრივი შეზღუდვა ასაკობრივ დისკრიმინაციად იქნა მიჩნეული და სენატმა გააუქმაო...

და კანონში გაჩნდა ასეთი პუნქტი: „აკადემიურ თანამდებობებზე 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ასაკობრივი შეზღუდვა – ამოქმედდეს 2009-2010 სასწავლო წლის დასაწყისიდან“. ამან პროფესორ-მასწავლებლები ცოტა დაამშვიდა... უნივერსიტეტიც ამ შეღავათს გაგებით შეხვდა: 4-5 წელი არის ის დრო, რომ თაობათა ცვლას მეტ-ნაკლებად მომზადებული შეხვდეს...

მაგრამ არც მთლად დასამშვიდებლად გვქონია საქმე...

გადაწყდა, 2005 წელს უნივერსიტეტში აკადემიური თანადმებობების დასაკავებლად კონურსები გამოცხადებულიყო.

როგორც კი დაისვა კონკურსის საკითხი, **„საუნვიერსიტეტო დარბაზმა“ მიმართა რექტორატს იმის თაობაზე, რომ კონკურსის გამოცხადება უკანონო იქნებოდა;** კანონი ამ ეტაპზე არ ითვალისწინებს კონკურსს. ოფიციალური მიმართვით, პრესით, ტელევიზიით არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ ამ ეტაპზე უნდა მოხდეს **გადაყვანა.** გავიხსენოთ უმაღლესი განათლების კანონის 89-ე მუხლი, პუნქტი 11: „უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყონ დაწესებულებებში დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების **გადაყვანა** ამ კანონით გათვალისწინებულ შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე“.

სიტყვა **გადაყვანას** ქართულ ენაში აქვს ერთადერთი გაგება: ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლა ვინმეს მეშვეობით. **კონკურსი კი მრავალთაგან ერთ-ერთის შერჩევას გულისხმობს. გადაყვანა ავტომატური პროცესია;** ამ შემთხვევაში უნივერსიტეტის თანამშრომელთა უმუშევრად დარჩენა არ ხდება. კონკურსი, ცხადია, ყველა მსურველს ვერ აძლევს გარანტიას სა-

მსახურის შენარჩუნებისას. მით უმეტეს, კონკურსი ღია უნდა იყოს და გარეშე პირებსაც აქვთ უფლება მასში მონაწილეობის მიღებისა. მოკლედ: **კონკურსი უმუშევრად ტოვებს პროფესორ-მასწავლებლებს; გადაყვანა – არა. კონკურსი უკანონოა (კანონსაწინააღმდეგოა), გადაყვანა – კანონით გათვალისწინებული.**

ტარდება მაინც კონკურსი!

განათლების სამინისტრო ზეპირი მითითებით აიძულებს უმაღლეს სასწავლებლებს, დაარღვიონ კანონი!...

კონკურსის გამართვა რომ სამინისტროს ნება-სურვილია, იქიდანაც ჩანს, რომ ერთდროულად იმართება ყველა უმაღლეს სასწავლებელში და იმართება ერთი და იმავე პრინციპით!

გვიმტკიცებენ, კონკურსი კანონის მოთხოვნაა. მართალია, კანონი ითვალისწინებს კონკურსს, მაგრამ მოდით ჩავხედოთ კანონს.

კანონის მიხედვით კონკურსი ოთხეტაპიანი პროცესის ბოლო საფეხურია:

პირველ ეტაპზე – ზემომოყვანილი 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად უნდა მოხდეს პროფესორ-მასწავლებელთა ავტომატური გადაყვანა კანონით გათვალისწინებულ აკადემიურ თანამდებობებზე.

შენიშვნა: ეს პუნქტი მეცნიერ-თანამშრომელთა გადაყვანასაც გულისხმობს, მაგრამ მეცნიერ-თანამშრომლები უნივერსიტეტში უკვე აღარ არიან – სამეცნიერო სექტორი თითქმის ლიკვიდირებულია...

II ეტაპზე – „გადაყვანის“ შემდეგ უნდა ჩატარდეს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების არჩევნები: „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოების პირველ არჩევნებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ატარებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ამ კანონის ამოქმედებიდან არა უგვიანეს 2 წლისა“ (მუხლი 87. პუნქტი 3).

III ეტაპზე – უნდა განისაზღვროს კონკურსის წესი: „კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო“ (მუხლი 34. პუნქტი 3).

IV ეტაპზე – უნდა გამოცხადდეს კონკურსი: „აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს“ (მუხლი 34. პუნქტი 1).

ასე რომ, **ამ ხელისუფლების მიერ მიღებული კანონის მიხედვით** მხო-

ლოდ ეს პროცედურაა კანონიერი. **ამჟამად კონკურსის გამოცხადება კანონის ზემომოყვანილი ოთხი პუნქტის დარღვევაა!...**

მეტყვიან, თუ ამ პროცედურის ბოლო საფეხური მაინც კონკურსია, ბარემ ახლა ჩავატაროთ... **არის კი პრინციპული განსხვავება იმაში, ახლა გაიმართება კონკურსი თუ ამ პროცედურის გავლის შემდეგ?**

დიახ, არის და უმნიშვნელოვანესი განსხვავებაც!

თუ პროცედურა გაიმართება კანონის შესაბამისად, კონკურსის ჩატარებაზე პასუხისმგებლობას აიღებენ არჩეული აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები. არჩეული რექტორი ეყოლება უნივერსიტეტს და განათლების სამინისტრო (და სხვაც – პარლამენტი, მთავრობა...) ვერ ჩაერევა მიმდინარე პროცესში. ეს იქნება მეტ-ნაკლებად გარანტია კონკურსის ობიექტურად ჩატარებისა...

თუ კონკურსი გაიმართება ამჟამად, კონკურსის მართვა გაუიოლდება სამინტსროს: საკონკურსო კომისიის შედგენა იქნება ეს თუ საკონკურსო წესების შემუშავება, იოლი იქნება პიროვნული საკითხების გარედან გადაწყვეტაც. კონკრეტულ მაგალითებზე პროცესების დასრულების შემდგომ ვისაუბროთ. ყველაფერს იღონებს ხელისუფალი, რომ ყოველგვარი ობიექტურობის გარეშე მისთვის არასასურველმა პირებმა კონკურსში არ გაიმარჯვონ. კრიტერიუმად „პიროვნული შეხედულება“ ამის გარანტი არის.

ასე რომ, სამინისტრო ამ დარღვევით (კონკურსებს რომ ატარებს უკანონოდ) აირჩევს სასურველ პროფესურას, ამის შემდგომ მისთვის სასურველი პროფესურა აირჩევს მისთვის სასურველ აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს (ფაქტობრივ, დანიშნავს); მისთვის სასურველი აკადემიური საბჭო აირჩევს მისთვის სასურველ რექტორს! **ესაა მიზანი – არავითარი ავტონომია; უნივერსიტეტი უნდა დაკომპლექტდეს მხოლოდ იმ კადრებით, რომლებიც ხელს აძლევს სამინისტროს...**

სამინისტრო რომ ასე ჯიუტად მოითხოვს უნივერსიტეტებისაგან კონკურსების ჩატარებას, ესა აქვს მიზნად...

უნივერსიტეტის ორ – იურიდიულსა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა – ფაკულტეტზე ჩატარებულმა კონკურსებმა ჩვენი ეჭვები გაამართლა. ზოგი დასკვნაც კონკურსების შემდეგ გაკეთდა. ყველაფერი რომ კანონიერად ჩატარებულიყო, იურიდიულ ფაკულტეტზე ხარისხის არმქონე კაცს **(დავით კერესელიძეს)** სრულ პროფესორად არ აირჩევდნენ. მაგრამ ის „პროფესორი“ ხელისუფლების ფავორიტი იყო...

განმარტებისათვის: ჩვენი კანონმდებლობით გერმანიაში მიღებული აკადემიური დოქტორის ხარისხის ცნობა (ნოსტრაფიკაცია) უნდა მოახდინოს სწავლულ ექსპერტთა საბჭომ და მისცეს მას მე-

ცნიერებათა კანდიდატის დიპლომი. წინააღმდეგ შემთხვევაში ის პირი ითვლება ხარისხის არმქონედ. უხარისხო პირის არჩევა პროფესორის თანამდებობაზე კანონის უხეში დარღვევაა, მაგრამ ამას არ დაგიდევთ სამინისტრო და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია...

და ეს ხდება მაშინ, როცა საქვეყნოდ ცნობილი აკადემიკოსი ვერ გავიდა კონკურსში; აღარას ვამბობ რამდენიმე პროფესორზე... დიდად სამწუხარო ისიცაა, რომ ეს ხდება იმ ფაკულტეტზე, რომელმაც სამართალმცოდნეები უნდა გაზარდოს... **უკანონობა კანონშემოქმედთა საქმიანობაში...**

როცა პროფესორმა **მარიამ ცაცანაშვილმა** ამ კონკურსს პროტესტი გამოუცხადა, როგორც უკანონოს (ასეთი სათაურით გამოქვეყნდა სწორედ საპროტესტო წერილი: „უკანონო კონკურსს პროტესტი გამოვუცხადე“ – „ბურჯი ეროვნებისა“, № 4-9, 2005), ამას დიდად არ შეუწუხებია კონკურსის ორგანიზატორები – მათ „მაღლიდან“ ნება ჰქონდა ამ უკანონობის ჩადენისა... და იზეიმა ამ უკანონობამ... შედეგებზე მერე ვისაუბროთ, „წიწილების დათვლის ჟამი“ რომ მოვა...

საინტერესოა სტატისტიკაც: იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა **დავით კერესელიძემ** განაცხადა, რომ ფაკულტეტზე სამასამდე თანამშრომელი იყო; ვაკანსია გამოცხადდა 105 ადგილზე. ეს არსებულის 35%-ია. ე. ი. ეს უკვე პირობაა იმისა, რომ 65% გარეთ დარჩეს... უფრო მეტიც – კონკურსი ღია იყო, ამიტომ იმ 80 პირიდან, ვისაც პირველმა საკონკურსო კომისიამ რეკომენდაცია მისცა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, 20 პირი გარედან მოსული იყო. ამრიგად, იმ ადამიანთაგან, ვისთვისაც უნივერსიტეტი ძირითადი სამუშაო ადგილი იყო, მხოლოდ 60-მა დაიკავა აკადემიური თანამდებობა, 240 კი ამ თანამდებობის გარეშე დარჩა... („რეზონანსი“, 10 სექტემბერი, 2005).

დააიმედეს გარეთ დარჩენილები, რომ მათ 2008 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით შეუნარჩენდებათ საბიუჯეტო ხელფასი (ე. ი. პროფესორს 78 ლარი, დოცენტს – 53!)... ესაა სოციალური გარანტია!

უახლესი ინფორმაცია: 2006 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი. სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისათვის პირი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პირობას:

მას შეუსრულდა 50 წელი;

– აქვს 20 წლის სამეცნიერო ან სამეცნიერო- პედაგოგიური მუშაობის სტაჟი;

– დასაქმებული იყო უმაღლეს სასწავლებელში ან აკადემი-

ურ დაწესებულებაში პროფესორ-მასწავლებლის, მეცნიერ-თანამშრომლის, ან დამხმარე თანამდებობაზე;

– დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდა 2005 წლის 1 ივნისიდან 2007 წლის 1 იანვრამდე;

– გათავისუფლების საფუძველია პირადი განცხადება ან შტატების შემცირება (მათ შორის კონკურსთან დაკავშირებული)...

სტიპენდიის რაოდენობა:

მეცნიერებათა დოქტორს – 92 ლარი

მეცნიერებათა კანდიდატს – 69 ლარი

სხვა ნებისმიერს – 46 ლარი

(„თბილისის უნივერსიტეტი,
27 იანვარი, 2006 წ.)

უნივერსიტეტში მინისტრის წერილიც მოვიდა რექტორისა და უნივერსიტეტის თანამშრომელთა სახელზე (გამოქვეყნდა „თბილისის უნივერსიტეტში“ – 1 მარტი, 2006 წ.). მინისტრი შეგვახსენებს ამ კანონს და „გვამშვიდებს“: „იმ თანამშრომლებს, რომლებიც **ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რეორგანიზაციის ან კონკურსის შედეგების** გამო, **გათავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობებიდან,** დაენიშნებათ ყოველთვიური სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია (ხაზი ჩემია – გ. გ..)“. იქნებ განმარტონ, ასაკის გამო გათავისუფლებას რომელი კანონი ითვალისწინებს? ჯანმრთელობის გამო თუ ვეღარ შეძლებს მუშაობის გაგრძელებას, მას პენსია უნდა მიეცეს და არა სტიპენდია! მაგრამ მას აქვს უფლება ამგვარი „თავისუფალი აზროვნებისა“. ყოველივე იმის შემდეგ, რაც ამ ნარკვევში მოგახსენეთ, ცინიკურად ჟღერს წერილის დასაწყისიც: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მაღალ შეფასებას აძლევს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში თქვენ მიერ გაწეულ ღვაწლს და კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ღრმა პატივისცემას“ – ჰოდა, პატივცემულებო, ახლა წადით სახლშიო!...

ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში მინისტრმა **კ. ლომაია-ამ** ისიც თქვა, სტიპენდიას 5 წლით იმიტომ ვაძლევთ, რომ **„ადაპტაცია მოახდინონ ახალ სამუშაოზეო“...** ე. ი. ახალი საქმე იშოვეთო... ესეც ცინიზმია და მასხრად აგდება ათასობით მეცნიერისა...

> სხვათა შორის ასეთი წერილი აკადემიურმა ინსტიტუტებმაც მიიღეს. იმ წერილში მინისტრი ინსტიტუტის დირექტორს მოუწოდებს, უმუშევრად დარჩენილი თანამშრომლები დარაზმე და უმაღლესი სასწავლებლების კონკურსებში მიაღებინე მონაწილეობაო... ე. ი. ხელი შეუწყვე იმას, რომ ადამიანები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ...
> წერილის ბოლოს ხელმოწერაა: „პატივისცემით, მინისტრი ალექსანდრე ლომაია“. კარგი პატივისცემაა, ღმერთმანი...

არადა, ხმამაღლა გვპირდებოდნენ, რომ არ მოხდებოდა შტატების შემცირება; უნივერსიტეტიდან წასვლის შემდეგ პროფესორი შიმშილით არ მოკვდებოდა...

სიტყვა სხვაა, საქმე – სხვა!...

კონკურსის თემა სასამართლო განხილვის საგანიც ხდება. საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულმა ფაკულტეტებმა სარჩელი შეიტანეს სასამართლოში. „მიღებულ იქნა წარმოებაში“ (როგორც ამბობენ იურისტები). სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე შეჩერდა კონკურსები. კვალიფიციურ და ობიექტურ სამართალმცოდნეთა საერთო აზრია – უნდა გაუქმდეს უკანონო კონკურსები, მაგრამ... მაგრამ იზეიმებს კანონი და სამართალი? არადა, უნივერსიტეტის ბედი დიდად არის დამოკიდებული ამაზე.

ეროვნული გამოცდები და ქართული უნივერსიტეტი

არაერთგზის ვთვქით, დავწერეთ: სიტყვა **ეროვნული** გამოცდების კონტექსტში უადგილოა. **რას ნიშნავს „ეროვნული გამოცდა მათემატიკაში“,** ანდა **„ეროვნული გამოცდა ინგლისურში“** – ეს ქართული ეროვნული გამოცდაა? საერთოდ, ამ და სხვა მსგავს კონტექსტში **სიტყვა ეროვნული კარგავს მნიშვნელობას...** ეს შენიშვნის სახით...

ახლა სხვა არსებითი საკითხი.

როგორც კი უნივერსიტეტიდან სამინისტროს მისამართით გაისმა კრიტიკა უმაღლესი განათლების კანონპროექტის თაობაზე, მთავარი ბრალდება, რაც სამინისტრომ წამოგვიყენა, ეს იყო: თურმე უნივერსიტეტს არ ეთმობა მისაღები გამოცდები – კორუფციის მთავარი წყარო და ამიტომ ებრძვის სამინისტროს...

ასეთი ბრალდებები გაისმა კონკრეტული პიროვნებების მიმართაც: კანონპროექტს ეწინააღმდეგებიან კორუმპირებული პროფესორები, რომელთაც წავართვით კორუფციული ლუკმაო (მინისტრმა **კ. ლომაიამ** არაერთხელ ასეც

თქვა: „ჩვენ მათ არ დავანებებთ ამ კორუფციულ ლუკმასო“... კარგი ქართულის მცოდნე დამეთანხმება, ეს ამას ნიშნავს: მე მინდა ეს კორუფციული ლუკმაო!...). ამას ხშირად იმეორებდნენ სამინისტროს მაღალჩინოსნები.

ტაქტიკა ასეთია: **შეეწინააღმდეგები სამინისტროს, არ გაიზიარებ მის აზრს, გამოგაცხადებთ კორუმპირებულად.** ეს ის ლოგიკაა: მე ვიტყვი და მერე შენ ამტკიცე, ასე არ არისო... სხვათა შორის, ბევრ შემთხვევაში გაჭრა ამ ხერხმა: ისე ჩაიარა კანონპროექტის განხილვამ, **მარიამ ცაცანაშვილისა** და **ოთარ მელქაძის** გარდა **არცერთ იურისტს ხმა არ მოუღია...** ზოგი მერე ალაპარაკდა უკანონობაზე, კონკურსში რომ ვერ გავიდა...

ასე რომ, **ეროვნული გამოცდები ის საშუალება იყო, რომლის მეოხებითაც სამინისტრო ებრძოდა საწინააღმდეგო აზრს.**

არადა, არცერთ ეტაპზე უნივერსიტეტი ეროვნული გამოცდების წინააღმდეგ არ გამოსულა.

მკითხველს ისიც მინდა შევახსენო, რომ **ერთიანი სახელმწიფო გამოცდების** (ასე ეძახდნენ თავიდან. ეს უფრო მორგებული ტერმინია) **ჩატარება გადაწყდა წინა ხელისუფლების დროს.** საგამოცდო ცენტრი შექმნა და დააკომპლეტმა მინისტრმა **ალექსანდრე კარტოზიამ.** სკოლებში ორჯერ გაიმართა, მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში მსგავსი მეთოდით გამოცდები მეცხრე კლასში. დაიგეგმა, რომ ერთიანი სახელმწიფო გამოცდები გამართულიყო 2006 წელს, თუმცა **კ. ლომაიამ** ეროვნული გამოცდები 2005 წლისათვის გადმოიტანა.

იმთავითვე ნაჩქარევად მივიჩნიეთ ეს გადაწყვეტილება და ვკითხეთ კიდეც საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლებს უნივერსიტეტში ოფიციალურ შეხვედრაზე. დაგვეთანხმნენ, რომ ნაჩქარევი იყო, ოღონდ დაუმატეს: ასეთია პოლიტიკური გადაწყვეტილებაო...

პირადად მე იმთავითვე მხარს ვუჭერდი და საჯაროდაც აღვნიშნე ეს; ვთანამშრომლობდი კიდეც საგამოცდო ცენტრთან. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არ გამომაცხადონ ამ იდეის მტრად... მაგრამ...

მაგრამ არის ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებული საკითხები, რაც უნივერსიტეტს დიდ პრობლემებს უქმნის.

როცა ვსაუბრობთ ეროვნულ გამოცდებზე, რამდენიმე საკითხი იპყრობს ყურადღებას: ა) **რა საგნებში ტარდება გამოცდები;** ბ) **როგორ ტარდება** და გ) **როგორ ხდება აბიტურიენტთა ჩარიცხვა.**

ვფიქრობ, ყველაზე მეტად დამაკმაყოფილებელი მეორე ეტაპია, როგორ ტარდება გამოცდები. ორგანიზაციული მხარე, მე მგონი, სწორად იყო წარმართული...

პრობლემაა, რა საგნებში ტარდება გამოცდები. ამ თემაზე წინა წელს ბევრს საუბრობდნენ ფიზიკოსები და ქიმიკოსები. არ მოხერხდება ამ (და

სხვა...) საგნებში გამოცდის გამართვა 2005 წელს, – განმარტავდა სამინისტრო... ლოგიკური დასმა საკითხისა ასეთია: თუ სამინისტრო თვლიდა, რომ საჭირო იყო ამ საგნებში (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა...) გამოცდების ჩატარება, როცა მოხერხდებოდა, მაშინ უნდა ჩაეტარებინათ...

რა შედეგი გვაქვს გამოცდების ჩატარების შემდეგ? ჰკითხეთ ფიზიკოსებსა და ქიმიკოსებს... ფიზიკოსი პროფესორი ამბობდა, პირველკურსელებმა წილადების შეკრება არ იციანო... XVIII საუკუნის ფიზიკის აქეთ წარმოდგენა არა აქვთ, რა ხდებაო... მათ ცოდნასა და საუნივერსიტეტო პროგრამებს შორის ვაკუუმია. VII-VIII კლასების მასალიდან ვიწყებთ სწავლებასო და ა. შ.

მსგავსი ვითარებაა სხვა საგნებშიც. მედიცინის ფაკულტეტზე ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა პირველკურსელებისთვის უცხო საგნებია. აბიტურიენტთა უმეტესობა რეპეტიტორებთან ემზადება, რომ სასემესტრო საგნები ჩააბარონ!...

პროფესიული ცოდნის მაღალ დონეს რომ ვპირდებით სტუდენტებს, ამ მეთოდით სტუდენტთა ჩარიცხვა მძიმე შედეგებს გვაძლევს...

ცხადია, აქ სკოლის პრობლემაცაა. სკოლაში რომ კარგად იყოს დაყენებული სწავლის საქმე, ჩვენ უნივერსიტეტში ეს პრობლემა არ გვექნებოდა. ამ 20-25 წლის წინანდელ სკოლაში ატესტატის ნიშანი და ცოდნის დონე ერთმანეთს შეესაბამებოდა. დღეს სხვა ვითარებაა. იშვიათია ისეთი შემთხვევა, რაც ადრე კანონზომიერი იყო... ბოლო ათწლეულებში სკოლაში სწავლის დონე კატასტროფულად ეცემა. ფაქტობრივ, სკოლებში სასწავლო პროცესი ჩაშლილია. ბავშვები სწავლობენ ძირითადად იმ საგნებს, რომლის ჩაბარებაც მოუხდებათ უმაღლეს სასწავლებელში. ეს არაა ბოლო წლების სენი. მისაღები გამოცდები იძულებითი საშუალებაა, ბარიერია უმაღლესისაკენ მიმავალ გზაზე. ამიტომაც მეტ-ნაკლებად ასეთ საგნებს სწავლობს ყმაწვილი...

საგანი, რომელშიც არ ტარდება მისაღები გამოცდა, ზედმეტ საგნად იქცევა... არადა ის „ზედმეტი საგანი“ ძირითადი პროფესიაა სტუდენტებისა!

ზემოთ რამდენჯერმე ვახსენე 2004 წლის 17 ნოემბრის შეხვედრა პრეზიდენტ მ. სააკაშვილთან. ბატონ მინისტრს მაშინ ვურჩიეთ, იმ საგნებში მაინც, რომლებშიც არ ტარდება ეროვნული გამოცდა, გამოსაშვები გამოცდები დაენიშანთ სკოლებში. ბატონმა პრეზიდენტმა ეს თემა მოიწონა და განავრცო. ბრძანა, რომ ბავშვის ფსიქოლოგიაა ასეთი, თუ არ მოსთხოვე, არ ისწავლისო და მისთანანი... მოკლედ, მანაც ურჩია მინისტრს, მიეღო ეს წინადადება... არაფერი შეცვლილა... და **უნივერსიტეტში მოდის სტუდენტი, რომელსაც ელემენტარული ცოდნა არა აქვს სპეციალურ საგანში...** ეს პრობლემაა დღევანდელი უნივერსიტეტისა!

სამინისტრომ თითქოს სცადა დაპირების შესრულება და წელს საგამოცდო საგნად გამოაცხადა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ერთ გამოც-

დად ბარდება ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ანუ იმ სამი სავალდებულო საგამოცდო საგნის გარდა (ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხო ენა) უნდა ჩააბაროს დამატებით სამი საგანი (ერთ გამოცდად): ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია! თუ სკოლის ვითარებას გავითვალისწინებთ, სამივე ეს საგანი რეპეტიტორთან უნდა ისწავლოს. ამის შესაძლებლობა აქვს ოჯახს? ანდა ისწავლის ექვს საგანს აბიტურიენტი? ამიტომაც არ ჩააბარებს იქ, სადაც ექვსი საგნის ჩაბარება მოუწევს!... ამ ლოგიკით იხელმძღვანელეს ფაკულტეტებმა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი არავის გამოუცხადებია საგამოცდო საგნად. უნივერსიტეტი ისევ იმავე პრობლემის წინაშე დადგა. სამინისტრომ „იზრუნა“ იმაზე...

მესამე საკითხი, ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით ჩარიცხვის პრობლემაა. ამ თემაზე არაერთხელ ითქვა რადიოთი თუ ტელევიზიით. გამოქვეყნდა კიდეც **გ. დოლიძისა** და **ნ. მითაგვარიას** წერილი („რეზონანსი“, 7 დეკემბერი, 2005). ასევე **ა. ხარაზიშვილისა** და **ვ. კვარაცხელიას** პუბლიკაცია („საქართველოს რესპუბლიკა“, 24 თებერვალი, 2006). ავტორებმა საკმაოდ დამაჯერებლად აჩვენეს, თუ როგორი მანკიერია ამჟამად დამკვიდრებული სისტემა... ამ თემაზე საუბარს არ გავაგრძელებთ, დაინტერესებული მკითხველი თავად გაეცნობა...

ჩარიცხვის ამ სისტემამ პრობლემები გაუჩინა უნივერსიტეტს, ინგლისურის სპეციალისტები ამბობენ: ისინი, ვინც ეროვნული გამოცდები ჩააბარეს წარმატებით, ინგლისურ ენაში ელემენტარულ ცოდნას ვერ ავლენენო... მათემატიკის ფაკულტეტზე 2-3 სტუდენტია ისეთი, ვისაც მათემატიკის ინტერესი აქვსო (საგამოცდო ანკეტაში პირველ ნომრად რომ დაასახელა მათემატიკა). დანარჩენები ისინი არიან, ვინც, ვთქვათ, ვერ მოხვდა ეკონომიკურზე და იმ ქულებით აქ ჩაირიცხა... მათემატიკის, როგორც საუნივერსიტეტო დარგის, განვითარებას ეს სასიკეთოდ არ წაადგება...

2006 წელს ვითარება გაცილებით უარესი იქნება. სამინისტროს მიერ შემოთავაზებული წესის მიხედვით საერთო კონკურსი ცხადდება ამჟამინდელ (გამსხვილებულ) ფაკულტეტებზე. სიცხადისათვის ძველ (ყოფილ, გამსხვილებამდელ) ფაკულტეტებს ჩამოვთვლით. ერთიანი კონკურსი იქნება ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, გეოლოგიის სპეციალობებზე, ასევე ჰუმანიტარულ ფაკულტეტზეც საერთო კონკურსი ექნებათ ფილოლოგის, აღმოსავლეთმცოდნეობის, დასავლეთ ევროპის, ფილოსოფიის, ისტორიის, ხელოვნების სპეციალობების აბიტურიენტებს. თუ რა პრობლემას შექმნის ეს, როგორი იქნება შიდა საფაკულტეტო გადანაწილება და ა. შ. ამას შემოდგომაზე ვნახავთ... ითქვა, დაიწერა ამის თაობაზე... ყურად არავინ იღო...

უნივერსიტეტისათვის 2006 წლის ახალი კონტიგენტი ბევრად უფრო პრობლემური იქნება, ვიდრე იყო 2005 წელს...

ეს ტენდენცია კარგს რომ არაფერს გვპირდება, ცხადია, მაგრამ მიზანი? რა არის მიზანი ყოველივე ამისა? არ ჩანს სასიკეთო ეს მიზანი...

ვის რა უნდა, თქვას?...

უმაღლესი განათლების ახლად მიღებული კანონი მხოლოდ კონკურსებთან დაკავშირებით არ დარღვეულა.

ვთქვით, კანონის ძალაში შესვლამ უფლებამოსილება შეუჩერა არჩეულ რექტორს, **რ. ლორთქიფანიძეს** და ისევ ის დანიშნა რექტორის მოვალეობის შემსრულებლად. 2005 წლის 8 თებერვალს გაიმართა დიდი სამეცნიერო საბჭოს ბოლო სიმბოლური საზეიმო სხდომა. მოგეხსენებათ, 8 თებერვალი (26 იანვარი) – დავით აღმაშენებლის ხსენების დღე – უნივერსიტეტის დაარსების დღეა.

ამის შემდგომ საბჭოს სხდომა აღარ გამართულა. აღარ გადავტვირთავ მკითხელს ფაქტებით. თუ აინტერესებს, რა ირღვეოდა და როგორ, შეიძლება გაეცნოს „ბურჯი ეროვნებისას“ სპეციალურ ნომერს (№ 4-9, 2005). ფაქტობრივ, მოქმედება შეწყვიტა უნივერსიტეტის წესდებამ. „საუნივერსიტეტო დარბაზი“ შევქმენით და მივმართეთ რექტორს, წესდების შესაბამისად აემუშავებინა დიდი საბჭო. სამინისტრო იძლეოდა ზეპირ დირექტივებს, რომ საბჭო გაუქმებულია, წესდება გაუქმეულია კანონის მიერ. მოვითხოვეთ წერილობითი განმარტება რექტორატისაგან; რექტორატმა ასეთი განმარტება მოითხოვა სამინისტროსაგან...

და სამინისტრომ მოძებნა გამოსავალი: 2005 წლის 8 ივნისს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბძრანებულება (№ 473) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართვლოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბძრანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“.

ამ ბრძანებულებით რექტორს მიენიჭა განუსაზღვრელი უფლებები და ძალადაკარგულად გამოცხადდა უნივერსიტეტის (ყველა უმაღლესი სასწავლებლის) წესდება.

ის, რაც 8 ივნისამდე უკანონობა ხდებოდა, დაკანონდა. უფრო სწორად, ამ ბრძანებულებით დადასტურდა, რომ 8 ივნისადმე ძალიან ბევრი კანონსაწინააღმდეგო რამ მოხდა...

ეს ყველაფერი ყველამ იცის, მაგრამ რა? – არაფერი... „საუნივერსიტეტო დარბაზის“ ინიციატივით გააქტიურდა პრესა, ტელევიზია.

მე ჩამოვთვლი რამდენიმე სათაურს 2005 წლის მაისიდან მოყოლებული

ჩვენს მთავარ პრესაში რომ გამოქვეყნდა (ამ წერილების ნაწილს თავი მოვუყარეთ „ბურჯი ეროვნებისას“ სპეციალურ ნომერში – № 4-9, 2005. დაინტერესებულ მკითხველს იქ შეუძლიათ გაეცნოს. ზოგი მათგანი ამ კრებულშიც გადმოვბეჭდეთ...). სათაურებს დავასახელებ იმიტომ, რომ დავინახოთ, რას ექცეოდა ყურადღება და ისიც წარმოვადგინოთ, როგორ ფასდებოდა მოვლენები:

„ვინ ხელყოფს დედა-უნივერსიტეტის დამოუკიდებლობას?“

„დედოზარი და დანარჩენებიც“;

„უნივერსიტეტი კოლეჯად არ უნდა გადავაქციოთ“;

„რეფორმა ჩიხში შევიდა“;

„ძალადობა კი არა, მოწიწებით უნდა ვუხდიდეთ ქუდს“ (უნივერსიტეტს – გ. გ.);

„ინტელექტუალური ომი ძალადობის წინააღმდეგ“;

„ვინც ამ ტაძარს გადაარჩენს“;

„ბატონი უნივერსიტეტი იღვიძებს“;

„ივანე ჯავახიშვილის „მესამე სიკვდილი“;

„ტოტალური სიყრუე უნდა დაიძლიოს“;

„ვერ მივცემ მტერსა მამულსა საჯიჯგნად, დასაზიანად“...

ეს ერთი მცირე ნაწილი იმ მრავალთაგან...

„რეფორმატორები“ „ბოლონიის პროცესს“ მოიშველიებდნენ, როცა ოპონენტებს უპასუხებდნენ: ეწინააღმდეგებით რეფორმას, ეწინააღმდეგებით „ბოლონიის პროცესის“ მოთხოვნებსო. აღმოჩნდა, რომ „ბოლონიის პროცესი“ სხვა რამ არის, „რეფორმატორთა“ რეფორმა – სხვა.

რამდენიმე მნიშვნელოვანი წერილი გამოქვეყნდა, სადაც კარგად წარმოჩნდა არსი „ბოლონიის პროცესისა“ და ჩვენში მიმდინარე რეფორმის მასთან შეუსაბამობა. აქაც სათაურებისა და ავტორების ჩამოთვლით დავკმაყოფილდეთ. ეს პუბლიკაციებიც გადმოვბეჭდეთ „ბურჯი ეროვნებისას“ სპეციალურ ნომერში:

პროფესორი **მ. ცაცანაშვილი** – „ბომბი, თანაც არაერთი“;

პარლამენტარი **დ. ზურაბიშვილი** – „სიკვდილი ბოლონიაში“;

დოცენტი **კ. ჯანდიერი** – „შევასწროთ ბოლონიაში“;

პროფესორი **თ. ნანეიშვილი** – „ვივა ბოლონია, ვავა საქართველო“;

პროფესორი **გ. შურღაია** – „ახალი ათინას“ წიწამური“...

მაგრამ კითხულობს „დიდი კაცი“ ყოველივე ამას? თუ კითხულობს, იგებს? თუ იგებს, ცხოვრება რატომ გრძელდება ისევ ისე?

სახელწიფო კანცელარიის უფროსმა **პ. მამრაძემ** ტელეინტერვიუში თქვა: ამ სახლში (ე. ი. კანცელარიაში, ანუ მთავრობაში) გაზეთს არავინ კი-

თხულობს, ამიტომ აღარ გამოვიწერთ და ფულს დავზოგავთო. მერე პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ მართალი უთქვამს კანცელარიის უფროსსო. როცა ჰკითხეს, რომელ გაზეთებს კითხულობთო, განათლების მინისტრმა ღიმილით სპორტული გაზეთი დაასახელა. სხვას არ ვკითხულობო... ასეა ვითომ? თუ ვიფიქროთ, რომ **„წაყრუება მომგებიანი პოზაა?“ ვის რა უნდა, თქვასო?...**

კომიტეტის თავმჯდომარე რეფორმას აქებდა; წერდა: „ჩვენი კანონის შემდეგ უნივერსიტეტი აბსოლუტურად ავტონომიური ორგანიზმიაო“ და გაოცებული იყო სხვაგვარი აზრის ავტორებით: „მაშინ მითხრან მათ, რატომ ინგრევა უნივერსიტეტიო“... თუ ეს პუბლიკაციები არ წაუკითხავს ბატონ თავმჯდომარეს, ცუდია... მაგრამ ჩვენც ვიფიქრეთ, იქნებ მართლაც ვერ მიადევნა თვალი ყოველივესო და ღია წერილი მივწერე „რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა?“ („თბილისი“, 26-27 ნოემბერი, 2004), მერე იყო და „საუნივერსიტეტო დარბაზის“ სახელით პარლამენტში ვეწვიეთ მე და **ავთანდილ არაბული ნ. გრიგალაშვილს.** იმ კანონდარღვევებზე ვისაუბრეთ, რაც რეფორმის სახელით ხდებოდა. გვითხრა, ყოველივე ეს ჩამოწერეთ, მომიტანეთ, გავესაუბრები მინისტრს, რექტორს; თუ საჭირო იქნება, შეგახვედრებთ კიდეც და საქმეს გამოვასწორებთო...

საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ **ბატონმა ნ. გრიგალაშვილმა დანაპირები არ შეასრულა**; ამ თემაზე მას აღარ უსაუბრია.

მივმართეთ პარლამენტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს და ვთხოვეთ, ამ თემაზე სასაუბროდ მივეღეთ, ანდა თავად ეზრუნა კანონდარღვევათა აღმოსაფხვრელად. ცხადია, ყველამ ვიცით, რომ კანონის შესრულებაზე ზედამხედველობა ევალება პარლამენტს. **პარლამენტის თავმჯდომარე არ გამოგვეხმაურა.**

ვთქვით ერთხელ, ნუ გაგვიკვირდება და დიდი უმრავლესობა, ვინც ამ რეფორმას ატარებს, ვინც ამ კანონებს ქმნის, ვისაც უნივერსიტეტის ბედი აბარია, უნივერსიტეტელია... მაგრამ, როგორც ჩანს, არავის ადარდებს დედაუნივერსიტეტის ხვალინდელი დღე...

უნივერსიტეტი კი შველას ითხოვს!...

ბოლოსიტყვა

ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში **გიგი თევზაძე** წერდა: „თვითონ საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმას რაც შეეხება, ძალიან ბევრი ადამიანი იყო ჩართული, **ამაში იყო ჩართული სოროსის ფონდიც, როგორც ერთ-ერთი დამფინანსებელი.** 2001 წელს დაიწყო უმაღლესი განათლების შესახებ კანონზე მუშაობა. **ის ადამიანები სოროსის ფონდის შენობაში იკრიბე-**

ზოდნენ. შემდგომ სოროსის ფონდმა რამდენიმე სემინარი დააფინანსა“ („ახალი თაობა“, 10-16 ივლისი, 2005)...

ე. ი. სოროსის ფონდი აფინანსებდა იმ კანონის შექმნას, რომელმაც ასეთ დღეში ჩააგდო უნივერსიტეტი...

სოროსის ფონდი აფინანსებდა გაზეთებსა თუ სატელევიზიო გადაცემებს, ასე თავგამოდებით რომ ებრძოდნენ უნივერსიტეტს...

სოროსის ფონდი აფინანსებდა იმ ყმაწვილებს, რომლებსაც „არ აკმაყოფილებდათ უნივერსიტეტის პროფესორთა ცოდნის დონე; მათი კეთილსინდისიერება“ და ცდილობდნენ მათ გაძევებას უნივერსიტეტიდან. ამ ყმაწვილთა უმეტესობა მერე „კმარელი“ გახდა და თავგამოდებით უშენდნენ ქვებს საკუთარ სახლს – დედაუნივერსიტეტს...

მერე სოროსის ფონდის თავკაცები და ყველანი, უნივერსიტეტის საწინააღმდეგოდ განწყობილი ადამიანები, ხელისუფლებაში მოვიდნენ: ზოგი სამინისტროში, ზოგი პარლამენტში, ზოგი სად და ზოგი სად...

და ბრძოლა აშკარად მათ სასარგებლოდ წარიმართა: ისინი შეიმუშავებდნენ და წარადგენდნენ პარლამენტში კანონპროექტს უმაღლესი განათლების შესახებ... ისინი განიხილავდნენ და ამტკიცებდნენ კანონს პარლამენტში... თავიანთი შემუშავებული და მიღებული „კანონის შესაბამისად“ ისინი ნიშნავენ თანამდებობებზე პიროვნებებს... რაც თავის დროზე ვერ გაითვალისწინეს, იოლად სწორდება: როცა უნდათ, მაშინ შეიტანენ ცვლილებებს მათსავე შემუშავებულ და მიღებულ კანონში და თუ დასჭირდათ, დაარღვევენ კანონს – ვინაა მომკითხავი, ყველგან თვითონ არიან!...

და ეს ყოველივე ხდება მესამე ათასწლეულის კარიბჭესათან, მაშინ, როდესაც

ჩვენ ვაყალიბებთ სამოქალაქო საზოგადოებას;

ჩვნ ვაშენებთ სამართლებრივ სახელმწიფოს;

ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელწმიფოს;

ჩვენ მივისწრაფით ევროინტეგრაციისაკენ;

ჩვენ...

ჩვენ...

და თუ ეს ყველაფერი მართლა ასეა (მე მჯერა, რომ ასეა!), მაშინ რა აზრი აქვს თუნდაც ამ ნარკვევის დაწერას; რა აზრი აქვს ხმამაღლა ფიქრებს; რა აზრი აქვს „მართლის თქმას“? – რა და...

ნუღა შევაწუხებთ დავით გურამიშვილს, **ჭაბუა ამირეჯიბი** გავიხსენოთ:

შირერი და ნანო თავყელიშვილი რაჟა სარჩიმელიამ დაატყვევა, გაძარცვა და მრავალ სხვა გაძარცვულს გვერდით მიუსხა. გოგი წულაძემ წააქეზა ნანო თავყელიშვილი, აიყოლიე ქალები და იყვირეთო. ნანომ მოისურვა ქალე-

ბის დაყოლიება ყვირილზე, მაგრამ უარი მიიღო. ვინ რა თქვა, ვინ – რა: იმდენი არაფერი დამიკარგავს, სიკვდილის რისკად რომ ღირდესო. მაშინ დაიწყო ყვირილი ნანომ... ყაჩაღის თოფის კონდახი მოხვდა თავში; შირერმა გაიცინა, ალბათ სხვამაც... მაგრამ გაიგონა ამ ყვირილის ხმა დათა თუთაშხიამ, მოვიდა და იხსნა დატყვევებულები ყაჩაღებისაგან...

მორალი: **სიმართლისათვის ყვირილს ყოველთვის აქვს აზრი: რა ვიცით, იქნებ ახლომახლო იმყოფება თუთაშხია!...**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, № 27 – 37,
8 – 21 თებერვალი, 2006 წ.
(გამოქვეყნდა სათაურით: „სიმართლისათვის
ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი“)
ნარკვევი ცალკე წიგნად დაიბეჭდა 2006 წელს
(გამომცემლობა „უნივერსალი“)

ქართული უნივერსიტეტის „წიწამური“, ანუ ჟამი „ახალი ბერბიჭაშვილებისა“*

დასაწყისი

* * *

1918 წლის 23 იანვარს გაზეთ „საქართველოში“ **მოსე ჯანაშვილი** წერდა: „მივიდეთ ვაკეზე. იქ **ჯავახიშვილმა** აგვინთო სხივოსანი მზიანი კანდელი, რომელიც ამიერიდან შუქური ვარსკვლავივით გაგვინათებს გზა-კვალს სავალ გმირულ და მზიან ნაბიჯით წინ, წინ ადამიანური მარადისობისაკენ“.

ცრურეფორმატორთა თავგამოდებული მონდომებით „ადამიანური მარადისობისაკენ მანათობელ შუქურ ვარსკვლავს“, ქართულ უნივერსიტეტს, XXI საუკუნის დასაწყისში ჩაქრობის საფრთხე დაემუქრა...

1918 წლის გაზაფხულზეც დადგა ახალგახსნილი ქართული უნივერსიტეტი ამგვარი საფრთხის წინაშე (ოსმალთა ოკუპაციის მოლოდინში). მაშინ ერთ მუშტად შეიკრა უნივერსიტეტის პროფესურა და დაადგინეს:

„უნივერსიტეტი არ დაიკეტოს და ლექციების კითხვა გაგრძელდეს... ეთხოვოს, ვისაც ჯერ არს, დაყენებული იქნეს საიმედო დარაჯები და ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული, რომ საომარ ასპარეზად არ გახდეს უნივერსიტეტისა და მუზეუმის ახლო-მახლო მიდამოები. საშიშროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას“. ამ ჭეშმარიტად რაინდულ გადაწყვეტილებას ხელს სამეცნიერო საბჭოს ცხრა წევრი აწერდა: **პეტრე მელიქიშვილი**, **ივანე ჯავახიშვილი**, **იოსებ ყიფშიძე**, **ექვთიმე თაყაიშვილი**, **კორნელი კეკელიძე**, **აკაკი შანიძე**, **შალვა ნუცუბიძე**, **გიორგი ახვლედიანი** და **ფილიპე გოგიჩაიშვილი**...

ეს იყო გმირული მაგალითი, დიდი გაკვეთილი შთამომავლობისათვის – უნივერსიტეტელებს როგორ უნდა ეზრუნათ უნივერსიტეტის დასაცავად...

შემდეგი შეტევა უნივერსიტეტის წინააღმდეგ იმ დაწყევლილ XX საუკუნის 30-იან წლებს უკავშირდება, როცა საქართველოზე „კაენის სულის აღზევებამ გადაიარა“... დაიშალა უნივერსიტეტი ინსტიტუტებად, პედაგოგიური ინსტიტუტი ითქმოდა ქართული უნივერსიტეტის სამართალმემკვიდრედ... მაგრამ ისევ უნივერსიტეტის ერთგულ და თავდადებულ მესვეურთა ძალისხმევით აღდგა მკვდრეთით დედაუნივერსიტეტი...

---

* გამოქვეყნდა **მ. ცაცანაშვილის, ა. არაბულის** და **გ. მახარაძის** თანაავტორობით.

დღეს იმ დიდ მამულიშვილთა და ჭეშმარიტ რაინდთა უკვდავი სულები დუმილით შეჰყურებენ დაჩოქებულ უნივერსიტეტს...

ეს არ არის სიმშვიდის დუმილი... ეს ის დუმილია, ილია რომ იტყოდა:

„ღრმად ჩააკვირდი მის დუმილს
და სცნობ,
თვით მაგ დუმილში რა წყევლაც
არის“?..

და ამ დუმილში ღრმად ჩამარხული „წყევლის“ გამოძახილია ეს წერილიც...

* * *

ბრძოლამ უნივერსიტეტის გადარჩენისათვის კულმინაციას 2006 წლის ზაფხულში მიაღწია (პირობითად რომ ვთქვათ, **„ხუბუას პერიოდში“**).

ქართული უნივერსიტეტის დაარსებიდან 90-ე წელი დაიწყო. 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, უნივერსიტეტის დაარსების დღეს, საჯაროდ ითქვა, თავისი დაარსების 90 წლისთავს უნივერსიტეტი შეიძლება ვეღარ შეხვდესო!... ეს პროგნოზი უნივერსიტეტის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი ლაშქრობის შემხედვარე ერთ-ერთმა პროფესორმა თქვა... როცა ბრძოლის შედეგებს ვხედავთ და „რეფორმატორთა“ მიზანს ვაცნობიერებთ, ეს დასკვნა შეიძლება გაკეთდეს, მაგრამ...

დღეს, როდესაც სადღაც ზევით დაგეგმილი და ნაკარნახევი ფართომასშტაბიანი ლაშქრობა მიმდინარეობს მეცნიერებისა და განათლების ამოსაძირკვად საქართველოში, როგორც ყოველთვის, მთელი პასუხისმგებლობა შედეგების გამო ეკისრება და დაეკისრება იმ შემსრულებლებს, რომელთაც ძალით თუ ნებით იკისრეს „ეგზეკუტორების“ ფუნქცია. სწორედ ამას გამოხატავს ზემოთ მოხმობილი ტიტულიც „ახალი ბერბიჭაშვილებისა“. საქართველოში არის რამდენიმე გვარი, რომელიც ჩვენს ეროვნულ უბედურებასთან ასოცირდება. მაგალითად, ყორღანაშვილი... ბერბიჭაშვილი... უნივერსიტეტის წინააღმდეგ წარმოებული ომი „ახალ წიწამურად“ უკვე მოინათლა და სწორედ შემსრულებლები არიან პრეტენდენტები „ახალი ბერბიჭაშვილობისა“... დარწმუნებული ვართ, რექტორად მოვლენილმა **გ. ხუბუამ** თავისი თავგამოდებითა და მონდომებით უკვე გააკეთა სერიოზული განაცხადი „ახალ ბერბიჭაშვილობაზე“... რატომ ვფიქრობთ ასე? ამის თქმა გვსურს ამ წერილში.

ამიტომაც გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ მოკლედ წარმოვაჩინოთ **გ. ხუბუას** „ნამოღვაწარი“ უნივერსიტეტში, რათა საზოგადოებას დავანახოთ, ვინ არის **გ. ხუბუა,** ხოლო მის შთამომავლობას შემოვუნახოთ თავიანთი „დიდი წინაპრის“ „საგმირო საქმეები“...

მორალურ-ზნეობრივი სახე გ. ხუბუასი

* * *

2006 წლის 5 ივლისს, როდესაც პროკურატურაში დაკითხვაზე გამოიძახეს ხუთი პროფესორი, გამომძიებელმა ერთ-ერთ მათგანს ჰკითხა: კაბინეტში რომ შეხვედით, გ. ხუბუა თავის სავარძელში იჯდაო? – არა, ივანე ჯავახიშვილის სავარძელშიო, უპასუხა ბრალდებულმა. – რა შუაშია ჯავახიშვილიო, – გაიკვირვა გამომძიებელმა. მას განუმარტეს; მგონი, გაიგო... **გ. ხუბუამაც** უნდა იცოდეს, რომ **ის სავარძელი დიდი ივანე ჯავახიშვილის სავარძელია და რექტორობის მსურველს უპირველესად მორალური უფლება უნდა ჰქონდეს ამ სავარძელში ჯდომისა**...

გ. ხუბუას არ ჰქონდა მორალური უფლება რექტორობისა: იმ ტაძარში, სადაც **ივანე ჯავახიშვილი** ქუდმოხდილი შემოდიოდა, **გ. ხუბუამ** პოლიციის ასეულები შემოიყვანა და არაერთხელ დაარბევინა პროფესორები... „რეაქციის“ ღია ეთერში რამდენჯერმე დავუსვით კითხვა **გ. ხუბუას:** ვთქვათ და 2006 წლის 19 ივნისს აქცია იყო უნივერსიტეტში და, შესაბამისად, ხმაური იყო (თუმცა ესეც არაა მიზეზი...), მეორე დღეს, 20 ივნისს რატომ შემოიყვანე პოლიცია-მეთქი, როცა 20-მდე პროფესორი მშვიდად ისხდა სააქტო დარბაზში და ტელევიზორს უყურებდა? ეს კითხვა **გ. ხუბუამ** უპასუხოდ დატოვა... 2006 წლის ივლის-აგვისტოში უნივერსიტეტის მთელი პერიმეტრი და შენობაც რომ პოლიციით იყო სავსე, ხომ გახსოვთ? რაღა თქმა უნდა, გახსოვთ – ეს ორთვიანი ბლოკადა უნივერსიტეტისა საქართველოს უახლესი ისტორიის სამარცხვინო ფურცლად დარჩება! ახლა ისიც გავიხსენოთ: 2007 წლის იანვარში ათენის ქუჩებში სტუდენტების მასობრივი გამოსვლები იყო. პოლიციისაგან შევიწროებულმა სტუდენტობამ უნივერსიტეტის ეზოს შეაფარა თავი და პოლიციამ იქ შესვლა ვერ გაბედა! 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგაც არ იკადრეს რუსული იმპერიის ჯალათებმა უნივერსიტეტის ეზოში შესვლა და ვარაზისხევსა და ჭავჭავაძის პროსპექტზე იდგნენ... ჩვენ მსგავსი შემთხვევა საუნივერსიტეტო ისტორიაში ვერ მოვიძიეთ, გარდა ერთისა: 1939 წელს ფაშისტები შეცვივდნენ კრაკოვის უნივერსიტეტში და ხელგადაგრეხილი პროფესორები გამოყარეს გარეთ... ჩვენთან კი რა მოხდა? **გ. ხუბუას,** ყოველივე ამის ჩამდენს, აქვს მორალური (თუნდაც იურიდიული!) უფლება, იჯდეს **ივანე ჯავახიშვილის** სავარძელში?

კაცს, რომელიც მანქანიდან კაბინეტამდე, კორპუსიდან კორპუსში მხოლოდ დაცვის თანხლებით დადის დღესაც, ტელეკამერების წინაც კი, ყოველთვის „ფონად“ დაცვის უფროსი უდგა უკან („მე მიცავენო!“)...

აქვს მორალური უფლება ასეთი „თავისუფალი უნივერსიტეტის“ „შემოქმედს“ დიდი ივანეს სავარძელში ჯდომისა?

* * *

გ. ხუბუა საზოგადოებას ატყუებს და თანაც ცინიკურად.

2007 წლის 4 იანვარს, რექტორის არჩევნების წინა დღეებში **გ. ხუბუა** ტელევიზიით აცხადებს: ეს არის პირველი არჩევნები, როცა რექტორს ირჩევს არანომენკლატურული ორგანოო. **გ. ხუბუას** შემყურეს აღარაფერი გვიკვირს, თორემ რექტორობის ასე თავგამოდებულმა მსურველმა უნდა იცოდეს უნივერსიტეტის ისტორია: 1918 წლის 13 იანვარს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ერთხმად აირჩია რექტორად **პეტრე მელიქიშვილი.** 1919 წლის 17 დეკემბერს იმავე პროფესორთა საბჭომ ერთხმად აირჩია რექტორად **ივანე ჯავახიშვილი!** გ. ხუბუას არჩევნების დღეს, 2007 წლის 5 იანვარს, ეს ფაქტი გავახმაურეთ და ამის შემდეგ **გ. ხუბუამ** არაერთგზის თქვა: „1919 წლის შემდეგ ეს იყო პირველი ნამდვილი არჩევნებიო“... ე. ი. მაინც პირველობა უნდა; თავს **პ. მელიქიშვილისა** და **ი. ჯავახიშვილის** გვერდით აყენებს და ამისი არ ერიდება! ისევ უცოდინარობა უნივერსიტეტის ისტორიისა (და პირველკაცობის უსაგნო ამბიცია): ასევე ერთხმად იქნა არჩეული **თ. ღლონტიც** (სჯობდა **ხუბუას** თავი მის გვერდით დაეყენებინა) და სხვანი... რომ აღარაფერი ვთქვათ 90-იანი წლების ვითარებაზე...

ესეც რომ არ იყოს, ამგვარი განცხადებებით **გ. ხუბუა** თავს იმ რექტორებზე მაღლა აყენებს, ვინც იმჟამინდელი კანონმდებლობის სრული დაცვით იქნენ არჩეულნი თუ დანიშნულნი... იცით, ვინ იყვნენ ეს რექტორები?

ალექსანდრე ჯანელიძე,
გიორგი ძოწენიძე,
ნიკო კეცხოველი,
ვიქტორ კუპრაძე,
ევგენი ხარაძე,
ილია ვეკუა...

გ. ხუბუა კი ამაყად აცხადებს, 1919 წლის შემდეგ **პირველი კანონიერი რექტორი მე ვარო!** ბოლოს ასეთი განცხადება მისგან 2007 წლის 8 თებერვალს მოისმინა ქართველმა ხალხმა ტელევიზიით...

ისევ კითხვა: ამგვარ კაცს აქვს მორალური უფლება ივანე ჯავახიშვილის სავარძელში ჯდომისა?

* * *

გ. ხუბუას პირველივე დღე უნივერსიტეტში ტყუილით დაიწყო. 2006 წლის 7 აპრილს დილიდან ყველა ტელეარხი აცხადებდა, რომ **გ. ხუბუას** მინისტრი **კ. ლომაია** უნივერსიტეტში 16 საათზე წარადგენდა. გამოცხადებულზე 2 საათით ადრე (14 საათზე) მოიყვანეს **გ. ხუბუა** და წარუდგინეს სავსე (!) აუდიტორიას. 16 საათზე გამოცხადებისამებრ მოსულ დაინტერესებულ პირებს მინისტრი წასული დახვდა, **გ. ხუბუა** კი – კაბინეტში გადაბარგებული! ამის გამო უთხრა მას პროფესორმა **გურამ შარაძემ,** ქურდულად შემოხვედი უნივერსიტეტში, ქურდი ხარო... და პროფესორი **გურამ შარაძე** „ამ ხულიგნობისათვის“ გაასამართლეს და ორკვირიანი პატიმრობა მიუსაჯეს! ...დიახ, **გ. ხუბუამ** აჩივლებინა და დააჭერინა! ამით სხვაც გააფრთხილა: ვინც გამიბედავს სიტყვის შემობრუნებას, აუგის თქმას, დავაჭერინებო! სწორედ ამიტომ იყო ისიც, რომ მინისტრთან ერთად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ **კ. კუბლაშვილმა** მოაცილა უნივერსიტეტში **გ. ხუბუა.** ეს კი განაცხადი იყო იმისა, სასამართლო და სამართალი ჩემს ხელთააო, ჩემთანააო და არაერთგზის გამოჩნდა ესეც...

აქვს **გ. ხუბუას** ამის შემდეგ მორალური უფლება ივანე ჯავახიშვილის სავარძელში ჯდომისა?

* * *

ვინ ვინ და ყველაზე უკეთ **გ. ხუბუამ** უნდა იცოდეს, რომ იურიდიულად უნივერსიტეტის დიდ საბჭოს უნდა ეარსება მანამ, სანამ არ იქნებოდა არჩეული ახალი კანონმდებლობის შესაბამისად აკადემიური საბჭო... ეს უთხრა კიდეც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა **ილია მეორემ** გ. ხუბუას 2006 წლის 27 ივნისის ვიზიტისას საპატრიარქოში.... ისიც ურჩია, მოესმინა დამსახურებული ადამიანების აზრი... საპატრიარქოში გაკეთებულ კომენტარში **დაეთანხმა** კიდეც გ. **ხუბუა უწმინდესსა და უნეტარესს,** მაგრამ იქიდან გამოსულმა პარლამენტში „შემოიარა“ და... მეორე დღეს, 28 ივნისს, გამოსცა ბრძანება 26 ივნისის რიცხვით (ეს ხელწერაა იურისტი გ. ხუბუასი – წინა რიცხვით დოკუმენტების გაფორმება); ეს ის ცნობილი ბრძანებაა – ვინც ჩვენს გვერდით არ დადგება და ჩვენს გამოცხადებულ კონკურსებში არ მიიღებს მონაწილეობას, სექტემბრიდან ყველას დავითხოვო... **არც უწმინდესისათვის მიცემული სიტყვა ყოფილა მისთვის მოსაფრთხილებელი და შესასრულებელი და არც საზოგადოების აზრი – გასათვალისწინებელი...**

აქვს ამის შემდეგ **გ. ხუბუას** უფლება ივანე ჯავახიშვილის სავარძელში ჯდომისა?

* * *

უნიტვერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭო **გ. ხუბუამ** არ ცნო... ცხადია, ამის იურიდიული საფუძველი მას არ ჰქონდა, მაგრამ ასე დაავალეს: დი-

დი საბჭოს უფლებამოსილება რომ ეცნო, არ მიეცემოდა მას შესაძლებლობა იმ განუკითხავი რეჟიმის შექმნისა, რომელსაც ცინიკურად „რეფორმას“ ეძახდნენ. ამიტომ გადაწყვიტა უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ მისთვის უნდობლობის გამოცხადება და მას, როგორც რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, წინადადება მიეცა მიბრძანებულიყო უნივერსიტეტიდან...

მანამდე თსუ დიდმა საბჭომ, რომელიც ამ დროისათვის სრულ ერთსულოვნებას გამოხატავდა, რამდენჯერმე სცადა **გ. ხუბუას** დაყოლიება დიალოგსა და ურთიერთკომპრომისებზე, მან კი მოახერხა ცრუ განგაშის ატეხვითა თუ სხვა მაპროვოცირებელი მეთოდების გამოყენებით პროფესურისაგან ხელისუფლებისათვის მტრის ხატი შეექმნა და სადამსჯელო სახელმწიფო მანქანა დაეპირიპირებინა მათთვის. ხოლო თუ ყოველივე ეს უსამართლო და მორალურად გაუმართლებელი ქმედებანი სხვისი კარნახით იყო და არა პირადი ინიციატივით, სულაც არ ათავისუფლებს **გ. ხუბუას** მორალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

და ამის შემდეგ აცხადებს იგი, რომ უნივერსიტეტის პირველი კანონიერი რექტორია?!

* * *

მორალურ-ზნეობრივ სფეროს სცილდება **გ. ხუბუას** ქმედება თბილისის სააღმსრულებლო ბიუროს მიერ გაცემული „სააღმსრულებლო ფურცელთან“ დაკავშირებით. კერძოდ: 2006 წლის 15 ივნისს **გ. ხუბუამ** ბიუროდან მიიღო შეტყობინება, რომელშიც ეწერა: „...**ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან** (**05.06. 2006 წლიდან**) **ერთი თვის ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერ-თანამშრომლების აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის** (და არა **კონკურსის წესით დანიშვნის**) **საკითხთან დაკავშირებით**“. არადა, ამ დროს კონკურსები უკვე გამოცხადებული აქვს **გ. ხუბუას,** ამიტომ ასეთი დოკუმენტი არ აძლევს ხელს. მით უმეტეს, დოკუმენტი ასე მთავრდება: „**წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს მიმართ გატარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები**“... და... გ. ხუბუამ „მოახერხა“ (რა თქმა უნდა, „მეგობართა“ თანადგომით) და **ხელახლა გამოაცემინა უკანა – 14 ივნისის რიცხვით(!) ეს სააღმსრულებლო ფურცელი,** სადაც, სხვა ცვლილებეთან ერთად, მისთვის არასასურველი ადგილები ამოღებული იყო.

არ გაითვალისწინეს არც ის, რომ პირველი სააღმსრულებლო ფურცელი გამოქვეყნებული იყო პრესაში!..

არის არაერთი სხვა ფაქტიც სასამართლოზე ზემოქმედებისა... მკითხველი ამას შეიძლება გაეცნოს „დიდი საბჭოს მაცნეში“ (№ 1, 2, 2006 წ.).

შესაბამისად, უნივერსიტეტში ჩატარებული კონკურსები, რომელიც სინამდვილეში „პოლიტიკური წმენდა“ აღმოჩნდა, საფუძველშივე მოკლებულია სამართლებრივ ელემენტებსაც კი!

ყოველივე ამის ჩამდენს **გ. ხუბუას** აქვს მორალურ-ზნეობრივი უფლება ივანე ჯავახიშვილის სავარძელში ჯდომისა?..

* * *

ესეც იცის საზოგადოებამ: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით **გ. ხუბუას** არ ჰქონდა უფლება აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსები გამოეცხადებინა 2006 წლის 5 ივნისამდე... მან კი ბრძანება კონკურსების დანიშვნის თაობაზე 19 მაისს გამოსცა... **ამით დასცინა კანონსაც და სასამართლოსაც,** მაგრამ მისცეს ამის უფლება: უნივერსიტეტის ნგრევის სცენარი დიდი ხნის დაწერილი იყო და ეს თარიღები სცენარს უნდა მორგებოდა... ამიტომ არც კანონი და არც სასამართლო მისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს... ლაპარაკია **იურისტ ხუბუაზე**!..

და ამის შემდეგ აქვს მას მორალური უფლება დიდი ივანე ჯავახიშვილის სავარძელში ჯდომისა?..

* * *

იცის **გ. ხუბუამ,** რომ ცუდი საქმე დაავალეს, მაგრამ მაინც არსულებს დავალებას და ატყუებს საზოგადოებას, –„არ ვაკეთებ, რასაც ვაკეთებო“...

გ. ხუბუას დავალებით თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (სხვათა შორის, ეს სამსახური ისეთია, რომ ზუსტად ამართლებს ცნობილ ანდაზას – „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო!“) ავრცელებს ინფორმაციას: `დემოკრატიულ სტუდენტთა ლიგის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო **უნივერსიტეტში ვაჟაფშაველას**, **შოთა რუსთაველის**, **აკაკი წერეთლისა და სხვა მწერლების სახელობის კაბინეტების გაუქმების შესახებ**, **სიმართლეს არ შეეფერება**... **სტუდენტთა ჯგუფი**, „**რომელიც თავს „დემოკრატიულ სტუდენტთა ლიგას“ უწოდებს**, **თსუ-ში მიმდინარე რეფორმების მოძულეთა ბანაკის წარმომადგენლები არიან**...“ ჯერ ერთი, როგორი აკადემიური დამოკიდებულებაა სტუდენტებისათვის (თუნდაც მცირე ჯგუფისათვის) „მოძულეთა ბანაკის“ იარლიყის მიკერება?! მეორეც – იცის **გ. ხუბუამ,** რომ ილიასა და აკაკის კაბინეტების გაუქმება სამარცხვინო საქმეა; ამიტომაც თან აუქმებენ, ანგრევენ და თან ყვირიან, ცილს გვწამებენო!.. **გ. ხუბუასა** და ამ უსირცხვილო განცხადების ხელმომწერ **ა. ცქიტიშვილს** რომ უთხრათ, მაჩვენეთ აკაკის, ილიასა და კ. გამსახურდიას კაბინეტებიო, რას იზამენ? იქ რეკონსტრუქცია არის და დავანგრიეთო, თუ იტყვიან, სად გადაიტანეს? ესაა „მოძულეთა“ გავრცელებული ცრუ ინფორმაცია თუ ფაქტი, რომელსაც ასე უნამუსოდ ჩქმალავენ?

რომ აღარ არსებობს სამეცნიერო-კვლევითი კაბინეტი ვაჟა-ფშაველასი და რომ ეს კაბინეტი მიუერთდა მუზეუმს, ესაა „მეტი ზრუნვა ვაჟა-ფშაველას კაბინეტზე“?! ვისაც არ სჯერა, მივიდეს და საკუთარი თვალით იხილოს, როგორ გამოყარეს ქრისტიანული კულტურის კათედრის მთელი ქონება დერეფანში და ჩვეული ხერხით „რემონტს“ შეუდგნენ.

ეს რომ ქართულ უნივერსიტეტის დიდი მონაპოვრების წინააღმდეგ ბრძოლაა, განა ვინმეს ეეჭვება დღეს ეს? არის ღირსი ამის ჩამდენი **გ. ხუბუა** ივანე ჯავახიშვილის სავარძელში ჯდომისა?

* * *

იმისათვის, რომ თავისი საქმიანობა დადებითად წარმოადგინოს საზოგადოების წინაშე, **გ. ხუბუა** ცდილობს დაამციროს, შეურაცხყოს უნივერსიტეტის პროფესურა, „სხვისი ძირს დაცემით ამაღლდეს“. მაგალითი: **გ. ხუბუას** ჰკითხეს, სტუდენტებს „რატომ დახვდათ გაუქმებული სპეციალობა, რომელზეც სწავლობდნენ? ეს ეხება ამერიკანისტიკის, საგამომცემლო საქმის, საზოგადოებასთან ურთიერთობის (*PR*) და ა. შ. სპეციალობებს“. **გ. ხუბუა** უტიფრად უპასუხებს: „როცა უნივერსიტეტს არ გააჩნდა საკმარისი ინტელექტუალური რესურსები, აბიტურიენტს სხვადასხვა სპეციალობით ხიბლავდნენ... ეს იყო ერთგვარი სატყუარა“ („თბილისის უნივერსიტეტი“, 5 ოქტომბერი, 2006).

არადა უნივერსიტეტში დღესაც მხოლოდ იმ „ინტელექტუალური რესურსების“ ნარჩენებია, რომელიც იყო ადრე; თანაც არა უკეთესი ნაწილი! თითო-ოროლა გარეშე პირი მოვიდა მხოლოდ... მაგრამ ეს არ აფიქრებს **გ. ხუბუას.** მთავარია, თვალებში ნაცარი შეაყაროს იმ საზოგადოებას, რომელიც ნამდვილად არ არის ღირსი, მათს მომავალს ასეთი ბიუროკრატები განაგებდნენ!

ამავე კითხვის პასუხი: „ამერიკანისტიკა ნამდვილად არ გაუქმებულა“... არადა საზოგადოება კარგად იცნობს სტენფორდის უნივერსიტეტის ამერიკანისტიკის პროგრამის მართვის კომიტეტისა და მსოფლიოს 20 ქვეყნის 100-მდე ცნობილი ამერიკანისტის წერილს („ახალგაზრდა ივერიელი“, № 6, 2006 წ.), რომელიც ასე იწყება: „ჩვენ გწერთ, რათა გამოვხატოთ ჩვენი აღშფოთება და შოკი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, რომლის შედეგად გაუქმდა ამერიკანისტიკის ფაკულტეტი“... წერილის ადრესატები არიან მინისტრი **კ. ლომაია** და რექტორი **გ. ხუბუა...**

რა ჰქვია ამას, ძვირფასო მკითხველო?

და ამის შემდეგ ამ მორალის კაცს აქვს უფლება ივანე ჯავახიშვილის სავარძელში ჯდომისა?

* * *

გ. ხუბუას ჯერაც არ გაუცია პასუხი ასეთ კითხვებზე: რატომ მოხდა ის, რომ სხვა (პერიფერიულ) უნივერსიტეტებში 4-5%-ით შემცირდა აკადემიური შემადგენლობა; ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – 80%-ით; ანუ სხვაგან თითქმის არ შემცირებულა, აქ – მეხუთედი დარჩა! ხომ დღესავით ნათელია – დედაუნივერსიტეტია მიზანში ამოღებული... რატომ? ვწერდით 2005 წელს: „საქართველოში იყო სამი ძალა, რომელსაც შესწევდა საზოგადოებაზე ზემოქმედების დიდი უნარი: ქართული ეკლესია, ქართული უნივერსიტეტი და მწერალთა კავშირი... და საჭირო იყო ამ ძალების დასუსტება, მოსპობა, რომ შეძლონ საზოგადოებაზე საკუთარი დიქტატის დამყარება“ („საქართველოს რესპუბლიკა“, № 27, 2006)... ეს იცის **გ. ხუბუამ** და ამიტომ იკისრა ამ დავალების შესრულება...

ის, რომ **გ. ხუბუა** ამ ეტაპზე ისევ დატოვეს უნივერსიტეტში, მიანიშნებს იმაზე, რომ უნივერსიტეტის „რეფორმების“ პროცესი ბოლომდეა მისაყვანი...

მოარული ხმები კორპუსების გასხვისების, ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სხვა უნივერსიტეტთან შეერთების შესახებ, როგორც ჩანს, სამომავლო გეგმაა „რეფორმატორთა“...

და ზის ამ გეგმების განსახორციელებლად გ. ხუბუა ივანე ჯავახიშვილის სავარძელში...

* * *

გ. ხუბუა თავის მართლებისა და დავალების „პირნათლად“ შესრულების მიზნით გამუდმებით ატყუებდა საზოგადოებას – მზად ვარ დიალოგისთვის, მაგრამ ოპოზიცია არ მოდის დიალოგზეო... სინამდვილეში პირიქით იყო. კონკრეტული მაგალითი: შაბათს, 2006 წლის 8 აპრილს, უნივერსიტეტში მისი მოსვლის მეორე დღეს, ტელეფონით ვესაუბრეთ **გ. ხუბუას** და „საუნივერსიტეტო დარბაზის“ სურვილი გავაცანით: გვსურდა მასთან შეხვედრა და საუბარი. ჩვენი სურვილი იყო გულწრფელი და ნაკარნახევი უნივერსიტეტის უკეთეს მომავლზე ფიქრით. შევთანხმდით: შევხვდებოდით ოთხშაბათს ან ხუთშაბათს (12-13 აპრილს). ამაოდ ველოდით **გ. ხუბუას** შეპირებულ ზარს. 14 აპრილს წერილობით ვთხოვეთ შეხვედრა; წერილზე ხელს ვაწერდით პროფესორები: **ა. არაბული, გ. მახარაძე, ო. მუკბანიანი, მ. ცაცანაშვილი** და **გ. გოგოლაშვილი.** პასუხი მივიღეთ 26 აპრილს: ვგეგმავ შეხვედრას ფაკულტეტის თანამშრომლებთან და იქ მობრძანდითო. დიდი საბჭოს წევრებმა შემდეგშიც არაერთგზის მოისურვეს შეხვედრა, მაგრამ ისევ ამაოდ. 19 ივნისს გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი იძულებული გახდა, შეგვხვედროდა, მაგრამ წინასწარ პირობა დაგვითქვა: კონკურსების თემაზე არ ვისაუბროთ, სხვა თემაზე ვისაუბროთო. ეს ფაქტობრივ უარი იყო დიალოგზე... მეორე დღისათვის

გადაგვიდო შეხვედრა, მაგრამ იმავე საღამოს პოლიცია მოგვისია... არც მეორე დღეს შედგა დიალოგი (პოლიცია მეორე დღესაც მოგვისია)... ეს კაცი საზოგადოებას არწმუნებს, რომ მას დიალოგი სურდა, მაგრამ ჩვენ არ წავედით ამ დიალოგზე... ეს იმ დროს, როცა ყველამ ყველაფერი იცის...

ამ მორალის კაცს აქვს უფლება უნივერსიტეტის რექტორობისა?..

მკითხველი გაიკვირვებს, თუკი შედგა სატელეფონო შეთანხმება, რატომ არ გაიმართა შეხვედრაო... **გ. ხუბუა** ყოველ ნაბიჯს უთანხმებდა (და უთანხმებს) სამინისტროს. კატეგორიულად მოითხოვეს მისგან – არავითარი შეხვედრები და დიალოგები: ხომ შეიძლება დიალოგში რაიმე კომპრომისის წარმოშობა. ეს არ იყო სამინისტროს მიზანი. **გ. ხუბუა** მოიყვანეს იმისთვის, რომ ყველა დავალება შეესრულებინა უსიტყვოდ, უკანდაუხევლად. ამიტომაც იყო, როცა 19 და 20 ივნისს მას შევხვდით, მის კაბინეტში კუთხეში იჯდა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი (ცხადია, ის **ხუბუას** აკონტროლებდა – არ დაეხია უკან...)... ამიტომაც ცრუობს **გ. ხუბუა** ჩვენს წინაშე და ზოგადად საზოგადოების წინაშეც. ის „პირნათელი“ მხოლოდ „პატრონის“ წინაშეა... ამიტომ ვსვამთ კითხვას: აქვს **გ. ხუბუას** მორალური უფლება ივანე ჯავახიშვილის სავარძელში ჯდომისა?

* * *

გ. ხუბუამ კარგად უწყის, რომ იცის საზოგადოებამ, რა არის სიმართლე და რა – სიცრუე. მაინც უტიფრად ავრცელებს ტყუილს. კვლავ მაგალითები: 2006 წლის 19 ივნისს მან განუცხადა ტელევიზიას და პრესას, **პროფესორებმა სხდომათა დარბაზის კარები შეამტვრიესო**. არადა იმ დარბაზის კარი დერეფნისკენ იღება და თუ ძალას იხმარდა ვინმე, უნდა გამოეგლიჯა! ეს არაა სიტყვათა თაამაში, ეს ფაქტია... **გ. ხუბუას** მიერ გაცემული ამ ინფორმაციის შემდეგ ვთხოვეთ ტელევიზიის წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ, რომ კარი „საღსალამათი“ იყო. ეს ნახა საქართველომ!.. **გ. ხუბუას** ეს არ ადარდებს, რადგან დავალებას ასრულებს...

2006 წლის 3 ივლისს ღამით **გ. ხუბუას** ბრძანებით სააქტო დარბაზში მყოფ რამდენიმე ასეულ ადამიანს წყლისა და ტუალეტისაკენ მიმავალი კარები ჩაუკეტეს. ტელევიზიის მეშვეობით ესეც ნახა საზოგადოებამ. **გ. ხუბუა** კვლავ აკეთებს ცრუ და ცინიკურ განცხადებას: იმ დარბაზში არ არის არც წყალი და არც ტუალეტი და როგორ ჩავკეტავდიო! თითქოს ვინმემ თქვა, რომ მაყურებელთა დარბაზში არის ტუალეტი და წყალი და ის ჩაკეტა ხუბუამ!.. დარბაზიდან დერეფანში გამომავალი ყველა კარი რომ ჩაკეტეს, ყველა ფანჯარა რომ ამოქოლეს და წყალი რომ ამოგვქონდა, ის თოკები რომ გადაგვიჭრეს, ეს ვითომ არც ყოფილა!... ეს ცინიზმია და უტიფარი ტყუილი... და, რაც მთავარია – დანაშაული...

გ. ხუბუას ეს არ ადარდებს...

ამიტომაც არა აქვს მას მორალური უფლება ივანე ჯავახიშვილის სავარძელში ჯდომისა!..

* * *

გ. ხუბუა მიზანმიმართულად ანგრევს უნივერსიტეტს და, ამავე დროს, ცდილობს, პასუხისმგებლობის ტვირთი ღვაწლმოსილ ადამიანებს გადაუნაწილოს. ამისი მაგილითია ე. წ. „მრჩეველთა საბჭოს“ შექმნა. 2006 წლის 19 მაისს მან ბრიფინგი გამართა სააქტო დარბაზის წინა ფოიეში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსების გამოცხადების გამო. გვერდით სახელოვანი მხცოვანი ადამიანები დაიყენა – აკადემიკოსები: **მ. ლორთქიფანიძე, ო. ჯაფარიძე, მ. შანიძე, ჯ. ჭუმბურიძე...** და თქვა, მრჩეველთა საბჭო შევქმენი და იმათი რჩევით წარვმართავ უნივერსიტეტის ცხოვრებასო. მაგრამ იქვე ბრძანა ქალბატონმა **მზექალამ,** რომ ეს იყო რექტორთან მათი პირველი შეკრება და უსაყვედურა **გ. ხუბუას** გადაწყვეტილ საქმეს ჩვენი დასტური არ სჭირდებაო: **„ბატონო გია, თქვენ ამ ხალხის აქ შეკრებით ერთგვარად უხერხული სიტუაცია შეგვიქმენით. არ არის ეს ის ადგილი, სადაც შეიძლება სერიოზულ პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა და ლაპარაკი. ეს არის ფაქტის გამოცხადება... მთელი ის ცვლილებები, რომლებიც უნივერსიტეტში განხორციელდა, ჩატარდა ერთგვარად ანონიმურად ისე, რომ ჩვენ ამ ცვლილებებში მონაწილეობის მიღების და აზრის გამოთქმის საშუალება არ მოგვეცა“** (გაზეთი „ახალი თაობა“, 20 მაისი, 2006). კი უთხრეს პირში **გ. ხუბუას,** ტყუიო, მაგრამ მერე რა, განა თვითონ არ იცოდა, რომ ტყუოდა!.. მაშინ დაწერა **გ. ხუბუამ,** რომ მრჩეველთა საბჭოს დებულება მუშავდება და მალე იქნებაო მზად... ამის შემდეგ მრჩეველთა საბჭო **გ. ხუბუას** კიდევ 19 ივნისს გაახსენდა, როცა გამწვავდა ვითარება (ეს ის დღეა, პირველად პოლიცია რომ შემოიყვანა უნივერსიტეტში) და 20-ში შეკრიბა კიდეც. კონკრეტული საკითხი არ განუხილავთ, უბრალოდ ტელევიზიით დაანახა ქვეყანას, **სახელოვანი ადამიანები ჩემ გვერდით დგანანო...** მერე დამთავრდა „კონკურსები“, გარეკეს უნივერსიტეტიდან 80% და ყოველივე ამის შემდგომ ოქტომბერში ისევ შეკრიბა მრჩეველთა საბჭო **გ. ხუბუამ** და საჯაროდ გამოაცხადა:

„მრჩეველთა საბჭო არის რექტორის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც საუნივერსიტეტო რეფორმების ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე კონსულტაციებს გაგვიწევსო. ჩვენ გვინდა პატივსაცემი ხალხის გამოცდილება გამოვიყენოთ ყველა იმ სიახლის განხორციელების პროცესში, რომელიც დაგეგმილი გვაქვს“ (გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, 2006 წ. 5 ოქტომბერი).

არადა საქმე უკვე მოლეული იყო, უნივერსიტეტი – დანგრეული. **გ. ხუბუა** კი ქვეყანას ეუბნება, ეს სახელოვანი ადამიანები ჩემს გვერდით დგანანო

და მაშინ დაუნიშნა მათ 700-700 ლარი ხელფასად! გვერიდება თქმა, მაგრამ ფაქტია: ამის საფასურად დააკისრეს მათ ის პასუხისმგებლობა, რაც წესით უნდა დაეკისროს გ. ხუბუას და მის გუნდს. დიახ, ინფორმაცია მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ 5 ოქტომბრის „თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნდა: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა რექტორის მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში ნუგზარ ალექსიძე, თამაზ გამყრელიძე, გიორგი თუმანიშვილი, თეიმურაზ იოსელიანი, მარიამ ლორთქიფანიძე, ვაჟა ოკუჯავა, გიორგი ტყეშელიაძე, მზექალა შანიძე, ჯუმბერ ჭუმბურიძე და ოთარ ჯაფარიძე არიან“. „ხელფასი“ დაუნიშნეს და არც ამის შემდგომ უკითხავს მათთვის ვინმეს რამე... დებულებაც კი არ შეუქმნიათ!.. ესაა **გ. ხუბუას** „ოინები“. და, სამწუხაროდ, ეს ოინები გაუვიდა მას... **გ. ხუბუა** დამნაშავეა ამ **სახელოვანი, მხცოვანი ადამიანების წინაშეც...**

ახლა მკითხველმა განსაჯოს, ამ მორალის კაცს აქვს თუ არა უფლება, იჯდეს ივანე ჯავახიშვილის სავარძელში?..

* * *

გ. ხუბუა გამუდმებით იმეორებს, მესამე კანონიერი რექტორი ვარ უნივერსიტეტის ისტორიაში და მე ერთხმად ამირჩია აკადემიურმა საბჭომო... ჩვენ ამ არჩევნების მორალური მხარე გვაინტერესებს ამჯერად:

გ. ხუბუამ კანონდარღვევით ჩაატარა აკადემიური საბჭოს არჩევნები (ამის თაობაზე ქვემოთ) – მხოლოდ სრულ პროფესორთაგან აირჩია. ამის ახსნა იოლია, არჩევანი უფრო ვიწრო წრეში კეთდება; თანაც სრული პროფესურა უფრო მართვადია (ძირითადი ნაწილი უშუალოდ მის მიერაა დანიშნული!); **აკადემიური საბჭოს თორმეტი წევრიდან სამი პარლამენტარია** (უმრავლესობის წევრი), **ერთი მინისტრის მოადგილე, ორი ინსტიტუტის დირექტორი** და ა. შ. ეს კითხვაც აღარ უნდა დაისვას, რატომ 12 (თუ სხვა – ბევრად უფრო მცირერიცხოვან – უნივერსიტეტში 21-ია!) – 12 კაცი უფრო იოლი სამართავია... და **გ. ხუბუამ** ჯერ „დანიშნა“ სრული პროფესორები, მერე მათგან „დანიშნა“ აკადემიური საბჭოს წევრები, ვისაც უნდა აერჩია რექტორი, მერე ამ „დემოკრატიულ არჩევნებში“ თავად იყო ერთადერთი კანდიდატი რექტორობისა; საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა თავისივე თანაშემწე იურიდიულ საკითხებში და მარჯვენა ხელი და ამაყად გამოაცხადა _ აკადემიურმა საზოგადოებამ სრული ნდობა გამომიცხადაო!.. ი. ჯავახიშვილს რომ ედრება, ის თუ ახსოვს, თავგამოდებით რომ ამტკიცებდა **დიდი ივანე,** რატომ იყო საჭირო არა მისი, არამედ **პეტრე მელიქიშვილის** არჩევა რექტორად და გაიტანა კიდეც თავისი?.. ის მაინც წაიკითხოს, რატომ გადადგა 1919 წელს რექტორობიდან **პ. მელიქიშვილი:** შელაპარაკება მოუხდა **ანდრია რაზმაძესთან** და საბჭოს განცხადებით მიმართა, რექტორს ეს არ უნდა გაეკეთებინა და

ვტოვებ თანამდებობასო... უნივერსიტეტიდან წასვლასაც აპირებდა, მაგრამ არ გაუშვეს... ახლაც უარზე იდგა **ი. ჯავახიშვილი,** მაგრამ მაინც აირჩიეს... აი, ამ მორალის ადამიანებს ედრება **გ. ხუბუა,** თავისივე მოწყობილი საარჩევნო შოუს ავტორი...

დასკვნა მკითხველმა გააკეთოს – აქვს კი მას მორალური უფლება ამ ადამიანების სავარძელში ჯდომისა?

* * *

2006 წლის 3 ივლისს **გ. ხუბუას** „რეფორმებით“ აღშფოთებული, უნივერსიტეტის სავალალო პერსპექტივით სულშეძრული დიდი საბჭოს წევრები რექტორის კაბინეტში შევიდნენ – დიდი საბჭოს გადაწყვეტილება გააცნეს: **გ. ხუბუამ** უნდა დატოვოს თანამდებობა. იმ ეტაპზე ეს ისახებოდა უნივერსიტეტის გადარჩენის ერთადერთ გზად... პრინციპული და მწვავე დიალოგი გაიმართა. **გ. ხუბუასა** და მის გუნდს საპასუხო არაფერი ჰქონდათ და პოლიცია მიუსიეს ღვაწლმოსილ პედაგოგებს... მერე, როცა **გ. ხუბუა** დარწმუნდა, ვერც პოლიციის შიში გადაათქმევინებდა მათ აზრს, უჩივლა და რამდენიმე პროფესორი პროკურატურაში დაჰკითხეს, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეები (დაშინების პოლიტიკა!)... აქციები გაგრძელდა და 9 პროფესორი გაასამართლეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის („წვრილმანი ხულიგნობისათვის“!)... **ი. ჯავახიშვილის** სავარძელში ჯდომის დიდად მოსურნე **გ. ხუბუამ** და მისმა გუნდმა სასამართლოს ცრუ ჩვენება მისცეს პოფესურის წინააღმდეგ... თვითონ სასამართლო პროცესს არ დასწრებია, არადა „მთავარი მოწმე“ (თუ მომჩივანი) იყო... უნივერსიტეტის პროფესორებს ასამართლებდნენ **გ. ხუბუას** დასმენითა და ცრუ ჩვენებით და სასამართლოზე მისვლაც ვერ გაბედა...

ჰოდა, აქვს ამ კაცს მორალური უფლება ივანე ჯავახიშვილის სავარძელში ჯდომისა?..

* * *

მორალურ-ზნეობრივი პრობლემაა **გ. ხუბუასი** ისიც, რომ აპრილში დაგეგმილი იუბილე დიდი ივანე ჯავახიშვილისა დეკემბერში გადაიტანა: 5 იანვარს რექტორის არჩევნები იყო და წინასაარჩევნოდ სჭირდებოდა... აღმაშფოთებელია: ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის რექტორობის მოსურნე დიდი ივანეს იუბილეს საარჩევნო პლაკატივით იყენებს. საუბედუროდ, ჟურნალისტის შეკითხვაზე **ისიც კი ვერ უპასუხა, როდის დაიბადა ივანე ჯავახიშვილი...** დიახ, ივანე ჯავახიშვილსაც კი იმდენად იცნობს, რამდენადაც სათავისოდ სჭირდება...

და ზის თავმოწონებთ ივანე ჯავახიშვილის სავარძელში...

* * *

საზოგადოებას ატყუებს **გ. ხუბუა** მაშინაც, როცა ამბობს, „მეამბოხე პროფესორები“ ინფორმაციის უქონლობის გამო იდგნენ აქციებზეო. ისინი შეცდომაში შეიყვანეს **გ. გოგოლაშვილისნაირებმაო** (გაზეთი „ახალი თაობა“, № 297, 2006). როცა გაიგეს, რა ხდება სინამდვილეში, ზურგი შეაქციეს აქციებს და ჩვენს გვერდით დადგნენო... ჩვენ სხვის ნაცვლად არ გვინდა ვისაუბროთ, მაგრამ ის პატივსაცემი ადამიანები (ხშირად ახსენებენ პროფ. რ. სირაძისა და გ. ფარულავას სახელებს) მართლა ასეთი გულიბრყვილონი და გაუცნობიერებელნი ჰგონია **გ. ხუბუას,** რომ იოლად წამოეგებიან ანკესზე? ეს ხომ შეურაცხყოფაა მათი? ფიქრობს იგი ამაზე? თუ **გ. გოგოლაშვილისნაირები** ასე იოლად აიყოლიებენ ასეთი ადამიანებს, ეს ხომ აღიარებაა ჩვენი ძალისა? ასე ფიქრობს ხუბუა... ისე არ იქნებოდა ურიგო, ჩვენგან „შეცდომაში შეყვანილი“ პროფესორები თუ გააკეთებენ კომენტარებს, ყოველ შემთხვევაში ბოლო მაინც მოეღება მათი სახელების წარამარა ტრიალს **გ. ხუბუასა** და **მისი ცქიტიშვილისაგან** (საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი!..)... ერთს კი ვიტყვი: ერთ-ერთმა „შეცდომაში შეყვანილმა“ (აქციების შემდეგ საათობრივ ანაზღაურებაზე დათანხმებულმა პროფესორმა) საჯაროდ თქვა, სრულიად უსახსროდ დავრჩი და იძულებული ვარ, დავთანხმდე კონტრაქტსო... იცის ეს **გ. ხუბუამ,** მაგრამ ჩვევაა მისი საზოგადოების მოტყუება და აკეთებს კიდეც ასე... ისევ მორალის პრობლემა ი. ჯავახიშვილის სავარძელში მჯდომი კაცისა... და კიდევ: მასზე, ვინც არ დასთანხმდა „ხუბუას უნივერსიტეტთან“ თანამშრომლობას, გ. ხუბუას თავისი აზრი აქვს: „ისინი უნივერსიტეტს უცხადებენ პროტესტს და არა მის ადმინისტარციასო“ (8 თებერვალს თქვა „ღია ეთერში“). არა, **ამხანაგო ხუბუა,** თქვენგან განსხვავებით, ჩვენ ვიცით უნივერსიტეტის ფასი; ჩვენ ვიცით, რა არის უნივერსიტეტი და ამიტომ გავემიჯნეთ დღევანდელ ადმინისტრაციას, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, უნივერსიტეტს აღარ ერქვას უნივერსიტეტი.

ერთმა ჩვენმა კოლეგამ კონკურსში მონაწილეობა ასე გაამართლა: მინდა შიგნიდან ვიბრძოლო უნივერსიტეტის გადარჩენისათვისო. გავიდა კონკურსში ის კოლეგა და ვეღარ იბრძვის „შიგნიდან“; მოტყუვდა თუ თავი მოიტყუა, ამის გასნჯა აღარაფერს უშველის... ვიცოდით, თუ ჩვენ ბრძოლას წავაგებდით, შიგნიდან ბრძოლის საკითხი აღარ დადგებოდა. ასეც მოხდა. ადმინისტრაციას მონურ მორჩილებაში ჰყავს კონკურსგავლილი პროფესორები; გამუდმებულ შიშში, რომ გაუუქმებს კონტრაქტს (საამისო მექანიზმიც შეიმუშავა მან...)... ასე რომ, თანამშრომლობა დღევანდელ ადმინისტრაციასთან შეგუებაა უნივერსიტეტის ნგრევასთან... **იცის ეს ხუბუამ** და ამიტომაც აქტიურად გამოიყენებს ამას საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად...

ამ მორალის კაცი მშვიდად ზის ივანე ჯავახიშვილის სავარძელში...

* * *

ეს მძიმე საკითხი ამ მონაკვეთის ბოლოსათვის შემოვინახეთ:

იცის საზოგადოებამ: **გ. ხუბუა** მოვიდა უნივერისტეტში და მოადგილედ მოიყვანა ექიმი (არამეცნიერი და არაპედაგოგი) **ივანე** (ვანო) **ბოკერია; დ. კერესელიძე** დეკანად დახვდა და ძირითადად ამ ორ „ბურჯს“ დაემყარა; ისინი **გ. ხუბუას** გუნდის ყველაზე „გამორჩეული“ წევრები იყვნენ...

მოულოდნელად **ვ. ბოკერიას** უნივერისტეტი დაატოვებინეს. საჯაროდ განაცხადა გუნდისთავმა, რომ „მძიმე რეჟიმში უხდებოდა მუშაობა, გადაიღალა და დასვენება სჭირდებაო“... არ დაიჯერა ეს საზოგადოებამ. სხვა ვერსიები გამოითქვა... ჩვენ ძალიან გვიმძიმს უნივერსიტეტზე ამ ვერსიების გამეორება, მაგრამ რომ ითქვა?

მაინც ვამჯობინეთ მკითხველს გაზეთები მივუთითოთ, სადაც ეს „ვერსიები“ დაიბეჭდა: გაზეთი **„ასავალ-დასავალი“, 6-12 ნოემბერი, 2006;** გაზეთი **„ლიტერატურული საქართველო“, 29 დეკემბერი, 2006.**

კიდევ ერთხელ ვუხდით ბოდიშს ჩვენს სათაყვანებელ უნივერსიტეტსა და ქართულ საზოგადოებას ამ ვერსიების გახსენებისთვის და ვსვამთ კითხებს:

თუ ეს ყველაფერი მართალია, რა ზნეობა აძლევს უფლებას გუნდისთავს **გ. ხუბუას** უნივერსიტეტში დარჩენისას?

თუ ეს ყოველივე ცილისწამებაა, ცილისმწამებლის პასუხისგების საკითხს რატომ არ სვამენ? ძალიან კარგად ვგრძნობთ: **ხუბუას** ოდნავი თუნდაც საპროვოკაციო საბაბიც რომ ჰქონოდა, ჩინებულად იცის პროკურატურა-სასამართლოს გზა!.. გაიხსენეთ: პროფესორები გაასამართლებინა „ხულიგნობისათვის“, კაბინეტში დაუკაკუნებლად რატომ შემოხვედითო...

და ბოლო კითხვა ამ მონაკვეთისა: **ამ გუნდისთავს, ამ მორალისა და ზნეობის კაცს აქვს უფლება ივანე ჯავახიშვილის სავარძელში ჯდომისა?**

* * *

ეს მონაკვეთი აქ დავასრულოთ... ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია, სრული სურათი დავუხატოთ მკითხველს. უამრავი ფაქტი არის ამის მიღმა, რისი მოტანაც უფრო სრულყოფილად დაგვიხატავდა **გ. ხუბუას მორალურ-ზნეობრივ სახეს**... ის განაგრძობს „მოღვაწეობას“ და ასრულებს „საგმირო“ საქმეებს... დრო მოვა ამ ფაქტების სრულყოფილი აღნუსხვისა... გვაქვს ამის იმედი...

„მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“

* * *

გ. ხუბუა სარექტორო სიტყვას („თსუ სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებები“ – გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“ 2007 წ. იანვარი) ასე იწყებს: „პირველი ქართული უნივერსიტეტი დრომ ახალი მოთხოვნების წინაშე დააყენა“... **სიტყვა „ქართული“** ამ ვრცელ „დოკუმენტში“ **მხოლოდ ამ ერთხელ არის ნახსენები**...

მაინც რა არის ახალი მოთხოვნები? – ქართული უნივერსიტეტი აღარ უნდა იყოს ქართული!..

რამდენიმე ამონარიდს მოვიყვანთ ზემოხსენებული დოკუმენტიდან: „აუცილებლად უნდა **გაძლიერდეს ინგლისური ენის**, როგორც საერთაშორისო სამეცნიერო ენის სწავლება სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინსტრაციის თანამშრომლებისათვის.

უნივერისტეტში მნიშვნელოვნად **უნდა გაიზარდოს უცხოელი მასწავლებლებისა** და **სტუდენტების ხვედრითი წილი**...

უცხოენოვანი, განსაკუთრებით **ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი სასწავლო კურსების** შეთავაზება.

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის **მომზადება უცხო ენებში**“... **და არსად არის ნახსენები ქართული ქართული უნივერსიტეტის რექტორის საპროგრამო სიტყვაში**!..

არ გვიკვირს: **გ. ხუბუას** მისია უნივერსიტეტში ანტიქართულია.

კვლავ ფაქტები.

გ. ხუბუა რექტორად უნივერსიტეტში 2006 წლის 7 აპრილს მოიყვანეს. 14 აპრილს იმჟამად ახლად დაარსებული თსუ ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც ქართული ენის დღეს მიეძღვნა („ქართული უნივერსიტეტი და ქართული ენა“) არ ინება შემოსვლა... თუ არა ქართული ენისადმი დამოკიდებულება, მაშინ მცირეოდენი საბაბიც კი არ ჰქონდა ამგვარი „დემარშისა“ პიროვნულ ურთიერთობათა თვალსაზრისით...

ასე გვეგონა, მაგრამ არ ყოფილა ასე: **გ. ხუბუას** კონკრეტული მიზანი ჰქონია – პირველი ბრძანება, რომელიც რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **გ. ხუბუას,** ხელმოწერით გამოიკრა განცხადებათა დაფაზე და გამოქვეყნდა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“, იყო **ქართული ენის ინსტიტუტის**

გაუქმების ბრძანება... ცნობისათვის: იმჟამად ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე სამი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი ფუნქციონირებდა: ა) ნეოგრეცისტიკის, კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინისტიკის, ბ) რუსისტიკის და გ) ქართული ენის. 2006 წლის 29 მარტს დაიწერა ბრძანება (№ 57) კიდევ 11 ინსტიტუტის შექმნის შესახებ. ესენია:

1. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი.
2. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
3. ფილოსოფიის ისნტიტუტი.
4. მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი.
5. კავკასიოლოგიის ინსტიტუტი.
6. კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი.
7. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი.
8. ხელოვნების ინსტიტუტი.
9. აღმოსავლური ინსტიტუტი.
10. ზოგადი, შედარებითი და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
11. ევროპეისტიკა-ამერიკანისტიკის ინსტიტუტი.

ე. ი. სულ **გ. ხუბუას** ხუმანიტარულ ფაკულტეტზე დახვდა **14 ინსტიტუტი;**

გ. ხუბუამ გააუქმა ქართული ენის ინსტიტუტი; დანარჩენებს არ შეხებია.... მოტივი აბსურდული იყო – დებულებაში შეცდომა იყოო (ცხადია, კონკრეტული მითითების გარეშე... უმეტესობას დებულება საერთოდ არ ჰქონდა!..). სასამართლოს მივმართეთ. საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ, **გ. ხუბუას** მიერ არჩეულმა პროფესორმა **ე. ტყეშელაშვილმა,** სარჩელი უნივერსიტეტის საქმეებზე „დასპეციალებულ“ მოსამართლეს **თეა თადაშვილს** გადასცა და პროცესი არ შედგა (დაზარალებული არ არსებობსო... მომჩივანები დაზარალებულები არ არიანო... მატერიალური ზარალი არ მისდგომიათო!)... **ქართული ენის ინსტიტუტი გ. ხუბუამ ისტორიას ჩააბარა**.

ქართული ენა სავალდებულო საუნივერსიტეტო საგანი იყო და... აღარ არის! მართალია, ეს **გ. ხუბუამდე** მოხდა, მაგრამ **გ. ხუბუას** არაფერი შეუცვლია სასიკეთოდ...

ქართული ენას ჩაენაცვლა „აკადემიური წერა“... არსებული სილაბუსების მიხედვით ეს ლინგვისტური საგანია... ჰქონდა კიდეც დავალებული ქართული ენის კათედრას მისი წარმართვა. **გ. ხუბუას** მმართველობის დროს ეკონომიკის ფაკულტეტის 37 ჯგუფში აკადემიურ წერას სამართალმცოდნეობა ჩაენაცვლა (**გ. ხუბუას** სპეციალობა!)...

ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე აკადემიური წერის საათები ქართული ენის კათედრას ისტორიკოსებმა წაართვეს (იმჟამინდელი დეკანის ნ. ჩიქოვა-

ნის კათედრის წევრებს საათები არ ჰყოფნიდათ – ბევრნი გავიდნენ კონკურსში...) და მომავალ ფილოლოგებს წერას ისტორიკოსები ასწავლიდნენ... ისევ აბუჩად აგდება ქართულისა!..

მომავალი ფილოლოგები I კურსზე არ სწავლობენ ქართულ ენასა და ლიტერატურას...

ისევ მაგალითისათვის: კულტურის ისტორიის კათედრას ოთხი სრული პროფესორის შტატი მისცა **გ. ხუბუამ**; ქართული ენის ორ კათედრას – ერთი სრული პროფესორისა და ა. შ.

იმ გაზეთში, ქართული ენის ინსტიტუტის გაუქმების ბრძანება მე-2 გვერდზე რომ დაიბეჭდა, მესამე გვერდზე უნივერსიტეტში ინგლისურენოვანი ეკონომიკური სკოლის დაარსებაზე იყო ვრცელი საუბარი...

უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს, ი. ჯავახიშვილის მარჯვენა ხელს, ქართული ენის კათედრის პირველ გამგეს, ქართული და ქართველური ენების გამოჩენილ მკვლევარს **იოსებ ყიფშიძეს** 120 წელი შეუსრულდა. ჯერ კიდევ ყოფილი რექტორის **რ. მეტრეველის** ბრძანებით 2004 წელს შეიქმნა საიუბილეო კომისია; ვითარება შეიცვალა უნივერსიტეტში და რექტორმა **რ. ლორთქიფანიძემ,** თავის მხრივ, გამოსცა ბრძანება 2006 წლის ოქტომბერში **ი. ყიფშიძის** საიუბილეო ღონისძიებათა ჩატარებისა; ამავე საკითხზე ოფიციალურად მივმართეთ ახალმოსულ **გ. ხუბუას** 2006 წლის მაისში; პირადად დაველაპარაკეთ მის „ღირსეულ მოადგილეს“ **ვ. ბოკერიას...** ქართული ენის დიდი მოამაგე **ი. ყიფშიძე გ. ხუბუას** არ გახსენებია...

აკაკი შანიძეს – ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს, ქართული ენის მუხლჩაუყრელ მსახურს, 2007 წლის თებერვალში 120 წელი შეუსრულდა. 2006 წლის ოქტომბერში მიმართეს **გ. ხუბუას** ოფიციალურად ამის თაობაზე. არც აკაკი შანიძის იუბილე გახსენებია **გ. ხუბუას** (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 16 თებერვალს ყვავილები მიიტანა (თუ მიატანინეს) საფლავზე...).

და ეს ხდება ქართულ უნივერსიტეტში... **ამას მტრობა ჰქვია ქართული ენისა**. გვინდა შევახსენოთ **გ. ხუბუას** (თუ იცოდა ოდესმე ეს) ილიას შეგონება: „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“... არაა ეს მხოლოდ ლამაზი პოეტური ფრაზა; ეს ჭეშმარიტებაა და ამ ჭეშმარიტების დარღვევას ერი არავის აპატიებს...

ანტიქართული პოზიცია **გ. ხუბუასი** ვლინდება არა მხოლოდ ქართული ენისადმი დამოკიდებულებაში. იგივე ითქმის საქართველოს ისტორიაზეც. ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთათვის, ქართველი სპეციალისტებისათვის საქართველოს ისტორიის ცოდნა არააო საჭირო... ერთ-ერთი „რეფორმატორი“, მერე სრული პროფესორის თანამდებობებით დაჯილდოებული და აწ უკვე კულისებში გასული „მოღვაწე“, იქამდეც კი მივიდა, საქართვე-

ლოს ისტორია პარტისტორიას შეადარა: როგორც პარტისტორიის სწავლა არ იყო საჭირო, ისე არ არის აუცილებელი საქართველოს ისტორიის სწავლაო!..

სხვათა შორის, რექტორის არჩევნების შემდეგ აკადემიური საბჭოს წევრი საქართველოს ისტორიის სპეციალისტი წერს: „ბატონი გიორგის პროგრამამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა იმ თვალსაზრისით, რომ ყველაფერი იყო გათვლილი“... სწორედ ესაა უბედურება, „ყველაფერი რომ არის გათვლილი“... ოღონდ, ცხადია, არა ქართულის სასარგებლოდ.

ანტიეროვნულია ისიც, რომ ტრადიციული სპეციალობები გაქრა უნივერსიტეტიდან... და ყოველივე ეს ინათლება რეფორმის სახელით... ამ „რეფორმას“ უდგას სათავეში გ. ხუბუა... კაცი, რომელსაც დაუოკებელი ამბიცია აღმოაჩნდა პირველკაცობის და მიიღო კიდეც საჩუქრად ივანე ჯავახიშვილის სავარძელი...

„მე იურისტი ვარ“...

* * *

„მე იურისტი ვარ და“... ამბობს **გ. ხუბუა** და იწყებს მტკიცებას იმისას, რომ, რასაც აკეთებს, კანონიერია... რომ სამართლიანია მისი ყოველი ნაბიჯი... არადა, არ არის ასე. რექტორი **გ. ხუბუა** თავის იურისტობას იმისათვის იყენებს, რომ საკანონმდებლო სფეროში არცთუ ისე ცუდად ჩახედული საზოგადოება მოატყუოს, დააჯეროს უსამართლობის სამართლიანობაში...

ცხადია, მისი საქმიანობის სამართლებრივ შეფასებას ჩვენ ვერ ვიტვირთავთ, ეს სამომავლოდ პროკურატურის საქმეა (გვჯერა, დადგება ეს დროც...).

ჩვენ რამდენიმე ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას, რათა ვაჩვენოთ მკითხველს, როგორი „იურისტია“ **გ. ხუბუა;** აქვს თუ არა მას უფლება, იჯდეს ივანე ჯავახიშვილის სავარძელში...

* * *

2003 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სისტემაში „რეფორმა“ დაიწყო, რასაც ამ სფეროში დიდი წინააღმდეგობები შეხვდა. პირველი სამიზნე მეცნიერებათა აკადემია გახდა. სამინისტროს მიზანი იყო აკადემიის სისტემის დაშლა, სამეცნიერო ინსტიტუტების დამანგრეველი რეორგანიზაცია. მასობრივი წინააღმდეგობების დაძლევა სამინისტრომ ციხის შიგნიდან რღვევის პრინციპით გადაწყვიტა და მოინახა ისეთი ინსტიტუტი, უფრო სწორად, ისეთი დირექტორი აკადემიური ინსტიტუტისა, რომელმაც ზედმიწევნით შეასრულა მითითება და გავიდა აკადემიის სისტემიდან, რაც გახდა დასაწყისი აკადემიის ნგრევისა; სამინისტროსათვის ეს იყო საჩვენებელი მაგალითი და ამ მაგალითით დაიწყო ბრძოლა ერთიანი აკადემიური სისტემის წინააღმდეგ... ეს ვრცელი თემაა და აქ აღარ გავაგრძელებთ საუბარს... ვიტყ-

ვით მხოლოდ იმას, რომ ეს დირექტორი იყო **გ. ხუბუა,** ინსტიტუტი – სამართლის ინსტიტუტი... ეს გამოცდა **ხუბუამ** „წარმატებით“ ჩააბარა...

საზოგადოებას ერთ ფაქტს შევახსენებთ: 2005 წლის 2 ნოემბერს პარლამენტის კინოდარბაზში მეცნიერებათა აკადემიის შესახებ კანონპროექტების განხილვა შედგა. ორი პროექტი იქნა წარდგენილი; ერთი მინისტრმა **კ. ლომაიამ** წარადგინა, მეორე – აკადემიის საინიციატივო ჯგუფმა. აშკარა იყო უპირატესობა ამ უკანასკნელისა... მინისტრმა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს **ნ. გრიგალაშვილს** სასწრაფოდ გამოაძახებინა აკადემიის სისტემის დაშლის ერთადერთი მომხრე ინსტიტუტის დირექტორი (წინა რიგში ვიჯექი და ეს საუბარი ჩემ თვალწინ შედგა...), რომელიც დაუპირისპირა მთელ სისტემას მეცნიერებათა აკადემიისა... ეს დირექტორი იყო **გ. ხუბუა** – მორჩილი შემსრულებელი მინისტრის დავალებისა... ასეთი შემსრულებელი სჭირდება სამინისტროს და როცა საამისო საჭიროება შეიქმნა უნივერსიტეტში, აქაც **გ. ხუბუა** „გამოიძახეს... (რომ არ დაეკარგოს „დამსახურება“ მეორეც მოვიხსენიოთ – სამინისტროს დასაყრდენი ამ საქმეში, მუზეუმის დირექტორი დ. ლორთქიფანიძე).

ესეც გავიხსენოთ: დაავალეს ქ-ნ **რ. ლორთქიფანიძეს** 700-მდე შეემცირებინა უნივერსიტეტის აკადემიური სექტორი. **არ შეასრულა ქ-ნმა რუსუდანმა ეს მოთხოვნა** და გადაწყვეტილება მისი განთავისუფლების შესახებ ისე მიიღო მინისტრმა **კ. ლომაიამ,** რექტორი საქმის კურსში არ იყო (სამსახურებრივ მივლინებაში იყო უცხოეთში!). და დასვეს რექტორის სავარძელში **გ. ხუბუა,** რომელმაც ყოველგვარი მსჯელობის, განხილვის, საკითხის შესწავლისა თუ სხვათა აზრის გათვალისწინების გარეშე შეასრულა დავალება... იცოდა, რომ ირღვეოდა კანონი, მაგრამ... თუმცა მოდით, ზოგი რამ უფრო დეტალურად გავიხსენოთ.

* * *

2005 წლის ზაფხულში გამოცხადდა კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად იურიდიულ ფაკულტეტზე. საჯაროდ ითქვა, რომ კონკურსის გამოცხადება უკანონო იყო... გაზეთ „რეზონანსში“ ვრცელი ინტერვიუ დაიბეჭდა იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის **მარიამ ცაცანაშვილისა** – „უკანონო კონკურსს პროტესტი გამოვუცხადე“... ამ წერილში მოყვანილი არგუმენტების უარყოფა არავის უცდია (ვერც შეძლებდნენ, ისე აშკარა იყო კანონდარღვევები)... კონკურსი მაინც ჩატარდა... **გ. ხუბუა** ამ უკანონო კონკურსის საკონკურსო კომისიის წევრი გახლდათ... ე. ი. იურისტი **გ. ხუბუა** მხარს უჭერს და აკანონებს უკანონო კონკურსის შედეგებს...

გ. ხუბუა ამავე დროს არის მონაწილე ამ კონკურსისა, კენჭს იყრის სრული პროფესორის თანამდებობაზე და **საკუთარ თავს ირჩევს სრულ პროფესო-**

რად (და ბევრ ცნობილ სპეციალისტს, მათ შორის აკადემიკოს ლ. ალექსიძეს, „აშავებს“)... და ეს ხდება ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ცხადია, ასეთ პიროვნებას არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია ივანე ჯავახიშვილის სავარძელში ჯდომისა...

* * *

უკანონო კონკურსის საკონკურსო კომისიამ, რომლის წევრიც იყო **გ. ხუბუა,** უამრავი კანონდარღვევა ჩაიდინა (ამის თაობაზე ვრცლად იხ. **ო. მელქაძის** წერილი „რეფორმების ბუმი“ –„საქართველოს რესპუბლიკა“, № 93, 94, 2006). ჩვენ ორიოდე ფაქტს დავასახელებთ **გ. ხუბუასათვის** დამახასიათებელს. მათ დაევალათ და კანონის უხეში დარღვევით სრულ პროფესორად აირჩიეს **დ. კერესელიძე,** რომელსაც ჩვენი კანონმდებლობით არანაირი ხარისხი არ გააჩნდა. ის ფაქტი, რომ მას ჰქონდა გერმანიაში გაცემული სერთიფიკატი აკადემიური დოქტორისა, არას ნიშნავდა: ამ დოკუმენტის ნოსტრიფიკაცია უნდა მოეხდინა სწავლულ ექსპერტთა საბჭოს... იცოდა ეს **გ. ხუბუამ,** მაგრამ მას დაავალეს, **დ. კერესელიძე** პროფესორად აერჩია და არას დაგიდევთ კანონს...

ჩვენ ეს საკითხი **გ. ხუბუას** შემდეგაც დავუსვით, როცა იგი რექტორის მოვალეობის შემსრულებლად მოიყვანეს. მან მოძებნა „გამოსავალი“: **გ. ხუბუამ დ. კერესელიძის** უცხოური აკადემიური ხარისხის ნოსტრიფიკაცია მოგვიანებით სამინისტროში გააკეთებინა! არადა, იურისტმა უთუოდ იცოდა, რომ ჩვენი კანონმდებლობით ნოსტრიფიკაციის უფლება, როგორც ვთქვით, მხოლოდ სწავლულ ექსპერტთა საბჭოს ჰქონდა. **ისევ კანონდარღვევა.** კანონს არღვევს გამიზნულად – იცის, რომ ამჟამად მას ამის გამო პასუხს არ მოსთხოვენ: „კაცის კაცობა“ ამითაა „სასარგებლო“!...

სხვათა შორის, ჰუმანიტარულ ფაკულტეტთან შეხვედრაზე მან ასეთი „აღიარებითი ჩვენებაც“ მისცა: კი, ის კონკურსი, რომელშიც მე ვმონაწილეობდი როგორც კომისიის წევრი და კონკურსანტი, კანონიერი არ იყო, მაგრამ ასეთი რამ აღარ უნდა გავიმეოროთო!..

აი, ეს კაცი ზის ივანე ჯავახიშვილის სავარძელში...

* * *

იმავე კონკურსში საჭირო იყო ასისტენტ-პროფესორებად გაეყვანათ რამდენიმე პირი, რომელთაც კანონის მოთხოვნათა შესაბამისი მონაცემები არ ჰქონდათ. **გ. ხუბუა** და მისი „მეგობრები კომისიიდან“ კომისიის სხდომის ოქმით ცვლიან კანონის ნორმას(!) და ირჩევენ სასურველ (დავალებით მიღებულ) პირებს!.. **ო. მელქაძე** ზემოხსენებულ წერილში ასეთ დასკვნას აკეთებს: „შედეგად ობიექტური კონკურსის ნაცვლად მეგობრული „საარჩევნო კამპა-

ნია“ გამოვიდა – კომისიის წევრებმა ჯერ საკუთრივ და მერე ახლობლობის ნიშნით გადაანაწილეს აკადემიური თანამდებობები“.

გ. ხუბუა ამ უკანონობათა ერთ-ერთი სულისჩამდგმელია, ზემოდან მიღებულ დირექტივათა მორჩილი შემსრულებელი.

და ისევ კითხვა: ყოველივე ამის ჩამდენს აქვს უფლება ივანე ჯავახიშვილის სავარძელში ჯდომისა?.. თორემ ჯერჯერობით, სანამ „კაცის კაცის“ კაცი მაღლაა, პასუხს რომ არ აგებინებენ, ფაქტია!..

* * *

„რეფორმატორთა“ მიერ კანონი რომ ირღვევა ყოველ ნაბიჯზე, ეს საზოგადოებისათვის ცნობილი ფაქტია. ამის თაობაზე უამრავი დაიწერა. კანონდარღვევა „მაღლიდან“ არის ნაკარნახევი, შეკვეთილი. განსაკუთრებით ბევრი ითქვა უკანონო კონკურსების თაობაზე. ამჯერად შეიძლება აღარც ღირდეს იმაზე საუბარი, აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსების გამოცხადება რატომ იყო კანონდარღვევა. ამის თაობაზე არაერთგზის დაიწერა ბოლო ორი წლის მანძილზე. მარტივად შევახსენებთ მკითხველს: კონკურსების ჩატარებით დაირღვა „საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ“ შემდეგი მუხლები: 89-ე მუხლის მე-11 პუნქტი; 87-ე მუხლის მე-3 პუნქტი; 34-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტები... და არა მხოლოდ ეს მუხლები და პუნქტები. ეს საკითხები გაირჩა სასამართლო პროცესებზეც; იყო შემთხვევა, როცა სასამართლომ „ნაწილობრივ დააკმაყოფილა“ სარჩელი. უმეტეს შემთხვევაში სარჩელები გაიყინა, უზენაესმა სასამართლომ განხილვაზეც უარი თქვა, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო სარჩელი (თავსითავად ეს გამარჯვება იყო!), მაგრამ თაროზე შემოდო და ა. შ. საგულისხმოა ისიც, რომ ამ თემაზე თითქმის ყველა სარჩელი საქალაქო სასამართლოში ერთსა და იმავე მოსამართლესთან(!) მიდიოდა... თანამედროვე სასამართლოს ამბავი საზოგადოებისათვის ხუთი თითივით იცნობა.... ისიც გვინდა იცოდეს საზოგადოებამ, რომ საქალაქო სასამართლოში ერთ-ერთი პროცესის დროს, როცა უნივერსიტეტელთა საქმე განიხილებოდა, **გ. ხუბუას** თანაშემწე **მაკა ძამუკაშვილი** სასამართლოს თავმჯდომარის **ეკა ტყეშელაშვილის** კაბინეტში იჯდა და იქიდან იმართებოდა პროცესი!.. ეს არაა ჭორი... ეს ფაქტია იმის დასტური, თუ სასამართლო როგორ იცავს კანონდამრღვევებს... თვით **გ. ხუბუა** ამაყია ამით და ბედნიერი...

ისე, ისიც გვჯერა, რომ მოვა დრო, როცა ამ დარღვევებზე ისევ ალაპარაკდება საზოგადოება და კანონდამრღვევნიც პასუხს აგებენ, მაგრამ ეს მომავლის საქმეა...

„მე იურისტი ვარ“ – ამბობს **გ. ხუბუა** (ეს მისი საყვარელი ფრაზაა) და არღვევს კანონს... მას აქვს გარანტია დაუსჯელობისა და ეს მას ეამაყება... მან ძალიან კარგად იცის, რომ ირღვევა კანონი და ისიც იცის, რატომ ირღვევა.

ერთი წლის წინათ ვწერდით: „თუ კონკურსი გაიმართება ამჟამად, კონკურსის მართვა გაუიოლდება სამინისტროს: საკონკურსო კომისიის შექმნა იქნება ეს თუ საკონკურსო წესების შემუშავება. იოლი იქნება პიროვნული საკითხის გარედან გადაწყვეტაც. ყველაფერს იღონებს ხელისუფალი, რომ ყოველგვარი ობიექტურობის გარეშე მისთვის არასასურველმა პირებმა კონკურსში არ გაიმარჯვონ. ასე რომ, სამინისტრო ამ დარღვევით (კონკურსებს რომ ატარებს უკანონოდ) აირჩევს (უფრო სწორად, დანიშნავს) სასურველ პროფესურას; ამის შემდგომ მისთვის სასურველი პროფესურა აირჩევს მისთვის სასურველ აკადემიურ თუ წარმომადგენლობით საბჭოებს (ფაქტობრივ დანიშნავს); მისთვის სასურველი აკადემიური საბჭო აირჩევს (ე. ი. დანიშნავს) მისთვის სასურველ რექტორს! ესაა მიზანი – არავითარი ავტონომია; უნივერსიტეტი უნდა დაკომპლექტდეს მხოლოდ იმ კადრებით, რომლებიც ხელს აძლევს სამინისტროს“ („საქართველოს რესპუბლიკა“, № 30, 2006 წ.).

ეს არ იყო წინასწარმეტყველება; ეს იყო ლოგიკური დასკვნა იმ მოვლენებიდან გამომდინარე, რაც ხდებოდა უნივერსიტეტში... და მოხდა კიდეც ასე...

ამიტომ არის დღეს რექტორი **გ. ხუბუა...** და ამიტომაც არა აქვს მას არც მორალური და არც იურიდიული უფლება ივანე ჯავახიშვილის სავარძელში ჯდომისა...

* * *

კონკურსების ჩატარების პროცესი ცალკე თემაა. **გ. ხუბუამ** ვერ შეძლო ელემენტარული წესრიგი უზრუნველეყო და სრული ქაოსი და განუკითხაობა გაბატონდა ამ „არენაზე“. ჩვენ კონკურსში ჩარევას არც ვაპირებდით და არც გვიცდია, მაგრამ **გ. ხუბუას** თავმოწონებას კონკურსების სამართლიანად და ორგანიზებულად ჩატარების შესახებ არანაირი საფუძველი არ გააჩნია. ამის თაობაზე ბევრი დაიწერა; თუნდაც ასეთი რამ: „წინასწარ შედგენილი სიებით, „ფსევდო“ კონკურსების შედეგად „ტროიკების“ საშუალებით საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების და სამეცნიერო მიმართულებების კატასტროფული შემცირება მოხდა“... ეს ეხება გ. ხუბუას ორგანიზატორობით ჩატარებულ კონკურსებს არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო, არამედ სხვა ფაკულტეტებზეც... დაიწერა უამრავი საჩივარი კონკურსში გასული თუ უნივერსიტეტის მიღმა დარჩენილი კონკურსანტებისა. ამის გამო თქვა პარლამენტარმა **დ. ზურაბაშვილმა:** „ის, რაც დღეს უნივერსიტეტში ხდება, კანონთან არანაირ კავშირშია. ეს არის თვითნებობა“. თავის აღშფოთებას ვერ მალავს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. გრიგალაშვილი.** მას ეკითხებიან: „როგორც ვა-

ტყობ, უნივერსიტეტში ჩატარებული რეფორმით მანცდამაინც აღფრთოვანებული არ ხართ.

აღფრთოვანებული კი არა აღშფოთებული ვარ“!.. – უპასუხა რესპონდენტმა („სარკე“, № 42, 2006).

მერე რა? – არაფერი; **გ. ხუბუასათვის** პასუხი არავის მოუთხოვია; არც საქმე გამოსწორებულა... დამნაშავე დაუსჯელი რჩება; მეტიც: მას ივანე ჯავახიშვილის სავარძელი მისცეს ჯილდოდ!..

* * *

ცალკე თემაა ფინანსები. არაერთგზის დაიწერა პერსაში, ითქვა რადიოტელევიზიით: უნივერსიტეტში ფინანსური ქაოსია.

ის, რომ რექტორს პროფესორზე ოთხჯერ მეტი ხელფასი აქვს და მავან ადმინისტრატორს პროფესორზე მეტი ხელფასი, ეს უფრო მეტად მორალურ-ზნეობრივ სახეს წარმოაჩენს რექტორისას...

საქმე სხვაა. მოვიყვანთ ციტატებს გაზეთ „ქრონიკაში“ გამოქვეყნებული მასალიდან („ქრონიკა“, № 39, 2006).

– „უნივერსიტეტის ბიუჯეტი ოფიციალურად 17 მილიონი ლარი გახლავთ; მაგრამ ნურას უკაცრავად, სინამდვილეში 25 მილიონია“...

– „უნივერსიტეტიდან „ააორთქლეს“ ძვირფასი ლითონები, რომლებიც ფიზიკისა და ქიმიის ფაკულტეტებზე ლაბორატორიული დანადგარების სახით არსებობდა“...

– „უნივერსიტეტი სპონსორობას უწევს საეჭვო ღონისძიებებს, აფინანსებს არარსებულ ექსპედიციებს“...

– „ცალკე საუბრის თემაა ავტოფარეხი, რომელიც იჯარით გახლავთ გაცემული, მაგრამ შემოსავალი სად მიდის, სულ რამდენიმე კაცმა იცის“...

– ფინანსური დარღვევებისათვის გაგდებული **ბოკერია** „ამჟამად სამკურნალო კომბინატის სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც გახლავთ, ე. წ. მიხეილის საავადმყოფოშიც მუშაობს და, სხვათა შორის, ამ უკანასკნელს უნივერსიტეტიდან არალეგალური თანხით აფინანსებდა“...

– „კონკურსებამდე ოფიციალურად კათედრებიც არ იყო გაუქმებული, გამგეებზე დანამატები იწერებოდა, მაგრამ თანხას არავინ ღებულობდა. ესეც „მოტეხილ“ ფულს უნდა მივათვალოთ“...

– „**ხუბუას** რატომ გაექცა აუდიტის სამსახურის მთელი შემადგელობა“?

– „ხ**უბუას** „მოღვაწეობის“ 5 თვის მანძილზე რატომ შეიცვალა ფინანსური სამსახურის ოთხი ხელმძღვანელი“? და მისთანანი.

ეს შეკითხვები საჯაროდ დაისვა; პასუხი არ გასცემია... წაუყრუეს – **წაყრუება ასეთ შემთხვევაში მომგებიანი პოზაა** – ვითომც არ თქმულაო...

საჯაროდ მივმართეთ კონტროლის პალატას, ოფიციალური მიმართვაც გაეგზავნა... არავინ დაინტერესებულა... უნივერსიტეტში კი ცხოვრება ჩვეული უკანონო გზით მიდის.

გ. ხუბუა ყოველივე ამ დანაშაულს გამიზნულად სჩადის და ამაყობს კიდეც: „მე მივხვდი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც შინაგანად გწამს და გჯერა, რომ ის, რაც კეთდება – არის აუცილებლად გასაკეთებელი“. და ამ „გაკეთებულისათვის“ მას რომ ერთხელ პასუხი მოეთხოვება, ამაზე აღარ ფიქრობს... და ჯერჯერობით მშვიდად ზის ივანე ჯავახიშვილის სავარძელში...

* * *

ყველა კანონდარღვევა, რომელსაც **გ. ხუბუა** სჩადის, წინასწარგამიზნული და წინასწარგანზრახული რომ არის, ამის კიდევ ერთი დასტური: მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს პროფ. **თ. ხომერიკის** წერილიდან:

„თსუ აკადემიური საბჭოს არჩევა მოხდა კანონდარღვევით, რადგან:

1. შეიზღუდა ასოცირებული პროფესორების მონაწილეობა (საარჩევნო კომისიასთან გამოკრულ განცხადებაში კანდიდატისაგან მოითხოვდნენ სრული პროფესორის ცნობის წარდგენას). 18 სექტემბერს ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან შეხვედრაზე თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **გ. ხუბუამ** ჩვენს კითხვაზე, რომ საქართველოს განათლების მინისტრის 2005 წლის 26 დეკემბრის № 721 ბრძანებაში მართალია წერია, რომ აკადემიურ საბჭოში შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ პროფესორი, მაგრამ 2006 წლის 17 მარტის უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესული ცვლილებით (მე-20 მუხლის პუნქტი 3) „აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი, გარდა ასისტენტ-პროფესორისა“, გვიპასუხა, რომ **მინისტრის ბრძანების კერძო მოთხოვნა უფრო მაღლა დგას, ვიდრე კანონის ცვლილების მოთხოვნა** და არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ სრულ პროფესორს. ნორმირებული აქტების შესახებ კანონი კი გვეუბნება, რომ უფრო მაღალი იერარქიის და ბოლოსგამოცემული საკანონმდებლო აქტი სარგებლობს უპირატესობით; ხოლო კანონის მოთხოვნათა განხორციელებისადმი ხელისშეშლისათვის ადმინისტრაციული პირის ქმედება (ამ შემთხვევაში რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ქმედება) დასჯადია“... აღარ გავაგრძელებთ...

მიაქციეთ ყურადღება: „მაღალი რანგის პროფესიონალი“, სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, უნივერსიტეტის სრული პროფესორი **გ. ხუბუა** ამბობს: **„მინისტრის ბრძანების კერძო მოთხოვნა უფრო მაღლა დგას, ვიდრე კანონიო“**...

ასე რომ, **გ. ხუბუას** მიერ ჩადენილი ყველა კანონდარღვევა წინასწარგანზრახულია და ხვალ თუ ზეგ პასუხიც ამისათვის უნდა მოეთხოვოს მას... არათუ ივანე ჯავახიშვილის სავარძელში იჯდეს მშვიდად...

* * *

ის, რაც ახლა მოგახსენეთ, თითქოსდა არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ქვემოთ გეტყვით. მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს გაზეთიდან „ქრონიკა“ (№ 9, 2007 წ.):

„გია ხუბუას ოთხიოდე წლის წინათ დაწერილ ნაშრომში **„ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა სტატუსი და სწავლება“**, იმდენი საინტერესო მოსაზრება აღმოვაჩინეთ, ყველა მათგანზე საუბრით არ გადავღლით „ქრონიკის“ მკითხველს. ჩვენ მხოლოდ ამ ნაშრომის „მარგალიტზე“ შევაჩერებთ ყურადღებას, სადაც ბატონი რექტორი ერთ-ერთ თავს – **„ხელისუფლებისადმი ლოიალობა“** – ასე განმარტავს: **„ხელისუფლებისადმი ლოიალობა უნდა განისაზღვროს ზემდგომი უფროსისადმი. ერთგულების მოთხოვნაც პერსონალური ერთგულების გამოვლინების ერთ-ერთი ფორმაა; მაგალითად, ზემდგომი თანამდებობის პირისადმი მორჩილების ვალდებულება. მორჩილების ვალდებულება გულისხმობს, რომ უნდა შესრულდეს ზემდგომი თანამდებობის პირის კონსტიტუციის საწინააღმდეგო მითითებებიც**“...

ქართული რომ არ იცის, ამჯერად ამას ნუ მივაქცევთ ყურადღებას. არსებითია ის, რომ „მაღალი რანგის იურისტის“, თსუ სრული პროფესორის, თსუ რექტორის, დიდი ივანე ჯავახიშვილის სავარძელში მჯდომი **გ. ხუბუას** აზრი არის ეს: **„უნდა შესრულდეს ზემდგომი თანამდებობის პირის კონსტიტუციის საწინააღმდეგო მითითებებიც“**. გ. ხუბუას რომ იუმორის გრძნობა ჰქონდეს („ღამის შოუს“ მაყურებელი დარწმუნდა ამაში!..), ვიფიქრებდით, იხუმრაო...

ამგვარი აზროვნების კაცისაგან აღარ გვიკვირს მონური მორჩილება სამინისტროსადმი, მისი ყველა უკანონო და უსამართლო დავალების თვალდახუჭული აღსრულება!..

აი, ეს კაცი ლექციებს უკითხავს მომავალ იურისტებს, სამართალმცოდნეებს... დამნაშავეა, ვისაც შეუძლია კონსტიტუციას ასე მოეპყრას... როგორ ფიქრობთ, კანონის, სამართლის, კონსტიტუციის ასე აბუჩად ამგდებს აქვს სტუდენტებთან ლექციებზე შესვლის უფლება? დიდი ივანე ჯავახიშვილის სავარძელში ჯდომის უფლება?..

* * *

საზოგადოებას კარგად ახსოვს 2006 წლის 3 ივლისის მოვლენები. გადაიცა ყველა ტელევიზიით, თითქმის ყველა გაზეთი აშუქებდა იმ ღამით სააქტო დარბაზში შექმნილ ვითარებას. გადაღებულია ვიდეოკასეტაზე... ადვოკატმა **თ. გვიშიანმა** პროკურატურაში შეიტანა საჩივარი **გ. ხუბუას** წინააღმდეგ, რომელმაც ჩაკეტა და უკანონო პატიმრობაში ამყოფა ასობით ადამიანი, დაარღვია მათი უფლებები...

ცინიკურ კომენტარებს აკეთებდა **გ. ხუბუა,** რადგან იცოდა, რომ დღევანდელი პროკურატურა ამ საჩივარს არც განიხილავდა და ასეც მოხდა. ისე შეწყვიტა პროკურატურამ ძიება, დაკითხვები არც ჩაუტარებია... და ზეიმობს გამარჯვებას **გ. ხუბუა...** ესეც დროებითია, უნდა იცოდეს „სამართალმცოდნემ“.

* * *

იურიდიულად უსამართლოა ისეთი სპეციალობების გაუქმება, რომლებზეც თავის დროზე მიღება იყო გამოცხადებული და სტუდენტები ჩაირიცხნენ: ისწავლეს I-II კურსის მანძილზე და III-IV კურსებზე გაუუქმეს არჩეული სპეციალობა...

ამით იგი უხეშად არღვევს და უგულებელყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებს (ან ცინიკურად უსვამს ხაზს იმას, რომ ხუბუას უნივერსიტეტი დედაუნივერსიტეტის სამართალმემკვიდრე არ არის).

გ. ხუბუას რაც უნდა, იმას აკეთებს, იმიტომ რომ დაუსჯელობის გარანტია აქვს მიცემული „პატრონისაგან“...

* * *

2006-2007 სასწავლო წლის პირველი სემესტრი დაიწყო ოქტომბერში, II სემესტრი იწყება მარტში... სასწავლო პროცესი (ისიც კი, რაც არსებობს) განუკითხავად მოკლდება... ვინ ზარალდება? ცხადია, სტუდენტი, მაგრამ სტუდენტი ვიღას ახსოვს?!

თითქმის ორი წელია გაუქმებულია ძირითადი სტრუქტურული ერთეულები – კათედრები; ახალი არ შექმნილა. სასწავლო პროცესებზე პასუხისმგებელი იურიდიული პირი არ ჩანს. კატასტროფულად გამსხვილებული ფაკულტეტების დეკანატები პროცესებს თავს ვერ ართმევენ... სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ ცხრილებიც კი არ იყო შედგენილი... ამიტომაც დაგვიანდა სწავლის დაწყება... და ამას ეწირება სტუდენტთა ინტერესები. ყოველივეს მშვიდად ადევნებს თვალს **გ. ხუბუა,** აუქმებს ქართული ენის ინსტიტუტს, როგორც საფაკულტეტო სტრუქტურულ ერთეულს და ამაყობს „რეფორმით“ – მართვადი ქაოსით. ეს დანაშაულიც ემატება დანაშაულთა რიცხვს...

* * *

დანაშაულია ისიც, სასამართლო პროცესებზე თსუ იურიდიული სამსახურის წარმომადგენლებს სიცრუის მტკიცებას რომ ავალებს გ. ხუბუა. ქართული ენის ინსტიტუტის გაუქმების თაობაზე გამართული პროცესის შემდგომ თავიანთ მასწავლებლებს **ა. არაბულსა და გ. გოგოლაშვილს** დაპირისპირებული ახალგაზრდა იურისტები (იურიდიული დეპარტამენტის თანამ-

შრომლები, რომელთაც უნივერსიტეტის ინტერესების დაცვა დაევალათ) ბოდიშს იხდიდნენ, რა გვექნა, ასე დაგვავალესო...

ახალგაზრდა იურისტების ბიძგება კანონდარღვევისაკენ **გ. ხუბუას** მხრიდან არა მხოლოდ მორალურ-ზნეობრივი დანაშაულია... და ყოველივე ამას ივანე ჯავახიშვილის სავარძელში მჯდომი „იურისტი“ **გ. ხუბუა** სჩადის...

დასასრული

ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია იმისა, რომ უნივერსიტეტის დღევანდელი უბედურება სრულად აღვწერეთ. არა, ეს, რაც ვთქვით, ზღვაში წვეთია. ისიც საგულისხმოა, რომ პროცესი გრძელდება და კიდევ რას მოიმოქმედებენ „რეფორმატორები“, ეშმაკმა უწყის...

სიტყვა არ გვითქვამს საკადრო პოლიტიკაზე – ვინ დაიყენა **ხუბუამ** გვერდით, ვის ვინ ჩაანაცვლა; სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე; სასწავლო პროცესებზე... ეს ცალკე თემებია.

ისტორია იმისა, თუ როგორ „კლავდნენ და არ კვდებოდა“ უნივერსიტეტი, დაიწერება...

შევახსენებთ „ახალ ბერბიჭაშვილებს“, რომ „ძველმა ბერბიჭაშვილებმა“ ერთხელ უკვე მოუწყვეს „წიწამური“ ქართულ უნივერსიტეტს, მაგრამ აღდგა მკვდრეთით... ასე იქნება ამჯერადაც, თუმცა...

უბედურება ისაა, რაც ამ მოკლე პერიოდში დაინგრა, ათეული წლები დასჭირდება იმის აღდგენას. არადა, აღდგება. არაერთი ტაძრის ისტორია ვიცით, როგორ ანგრევდნენ, მაგრამ მაინც ხერხდებოდა აღდგენა... ქართული უნივერსიტეტი XX საუკუნის უპირველესი ტაძარია და მის დანგრევას ერი არ დაუშვებს... ჯერჯერობით კი ხნავს აღმართს ძალა, მაგრამ...

თუმცა დაველოდოთ მომავალს. დღეს კი ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ **გ. ხუბუამ** სერიოზული განაცხადი გააკეთა **ბერბიჭაშვილობაზე** (გაიხსენეთ: **ბერბიჭაშვილი 35 წლის შემდეგ გაასამართლეს!..** ესეც ნიშანდობლივია...); მან ძალიან შორს შეტოპა იმ მორევში, რომელშიც განათლების სამინისტრომ შეაგდო ხელისკვრით... არაა ის კაცი **გ. ხუბუა,** უკან გამოცურვა რომ შეძლოს... ამას ვაჟკაცობა სჭირდება...

ჩვენ გულწრფელად თანავუგრძნობთ **ხუბუასა** და **მისნაირების შთამომავლობას,** საუკუნო სირცხვილისათვის რომ გაწირა მათმა „ღირსეულმა“ წინაპარმა...

P. S. როცა თ. ღლონტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს (1926 წელს), **მიხეილ ჯავახიშვილს** უბის წიგნაკში ჩაუწერია: „1921 წელს თედო ღლონტი სტუდენტად არ მიი-

ღეს, რადგან სწავლის სტაჟი არ ჰქონდა (სამოქ. სკოლა). დღეს კი, 22/VI რექტორად აირჩიეს“ (უბის წიგნაკიდან, 2005, გვ. 124).

მეორე „სახელოვანი“ რექტორის შესახებ ჩაუწერია: „ტიპი – კარლო ორაგველიძე – ულტრა იეზუიტი, ყველას ბადეს უქსოვს და ღუპავს. ეს არის მისი ერთადერთი ხელობა და სიცოცხლე. ჯერ მისი ღიმილი არავის უნახავს. ადამიანი ტირის და იცინის; პირუტყვიც ტირის, მაგრამ არ იცინის“ (იქვე, გვ. 336).

დღეს მ. ჯავახიშვილი რომ ცოცხალი ყოფილიყო, იტყოდა: „გასამდა“...

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“
30 მარტი, 6 აპრილი, 2007.

ჯავახიშვილის უნივერსიტეტი თუ ხუბუას დაწესებულება?

ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი გ. ხუბუას დაწესებულებად გადაიქცა. **ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტსა და ხუბუას დაწესებულებას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც დიდ ივანე ჯავახიშვილსა და გ. ხუბუას შორის.**

არადა, ჯობდა ქართული უნივერსიტეტის მტრებს დაეხურათ უნივერსიტეტი ისევე, როგორც დახურეს ახალქალაქის ფილიალი თბილისის უნივერსიტეტისა და სხვა... რატომ? მოდით, იაკობ გოგებაშვილის ნაამბობი გავიხსენოთ და მივხვდებით:

„თორმეტიოდე წლის წინად მზრუნველმა იანოვსკიმ ამგვარი წინადადება მომცა: ჩვენი სკოლების მთავარი მიზანი რუსულის ენის გავრცელებაა აქაურ მცხოვრებთა შორის; ამ მიზანს, სხვათა შორის, აბრკოლებს სიფართოვე თქვენის „დედა-ენისა", რომელიც დიდ დროს ითხოვს თვისი გათავებისათვის. ქართული წერა-კითხვის შესწავლა ძალიან ადვილია, და სრულიად საჭირო არ არის დიდი სახელმძღვანელო. საბჭოში გვქონდა ამის შესახებ მსჯელობა და შემდეგ დასკვნამდინ მივედით: მოგცეთ წინადადება: ერთი-ორად შეამოკლოთ „დედა-ენა" და გვერდში, პარალელურად, ამოუყენოთ რუსული თარგმანი. ამ გზით ქართული ენაც შეისწავლება და რუსული ენაც წინ წავა. გაძლევთ ერთ კვირას მოსაფიქრებლად. თუ არ დაგვეთანხმებით, საბჭო თვითონ გამოსცემს სახელმძღვანელოს და ნურას უკაცრავად, თუ თქვენი „დედა-ენა" გაირიყება... მე ამაზე კატეგორიული უარი განვუცხადე და ვთქვი: **ახლანდელი სახით დამარხული „დედა-ენა" მკვდრეთით შეიძლება მალე აღდგეს; მაგრამ დამახინჯებული კი საუკუნოდ მკვდარი დარჩება-მეთქი"** (ი. გოგებაშვილი, ტ. IV, 1955, გვ. 439).

იაკობის ამ აზრს ვითვალისწინებდი, როცა ვთქვი, ჯობდა დაეხურათ-მეთქი უნივერსიტეტი: **ხუბუას დაწესებულებად დამახინჯებული უნივერსიტეტის გასწორება გაცილებით უფრო მძიმე და ძნელი პროცესი იქნება, ვიდრე აღდგენა მკვდარი უნივერსიტეტისა!..**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა",
7 თებერვალი, 2009.

ტყუილი გ. ხუბუას პროფესიულ ჩვევად გადაექცა

ამას წინათ **გ. ხუბუას** ინტერვიუ გამოქვეყნდა (გაზეთი **„თავისუფალი სიტყვა“, 27 აპრილი, 2009, № 3**). შეიძლებოდა ამისთვის ყურადღება არ მიმექცია, მაგრამ ცუდად მენიშნა: ავი საქმის საკეთებლად ძალამოცემულად წარმომიდგა... თითქოსდა მინელდა მის მიმართ პრესისა და საზოგადოების ყურადღება და ისევ წამოყო თავი... მთავარია: რაც ჩაიდინა (ნგრევა ქართული უნივერსიტეტისა, მისი ღირსების შელახვა), იმას ამართლებს და ამაყობს კიდეც! და არსებითი ისიცაა, ტყუის უსაშველოდ... ამიტომაც ჩავთვალე საჭიროდ, გამოვეხმაურო ამ ინტერვიუს, კიდევ ერთხელ გამოვიტანოთ საზოგადოების სამსჯავროზე ხუბუას „საქმენი“.

* * *

გ. ხუბუას 2006 წლის ზაფხულის მოვლენები შეახსენა ჟურნალისტმა. **გ. ხუბუას** პასუხიდან: ამის გამო „სინდისის ქენჯნა მე აბსოლუტურად არ მაწუხებსო“. – ერთადერთი ამაში შეიძლება დავეთანხმო ხუბუას: მას ნამდვილად არ აწუხებს სინდისის ქენჯნა (არა მგონია, ვინმემ იკითხოს, რატომო...), ეგ კარგა ხანია ვიცით...

ხუბუა წერს: „მე, უნივერსიტეტის რექტორს, მომიწია უნივერსიტეტში წესრიგის დასაცავად მიმემართა პოლიციისათვის, სხვა ალტერნატივა მე უბრალოდ არ დამიტოვეს... საკითხი იდგა ულტიმატუმის სახით, რომ უნივერსიტეტის ალტერნატიულმა საბჭომ, რომელსაც არანაირი ლეგიტიმაცია არ ჰქონდა, აირჩია სხვა რექტორი და მე ვადაც კი მომცეს, 10 წუთის განმავლობაში დამეტოვებინა უნივერსიტეტი“...

ხუბუა ისე წარმოაჩენს, თითქოს ერთხელ (2006 წლის 3 ივლისს), ისიც იძულებით, შემოიყვანა უნივერსიტეტში პოლიცია. არადა, 3 ივლისს მესამედ მოხდა უნივერსიტეტში პატრულის შემოყვანა! გ. ხუბუამ პოლიცია უნივერსიტეტში პირველად 2006 წლის 19 ივნისს შემოიყვანა, მეორედ – 2006 წლის 20 ივნისს... შევახსენებ ხუბუას ამ დღეებს:

2006 წლის 19 ივნისს უნივერსიტეტის **დიდმა სამეცნიერო საბჭომ** (და **არა ალტერნატიულმა საბჭომ,** როგორც ამას ხუბუა წერს!), რამდენიმე მოთხოვნა წაუყენა (ძირითადად უკანონო კონკურსებს ვაპროტესტებდით). ხუბუასთვის არ აღმოჩნდა მისაღები ჩვენი მოთხოვნები; დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ დაგვთანხმდა შეხვედრაზე; რამდენიმე პროფესორი მი-

გვიღო; საუბარი 2-3 საათს გაგრძელდა; გვთხოვა, მოსაფიქრებელი დრო მომეცითო. შეხვედრა მეორე დღისათვის გადაიდო. საბჭოს წევრებმა გადაწყვიტეს, საბჭოს სხდომათა დარბაზში დარჩენილიყვნენ და დალოდებოდნენ დიალოგის შედეგებს... არავითარი ხმაური, არავითარი ვნებათაღელვა. რექტორატმა მოითხოვა დარბაზის დაცლა, რაზეც უარი მიიღო... ყველასაგან მოულოდნელად პოლიცია გამოიძახა და ხელგადაგრეხილი პროფესორები გამოგვყარეს უნივერსიტეტიდან... ეს კადრები აჩვენა თითქმის ყველა ტელევიზიამ, გააშუქა თითქმის ყველა გაზეთმა...

მეორედ პოლიცია **ხუბუამ** მომდევნო დღეს, 20 ივნისს, შემოიყვანა. წინა დღის შეთანხმების თანახმად შევხვდით რექტორს. როგორც აღვნიშნე, ჩვენი მთავარი მოთხოვნა უკანონო კონკურსების შეჩერება იყო. **ხუბუამ** განგვიცხადა, კონკურსები ჩატარდება, ვისაუბროთ სხვა საკითხებზეო. ჩვენ დავტოვეთ რექტორატი; დიალოგი არ შედგა. ამის შემდეგ სააქტო დარბაზში საბჭოს ღია სხდომა გაიმართა; მიმართვა გაეგზავნა ხელისუფლებას; ვითხოვდით, რეფორმა კანონის ფარგლებში მოქცეულიყო. გადაწყდა, სხდომის შემდეგ დარბაზი არ დაგვეტოვებინა, დავლოდებოდით პასუხს. რამდენიმე ათეული პროფესორი საღამოს ტელევიზორს უყურებდა; ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე საღამოს ათი საათისათვის უნივერსიტეტში კვლავ შემოიყვანეს პოლიცია და ისევ ძალით გამოყარეს გარეთ პროფესორები. ეს კადრებიც ნახა საქართველომ... ხუბუას არ შეიძლება ეს არ ახსოვდეს, მაგრამ იურისტია და ამ თავისი სიცრუით ახალ დოკუმენტს ქმნის, რომელსაც მერე დაიმოწმებს...

ასე რომ, ხუბუას რომ წასვლა მოსთხოვა დიდმა სამეცნიერო საბჭომ, ამ მოვლენების შემდეგ იყო, 3 ივლისს. ერთი დეტალიც: ხუბუა წერს, წასვლა მომთხოვა ალტერნატიულმა საბჭომო. მან ან არ იცის უნივერსიტეტის უახლესი ისტორია, ანდა ტყუის მიზანმიმართულად (მე მჯერა, რომ ასეა); **იმჟამად უნივერსიტეტში აქტიურად მუშაობდა ორი ლეგიტიმური საზოგადოებრივი ორგანიზაცია: „საუნივერსიტეტო დარბაზი“ და „ალტერნატიული საბჭო“...** და, რაც მთავარია, **ამოქმედდა უკანონოდ შეჩერებული დიდი სამეცნიერო საბჭო!...** სწორედ ამ საბჭომ გამოუცხადა უნდობლობა და მოსთხოვა უნივერსიტეტიდან წასვლა ხუბუას. დიდი სამეცნიერო საბჭო რომ ლეგიტიმური იყო, ამის შესახებ ბევრი ითქვა; კუბლაშვილ-ტყეშელაშვილის სასამართლოში სამართალი ვერ ვიპოვეთ.

ტყუის **ხუბუა,** როცა ამბობს: „მაშინ ვინც შემოიჭრა კაბინეტში, მანამდეც მქონდა საუბარი რამდენიმე საკითხზე. თითქმის შეთანხმებულიც კი ვიყავით“. ჯერ ერთი: რას ნიშნავს შეჭრა? III სართულზე, 107-ე აუდიტორიაში ჩავატარეთ საბჭოს სხდომა; მივიღეთ გადაწყვეტილება, ჩავედით პირველ სართულზე, ჯ. მებონიამ მდივანს ჰკითხა, რექტორი თუ იმყოფე-

ბაო კაბინეტში და შევედით მასთან... მეორეც, როგორც აღვნიშნე, მანამდე შეხვედრა კი გვქონდა ხუბუასთან, მაგრამ არანაირი შეთანხმება არ მომხდარა... რა იყო უკანონო: სამუშაო საათებში უნივერსიტეტის პროფესორები შევიდნენ უნივერსიტეტის რექტორთან... თუ ამას ახლდა ვნებათაღელვა, ხალხმრავლობა, როგორც უნივერსიტეტის ეზოში, ისე ფოიეში, ამასაც ჰქონდა ობიექტური საფუძველი: ათას რვაასი უმუშევრად დარჩენილი მეცნიერ-თანამშრომელი, რვაასამდე შემცირებული საშტატო ერთეული (4500-დან) პროფესორ-მასწავლებლისა, გაუქმებული კათედრები და სხვა... იცის ეს ყოველივე ხუბუამ მაგრამ...

ტყუის ხუბუა მაშინაც, როცა ამბობს „ეს სამწუხარო ინციდენტი არ გაგრძელებულა დიდხანს (პოლიციამ უნივერსიტეტი რამდენიმე დღეში დატოვა)“. **თითქმის ორი თვის განმავლობაში,** კონკურსების დამთავრებამდე, **უნივერსიტეტის შენობაშიც და ეზოშიც პოლიცია იდგა.** უნივერსიტეტში შესასვლელი საგანგებო საშვიც კი დაუშვეს „სანდო თანამშრომლებისათვის“.

ხუბუას, როგორც ჩანს, შინაგანად არ ასვენებს ჩადენილი დანაშაული და ხშირ-ხშირად იმართლებს თავს: „უნივერსიტეტი არ უნდა აიძულო, მიმართოს უკიდურეს ღონისძიებასო“. ვთქვათ და 3 ივლისს ხმაური იყო, რით „აიძულეს“ 19 ივნისს? 20 ივნისს? ფაქტი ერთია: **ეს იყო დაშინების პოლიტიკა. ხუბუა-ლომაიასთვის უკანონო ქმედებებში ხელი რომ არ შეგვეშალა, პოლიციით დაგვაშინეს.** ისიც გავიხსენოთ, ერთი ცნობილი პროფესორი როგორ ჩაასმევინა ციხეში ხუბუამ რექტორობის პირველივე დღეებში... დაშინების ამ მეთოდმაც რომ არ გაჭრა, მერე გვიჩივლა და ე. ტყეშელაშვილის სასამართლოში ხულიგნობისთვის გაასამართლებინა ცხრა პროფესორი!..

ყოველგვარ ზღვარს სცდება ხუბუას საუბარი 2006 წლის 3 ივლისის საღამოსა და ღამის მოვლენების შესახებ. ემწვავა ხუბუას ჟურნალისტის კითხვა: „ერთია, რომ უნივერსიტეტში პოლიცია შემოიყვანეთ და მეორეა, როცა პროფესურას კარები აუჭედეთ და ელემენტარულად საპირფარეშოში გასვლის საშუალება არ მიეცით. **ეს ყოველთვის სამარცხვინო ლაქად შემორჩება თქვენს ბიოგრაფიას,** თუ არ ახსნით, რეალურად რა მოხდა მაშინ? ვინ გადაწყვიტა პროფესორების ჩაკეტვა დარბაზში და მათთვის წყლის მიწოდების უფლების შეზღუდვა? როგორ დაუშვით ეს?“

ამ კითხვაზე ხუბუას ნერვებმა უღალატა: „ეს არის ტყუილი! აბსურდული ბრალდება! არავის არავისთვის კარი არ აუჭედია, წყალი არ გადაუკეტია და არავინ გამოუკეტია უნივერსიტეტში!“ საოცრებაა, როგორ „გმობს“ ხუბუა მსგავს მოქმედებას: „ან როგორ შეიძლება დაიჯეროს ვინ-

მემ, რომ შენს უნივერსიტეტში შენს საკუთარ კოლეგებს და პროფესურას მოექცე ასე. ეს, ცხადია, თავშიც არავის გაუვლია“.

არადა, იმ ღამით ჩვენთან ერთად იყვნენ ყველა ტელევიზიის, გაზეთებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. 4 ივლისის დილიდან მოყოლებული ყველა საინფორმაციო პროგრამა, ყველა გაზეთი ამაზე საუბრობდა... იცის ეს ხუბუამ, მაგრამ მაინც ტყუის... იურისტის ლოგიკას უყურეთ; „დარბაზში საპირფარეშო და სველი წერტილები წლების განმავლობაში არ არსებობდა და შესაბამისად, ვერც ვერავინ მოახერხებდა წყლის გადაკეტვას“... აღმოჩენა გააკეთა – მაყურებელთა დარბაზში ტუალეტი და წყალი სად ყოფილა, უნივერსიტეტში რომ ყოფილიყო? საქტო დარბაზიდან კარი რომ დერფანში გადის, სადაც წყლის ფანტანია და დერეფნის ბოლოს – ტუალეტი, ეს არ იცის ხუბუამ?.. საღამო ასე დაიწყო: პოლიციას დერეფანში გასასვლელი კარი რომ არ ჩაეკეტა, ჩამოვხსენით; დამატებითი ძალები გამოაძახებინა ხუბუამ და პოლიციამ შტურმით „აიღო“ სააქტო დარბაზის ფოიე. ნახა საქართველომ ეს კადრებიც... სააქტო დარბაზის გვერდითი დერეფნების ფანჯრები გავაღეთ, დარბაზში შეკრებილ რამდენიმე ათას ადამიანს სუნთქვა რომ შეძლებოდა. პოლიციამ საგამოფენო სტენდებით ამოქოლა ეს დერეფნები... ესეც ნახა საქართველომ და ესეც იცის ხუბუამ... მაგრამ აღიარებას და ბოდიშს სიცრუე ურჩევნია...

იქნებ ესეც დაავიწყდა: ხუბუას ტელეფონის ნომერი პოლიტიკოს იოსებ შატბერაშვილს მივეცი. დაურეკა, ასეთ რაიმეს როგორ აკეთებო. ხუბუას პასუხი: პოლიტიკოსებმა აუბნიეთ მაგათ გზა და თქვენს თავს დააბრალეთო... ეს აღიარება იყო იმისა, რაც ხდებოდა, ყოველივეს საქმის კურსში იყო ხუბუა...

დარბაზში არავინ ჩაგვიკეტავსო, „დარბაზს ორი გასასვლელი აქვს, რომლებიც ღია იყოო“. ისევ ტყუილი: ღია იყო მხოლოდ ერთი უკანა გასასვლელი, რკინის ვიწრო კიბეზე ჩასასვლელი ისიც ცალმხრივი მოძრაობისა – პოლიცია დარბაზის მიმართულებით არავის ატარებდა... უნივერსიტეტიდან პროფესურის გაყრის ეს საშუალებები მოიფიქრა ხუბუამ... რომ ჰკითხო, შეკრებისა და თავისუფალი სიტყვის უფლება აქვთო პროფესორებს!

ის კადრებიც არ უნახავს **ხუბუას,** თოკით რომ წყალი ამოგვქონდა დარბაზში და პოლიციამ თოკები რომ გადაჭრა?

ხუბუამ ისიც იცის, ცხადია, ადვოკატმა **თ. გვიშიანმა** ამ ამბების გამო სარჩელი რომ შეიტანა პროკურატურაში **ხუბუას წინააღმდეგ...** იმაზე რა კომენტარს გააკეთებს იურისტი ხუბუა, პროკურატურას რომ არავინ დაუკითხავს და არ დასტურდება ეს ბრალდებაო – გამოაცხადეს. არ ფიქრობს იურისტი ხუბუა, რომ ოდესმე შეიძლება გვეღირსოს ნორმალური

პროკურატურა და სასამართლო? მან უნდა იცოდეს, რომ ჩვენი არქივი ძალიან მდიდარია: თითქმის ყველა ვიდეომასალა, საგაზეთო წერილები თუ სხვა დოკუმენტები შენახული გვაქვს...

ამ (და კიდევ უამრავი) დანაშაულის ჩამდენი ხუბუა ცინიკურად კითხულობს: „როგორ შეიძლება ნორმალური ფსიქიკის ადამიანმა დაუშვას ასეთი რამ?“ ვეთანხმებით, **ნორმალური ფსიქიკის ადამიანმა არ შეიძლება ასეთი რამ ჩაიდინოს...**

პირადად მე პასუხს ვაგებ ყველა ჩემს სიტყვაზე; რაც მოგახსენეთ, არაერთგზის ითქვა და დაიწერა; ეს რომ ტყუილი ყოფილიყო, ხუბუას არ დაუშლიდა სინდისი და აქამდე გვიჩივლებდა კუბლაშვილის სასამართლოში (შევახსენებ მკითხველს, რომ **ხუბუა** უნივერსიტეტში **ლომაიამ** და **კუბლაშვილმა** მოაცილეს; **კუბლაშვილის** თანხლება გაფრთხილება იყო – სასამართლო **ხუბუას** გვერდით დგასო!..)...

* * *

ტყუილი **ხუბუას** პროფესიულ ჩვევად გადაექცა. ერთი მაგალითიც ამ ინტერვიუდან: „უნივერსიტეტის გაზეთი არის აბსოლუტურად თავისუფალი და მერწმუნეთ, უნივერსიტეტში არანაირი ცენზურის აპარატი არ მუშაობს“. ვის ჯერა ეს? **ხუბუას** შეუძლია დაასახელოს თუნდაც ერთი პუბლიკაცია, რომელიც უნივერსიტეტში 2005-2006 წლებში მიმდინარე მოვლენებს ასახავდეს? დაასახელოს თუნდაც ერთი იტერვიუ, საუბარი ლომაია-ხუბუას „რეფორმასთან“ დაპირისპირებულ ადმიანებთან? მომავალში უნივერსიტეტის გაზეთის წამკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნება, თითქოს რეფორმა მშვიდად და ტაშის დაკვრით მიმდინარეობდა... ეს დანაშაულია ისტორიის წინაშე.

ერთ კონკრეტულ მაგალითსაც მოვიყვან, თუ როგორი თავისუფალია უნივერსიტეტის გაზეთი: 2007 წლის მაისში დიდაჭარაში (ხულო) გაიმართა ანდრია პირველწოდებულისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; სამი ძირითადი მოხსენება იყო: პროფ. **მ. ქურდიანისა,** პროფ. **ა. ნიკოლეიშვილისა** და გ. **გოგოლაშვილისა.** ჩემი მოხსენების თემა იყო „ქართული ეკლესია და ეროვნული სკოლა“. უნივერსიტეტის გაზეთმა ორი გვერდი მიუძღვნა ამ კონფერენციის გაშუქებას; ისიც არ გამორჩენიათ, ვინ შეკითხვა დასვა და ვინ რეპლიკა ისროლა; **გოგოლაშვილის** გვარიც არ უხსენებიათ... ამ გაზეთს ეძახის **ხუბუა** თავისუფალს... (გვიან მითხრეს: გაზეთის რედაქციაში ამ კონფერენციის ფოტომასალებში გ. გოგოლაშვილის სურათი რომ დაინახა ხუბუას მოყვანილმა მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელობა ბერეკაშვილმა აღშფოთდაო, ამის სურათს აქ რა უნდაო...).

* * *

ამავე ინტერვიუში **ხუბუა** კიდევ ერთხელ ცდილობს თავისი ავტორიტეტის ამაღლებას ხუბუამდელი უნივერსიტეტის ლანძღვა-გინებით: „რაზე უნდა გვქონდეს ნოსტალგია, უნივერსიტეტზე, რომელიც წლების განმავლობასი კორუფციის კერად იქცა?!“ იურისტს მე არ უნდა ვასწავლიდე: კორუმპირებული უნდა დაისაჯოს; თქვა ვინმემ დამნაშავე არ დაისაჯოსო? დასაჯეს ვინმე? რატომ არავინ დაისაჯა? თუ ასეთი უბედურება ტრიალებდა, სად იყო მანამდე **ხუბუა?** თუ იმ დროის დარღვევებზე საუბრობდნენ და გადაცდომებზე, უპირველესად იურიდიული ფაკულტეტი ჰქონდათ მხედველობაში და სამართალმცოდნეობის გამოცდა, რომელშიც თვით **ხუბუაც** მონაწილეობდა (ამბობენ, გერმანიიდან საგანგებოდ ჩამოდიოდაო ხუბუა მისაღებ გამოცდებში მონაწილეობის მისაღებადო...)... არ ახსოვს ეს ხუბუას?.. სტილია ეს დღევანდელი ხელისუფლებისა – წინამორბედთა ლანძღვით საკუთარი „იმიჯის შექმნა“... ხუბუაც ხომ ამ გუნდის წევრია...

კორუფცია, კანონდარღვევები (უხერხულად სათქმელი ამბებიც) ხუბუასდროინდელ უნივერსიტეტში რომ არის, ისეთი უნდა; გაიხსენეთ ხუბუას მოადგილეებთან, ჯერ ბოკერიასთან და შემდეგ გალდავასთან, დაკავშირებული ამბები (მე მხოლოდ პრესის მასალებსა და თვითმხილველთა მონათხრობს ვემყარები... საკმაოდ მძიმე ფაქტები გახმიანდა...)... და სხვაც...

* * *

ხუბუას თქმით, თურმე ჩვენი უნივერსიტეტის „კურსდამთავრებულები არ იყო კონკურენტუნარიანი კადრი“. ის თვლის, რომ „ჩვენ (ე. ი. ხუბუა-ლომაიას გუნდი – გ.გ.) მივდივართ სწორი მიმართულებით და ჩვენ გვაქვს უფრო კარგი სასწავლო პროგრამები, ვიდრე გვქონდა“. აქაც ტყუის ხუბუა, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა... აქ იმას გავიმეორებ, რაც ერთხელ ვთქვი:

„ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ხუბუას დაწესებულებად გადაკეთდა; ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტსა და ხუბუას დაწესებულებას შორის კი ისეთივე განსხვავებაა, როგორიც დიდ ივანე ჯავახიშვილსა და გ. ხუბუას შორის“....

მე ღრმად მწამს, რომ აღდგება უნივერსიტეტი! მჯერა, გადარჩება უნივერსიტეტი!.. მალე ჩაბარდება ისტორიას ხუბუა-ლომაიას ავადსახსენებელი ეპოქა...

გადაეცა გაზეთს. 3. VI. 2009.
სამწუხაროდ, გაზეთის გამოცემა შეწყდა
და საპასუხო წერილი ვეღარ დაიბეჭდა....

დადგა დრო, დავიბრუნოთ უნივერსიტეტი

უნივერსიტეტი ჩვენ რევოლუციის გზით მოსულმა ხელისუფლებამ წაგვართვა კ.ლომაიასა და მისი გუნდის მეშვეობით; უნივერსიტეტი წაართვეს ქართული განათლების სისტემას, სრულიად საქართველოს. ამ საქმეში **გ. ხუბუა** და მისნაირები იყვნენ დანაშაულში მონაწილე რიგითი პერსონაჟები – შემსრულებლები. უნივერსიტეტს სახელმწიფო დაუპირისპირდა...

ჩვენ ადრეც არაერთგზის გვითქვამს, რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლების მთავარი სამიზნე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომ სიმოკლისათვის – უნივერსიტეტი) გახდა. მიზეზი ნათელია: **საქართველოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო ის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) დაწესებულება, რომელსაც ჰქონდა ქართულ საზოგადოებაზე განუსზღვრელი ზემოქმედების ძალა**. უახლესი ისტორიიდან გავიხსენეთ 1978 წლის აპრილი თუ 80-იანი წლების ბოლო – ეროვნული მოძრაობის აღორძინების პერიოდი... ამიტომ **საჭიროდ მიიჩნიეს ამ ძალის განეიტრალება...**

და ამიტომაც იყო – „რევოლუციის მოსამზადებელ" პერიოდში „კმარა" მიუსიეს უნივერსიტეტს; საუნივერსიტეტო რეფორმის „იდეოლოგებს" გ. თევზაძე თავკაცობდა. რევოლუციის გამარჯვებისთანავე ეს შეტევა განახლდა და გაძლიერდა. მიზანი ზემოთ აღვნიშნე – **უნივერსიტეტის დამარცხებით საზოგადოების მართვის სადავეების ხელში ჩაგდება მოისურვეს**; საბაბი გახდა უმაღლესი განათლების კანონპროექტის განხილვა: უნივერსიტეტმა დაიწუნა შემოთავაზებული კანონპროექტი და დაიწყო მასშტაბური შეტევა უნივერსიტეტზე. მინისტრმა შეხვედრა მოისურვა და სტუდენტებმა გააგდეს უნივერსიტეტიდან; განაწყენებულმა **კ. ლომაიამ** საჯაროდ დაიქადნა – „ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვძირკვავო" და სიტყვითა თუ საქმით დაიწყო დანაქადნების ასრულება.

უხეშ, უსამართლო და არაპროფესიონალურ (გავიხსენოთ იმდროინდელი მინისტრის პროფესია!) ძალას დაუპირისპირდა ჯანსაღი და პროფესიონალური საუნივერსიტეტო აზრი. **ხელისუფლებას** საქმე არ აინტერესებდა; მისი **მიზანი იყო დაეკნინებინა უნივერსიტეტის მნიშვნელობა და დაესუსტებინა იგი**. კ. ლომაიამ საჯაროდ განაცხადა – ილიას უნივერსიტეტი უნდა ვაქციოთ ამბიციურ უნივერსიტეტადო; ამიტომაც ი. ჯა-

ვახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა დაკნინებულიყო. შესაბამისად 2-3-ჯერ გაუზარდეს ხელფასი ილიას უნივერსიტეტის პროფესურას და „გადაქაჩეს“ კადრები (ღვიძლი უნივერსიტეტელები გადაბარგდნენ იქ და დაუპირისპირდნენ დედაუნივერსიტეტს როგორც საკონკურსო კომისიის წევრები)...

ლომაია იბრძვის თავისი „პირობის“ აღსასრულებლად; თუ სხვა უნივერსიტეტებში პედაგოგიური კადრები შეამცირეს 3-4%-ით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემცირება 82 %-ით მოხდა! **გაქრა ათეული წლებით ნალოლიავები და ნაშენები დარგები; დაიშალა ტრადიციული მეცნიერული სკოლები; გაუქმდა შიდასაუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეულები – ინსტიტუტები, კათედრები; გაქრა ცალკეული სპეციალობები**...

უმაღლესი პროფესიონალიზმის ცენტრი – უნივერსიტეტი – **არაპროფესიონალიზმის ბუდედ იქცა**. ასეთ კურიოზულ მაგალითს მოვიყვან: მითხრეს, აკადემიურ წერას (ლინგვისტური საგანია) ისტორიკოსები ასწავლიანო; დავინტერესდი. ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა განმიმარტა – ისტორიკოსებს საათები დააკლდა და დატვირთვა ამით შევუვსეთო... **უმეტეს შემთხვევაში პოლიტიკური ნიშნით** (და არა პროფესიონალურით) **განსაზღვრავდნენ აკადემიურ კონკურსში გამარჯვებულს** (მაგალითად; ქართული ენის პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე ამ ნიშნით ლიტერატურისმცოდნე ამჯობინეს ენათმეცნიერს!). არაერთი მსგავსი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ რევოლუციონერების მიერ „რეფორმირებული“ უნივერსიტეტიდან. თუნდაც ტიპიური მაგალითი: უნივერსიტეტის ხელმძღვანელად – რექტორად – ინიშნება კაცი, რომელსაც ცხოვრებაში ლექცია არ წაუკითხავს და სამეცნიერო ნაშრომი არ შეუქმნია...

დეკანები ინიშნებიან ხელისუფლების ერთგულებისა და მორჩილების ნიშნით; ეს ნიშანი არის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი აკადემიურ კონკურსებში კონკურსანტის წარმატებისა; არაერთხელ ითქვა და დაიწერა ამის თაობაზეც...

ვწერდი ორიოდე წლის წინათ: **ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ხუბუას დაწესებულებად გადაკეთდა**-მეთქი; **ხოლო ჯავახიშვილის უნივერსიტეტსა და ხუბუას დაწესებულებას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც დიდ ივანე ჯავახიშვილსა და გ. ხუბუას შორის**-მეთქი. ხუბუას უნივერსიტეტიდან გაგდებას ვითარება არ შეუცვლია: **უნივერსიტეტი ისევ იმ რელსებზე დგას, ლომაია-ხუბუამ რომ შეაყენა!..**

2004-2006 წლებში აგორებული საუნივერსიტეტო მოძრაობის მთავარი ლოზუნგი ასეთი იყო: **რეფორმა ჩატარდეს კანონის ფარგლებში.** ჩვენს

კანონიერ მოთხოვნებს, არგუმენტირებულ პოზიციას სამინისტრომ ძალა დაუპირისპირა; **ძალადობა და უკანონობა გაბატონდა უნივერსიტეტში**. ახსოვს საზოგადოებას, პოლიციამ ხელგადაგრეხილი პროფესორები როგორ გამორეკა უნივერსიტეტიდან; როგორ გვატარეს პროკურატურაში დაკითხვებზე „დამნაშავე პროფესორები“... და როცა **ლომაიამ** ამითაც ვერ „დაგვაშინა“ და ვერ „გამოგვასწორა“, გაგვასამართლეს, როგორც ხულიგნები... საზოგადოებას ესეც ახსოვს; აქ წაგებული „ხულიგანი პროფესორების“ საქმე ამჟამად სტრასბურგშია და გვაქვს იმედი გამარჯვებისა...

„რეფორმატორებს“ უნდოდათ, ნგრევის პროცესი ბოლომდე მიეყვანათ და ამიტომ უნივერსიტეტის ინტერესების დამცველ **პროფესორებს დაუპირისპირდა** მთელი სახელმწიფო მანქანა – **მთავრობა, პარლამენტი, პროკურატურა, სასამართლო... და ბოლოს პრეზიდენტმა გამოგვიტანა განაჩენი** – „წითელი პროფესორები“ იგორ გიორგაძემ მოისყიდა და რუსეთის ინტერესებს ემსახურებიანო...

ძალამ მოხნა აღმართი და ჩვენ დავტოვეთ უნივერსიტეტი...

„რეფორმირებულ“ უნივერსიტეტში ერთგულებისა და მორჩილების პრინციპით შერჩეული პროფესურა ერთგულად და მორჩილად აგრძელებს ლომაიას დაწყებულ ნგრევის პროცესს.

და უნივერსიტეტი აღარაა უნივერსიტეტი!

უნივერსიტეტი უნდა დავიბრუნოთ!..

როგორ დავიბრუნოთ? – მოგახსენებთ ჩვენს აზრს.

იაკობ გოგებაშვილის მაგალითს გავიხსენებ: ქართველთმოძულე იანოვსკიმ იაკობს „დედაენის“ სანახევროდ გარუსულება მოსთხოვა, თუარადა საერთოდ ავკრძალავო; იაკობმა უპასუხა: ჯობია „დედაენა“ ამ სახით მოკვდეს, ვიდრე ისე წახდეს, როგორც იანოვსკის სურს; რადგანაც ამ სახით მკვდარი „დედაენა“ უფრო იოლად აღდგება მკვდრეთით, ვიდრე ისე წამხდარი გამოსწორდება, როგორც იანოვსკის სურსო...

უნივერსიტეტი ისე წახდა, მისი გამოსწორება მარტივად შეუძლებელია. ხელმძღვანელობის შეცვლა ამას არ უშველის. უნივერსიტეტი თავდან უნდა დავიწყოთ. როგორ? ეს ძალზე რთულ პროცესად მეჩვენება; **უნდა შეიქმნეს უნივერსიტეტის აღდგენის (გადარჩენის) კომიტეტი**, რომელიც უზუსტესად გათვლის ყოველ ნაბიჯს: როგორი იქნება სტრუქტურა უნივერსიტეტისა, რა დარგები, რა მიმართულებები უნდა დარჩეს, რა უნდა აღდგეს, რომ გაგრძელდეს ივანე ჯავახიშვილისეული ტრადიციები და ა. შ. და ყოველივე ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ არ შეწყდეს სასწავლო პროცესი...

დამეთანხმებით, ძალზე ძნელია ყოველივე ეს, მაგრამ ეს რეალობა შეგვიქმნა ნაციონალურმა ხელისუფლებამ და უნდა დავძლიოთ ეს სირთულეები. **ახალმა ხელისუფლებამ ერთ-ერთ უპირველეს მიზნად ეს უნდა დაისახოს!**

საქართველოს უნდა დაუბრუნდეს თავისი პირველი უნივერსიტეტი. ყოველი დაკარგული დღე საქმეს მხოლოდ გაართულებს და დაგვაშორებს ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტს!

დიახ, დადგა დრო უნივერსიტეტის დაბრუნებისა!

გაზეთი „მთელი კვირა“,
8 ოქტომბერი, 2012.

ვინ გადაარჩენს უნივერსიტეტს?

თბილისის სახელმწიფო **უნივერსიტეტი „ნაციონალური მოძრაობის“ ძალმომრეობისა და უკანონობის ერთ-ერთი მსხვერპლია**. უნივერსიტეტი შველას ითხოვს... ვინ გადაარჩენს უნივერსიტეტს?

– რა სჭირს გადასარჩენი? – შევეცდებით თეზისურად აღვადგინოთ წინა ხელისუფლების დროს უნივერსიტეტის მიმართ განხორციელებულ დანაშაულებათა მოკლე ისტორია:

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი მთავარი სამიზნე იმთავითვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა. მიზეზი: უნივერსიტეტი იყო ის დაწესებულება, რომელსაც ქართულ საზოგადოებაზე ზემოქმედების განუსაზღვრელი ძალა ჰქონდა; ამიტომ დაისახეს მიზნად ამ ძალის განეიტრალება, რომ ხელში აეღოთ საზოგადოების მართვის სადავეები.

ხელისუფლება განსაკუთრებით აღაშფოთა უნივერსიტეტის კრიტიკულმა დამოკიდებულებამ განსახილველად შემოთავაზებული კანონპროექტის მიმართ: 2004 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნდა კანონპროექტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ (დამტკიცდა წლის ბოლოს). 27 სექტემბერს უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ დაიწუნა კანონპროექტი. ამის გამო პირველი შეტევა **მ. სააკაშვილმა** „წითელ პროფესურაზე“, „კორუმპირებულებზე“, „უსინდისოებზე“, „ჩარეცხილებზე“ განახორციელა 2004 წლის 28 სექტემბერს ცხრუკვეთიდან. ამას მოჰყვა **კ. ლომაიასა** და მისი გუნდის მასშტაბური შეტევა უნივერსიტეტზე.... მინისტრმა **კ. ლომაიამ** საჯაროდ დაიქადნა: „**ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვბირკვავთო**“...

2004 წლის 31 ოქტომბერს აიძულეს **რ. მეტრეველი,** გადამდგარიყო რექტორობიდან...

2005 წლის იანვარში ძალაში შევიდა ახალი კანონი და დაიწყო ხანგრძლივი უკანონობის პერიოდი: **უკანონოდ შეაჩერეს უნივერსიტეტის დიდი საბჭოს ფუნქციონირება**... გადაწყვეტილებები მიიღებოდა ერთპიროვნულად; გააუქმდა ყველა კათედრა...

ბოლონიის პროცესის მოთხოვნათა საბაბით შეაერთეს ფაკულტეტები; ეს მოხდა გაუაზრებლად, სპეციალისტთა აზრის გაუთვალისწინებ-

ლად. ამ შეერთების უარყოფით შედეგებზე ბევრი ითქვა; ისიც ითქვა, ბოლონია არაფერ შუაშიაო...

2005 წელს საბიუჯეტო **დაფინანსება მოეხსნა** უნივერსიტეტის **სამეცნიერო სექტორს**. უმუშევარი დარჩა 1500-ზე მეტი მეცნიერ-მუშაკი. **დაიხურა ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, კაბინეტი, სამეცნიერო ცენტრი; ვანდალურად განადგურდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზები; ბიბლიოთეკები**... ამით **განუზომელი და აუნაზღაურებელი ზიანი მიადგა ქართულ მეცნიერებასა და განათლებას**...

არნახული ძალადობისა და უკანონობის მსხვერპლი შეიქმნა **აკადემიური სექტორი.** იმჟამად აკადემიური კონკურსების გამოცხადება და ჩატარება იყო ახლადმიღებული კანონის რამდენიმე პუნქტის უგულებელყოფა (**დაირღვა** უმაღლესი განათლების **კანონის 89-ე მუხლის I და მე-11 პუნქტები; 87-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 34-ე მუხლის I და მე-3 პუნქტები**...)...

კატასტროფულად შემცირდა აკადემიური სექტორი: „რეფორმამდე" უნივერსიტეტში აკადემიურ სექტორში იყო 3500-ზე მეტი თანამშრომელი; განათლების მინისტრის უშუალო მოთხოვნით კონკურსი გამოცხადდა მხოლოდ 700 საშტატო ერთეულზე; აკადემიური სექტორი შემცირდა თითქმის 5-ჯერ; სხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს შემცირება შეეხო მხოლოდ 3-4%-ით!.. (ეს იყო მინისტრის, **კ. ლომაიას,** „შურისძიება" უნივერსიტეტისადმი: პირველად, 2005 წლის ბოლოს, უნივერსიტეტში კონკურსი გამოცხადდა თითქმის იმავე რაოდენობაზე, რაც იყო კონკურსამდე; უნივერსიტეტმა პროტესტი გამოთქვა ამ უკანონო კონკურსის გამო; ამ პროტესტით გაღიზიანებულმა მინისტრმა გააუქმა გამოცხადებული კონკურსი და დაევალა რექტორს, **რ. ლორთქიფანიძეს,** 700 ერთეულზე გამოეცხადებინა ახალი კონკურსი. **რ. ლორთქიფანიძის წინააღმდეგობა გახდა მისი რექტორის თანამდებობიდან გაშვებისა და გ. ხუბუას დანიშვნის მიზეზი**).

ამ კონკურსების შედეგად გაუქმდა ტრადიციული დარგები, გაქრა სპეციალობები... ორიოდე კონკრეტული მაგალითი: 2006 წლამდე ფიზიკის ფაკულტეტზე 112 პროფესორ-მასწავლებელი იყო; კონკურსი გამოცხადდა 23 ადგილზე (ეს რომ გაუთვლელი შემცირება იყო, იქიდანაც ჩანს, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო გახდა დამატებით 100 მასწავლებლის მოწვევა...)! 2005 წელს ძველი ქართული ენის კათედრაზე 23 თანამშრომელი იყო, ამჟამად მხოლოდ 3 თანამშრომელია (მათ შორის მხოლოდ ერთია ქართული ენის გრამატიკის სპეციალისტი!) და სხვა... ესეც არის **უდიდესი დანაშაული ქართული განათლებისა და მეცნიერების წინაშე**...

საგანგებო მსჯელობის საგანია უნივერსიტეტის **ყოფილი რექტორის, გ. ხუბუას**, მიერ ჩადენილი უამრავი უკანონობა და უსამართლობა; ფაქტობრივ, მთელი მისი საქმიანობა იყო უნივერსიტეტზე განხორციელებული ძალადობისა და შეურაცხყოფის არნახული მაგალითები...

პროფესორ-მასწავლებლების მთავარი მოთხოვნა იყო – „**რეფორმა მოექცეს კანონის ფარგლებში**". ამ მოთხოვნას **გ. ხუბუამ პოლიცია დაუპირისპირა**: 2006 წლის 19 და 20 ივნისს მან პოლიცია შემოიყვანა უნივერსიტეტში და პროტესტის გამომხატველი პროფესორები ხელგადაგრეხილები გაიყვანეს უნივერსიტეტიდან...

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა 2006 წლის 3 ივლისს **გ. ხუბუას** მოქმედებამ: უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, **გ. ხუბუას** და მოსთხოვა, დაეტოვებინა თანამდებობა. ისევ **პოლიცია შემოიყვანეს უნივერსიტეტში** და რექტორის კაბინეტში სასაუბროდ შესული პროფესურა იძულებით გამორეკეს გარეთ; პროფესურამ სააქტო დარბაზში გადაინაცვლა. აქ მოხდა **ადამიანის უფლებების არნახული დარღვევა**: პოლიციის მეშვეობით ჩაკეტეს ყველა კარი (გასასვლელი წყლისაკენ, ტუალეტებისაკენ; ამოქოლეს კარ-ფანჯრები; არავის აძლევდნენ საშუალებას, გარედან მიეწოდებინათ წყალი, საჭმელი. სააქტო დარბაზში შეკრებილებს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება ერთი დღე-ღამის განმავლობაში... ამის შესახებ უამრავი მასალაა იმჟამინდელ პრესაში, ტელეარქივებში)... 3 ივლისს შემოყვანილი პოლიცია უნივერსიტეტში დატოვეს თითქმის ორი თვე და ამ ხნის მანძილზე უნივერსიტეტში პოლიციური რეჟიმი შექმნეს; პოლიციას სიები გადაეცა „რეფორმასთან" დაპირისპირებული პროფესორებისა და მათ აეკრძალათ უნივერსიტეტში შესვლა...

გთხოვთ გაითვალისწინოთ: მსგავსი რამ მხოლოდ **1939 წელს მოხდა**, როცა **ფაშისტებმა კრაკოვის ნივერსიტეტიდან გარეკეს პროფესორები**... ისიც გავიხსენოთ: 2007 წლის იანვარში ათენის ქუჩებში სტუდენტების მასობრივი გამოსვლები იყო. პოლიციისაგან შევიწროებულმა სტუდენტობამ უნივერსიტეტის ეზოს შეაფარა თავი და პოლიციამ იქ შესვლა არ იკადრა! და რაც მთავარია, **უნივერსიტეტის ეზოში შესვლა ვერ გაბედეს 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ჯარისკაცებმა**!..

სიტყვიერი დაპირისპირებისათვის **გ. ხუბუამ** რექტორად მოსვლის პირველივე დღეებში **დააპატიმრებინა** განსხვავებული აზრის მქონე **პროფ. გ. შარაძე**.

გ. ხუბუას მოთხოვნით საუნივერსიტეტო მოძრაობის ინიციატორები გვატარეს პროკურატურაში, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეები;

შემდეგ **9 პროფესორი გაგვასამართლეს „წვრილმანი ხულიგნობის“ მუხლით** (სარჩელი ამჟამად სტრასბურგის სასამართლოში განიხილება)...

არაერთგზის დაიწერა იმ **ფინანსურ კანონდარღვევებზე**, რაც უნივერსიტეტში ხდებოდა ამ პერიოდში (იხ. მაგალითად, გაზეთი „ქრონიკა“ № 39, 2006 წ. და სხვ.); **სახელმწიფო ქონების მართვის არაეფექტიანობაზე**; სამართლებრივი შეფასება არ მისცემია თუნდაც იმ ბრალდებებს, რის გამოც გაუშვეს უნივერსიტეტიდან გ. ხუბუა (ბიბლიოთეკიდან გამქრალი ძვირფასი წიგნები, კანონდარღვევით ჩატარებული ტენდერები, ფინანსური დარღვევები...); ცალკე თემაა ამ პერიოდში გამოვლენილი **ნეპოტიზმის შემთხვევები**; **არასწორი დანიშვნები**; კანონდარღვევით ჩატარებული და **გაყალბებული კონკურსები** (2006, 2009, 2012 წლებში; არსებობს სასამართლოზე აღიარებული ფაქტები); გახმაურებული ამბავი **უკანონოდ გაცემული დიპლომებისა...**

ყოველივეს ჩამოთვლა, რა თქმა უნდა, არ მოხერხდება. გავხაზავთ: თითქმის **ყველა უკანონობაზე საუნივერსიტეტო საზოგადოება ახდენდა სამართლებრივ რეაქციას**: მომზადდა არაერთი **სარჩელი**, რომლებიც განიხილეს **საქალაქო, სააპელაციო და საკონსტიტუციო სასამართლოებმა;** სარჩელების უმრავლესობა, რა თქმა უნდა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა... სამ საქმეს ამჟამად **სტრასბურგის სასამართლო** განიხილავს...

გ. ხუბუას და მისი „პატრონების“ დანაშაულობათა ჩამოთვლა ერთ საგაზეთო წერილში არ მოხერხდება; ამასთვის სამართალდამცველთა სერიოზული მუშაობაა საჭირო. ახალი ხელისუფლების მოსვლა ამისთვისაც გვეიმედებოდა; მაგრამ მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა: უნივერსიტეტს აქებენ წარმატებული რეფორმისათვის; **უნივერსიტეტში დააბრუნეს** 2010 წელს გაძევებული **გ. ხუბუა**; მეტიც, მას გაუხსნეს ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი (ამბობენ ხუბუასთან ერთად დამფუძნებლები არიან მინისტრები **ნ. ხადური** და **დ. ნარმანია**..)... მეტიც, 21 აპრილს ტელეკომპანია „მე-9 არხმა“ ხუბუა ნაცინალებისაგან დაჩაგრულ ეროვნულ გმირადაც წარმოაჩინა... ეს კი გარკვეულ ეჭვს აჩენს უნივერსიტეტის სასიკეთო პერსპექტივისას...

არაერთგზის მივმართეთ **ხელისუფლებას**; კონკრეტულ **პასუხს ვერ ვეღირსეთ**, სამწუხაროდ... **მინისტრმა** ჩვენთან შესახვედრადაც **ვერ მოიცალა**...

არადა, ასრულდა **კ. ლომაიას** დანაქადნები: ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვძირკვავო...

ვინ გადაარჩენს უნივერსიტეტს?..

თუ საბოლოოდ გაიწირა?...

გაზეთი „ყველა სიახლე“, 8-14 მარტი, 2013.

უნივერსიტეტი ისევ იმ რელსებზე დგას, ლომაიამ რომ შეაყენა

საუბარია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე.

დიახ, უნივერსიტეტი ლომაიას დაგებულ რელსებზე დგას და მიექანება უფსკრულისაკენ.

ეს რომ ასეა, კიდევ ერთხელ დაადასტურა ახლახან ჩატარებულმა კონკურსმა. „რეფორმირებულ" უნივერსიტეტში მესამედ ჩატარდა კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. ეს კონკურსი წინა კონკურსებისაგან (2006, 2009 წ.) პინციპულად არაფრით განსხვავდებოდა; **არაობიექტურობა, უსამართლობა, არაპროფესიონალიზმი და „ხელისუფლებასთან დაახლოებულობა"** წითელ ხაზად გასდევდა უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესს... ამ დღეებში არაერთი ასეთი ფაქტი გამოვლინდა და გახმაურდა; უნივერსიტეტი მშვიდად ისმენდა მხილებას... და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, **სტუდენტობა აზვირთდა**. მოითხოვდნენ, **შეეწყვიტათ პოლიტიკური ნიშნით პროფესორების დევნა,** ანგარიში გაეწიათ **პროფესიონალიზმისათვის**, **უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტულად სტუდენტი და ლექტორი ქცეულიყო...** სამწუხაროდ ჩვენდა, ჩვენს თავს დატეხილმა საზოგადოებრივმა უბედურებამ (საპატიმროს გახმაურებულმა ფაქტებმა) გადაფარა უნივერსიტეტის ამბები... დიდი იმედი მაქვს, ჩვენი ახალგაზრდობა დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს; იმის იმედიც მაქვს, რომ მათ უნივერსიტეტის ბედით დაინტერესებული უფროსობაც დაუდგება გვერდით...

ამჟამად უნივერსიტეტში მიმდინარე **უსამართლობის, არაობიექტურობის, პოლიტიკური მოტივირებულობის** ერთ ტიპიურ მაგალითზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება.

საზოგადოებას ახსოვს 2005-2006 წლების საუნივერსიტეტო მოძრაობა. იმჟამად ჩვენ, უნივერსიტეტის პროფესორებს, დაგვიპირისპირდა პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო (გაგვასამართლეს როგორც ხულიგნები!), მთავრობა, პარლამენტი და პრეზიდენტიც კი... დამარცხებულებმა პროტესტის ნიშნად დავტოვეთ უნივერსიტეტი... ავადხსენებული **გ. ხუბუას** უნივერსიტეტიდან გაგდების შემდეგ ვიფიქრე, მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვლება-მეთქი და გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო ამ კონ-

კურსში. კენჭი ვიყარე ქართული ენის ინსტიტუტის ძველი ქართული ენის სრული პროფესორის თანამდებობაზე (2006 წლამდე ვიყავი ძველი ქართული ენის კათედრის გამგე). ეჭვი მქონდა, რომ **ლომაია-ხუბუას ინტერესები ისევ ცოცხლობდა უნივერსიტეტში**, ამის გამო შეიძლეოდა პრობლემები შემქმნოდა და „თადარიგისათვის“ განცხადებით მივმართე უნივერსიტეტის რექტორს, ბ-ნ **ა. კვიტაშვილს,** ყოფილიყო გარანტი ობიექტური და სამართლიანი კონკურსისა (წესით ამას შეხსენება არც უნდა დასჭირვებოდა!)... არ გაჭრა ჩემმა „წინდახედულობამ“... ჩემი კონკურენტი იყო ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი დარეჯან თვალთვაძე (ლომაია-ხუბუას გუნდის პრივილეგირებული წევრი). ჩემი ეჭვი გამართლდა – ამოქმედდა ლომაია-ხუბუას ინტერესი: მე არ უნდა გამემარჯვა კონკურსში. ასეც მოხდა... არადა საქმის ვითარება ასეთია:

კონკურსის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო შესაბამისობა კონკურსანტის ფორმალურ მონაცემებსა და ვაკანსიის პროფილს შორის. ამ მონაცემთა შეუსაბამობის შემთხვევაში კონკურსანტი უნდა მოხსნილყო კონკურსიდან. ჩვენს შემთხვევაში ვაკანსიის პროფილი არის: **ენათმეცნიერება – ქართული ენა (ძველი ქართული ენა და ტექსტოლოგიური კვლევები**). დ. თ ვ ა ლ თ ვ ა ძ ი ს **განათლება** (კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი), **მეცნიერული კვალიფიკაცია** (ლიტერატურისმცოდნე) და **სანიმუშოდ წარდგენილი ნაშრომი** (ეს არის ნაშრომი, რომელშიც ლიტერატურისმცოდნეობის სადისერტაციო საბჭომ მიანიჭა კანდიდატის ხარისხი) **არ შეესაბამებოდა ვაკანსიის პროფილს**. კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც სხვებთან ერთად შედიოდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე; იურიდიული, სამეცნიერო და ხარისხის მართვის სამსახურების ხელმძღვანელები, დ. თ ვ ა ლ თ ვ ა ძ ე ს გაამარჯვებინეს კონკურსში (როგორც გაირკვა, კონკურსანტის ბედი გადაწყვიტა იურიდიული დეპარტამენტის უფროსისა და ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის ხმებმა!..) მე აღარას ვამბობ სხვა მონაცემებზე (მეცნიერული შრომები, სამეცნიერო-საზოგადოებრივი აქტივობები...)...

რა მოხდა? რამდენიმე მომენტი: დ. თვალთვაძე არის დეკანი (ადმინისტრაციული მუშაკი); მან თავად შეადგინა კომისია ერთგულებისა და მორჩილების პრინციპით (კომისიის 9 წევრი იყო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი) და წარუდგინა დასამტკიცებლად რექტორს. კონკურსანტების ბედი წყდებოდა ღია კენჭისყრით! დეკანი-კონკურსანტი ამ დროს სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდა, მუშაობდა გვერდით ოთახში... მოგეხსენებათ, ეს ნებისმიერი საარჩევნო პროცესის სერიოზული დარღვევაა დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში... ამას თანამდებობის ბოროტად გამოყენება ჰქვია...

კომისიის თავმჯდომარე არ მალავდა და საუბრობდა იმის შესახებ, რომ **დ. თვალთვაძე „ხელისუფლებასთან დაახლოებული პირია** და უნდა გაიმარჯვოსო“... გაიმარჯვა კიდევაც... და შედეგი ასეთია: კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი, ლიტერატურისმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი დ. თვალთვაძე იკავებს ძველი ქართული ენის სრული პროფესორის ადგილს; ხოლო ენათმეცნიერი, ქართული ენის სპეციალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი მონოგრაფიის ავტორი დამარცხდა...

ხაზგასმით აღვნიშნავ: კონკურსის მიმდინარეობის **ყველა ეტაპზე საქმის კურსში იყო რექტორი ა. კვიტაშვილი**. საბუთების შეტანის დასრულებისთანავე, 12 ივლისს, მივმართე განცხადებით, ყოფილიყო კონკურსის ობიექტურად ჩატარების გარანტი; კონკურსის დასრულებისთანავე, 10 აგვისტოს, ასევე მივმართე განცხადებით რექტორს, არ დაემტკიცებინა უსამართლო გადაწყვეტილება... რექტორთან პირადი შეხვედრაც მოვინდომე, მაგრამ ვერ შევძელი – რექტორმა „ვერ მოიცალა“... და ერთი თვის შემდეგ 10 სექტებმერს მაღირსა პასუხი... სამარცხვინოა, რომ რექტორისადმი გაგზავნილ განცხადებაზე უნივერსიტეტიდან ასეთი ცინიკური პასუხი მივიღე: „თქვენი განცხადება **გადაეგზავნა იმ საკონკურსო კომისიას, რომლის არაობიექტურობასაც ხაზს უსვამდით, რაზეც გამოხატავდით უკმაყოფილებას**“!.. კომისიამ, ცხადია, თავისი მუშაობა დადებითად შეაფასა და დამანამუსა, შენი პრეტენზია „სიმართლეს არ შეესაბამებაო“... (ეს ამბავი განათლების სამინისტროსაც ვაცნობე სექტემბერშივე და... ველი პასუხს...).

აქ ერთი უბედურებაცაა დღევანდელი უნივერსიტეტისა – ესაა **არაპროფესიონალიზმის წაქეზება და მხარდაჭერა**: ქართული ენის სრული პროფესორის თანამდებობაზე აირჩიეს ენის არასპეციალისტი... და ამ „სპეციალისტმა“ უნდა წაიკითხოს ძველი ქართული ენისა და ქართული ენის ისტორიის კურსები მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში! უნდა უხელმძღვანელოს მაგისტრებსა და დოქტორანტებს!.. ეს არაა ერთეული შემთხვევა; ამას წინათ ჟურნალში „სამი საუნჯე“ ვკითხულობდი, როგორი სავალალო ვითარებაა ამ მხრივ ფიზიკოსებთან; სერიოზული პრობლემები გვაქვს ჰუმანიტარებთანაც. აქ მხოლოდ ერთ კურიოზულ მაგალითს მოვიყვან: მითხრეს, აკადემიური წერის კურსს (ლინგვისტური საგანია) ისტორიკოსები კითხულობენო. არ დავიჯერე, დეკანთან, დ. თვალთვაძესთან, დავაზუსტე; დეკანმა ამიხსნა: ისტორიკოსებს საათები არ ყოფნით და „წერით“ შევუვსეთ დატვირთვაო!... ამ თემაზე ბევრის თქმა შეიძლება... **არაპროფესინალიზმი ყვავის უნივერსიტეტში...**

2009 წელს ვწერდი: „**ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ხუბუას დაწესებულებად გადაკეთდა. ჯავახიშვილის უნივერსიტეტსა და ხუბუას დაწესებულებას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც დიდ ივანე ჯავა-ხიშვილსა და გ. ხუბუას შორის**-მეთქი“... სამწუხაროდ, ხუბუას დაწესებულებას ჯერჯერობით რაიმე სასიკეთო პერსპექტივა არ უჩანს; ამ ფორმულაში სხვა გვარის ჩასმაც შეიძლება; ვითარება არ შეიცვლება...

არადა ვითარება უნდა შეიცვალოს!...

„ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ გამოდით, თქვენი ჭირიმე“!

გაზეთი „ყველა სიახლე“
17-23 ოქტომბერი, 2012.

უნივერსიტეტი შველას ითხოვს ხელისუფლებისაგან!..

პირველმა ოქტომბერმა იმედი გააჩინა სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისა. პრობლემები ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში გვაქვს. მე ამჯერად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბედზე ვისაუბრებ. ახალს თითქმის არაფერს ვიტყვი; ათასჯერ თქმულა, მაგრამ ახლა დრო მოვიდა ქმედებისა...

რევოლუციის გზით მოსულმა ნაციონალურმა ხელისუფლებამ ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აირჩია. სამინისტროს იმჟამინდელმა მაღალჩინოსანმა **(გ. თევზაძემ)** საჯაროდ განაცხადა – ჩვენ ჯავახიშვილის უნივერსიტეტთან არ ვითანამშრომელებთო; მინისტრმა **(კ. ლომაიამ)** დაიქადნა – ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვძირკვავთო; „კმარა“ ფორმაში იყო... (თუ რატომ აირჩიეს სამიზნედ უნივერსიტეტი, ამაზეც გვისაუბრია ადრე, თუმცა ახლა დროს დავზოგავ)...და შედეგები კატასტროფული მივიღეთ:

დაიწყო გაუმართლებელი და გაუაზრებელი სტრუქტურული ცვლილებები; გაუქმდა კათედრები, სანაცვლოდ იმჟამად არაფერი შექმნილა; ამ სფეროში ახლაც ქაოსია – ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულს ერთ ფაკულტეტზე კათედრა ჰქვია, მეორეზე ქვემიმართულება, მესამეზე დეპარტამენტი და დებულება არცერთს არა აქვს...

2005 წელს უნივერსიტეტში გაუქმდა სამეცნიერო სექტორი (დაიხურა ლაბორატორიები, კაბინეტები, ცენტრები). უმუშევარი დარჩა ათასზე მეტი მეცნიერ-მუშაკი... სწორედ ეს პროცესი შეაფასა აკადემიკოსმა **თ. გამყრელიძემ** „ივანე ჯავახიშვილის მესამე სიკვდილად“... თუმცა მთავარი წინ გველოდა თურმე...

2006 წლამდე უნივერსიტეტის აკადემიურ სექტორში 4000-მდე თანამშრომელი იყო; 2006 წელს კონკურსი გამოცხადდა 700 ვაკანტურ ადგილზე! 3000-ზე მეტი კაცი ქუჩაში აღმოჩნდა!... თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იმ 700 კაციდან ბევრი გარედან მოვიდა, შეიძლება ითქვას, რომ ახალი უნივერსიტეტი შეიქმნა – „ნაშთი ძველი დიდებისა“...

მიიღეს მანკიერი კანონი განათლებისა და მერე ამ კანონსაც აღარ იცავდნენ. 2005-6 წლებში საუნივერსიტეტო მოძრაობის მთავარი დევიზი ეს იყო – „რეფორმა მოექცეს კანონის ფარგლებში“... ხელისუფლება არავის უსმენს...

შედეგი: დაინგრა უნივერსიტეტი; გაქრა ტრადიციული სპეციალობები, დარგები... ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან:

ძველი ქართული ენის კათედრაზე (რომელსაც აკაკი შანიძის კათედრასაც ეძახდნენ), „რეფორმამდე“ 20-ზე მეტი თანამშრომელი იყო (პროფესორ-მასწავლებელი, მეცნიერი მუშაკი...); ამჟამად სამი კაცია ამ კათედრაზე (დეპარტმენტს ეძახიან), მათგან მხოლოდ ერთია ქართული ენის სპეციალისტი... ასეთივე ვითარებაა სხვაგანაც. ჰკითხეთ ფიზიკოსებს, ქიმიკოსებს, მათემატიკოსებს... აღმოსავლეთმცოდნეებს, ისტორიკოსებს, უცხოური ენების სპეციალისტებს...

ცხადია, ყოველივე ეს უარყოფითად აისახა სასწავლო პროცესზეც; არაერთგზის დაიწერა და ითქვა: სწავლის დონე დაეცა...

მანკიერი სახე მიიღო კადრების შერჩევამ. ლომაია-ხუბუას დამკვიდრებული მთავარი პრინციპი ეს იყო: კონკურსები ჩატარდეს „ერთგულებისა და მორჩილების პრინციპით“. ეს იყო კლასიკური მაგალითი პოლიტიკური ნიშნით კადრების შერჩევისა: ვისაც განსხვავებული აზრი აქვს, ის მტერია რეფორმისა, უნივერსიტეტისა... და დაიწყო „სხვაგვარად მოაზროვნეთა“ (წითელი პროფესორების, კორუმპირებულების, ჩარეცხილების...) დევნა. ახსოვს საზოგადოებას: 20006 წელს (ივნის-ივლისში) სამჯერ შემოიყვანეს პოლიცია და გაგვრეკეს უნივერსიტეტიდან პროფესორები... შედარებით აქტიურები გვატარეს პროკურატურაში; ბოლოს 9 პროფესორი გაგვასამართლეს ხულიგნობის მუხლით... ისიც გვახსოვს ალბათ: „დაუმორჩილებელი პროფესორი“ **გ. შარაძე** იმჟამინდელმა რექტორმა **გ. ხუბუამ** ციხეში ჩაასმევინა... 2006 წელს კონკურსი პოლიციის ზედამხედველობით ჩატარდა...

კონკურსების სფეროში დღესაც არაფერი შეცვლილა – ლომაია-ხუბუას სულისკვეთებით ტარდება; მთავარი ერთგულებისა და მორჩილების პრინციპია... ყვავის არაპროფესიონალიზმი (ქართული ენის ინსტიტუტში ენათმეცნიერს უარი უთხრეს და არაენათმეცნიერი აირჩიეს სრულ პროფესორად... და სხვა...)... ამ თემაზე საუბარი გრძლად შეიძლება, თუმცა აქ შევჩერდეთ...

ამას წინათ განათლების მინისტრმა გაავრცელა მიმართვა; ორიოდე ამონარიდი: „იმ ავტორიტარულ სისტემაში, რომელშიც ქვეყანა იმყოფებოდა, ყველა მხარე სისტემის მსხვერპლია. ჩვენი პოლიტიკა რადიკალურად განსხვავებულია და გვინდა, რომ მთელს საზოგადოებაში და განსაკუთრებით განათლების სფეროში პოლიტიკური ნიშნით დაყოფა აღარ მოხდეს... **არ არის სასურველი დავა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადატანილი იქნეს სასამართლო სივრცეში**... მათ კი, **ვინც ბოლო 2-3 კვირის განმავლობაში ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას ვერ შეძლებს**, მე ვთავაზობ მეორე საშუალებას: **სამინისტროსთან შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც არსე-**

ბულ დავებს შეისწავლის და ჩემთან ერთად შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს“.

დიახ, თითქოს გაჩნდა იმედი სამართლიანობის აღდგენისა, მაგრამ ასე არ ფიქრობს **ა. კუკულავა** (თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსია)! „აკადემიური თანამდებობის დაკავებაზე თითოეულ კონკურენტთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (უარყოფითიც) სამართლებრივად საფუძვლიანი და დასაბუთებულია, ყოველივე ეს კი გამირიცხავს პოლიტიკურ დატვირთვას... რექტორატი ვერ ხედავს რაიმე სახის კომისიის შექმნის აუცილებლობას“ („საქართველოს რესპუბლიკა“, № 224, 2012).

თურმე ნუ იტყვით და, რა შუაშია მინისტრის განცხადება, როცა არსებობს „კუკულავას სამართალი“. ეს ის ცნობილი **ლომაია-ხუბუას** სამართალია, რომელსაც კანონიერებასთან არაფერი აქვს საერთო... „კუკულავას სამართლით“ ალბათ პოლიციის შემოყვანაც კანონიერი იყო, სპეციალობების გაუქმებაც და ა.შ... როგორც ჩანს, ბატონი რექტორიც ასე ფიქრობს, რადგან რექტორატის სახელით საუბრის უფლებას აძლევს კუკულავას... და ზის ბატონი რექტორი მშვიდად ივანე ჯავახიშვილის სავარძელში...

ისე ერთ რამეში ვეთანხმებით „კუკულავას სამართალს“... რომც მოხდეს, ერთი-ორი პროფესორის აღდგენა უნივერსიტეტს არ უშველის... უნივერსიტეტი ფაქტობრივ თავიდან უნდა აშენდეს. ამას წინათ „საუნივერსიტეტო დარბაზის“ სახელით განცხადება გავაკეთეთ. ვთქვით, **აუცილებელია, გამოცხადდეს გარდამავალი პერიოდი, შეიქმნას დროებითი მმართველობა... დეტალურად უნდა მოხდეს შესწავლა, რა წახდა, რა უნდა აღდგეს, როგორი უნდა იყოს სტრუქტურა უნივერსიტეტისა** და ა. შ. და ა. შ... დღესაც ამ აზრისა ვართ; მეტიც, ეს აზრი კიდევ უფრო განგვიმტკიცდა. სხვა გზას უნივერსიტეტის გადარჩენისას ჩვენ ვერ ვხედავთ... არადა, უნივერსიტეტი უნდა გადარჩეს... იგი შველას ითხოვს ხელისუფლებისაგან...

ისე კი, საკადრისი უნდა მიეზღვას ყველას, ვინც ხელი აღმართა უნივერსიტეტზე, ვინც დაუნდობლად გაანადგურა დიდ წინაპართა მიერ რუდუნებით ნაგები უპირველესი ტაძარი XX საუკუნისა...

და ჩვენც ყურადღებას ვთხოვთ ხელისუფლებას!..

ყოველი დაკარგული დღე პრობლემას დაამძიმებს...

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
28 ნოემბერი, 2012.

დანგრეული უნივერსიტეტი და გაყიდული სინდისი*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში იყო პერიოდები, როცა იმძლავრებდა ბოროტი და ითრგუნებოდა სიმართლე... ასე მოხდა 1926 წელს, როცა **ივანე ჯავახიშვილი** გადააყენეს რექტორობიდან და მისი ადგილი დაიჭირა ბოლშევიკმა **თედო ღლონტმა...** 1930 წელს უფრო მასშტაბური შეტევა განხორციელდა **ი. ჯავახიშვილზე,** მის თანამებრძოლებზე („ანტიმარქსისტებზე", „ხალხის მტრებზე", „იდეოლოგიურად მიუღებელ" ადამიანებზე!) და დაიხურა უნივერსიტეტი... თუმცა მალე გაიმარჯვა სიკეთემ და აღდგა უნივერსიტეტი...

ისტორიამ განმეორება იცისო: 2003 წელს დაიწყო მასშტაბური შეტევა უნივერსიტეტზე... გადააყენეს რექტორი; „ამხილეს" „იდეურად მიუღებელი" „კორუმპირებული" „წითელი პროფესურა" და დაიწყო დაუნდობელი „რეფორმა"... ამ შეტევას პრეზიდენტის ხელდასმით მინისტრი **კ. ლომაია** ხელმძღვანელობდა; მთავარი შემსრულებელი თსუ რექტორი **გ. ხუბუა** იყო... როგორც სჩვევიათ ავისმქმნელებს, აკეთებინეს ბოროტი საქმეები **გ. ხუბუას** და შემდეგ (2010 წელს) მოიშორეს წიგნების ქურდის ბრალდებით... და კარგა ხანს გაქრა ასპარეზიდან **გ. ხუბუა...**

2012 წლის **საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების" გამარჯვებამ გააჩინა იმედი კანონიერების აღდგენისა...** საჭირო გახდა საზოგადოებისათვის იმის შეხსენება, თუ რა უკანონობასა და უსამართლობას ჰქონდა ადგილი თსუ-ში... თემა პარლამენტის მიერ მიღებულმა (თუ მისაღებმა) საკანონმდებლო ცვლილებებმაც გააქტიურა...

აი, ამ ფონზე ძალზე **უცნაურად გვეჩვენება თსუ-ს წინაშე ერთ-ერთი მთავარი დამნაშავის – გ. ხუბუას – გამოჩენა ასპარეზზე**: **გ. ხუბუა** დაუბრუნეს უნივერსიტეტში – აირჩიეს სრულ პროფესორად და გაუხსნეს ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი (კითხვის ნიშნებს აჩენს ისიც, რომ **გ. ხუბუას** ოფიციალურად დაუდგენენ გვერდში მინისტრები **ნ. ხადური** და **დ. ნარმანია**)! ჩვენი აზრით, ეს ნაბიჯი პრინციპულად ეწინააღმდე-

---

* წერილი გამოქვეყნდა ა. არაბულის, ა. დავითულიანის, გ. მახარაძის, ჯ. მებონიასა და გ. ქავთარაძის თანაავტორობით.

გება წინასაარჩევნოდ დაპირებულ კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენას...

გ. ხუბუამ თავისი ნაავკაცარის გასამართლებლად ისევ მიმართა ბოლშევიკებისა და ნაციონალების ნაცად ხერხს – უნივერსიტეტისათვის თავდადებული პროფესორების დისკრედიტაციას... ახლახან რამდენიმე ინტერვიუში ნარექტორალმა თავი უცოდველად და ნაციონალებისაგან დაჩაგრულადაც კი წარმოაჩინა... და როცა მიიჩნია, რომ ეს არ იყო საკმარისი, **მოიძია** ასპარეზიდან უკვალოდ გამქრალი „ხუბუას ხელის ბიჭად წოდებული“ **ალეკო ცქიტიშვილი...** ეს ის **ცქიტიშვილია,** თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი რომ ერქვა 2005-2006 წლებში და **ასრულებდა ყველა იმ ბინძურ შკვეთას**, რაც **ხუბუას** მოუვიდოდა თავში – **სიცრუე, ფაქტების გაყალბება, ცილისწამება** დამსახურებული ადამიანების მიმართ... ეს ის **ცქიტიშვილია,** რომლის შესახებაც საპარლამენტო კომიტეტის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ **ნ. გრიგალაშვილმა** საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესზე თქვა: „მე მრცხვენოდა, როცა ვუყურებდი ახალგაზრდა თავხედი კაცი მხცოვან პროფესორს, ქართული ენის სპეციალისტს, როგორ უმტკიცებდა – კანონში სიტყვა „გადაყვანა“ „კონკურსს“ ნიშნავსო“...

და რადგანაც ამჯერადაც ვერ დააჯერა საზოგადოება **გ. ხუბუამ** თავის უცოდველობაში, ახალი შეკვეთა მისცა თავის „ხელის ბიჭს“ – ამჟამად უკვე არასამთავრობო ორგანიზაციის, „ადამიანის უფლებათა ცენტრის“, დირექტორს **ცქიტიშვილს...** ესეც ნიშანდობლივია: **„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ დირექტორი** თვალისდაუხამხამებლად **ლახავს ასობით დამსახურებული და ღვაწლმოსილი ადამიანის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან უკანონოდ დათხოვილი პროფესორების, პატივსა და ღირსებას**...

საუბარია 2005-2006 წლებში თსუ-ში განვითარებულ მოვლენებზე... **ცქიტიშვილის** აზრით, **პროგრესულ „თსუ-ს ახალ რექტორატს**“ დაუპირისპირდა: „**ძველი პროფესურა“, პროვოკატორები, „წარსულში პრივილეგირებული ლექტორები“, „თსუ-ს კათედრების ყოფილი ხელმძღვანელები, რომლებსაც ათწლეულების განმავლობაში ეკავათ ეს თანამდებობა“;** ისინი მართავდნენ თურმე **„პოლიტიზებულ საპროტესტო აქციებსა და მიტინგებს“...** ეს **„ძველი კათედრების კორუმპირებული ხელმძღვანელები“** თურმე **„შიშობდნენ, რომ თავიანთ პრივილეგირებულ მდგომარეობას დაკარგავდნენ და ვერ გაივლიდნენ გამოცხადებულ კონკურსს“...** თურმე ისინი მიმართავდნენ **„პიარზე გათვლილ დემაგოგიას“** და ა. შ. ყოველივე ეს და უამრავი მსგავსი **სიბინძურე იკადრა ცქიტიშვილმა** იმ ინტერვიუში, რომელიც გამოქვეყნდა **„მთელი კვირის“ წინა ნომერში** (2013 **წლის** 17 **ივნისს**)...

ცქიტიშვილი ისე წარმოაჩენს ვითარებას, თითქოს დაპირისპირება თსუ-ს ადმინისტრაციასა და „ძველ პროფესურას“ შორის მოხდა მხოლოდ 2006 წლის 3 ივლისს, როცა „გ. ხუბუა იძულებული გახდა გამოემახებინა პოლიცია“...

ჩვენ ხელთა გვაქვს გაზეთ „თავისუფალ სიტყვაში“ (2009 წ., № 3) გამოქვეყნებული **გ. ხუბუას** ინტერვიუ. ტყუპისცალივით ჰგავს **ხუბუას** ის და **ცქიტიშვილის** ეს ინტერვიუები ერთმანეთს; როგორც ჩანს, **ხუბუამ** თავისი ინტერვიუ გადასცა და გადაამღერებინა **ცქიტიშვილს...** თუმცა არის განსხვავებაც ამ ორ მასალას შორის: ის ლანძღვა-გინება, რასაც **ცქიტიშვილი** კადრულობს, **ხუბუასაც** კი არ უკადრია...

გ. ხუბუა და მისი ცქიტიშვილი 2004-2012 წლებში უნივერსიტეტში მომხდარ ამბებს აუბრალოებენ, ფაქტებს აყალბებენ, დანაშაულს ჩქმალავენ. არადა, **ეს იყო კანონდარღვევათა და უსამართლობათა მთელი ჯაჭვი...**

ფაქტია, საქმე რომ ისე მარტივად არ არის, რიგორც **ხუბუა-ცქიტიშვილი** და მისნაირები ხატავენ... შევეცდებით მოკლედ აღვადგინოთ წინა ხელისუფლების დროს უნივერსიტეტის მიმართ განხორციელებულ დანაშაულებათა ისტორია **(შევახსენოთ ხუბუასა** და მის **ცქიტიშვილს** მათი ნაავკაცარი):

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ხელისუფლებაში მათი მოსვლისთანავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა. მიზეზი: უნივერსიტეტი იყო ის დაწესებულება, რომელსაც ქართულ საზოგადოებაზე ზემოქმედების განუსაზღვრელი ძალა ჰქონდა; ამიტომ დაისახეს მიზნად ამ ძალის განეიტრალება, რომ ხელში აეღოთ საზოგადოების მართვის სადავეები. „ვარდების რევოლუციამდე“ (2002 წლიდან) დაიწყეს მიზანმიმართული ბრძოლა უნივერსიტეტის წინააღმდეგ...

2004 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნდა კანონპროექტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ (დამტკიცდა წლის ბოლოს). ხელისუფლება განსაკუთრებით აღაშფოთა უნივერსიტეტის კრიტიკულმა დამოკიდებულებამ კანონპროექტის მიმართ: 27 სექტემბერს უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ დაიწუნა კანონპროექტი. ამის გამო პირველი შეტევა **მ. სააკაშვილმა** „წითელ პროფესურაზე“, „კორუმპირებულებზე“, „უსინდისოებზე“ განახორციელა 2004 წლის 28 სექტემბერს ცხრუკვეთიდან (დედულეთიდან). ამას მოჰყვა **კ. ლომაიასა** და მისი გუნდის მასშტაბური შეტევა უნივერსიტეტზე.... მინისტრმა **კ. ლომაიამ** საჯაროდ დაიქადნა: „ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვძირკვავთო“...

2004 წლის 1 ოქტომბერს აიძულეს **რ. მეტრეველი,** გადამდგარიყო რექტორობიდან და დანიშნეს რექტორის მოვალეობის შემსრულებლად უნივერსიტეტისათვის უცხო პირი – **რ. ლორთქიფანიძე...**

2005 წლის იანვარში ძალაში შევიდა ახალი კანონი და დაიწყო ხანგრძლივი უსამართლობის პერიოდი: უკანონოდ შეაჩერეს დიდი საბჭოს ფუნქციონირება... გადაწყვეტილებები მიიღებოდა ერთპიროვნულად; გაუქმდა ყველა კათედრა; ბოლონიის პროცესის მოთხოვნათა საბაბით შეაერთეს ფაკულტეტები (ეს მოხდა გაუაზრებლად, სპეციალისტთა აზრის გაუთვალისწინებლად); 2005 წელს საბიუჯეტო **დაფინანსება მოეხსნა** უნივერსიტეტის **სამეცნიერო სექტორს**. დაიხურა ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, კაბინეტი, სამეცნიერო ცენტრი; ვანდალურად განადგურდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზები; ბიბლიოთეკები... **უმუშევარი დარჩა 1500-ზე მეტი** მეცნიერ-მუშაკი. ამით განუზომელი და აუნაზღაურებელი ზიანი მიადგა ქართულ მეცნიერებასა და განათლებას... არნახული ძალადობისა და უკანონობის მსხვერპლი შეიქმნა **აკადემიური სექტორი.** იმჟამად აკადემიური კონკურსების გამოცხადება და ჩატარება იყო ახლადმიღებული კანონის რამდენიმე პუნქტის უგულებელყოფა (**დაირღვა** უმაღლესი განათლების **კანონის 89-ე მუხლის I და მე-11 პუნქტები; 87-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 34-ე მუხლის I და მე-3 პუნქტები**...)...

კატასტროფულად შემცირდა აკადემიური სექტორი: „რეფორმამდე" უნივერსიტეტში აკადემიურ სექტორში იყო 4000-ზე მეტი თანამშრომელი; განათლების მინისტრის უშუალო მოთხოვნით კონკურსი გამოცხადდა მხოლოდ 700 საშტატო ერთეულზე; აკადემიური სექტორი შემცირდა თითქმის 5-ჯერ; სხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს შემცირება შეეხო მხოლოდ 3-4%-ით!.. (ეს იყო მინისტრის, **კ. ლომაიას, „შურისძიება"** უნივერესიტეტისადმი; ამიტომაც მიგვაჩნია, რომ თბილისის სახ. უნივერსიტეტის მდგომარეობა და მომავალი სხვა უნივერსიტეტებთან საერთო კონტექსტში არ უნდა იქნეს განხილული...).

ამ კონკურსების შედეგად **გაუქმდა ტრადიციული დარგები, გაქრა სპეციალობები**... კონკრეტული მაგალითი: 2006 წლამდე ფიზიკის ფაკულტეტზე 112 პროფესორ-მასწავლებელი იყო; კონკურსი გამოცხადდა 23 ადგილზე; ეს რომ გაუთვლელი შემცირება იყო, იქიდანაც ჩანს, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო გახდა დამატებით 100 მასწავლებლის მოწვევა. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება... ესეც არის **უდიდესი დანაშაული ქართული განათლებისა და მეცნიერების წინაშე**...

2006 წლის აპრილიდან უნივერსიტეტში მოიყვანეს გ. ხუბუა და მის „მოღვაწეობასთან“ არის დაკავშირებული უნივერსიტეტზე განხორციელებული **ძალადობისა და შეურაცხყოფის არნახული მაგალითები...**

როგორც ითქვა, „რეფორმის“ დასაწყისშივე სამინისტროს მითითებით შეაჩერეს თსუ-ს დიდი საბჭოს ფუნქციონირება; გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებდა რექტორი (რა თქმა უნდა, მინისტრის კარნახით)... ჩვენი ძალისხმევით 2006 წლის აპრილში განაახლა მუშაობა უკანონოდ დათხოვნილმა დიდმა საბჭომ; საბჭოს თავმჯდომარედ ავირჩიეთ აწგანსვენებული აკადემიკოსი **თენგიზ სანაძე** და განვაგრძეთ ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ. პროფესორ-მასწავლებლების მთავარი მოთხოვნა იყო – „**რეფორმა მოექცეს კანონის ფარგლებში**“. ამ მოთხოვნას **გ. ხუბუამ** პოლიცია დაუპირისპირა: 2006 წლის 19 და 20 ივნისს მან პოლიცია შემოიყვანა უნივერსიტეტში და დარბაზში მსხდომი პროფესორები ხელგადაგრეხილები გაიყვანეს უნივერსიტეტიდან...

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა 2006 წლის 3 ივლისს გ. ხუბუას მოქმედებამ: უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა ხელისუფლების მიერ დანიშნულ გ. ხუბუას და მოსთხოვა, დაეტოვებინა თანამდებობა. ისევ **პოლიცია შემოიყვანეს უნივერსიტეტში** და რექტორის კაბინეტში სასაუბროდ შესული პროფესურა იძულებით გამორეკეს გარეთ; პროფესურამ სააქტო დარბაზში გადაინაცვლა. აქ მოხდა **ადამიანის უფლებების არნახული დარღვევა**: პოლიციის მეშვეობით ჩაკეტეს ყველა კარი (გასასვლელი წყლისაკენ, ტუალეტებისაკენ; ამოქოლეს კარ-ფანჯრები; არავის აძლევდნენ საშუალებას, გარედან მიეწოდებინათ წყალი, საჭმელი. სააქტო დარბაზში შეკრებილებს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება ერთი დღე-ღამის განმავლობაში... ამის შესახებ უამრავი მასალაა იმჟამინდელ პრესაში, ტელეარქივებში)... 3 ივლისს შემოყვანილი პოლიცია უნივერსიტეტში დატოვეს თითქმის ორი თვე და ამ ხნის მანძილზე უნივერსიტეტში პოლიციური რეჟიმი დაამყარეს; პოლიციას სიები გადაეცა „რეფორმასთან“ დაპირისპირებული პროფესორებისა და მათ აეკრძალათ უნივერსიტეტში შესვლა...

მკითხველს ვთხოვთ, ყურადღება მიაქციონ: მსგავსი რამ მხოლოდ **1939 წელს მოხდა**, როცა **ფაშისტებმა კრაკოვის ნივერსიტეტიდან გარეკეს პროფესორები**... ისიც გავიხსენოთ: 2007 წლის იანვარში ათენის ქუჩებში სტუდენტების მასობრივი გამოსვლები იყო. პოლიციისაგან შევიწროებულმა სტუდენტობამ უნივერსიტეტის ეზოს შეაფარა თავი და პოლიციამ იქ შესვლა არ იკადრა! და რაც მთავარია, **უნივერსიტეტის ეზოში შესვლა ვერ გაბედეს 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ჯარისკაცებმა**!..

სიტყვიერი დაპირისპირებისათვის **გ. ხუბუამ** რექტორად მოსვლის პირველივე დღეებში **დააჭერინა და ორი კვირით საპატიმროში ჩაასმევინა** განსხვავებული აზრის მქონე **პროფ. გ. შარაძე**.

გ. ხუბუას მოთხოვნით საუნივერსიტეტო მოძრაობის ინიციატორები ატარეს პრო-კურატურაში, როგორც დამნაშავეები; შემდეგ **9 მათგანი გაასამართლეს „წვრილმანი ხულიგნობის“ მუხლით** (სარჩელი ამჟამად სტრასბურგის სასამართლოშია; განხილვის ეტაპი დასრულდა, ველოდებით გადაწყვეტილებას)...

არაერთგზის დაიწერა იმ **ფინანსურ კანონდარღვევებზეც**, რაც თსუ-ში ხდებოდა „რეფორმის“ პერიოდში (იხ. მაგალითად, გაზეთი „ქრონიკა“ № 39, 2006 წ.); **სახელმწიფო ქონების მართვის არაეფექტიანობაზე**; სამართლებრივი შეფასება არ მისცემია თუნდაც იმ ფაქტებს, რის გამოც გაუშვეს უნივერსიტეტიდან **გ. ხუბუა** (მოპარული უნიკალური წიგნები; არასწორად ჩატარებული ტენდერები და ა.შ.); ცალკე თემაა ამ პერიოდში გამოვლენილი **ნეპოტიზმის შემთხვევები**; **არასწორი დანიშვნები**; კანონდარღვევით ჩატარებული და **გაყალბებული კონკურსები** (2006, 2009, 2012 წლებში; არსებობს სასამართლოზე აღიარებული ფაქტები); გახმაურებული ამბავი **უკანონოდ გაცემული დიპლომებისა...** და სხვა... და სხვა...

აქ ყოველივეს ჩამოთვლა, რა თქმა უნდა, არ მოხერხდება. გავხაზავთ: თითქმის **ყველა უკანონობაზე საუნივერსიტეტო საზოგადოება ახდენდა სამართლებრივ რეაქციას**: მომზადდა არაერთი **სარჩელი**, რომლებიც განიხილეს **საქალაქო, სააპელაციო და საკონსტიტუციო სასამართლოებმა;** სარჩელების უმრავლესობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა. სამ საქმეს **სტრასბურგის სასამართლო** განიხილავს... ამჟამად რამდენიმე საქმეს პროკურატურა იძიებს...

საგაზეთო წერილისათვის, ვფიქრობთ, საკმარისია... ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, იცის **გ. ხუბუამ** (და **მისმა ცქიტიშვილმა**), მაგრამ თავის გადარჩენის მიზნით უკადრებელს კადრულობს... ვფიქრობთ, **ხუბუამ ცქიტიშვილის** გაცოცხლებით თავი კიდევ უფრო შეირცხვინა...

ისტორიამ განმეორება იცისო: **ხუბუა-ცქიტიშვილისნაირთა** მცდელობის მიუხედავად აღდგება უნივერსიტეტი!..

და ერთი კითხვაც გვაქვს: ნეტა **რის საფასურად გაყიდა სინდისი ა. ცქიტიშვილმა?..**

გაზეთი „მთელი კვირა“,
24 ივნისი, 2013.

ჭკუისა თუ სინდისის გამოცდის ჟამი

(ფიქრებით თსუ რექტორის არჩევნების წინ)

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდა. 19-მა პირმა გამოთქვა რექტორობის სურვილი, მაგრამ საარჩევნო კომისიამ 14 მათგანი გაატარა რეგისტრაციაში. კანდიდატთა სიას რომ გადავხედე, შევცბი: ჩემი ასაკისა და მდგომარეობის ადამიანს რექტორობის მოსურნე კაცის სახელი და გვარი რომ არ ექნება გაგონილი, ცუდადაა საქმე... – ვისი საქმე? – რა თქმა უნდა, ჩემი (და არამხოლოდ...)...

* * *

ამიხსნეს: – ზოგიერთი ასე ფიქრობსო, თუ უნივერსიტეტის რექტორი შეიძლება ყოფილიყო **გ. ხუბუა** ან **ს. კვიტაშვილი,** მე რატომ არ შეიძლება ვიყო რექტორიო...

რას ერჩი, მართალია კაცი: ბოლო ათწლეულის „საუნივერსიტეტო რეფორმამ“ მისცა საფუძველი ამგვარ ლოგიკას: გააუფასურა უნივერსიტეტის რექტორობა; თორემ „ვარდების რევოლუციამდე“ წარმოიდგენდით, რომ „უსახელგვარო“ კაცს უნივერსიტეტის რექტორობა მოენდომებინა?...

* * *

1926 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობიდან დაითხოვეს დიდი **ივანე ჯავახიშვილი** და აირჩიეს ვინმე **თედო ღლონტი**... მწერალ **მიხეილ ჯავახიშვილს** ბლოკნოტში ჩაუწერია: „1921 წელს თედო ღლონტი სტუდენტად არ მიიღეს, რადგან სწავლის სტაჟი არ ჰქონდა (სამოქ. სკოლა). დღეს კი, 22/VI რექტორად აირჩიეს“...

საინტერესოა, დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო და თსუ რექტორობის მსურველთა სიისათვის გადაეხედა, რას იტყოდა მიხეილ ჯავახიშვილი?..

* * *

1975 წელს ანსამბლ „ორერა–75“-ის ხელმძღვანელს, რობერტ ბარძიმაშვილს, პატარა ბიჭი ლევან ლაზარიშვილი აჰყავდა ხელჩაკიდებული სცენაზე და ეკითხებოდა: „შენ საქართველო გიყურებს, არ გეშინია?..“

რექტორობის მოსურნეთა სიას რომ გადავხედე, სურვილი გამიჩნდა, კანდიდატთა უმრავლესობისთვის იგივე კითხვა დამესვა... შეიძლებოდა სხვა ვარიანტიც: „შენ საქართველო გიყურებს, არ გრცხვენია?!“

* * *

თუმცა სიტყვა „სირცხვილი“ რომ ვახსენე, ერთი ქუთაისური დიალოგი გამახსენდა:

– რას აკეთებ, კაცო, სირცხვილიაო... – უთხრეს და

– მე თუ არ მრცხვენია, მაინც სირცხვილიაო?.. – იკითხა თურმე...

* * *

1912 წელს რუსეთის სათათბიროს არჩევნები იყო. **აკაკი წერეთელმა** საჩხერეში იყარა კენჭი წარმომადგენლობით არჩევნებში (შემდეგ წარმომადგენლები ირჩევდნენ სათათბიროს დეპუტატს). აკაკის კონკურენტი იყო ვინმე **ხუსკივაძე...** და აკაკიმ არჩევნები წააგო საჩხერეში, გაიმარჯვა ხუსკივაძემ...

შედეგები რომ გაიგო, აკაკიმ თურმე ჩაიცინა და თქვა: „არ მიკვირს, კენჭი ჭკუისა და სინდისის საქმეა; ჩემს ამომრჩეველს ორივემ უღალატაო“...

2013 წლის 16 აგვისტოს კიდევ ერთხელ(!) დადგება თსუ აკადემიური საბჭოს წევრთა „ჭკუისა და სინდისის“ გამოცდის ჟამი... თუმცა ამჯერად საზოგადოების ინტერესი არის დიდი და ამან პასუხისმგებლობა უნდა გაუღვიძოს აკადემიური საბჭოს წევრებს...

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთა ორი რიგი არსებობს:

I. პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი... ა. ჯანელიძე, ნ. კეცხოველი, ვ. კუპრაძე, გ. ძოწენიძე, ე. ხარაძე, ი. ვეკუა... და

II. თ. ღლონტი, მ. ტოროშელიძე, ი. ვაშაყმაძე, ა. ერქომაიშვილი, ლ. აღნიაშვილი, კ. ორაგველიძე (ექვსივე დახვრიტეს 1937 წელს)... გ. ხუბუა, ს. კვიტაშვილი.

16 აგვისტოს აკადემიურ საბჭოს აქვს შესაძლებლობა, გააგრძელოს ნებისმიერი – პირველი ან მეორე – რიგი; საბჭოს წევრთა „ჭკუასა და სინდისზეა“, როგორც აკაკი იტყოდა, დამოკიდებული უნივერსიტეტის ბედი...

და მაინც: როგორ მოიქცევა საბჭო, ძველებურად შეასრულებს „შეკვეთას“, თუ იფიქრებს დედაუნივერსიტეტის მომავალზე?..

* * *

ისევ ქუთაისური დიალოგებიდან.

მეოთხე ცოლს რომ გაშორდა და მეხუთე რომ მოიყვანა, ჰკითხეს:

– ახლა მაინც თუ ხარ ბედით კმაყოფილიო?..

– ეჰ, ცოლი ყველა ცოლია, სახელი აქვთ სხვადასხვაო...

ნამდვილად არ მინდა, ეს ამბავი გამახსენოს ამ საეტაპო არჩევნების შემდეგ „ჯავახიშვილის სავარძელში“ აღმოჩენილმა ახალმა რექტორმა...

* * *

და ბოლოს:

საუკუნე-ნახევრის წინათ **აკაკი წერეთელმა** რიტორიკული შეკითხვა დასვა: „ვინ არ იცის, რომ ჩვენი ბედისწერა განათლებაზედ არის დამოკიდებულიო“...

თუმცა ამ შეკითხვას აქვს პასუხი... ძვირფასო მკითხველო, მე ვიცი ეს პასუხი... თქვენ?...

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
13 აგვისტო, 2013.

და სხვა პუბლიკაციები უნივერსიტეტის თემაზე
(გ. გოგოლაშვილისა)

1. **კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ და ქართული უნივერსიტეტი, ანუ არ მიდის ტაძრისკენ ეს გზა**: გაზეთი „ახალი განათლება“, 26-27 ოქტომბერი, 2004.
2. **რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა**?: „თბილისი“, 13-14 ოქტომბერი, 2004.
3. **არ ჩანს შემთხვევითი**: გაზეთი „თბილისი“, 27-28 ოქტომბერი, 2004.
4. **რეფორმატორთა მიზანი უნივერსიტეტის დისკრედიტაციაა**: გაზეთი „საქართველოს ტრიბუნა“, 1-2, 2004
5. **პროფესორის ხელფასი**: გაზეთი „თბილისი“, 21-22 აპრილი, 2005; გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №17, 2005.
6. **განათლების მოდელი, იჭვიანი კითხვები და „ეროვნული ეტლი“** (დიალოგი ე. ბუჯიაშვილთან): გაზეთი „თბილისი“, №59, 2005.
7. **მოთამაშე მსაჯები უნივერსიტეტში:** გაზეთი „რეზონანსი“, №251, 2005.
8. **სიტყვა საქმიანი თუ... :** გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №51, 2005.
9. **სიბრძნე იგავისა და პატრიარქისა**: გაზეთი „თბილისი“ №92, 2005
10. **ვინ, როგორ და რატომ ებრძვის ილიას**: გაზეთი „თბილისი“, 12 აგვისტო, 2005.
11. **ქართული უნივერსიტეტის საგანგაშო პერსპექტივა**: გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 9 ივნისი, 2006.
12. **უნივერსიტეტი თავისუფლების ინსტიტუტის დასაყრდენი გახდა**: გაზეთი „ახალი თაობა“ № 147, 30 მაისი, 2006.
13. **უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმა კანონის ფარგლებს გაცდა**: გაზეთი „რეზონანსი“, №131, 19 მაისი, 2006.
14. **როგორ ტარდება კონკურსები უნივერსიტეტში**: გაზეთი „რეზონანსი“, №131, 19 მაისი, 2006.
15. **წარმატებული რეფორმის ლომაიას მეტს არავის სჯერა**: გაზეთი „არგუმენტი“, № 21, 1-7 ივნისი, 2006.
16. **მეცნიერების რევოლუციის გზით განვითარება მიუღებელია**: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №15-16, 21 ივნისი, 2006.

17. **პროფესორები გადატრიალებას არ ვგეგმავდით**; გაზეთი „ახალი თაობა“, 4 მაისი, 2007.
18. ამ **ხელკეტით სახელმწიფო მართლაც ვიგრძენით, ოღონდ – ტირანული**: გაზეთი „ყველა სიახლე“, 7-13 დეკემბერი, 2007.
19. **ვუთხრათ მართალი საზოგადოებას**: გაზეთი „რეზონანსი“, 14 თებერვალი, 2008.
20. **ვარდისფერი პარადოქსები:** გაზეთი „საქართველოს რესპუბიკა“, 24-25 თებერვალი, (№ 34-35), 2009.
21. **ლიტერატურული ასოციაციები**: გაზეთი „საქართველოს რესპუბიკა“, 19, 20, 21 თებერვალი, (№ 31-33, 51-72), 2009.
22. **რაც უნივერსიტეტს გადაარჩენს და განავითარებს**: „საქართველის რესპუბლიკა“, 18ოქტომბერი, 2012 (თანაავტორებით).
23. **განათლება – ჩვენი ბედისწერა**: ალმანახი „სამი საუნჯე“, №3, 2012.
24. **უნდა გადარჩეს უნივერსიტეტი:** ალმანახი „სამი საუნჯე“, №2, 2013.
25. **დღეს უნივერსიტეტი ისეთ სავალალო მდგომარეობაშია, ნიკო კეცხოველიც ვერ უშველის:** ყველა სიახლე,13-19 მარტი, 2013-08-31.
26. **რატომ წყალობს ახალი ხელისუფლება იმ ადამიანებს, ვინც განათლების სისტემა დაანგრია?:** „საერთო გაზეთი“, 22-28 მაისი, 2013.
27. **ეს არის ქართული განათლებისა და მეცნიერების დაღუპვა:** „ალია“, 23 მაისი, 2013.
28. **რამდენიმე დღეში წამხდარი საქმის გამოსწორებას წლები დასჭირდებ**: „რეზონანსი“, 26 მაისი 2013.
29. **რა ხდება უნივერსიტეტში?**: ჟურნ. „მედიატორი“, №5-6, 2013.
30. **ჟამი ეროვნული სკოლის ძნელბედობისა: „**საქართველოს რესპუბლიკა“, 23 აგვისტო, 2013.

I დანართი „საუნივერსიტეტო დარბაზის“ ქრონიკა

2005 წელს ამოქმედდა ახალი კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. 2004 წელს დაწყებულ საუნივერსიტეტო რეფორმას საკანონმდებლო ბაზა შეუქმნეს და დაიწყო კანონდარღვევათა გრძელი და დაუნდობელი პროცესი.

გვქონდა შეშფოთების საფუძველი და თსუ პროფესორთა ერთმა ჯგუფმა გადავწყვიტეთ შეგვექმნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საუნივერსიტეტო დარბაზი“. საინიციატივო ჯგუფი (შემდგომში „საუნივერსიტეტო დარბაზის“ გამგეობა): **მარიამ ცაცანაშვილი, ავთანდილ არაბული, ზურაბ ლომთათიძე, გიორგი მახარაძე, ომარ მუკბანიანი, თენგიზ ჭიაბრიშვილი** და **გ. გოგოლაშვილი.**

2006 წელს შეიქმნა მოძრაობა „განათლებისა და მეცნიერების გადარჩენისათვის“. „საუნივერსიტეტო დარბაზი“ ორგანიზაციად შეუერთდა ამ მოძრაობას.

იმ პერიოდში უნივერსიტეტში მოქმედებდა ორგანიზაცია „ალტერნატიული საბჭო“...

ჩვენ „საუნივერსიტეტო დარბაზის“ საქმიანობას ვიხსენებთ იმდროინდელი **საგაზეთო პუბლიკაციების** მეშვეობით. ცხადია, ყველა პუბლიკაციის მოძიება არც დაგვისახავს მიზნად. ჩვენი მიზანი მარტივია: შევახსენოთ საზოგადოებას, რა ხდებოდა დედაუნივერსიტეტში 2004-2005 წლებში...

სხვა ორგანიზაციისა თუ მოძრაობის საქმიანობას სხვა გაიხსენებს...

P. S. რასაც ამ წიგნში I და II დანართის სახით წარმოვადგენთ, ნაწილია იმ პუბლიკაციებისა, რომლებიც ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ (№4-9, 2005) გადმოვბეჭდეთ.

გაღმა გასვლისა მსურველთა უკუღმა მიგვყავს ბორანი!...

ვაჟა-ფშაველას ეს შემახილი დღევანდელი ჩვენი ცხოვრების ბევრ სფეროს შეიძლება მიესადაგოს, მაგრამ ყველაზე მეტად, ჩვენი აზრით, განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე პროცესებს შეეფერება.

პოეტს ეს შემახილი წიწამურის ტრაგედიის გამო აღმოხდა. ერთი საუკუნის წინათ იყო ეს... თითქმის საუკუნის შემდეგ განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს „ახალი წიწამური“ უწოდეს... ამიტომაც მიესადაგება ეს სათაური დღევანდელ ვითარებას.

უკვე თითქმის ორი წელია, მეცნიერებისა და განათლების რეფორმა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ პრობლემად იქცა...

2004 წლის სექტემბრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მკვეთრი და ნათელი პოზიცია დაიჭირა მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით. უცნაური იყო ხელისუფლების პოზიცია: „ჩვენ ერთი სანტიმეტრითაც არ დავიხევთ უკან“, – ბრძანა მინისტრმა, კ. ლომაიამ. მაშინ შევახსენეთ ხელისუფალთ მ ა რ კ უ ს ა ვ რ ე ლ ი უ ს ი ს სიტყვები: „უნდა შეგეძლოს შეიცვალო შეხედულება, თუ ვინმე დაგანახებს შენი შეხედულების მცდარობას“. ცხადია, ამ სიტყვების ავტორი გულისხმობდა იმასაც, რომ სურვილიც უნდა გქონდეს, დაინახო სიმართლე... აი, ხელისუფალთა ამ სურვილს ვერ ვხედავთ, მაგრამ მაინც ვცდილობთ, ვთქვათ სათქმელი. უმაღლესი განათლების კანონპროექტის განხილვისას გამოთქმული თვალსაზრისები „ბურჯი ეროვნებისას“ სპეციალურ ნომერში ავსახეთ (№7-9, 2004 წ.). დადგა დრო, განათლებისა თუ მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმის შესახებ გამოთქმულ შეხედულებებსაც მოვუყაროთ თავი...

ობიექტურმა მკითხველმა შეაფასოს, მომავლის საქართველომ განსაჯოს მტყუან-მართალი!...

„ბურჯი ეროვნებისა“ №4-9, 2005.

დედოზარი და დანარჩენებიც

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თანამშრომელთა გაერთიანება „საუნივერსიტეტო დარბაზი“ დაფუძნდა.

– **მხარს ვუჭერთ კანონის ფარგლებში გატარებულ რეფორმას!**

– **ვიცავთ უნივერსიტეტის თანამშრომელთა ინტერესებს!**

– **ვიცავთ უნივერსიტეტის ღირსებას!**

ასეთია ის სამი დევიზი, რომელიც გაერთიანების დამფუძნებლებმა წარმოადგინეს. ესენი კი სხვადასხვა ფაკულტეტის 7 პროფესორია: **გიორგი გოგოლაშვილი, მარიამ ცაცანაშვილი, ომარ მუკბანიანი, ავთანდილ არაბული, გიორგი მახარაძე, ზაურ ლომთათიძე** და **თენგიზ ჭიაბრიშვილი.**

* * *

1918 წლის აპრილში ოსმალებმა ბათუმი დაიკავეს. ოკუპაციის საფრთხე დაემუქრა თბილისს. შეიკრიბა ახლად დაარსებული უნივერსიტეტის დიდი საბჭო და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: არ შეწყდეს უნივერსიტეტში ლექციები და სწავლა; ფრონტზე წასული სტუდენტებისათვის ომის შემდეგ ანაზღაურდეს მათთვის გაცდენილი ლექციები; თუ მტერი თბილისს მოადგება, უნივერსიტეტის პროფესორები ფეხმოუცვლელად დავრჩეთ შენობაში და, საჭიროების შემთხვევაში, სისხლის და სიცოცხლის ფასადაც დავიცვათ იგი. ამ გადაწყვეტილებას **ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, იოსებ ყიფშიძე** და **კორნელი კეკელიძე** აწერდნენ ხელს.

ისტორიის ეს სასახელო და ამაღლებელი ფურცელი პროფესორმა **გიორგი გოგოლაშვილმა** გაიხსენა.

გაიხსენა დარბაზში შეკრებილთა საამაყოდ და აუცილებლად, სამაგალითოდაც.

* * *

„საუნივერსიტეტო დარბაზი“ არის არაპოლიტიკური გაერთიანება. აქედან გამომდინარე, არ ვითანამშრომლებთ არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან და ვთხოვთ, ნურც ისინი შეეცდებიან ამას. აგრეთვე ვთხოვთ აქ შეკრებილებს, განსაკუთრებით კი მასმედიის წარმომადგენლებს, სწორად გააშუქონ ჩვენი

შეკრების მიზანი. ახლახან ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა მცდარი ინფორმაცია, თითქოსდა, ჩვენი გაერთიანება უნივერსიტეტის რექტორის, პროფკსორ **რუსუდან ლორთქიფანიძის** წინააღმდეგ იქმნება. ამიტომ ამთავითვე გავმარტავთ, რომ „დარბაზი“ იმუშავებს არა კონკრეტულად ვინმეს წინააღდმეგ, არამედ, როგორც ილია ბრძანებდა, **ჩვენ დავუპირისპირდებით ნებისმიერს, ვინც დაუპირისპირდება უნივერსიტეტის ინტერესებს, დავუდგებით მხარში ნებისმიერს, ვინც ჩვენს უნივერსიტეტს დაუდგება მხარში**, – ხაზგასმით აღინიშნა შეკრებაზე.

* * *

ახლა კი გადავიდეთ მთავარზე, ანუ იმ დევიზებზე, ზემოთ რომ დავასახელეთ, იმავე ქრონოლოგიით, როგორც შეკრებაზე ისაუბრეს: ილახება უნივერსიტეტის ღირსება, როცა უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდება არა უნივერსიტეტში, უნივერსიტეტელების მიერ, არამედ სადღაც სხვაგან...

უნივერსიტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელები ხვდებიან ფაკულტეტის საბჭოებს და არის საუბარი, თუ როგორი იქნება პროფესორის ხვალინდელი დღე. ამბობენ იმასაც (ეს ზეპირი ოფიციალური საუბარია და ამის შემდეგ რაიმე დოკუმენტი არ არსებობს), რომ პროფესორის ყოველდღიური დატვირთვა ანუ საკონტაქტო დრო გაიზრდება 8 საათამდე, რის მიხედვითაც, პროფესორმა წელიწადში უნდა შეასრულოს 1680 საათი, როცა დღევანდელი დატვირთვა 350 საათს ითვალისწინებს. **დატვირთვას, რომელსაც გვთავაზობენ, მსოფლიოში პრეცედენტი არ მოეპოვება** კოლოსალურად იზრდება დატვირთვა, განახევრდება ანაზღაურება. მთავარი საშიშროება კი სხვაგან დევს: ნებისმიერი კათედრა ასე თანამშრომელთა მხოლოდ მეხუთედს თუ დატვირთავს, დანარჩენები კი უფუნქციოდ დარჩებიან. თუმცა გვეუბნებიან, რომ შემცირებები არ იქნება, მაგრამ ეს თავისთავად მოხდება და პროფესორ-მასწავლებლების 80 პროცენტი უნივერსიტეტის მიღმა აღმოჩნდება. უკეთეს შემთხვევაში – 28-ლარიანი პენსიის იმედად, უარეს შემთხვევაში – სულ უარაფროდ. ამიტომ, სანამ ეს ზეპირი საუბრები იურიდიულ დოკუმენტად იქცევა, მანამ გვმართებს ხმის ამოღება, თორემ მერე ყველაფერი ჩხუბის შემდეგ ხელების ქნევას დაემსგავსება, – განგაშის ზარად გაისმის შეკრებაზე.

* * *

ჩვენ მხარს ვუჭერთ რეფორმას კანონის ფარგლებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ორი რამ საგრძნობლად დაშორდა ერთმანეთს. ჯერ მთავარზე: უნივერსიტეტის ცნობილი მოვლენების შემდეგ, ამ უმაღლესმა სასწავლებელმა იმ წესით უნდა განაგრძოს ცხოვრება, როგორც ცხოვრობდა ანუ იურიდიულად, არსებობს უნივერსიტეტის დიდი საბჭო, რომელმაც, სამწუხაროდ, უნივერსიტეტის კანონის მიღების შემდეგ მხოლოდ ერთხელ შეძლო შეკრება, ისიც – 8 თებერვალს, საიუბილეო დღესთან დაკავშირებით და მხოლოდ რამდენიმე

წუთით. არადა, არ არსებობს სამართლებრივი აქტი, რომლის მიხედვითაც შეჩერებული უნდა იყოს საბჭოს მუშაობა. ამჟამად უნივერსიტეტში მიმდინარეობს პროცესი, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს სტრუქტურული რეორგანიზაცია, ანუ საუბარია ფაკულტეტების, კათედრების გაერთიანებაზე და სანაცვლოდ, ახალი სტრუქტურების შექმნაზე, ინსტიტუტების, განსხვავებული კათედრების, დეპარტამენტების, განყოფილებების სახით. ამგვარი რამ, როგორც უნივერსიტეტის წესდებაში წერია, მხოლოდ დიდი საბჭოს პრეროგატივაა.

* * *

შეკრებაზე წარმოადგინეს გაზეთ „უნივერსიტეტის“ 21 აპირილის ნომერი. გამოქვეყნებულია „რეფორმების პლატფორმა“, რომელშიც წერია, რომ არც ერთი გადაწყვეტილება არ მიიღება საჯარო განხილვის გარეშე.

თუმცა, იმავე ნომერში არის გამოქვეყნებული ინტერვიუ რექტორის მოადგილესთან, **ლევან გორდეზიანთან,** სადაც იგი ამბობს: კანონის გარდამავალი დებულებები მოითხოვს, რომ რეფორმის მიმდინარე პრცესების ოპერატიული მართვა განახორციელოს დანიშნულმა ხელმძღვანელმა და მისმა გუნდმა. გამოდის, რომ ამ ხელმძღვანელის უფლებამოსილება გაცილებით დიდია, ვიდრე არჩეული რექტორისა და იგი, იმავდროულად, დიდი საბჭოს ფუნქციებსაც ერთპიროვნულად ითავსებს... უფრო მძლავრად შემოიკრა შეკრებაზე განგაშის ზარი.

* * *

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ დიდმა საბჭომ განაახლოს ფუნქციონირება, რათა ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რაც წესდებით ევალება, მიიღოს.

დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა ელოდება ხვალინდელ უნივერსიტეტს, თუ იმ მიმართულებით გაგრძელდება რეფორმა, როგორი მიმართულებითაც დღეს მიდის. უზარმაზარ მემკვიდრეობას, 1918 წლიდან მოყოლებული დღემდე, დიდი საფრთხე ემუქრება. არც დიდი წინაპრების, არც დღევანდელობისა და არც მომავლის წინაშე არ გვაქვს უფლება, არ ავიმაღლოთ ხმა და არ გადავარჩინოთ ჩვენი უნივერსიტეტი... – ეს კი, უკვე, დედოზარის შემოკვრას ჰგავდა.

* * *

გარეთ თავსხმა წვიმა მოდიოდა, მხოლოდ ქოლგიანები და „თავზეხელაღებულები“ თუ ბედავდნენ შენობის დატოვებას. უნივერსიტეტის ბაღში კი შეუდრეკლად იდგნენ ქართველი კორიფეების ქვისა თუ ბრინჯაოს ბიუსტები და ძეგლები, ისევე შეუდრეკლად, როგორც, თავის დროზე ისინი, ვისაც განასახიერებენ.

ნუგზარ სხირტლაძე

„თბილისი“, 24 მაისი, 2005.

ვინ ხელყოფს დედაუნივერსიტეტის დამოუკიდებლობას

ამ დღეებში რედაქციამ მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთი ჯგუფის წერილი-მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი, რომელსაც ხელს აწერს ამ თითქმის ერთი საუკუნის სასწავლო-სამეცნიერო უმაღლეს დაწესებულებაში მიმდინარე რეფორმით გულშეღონებული ასზე მეტი ადამიანი, მათ შორის ისეთი სახელოვანი პროფესორები, როგორებიც არიან: მზექალა შანიძე, მარიკა ლორთქიფანიძე, თინა ყიფშიძე, ვალერი ლორია, თენგიზ სანაძე, გივი ჯამბურია, გრივერ ფარულავა, რევაზ სირაძე, რევაზ გახოკიძე, ოლეგ ნამიჩეიშვილი, თამაზ ვაშაყმაძე, მერაბ ჯიბლაძე, ბიჭიკო ცინცაძე, მარინე მელიქიშვილი და სხვ.

მიმართვაში ერთმნიშვნელოვნად, ხაზგასმით ნათქვამია, რომ 2004 წლის 21 დეკემბერს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის გარდამავალი დებულებანი (თავი XV) აწესებს საგანგებო მდგომარეობას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, ვინაიდან ამ კანონის ძალაში შესვლა (87-ე მუხლის თანახმად) იწვევს რექტორებისა და ფაკულტეტების დეკანების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, ხოლო გათავისუფლებული რექტორის უფლებამოსილებას საქართველოს პრეზიდენტი ნებისმიერ (!) პროფესორს ანიჭებს. დეკანებს კი ნიშნავს პრეზიდენტის მიერ დანიშნული რექტორი. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოების უფლებამოსილება შეჩერებულია და უნივერსიტეტის რექტორსა და დეკანებს მინიჭებული აქვთ ყველა საგანმკარგულებო უფლებამოსილება. არც მეტი, არც ნაკლები, ყველაფერი ეს, ეგრეთ წოდებული საგანგებო მდგომარეობის დროს მისაღებ წესებს უტოლდება, მაგრამ ისიც დღესავით ნათელია, რომ ახალი „საგანმანათლებლო“ კანონის ეს დებულებანი საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, რადგან მსგავსი მმართველობის შემოღება დასაშვებია მხოლოდ ომის, მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, ეკოლოგიური კატასტროფისა და ეპიდემიების დროს... საბედნიეროდ, მსგავსი რამ დღეს საქართველოში არ ხდება. ამიტომაც ამ კანონის გარდამავალი დებულებანი და მასთან დაკავშირებით გამოცემული

პრეზიდენტის ყველა აქტი საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელის პირველი წარდგენისთანავე უნდა გააუქმოს.

მიმართვაზე ხელისმომწერნი – უნივერსიტეტის ძველი და ახალი თანამშრომლები ურჩევენ საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ **მიხეილ სააკაშვილს, გააუქმოს უნივერსიტეტში საპრეზიდენტო მმართველობა,** აღადგინოს დემოკრატიული, ავტონომიური თვითმმართველობა, ძალაში დატოვოს ყველა სამეცნიერო საბჭო და კოლექტიურად გადაწყვიტოს უმაღლესი განათლების რეფორმების საკითხები.

* * *

გუშინ კი, დედაუნივერსიტეტში თანამშრომელთა ახალი გაერთიანების **„საუნივერსიტეტო დარბაზის“** პირველი დამფუძნებელი შეკრება გაიმართა. ადრე მასმედიაში გამოცხადებული ოპოზიციური პაექრობის ნაცვლად დარბაზის დამფუძნებლებმა თავიდანვე დამაჯერებლად განმარტეს, რომ ისინი მხარს დაუჭერენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის განხორციელებას... ოღონდ, მხოლოდ მისი სრულყოფისა და კანონიერების ფარგლებში მოქცევის შემდეგ; მოითხოვენ, აგრეთვე, გარდამავალ პერიოდში უნივერსიტეტის მმართველობის ახალი ორგანოების ფორმირებამდე დიდი საუნივერსიტეტო საბჭოს ფუნქციონირების აღდგენას; ახალი საგანმანათლებლო პროგრამების მეთოდური უზრუნველყოფისათვის ხელის შეწყობას; ქართველოლოგიური მეცნიერების, როგორც უნივერსიტეტის შექმნის და არსებობის უმთავრესი ფუნქციის განვითარებისათვის მხარდაჭერას; საერთაშორისო ორგანიზაციებთან სწავლებისა და მეცნიერული კვლევის უახლეს მეთოდოლოგიურ გამოცდილებათა გაცვლის სფეროში თანამშრომლობის აუცილებლობას; უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის თანმიმდევრულ და უმტკივნეულო გადაყვანას ახალ საგანმანათლებლო სისტემაზე (შესაბამისი გარანტიების უზრუნველყოფით); საუნივერსიტეტო იდეისთვის მხარდაჭერას, მემკვიდრეობითობის ხელის შეწყობას, უნივერსიტეტისა და მისი თითოეული თანამშრომლის ღირსების დაცვას; მიმდინარე სარეფორმო პროცესების ჯანსაღ ოპონირებას.

დემოკრატიულ, ღია საზოგადოებაში ამ პრინციპების წინააღმდეგი, ერთი შეხედვით, არავინ არ უნდა იყოს, მაგრამ... უნივერსიტეტში კი კარგად გრძნობენ, რომ ახალი რექტორი და მისი გუნდი ერთპიროვნულად წყვეტენ ზოგადსაუნივერსიტეტო პრობლემებს და თანამშრომელთა დისკრედიტაციის გზას ადგანან. როგორც „საუნივერსიტეტო დარბაზის“ დამფუძნებელ სხდომაზე გულისტკივილით ითქვა, პროფესორის დატვირთვა წელიწადში უნდა გახდეს 1680 საათი, მაშინ როცა დღეს არის 350 საათი. ეს იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი პროფესორ-მასწავლებლების მხოლოდ ერთი მეხუთედი ანუ 15-20 პროცენტი დარჩება უნივერსიტეტში. 75-80 პროცენტი კი, ასაკისა და შესაძლებლობის მიუხედავად, სასწავლებელს მიღმა უმუშევარი რჩება!

ყველაზე საგანგაშო და მიუღებელი ის გახლავთ, რომ დანიშნული რექტორი, დეკანი და კათედრის გამგეები ერთპიროვნულად, სამეცნიერო საბჭო-

ებთან შეუთანხმებლად გადაწყვეტენ უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო და სოციალურ პრობლემებს!

ამიტომაც, **„საუნივერსიტეტო დარბაზმა“** პირველსავე სხდომაზე მიიღო მიმართვა უნივერსიტეტის რექტორის ქალბატონ **რუსუდან ლორთქიფანიძისადმი:**

– ვაღიარებთ განათლებისა და მეცნიერების სფეროში რეფორმის აუცილებლობას, ბოლონიის პროცესის დეკლარაციის (1999 წ.), აგრეთვე ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენციის (1997 წ.) საგანმანათლებლო პრინციპებს, – ნათქვამია მიმართვაში, – მაგრამ ჩვენი პროფესიული ეთიკა და კანონისადმი პატივისცემა გვავალდებულებს, გამოვიჩინოთ სამოქალაქო აქტიურობა უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მიმართ. ამიტომაც, საჭიროდ მიგვაჩნია, – „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებების სრულფასოვანი რეალიზაციის მიზნით მართვის ახალი ორგანოების ამოქმედებამდე განახლდეს უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს მუშაობა; საბჭოს სხდომაზე ოპერატიულად უნდა განვიხილოთ უნივერსიტეტის მართვის ოპტიმიზაციისა და რეფორმის კოორდინაციის საკითხები: ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სისტემური ორგანიზაციის, სწავლების მეთოდებისა და პრინციპების საკითხი; პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერ-თანამშრომელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის, მათი დატვირთვისა და ანაზღაურების პრობლემები.

მიმართვას ხელს აწერენ „საუნივერსიტეტო დარბაზის“ დამფუძნებლები, პროფესორები **ავთანდილ არაბული, გიორგი გოგოლაშვილი, ზაურ ლომთათიძე, გიორგი მახარაძე, ომარ მუკბანიანი, მარიამ ცაცანაშვილი, თენგიზ ჭიაბრიშვილი.**

* * *

რედაქციაში რამდენიმე დღის წინ შემოსული, ასი უნივერსიტეტელის ხელმოწერით დამოწმებული და „საუნივერსიტეტო დარბაზის“ დამფუძნებელთა მიერ რექტორის სახელზე გაგზავნილი მიმართვის მოთხოვნები ერთი და იგივეა, – დაუბრუნდეს უნივერსიტეტს საუკუნოვანი ავტონომია, კანონის ფარგლებში მოექცეს განათლების რეფორმა და... ქვეყნის პრეზიდენტმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, უნივერსიტეტის რექტორმა ჯეროვნად დაიცვან დედაუნივერსიტეტის თითოეული თანამშრომლის ღირსება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი უნივერსიტეტი წკიპზეა, – წინ გაფიცვები, მრავალსაათიანი მიტინგები და... საკონსტიტუციო სასამართლოს დარბაზები მოჩანს...

ღმერთმა გვიშველოს!

სპარტაკ ქობულია

„საქართველოს რესპუბლიკა“,

20 მაისი, 2005.

„დარბაზი“ ბრძანებას არ ემორჩილება

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კიბეებზე ასვლისას ერთმა განცხადებამ მიიქცია ჩემი ყურადღება: „ისტორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საყურადღებოდ“ – ეწერა ფურცელზე. გულისტკივილით გავიფიქრე, რომ ისევე, როგორც ფილოლოგიის, ჟურნალისტიკისა და სხვა მრავალი, ისტორიის ფაკულტეტი ცალკე აღარ იარსებებდა, ანუ გაერთიანებული ფაკულტეტის „ლაბირინთებში“ გაუჩინარდებოდა. ეს – ისე, შესავლისათვის.

რამდენიმე დღეა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განსაკუთრებით ემოციური და თან, პესიმისტური განწყობილებაა: ინგრევა უნივერსიტეტი. განადგურება ემუქრება იმ დიდ მისიას, რაც ჩვენს ალმა-მატერს საქართველოს წინაშე დაარსების დღიდან დაეკისრა, – ხშირად გაისმის ასეთი ფრაზები.

საქმე ის კი არის, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის ბრძანებულების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითა, უნივერსიტეტში დღემდე არსებული 21 ფაკულტეტის ნაცვლად უნდა შეიქმნას 6 ფაკულტეტი: ეკონომიკისა და ბიზნესის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, იურიდიული, მედიცინის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ჰუმანიტარული.

მართლა ინგრევა თუ არა უნივერსიტეტი, ემუქრება თუ არა მას დიდი ეროვნული მისიის მოშლა – დაკნინება? აი, კითხვები, რომელთა მიხედვითაც წარიმართა **„საუნივერსიტეტო დარბაზის“ მორიგი, მეორე სხდომა,** პროფესორები: **გიორგი გოგოლაშვილი** და **მარიამ ცაცანაშვილი** უძღვებოდნენ მეცნიერთა თავყრილობას.

მათ, შესაბამისად, ისაუბრეს ბრძანებისა და, საერთოდ, უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმის მორალურ და იურიდიულ ასპექტებზე. მერე კი ტრიბუნა 93-ე აუდიტორიაში მრავლად შეკრებილ პროფესორ-მასწავლებლებს დაუთმეს. გამოსვლები საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და ხშირად ემოციაც უმაღლეს წერტილს აღწევდა. თუ „დარბაზის“ ხელმძღვანელებმა თავი-

დანვე განაცხადეს, რომ მხოლოდ სამართლიანი გზით, ანუ სასამართლოთი შეეცდებიან სამართლის აღდგენისა და უნივერსიტეტისათვის დიდი საფრთხის აცილებას, აუდიტორია უფრო რადიკალური იყო და იგრძნობოდა მზადყოფნა, რომ პროტესტი უფრო მძაფრად გამოეხატათ.

სად არის რექტორი, რატომ არ მოვიდა ამ შეკრებაზე, რომ ჩვენ კითხვებზე ეპასუხა? – ისმოდა დარბაზიდან. როგორც განემარტათ, რექტორი იმ დროისათვის უნივერსიტეტში არ იმყოფებოდა და მათს შეკითხვებს პრორექტორი **ლევან გორდეზიანი** უპასუხებდა.

იმდენი და იმგვარი მწვავე შეკითხვის ფონზე, დარბაზიდან სეტყვასავით რომ წამოვიდა, ბატონი ლევანის ადგილას ყოფნას, ალბათ, არავინ ინატრებდა. „ადამიანურად, გეთანხმებით, როგორც მოხელეს კი პასუხი არ მაქვს“ – განაცხადა მან ერთ-ერთი შეკითხვის პასუხად.

უნივერსიტეტი ყოველთვის იყო პატრიოტული სულისკვეთების, ეროვნული ფასეულობების მასაზრდოებელი და გამფრთხილებელი, მაგალითის მიმცემი ყველა უმაღლესი სასწავლებლისათვის, ზუსტად ამას ვერ იტანენ, ვერ პატიობენ მას. ვიცით, ჩვენს შენობებზეც ბევრს უჭირავს თვალი, დაიკნინებენ უნივერსიტეტს, გახდიან მას კოლეჯის ოდენას და გაყიდიან ამ შენობებს, ხოლო ასობით მეცნიერს, უდიდესი ღვაწლი რომ მიუძღვით, უბოდიშოდ გაყრიან სამსახურიდან, ასაკოვნებს – 28 ლარიან პენსიის იმედად, ახალგაზრდებს – სრულებით უიმედოდ, – ისმოდა დარბაზიდან.

როგორც აღვნიშნეთ, პროტესტი ტრიბუნიდან უამრავმა გამოხატა. ბუნებრივია, ყველა გამოსვლას ვერ შემოგთავაზებს, მაგრამ მხოლოდ ორს – ქალბატონ **მარიამ ლორთქიფანიძესა** და ბატონ **ავთანდილ არაბულს** მოვუსმინოთ:

მარიამ ლორთქიფანიძე: ვერ ვიტყვი, რომ უნივერსიტეტი დაინგრა, აღარ არსებობს, მაგრამ ის დღეს უმძიმესი პრობლემის, შეიძლება ითქვას, გამოცდის წინაშე დგას. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა დაკარგოს ის სახე, ის ადგილი, რაც 1918 წლიდან მოყოლებული, მსოფლიო მასშტაბით ჰქონდა. ფაკულტეტების ამგვარი გაერთიანება სრულიად გაუგებარია. ნეტავ, რომელ ლექტორს ეყოფა თავხედობა განსხვავებული პროფილების მქონე გაერთიანებულ 7 ფაკულტეტს უხელმძღვანელოს და თქვას, ეს შემიძლიაო.

თუ დაიწყებენ იმის მტკიცებას, რომ ასეა სხვა ქვეყნებშიც, როგორმე, ჩვენც ვფლობთ მსოფლიო ინფორმაციას და პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ მსგავსი არსად არ ხდება! თუ აშშ-ის მაგალითს მოიყვანენ, ისიც თქვან, რომ ამერიკაში არც განათლების სამინისტრო არსებობს და არც განათლების ერთიანი სისტემა, ყველა შტატში ყველა უმაღლეს სასწავლებელს აქვს თავისი ავტონომია და თავიანთ საქმეს თვითონვე განაგებენ. უნივერსიტეტის ავტო-

ნომია ავად სახსენებელი კომუნისტური რეჟიმის დროს, 1926 წელში გააუქმეს და დიდი ივანე ჯავახიშვილიც გააძევეს ამ კედლებიდან, მაგრამ მაშინაც კი არსებობდა დიდი საბჭო და ფაკულტეტების საბჭოები, ანუ იყო რაღაც აზრის გამოხატვა და, საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ღირსებების დაცვის საშუალება. ახლა კი რა ხდება? მსოფლიოში არ არსებობს უნივერსიტეტი, სადაც რექტორს ერთპიროვნულად გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს.

ავთანდილ არაბული: ამ პროცესს, რომელსაც, რატომღაც რეფორმა ჰქვია, მე სოციალურ ექსპერიმენტებს ვუწოდებდი. პროფესორს აქვს ორი მხარე – იურიდიული და მორალური. იურიდიული თვალსაზრისით, ვართ ძალიან რთული, შეიძლება ითქვას, აბსურდული ვითარების წინაშე, ანუ დედა-უნივერსიტეტი დგას საკანონმდებლო სივრცის გარეთ და გადასულია ერთპიროვნული მართვის რეჟიმში. რაც შეეხება მორალურ მხარეს: განა, იმსახურებს რომელიმე ჩვენგანი, ვინც ამ თხუთმეტწლიანი ჯოჯოხეთური ცხოვრების მანძილზე, სიცივეში, სიბნელეში, შიმშილისას არ დავტოვეთ აუდიტორიები, არ ვუღალატეთ ამ წმინდა ტაძარს, მომავალ თაობებს არ ეკითხათ ჩვენთვის უნივერსიტეტის მომავლის ბედი, გვემუქრებოდეს განუკითხავი განტევება ამ კედლებიდან?

ჩვენ ატესტაციის მომხრენი ვართ, რადგანაც ეს თანამედროვე რეფორმის ამოსავალი პრინციპია, მაგრამ, ყოველგვარი ატესტაციის გარეშე? როცა გვეუბნებიან, რომ შეიძლება არ დაგვემუქროს შტატების შემცირება, ეს დაცინვად გაისმის იმის ფონზე, რაც უკვე მოხდა, იანვარში ე. წ. სამეცნიერო სექტორი, 1800 კაცის შემადგენლობით, უკვე გაათავისუფლეს.

ჩვენი უნივერსიტეტი დაარსდა და დღემდე არსებობდა, სწორედ, მეცნიერების საფუძველზე, ხოლო იქ, სადაც მეცნიერება მოიშლება, არ იარსებებს უმაღლესი სასწავლებელიც და ის გახდება რაღაც საშუალო სკოლის მსგავსი კოლეჯი, მეტი არაფერი. ჩვენს მეზობელ თურქეთში, რომელიც, ეს ეს არის, ახლა ვითარდება ევროპულ დონეზე, უმაღლესი სასწავლებლების აღორძინებას სწორედ, მეცნიერების განვითარებით იწყებენ და არა – პირიქით, როგორც ჩვენში.

ჩაიწერა ნუგზარ სხირტლაძემ

„თბილისი“, 21 ივნისი, 2005.

უნივერსიტეტი კოლეჯად არ უნდა გადავაქციოთ

სტუდენტი ახალგაზრდობა და ქართული საზოგადოება ამას ნამდვილად არ გვაპატიებს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება **„საუნივერსიტეტო დარბაზის“ მიმართვა** საქართველოს პრეზიდენტისადმი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტმა უკვე გამოხატა მხარდაჭერა უმაღლესი განათლების უახლესი რეფორმებისადმი იმით, რომ აქტიურად (თუმცა, უპირატესად – უშედეგოდ) იმუშავა შესაბამისი კანონის დახვეწისათვის, ხოლო მისმა დიდმა სამეცნიერო საბჭომ გაგებით მიიღო თქვენ მიერ წარმოდგენილი კანდიდატურა თსუ რექტორის საპატიო პოსტზე.

სამწუხაროდ, ამით დაიწყო უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის დაკარგვის იურიდიული გაფორმების პროცესი, რომელსაც მოჰყვა არაკვალიფიციური, მეტიც, ვოლუნტარისტული დამოუკიდებლობა უნივერსიტეტის ღირებული მემკვიდრეობის მიმართ, სრულიად დაუმსახურებლად გამოირიცხა არა მარტო საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების, არამედ განხილვის პროცესშიც კი იმ პროფესორთა როლი, რომლებიც უმძიმესი წლების განმავლობაში უნივერსიტეტის იდეას ერთგულად ემსახურებოდნენ. დაგვერწმუნეთ, ეს პროცესი გამოუსწორებლად დააზარალებს ქართული საგანმანათლებლო სკოლის – დედაუნივერსიტეტის თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში მსოფლიო საგანმანათლებლო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესს.

უნივერსიტეტმა იურიდიულად დაკარგა საბაზისო დაფინანსება, რაც არა მარტო სასწავლო-სამეცნიერო პროცესის, არამედ რეფორმის განხორციელების ქვაკუთხედი უნდა ყოფილიყო. ამით დაირღვა 2004 წლის ნოემბერში უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის მიცემული თქვენი პირობა შესაბამისი სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ.

დამოუკიდებლობის კიდევ ერთი მთავარი საფუძველი – უნივერსიტეტის წესდება, ჯერ უკანონოდ უგულებელყვეს თქვენ მიერ დანიშნულმა ხელმძღვანელობამ, ხოლო შემდეგ მისი გაუქმების ბრძანებასაც მოაწერეთ ხელი.

გაუქმდა დიდი სამეცნიერო საბჭო. ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოები და განხილვისა თუ გადაწყვეტილების მიღების კოლეგიალური პრინციპები. ამით, სრულიად უსაფუძვლოდ, არსებითად, საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა ქვეყნის 22 უმაღლეს სასწავლებელში. „გარდამავალი პერიოდით“ ამას ვერ გავამართლებთ. ვინაიდან ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცე რეფორმის დემოკრატიულ და სამართლიან პირობებში წარმართვას მოითხოვს, რომლის დედაარსიც სწორედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა დამოუკიდებლობაა.

დღესდღეობით, ერთი მხრივ, სასწავლო-საკრედიტო სისტემის ამერიკულ-ევროპულ მოდელების აღრევამ ქართული რეალობის გაუთვალისწინებლად და, მეორე მხრივ, გაუთვლელი და დაუსაბუთებელი სტრუქტურული რეორგანიზაციის არაკოორდინირებულმა წარმართვამ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას ცაიტნოტი შეუქმნა. რექტორის ბრძანებით, დაიგეგმა უნივერსიტეტის მუშაკთა პერმანენტული შემცირება სოციალური გარანტიებისა და ღირსების დაცვის გარეშე. აღრეულია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხილვისა და რეალიზების თანამიმდევრობა, რაც უდიდეს დარტყმას აყენებს სწავლების ხარისხს. რატომ ეჩქარებათ, როცა ჯერ მზად არ არის საშაულო განათლების 12-წლიანი სისტემა – საძირკველი თქვენგან შემოთავაზებული უმაღლესი განათლებისა. არც თითოეული საფეხურის კურსდამთავრებულების კერძო და საჯარო სამსახურში დასაქმების შესაბამისი გარანტიები არსებობს.

ამ კითხვაზე ჩვენ ერთადერთი პასუხი გვაქვს: მოვლენების ფორმირების მცდელობა ეროვნული განათლების ტრადიციული საფუძვლების სრულ მოშლას და მომავალი სასწავლო პროცესების სულ ცოტა 10-15 წლით პარალიზებას გამოიწვევს. თავიდანვე სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებად დაფუძნებულ უნივერსიტეტს კი, სამეცნიერო სექტორის ჩამოშორება და ფუნდამენტური განათლების გარეშე დატოვებული საგანმანათლებლო პროგრამები კოლეჯის სტატუსს დაუმკვიდრებს. ამას კი სტუდენტი ახალგაზრდობა და მათი გულშემატკივარი ქართული საზოგადოება ნამდვილად არავის აპატიებს.

თქვენ ამბობთ, განათლება ძვირი გვიჯდებაო და საბიუჯეტო მატების პირობებში საუნივერსიტეტო დაფინანსებებს ამცირებთ. იქნებ გამოგეთვალათ, რა დაჯდება გაუნათლებლობა. ყველაზე დიდი მფლანგველობა – რომელიც არ ზრუნავს მეცნიერების განვითარებაზე, დასაღუპადაა განწირული. განათლების სისტემის სრულყოფა შეუძლებელია სამეცნიერო მიღწევებისა და მისი პოპულარიზაციის გარეშე, მეცნიერებას უზიარებელი პრაქტიკით გატაცებული კაცი ემსგავსება მესაჭეს, რომელსაც არც საჭე აქვს და არც კომპასი, ყოველი პრაქტიკა კარგ თეორიაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება „საუნივერსიტეტო დარბაზი“ მიიჩნევს, რომ რეფორმა მეცნიერული დასაბუთების გარეშე უხერხული პრაქტიკული ნაბიჯებით მიდის და ერთ ისტორიულ ფაქტსაც შეგახსენებთ: დაარსებიდან 1925 წლამდე, უნივერსიტეტს ავტონომია ჰქონდა, 1926 წელს ავტონომიის დაკარგვის მოწინააღმდეგე რექტორი ივანე ჯავახიშვილი თანამდებობიდან მოხსნეს, თუმცა ფუნდამენტური და ეროვნული განათლების პრინციპები უნივერსიტეტმა არა მარტო შეინარჩუნა, არამედ თანამიმდევრულად განავითარა კიდეც. მოგვიანებით, დაკარგული ავტონომია ეროვნულმა მოძრაობამ გარკვეულწილად აღადგინა. ვფიქრობთ, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია აუცილებელია, მაგრამ ეს არ უნდა გულისხმობდეს ისტორიული სამართლიანობისა და დღეს არსებული აკადემიურ და სამეცნიერო პოტენციალის უგულებელყოფას. ამიტომ თქვენგან, როგორც კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა გარანტისაგან, დაბეჯითებით მოვითხოვთ:

1. გამოიყენეთ კანონით მონიჭებული უფლებამოსილება და გააუქმეთ თქვენივე გამოცემული (2005 წლის 8 ივნისი) № 473-ე ბრძანებულება, რომელმაც წერტილი დაუსვა 22 უმაღლესი სასწავლებლის დამოუკიდებლობის დეკლარაციას – წესდებას და ამით აღვადგინოთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ლეგიტიმიური და სამართლიან მართვის პირობები.

2. იკისროთ ინიციატივა თქვენი პირობის შესასრულებლად და უნივერსიტეტს დაუბრუნდეს კუთვნილი საბაზისო დაფინანსება, რათა რეფორმა სრულფასოვნად განხორციელდეს.

3. მკაცრად მოთხოვოთ თქვენ მიერ დანიშნულ პირებს მეტი დაინტერესება და გულშემატკივრობა გამოიჩინონ როგორც მინდობილი უმაღლესი სასწავლებლების, ისე პროფესორებისა და სტუდენტი ახალგაზრდობის მიმართ.

მიმართვა მიღებულია
„საუნივერსიტეტო დარბაზის“
2005 წლის 17 ივნისის სხდომაზე.

„საქართველოს რესპუბლიკა“, 21 ივნისი, 2005.

რეფორმა ჩიხში შევიდა

განკითხვის დღე ჰქონდა თბილისის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ **რუსუდან ლორთქიფანიძეს.**

გულწრფელად შემეცოდა რექტორიც და „ბატონი უნივერსიტეტიც“ – ქართველი ერის სათაყვანებელი ტაძარი.

სააქტო დარბაზში შეკრებილ ასობით პროფესორ-მასწავლებელს, სტუდენტს, მოწვეულ ჟურნალისტებს დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ სცემდა რექტორი. ხელისუფლების უყურადღებობისაგან გაღიზიანებული უნივერსიტეტელები, სამწუხაროდ, არც ალაპარაკებდნენ ქალბატონ რუსუდანს, წინადადებას არ ასრულებინებდნენ. მდგომარეობა მას შემდეგ აირია, როცა მან ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა ბოლომდე გააზრებული არა მაქვს და თქვენგან ველოდები კონკრეტულ წინადადებებსო!

– თუ განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა გააზრებული არ გქონდათ, რექტორობას რატომ დათანხმდით?

– რეფორმა ნგრევას როდი ნიშნავს. ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ვაირეფორმატორების მითითებებს ბრმად ემორჩილებოდით?

– ვინ გასცემს პასუხს იმ 1800 თანამშრომელს, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მალულად, ცინიკურად, გაათავისუფლა და დამსახურებულმა ხალხმა (მათ შორის ბევრმა ახალგაზრდამ!) სალაროსთან, ხელფასის რიგში შეიტყო რომ უნივერსიტეტიდან დათხოვნილი იყო?

– საქართველო ეკონომიკურად არის ჩამორჩენილი, განვითარებადი ქვეყანა, თორემ განათლებითა და კულტურით დღესაც მოწინავე პოზიციებზე დგას. რომელი საზღვარგარეთული დეკლარაციით განგვისაზღვრეს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მხოლოდ 6 ფაკულტეტი იყოს?

– რა მოტივით დაიხურა, თითოოროლა გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა კაბინეტი და სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია? განა შეიძლება უძველესი ტრადიციის მქონე სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება კოლეჯის დონეზე დავიყვანოთ?...

– უნივერსიტეტის დამოუკიდებლობა თვალსა და ხელს შუა გვეცლება, რატომ არაფერს გვეკითხებიან? ამდენი გაუაზრებელი ბრძანება რატომ მოდის ზემოდან?

ამ შეკითხვებს თან ახლდა უმკაცრესი ულტიმატუმები („გადადექი", „წადი!") რექტორისადმი, რომლებმაც მთელი დარბაზის მხარდაჭერა მოიპოვა და ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე კიდევ უფრო გააოგნა.

საბოლოოდ ყველა შეკითხვა უპასუხოდ დარჩა და რექტორმა დაცვის თანხლებით დარბაზი უიმედოდ დატოვა.

განსაკუთრებით საგულისხმო ის არის, რომ **„საუნივერსიტეტო დარბაზის" ორგანიზებით კიდევ ერთხელ შეკრებილი პროფესორ-მასწავლებლები შეუვალ, დაუნდობელ ოპოზიციად ჩამოყალიბდნენ** და დღევანდელ ახალგაზრდა ხელისუფლებას საოცარი პრინციპულობით მოსთხოვეს „რეფორმის" შეჩერება და საკუთარი უფლებების დაცვა.

დარბაზმა მიიღო საგანგებო მიმართვა ქვეყნის პრეზიდენტის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და უნივერსიტეტის რექტორისადმი, რომელშიც ხაზგასმით ნათქვამია:

რადგანაც განათლების სამინისტროსა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას არ გააჩნიათ რეფორმის მიმდინარეობის კონცეფცია და მისი განხოციელების სტრატეგიული გეგმა; წესდებით დაკარგულია უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის იდეა; ფაკულტეტებისა და კათედრების განვითარების სქემა არ ეფუძნება რაციონალურ პრინციპებს; მეცნიერება სწყდება აკადემიურ სექტორს და კარგავს ორიენტირს; აკადემიური ხარისხების შემათავაზებული მოდელი და მასზე გადასვლის გეგმა სერიოზულად ემუქრება კვალიფიკაციის დონეს; უმაღლესი განათლების პოლიტიკის ფსევდოლიბერალური მიმართულება სერიოზულად აზარალებს ფუნდამენტური განათლების ინტერესებს; საფრთხე ექმნება სასწავლო პროცესის დაწყებას და ეს, უპირველეს ყოვლისა, სტუდენტთა მიმართ უპასუხისმგებლობას ნიშნავს; უგულებელყოფილია პროფესორ-მასწავლებელთა სოციალური და ღირსების დაცვის გარანტიები, რაც აძლიერებს ინტელექტის ქვეყნიდან გადინების საფრთხეს; იგნორირებულია აგრეთვე რეფორმის მიმდინარეობის სამართლებრივი და ეკონომიკური პრინციპები, – აუცილებლად მიგვაჩნია:

რეფორმა ჩიხში შევიდა და ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში გაერთიანების პროცესმა უკიდურესად მახინჯი და უმართავი სახე მიიღო.

ამის გამო **„საუნივერსიტეტო დარბაზი"** იძულებულია განაცხადოს, რომ **ემიჯნება „განათლების მესვეურთა" ეროვნული უმაღლესი განათლების წინააღმდეგ წარმოებულ დამღუპველ საქმიანობას** და კატეგორიულად მოითხოვს; რექტორმა სასწრაფოდ შეიმუშაოს უნივერსიტეტის განვითარების

სტრატეგიული გეგმა და უზრუნველყოს მისი საჯარო განხილვა; მანამდე შეწყდეს ყოველგვარი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების გამოცემა;

გაუქმდეს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის №473 ბრძანებულება (როგორც უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის დაკარგვის აქტი);

გაუქმდეს თსუ რექტორის 2005 წლის 16 ივნისის №92 ბრძანება (როგორც სტრუქტურული ცვლილებების არარაციონალური სქემა);

უნივერსიტეტმა დაიბრუნოს და თავად უზრუნველყოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზება;

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ოპტიმალური ნორმატივებისა და პროგრამების ისეთი სისტემის დანერგვა, რაც აგვაცილებს სასწავლო პროცესის ჩაშლას სექტემბერში.

ამ ობიექტურ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში „საუნივერსიტეტო დარბაზი“ იძულებული იქნება, უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს მათი უფლებების დასაცავად ერთიანი დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდოს.

* * *

ამ მოთხოვნებსა და ერთიანი დაუმორჩილებლობის იდეას მხარი დაუჭირეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა: **კოტე ჯანდიერმა, გიორგი ოთხმეზურმა, ავთანდილ არაბულმა, მარიკა ლორთქიფანიძემ, ნესტან კირთაძემ, ჯუმბერ ჭუმბურიძემ, რევაზ მიშველაძემ, გიორგი გოგოლაშვილმა, გრივერ ფარულავამ** და სხვ.

ბატონმა გრივერმა ისიც კი გაიხსენა, თუ როგორი მოწიწებით მოიხსენია **კორნელი კეკელიძემ** უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთ იუბილეზე უნივერსიტეტი: **ადგილი ეს წმინდა არს!...**

არც ერთ კომუნისტ ჩინოვნიკს არ გაუბედავს, შენიშვნა მიეცა კორნელი კეკელიძისათვის. დღეს კი, ვაირეფორმატორები უნივერსიტეტის დაკნინებას და დანგრევას ლამობენ. ამ წმინდა ადგილს ჩვენ არავის დავანგრევინებთ, – დასძინა **გრივერ ფარულავამ.**

რუსუდან ლორთქიფანიძე, როგორც გითხარით, დაცვის თანხლებით გავიდა დარბაზიდან. ჯერჯერობით ის გადადგომას არ აპირებს. „საუნივერსიტეტო დარბაზი“ და დაუმორჩილებლობის კომიტეტი ხვალიდან ახალ სიურპრიზებს გვპირდებიან.

უნივერსიტეტი კიდევ ერთხელ აბობოქრდა...

სპარტაკ ქობულია

„საქართველოს რესპუბლიკა“,

28 ივნისი, 2005,

უნივერსიტეტი ღელავს

გუშინ დიდი მღელვარება იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში: პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანების – „საუნივერსიტეტო დარბაზის“ წევრები უნივერსიტეტის რექტორს შეხვდნენ. შეხვედრაზე მიიღეს მიმართვა

საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ **მიხეილ სააკაშვილს**

განათლების და მეცნიერების მინისტრს, ბატონ **კახა ლომაიას**

უნივერსიტეტის რექტორს, ქალბატონ **რუსუდან ლორთქიფანიძეს**

„საუნივერსიტეტო დარბაზი“ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იზიარებს და მხარს უჭერს **პარიზის** (1998), **ბოლონიის** (1999), **პრაღის** (2001) **ბერლინის** (2003), **ბერგენის** (2005) დეკლარაციებს ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ფორმირების შესახებ, რომელთა მიზანია: უნივერსიტეტის დამოუკიდებლობა კულტურული ღირებულებების განვითარების სფეროში, თითოეული ცივილიზაციის უნიკალურობის შენარჩუნება და დაცვა, პატივისცემა განათლების ეროვნული სისტემებისა და უნივერსიტეტთა ავტონომიისადმი... აგრეთვე, ეთანხმება მის ფუნდამენტურ პრინციპებს: ორსაფეხურიანი განათლება, დიპლომების დანართები, შეფასების საკრედიტო სისტემა, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილურობა...

ამავე დროს, „საუნივერსიტეტო დარბაზი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბოლონიის პროცესსა და ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეზე გაუთავებელი აპელირება, ეკონომიკური და კონცეპტუალური საფუძვლების მოუმზადებლად, შედეგების გაუთვლელად, ერთი მხრივ, სერიოზულად ემუქრება ეროვნულ მემკვიდრეობას განათლების სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, შეიცავს ამ მაღალი იდეალების საზოგადოებრივი დისკრედიტაციის საფრთხეს.

უკვე აშკარა გახდა საშიშროება, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები ამგვარ წარუმატებელ მცდელობათა ერთ კერძო ნიმუშად იქცევა.

გამომდინარე იქიდან, რომ:

განათლების სამინისტროსა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს არ გააჩნიათ რეფორმის წარმართვის კონცეფცია და მისი განხორციელების სტრა-

ტეგიული გეგმა: წესდების გაუქმებითა და საბაზო დაფინანსების არარსებობით დაკარგულია უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის იდეა; ფაკულტეტებსა და კათედრების გაერთიანების სქემა არ ეფუძნება რაციონალურ პრინციპებს; მეცნიერება სწყდება აკადემიურ სექტორს და კარგავს ორიენტირს; აკადემიური ხარისხების შემოთავაზებული მოდელი და მასზე გადასვლის გეგმა სერიოზულად ემუქრება კვალიფიკაციის დონეს;

უმაღლესი განათლების პოლიტიკის ფსევდოლიბერალური მიმართულება სერიოზულად აზარალებს ფუნდამენტური განათლების ინტერესებს; საფრთხე ექმნება სასწავლო პროცესის დაწყებას და ეს, უპირველეს ყოვლისა, სტუდენტთა მიმართ უპასუხისმგელობას ნიშნავს; უგულებელყოფილია პროფესორ-მასწავლებელთა სოციალური და ღირსების დაცვის გარანტიები, უგულებელყოფილია, აგრეთვე, რეფორმის მიმდინარეობის სამართლებრივი და ეკონომიკური პრინციპები;

მიგვაჩნია:

რეფორმა ჩიხში შევიდა და ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში გაერთიანების პროცესმა უკიდურესად მახინჯი და უმართავი სახე მიიღო.

ყოველივე ამის გამო, „საუნივერსიტეტო დარბაზი“ იძულებულია, განაცხადოს, რომ ემიჯნება ეროვნული ერთიანი უმაღლესი განათლების წინააღმდეგ მიმართულ „განათლების მესვეურთა“ დამღუპველ საქმიანობას და კატეგორიულად მოითხოვს:

1. რექტორმა სასწრაფოდ შეიმუშაოს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა და უზრუნველყოს მისი საჯარო განხილვა; მანამდე, შეწყდეს ყოველგვარი ინდივიდუალურ-სამართლებრივი გამოცემა.

2. გაუქმდეს:

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის №473 ბრძანებულება (როგორც უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის დაკარგვის აქტი);

თსუ რექტორის 2005 წლის 16 ივნისის №92 ბრძანება (როგორც სტრუქტურული ცვლილებების არარაციონალური სქემა);

3. უნივერსიტეტმა დაიბრუნოს და თავად უზრუნველყოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზება;

4. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ოპტიმალური ნორმატივებისა და პროგრამების ისეთი სისტემის დანერგვა, რაც თავიდან აგვაცილებს სექტემბრიდან სასწავლო პროცესის ჩაშლას.

ამ ობიექტურ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, „საუნივერსიტეტო დარბაზი“ იძულებული იქნება, მოუწოდოს უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს მათი უფლებების დასაცავად ერთიანი დაუმორჩილებლობისაკენ.

„საუნივერსიტეტო დარბაზი“

„თბილისი“, 28 ივნისი, 2005.

ძალადობა კი არა, მოწიწებით უნდა ვუხდიდეთ ქუდს...

„რეფორმატორებს“ კონკრეტული კონცეფცია, გარდაქმნის სტრატეგია და ტაქტიკა არა აქვთ. სამაგიეროდ, აქვთ რაღაც თავსმოხვეული გეგმა-გრაფიკი, რომლის მიხედვითაც უკვე აშკარაა, რომ მიმდინარე „რეფორმა“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვერა და ვერ მოერგო. ეს უპირველესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება გარდაქმნის ჩაფლავების ერთ კერძო ნიმუშად იქცა, ან ხვალ-ზეგ იქცევა.

ძალადობას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საყოველთაოდ გაშიფრული ვაირეფორმატორები ავლენენ ჩვენი ეროვნული, ტრადიციული უმაღლესი და საშუალო განათლების წინააღმდეგ და არა მხოლოდ განათლებისა...

„რეფორმატორებს“ კონკრეტული კონცეფცია არა აქვთ. სამაგიეროდ, აქვთ რაღაც თავსმოხვეული გეგმა-გრაფიკი, რომლის მიხედვითაც უკვე აშკარაა, რომ მიმდინარე „რეფორმა“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვერა და ვერ მოერგო. ეს უპირველესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება გარდაქმნის ჩაფლავების ერთ კერძო ნიმუშად იქცა ან ხვალ-ზეგ იქცევა.

როგორც ყველასათვის მიუღებელი საგანმანათლებლო რეფორმის გასაჯანსაღებლად ან სულაც ამოსაძირკვად შექმნილი „საუნივერსიტეტო დარბაზის“ გუშინწინდელ საგანგებო პრესკონფერენციაზე ითქვა (დარბაზი უკვე აერთიანებს 500-ზე მეტ პროფესორ-მასწავლებელს!), ყველა გონიერი უნივერსიტეტელი მთლიანად იზიარებს საერთაშორისო დეკლარაციებს ერთიანი ევროპული საგანმანათლებლურ სივრცის ფორმირების თაობაზე; ბოლონიის დეკლარაციის ფუძემდებლურ პრინციპებს, რომელიც გულისხმობს სამსაფეხურიან (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, ასპირანტურა) სწავლებას, საკრედიტო სისტემაზე გადასვლას, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილურობას, უნივერსიტეტის დამოუკიდებლობას, თითოეული ცივილიზაციის უნიკალურობის შენარჩუნებას, სასწავლო და სამეცნიერო პროცესის შერწყმის აუცილებლობას, საუნივერსიტეტო ინვესტიციების ყოველწლიურ ზრდას და თვით დიპლომების დანართის აუცილებლობასაც კი.

„საუნივერსიტეტო დარბაზი“ სრულიად სამართლიანად მიიჩნევს, რომ ბოლონიის პროცესსა და ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეზე გაუთავებელი აპელირება ეკონომიკური და კონცეპტუალური საფუძვლების

მოუმზადებლად, შედეგების ღრმა ანალიზის გაუთვლელად, სერიოზულად ემუქრება ჩვენს ეროვნულ მემკვიდრეობას განათლების სფეროში.

სწორედ ყოველგვარი ანალიზის გარეშე, ნაჩქარევად დაწყებული რეფორმის ბრალია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მაინცა და მაინც, დედაუნივერსიტეტში მოითხოვს ფაკულტეტების გამსხვილებას (მსოფლიოს არც ერთ სერიოზულ უნივერსიტეტში დღეს 15-16 ფაკულტეტზე ნაკლები არ არის!)...

რატომ 6 ფაკულტეტი? – ეკითხებიან რექტორს. მისი მიკიბულ-მოკიბული პასუხი არავის აკმაყოფილებს. „საუნივერსიტეტო დარბაზის“ დამფუძნებლები იმაშიც დარწმუნებულები არიან, რომ სასექტემბროდ არავის ეცოდინება, ვინ უნდა შეადგინოს სასწავლო გეგმა, ცხრილი, სალექციო საათების განაწილების განრიგი. ეს იმას ნიშნავს, რომ სასწავლო პროცესი სამარცხვინოდ ჩაიშლება... ექვსი გამსხვილებული ფაკულტეტის დეკანები ისე დანიშნეს, რომ ძველი ფაკულტეტის ხელმძღვანელები არავის გაუთავისუფლებია. რექტორმა არ იცის, დაახლოებით რამდენი ლარი დაჯდება „რეფორმა“. მინისტრი **კახა ლომაია** კი მთელ საქართველოს ატყუებს, როცა ამბობს: წლეულს, შარშანდელი 1 მილიონი ლარის ნაცვლად უნივერსიტეტს დაფინანსებული პროექტების ღირებულება 1 200 000 ლარამდე გაეზარდაო. სინამდვილეში, შარშან 1 800 000 ლარი ყოფილა, წლეულს კი მხოლოდ მილიონ 78 556 ლარია. მაშასადამე, სამეცნიერო პროცესების დაფინანსება კი არ გაიზარდა, პირიქით, საგრძნობლად შემცირდა.

„საუნივერსიტეტო დარბაზის“ ისეთი წევრები, როგორებით არიან **მარიკა ლორთქიფანიძე, მზექალა შანიძე, მარიამ ცაცანიშვილი, გიორგი ოთხმეზური, ავთანდილ არაბული, გიორგი გოგოლაშვილი, ზურაბ ლომთათიძე, ომარ მუკბანიანი, გიორგი მახარაძე, თენგიზ ჭიაბრიშვილი** და სხვები მიიჩნევენ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის დედაუნივერსიტეტში სრული ორგანიზაციული და ფინანსური ქაოსია!

უნივერსიტეტის კოლეჯად გადაქცევის სურვილს რეფორმატორები იმით გამოხატავენ, რომ სამეცნიერო მუშაობის დაფინანსება გატანილია უნივერსიტეტის გარეთ, რექტორმა ხელის ერთი მოსმით გააუქმა (უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით: – გააუქმებინეს!) დიდი სამეცნიერო საბჭო, ფაკულტეტის საბჭოები, სამეცნიერო კაბინეტ-ლაბორატორიები.

ამას ეძახიან ლიბერალური განათლების სისტემაზე გადასვლას.

დღეს საქართველოში ლიცენზიამიღებული (აკრედიტაციაგავლილი) 22 უნივერსიტეტია. ისინი უკვე უერთდებიან თბილისის დედაუნივერსიტეტს და ერთ მუშტად გაერთიანებას აპირებენ.

ჩვენ ქუჩებს რა გადავკეტავთ. ჩვენ ინტელექტუალურ ომს ვუცხადებთ იმ ძალადობას, რაც განათლების სისტემაში ყოველივე ეროვნულის მოსაშთობად შეინიშნება, – ამბობენ „საუნივერსიტეტო დარბაზის“ დამფუძნებლები.

* * *

... სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ღმერთმანი, დროა, ჩვენმა ახალგაზრდა ხელისუფლებამ უნივერსიტეტის წინაშე მოწიწებით მოიხადოს ქუდი...

სპარტაკ ქობულია

„საქართველოს რესპუბლიკა“,
3 ივნისი, 2005.

ირონიული პასუხების პასუხად

ბოლო დროს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისვლისას პესიმიზმიც მძალავს და, ასე ვთქვათ, უცნაური გაფაციცებაც. აბა, რას მივაწერო ის, რომ სხვა დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ნამდვილად არ დავუთმობდი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მეორე სართულზე სალაროსთან მდგარ გრძელ რიგს. ეს სურათი ხომ, სტუდენტობიდან მოყოლებული, მრავალჯერ მინახავს, თუმცა ახლა „სხვა დროა“. ალმა-მატერში განვითარებული ცნობილი მოვლენებისას, ვიღაცას უკითხავს განათლების რეფორმის საჭეთმპყრობელისათვის, როდის გაიგებდა უნივერსიტეტის თანამშრომელთა ნაწილი, დათხოვილია თუ არა სამსახურიდან, როცა სალაროსთან მივაო, – ასეთი ყოფილა ყინულოვან-ირონიული პასუხი „დიდი“ ჩინოვნიკისა...

ვიდრე „საუნივერსიტეტო დარბაზის“ მორიგი სხდომა, უფრო სწორად, პრესკონფერენცია გაიმართებოდა, 93-ე აუდიტორიაში ერთ მშვენიერ სურათს გადავაწყდი და დიდხანს ვერ მოვაშორე თვალი: ორი ღვაწლმოსილი პიროვნება, ორი დარბაისელი ქალბატონი **მზექალა შანიძე** და **მარიამ ლორთქიფანიძე** აუდიტორიაში განაპირებულიყვნენ და წყნარად საუბრობდნენ. მერე მომესმა: **წამოდი, ერთად დავსხდეთ, ვიდრე უნივერსიტეტიდან გაგვყრიანო,** უთხრა ერთმა მეორეს, რა მნიშვნელობა აქვს, რომელმა რომელს.

* * *

ჩემი სტუდენტობისას, როცა უნივერსიტეტის კორიფეები გამოჩნდებოდნენ, კედელს ისე ავეკვრებოდით, როგორც წმინდა ტაძრისას, ვიდრე არ გაივლიდნენ, – გაიხსენა „საუნივერსიტეტო დარბაზის“ ერთ-ერთი შეკრებისას უნივერსიტეტის პროფესორმა. არც ამას აქვს მნიშვნელობა, რომელმა, რადგანაც, საბედნიეროდ, მსგავსის თქმა უამრავზე უამრავს შეუძლია. ახალს მეც არაფერს ვამბობ: როგორც არსებობს ღვთის საყდარი, ასევეა ეროვნულ ფასეულობათა ტაძარი. ჩვენში, საქართველოში, ადრე ასეთი იყალთოსა და გე-

ლათის აკადემიები ყოფილა. ახლა სახელმწიფო უნივერსიტეტია, ყოველ შემთხვევაში, დაარსებიდან დღემდე.

* * *

„ბრილიანტები“ – ასე დაურქმევიათ კედელზე გაკრულ ფურცელზე გამოტანილი, სხვადასხვა გაზეთებიდან ამონარიდებისა თუ ტელევიზიით მოსმენილი ფრაზებისათვის. ეს რეფორმის ხელმძღვანელთა გამონათქვამებია უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტელების მიმართ. „ერთმმართველობა სადაც არის, იქ მეტი დემოკრატიაა“ – სწორედ ასე უბრძანებია უნივერსიტეტის რექტორს.

* * *

პროფესორი **მარიამ ცაცანაშვილი:** პრესკონფერენციის მიზანია, ჟურნალისტების დახმარებით გავაცნოთ საზოგადოებას ჩვენი პოზიცია. ის, რომ სტრატეგიის არ არსებობის პირობებში დაჩქარებულად მიმდინარე რეფორმამ შეიძლება სასწავლო პროცესი დიდი დარტყმის ქვეშ დააყენოს. „ერთმმართველობა სადაც არის, იქ მეტი დემოკრატიაა“, – სწორედ ასე თქვა უნივერსიტეტის რექტორმა, ქალბატონმა რუსუდან ლორთქიფანიძემ, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს არა აქვთ რეფორმაში მონაწილეობის უფლება. სამაგიეროდ, კანონში სტუდენტთა დიდი უფლებებია გამოკვეთილი ღირსება და უფლებააყრილი პროფესორ-მასწავლებლების ფონზე. ეს – თავიდან, თორემ ეუჭველია, უფლებები არც სტუდენტებს შეუნარჩუნდებათ. ჩვენ 97 შეკითხვა გავუგზავნეთ რეფორმატორებს, თუმცა ერთი პასუხიც არ მიგვიღია. უნივერსიტეტის მიმართ არნახული და არგაგონილი ძალადობა ხორციელდება, გამკითხავი კი არავინაა. პარლამენტიდან ამას წინათ ერთადერთი ფრაზა მოგვესმა: „უნივერსიტეტში უკვე დანგრეულია და როგორც ის დაანგრიეთ, ისე გინდათ დაანგრიოთ მთელი საქართველო“. მინდა, ერთი შესწორება შევიტანო: უნივერსიტეტი არ დანგრეულა და მას აქვს თავისი პოზიცია: **ჩვენ ვიწყებთ ინტელექტუალურ ომს ძალადობის წინააღმდეგ და ამ ომში გამარჯვების იმედიც გვაქვს.**

* * *

პრესკონფერენციაზე იმაზეც ისაუბრეს, თუ რას მოითხოვს ჩვენგან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია, ანუ ე. წ. „ბოლონიის პროცესები“ და იმაზეც, თუ რას მოითხოვს, ფაქტობრივად, განათლების სამინისტრო უნივერსიტეტისაგან. „ბოლონიის პროცესი“ გამოიყურება ასე: სამსაფეხურიანი განათლება, შეფასების საკრედიტო სისტემა, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილურობა, დიპლომების დანართები, უნივერსიტეტების ავტონომიურობა, ცივილიზაციათა უნიკალურობის შენარჩუნება და

დაცვა, აგრეთვე, პატივისცემა ეროვნული სასწავლო სისტემებისადმი, ინვესტიციების ყოველწლიური ზრდა განათლების სისტემაში და სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროგრამების ჰარმონიული თანაარსებობა.

ახლა, რაც შეეხება პრესკონფერენციის ორგანიზატორთა თვალით დანახულ განათლების სამინისტროს პოზიციას: ფაკულტეტების მექანიკური და ნაჩქარევი გამსხვილება, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზებისა და საბაზრო დაფინანსების გატანა უნივერსიტეტიდან, გარდამავალ პერიოდში ფაქტობრივი საპრეზიდენტო მმართველობის დამყარება და უნივერსიტეტის ავტონომიის მოშლა, გასულ წელთან შედარებით შემცირებული ბიუჯეტი.

* * *

ზემოთ 97 შეკითხვა ვახსენეთ, „დარბაზს“ ექვსამდე დაუყვანია, ანუ ამოურჩევია მთავარი კითხვები და უფრო განუზოგადებია ისინი:

1. თუ სტრატეგიული გეგმა არ არსებობს, მაშინ რა დაედო საფუძვლად ფაკულტეტების გაერთიანებას და რა უპირატესობა აქვს მას არსებულთან შედარებით?

2. მიგაჩნიათ თუ არა, რომ უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის დაკარგვა ცივილიზებული მსოფლიოს მიერ აღიარებული უნივერსიტეტის ავტონომიურობის პრინციპის უხეშ დარღვევას წარმოადგენს, რის გამართლებაც არ შეიძლება გარდამავალი დებულებებით?

3. გიფიქრიათ თუ არა, რომ დაჩქარებული წესით, აპრობაციის გარეშე წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამები მნიშვნელოვნად დასწევს სტუდენტთა მომზადების დონეს?

4. სამეცნიერო სექტორი ჩამოსცილდა უნივერსიტეტს. რატომ არაფერს აკეთებს რექტორი იმ სერიოზული დარტყმის თავიდან ასაცილებლად, რომ ის კოლეჯად არ იქცეს?

5. მოსალოდნელ შემცირებასთან დაკავშირებით რა სოციალური დაცვის მექანიზმების ამუშავებას აპირებთ? თქვენგან შემოთავაზებული მოდელები არა მარტო სასაცილოა, არამედ უკანონოც.

6. რა ჯდება რეფორმა, არის თუ არა გათვლები, რატომ მცირდება უნივერსიტეტის ბიუჯეტი, როცა დეკლარაცია ინვესტიციების ყოველწლიურ გაზრდას მოითხოვს?

ამ (ჯერჯერობით, მაინც) უპასუხო შეკითხვებზე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა ისაუბრეს.

* * *

პროფესორი **გიორგი გოგოლაშვილი:** ბატონმა მინისტრმა ტელევიზიით გამოსვლისას შეკითხვებზე, თუ როგორ რეაგირებს უნივერსიტეტის კრიტიკაზე, უპასუხა: როგორც ქარავანიო. გაზეთში დავწერე და კვლავ ვიმეორებ:

ზატონ მინისტრს უფლება აქვს, თავი აქლემს შეადაროს, მაგრამ არა აქვს უფლება, უნივერსიტეტს ასეთი შეურცხყოფა მიაყენოს. ხოლო შეკითხვაზე, თუ რამდენი ადამიანი შემცირდება უნივერსიტეტში, მან უპასუხა: არც ერთი, მათ შეუწყდებათ ხელფასი.

მინისტრი ამბობს ერთს, აკეთებს მეორეს, წერს მესამეს და ა. შ.

გარდა იმისა, რომ უნივერსიტეტში არის ორგანიზაციული და ფინანსური ქაოსი, ჩვენ ვიმყოფებით საკანონმდებლო ვაკუუმში. ჩვენ ვარღვევთ ყველა წესს, რადგან კანონი არავის ავალდებულებს ატესტაციების ჩატარებას, შემცირებებს და ა. შ. ამ დღეში ჩავარდნილი უნივერსიტეტი არჩევანს იტოვებს: რა გავაკეთოთ. ერთია ქუჩაში გასვლა, მაგრამ ახლა ძალიან საფრთხილო პერიოდია, პროვოკაციაზე წამოგების პერიოდი, რადგან სულ რამდენიმე დღე რჩება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე და, შეიძლება, ჩვენი აქცია მისი ჩაშლის მცდელობად ჩაგვითვალონ, ამასთან, ჩვენ აუდიტორიას ვართ შეჩვეულნი და არა ქუჩის აქციებს. ამიტომ, როგორც ქალბატონმა მარიამმა აღნიშნა, **ჩვენ გადავდივართ ინტელექტუალურ ომზე, ვიდრე უნივერსიტეტს არ გადავარჩენთ.**

ნუგზარ სხირტლაძე

„თბილისი“, 5 ივლისი, 2005.

ინტელექტუალური ომი ძალადობის წინააღმდეგ

რატომ ითხოვს აკადემიკოსი თენგიზ სანაძე მეცნიერების დეპარტამენტის თავმჯდომარის ლევან ცინცაძის მოხსნას?

> საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსმა **პეტრე მამრაძემ,** მართალია, „ერთპიროვნული“ გადაწყვეტილება მიიღო 1 ივლისიდან მაღალი რანგის ჩინოვნიკებისათვის ბიუჯეტის ხარჯზე გაზეთების გამოწერის აკრძალვის შესახებ, მაგრამ მაინც არ მეგონა, თუ ასე პირდაპირ „ჩაუშვებდა“ ახალ ხელისუფლებას: გაზეთების დასტას მაინც არავინ კითხულობს და მათ შესაძენად ტყუილად ვფლანგავთ სახელმწიფო ბიუჯეტსო, მარტოოდენ კანცელარიის მუშაკებისთვის 1500 ლარი გვქონდა გამოყოფილიო... ამიერიდან ყველას მაღალი ხელფასი აქვს და თვითონ გამოიწერონო.

ბატონი პეტრე მამრაძე დარწმუნებულია, რომ პრესსამსახურები ყოველდღიურ პრესრელიზებს უმზადებენ თავიანთ შეფებს...

მაგრამ, ეტყობა, გასაგები მიზეზების გამო, ისინი იმდენად უღიმღამო, ლოიალური და არაფრისმთქმელია, მაღალი რანგის ჩინოვნიკები მას ზედაც არ უყურებენ.

ეს რომ ასეა, ამის დასტურად განათლების რეფორმის მიმდინარეობაც იკმარებდა. გუშინ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე პროფესორმა **თენგიზ ჭიაბრიშვილმა** გაოცებით იკითხა: პრეზიდენტს მართალ ინფორმაციას არ აწვდიან, თორემ იმის მერე, რაც ამ ბოლო ხანს უნივერსიტეტში ხდება, ქვეყნის პირველი პირი როგორ იტყოდა, განათლების რეფორმის საქმე კარგად მიდისო... ან როცა პრეზიდენტმა ტექნიკურ უნივერსიტეტში უდროოდ დაღუპული ღირსეული ყმაწვილი კაცის, ჟანი კალანდაძის, კაბინეტი გახსნა, განა ის არ უნდა იცოდეს, რომ დედაუნივერსიტეტში რუსთაველის, ივანე ჯავახიშვილის, ვაჟა-ფშაველას, კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტები დაიხურა?!

პროფესორი **თენგიზ ჭიაბრიშვილი** ჟურნალისტებს გვსაყვედურობდა. – მეტი იაქტიურეთ, საზოგადოებრივი აზრი შექმენით, თუ მთელი საქართველო ფეხზე არ დადგა, ამ ფსევდორეფორმატორებს ვერ შევაჩერებთო!

მოდი და, ნუ ატირდები! 6 ივლისს „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს **თამაზ გამყრელიძის წერილი „ივანე ჯავახიშვილის მესამე სიკვდილი“. ორი დღე უკვე გავიდა** (ათიც მალე გაირბენს), – არსაიდან ხმა, არსით ძახილი!...

რა ვქნათ? როგორც გუშინ უნივერსიტეტში მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა **ივანე კიღურაძემ,** ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **თეიმურაზ ნანეიშვილმა** „საუნივერსიტეტო დარბაზის“ დამფუძნებელმა, პროფესორმა **მარიამ ცაცანაშვილმა** და **გიორგი გოგოლაშვილმა** თქვეს, საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო **ფსევდორეფორმა ბოლომდე უნდა ვამხილოთ** და ვიბრძოლოთ დევიზით – „ინტელექტუალური ომი ძალადობის წინააღმდეგ“.

მართალია, მეცნიერებათა აკადემიისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო კადრები, ძირითადად, ერთად არიან, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენში ტრადიციულად არსებული მაღალი მეცნიერული და საგანმანათლებლო დარგების გადასარჩენად მათ გაერთიანებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

– ამ დაფინანსებით, უკვე ყბადაღებული ბოლონიის პროცესების ქართულ ყაიდაზე გარდაქმნით, უფრო ზუსტად – დამახინჯებით, სამეცნიერო და სასწავლო პროცესების დაშორიშორებით უნივერსიტეტის ავტონომია ისპობა და ის კოლეჯის დონეზე დადის. ვერ იპოვნი საღად მოაზროვნე კაცს, რომელიც ამას მხარს დაუჭერს, – ერთმნიშვნელოვნად აცხადებდნენ გუშინ უნივერსიტეტში.

ერთი დღით ადრე კი, ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები უფრო შორს წავიდნენ: გრანტების განაწილების პროცესის გაუმჭვირვალობის, მიკერძოებისა და არასწორი ინფორმაციის გამო ტენდერში გამარჯვებულებმა – პროფესორმა **ნატალია ფოკინამ** და დოცენტმა **ნუგზარ გუბაძემ** კოლეგებს სოლიდარობა გამოუცხადეს და გრანტებზე უარი განაცხადეს.

ცნობილმა ფიზიკოსმა, აკადემიკოსმა **თენგიზ სანაძემ** კი უნივერსიტეტში მეცნიერების დარგში რეფორმის გამო შექმნილი კრიზისული სიტუაციის და მისი დაძლევის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტს წერილი გაუგზავნა. მასში ნათქვამია:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერების რეფორმა მიმდინარეობს უხეში შეცდომებით, რომელთაგანაც გამოვყოფ ორს:

1. უნივერსიტეტის თანამშრომლები არასწორად იყვნენ ინფორმირებულნი, რომ თითქოსდა გრანტების მოსაპოვებლად პროექტების წარდგენა

ეხებოდა მხოლოდ სამეცნიერო სექტორს (ე. ი. სამეცნიერო ლაბორატორიების თანამშრომლებს) მაშინ, როდესაც იგი თურმე ეხებოდა ყველა თანამშრომელს პედაგოგების ჩათვლით. ზოგიერთმა ეს შეიტყო დეპარტამენტიდან გამოჟონილი ინფორმაციით, ბევრმა კი ამ მიზეზით პროექტები საერთოდ არ წარადგინა. აქ საქმე არა გვაქვს ტექნიკურ ხარვეზებთან. ეს წინასწარ დაგეგმილი „ეშმაკობაა“.

2. პროექტების სასტარტო დაფინანსებისას კატეგორიებად დაყოფა აბსოლუტური უზნეობაა. მომდევნო ეტაპებზე წარმატებულად განხორციელებული პროექტების გაზრდილი დაფინანსება, ხოლო წარუმატებლის შემცირება ბუნებრივი და მისაღებია, მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში მრავალი წლის განმავლობაში საგრანტო დაფინანსების თემის ხელმძღვანელსა და შემსრულებელს შორის ხელფასში განსხვავება 10-15 ლარს შეადგენდა და ამ სიდუხჭირის პირობებში ეს ყველასათვის მისაღები იყო. მეცნიერების დეპარტამენტის თავმჯდომარემ **ლევან ცინცაძემ** მამამისს – **ნოდარ ცინცაძეს** თვეში 600 ლარი, ხოლო დამატებითი ხარჯებისათვის 7000 ლარი გამოუყო (თეორეტიკოსი ნ. ცინცაძე ძირითადად უცხოეთში მოღვაწეობს). ამავე დროს, ექსპერიმენტატორს, პროფესორ **როლანდ მირიანაშვილს,** რომლის შრომები აღიარებულია საერთაშორისო დონეზე, დაენიშნა ხელფასი თვეში 47 ლარი და სხვა ხარჯებისათვის დაფინანსება გათვალისწინებული არ არის. თეორეტიკოსებისა და ექსპერიმენტატორების გათანაბრება შეფასების კრიტერიუმებში შრომების რიცხვით თანამედროვე პირობებში სრულიად მიუღებელია.

გთავაზობთ, შევცვალოთ მეცნიერების დეპარტამენტის თავმჯდომარე **ლევან ცინცაძე.** შემიძლია, შემოგთავაზოთ ათობით უპატიოსნესი და უნიჭიერესი ახალგაზრდა მეცნიერი, რომლებიც წარმატებით გაართმევენ თავს მეცნიერების რეფორმას. სამწუხაროდ, ლევან ცინცაძეს არც ერთი ამ თვისებათაგანი არ აღმოაჩნდა.

უნდა გაუქმდეს მეცნიერების დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსების გადაწყვეტილება და სამეცნიერო საზოგადოების მიერ შემუშავებული და შეთანხმებული კრიტერიუმებით სრული გამჭვირვალობის პირობებში სამეცნიერო პროექტების შეფასება მოხდეს ხელახლა.

ბოლოს მეცნიერი დასძენს:

ჩემი პირადი დაინტერესება რომ გამოირიცხოს, მე ამ ფონდით დაფინანსებაზე უარს ვაცხადებ (პროექტის წარდგენის დროს ჩემთვის ხელფასის დანიშვნა არც იგულისხმებოდა, ვინაიდან პედაგოგიურ შტატში ვირიცხები).

* * *

ყველაფერი ნათელია. აკადემიკოსმა **თენგიზ სანაძემ** კი მისწერა პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილს,** მაგრამ... დროული რეაგირება იქნება? ან საერთოდ მიუვა კი ეს წერილი პრეზიდენტს?

– ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, თურმე, ზოგიერთებისაგან განსხვავებით, პრესას ყოველდღიურად ეცნობა და კრიტიკულ შენიშვნებზეც ოპერატიულად რეაგირებს.

სპარტაკ ქობულია

„საქართველოს რესპუბლიკა“,

8 ივლისი, 2005.

ვინც ამ ტაძარს გადაარჩენს...

„უნივერსიტეტი გადასარჩენია!“ „უნივერსიტეტი ინგრევა!“ – ამგვარ ფრაზებს ხშირად მოისმენთ უნივერსიტეტშიც და მის გარეთაც. **„საუნივერსიტეტო დარბაზმა“** ზედიზედ მეორე პრეს-კონფერენცია გამართა, ამჯერად, მის პროტესტს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები და... ამერიკაში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ნაწილიც შეუერთდა

ინტელექტუალურ და რადიკალურ ომში

„დარბაზმა“ ბრძოლის, ანუ უნივერსიტეტის გადარჩენის გზად ინტელექტუალური ომი აირჩია, რაც ნიშნავს ფართო საზოგადოების გაცნობიერებას იმაში, თუ რა ხდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში; რას უქადის მათ განათლების რეფორმა. **„დარბაზი“ დებატებში იწვევს რეფორმატორებს** და რადგანაც ეს გამოწვევა ჯერაც მიუღებელია, მათ მორიგ 10 შეკითხვას უგზავნის. პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში კი იტოვებს უფლებას, განაცხადოს: „უმაღლესი განათლების რეფორმის სახელწოდებით საქართველოში ტარდება განათლების სამინისტროში მოკალათებულ არაკომპეტენტურ და უპასუხისმგებლო ჩინოვნიკთა უგუნური ექსპერიმენტი, რასაც არაფერი აქვს საერთო არც ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციასთან, არც უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებასთან და არც, უბრალოდ, საღ აზრთან!“ – წერია პრესრელიზში.

სიმბოლური და ნამდვილი სიკვდილი

„ივანე ჯავახიშვილის „მესამე სიკვდილი“ – ასე ჰქვია „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს **თამაზ გამყრელიძის** სტატიას, რომელშიც ვკითხულობთ: „ივანე ჯავახიშვილმა „მესამე სიკვდილი“ განიცადა, უკვე ჩვენს დღეებში, როდესაც მის მიერვე შექმნილ და მისივე სახელობის უნივერსიტეტში, რომელიც ყოველი ქართველისათვის უმაღლესი განათლების მთავარ და წმინდა კერად იქცა და იგი ქართველთა მთავარ ეროვნულ უმაღლეს სასწავლებლად აღიარეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტი უქმდება“.

ხოლო რაც შეეხება ნამდვილ სიკვდილს, ეს ამ დღეებში უნივერსიტეტის სალაროებთან მოხდა, როცა ისტორიის ფაკულტეტის ლექტორმა **თამარ კეკელიძემ** გამოკრულ სიაში საკუთარი გვარ-სახელი ვერ აღმოაჩინა.

„თამრიკომ რაც ფეხი შემოდგა უნივერსიტეტში, მას შემდეგ სულ ჩემ გვერდით იყო. იგი უნივერსიტეტით სუნთქავდა. რამდენიმე დღის წინათ მოვიდა ჩემთან და ტირილით მითხრა: „პირადულს არ ვწუხვარ, ოღონდაც ჩემს უნივერსიტეტს უშველეთ და გადაარჩინეთო," – გაიხსენა ქალბატონმა **მარიამ ლორთქიფანიძემ,** ვიდრე დაკრძალვაზე წავიდოდა.

მანძილი ქართულ რეფორმასა და „ბოლონიის პროცესს" შორის

სწორედ ამ მიმართულებით წარმართა საუბარი ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **თემურ ნანეიშვილმა.** მას განსაკუთრებით გულდასმით შეუსწავლია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის აღნიშნული დოკუმენტი და ქართულ რეფორმასთან შედარებისას, ოდნავი მსგავსებაც ვერ აღმოუჩენია.

„ბოლონიის პროცესისაგან" განსხვავებით, ჩვენში მიმდინარე რეფორმაში უნივერსიტეტმა დაკარგა ავტონომია, მეცნიერებისათვის იქ აღარ რჩება ადგილი, რაც გამოიწვევს საქართველოში ფუნდამენტური მეცნიერების განადგურებას, ეს საბოლოოდ დააჩქარებს საქართველოდან „ტვინების გადინების", ამასთან, გაურკვეველი და არასაიმედოა დაფინანსების წყაროც და შედეგიც ის იქნება, რომ უნივერსიტეტის ნაცვლად, უკეთეს შემთხვევაში, ვიხილავთ ერთ ჩვეულებრივ ინსტიტუტს, ხოლო უარეს შემთხვევაში – კოლეჯს.

ასე არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ ხდება, – განაცხადა პროფესორმა და იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის გამოცდილებიდან უამრავი მაგალითი მოიტანა, თუ როგორ მზრუნველობენ აღნიშნულ ქვეყნებში ეროვნულ უნივერსიტეტს ტრადიციების დაცვით, სამეცნიერო მოღვაწეობის წახალისებითა თუ სოლიდური სახელმწიფო დაფინანსებით.

ამ მიმართულებით წარმართა საუბარი გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა **ივანე კიღურაძემაც.** მისი თქმით, საქართველოში ამჟამად უმაღლესი სასწავლებლების და, საერთოდ, განათლების სისტემის აქტიური ნგრევის პროცესი მიმდინარეობს. მათი დასკვნებიდან გამომდინარე, „ბოლონიის პროცესსა" და ჩვენ რეფორმას შორის იმდენივე მანძილია, რაც აქედან ამერიკამდე.

გამოსავალი

არავინ იცის, სასამართლო როდის განიხილავს „საუნივერსიტეტო დარბაზის" მიერ შეტანილ სარჩელს. შეიძლება ეს მას შემდეგ მოხდეს, როცა ყველაფერი დაინგრევა – ითქვა პრესკონფერენციაზე. იქვე გაისმა განცხადება,

რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა საკონსტიტუციო სასამართლოშიც შეიტანა სარჩელი, პრეზიდენტის ბრძანების შეჩერებისას და გაუქმების შესახებ. სარჩელი 15 ივლისს უნდა განიხილონ.

სხვა? – „დარბაზს“ ჯერაც არ გადაუწურავს იმედი, რომ დაარწმუნებს უმაღლეს ხელისუფლებას რეფორმის საშიშროებაში. ითქვა ისიც, რომ ყველა მშვიდობიან გზას გამოიყენებენ უნივერსიტეტის გადასარჩენად.

ნუგზარ სხირტლაძე
„თბილისი“, 8 ივლისი, 2005.

ბატონი უნივერსიტეტი იღვიძებს

ჯერ ფაქტზე – თბილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტში „საუნივერსიტეტო დარბაზი“ შეიქმნა.

ჩნდება კითხვა – რატომ ახლა და არა ცოტა ხნით ადრე?

როგორც პროფესორმა **მარიამ ცაცანაშვილმა** განაცხადა, ცოტა ადრე არ იყო უპრიანი ამის გაკეთება. ცოტა ადრე ისინი იმედით უყურებდნენ საგანმანათლებლო რეფორმის პირველ ნაბიჯებს, მაგრამ დროთა განმავლობაში მათ ნათლად დაინახეს, რომ ესენი ლიბომკვიდრი სახლის აშენების ნაცვლად დაახლოებით იმას აკოწიწებდნენ, რასაც პოპულარული ზღაპრის – „სამი გოჭის“ ორი გმირი – ნაფნაფი და ნიფნიფი და არაფრის არ სურთ ქმედებაში ნუფნუფის დაემსგავსონ.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ალმა-მატერში გამოღვიძების შეუქცევდი პროცესი დაიწყო.

სხვისი არ ვიცი და, პირადად მე ეს პროცესი, მიუხედავად საკმარისი დაგვიანებისა, ძალიან მახარებს.

ჩვენი ხელისუფლების მეპიარე ჩემი კოლეგები, მაშინვე „გამოღვიძებულ“ პროფესორთა ვინაობით დაინტერესდნენ. ერთი მომენტი, სცადეს კიდეც მათი რევანშისტებად და ანტირეფორმატორებად მონათვლა, მაგრამ ამაოდ.

მათი ძალა სიმართლეშია და კიდევ იმაში, რომ შესანიშნავად იციან, რა არის კანონიერი და რა უკანონო?

მათი დევიზია – რეფორმის გატარება კანონის ფარგლებში, უნივერსიტეტის თანამშრომელთა ინტერესების დაცვა და, რაც ყველაზე მთავარია, უნივერსიტეტის ღირსების დაცვა.

მათ არ დაუწყიათ მიტინგებითა და კარების აჭედებით, თუმცა რომ მოენდომებიათ, არც ეს გაუჭირდებოდათ.

მათ უშუალო შეხვედრების, დიალოგების ფორმა აირჩიეს, ისეთი, როგორც ეს ცივილიზებულ ადამიანურ ურთიერთობებს ეკადრება.

სწორედ ამის შედეგი იყო პირველი უაზრობის (არადა რამდენი უაზრო ნაბიჯი აქვს უნივერსიტეტში ახალ ხელმძღვანელობას გადადგმული, ამაში ფართო საზოგადოება მალე დარწმუნდება) გასწორება. „საუნივერსიტეტო დარბაზის“ კანონიერმა არგუმენტებმა გაჭრა და რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ქალბატონ **რუსუდან ლორთქიფანიძის** მიერ გამოცემული

ბრძანება, რომელიც დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს საგნის გადაბარების მინიჭებულ უფლებას ართმევდა, გაუქმდა. ასევე გაუქმდა პროფესორთა კაბალური დატვირთვის ბრძანება, რომელსაც მათი ჭკუით ხელფასის მომატება ერქვა და სიმართლე ითქვას, რეფორმატორებს ვერ გაეგოთ რით ვერ დაიმსახურეს მადლობა ხელფასის „მომატებისათვის“, თუმცა როცა ყველაფერი გაირკვა: რეფორმატორებმა თავი ჩაღუნეს.

შემდგომ შემთხვევებზეც თსუ-ს ახალი ხელმძღვანელი დიპლომატიურად ყველაფერში ეთანხმებოდა „საუნივერსიტეტო დარბაზის“ წევრებს, მაგრამ ისინი მალე მიხვდნენ, რომ უნივერსიტეტის ბედი სადღაც უკვე გადაწყვეტილი იყო და მისი პროფესორ-მასწავლებლების აზრი არც არავის აინტერესებდა.

რბილად რომ ვთქვათ, ბევრი, ძალიან ბევრი რამ გააფუჭა ახალმა ხელმძღვანელობამ „ალმა-მატერში“. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ უნივერსიტეტის დამოუკიდებლობა აბსურდულ ტერმინად იქცა. აღარაფერს ვამბობთ ხარისხის კონტროლზე; მოკლედ, როგორც „საუნივერსიტეტო დარბაზის“ ერთ-ერთი ლიდერი, პროფესორი **გიორგი გოგოლაშვილი** აცხადებს, „უმაღლესი განათლების“ შესახებ კანონის მიღების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქაოტური მმართველობის პოლიგონად იქცა.

მაგალითი გნებავთ? რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ოთხი პრორექტორი გაათავისუფლა და შემოიღო 28 ახალი თანამდებობა, რომელთა არსებობას არც კანონი ითვალისწინებს და არც სხვა სამართლებრივი აქტი. თითოეულ დირექტორს, კოორდინატორს, კონსულტანტსა თუ აუდიტს ბიუჯეტიდან და უნივერსიტეტის სპეცსახსრებიდან საკმაოდ სოლიდური ხელფასები დაუნიშნეს. თუმცა უკანონობაზე თვალი რომც დავხუჭოთ, უკვე ყველასთვის ცხადი და საანეკდოტო გახდა მათი არაკომპეტენტურობა. აქედან გამომდინარე, მოუმზადებელი საკითხების რექტორისათვის „შეგდებით“ ისინი მთავარ სამიზნედ ხდიან უნივერსიტეტის პირველ პირს, ხოლო თვითონ კი „ალმა მატერის“ მარტივად დაშლის ბინძურ ჩანაფიქრს შესანიშნავად ასრულებენ. სხვათა შორის, 1930-იანი წლების მაუზერიანი ბოლშევიკებისა და ჩეკისტების დროს არ ხდებოდა ის, რომ რექტორის ბრძანების საფუძველი მისივე განკარგულება გამხდარიყო. ყველაფერი ეს კი 21-ე საუკუნეში „ვარდბულბულიანი“ ხელისუფლების საყოველთაოდ გამოცხადებული დემოკრატიისა და საჯაროობის დროს მოხდა.

თუმცა ეს რაა? კანონიერების თვალსაზრისით, თსუ-ს ახალმა ხელმძღვანელობამ მორიგი სისულელე გამოაცხო და იგი პრეზიდენტ **სააკაშვილს** „შეუგდო“ ხელმოსაწერად. იქ, როგორც წესი, არავის გაუსიგრძეგანებია, თუ რაზე აწერინებდნენ ხელს ბატონ მიხეილს და 2005 წლის 8 ივნისს №473 ბრძანებულებაც „გამოცხვა“. ამ ბრძანებულების მიხედვით, ძალადაკარგულად

გამოცხადდა ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, რაც ამ სასწავლებლების დამოუკიდებლობის უმთავრეს სამართლებრივ გარანტს წარმოადგენდა და ყველაფრის უფლება ერთპიროვნულად მიეცა რექტორის მოვალეობის შემსრულებელს.

როგორც ცხონებული ლუარსაბი იტყოდა, „ამაზე მეტი სამართალი გაგონილა, ვეჟო“!!.

მოკლედ, მასხარაობაა და მეტი არაფერი. ასეთი მასხარაობით რეფორმატორები რა ჩიტსაც დაიჭერენ, ფართო საზოგადოება მალე ნახავს. კაცის მოძებნა, თუკი ყველაფერი ეს ასე მოხდა, ნამდვილად არ გაუჭირდება. ამას დიდი ტვინის ჭყლეტა არ უნდა, მაგრამ საკითხავია, რა იქნება მერე? დიქტატურა? ნაჯახით ჩეხვის პრინციპი თუ უფრო უარესი რამ?

„საუნივერსიტეტო დარბაზი“ მოქმედებს, მომხრეებს იკრებს და ქართული ცნობიერების, ქართული საგანმანათლებლო სისტემის დაცვის საგუშაგოზე დგება. რას ვშვრებით ჩვენ?

გიგლა გობეჩია

P. S. თავიდან ჩავთვალე, რომ „საუნივერსიტეტო დარბაზის“ გამგეობის წევრთა ვინაობის დაკონკრეტება საჭირო არ იყო. ისედაც იცის-მეთქი საზოგადოებამ ყველაფერი, მაგრამ მივხვდი, რომ მაინც საჭიროა შეხსენება. ესენი არიან – პროფესორები: **ავთანდილ არაბული, გიორგი გოგოლაშვილი, ომარ მუკბანიანი, გიორგი მახარაძე, მარიამ ცაცანაშვილი, თენგიზ ჭიაბრიშვილი** და **ზაურ ლომთათიძე.** და ბოლოს, ცნობისათვის სამართლებრივი სტატუსის მხრივ, აქ ყველაფერი წესრიგშია. „საუნივერსიტეტო დარბაზი“ არარეგისტრირებული კავშირის ფორმით არსებობს.

ჟურნალი „სამყარო“,№5, 2005.

მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციებს

ჩვენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სურვილი გვაქვს, გაგაცნოთ პოზიცია საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

თავიდანვე ვადასტურებთ, რომ ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის მიზნით განათლების სფეროში რეფორმის აუცილებლობას მხარს ვუჭერთ. თითოეული ჩვენგანს გაცნობიერებული აქვს, რომ განათლების სისტემა ყოველთვის იყო, არის და იქნება სულიერების, ერის კულტურისა და ეკონომიკური განვითარების უმთავრესი ბერკეტი, ის ნაკლებად ექვემდებარება რევოლუციურ პროცესებს. განათლება და მეცნიერება თავისი არსითა და ბუნებით გლობალურია და ერთად ემსახურებიან საერთაშორისო თანამშრომლობისა და თანაარსებობის დემოკრატიულ პრინციპებს.

საქართველოში დღესდღეობით მიმდინარე რეფორმის პროცესს მხარს არ უჭერს განათლების სფეროში დასაქმებულ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა. მიგვაჩნია, რომ რეფორმა სწორ გზას ასცდა და იგი ღრმა კრიზისშია, რატომ ვფიქრობთ ასე?

1. გაუქმდა უნივერსიტეტის წესდება, როგორც დამოუკიდებლობის, ავტონომიურობის საფუძველი. უნივერსიტეტს მართავს პრეზიდენტის მიერ ერთპიროვნულად დანიშნული რექტორი, განუსაზღვრელი უფლებებით; აღარ არსებობს სამეცნიერო საბჭოები, როგორც კოლეგიალური ორგანო.

2. უნივერსიტეტს აღარ აქვთ მყარი საბაზისო დაფინანსება და იგი გრანტების სახით განათლების სამინისტროში გადავიდა;

3. სასწავლო პროცესს ფაქტობრივად ჩამოსცილდა მეცნიერება. იხურება სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, კაბინეტები:

4. მიმდინარეობს ფაკულტეტების მექანიკური გაერთიანება (უნივერსიტეტში დღემდე 22 ფაკულტეტი არსებობდა, რექტორის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით 6 ფაკულტეტი დარჩა);

5. საერთოდ არ მოქმედებს საჯაროობის პრინციპი და პროფესორ-მასწავლებლები ვერ ღებულობენ მონაწილეობას მიმდინარე სტრუქტურულ პროგრამულ რეორგანიზაციაში;

6. სტუდენტები მოკლებულნი არიან ინფორმაციულ და სამართლებრივ შესაძლებლობებს, გაერკვნენ შესასრულებელი პროგრამების მიზანშეწონილობაში და არ ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ თავიანთი პროფესიული ბედის გადაწყვეტაში;

7. ჩინოვნიკთა მხრიდან მიმდინარეობს პროფესორ-მასწავლებელთა სრული დისკრედიტაცია მათი მიღწევების იგნორირება და ღირსების შელახვა;

8. ათასობით მეცნიერი თანამშრომელი და პროფესორი რჩება უმუშევარი ყოველგვარი სოციალური გარანტიების გარეშე;

ეს პროცესი მიმდინარეობს „ბოლონიის პროცესის“ სახელით, მაგრამ ფაქტობრივ ანტიბოლონიური პროცესის თვალსაჩინო გამოხატულებაა.

ჩვენი უფლებების დასაცავად და რეფორმის გადასარჩენად გამოვიყენეთ სამართლებრივი მექანიზმები. მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს. პროცესი სწრაფი ტემპით მიდის: იშლება ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის ტრადიციები, სამეცნიერო და სასწავლო პროცესები სისტემურ და ორგანიზაციულ კრიზისს განიცდის, იქმნება ბოლონიის პროცესის სრული დისკრედიტაციის საფრთხე.

მოგმართავთ თხოვნით, გულთან მიიტანოთ ჩვენი სატკივარი და თქვენს ხელთ არსებული ბერკეტებით გაუწიოთ მონიტორინგი საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმას. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება **„საუნივერსიტეტო დარბაზი“** მზად არის, გიპასუხოთ შეკითხვებზე საუნივერსიტეტო იდეის გადარჩენისათვის და თქვენი დაინტერესების შემთხვევაში მოაწოდოთ ფაქტობრივი მასალა.

გმადლობთ თანამშრომლობისათვის.

საქართველო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება
„საუნივერსიტეტო დარბაზი“.

მიმართვა დაიგზავნა 2005 წლის ივნისში.

გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველოს
რესპუბლიკა“, 12 ივნისი, 2005.

ტოტალური სიყრუე უნდა დაიძლიოს

> განა არის დღეს ისეთი ქვეყანა, სადაც საკუთარს – არც ასაკს, არც ცენზს, არც სიბრძნეს, არც ზნეობას, არც გამოცდილებას... დაფასება არა აქვს? დიახ: – „არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია!“...

– ტოტალური სიყრუის მაჯლაჯუნა დასწოლია ქვეყანას, როგორც მაღალფარდოვნად იტყვიან – ხელისუფლების სამივე შტოს და სახელისუფლო ვერტიკალის ყველა რგოლსა და პოსტს... სიყრუე არის საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედი – საყოველთაოდ წახალისებული და წაქეზებული...

ხოლო მეოთხე ხელისუფლება – მასმედია, საზოგადოების რუპორი, ამ ხალხთან ერთად იმ მდგომარეობაშია, როგორიც მუხრან მაჭავარიანის ცნობილ ლექსშია დახატული: „ხალხს ხმა დაუკარგა მეფის (წაიკითხეთ – ხელისუფლების) სიყრუემ...“.

„ჩვენ გვინდა, გადავაქციოთ ჩვენი უმაღლესი განათლების დაწესებულებები ჭეშმარიტად ეროვნული განათლების კერებად, რომლებიც, იმავდროულად, უნდა იდგნენ უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა ტრადიციულად ჩამოყალიბებული სამეცნიერო და საგანმანათლებლო სტრუქტურების ნაჩქარევი დაშლით, არამედ ამ სტრუქტურების გამოცდილი სპეციალისტების მიერ გატარებული გააზრებული და გონივრული რეფორმების შედეგად. რეფორმირების სხვა გზა გამოიწვევს ჩვენში ტრადიციულად არსებული მაღალი მეცნიერული და საგანმანათლებლო დარგების ნგრევას და ჩვენი სამშობლოს მრავალთა შორის ერთ-ერთ პროვინციულ ქვეყნად გადაქცევას“ (თამაზ გამყრელიძე, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 6. 07. 05).

კაცობრიობის ისტორია მაღლა და მაღლა მიმავალი ერთი უწყვეტი კიბეა – ყოველი მომდევნო საფეხური წინას „დამსახურებაა“, უწინამავლოდ არ იქნება...

ამ გამოცდილ ისტორიულ ჭეშმარიტებას მემკვიდრეობითობა ჰქვია...

მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა ახალი წინა საფეხურს უარყოფს?

საზოგადოდ – ღმერთმა განსაჯოს! საქართველოს ისტორიის არაერთი მაგალითით კი – არის „ვაება და კბილთა ღრჭენა“...

რატომ? – იმიტომ, რომ როგორც მთელი კაცობრიობის, ისე კერძო სიბრძნე მემკვიდრეობითია; საზოგადოდ, სიბრძნე მემკვიდრეობითობაშია და, როგორც კი ეს კანონი ბუნებისა ირღვევა, იქ სიკეთე არ ისადგურებს...

ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში უპირველესად „თვისთა ბრძენთა“ ჰკითხავდნენ და უსმენდნენ, არად ჩაგდებას და „არამკითხე მოამბეობას“ არ აკადრებდნენ.

ამ მკვიდრ კანონზე იდგა ჩვენი ხალხიც; განა მისი სიბრძნე არ არის: „ბრძენი სიტყვა ითქვა, – ბრძენო ყურო, სადა ხარო?!“

ისევ, ის უსაშველოდ დამაშვრალი კითხვა რომ დავსვათ, – „მაინც რამ გადაარჩინა საქართველო?“ – დიდი ორჭოფობა არ დაგვჭირდება პასუხისათვის:

– იმ ბიბლიურმა შეგნებამ, რომ „სიბრძნით იშენების სახლი და გულისხმისყოფით აღემართების, და მეცნიერებით აღივსებიან საუნჯენი ყოვლითა სიმდიდრითა პატიოსნითა და კეთილითა“...

– და იმ წარუვალი ჭეშმარიტებით, რომელიც ქადაგებს:

„მეფეთა (იგულისხმება – ხელისუფლება) თუ სიყვარული საღრმთოისა მეცნიერებისა ჰქონდეს, განცოცხლდეს ყოველი მეცნიერება და აღეშენოს ქვეყანაჲ: და თუ არა ჰქონდეს სიყვარული საღმრთოისა მეცნიერებისაჲ, წარწყმიდონ უმეცართა ქვეყანაჲ და მიეცნენ ყოველნი ბოროტის-მოქმედნი აქა ჭირსა და განსაცდელსა და მერმე სატანჯველსა ჯოჯოხეთისასა უკუნისამდე“.

ახლა საკაცობრიო ცივილიზაციას გლობალური განვითარების ისეთი ციებ-ცხელება უდგას, არათუ საკუთარს უვლიან, სხვათა სიბრძნეზე ნადირობენ ხვალინდელ დღეზე მზრუნველი ქვეყნები.

განა არის დღეს ისეთი ქვეყანა, სადაც საკუთარს – არც ასაკს, არც ცენზს, არც სიბრძნეს, არც ზნეობას, არც გამოცდილებას... დაფასება არა აქვს?

დიახ: „არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია!“

საგანმანათლებლო რეფორმის ავ-კარგზე, ანუ განათლებისა და მეცნიერების ბედზე დღევანდელ საქართველოში იმდენი ითქვა და დაიწერა, ტოტალური სიყრუე რომ არა, საერთო სადინარს იპოვიდა და ფონს გაიყვანდა ქრონიკული კრიზისის მორევში ჩამხრჩვალ ქვეყანას.

სხვათა მცდელობას რომ თავიც დავანებოთ, განა შესაძლებელია სხვა რომელიმე ქვეყანაში შესჯახებოდა სიყრუის კედელს განგაშის ზარი ისეთი საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწისა, როგორიც აკადემიკოსი **თამაზ გამყრელიძეა,** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი?

მას ხომ სულ ახლახან – შესაბამისად მისი ღირსებისა და ტიტულატურისა – მიანდეს ქართული მეცნიერების ბედის გადაწყვეტა. ნუთუ იმისთვის, რომ არათუ დაეჯერებინათ, არც მოესმინათ?!

როგორ დავიჯერო, რომ რომელიმე ქვეყანაში არ მოუსმენდნენ საკუთარ **თამაზ გამყრელიძეს?**

მეტიც, დარწმუნებული ვიყოთ, ბატონ თამაზს რომ ენებებინა და რომელიმე ევროპული ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების შესახებ გამოექვეყნებინა მსგავსი შენიშვნა, დიდი პატივით მიიწვევდნენ რჩევისათვის და მადლიერებას საქვეყნოდაც გამოხატავდნენ.

მაშ, ჩვენ რაღა გვემართება?

განა შემაშფოთებელი არ არის, რომ ურიდად აცხადებს კანცელარიის ჩინოსანი: – ჩვენ პრესისათვის არა გვცალია...

სწორედ ტოტალური სიყრუეა შესაფერისი ფონი იმისათვის, რომ „ერთგული“ ფიგურების გარდა ქვეყანაში არავინ არ ჩანდეს – არც დიდი და არც პატარა.

სწორედ ტოტალური სიყრუეა სადაგი ატმოსფერო იმისათვის, რომ თავისუფლად სუნთქავდეს ეჭვი, ჭორი, ცილისწამება და უნდობლობა...

სწორედ ტოტალური სიყრუეა მასაზრდოებელი ნიადაგი იმისა, რომ სამეცნიერო-საგანმანათლებლო რეფორმა მაინცდამაინც სიცრუის, უზნეობისა და უკანონობის, პიროვნულ-ოჯახურ-კლანური ინტერესების ხიმინჯებზე კოკოლავდება...

სწორედ სიყრუე არის ის ნიადაგი, რომლის საფუძველზე, სრულიად შეუფერებელ სფეროში – უმაღლესი განათლების სისტემაში, კერძოდ, დედაუნივერსიტეტის მიმართ – აღმოცენდა გაუგებარი ძალადობა და ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცისკენ სწრაფვის კეთილშობილურ იდეას ოდიოზურ პირებთან გაიგივებისა და საზოგადოებრივი დისკრედიტაციის საფრთხე დაემუქრა...

სამარცხვინოა ქვეყნის ამგვარი მდგომარეობა XXI საუკუნეში, თუნდაც – ვაგლახ! – განვითარებადი ერქვას მას.

სამარცხვინოა, ქვეყანას ამდენი პროფესიონალი ჰყავდეს – აქ დარჩენილი თუ უკვე გაქცეული – და არაპროფესიონალები კანონებს მათი შესაძლებლობების გამოყენებისათვის კი არა, მათ „ჩამოსალაბორანტებლად“ იგონებდნენ.

ამ პროცესებსა და შედეგებზე საუბარს აზრი აღარა აქვს: ეს იმ უახლოესი დროისათვის გადავდოთ, როცა ტოტალური სიყრუე დაძლეული იქნება.

ამით იმის მტკიცე რწმენას გამოვხატავთ, რომ კიდევ ერთი ჟამთატეხაც ვერაფერს დააკლებს იმ „თეთრ ტაძარს“, რომელშიც დიდმა **ილიამ** და დიდმა **ივანე ჯავახიშვილმა** „ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების“ და მომავლის სამსახურად კვლავაც დაუბრუნდებიან მას უსამართლოდ გაძევებულნი – ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით.

დავიწყეთ ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის კონკრეტული გაფრთხილებით და დავასრულებთ ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის უფრო ზოგადი მითითებით საუნივერსიტეტო პოლიტიკის საქვეყნო მნიშვნელობის შესახებ:

„უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები პოზიტიურ ან ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსახლეობაზე დიდი ხნის განმავლობაში. ის, რაც კეთდება ამ სფეროში მართვის, თანადგომისა თუ შეზღუდვის მეშვეობით, თავს იჩენს მხოლოდ რამდენიმე თაობის შემდეგ. ჩვენ ვტკბებით განათლების ადრინდელი მიღწევებით, წარმატებული ღონისძიებებით და გადაწყვეტილებებით, მაგრამ ტვირთად გვაწევს (არასამართლებრივი) ჩარევები, რომელთა ინიციატორებს უკვე ვეღარ ვაგებინებთ პასუხს. თუმცა ისტორია თვითონ აკისრებს მათ მარადიულ პასუხისმგებლობას“ (**კარლ იასპერსი**).

P. S. ჩვენს ეპოქაში მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდება,
რომ, დაე, დაუსახელებელი ადრესატები ისტორიის
იმედად ნუ იქნებიან!...

ავთანდილ არაბული
„საქართველოს რესპუბლიკა“
14 ივლისი, 2007.

„ვერ მივცემ მტერსა მამულსა საჯიჯგნად, დასაზიანად...“

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიხურა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები – რუსთაველის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტები...

ჩვენი გაზეთი თანადგომას უცხადებს იმ ადამიანებს, ვისთვისაც ესოდენ მტკივნეული ეს „საუნივერსიტეტო გარდაქმნები“.

გაურკვეველი მოტივაცია, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევები არ უნდა წარმოებდეს, განათლების სისტემის მესვეურთა არაკომპენტენტურობის გარდა მათ საეჭვო მისიაზეც სერიოზულად გვაფიქრებს. ვფიქრობთ, კიდევ უფრო მეტი სიმწვავით დგება უნივერსიტეტის სრული ავტონომიურობის საკითხი.

ოდესღაც მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ტიციან ტაბიძე წერდა: „ჩვენი უნივერსიტეტის ავტონომია გააუქმა განათლების მინისტრმა – ბნელეთის მოციქულმა კასომ...“

ახალგაზრდა სტუდენტმა ალბათ ვერ გააცნობიერა, რომ ის „ბნელეთის მოციქული“ ხელისუფლებისაგან მოგზავნილი გახლდათ და სწორედ მის პოლიტიკას ახორციელებდა მეცნიერებასა და განათლებაში.

თბილისის უნივერსიტეტის სახელობითი კაბინეტები წლების მანძილზე ყალიბდებოდა და ყველასათვის გასაგებია მათი პოტენციური მნიშვნელობაც.

რა კეთდება იქ და რა ვეღარ გაკეთდება მერე... დღეს ჩვენ ვაჟა-ფშაველას კაბინეტზე მოგითხრობთ.

* * *

1962 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ევგენი ხარაძის ბრძანებით, ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფა-

კულტეტთან გაიხსნა **ვაჟა-ფშაველას კაბინეტი** და მისი ხელმძღვანელობა დაეკისრა პროფესორ **გრიგოლ კიკნაძეს.**

ცნობისათვის: 1945 წლიდან გრიგოლ კიკნაძის მეცნიერული ნაღვაწი იდევნებოდა, რადგან მას „წითელმა პროფესურამ“ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური ნაშრომის ანტიმარქსისტულობაში დასდო ბრალი. ვაჟას კაბინეტის გახსნა და მის ხელმძღვანელად გრიგოლ კიკნაძის დანიშვნა პარტიული ნომენკლატურისაგან ერთგვარად უკანდახევა იყო.

კაბინეტში დაისახა სამუშაო გეგმა, როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი, ასევე ენათმეცნიერული პროფილით, კაბინეტთან ჩამოყალიბდა მუდმივი სემინარი, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. „ვაჟას სემინარში“ მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები, აგრეთვე მოწვეული პირები კითხულობდნენ მოხსენებებს მწერლის მხატვრული მემკვიდრეობის პრობლემების ირგვლივ. დაიწყო კაბინეტის შრომების გამოცემა „ვაჟას კრებულის“ სახელწოდებით. შეიქმნა სალექსიკონო ფონდი მილიონამდე ბარათის რაოდენობით. ეს კოლოსალური შრომა 30 წლის განმავლობაში გაგრძელდა.

ვაჟა-ფშაველას კაბინეტმა მოიპოვა მწერლის თითქმის ყველა ნაწარმოები, შეიქმნა ფონდი ვაჟას იმ ავტოგრაფთა ფოტოპირებისა, რომელიც დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში და რომელიც კაბინეტს პროფესორმა ილია აბულაძემ უსახსოვრა.

კაბინეტს თავდაპირველად 7 კვ.მ. ფართობი გამოეყო, უნივერსიტეტის IV კორპუსის პირველ სართულზე განათავსეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ფართობი არ აღმოჩნდა „ჯანსაღი“. მიწისქვეშა წყლებმა და ნესტმა შენობის კედლები და იატაკი დააზიანა. ორჯერ გაარემონტეს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. დღის წესრიგში მისი გადატანის აუცილებლობა დადგა. 1998 წელს ვაჟას კაბინეტი პირველი კორპუსის ბინადარია (თუმცა არა იქ, სადაც დიდმა პოეტმა დალია სული).

უდავოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანამშრომლები თავდაპირველად ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობდნენ.

პროფესორ გრიგოლ კიკნაძის გარდაცვალების შემდეგ, 1974 წლიდან დღემდე კაბინეტს პროფესორი ჯუმბერ ჭუმბურიძე ხელმძღვანელობს.

დღიდან დაარსებისა კაბინეტმა გამოსცა 20 დასახელების წიგნი. კაბინეტი მუშაობს ვაჟა-ფშაველას სიხშირის, იდიომატიკისა და სიმფონია-ლექსიკონებზე. გამოცემულია ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონიც.

კაბინეტი დღესაც აგრძელებს სამეცნიერო-სასწავლო მუშაობას. 2005 წელს მეცნიერებისა და ტექნიკის დეპარტამენტის სახელზე თანამშრომლებმა გააკეთეს განაცხადი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისათვის, რასაც გაურ-

კვეველი მიზეზების გამო, დაფინანსებაზე უარი ეთქვა. ამჟამად ვაჟა-ფშაველას კაბინეტის მომავალი გაურკვეველია. არავინ იცის, რა ელის იქ დაუნჯებულ უნიკალურ მასალას.

ფაქტია, რომ ერთ დროს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური შრომების წინააღმდეგ გალაშქრებულმა „წითელმა პროფესურამ“ და კომუნისტურმა ხელისუფლებამ უკან დაიხია. ვნახოთ, რას იზამს დღეს „ეროვნული ხელისუფლება“...

„საქართველოს რესპუბლიკა“

9 ივლისი, 2005.

უნივერსიტეტის პროფესორთა 80 პროცენტი უმუშევარი რჩება

იურიდიულ ფაკულტეტზე ჩატარებული კონკურსის შედეგად 300 თანამშრომლიდან მხოლოდ 60 ინარჩუნებს თანამდებობას

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად ვნებათაღელვა აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ პროფესორი) დასაკავებლად გამოცხადებულმა კონკურსმა გამოიწვია. კონკურსი პირველად იურიდიულ ფაკულტეტზე გამოცხადდა. თუკი მისი შედეგების მოლოდინში „რეზონანსში“ ფაკულტეტის 20-მდე თანამშრომელს ესაუბრებოდა, შედეგების გამოცხადების შემდეგ სულ რამდენიმე ადამიანმა გააკეთა ორიოდე სიტყვით კომენტარი. დანარჩენები კი (როგორც ჩანს, თანამდებობის გარეშე დარჩენილები) ტელეფონთან მოსვლასაც კი ერიდებოდნენ.

ამჯერად „რეზონანსი“ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ძველი ქართული ენის კათედრის გამგეს, „საუნივერსიტეტო დარბაზის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელს პროფესორ **გიორგი გოგოლაშვილს** ესაუბრა. იგი „საუნივერსიტეტო დარბაზის“ ხელმძღვანელიც არის და როგორც დაინტერესებული პირი, ინფორმაციასაც ფლობს და დოკუმენტებსაც გაცნობილია.

გიორგი გოგოლაშვილი: ძირითადი პრობლემა, რომელიც დღეს უნივერსიტეტში დგას, მიმდინარე კონკურსების შედეგებია, რომელზეც დამოკიდებულია უნივერსიტეტის თანამშრომელთა ბედი. კონკურსები აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად ზაფხულში ჯერ იურიდიულ, შემდეგ კი სოციალურ და პოლიტიკურ ფაკულტეტებზე გამოცხადდა. როგორც ვიცით, შედგენილია ოქტომბრიდან და ნოემბრიდან კონკურსების სხვა ფაკულტეტებზე გამოცხადების კონკრეტული გეგმა.

„რეზონანსი“: რამ გამოიწვია ასეთი ვნებათაღელვა?

გ. გ.: მე არ შემხვედრია ჯერ უნივერსიტეტის თანამშრომელი, რომელსაც კონკურსების ასეთი სახით ჩატარება მოსწონდეს. ასე ფიქრობენ „საუნივერსიტეტო დარბაზის“ წევრები და ბევრი ჩემი თანამოაზრე.

კონკურსის შედეგების განხილვა ნათელს მოჰფენს ვნებათაღელვის მიზეზებს. იურიდიული ფაკულტეტის დეკანის განცხადებით, ფაკულტეტზე 300 თანამშრომელია, ვაკანსია გამოცხადდა 105 ადგილზე. რაც არსებული ადგილების 35% შეადგენს ე. ი. თანამშრომელთა 65% უნივერსიტეტის მიღმა რჩება. უფრო მეტიც – კონკურსი ღია იყო, ამიტომ იმ 80 პირიდან, ვისაც პირველმა საკონკურსო კომისიამ რეკომენდაცია მისცა აკადემიური ადგილის დასაკავებლად, 20 პირი გარედან იყო მოსული. ამრიგად, იმ ადამიანებიდან, ვისთვისაც უნივერსიტეტი, ძირითადი სამუშაო ადგილი იყო, მხოლოდ 60-მა დაიკავა აკადემიური თანამდებობა, 240 კი უნივერსიტეტის გარეთ დარჩა, ეს კი 80%-ს შეადგენს. სავარაუდოდ, ასე მოხდება სხვა ფაკულტეტებზეც, რაც კატასტროფის ტოლფასია, რადგანაც თანამშრომლები რჩებიან სოციალური გარანტიების გარეშე, თუ არ ჩავთვლით, რომ ძირითადი შტატის თანამშრომლებს, რომლებმაც ვერ დაიკავეს აკადემიური თანამდებობა, 2006 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით უნარჩუნდებათ საბიუჯეტო ხელფასი.

„რ“. თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანად ჩატარდა კონკურსი იურიდიულ ფაკულტეტზე?

გ. გ.: კონკურსის სამართლიანობა და ობიექტურობა ეჭვს იწვევს. მაგალითად, პირველი კომისიის შედეგებით აკადემიკოსმა **ლევან ალექსიძემ** ყველასათვის მოულოდნელად ვერ დაიკავა აკადემიური თანამდებობა. თუმცა მოხერხდა ამ ინფორმაციის პრეზიდენტამდე მიტანა, მთავრობის ჩარევით შეიქმნა მეორე, ალტერნატიული, კომისია, რომლის შედეგებითაც **ლევან ალექსიძე** დარჩა უნივერსიტეტში, მაგრამ ბევრმა სხვა პროფესორმა ვერ დაიკავა აკადემიური თანამდებობა (მაშინ, როცა სამინისტროს ფავორიტი უხარისხო დეკანი აირჩიეს სრულ პროფესორად...) .

„რ“. თქვენ როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ პირველი კომისიის წევრებმა დაიკავეს აკადემიური თანამდებობები? ხომ არ ნიშნავს ეს, რომ მათ საკუთარ თავს გაუწიეს რეკომენდაცია?

გ. გ.: ცხადია, ეს ნორმალური არ არის. **კომისიის 8 წევრი მონაწილეობდა კონკურსში** და **რვავემ გაიმარჯვა.** ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც **კანონი არ კანონობს** და **ზნეობა დეფიციტია.** ისევ ბატონ **ლევან ალექსიძის** მაგალითს მივუბრუნდეთ, კომისიის წევრებმა ხმა მისცეს საკუთარ თავს, უარყოფითი ხმა კი ლევან ალექსიძეს, რათა თავად დაეკავებინათ ადგილი. რამდენად ზნეობრივია ეს? ეს ფაქტი იმის ანალოგიად შეიძლება განვიხილოთ, რომ სპორტული შეჯიბრების დროს მოთამაშე ერთდროულად მსაჯიც იყოს. ამრიგად, კონკურსი ცუდად არის ორგანიზებული და მისი მიზანი უნივერსიტეტის თანამშრომელთა მასშტაბური შემცირებაა.

„რ“. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის გაცნობისას არ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ამ საკითხებთან დაკავშირებით კანონში რაიმე გაურკვევლობას ჰქონდეს ადგილი.

გ. გ.: საქმეს ის არის, რომ **კონკურსის ჩატარება** მოცემულ ეტაპზე **არის ამ კანონის დარღვევა.** განათლების კანონის 89-ე მუხლის 11-ე პუნქტი გვეუბნება, რომ „უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა უზრუნველყონ დაწესებულებებში დასაქმებულ პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ თანამშრომლების გადაყვანა ამ კანონით გათვალისწინებულ შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე“. აქ იგულისხმება პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ პროფესორის თანამდებობები. იურიდიული განათლება არ არის საჭირო კანონის ამ მუხლში გასარკვევად. ნათლად და ცალსახად ნათქვამია, რომ უნდა მოხდეს თანამშრომელთა გადაყვანა ახალ თანამდებობებზე 2006-2007 წლების დაწყებამდე.

„რ“. მაგრამ ამავე კანონის 34-ე მუხლის მიხედვით, აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ღია კონკურსის წესით. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, კონკურსების ჩატარების წესს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლთა საბჭო. ეს საბჭოები დღეს უნივერსიტეტში არ არსებობს და ვერც იარსებებს, რადგანაც საბჭოების ასარჩევად აკადემიური თანამდებობა უნდა იყო დაკავებული (საბჭოებში აკადემიური თანამდებობების პირები უნდა შედიოდნენ).

გ. გ.: საქმეც ის არის, რომ კონკურსის ჩატარება მოხდა კანონდარღვევით. თუ კანონს მივყვებით (89 მუხლი და 11 პუნქტი), **2006-2007 სასწავლო წლის განმავლობაში უნდა მომხდარიყო პროფესორ-მასწავლებელთა გადაყვანა აკადემიურ თანამდებობებზე,** შემდეგ **არჩეულიყო მათგან აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები,** აკადემიური საბჭო განსაზღვრავდა კონკურსის **ჩატარების წესს,** წარმომადგენლობითი საბჭო მას დაამტკიცებდა და ყველაფერი კანონთან სრულ შესაბამისობაში მოვიდოდა.

კონკურსის ჩატარებას არარსებული აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების პირობებში ხსნიან იმით, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებით, რექტორს მიეცა უფლებამოსილება ინდივიდუალური აქტების გამოცემისა, მაგრამ არ შეიძლება პრეზიდენტის ბრძანებულება კანონზე მაღლა დადგეს. ასეთი ბრძანებულებით არ შეიძლება კანონის შეცვლა ან გაუქმება. თანამშრომელთა გადაყვანის ნაცვლად მოხდა მათი კანონდარღვევითი არჩევა კონკურსით.

აღსანიშნავია, რომ რექტორის ბრძანებულებაში, რომელიც აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანილ თანამშრომელთა სიას გვაცნობს, სიას წინ უძღვის ფრაზა: „დაინიშნოს“ („გადაყვანილ იქნას“). შემდეგ, მოდის თანამდე-

ბობების დასახელება. აქ ფრჩხილების გამოყენებით ხდება სიტყვების „გადაყვანის“ და „დანიშვნის“ გაიგივება მაშინ, როდესაც შინაარსობრივად ორ სრულად განსხვავებული შინაარსის სიტყვასთან გვაქვს საქმე. კონკურსში ხომ გარედან მოსულმა პირებმაც გაიმარჯვეს, ეს პირები რომელი საუნივერსიტეტო თანამდებობიდან გადმოიყვანეს? ეს ხომ სრული გაუგებრობაა. ან როგორ შეიძლება ერით და იმავე პირის დანიშვნა და გადაყვანა?! სინამდვილეში სიტყვების ასეთი აღრევა არის მცდელობა, რომ შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მართლა მოხდა გადაყვანა, რასაც კანონი გულისხმობს. ამ მცდელობას ისიც ადასტურებს, რომ რექტორის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ კონკურსის საფუძველია განათლების კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტი (პუნქტი გადაყვანის შესახებ), სინამდვილეში კი კონკურსი 34-ე მუხლის პირველი პუნქტით ჩატარდა (აკადემიური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ ღია კონკურსით) და, დაირღვა ამავე მუხლის მე-3 პუნქტი კონკურსის წესს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენელთა საბჭო).

„რ“. გამოდის, რომ დიდი იურიდიულ აღრევასთან გვაქვს საქმე...

გ. გ.: არავითარი აღრევა ეს არ არის, ეს არის კანონის მიზანმიმართული დარღვევა და დაინტერესებულ ადამიანთა დაბნევა. აქ არის სრული საკანონმდებლო ქაოსი.

„რ“. ნუთუ იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომლები ამას ვერ ხედავენ?

გ. გ.: იურისტებთან პირად საუბარში დავინახეთ, რომ ისინი ყველაფერში მშვენივრად ერკვევიან და არ ეთანხმებიან კონკურსის ასეთ პირობებში ჩატარებას, მაგრამ შიშის სინდრომის გამო, ამის ხმამაღლა გამოთქმას ერიდებიან, რადგან თვლიან, რომ ეს მათი ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედებს...

კონკურსის გამოცხადება იურიდიული ფაკულტეტით დაიწყეს, რომ შემდეგ ჰქონდეთ იმის თქმის საშუალება, თუ იურისტები არაფერს ამბობენ, თქვენ მათზე უკეთესად ხომ არ ერკვევით საკანონმდებლო საქმეშიო? გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს კონკურსის წესში გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვას, რაც ასევე არ იქნა დაცული. არავინ იცის, რა პრინციპებით, რა კრიტერიუმებით მოხდა თანამშრომელთა შერჩევა. შედეგები 25 აგვისტოს უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ პირველი კომისიის შედეგები, როგორ ჩანს, ვიღაცას არ მოეწონა და შეიქმნა მეორე ალტერნატიული კომისია ისე, რომ პირველის შედეგები არ გაუქმებულა.

როგორც ამბობენ, ზოგიერთ თანამშრომელს საპენსიო ასაკთან სიახლოვემ შეუშალა ხელი აკადემიური თანამდებობის დაკავებაში. კანონის მიხედ-

ვით კი ასაკობრივი ცენზის გათვალისწინება 2009-2010 წლამდეა შეჩერებული.

„რ“. თუკი ყველაფერი კანონის დაცვით ჩატარდებოდა, კონკურსის მიზანი კი თანამშრომელთა მასობრივი შემცირება იყო, მაშინ თანამშრომელთა დიდი ნაწილი ხომ მაინც დაკარგავდა სამუშაო ადგილებს მოგვიანებით?

გ. გ.: რეფორმა ეტაპობრივად უნდა ჩატარებულიყო, თუ კანონით ვიმოქმედებდით. იგულისხმება, რომ ქვეყანაში 2009-2010 წლებისათვის ეკონომიკური მდგომარეობა გამოსწორდებოდა და საპენსიო ასაკს მიღწეული პროფესორები სახელმწიფო პენსიასა და ხელფასს შორის განსხვავებას უნივერსიტეტისაგან მიიღებდნენ, რაც მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია.

„რ“. საქართველოს პრეზიდენტი უნივერსიტეტში სტუმრობისას ყოველთვის აღნიშნავდა, რომ უნივერსიტეტის არცერთი თანამშრომელი უმუშევარი არ დარჩებოდა.

გ. გ.: პრეზიდენტის ოთხივე სტუმრობისას იყო ამაზე საუბარი, რითაც პრეზიდენტმა უნივერსიტეტის თანამშრომელთა მხარდაჭერა და თანადგომაც მოიპოვა. სამწუხაროდ, რეფორმების პირველივე ნაბიჯების გადადგმისთანავე თანამშრომელთა 80% კარგავს სამსახურს. პრეზიდენტი გვპირდება ერთს, განათლების მესვეურები აკეთებენ სულ სხვას.

ასეთი რაოდენობის პროფესორ-მასწავლებელთა უნივერსიტეტის მიღმა დატოვება სოციალური კატასტროფაა, მაგრამ ისიც ხომ საფიქრალია, რა დონის სწავლება იქნება უნივერსიტეტში, როდესაც ასეთი ინტელექტუალური ძალა დატოვებს მას.

ჩატარებული კონკურსის მოდელი რომ მიუღებელია, იქიდანაც ჩანს, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კონკურსის შედეგებიც 6 სექტემბერს უნდა ყოფილიყო ცნობილი. უნივერსიტეტში მოარული ხმებით, შედეგები იქაც სავალალოა და უნდა შეიქმნას დამატებითი კომისია, რომელიც მეტ-ნაკლებად „გამოასწორებს“ მდგომარეობას.

გიორგი გოგოლაშვილი

„რეზონანსი“ 10 სექტემბერი, 2005.

უკანონო კონკურსს პროტესტი გამოვუცხადე

ცარიელი ადგილიდან არც მეცნიერება
იწყება და არც სწავლება

როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლები, ასევე მთელი ქართული ინტელექტუალური საზოგადოება დიდი გულისყურით ადევნებს თვალს თსუ-ში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებს. კონკურსები ჯერჯერობით იურიდიულ და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე გამოცხადდა. „რეზონანს“ ამ თემაზე იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილესთან ჰქონდა საუბარი (რაც ადრე გამოქვეყნდა), ადმინისტრაცია ჩატარებულ კონკურსს კანონის ფარგლებში ჩატარებულად თვლის, მაგრამ არსებობს საწინააღმდეგო აზრიც.

კორესპონდენტი დღეს კონკურსის ჩატარების პირობებსა და შედეგების შესახებ ესაუბრა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, თსუ-ს პროფესორსა და გელათის აკადემიის აკადემიკოსს, „საუნივერსიტეტო დარბაზის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელს **მარიამ ცაცანაშვილს.**

„იურისტს, მორალურად არა აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა უკანონო კონკურსში და ამის გამო მე საკონკურსო განცხადება არ დამიწერია“, – ამბობს მარიამ ცაცანაშვილი.

ვნახოთ რა საფუძველი აქვს პროფესორ მარიამ ცაცანაშვილის ამ განცხადებას და გავეცნოთ ამ კონკურსის შეფასებას იურისტის თვალით.

კორესპონდენტი: იურიდიული ფაკულტეტის მაგალითზე თქვენი, როგორც იურისტის შეფასებით, რამდენად კანონიერად და, აქედან გამომდინარე, რამდენად სამართლიანად ჩატარდა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსები თსუ-ში?

მარიამ ცაცანაშვილი: კონკურსის ჩატარების როგორც სამართლებრივი, ასევე ზნეობრივი ასპექტების მიმართ ჩემი პოზიცია უარყოფითია.

კორ.: რითია ეს გამოწვეული?

მ. ც.: კონკურსის უკანონოდ ჩატარებაზე ბევრი ითქვა, განათლების კანონი ამ ეტაპზე ითვალისწინებს უნივერსიტეტის თანამშრომელთა გადაყვანას აკადემიურ თანამდებობებზე და არა მათ კონკურსით დანიშვნას. ამისათვის უნივერსიტეტს უნდა შეექმნა ახალი საშტატო ნუსხა (რაც პრეზიდენტის ბრძანებულებაშიც იყო გათვალისწინებული), შემდეგ კი უნდა მომხდარიყო აკადემიურ თანამდებობებზე თანამშრომელთა გადაყვანა. ეს ავტომატური პროცესია და კანონმდებლის ნებაც სწორედ ეს იყო. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ეს ნება ყირაზე დააყენა.

კორ.: საოცარია, სწორედ იურიდიულ ფაკულტეტზე მოხდა კანონის დარღვევა.

მ. ც.: ჩვენი განათლების მესვეურებმა კანონი დაანაწევრეს, გახლიჩეს და მისი მხოლოდ ერთი პუნქტი გამოიყენეს (იგულისხმება 34-ე მუხლი, რომლის პირველ პუნქტში ლაპარაკია აკადემიურ თანამდებობების კონკურსით დაკავებაზე). მაგრამ კანონი არის უზენაესი, ის ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მხოლოდ მთლიანობაში ემსახურება გარკვეულ მიზანს და ამ ფუნქციის შესრულება კანონის ნაწილს, მის ერთ პუნქტს არ შეუძლია. მაპატიეთ უხეში შედარებისათვის, მაგრამ ქისძისთავი რომ გთხოვოთ, ცალკე ქინძს და ცალკე თავს ხომ არ მომიტანთ.

კორ.: რაში მდგომარეობს კანონდარღვევა?

მ. ც.: იმავე მუხლის მე-3 პუნქტით – კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო – ეს არ შესრულებულა და ამას ვერ გავამართლებთ აკადემიურ საბჭოს არარსებობით მოცემულ ეტაპზე.

კანონის მიხედვით რეორგანიზაციის თანმიმდევრობა ასე გამოიყურება: აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანა ახალი საშტატო ნუსხის შესაბამისად, მმართველობითი ორგანოების ფორმირება განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, კონკურსის წესის შემუშავება და დამტკიცება აკადემიურ საბჭოს მიერ და შემდეგ კონკურსის გამოცხადება.

კორ.: რამდენად ახალია კონკურსებით თანამდებობების დაკავება უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისათვის?

მ. ც.: სულაც არ არის ახალი, ეს უკვე აპრობირებულია უნივერსიტეტის სინამდვილეში, გარკვეული კრიტერიუმების (სამეცნიერო შრომების რაოდენობა, სამეცნიერო და პედაგოგიური სტაჟის ხანგრძლივობა და სხვა) გათვალისწინებით ასე, რომ მე და ჩემი თანამოაზრეები ვართ არა კონკურსის, არამედ უკანონო კონკურსის მოწინააღმდეგები და, აქედან გამომდინარე, უსამართლობის მოწინააღმდეგები.

უკანონობას უსამართლობაც მოსდევს და რამდენად სამართლიანია 21 მეცნიერებათა დოქტორის პროფესორის თანამდებობის გარეშე დატოვება ერთ ფაკულტეტზე და მათ ნაცვლად მეცნიერებათა კანდიდატების კონკურს-

ში გამარჯვებულად გამოცხადება – ეს სულ მცირე სასაცილოა, სულ დიდი უსამართლობაა.

კორ.: დასაბუთებული იყო თუ არა საკონკურსო კომისიების მიერ შემოთავაზებულ ვაკანსიებში სხვადასხვა თანამდებობათა რაოდენობა, მაგალითად, რატომ 15 პროფესორი და არა 10 ან 25?

მ. ც.: ეს არ იყო სათანადოდ დასაბუთებული, თუმცა შემოთავაზებული მოდულები (მოდული რამდენიმე საგანს მოიცავს, რომელიც ერთ პროფესორს მიჰყავს), გვაძლევს თუ არა სისტემაში მაღალი დონის სპეციალისტების აღზრდის საშუალებას ზოგიერთისთვის უცნობია, ამ საქმეში ჩახედულთათვის – ნაცნობი. ბოლონიის პროცესის დოკუმენტები, რომელიც განათლების მესვეურებს ასე ხშირად მოჰყავთ მაგალითად და რომელსაც 1999 წელს 400-მა უნივერსიტეტმა მოაწერა ხელი შიდა პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტისაკენ, ტრადიციებისა და თავისებურებების გათვალისწინებისაკენ მოგვიწოდებს და ამ ქვეყნებმა ეს შიდა გარდაქმნები დამოუკიდებლად ჩაატარეს და არა ხელისუფლების ზეწოლით, ან თუნდაც ამ სფეროში დასაქმებულ პირთა ნაჯახით მოკვეთით. ნაცვლად მეცნიერებისა და განათლების სწორი ორგანიზებისა შედეგად მეცნიერებსა და პროფესორ-მასწავლებლებზე „ნადირობა“ მიმდინარეობს. რაც არ უნდა შეალამაზოთ ეს პროცესი ბოლონიის იდეოლოგიითა და კორუფციის მახინჯი ლოზუნგით, შედეგი მაინც ისაა, რაც უკვე მოგახსენეთ.

კორ.: უნივერსიტეტის წესდების გაუქმება როგორ აისახა უნივერსიტეტში მიმდინარე ცვლილებებზე?

მ. ც.: პრეზიდენტმა ჯერ ხელი მოაწერა განათლების კანონს, რომელშიც რაღაც მინიშნება მაინც იყო ავტონომიაზე, ხოლო 8 ივნისის ბრძანებულებით სავსებით გააუქმა ეს ავტონომიის ნაშთიც. ამას მოჰყვა ის, რომ იერარქიაში ხდება გადაწყვეტილებების მიღება, ერთი გადაწყვეტილება მეორეს ეწინააღმდეგება, ერთმანეთის გამომრიცხავი გადაწყვეტილებებიც არსებობს.

კორ.: როგორ ხსნით იმ ფაქტს, რომ საკონკურსო განცხადება არ შეგიტანიათ?

მ. ც.: მე გამოვდივარ ტელევიზიით, ვწერ პრესაში და ხაზსს ვუსვამ, რომ ეს კონკურსი უკანონოდ მიმდინარეობს. მაშინ **მე, როგორც იურისტს, არ შემიძლია მივიღო მონაწილეობა ამ უკანონობაში,** ეს არის პროტესტის გარკვეული ფორმა. **„საუნივერსიტეტო დარბაზმა“** ინტელექტუალური ომი გამოუცხადა ძალადობას. კანონდარღვევა მათი მხრიდან, ვისაც კანონის ზუსტი შესრულება ევალება, ძალადობაა. პროტესტის ასეთი ფორმა მე არ მიშლის ხელს, გამოვაქვეყნო ჩემი მოსაზრებები, ვიბრძოლო სწორი საზოგადოებრივი აზრის შექმნისათვის. შეიძლებოდა პროტესტის უფრო მკაცრი ზომებისათვის მიგვემართა. არის უნივერსიტეტში ძალები, რომლებიც ხელისუფლების თავ-

ხედობაზე მკაცრი პროტესტით დაპირისპირებას მოითხოვენ. ეს მათი უფლებაა. როდესაც ადამიანებს კანონის ჩარჩოებში მოქმედების უფლებას ართმევენ, მათ სხვა გზა არ რჩებათ. მაგრამ აქ ჩვენთვის ერთი ნიუანსია გასათვალისწინებელი, საკითხი სტუდენტებს ეხება. უკიდურესი დაპირისპირებით კავკასიური ცარცის წრის სიუჟეტი არ გვინდა განმეორდეს. ვიცით, ბოლოს გასაგლეჯად ჩვენ ვერ გავიმეტებთ და ხელის გაშვება მოგვიწევს, იქით მხარეს კი ხრამია.

კორ.: კონკურსის შედეგად მიღებული სურათი თუ არის წინ გადადგმული ნაბიჯი კონტიგენტის შერჩევის თვალსაზრისით?

მ. ც.: ეს საკითხი შეფასებულია. საზოგადოებრივი აზრის შექმნა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა წინააღმდეგ დიდი ხანია დაიწყეს განათლების მესვეურებმა, იმდენჯერ უწოდეს მათ „წითლები“, კორუმპირებულები, რომ ხალხის ნაწილმა ალბათ დაიჯერა, რომ ეს ასეა და ე. ი. – ეს ხალხი წასასვლელია. ეს მიზანდასახულად ხდებოდა. დაახლოებით **80% დარჩა უნივერსიტეტის გარეთ, ხოლო კომისიის წევრებმა თავიანთი თავი აირჩიეს აკადემიურ თანამდებობებზე.** მათი არჩევისათვის უნდა ყოფილიყო შინაგანაწესი შემუშავებული. ამბობენ, რომ ასეთი არსებობს, თუმცა გამოქვეყნებული არ არის. ასე, რომ გამჭვირვალობა სავსებით არ არის დაცული. კენჭისყრის ჩატარებაც ნორმატიული აქტით უნდა მომხდარიყო. არც ეს არის გამოქვეყნებული. მე ასეთ დეტალებს აღარ ვიძიებ, რადგანაც ასეთი დიდი კანონდარღვევის ფონზე ისინი ფერს კარგავენ. უფრო მეტიც, როგორც ჩემთვის ცნობილია, კონკურსანტმა კონკურსის შედეგების წერილობითი მიღება მოითხოვა. მსოფლიოში ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ვერ იტყვის, რომ ეს ინფორმაცია ღია არ არის. ამ კონკურსანტმა კი იურიდიული ფაკულტეტის ბეჭდით დადასტურებული ცნობა აიღო, რომ ეს ინფორმაცია დახურულია. დროებით სამწლიან სტიპენდიებს სთავაზობენ მათ, ვინც თავისით დაწერს განცხადებას და უნივერსიტეტიდან წავა. დაპირებები ბევრია სხვადასხვა მიმართულებით, რათა მათ სასამართლოს არ მიმართონ უფლებების დასაცავად. ის, რომ კონკურსით უკმაყოფილოთა სასამართლო საჩივარი ცოტაა, ეს ნამდვილად არ ნიშნავს, რომ კონკურსის შედეგებია დადებითი. უბრალოდ, ხალხი მიხვდა, რომ თვით კონკურსია უკანონო და უსამართლო და კონკურსის შედეგებზე დავას თითქმის აზრი აღარ აქვს.

კორ.: თქვენი აზრით, დარჩენილი კადრები რამდენად მზად არიან გლობალური პროცესებისათვის, რომელსაც საქართველო გვერდს ვერ აუვლის?

მ. ც.: სწორედ ეს საკითხია მეტად მწვავე. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ქართული ეროვნული სახელმწიფო და მომზადებული შევხვდეთ გლობალიზაციის პროცესს. ამ თვალსაზრისით დგას არა მხოლოდ სამართლებრივი,

არამედ მიზანშეწონილობის საკითხიც. შეიძლება ბევრს ჰგონია, რომ ძველი პროფესორები ასწავლიან ძველი მეთოდებით, მაგრამ მათ ხომ დიდი გამოცდილება აქვთ და ჭკვიანი მენეჯერი ამ გამოცდილებას, რომელიც ახალგაზრდებს არა აქვთ, გამოიყენებს. დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტი, ახალ მეთოდოლოგიაზე ხომ უფრო ადვილად გადავა, ვიდრე გამოუცდელი და საერთოდ – ცარიელი ადგილიდან არც მეცნიერება იწყება და არც სწავლება. ცოდნის ცოდნა (როგორც ცოდნის გადაცემის დამკვიდრებული ტერმინი) გამოცდილებისა და ამ გამოცდილების განახლების პროცესია.

კორ.: თქვენი აზრით, ამ თვალსაზრისით რა უნდა გაკეთებულიყო?

მ. ც.: უნდა ჩატარებულიყო „ტრეინინგები“ ახალი მეთოდოლოგიებით სწავლებაში და შემდეგ მომხდარიყო ატესტაცია და კანონისმიერი პროცედურების გავლის შემდეგ არჩევა კონკურსით.

კორ.: მაინც რა კრიტერიუმებით მოხდა არჩევა კონკურსში?

მ. ც.: შერჩევის კრიტერიუმებზე პირდაპირ პასუხისაგან თავს შევიკავებ, რადგან მთელი ინტერვიუ ამ ქვეტექსტით არის გაჟღენთილი. ერთი ცხადია, კრიტერიუმი ამ ხელისუფლების მორჩილი და მაამებელი საარჩევნო ელექტორატის პრინციპებზეა აგებული.

კორ.: როგორი შეიძლება იყო შედეგები სწავლების თვალსაზრისით?

მ. ც.: შედეგები მოგვიანებით გამოჩნდება და უმძიმესი იქნება. დღეს სწავლების მენეჯმენტში და მეცნიერების ორგანიზებაში უამრავი ხარვეზი არსებობს, რაც გამოუსწორებელ დაღს ასვამს უნივერსიტეტსა და აკადემიას.

კორ.: როგორი იქნება თქვენი შემდგომი საქმიანობა?

მ. ც.: როგორც გითხარით, ეს იქნება შეუპოვარი ინტელექტუალური ომი სტუდენტობისა და ახალგაზრდობისა განათლებისა და პროფესიული ზნეობის გადარჩენისათვის.

კორ.: რა სამოქმედო სივრცე გაქვთ?

მ. ც.: ჩვენ ვიყენებთ მედია-საშუალებებს. არსებობს ყველა ქვეყანაში ხარისხის სააგენტოები უნივერსიტეტებს გარეთ (იგულისხმება მეთოდიკის, პროგრამების, სამეცნიერო შრომების ხარისხი). აქ ხდება საზოგადოებრივი მორიტორინგი და საექსპორტო წინადადებების დადება. ჩვენ უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების თაობაზე მივმართეთ საელჩოებს, ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნებს, ევროკავშირის შესაბამის კომიტეტს. ისინი გარკვეულწილად არიან საქმის კურსში, რეკომენდაციებიც მივიღეთ. ისინი თვლიან, რომ საქმის ასეთი დასაწყისი საქართველოს დიდ პრობლემებს შეუქმნის. საერთაშორისო ორგანიზაციები უნივერსიტეტთან სამთავრობო დონეზეც მუშაობენ, მაგრამ საერთოდ თვლიან, რომ ეს ქვეყნის შიდა პრობლემებია. საქართველოსათვის ასეთი დასაწყისით, ბოლონიის სივრცეში შესვლა პრობლემატური იქნება. უნდა ითქვას, რომ ბევრი ქვეყანა ამ საკითხს დიდი სიფრთხი-

ლით ეკიდება, მით უმეტეს, ევროკონსტიტუციის ჩაშლის საშიშროების ფონზე, მაგრამ უცვლელ ფაქტად რჩება ევროპული უნივერსიტეტების დამოუკიდებლობა, ცოდნისა და განათლების უწყვეტობა, ტრადიციებისა და თავისებურებათა შენარჩუნება, სტუდენტთა და მეცნიერ პედაგოგთა მობილურობა. ამიტომ საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების სწორი ორგანიზება მიმდინარე რეფორმებზე უდიდეს ძალისხმევას, ენერგიას და მოთმინებას მოითხოვს.

კორ.: რას იტყვით მეცნიერების ადგილზე უნივერსიტეტში დღეს?

მ. ც.: აქ სრული კატასროფაა, მეცნიერება საერთოდ გატანილია უნივერსიტეტიდან, რაც უნივერსიტეტს მხოლოდ საგანმანათლებლო ფუნქციას უტოვებს. ეს შედეგები კარგად გამოჩნდა გრანტების მოპოვების დროს.

კორ.: ეს ხომ კიდევ უფრო გაზრდის მეცნიერებაში თაობათა შორის წყვეტას?

მ. ც.: დიახ, ეს ძალიან საშიში ფაქტია. მითუმეტეს, „რეფორმატორთა აზრით, ძველი პროფესურა კორუმპირებულია, „წითელი“, ახალგაზრდობა კი ქვეყნის მომავალი (და ასეც არის), მაგრამ აქ არაჯანსაღი პარალელების გავლება ხდება. ახალგაზრდებს ეუბნებიან, თქვენ მომავალი ხელისუფლება ხართ, ისინი – „წითლები“ და კორუმპირებულები, ვერ გასწავლიან. ხელოვნურად იქმნება ჩატეხილი ხიდი ძველ პროფესურასა და სტუდენტებს შორის. ახალი შემადგენლობა კი ამ თვალსაზრისით ჯერ არავის შეუფასებია?!

კორ.: თქვენთვის ალბათ ცნობილია ხორვატიის პრეცედენტი, როდესაც ბოლონიის პროცესის დამმკვიდრებელთა საბჭომ ადგილზე ჩასვლით მოაგვარა კონფლიქტი ხელისუფლებასა და უნივერსიტეტს შორის ავტონომიურობის საკითხთან დაკავშირებით.

მ. ც.: როცა განათლებისა და მეცნიერების სწორი ორგანიზების სფეროში წონასწორობის შესაქმნელად საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების დასამკვიდრებლად ძალისხმევასა, ენერგიასა და მოთმინებაზე ვსაუბრობდით, სწორედ ეს მოდელიც გვქონდა მხედველობაში. ეს ჩვენი ვალდებულებაა, სტუდენტებმა კი მოთმინებით უნდა ისწავლო ის, რასაც ასწავლიან. მათ ამ განსაცდელს უნდა გაუძლონ.

მარიამ ცაცანაშვილი

„რეზონანსი“ 10 სექტემბერი, 2005.

პრეზიდენტი ხარ და გევალება

არსებობს ისეთი გამოთქმა: მეფის სიტყვა კანონია. ისიც გახსოვთ ალბათ: „მეფე ხარ და ხამს!... მეფე ხარ და გევალება!... – მეფე ხარ და გმართებს!...“ ჰოდა, აღარ გვყავს მეფე და ამიტომა: პრეზიდენტზეც ითქმის ასე: მისი სიტყვა უნდა იყოს კანონი: „სხვათა შორის თქვაო; სიტყვის მასალად გამოიყენაო... მერე რა, რომ თქვაო...“ – არ შეიძლება ითქვას პრეზიდენტის სიტყვაზე. ხელისუფლებამ, კანონმდებლებმა ყველაფერი უნდა იღონონ, პრეზიდენტის სიტყვა რომ შესრულდეს. ეს პრეზიდენტის ავტორიტეტის განმტკიცებასაც შეუწყობს ხელს... არადა, არ ხდება ხოლმე ასე. მაგალითად:

* * *

2003 წლის დეკემბერში, საპრეზიდენტო არჩევნების წინა დღეებში, ბატონი მიხეილ სააკაშვილი უნივერსიტეტს ესტუმრა. მაშინ ბრძანა: უნივერსიტეტს შტატების შემცირება არ შეეხებაო; უნივერსიტეტის არც ერთი თანამშრომელი უმუშევარი არ დარჩებაო. სანამ სახელმწიფო შესაბამის სოციალურ გარანტიებს ვერ უზრუნველყოფს, მანამდე ამ თემაზე არც ვისაუბრებთო... ასეთი იყო წინასაპრეზიდენტო დაპირება...

უკვე პრეზიდენტი ბატონი მიხეილ სააკაშვილი რამდენჯერმე ესტუმრა უნივერსიტეტს; იგივე დაპირება გაიმეორა. ერთ-ერთ შეხვედრაზე საკუთარი ბებია-ბაბუის მაგალითიც მოიყვანა: ისინი სამოცდათხუმეტი წლისანი არიან და უმუშევარნი რომ დარჩნენ, ტრაგედია იქნებაო მათთვის (ისე, ჩვენში დარჩეს და, იმათ რა უჭირთ, შვილიშვილი ჰყავთ პრეზიდენტი, სხვამ იკითხოს!)...

ასეთი იყო პრეზიდენტის სიტყვა, მისი დაპირებები...

სხვათა შორის, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შეეცადნენ აესახათ ეს აზრი: „უმაღლესმა დაწესებულებებმა 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყონ დაწესებულებებში დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების გადაყვანა შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე“ (მუხლ. 89; პუნქტი 11).

სამწუხაროდ, **ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პრეზიდენტის სიტყვა არ შესრულდეს** (შესაბამისად – კანონის მოთხოვნაც“).

გახმაურებული ფაქტია: განათლების სამინისტრომ უნივერსიტეტს ბიუჯეტიდან ჩამოაჭრა სამეცნიერო სექტორის დაფინანსება და გრანტულ დაფინანსებაზე გადაიყვანა... 800 მეცნიერ-თანამშრომელი ივნისიდან უმუშევარი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, საზოგადოების მორჩილი ნაწილისაგან არ მოელოდა ხელისუფლება ასეთ მკვეთრ რეაქციას და შეცბა... ჰოდა, სტიპენდია გამოიგონა და ცნობილი მეცნიერები იქცნენ „სტიპენდიანტებად“... სტიპენდია, მოგეხსენებათ, მოწყალებაა და როდემდე გაიღებენ ამ მოწყალებას, არავინ იცის... ისე, ვერც მორალურად და ვერც იურიდიულად ვერ მოითხოვ კაცი, გინდა თუ არა შემიწყალე, დამეხმარეო... ეს სახელმწიფოს კეთილი ნებაა... თუ ამ ნებას არ გამოიჩენს, რჩები ულუკმაპურად... ყოველ შემთხვევაში, სტიპენდიანტები უნივერსიტეტის თანამშრომლები არ არიან; მათ არანაირი ვალდებულება არ აკისრიათ უნივერსიტეტის მიმართ, გარკვეულ მდგომარეობაში არიან. აქვთ ერთი იმედი: უფლება დაუტოვეს, მონაწილეობა მიიღონ სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში... ესაა მხოლოდ...

ვინც ივნისში გრანტი მიიღო, არც მათი საქმეა ძალიან კარგად: მომავალი წლიდან თუ ვერ მოიპოვებენ გრანტს, ისინიც იმ 800 კაცის დღეში აღმოჩნდებიან... არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან სამსახურით (როგორც ამას კანონი ითვალისწინებს!).

მეტყვიან, შეადგინონ კარგი პროექტი და გაიმარჯვონ კონკურსშიო... ხომ რჩება ვიღაც უმუშევარი; ისინი ხომ შიმშილით სიკვდილისთვის არიან გამეტებული...

სადაა ის დაპირება, პრეზიდენტი რომ იძლეოდა? გატეხეს პრეზიდენტის სიტყვა და ამას ეწირება ბედი ასობით თუ ათასობით ადამიანისა...

ეს ხდება უნივერსიტეტის სამეცნიერო სექტორში.

რა ვითარებაა აკადემიურ სექტორში, რა ელით პროფესორ-მასწავლებლებს?

* * *

შეიძლება ითქვას, მდგომარეობა უარესადაა აკადემიურ სექტორში...

ამის თაობაზე შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული კონკურსების მიხედვით...

სტატისტიკა ასეთია: გაერთიანებულ იურიდიულ ფაკულტეტზე 300 თანამშრომელი იყო (ასე ბრძანა ფაკულტეტის ყმაწვილმა დეკანმა ტელევიზიით გამოსვლისას). კონკურსი გამოცხადდა 105 ადგილზე. ანუ არსებული საშტატო ერთეულების 35%-ზე. 65% პროფესორ -მასწავლებლებისა უკვე გაიწი-

რა. ჯობდა გვეთქვა, მინიმუმ 65%, რადგან კონკურსი ღია იყო და გარეშე (არა-უნივერსიტეტელ) პირებსაც შეეძლოთ შეეტანათ განცხადება. ასეც მოხდა:

105 საკონკურსო ადგილი ვერ აითვისეს კონკურსანტებმა – 80 კაცი იქნა არჩეული („არ აღმოჩნდა საკმარისი რესურსებიო“ – ბრძანა ისევ ყმაწვილმა დეკანმა). ამ 80-დან 20 გარედან მოსული კაცია. ასე რომ, 300 თანამშრომლიდან კონკურსის შედეგად უნივერსიტეტში დარჩა 60, ანუ არსებულის 20%; 80% იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომლებისა აღმოჩნდა უნივერსიტეტის მიღმა, უმუშევარი!

დაახლოებით ასეთივე ვითარებაა მეორე ფაკულტეტზე, სადაც კონკურსი ჩატარდა...

ასეთი ვითარება იქნება სხვა ფაკულტეტებზეც...

სადღაა პრეზიდენტის სიტყვა, მისი დაპირებები?

რამდენადაც უნდა გაუკვირდეს მკითხველს, **პრეზიდენტის სიტყვას ტეხს ხელისუფლება** (ირღვევა კანონიც!), ანუ **ხელისუფლებამ რომ თავისივე მიღებული კანონი დაიცვას, პრეზიდენტის სიტყვაც შესრულდება!...**

კანონი კი ასე ირღვევა: უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს ღია კონკურსს („აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით“), მაგრამ დაირღვა ამავე მუხლის მე-3 პუნქტი: „კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო“.

თავი რომ დავანებოთ I პუნქტის მოთხოვნებს (კონკურსი „უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს“), კონკურსის ჩატარება ამ ეტაპზე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა!

ასე რომ, თანამშრომელთა 80%-ის ქუჩაში გაშვებით კანონსაც არღვევენ და პრეზიდენტის სიტყვასაც უგულებელყოფენ...

* * *

სხვა მაგალითი:

უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტის განხილვის პერიოდში, 2004 წლის ნოემბერში, უნივერსიტეტის რამდენიმე პროფესორი პრეზიდენტთან მიგვიწვიეს. ერთ-ერთი სამსჯელო საკითხი იყო უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსება. პროფესორებმა გულისწყრომა გამოთქვეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღარ უნდა მომხდარიყო უნივერსიტეტის დაფინანსება.

ბატონი პრეზიდენტი გაგებით შეხვდა ამ გულისწყრომას. ბრძანა, რომ არ შეიძლება წამყვანი უმაღლესი სასწავლებლები საბაზო დაფინანსების გარეშე დარჩესო... მან მაგალითად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ტექნიკური უნივერსიტეტი (მისი რექტორიც ესწრებოდა შეხვედრას) დაასა-

ხელა; ისეთ ფილიალებზეც გაამახვილა ყურადღება, როგორიცაა ახალციხის, ახალქალაქისა და ზუგდიდის ფილიალები. დაავალა განათლების მინისტრს – ბატონ **კ. ლომაიას,** რომ კანონში გაეთვალისწინებინა მისი აზრი. შეხვედრის მონაწილეები, ცხადია, კმაყოფილები დავრჩით და ეს საჯაროდაც ვთქვით, მაგრამ...

მე არ ვიცი, ხელისუფლებამ არ გაუწია ანგარიში პრეზიდენტის სიტყვას და არ წარუდგინა პარლამენტს პრეზიდენტისეული ვარიანტი, თუ პარლამენტმა არ ინება პრეზიდენტის დაპირების შესრულება. ფაქტია: პრეზიდენტის სიტყვა არ შესრულდა. უმაღლესი სასწავლებლები საბაზო დაფინანსების გარეშე დარჩა...

* * *

სხვა მაგალითის მოყვანაც შეიძლება, როდესაც პრეზიდენტი ამბობს ერთს, ხელისუფლება აკეთებს მეორეს:

პრეზიდენტთან ზემოხსენებულ შეხვედრაზე ეროვნული გამოცდების შესახებაც იყო საუბარი. ფიზიკოსებმა და ქიმიკოსებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმის ნამო, რომ ეროვნული გამოცდების ნუსხაში ფიზიკა და ქიმია ვერ მოხვდა. ფიზიკისა თუ ქიმიის ფაკულტეტებზე მოვა ხალხი, ვისაც ეს საგანი არ ეცოდინებაო. მინისტრმა განმარტა, შემდგომისათვის გათვალისწინებულიც არისო...

ჩვენც ჩავერიეთ საუბარში და ვთქვით, რომ საშუალო სკოლაში აღგვედგინა გამოსაშვები გამოცდები იმ საგნებში მაინც, ეროვნულ გამოცდებზე რომ არ ბარდება; ამით ფიზიკოსებისა და ქიმიკოსების შიშსაც გამოეცლებოდა გარკვეულწილად საფუძველი.

ბატონმა პრეზიდენტმა მოიწონა ეს აზრი. ისაუბრა იმის თაობაზე, რომ ბავშვის ფსიქოლოგია არის ასეთი, თუ საგანი არაა რაღაც სახით მისთვის სავალდებულო, არ სწავლობს. ხაზგასმით მიმართა მინისტრს, გაეთვალისწინებინა ეს აზრი.

სამწუხაროდ, არაფერი შეცვლილა. გამოსაშვები გამოცდების ჩატარება-არჩატარების საკითხი სკოლების უფლებამოსილებაში დარჩა... დარჩა და დარჩა... საქმე არავის გაურთულებია – გამოსაშვები გამოცდები არ ჩატარებულა...

ისევ არ შესრულდა პრეზიდენტის სიტყვა...

ჩვენდა საუბედუროდ, პრეზიდენტის სიტყვა არ არის კანონი ხელისუფლებისა თუ კანონმდებლებისათვის...

არადა, არ შეიძლება არ იცოდეს იმ ხელისუფალმა თუ კანონმდებელმა, რომ პრეზიდენტის სიტყვის შეუსრულებლობა, უპირველესად, სწორედ პრეზიდენტის ნდობის დაკარგვას იწვევს...

ჩვენ გვჯეროდა პრეზიდენტის სიტყვისა, მაგრამ ხელისუფლის თუ კანონმდებლის ამგვარი მცდელობა ამ რწმენას გვაკარგვინებს...

მე არ ვიცი, ჩვენი ხმა მივა თუ არა პრეზიდენტამდე, მაგრამ მაინც მინდა ვთხოვო მას:

ბატონო პრეზიდენტო, ნუ მისცემთ უფლებას ხელისუფალსა თუ კანონმდებელს, არ შეასრულონ თქვენი სიტყვა: ჩვენ ისიც გვახსოვს, დავით აღმაშენებლის საფლავზე რომ თქვით, ხალხის იმედის გაცრუებას სიკვდილი მირჩევნიაო. ჩვენ თქვენი სიცოცხლე და თქვენი დანაპირების შესრულება გვინდა... უნივერსიტეტი მძიმე დღეშია. პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერი-თანამშრომლები თქვენი დანაპირების იმედად არიან დარჩენილები... თუმცა ეს იმედიც თანდათან ქრება!...

ბატონო პრეზიდენტო, გაიხსენეთ თქვენი სიტყვა და იყავით მისი შესრულების გარანტი!

გიორგი გოგოლაშვილი

„საქართველოს რესპუბლიკა“

13 სექტემბერი, 2005.

II დანართი

„ბოლონიის პროცესი“ – მიზეზი თუ საბაბი?

„რეფორმატორები“ „რეფორმის“ საფუძვლად „ბოლონიის პროცესის“ მოთხოვნებს ასახელებდნენ...

რა არის „ბოლონიის პროცესი?“ საქართველოში მიმდინარე საუნივერსიტეტო რეფორმისათვის „ბოლონიის პროცესი“ მიზეზი იყო თუ საბაბი და მისთანანი... „საუნივერსიტეტო დარბაზმა“ დისკუსია შესთავაზა საზოგადოებას თემაზე „გლობალიზაცია და ბოლონიის პროცესი“. ეს დისკუსია **მარიამ ცაცანაშვილის** წერილით დაიწყო...

გთავაზობთ რამდენიმე ძალზე საინტერესო წერილს, რომელიც ქართული განათლების რეფორმისა და „ბოლონიის პროცესის“ მიმართების შესახებ იმჟამინდელ პრესაში გამოქვეყნდა.

ბომბი, თანაც არაერთი

საუნივერსიტეტო რეფორმის ზოგიერთი საკითხი

2005 წლის მაისში ნორვეგიის ქალაქ ბერგერში განათლებაზე პასუხისმგებელ მინისტრთა მორიგი კონფერენცია გაიმართა. 24 მაისს „უჩიტელსკაია გაზეტას“ ცნობით, კონფერენცია დამთავრდა ბერგერის კომუნიკეს ხელმოწერით და ბოლონიის ჯგუფში ახალი ქვეყნების – უკრაინის, მოლდოვას, სომხეთისა და აზერბაიჯანის მიღებით.

უმაღლესი განათლების ევროპულ ოჯახში ინტეგრაცია კონსტიტუციური ინტეგრაციის პოლიტიკის აქტუალური ამოცანაა, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივ პროცესს გულისხმობს. ეს პროცესი 1989 წელს დაიწყო, როცა 400 ევროპული უნივერსიტეტის რექტორი ბოლონიაში შეხვდა ერთმანეთს და განსაზღვრა სასწავლო დაწესებულებების როლი კულტურის ევროპული ცივილიზაციისა და კვლევის სფეროში. ერთი წლის შემდეგ, სორბონის უნივერსიტეტის დაარსების 800 წლისთავთან დაკავშირებით, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის განათლების მინისტრთა შეხვედრაზე, ყურადღება კვლავ ბოლონიის კონფერენციის მასალებზე გამახვილდა და ხელი მოეწერა სორბონის დეკლარაციას, რის შემდეგ, ერთ წელიწადში, 29 ქვეყნის განათლების მინისტრმა ხელი მოაწერა ბოლონიის დეკლარაციას.

2001 წლის 19 მაისს პრაღაში გამართულ პირველ შემაჯამებელ კონფერენციაზე გაიზარდა ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის მიზნები და ვალდებულებები.

2003 წლის 19 სექტემბერს, უკვე 33 ევროპული ქვეყნის მინისტრების შეხვედრა ბერლინში მოეწყო. მათი ამოცანა გასული მუშაობის შედეგების ანალიზი და ახალი პრიორიტეტების განსაზღვრა იყო. სწორედ ამას მოჰყვა ბერგერის კონფერენცია მიმდინარე წლის მაისში.

როგორია ეროვნული უმაღლესი განათლების რეორგანიზაციის პრიორიტეტები და ძირითადი მიმართულებები?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ კიდევ ბერლინის კონფერენციამ იზრუნა, სადაც აღინიშნა, თუ უნივერსიტეტთა ინტეგრაციის მიზანია ეკონო-

მიკაში კონკურენტუნარიანი ევროპის ფორმირება, ამავე დროს არსებობს ასიმილაციის საფრთხე. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ბერლინის დეკლარაცია ეროვნული კულტურული ღირებულებების შენაჩრუნების აუცილებლობაზე მიუთითებს. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული სახელმწიფოები და, განსაკუთრებით, საქართველო, ევროპაში „ქსეროასლირებისათვის" კი არ არის მიწვეული, არამედ სწავლებაში ეროვნული და სოციალური თუ სხვაგვარი უთანასწორობის აღმოფხვრის გზების ძიებისათვის, რაც კონკურენტუნარიანობის ძირითად საფუძვლადაა აღიარებული.

ამ კონტექსტში ჩვენ უნდა დავამტკიცოთ ჩვენი ხედვა, რომ უმაღლესი განათლება სახალხო მიღწევა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობაა. ამიტომ არ უნდა დაიკარგოს ქართველოლოგიური მეცნიერებების კვლევისა და სწავლების ტრადიციები. არადა, ამის საფრთხე რეალურად იგრძნობა.

მართალია, ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა სწავლების ხარისხია, მაგრამ იგი განცალკევებულად არ უნდა განვიხილოთ. ის ძლიერ არის დამოკიდებული „ნედლეულზე", ანუ საშუალო განათლების ხარისხზე. სამწუხაროა, რომ საქართველოში ეს პროცესი რეგრესს განიცდის, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელთა სოციალური სიდუხჭირის გამო. ეს კი ევროპის „შავ ბაზარზე" მოსახლეობის გადინებას იწვევს, ბევრი გეგულებათ ისეთი სკოლა, სადაც ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის ლაბორატორიები შემორჩა? საბიბლიოთეკო ფონდები ხომ, 1990 წლის შემდეგ, თითქმის აღარ (ან – ფრაგმენტულად) ივსება.

ამ საკითხზე საუბარს არ გავაგრძელებთ. უბრალოდ, გვინდოდა გვეთქვა, რომ ახალ საგანმანათლებლო სტანდარტებზე გადასვლა ტრადიციული უნივერსიტეტების მიერ თანმიმდევრულად, გეგმაზომიერად და საკუთარი მიღწევების შენარჩუნებით უნდა ხორციელდებოდეს. ძალიან ვწუხვარ, რომ კონსტიტუციური მოთხოვნის შეხსენება მიწევს, მაგრამ უმაღლესი განათლების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება ვისი უფლებამოსილებაცაა, ერთიან სტანტარტებზეც მან უნდა იზრუნოს. მხოლოდ ცალკეული მიმართულებები უნდა გახდეს აკადემიურ წრეებში განხილვის საგანი.

„უმაღლესი განათლების" შესახებ კანონი 2005 წლის იანვარში შევიდა ძალაში. ის, სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან ერთად, ახალ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სწავლების ახალ სტილსაც გულისხმობს. თუმცა კანონის გარდამავალმა დებულებებმა გარკვეული გაუგებრობები შეუქმნა სახელმწიფო უმაღლეს დაწესებულებებს, რაც რეფორმას ერთგვარ ჩიხში აქცევს. ამიტომაც შეიქმნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება – **„საუნივერსიტეტო დარბაზი".** დარბაზმა მოითხოვა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისაგან, საჯაროდ გაეცნო პროფესორ-მასწავლებლებისათვის კანონის განხორციელების

პროგრამა. შეხვედრებმა უფრო მძიმე შედეგები აჩვენა, ვიდრე ველოდით. ცოდვას ვერ ვიტყვით: უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ იცის, რომ უნდა არსებობდეს:

1. ბაკალავრიატი და მაგისტრატურა;
2. სააღრიცხვო-სასწავლო კრედიტები;
3. სტუდენტთა და მასწავლებელთა მობილურობა;
4. სწავლების ხარისხის კონტროლი და ა. შ.

მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს ეს ყოველივე თანმიმდევრულად და რა მეთოდიკით, მათთვის უცნობია (ყოველ შემთხვევაში, დოკუმენტურად ამის გაფორმება არ ხდება, კულუარული საუბრების საჯაროდ გამოტანას კი ვერიდებით).

უნივერსიტეტებში კანონის მიღების შემდეგ უარი თქვეს უნივერსიტეტის წესდებით მოქმედებაზე. ეს შეცდომაა იურიდიული თვალსაზრისით და მუშაობის ლოკალიზებასაც აფერხებს. უნივერსიტეტის წესდება მაშინ შეწყვეტს მოქმედებას, როცა „უმაღლესი განათლების“ შესახებ კანონის 87-ე მუხლის მე-4 პუნქტით ახალ წესდებას დაამტკიცებენ. წესდებიდან, კანონის უზენაესობის პრინციპის მიხედვით, არ მოქმედებს მხოლოდ რექტორისა და ფაკულტეტის დეკანების არჩევის წესი, რადგან გარდამავალმა დებულებებმა პირდაპირ დაუშვა ამ პირთა დანიშვნის უფლებამოსილება, როგორც დროებითი ღონისძიება.

ვერავინ დამისახელებს ქვეყანას, სადაც ახალ სტანდარტებზე გადასვლა უნივერსიტეტელთა მონაწილეობის გარეშე ხდებოდეს. დიდი სამეცნიერო საბჭოს იგნორირებამ პროცესი სრულიად დახურული და ფრაგმენტული გახადა. ამაზე მეტყველებს 1200-მდე მეცნიერ-თანამშრომლის ბედიც, გაურკვეველია მათი სტატუსი და სოციალური მდგომარეობა. ისინი უნივერსიტეტის თანამშრომლები, ფაქტობრივად, აღარ არიან (?), მხოლოდ ინერციით იღებენ ხელფასს საგრანტო დაფინანსებიდან, ყოველთვიურად, 1/12 წილის გადმორიცხვით. ეს – ერთი ბომბი, რომელიც სრულიად „უდანაშაულო“ პირებს შეიძლება აუფეთქდეთ.

სხვა „ბომბები“ აკადემიური პროცესების წარმართვის, შეფასების კრიტერიუმებისა და სახელფასო უზრუნველყოფის ფრაგმენტული განხორციელების ფორმებშია ჩადებული.

იმ ქვეყნებში, სადაც ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სისტემა მოქმედებს, საშუალო განათლება თორმეტწლიანია, ხოლო მაგისტრატურა ვიწრო სპეციალიზაციით შემოიფარგლება და დასაქმების კონკრეტული სფეროები აქვთ.

კრედიტების სისტემის შემოღებასთან მეთოდური დამოკიდებულების გარეშე უმაღლესი სასწავლებლები „საკრედიტო ფარდულებს“ დაემსგავსება

და დაიკარგება როგორც პროფესიული მიმართულება, ასევე ზოგადჰუმანიტარული, ფუნდამენტური მომზადებაც.

როდესაც სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილურობაზეა ლაპარაკი, იგულისხმება მათი მივლინება სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში. ეს კი გარკვეული ფინანსების ამ მიმართულებით გამოყენებასა და გაცვლითი პროგრამების მიზანმიმართულ დაგეგმვას მოითხოვს. რაც შეეხება ხარისხის კონტროლს, ის შეთანხმებულ კრიტერიუმებს უნდა დაეფუძნოს. მხოლოდ შეთანხმებული და დამტკიცებული პრინციპებისა და კრიტერიუმების შემდეგ შეიძლება გახდეს კონტროლი ეფექტური, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა მიმართ სუბიექტური დევნის საფუძველი გამორიცხული არ იქნება.

„საუნივერსიტეტო დარბაზი“ ნოვაციებისათვის კარის გადასარაზად არ შექმნილა.

ქართულ უნივერსიტეტს დიდი გამოცდა ელის. შედეგებზე კი დამოკიდებულია არა მარტო მისი, არამედ საქართველოს მომავალიც. როგორ მოვიქცეთ? უსიტყვოდ და გაუაზრებლად მივიღოთ ყველაფერი, რასაც გვთავაზობენ, თუ მოვძებნოთ კომპრომისები? ბოლონიის პროცესთან დაკავშირებული ყველა პრობლემა აკადემიურ და სამეცნიერო წრეებში განხილვას უნდა დაექვემდებაროს. დიდმა სამეცნიერო საბჭოებმა საკუთარი ინიციატივით მაინც უნდა შეძლონ შეკრება და სტანდარტებისა და კანონის განხორციელების პროგრამაზე საკუთარი პოზიციები ოფიციალურად გამოხატონ.

„საუნივერსიტეტო დარბაზი“ გთავაზობთ დისკუსიის ფორმანტს – „გლობალიზაცია და ბოლონიის პროცესი“ და იმედს ვიტოვებთ, თითოეული პროფესორი, თითოეული მეცნიერი გამოეხმაურება ამ რუბრიკას და საკუთარი გონებით განსჯის ქართული უნივერსიტეტის ბედს.

მარიამ ცაცანაშვილი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

„თბილისი“, 7 ივნისი, 2005.

სიკვდილი ბოლონიაში

რამდენიმე შენიშვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და საერთოდ განათლების რეფორმის თაობაზე

> სიმართლე ისაა, რასაც ორჯერ გაიმეორებ!“ – ამბობს ლუის კეროლის ერთი პერსონაჟი. განათლების სისტემის რეფორმა საქართველოში უკვე იმდენჯერ გამოცხადდა პროგრესულად და წარმატებულად, რომ ამან უკვე ლამის დოგმატის სახე მიიღო – მიმდინარე რეფორმისა და რეფორმატორი სამინისტროს მხარდაჭერა პრაქტიკულად გაიგივებულია დასავლური ორიენტაციის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების და ა. შ. მხარდაჭერასთან. მოგწონს რეფორმა? – მაშასადამე, ჭეშმარიტი დემოკრატი ხარ! არ მოგწონს? – შენი ადგილი ნათელაშვილისა და შარაძის გვერდითაა!

ასეთი მანიქევლური სქემა, როცა თავისი არსით რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესი წარმოდგენილია აბსოლუტური ბოროტების დაპირისპირებად, უკვე თავისთავად შეიცავს დემაგოგიის ელემენტებს, ცხადია, გაცილებით მარტივია, მიიჩნით, რომ განათლების რეფორმა ეს არის პროგრესული **ორმუზდ ლომაიას** შერკინება „კოლექტიურ **არიმანთან**“ – კორუმპირებულ და რეტროგრად პროფესურა-დირექტორატთან. და თუ არაერთი კონკრეტული ფაქტი ამ მანიქევლურ მითოლოგიაში ვერ თავსდება, მით უარესი ფაქტებისთვის!

წინამდებარე წერილში მე არ ვაპირებ სრულად მიმოვიხილო განათლების რეფორმა მისი მრავალგვარი ასპექტებით. თითოეული მათგანი საფუძვლიან განხილვას მოითხოვს და ერთ სტატიაში ყველაფრის ჩატევა შეუძლებელიცაა. ამჯერად შევჩერდები მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე. მიზეზი მარტივია: **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული საზოგადოებისთვის უფრო მეტია, ვიდრე ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებელი** და უნივერსიტეტში განხორციელებული ცვლილებები განსაკუთრებული და საყოველთაო ინტერესის საგანია.

საკითხის აქტუალობის გარდა, უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები იმითაცაა საინტერესო, რომ აქ კარგად ჩანს, თუ რა პრინციპებითა და მიდგომებით ხელმძღვანელობენ რეფორმის მესვეურები, და საერთოდ, რა ტიპის რეფორმასთან (და რეფორმატორებთან) გვაქვს საქმე. მთავარი სწორედ ესაა: თუკი რეფორმის სტრატეგიული კურსი, რეფორმატორთა სისტემური ხედვა მთლიანობაში მისაღებია და არსებითად პასუხობს თანამედროვე, ცივილიზებული სამყაროს მოთხოვნებს განათლების სფეროში, მაშინ ცალკეული გადაცდომები დიდი ტრაგედია არ არის. ტრაგედია მაშინ იწყება, როცა არანაირი სტრატეგია და ხედვა არ არსებობს...

და კიდევ ერთი: მე შეგნებულად არ ვმიჯნავ ერთმანეთისაგან განათლების სამინისტროსა და უნივერსიტეტის რექტორატს. თუკი მათ შორის რაიმე აზრთა სხვადასხვაობაა, ეს არანაირად არ ეხება არც იმ სტრუქტურულ ცვლილებებს, რაც უკვე აისახა რექტორის ბრძანებაში და არც ამ ცვლილებათა არგუმენტაციას. აქ სამინისტროც და რექტორატიც ერთ პოზიციაზე დგას და ერთნაირი არგუმენტებით ოპერირებს.

ბოლონიის სახელით, ანუ სათავეებთან

პირველი დღიდანვე, რაც კი სამინისტროს პოსტრევოლუციურმა ხელმძღვანელობამ უმაღლესი განათლების რეფორმაზე დაიწყო ლაპარაკი, იგი იმთავითვე იქცა ასოცირებული ე. წ. „ბოლონიის პროცესთან“. თავის მხრივ, ბოლონიის პროცესში მონაწილეობა გაცხადებული იყო, როგორც ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის აუცილებელი პირობა. განათლების სამინისტრო თითქმის ყველა თავის ნაბიჯს სწორედ „ბოლონიის სახელით“, ანუ ევროინტეგრაციისა და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის საჭიროებით ამართლებდა.

ეს მეთოდი საკმაოდ ქმედითი გამოდგა. პროევროპელმა დემოკრატებმა პრაქტიკულად უკრიტიკოდ მიიღეს სამინისტროს იდეები, მით უმეტეს, რომ რეფორმის ოპონენტები ყველაფერს სოროსს აბრალებდნენ და ევროპულ სტანდარტებთან ქართული ტრადიციების შეუთავსებლობას ქადაგებდნენ.

მაინც რა არის ეს ბოლონიის პროცესი და რა კავშირშია უნივერსიტეტში მიმდინარე ცვლილებები ევროპაში ინტეგრაციასთან?

ძალიან მოკლედ თუ ვიტყვით, ბოლონიის პროცესი, ესაა ევროინტეგრაცია განათლების სფეროში. პროცესს სათავე 1998 წელს, ე. წ. „სორბონის დეკლარაციით“ დაედო და საბოლოოდ გაფორმდა 1999 წლის ივნისში, როდესაც „ბოლონიის დეკლარაცია“. თავდაპირველად ბოლონიის პროცესში 29 ევროპული ქვეყანა მიიღეს. დღეს ბოლონიის პროცესის მონაწილე პრაქტიკულად ყველა ევროპული ქვეყანაა. მათ შორის არიან პოსტსაბჭოთა სახელმწი-

ფოებიც: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უკრაინა, რუსეთი, საქართველო, აზერ-ბაჯანი და სომხეთი. ერთადერთი გამონაკლისი ბელორუსიაა.

მონაწილე ქვეყნების ჩამონათვალიც უკვე თავისთავად ნიშანდობლი-ვია. რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი ნამდვილად არ წარმოადგენენ არც დემოკრატიის ნიშანსვეტებს და არც განათლების რეფორმის სამაგალითო ორიენტირებს. იგივე შეიძლება ითქვას კუჩმას დროინდელ უკრაინაზეც (უკ-რაინა ბოლონიის პროცესს სწორედ კუჩმას პრეზიდენტობის დროს შეუერ-თდა). ასე რომ, ბოლონიის პროცესში ჩართვა, რა თქმა უნდა, მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ იგი არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს რაღაც განსაკუთრე-ბულ სიქველედ ან ვიღაცის პიროვნულ დამსახურებად.

კონკრეტულად, ბოლონიის პროცესი მოიცავს რამდენიმე მიმართულე-ბას. ესაა უფრო მკაფიო და ურთიერთშედარებითი აკადემიური ხარისხები, სწავლების ხარისხის შეფასებისა და აკრედიტაციის სისტემების დაახლოება-სტანდარტიზაცია, მობილობის პრინციპი და/ან კონტექსტში კრედიტ-საათე-ბის სისტემის დამკვიდრება, აკადემიური სწავლების ორი (ბაკალავრიატი-მა-გისტრატურა) ციკლი.

ძირითადად ეს არის, უფრო დაწვრილებითი ინფორმაციისათვის ნე-ბისმიერ მსურველ შეუძლია ნახოს ინტერნეტ-გვერდი www.bolo gnabergen2005. no. თუმცა, არ გაგიკვრიდეთ, თუ იქ ვერაფერი იპოვოთ ფა-კულტეტების ინტეგრაციის, ვაუჩერული დაფინანსების, კათედრების გაუქმე-ბისა თუ ზოგადი უნარების ტესტის საჭიროებაზე. ბევრი რამ ხდება, ბატონე-ბო, ჩვენთან ისეთი, რაც ევროპაში სიზმრადაც არ მოლანდებიათ.

ფაკულტეტების ინტეგრაცია, ანუ უმჯობესია ცოტა და მსხვილი?

ახლა მივყვეთ იმ საკვანძო პუნქტებს, რასაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეფორმა გულისხმობს. დავიწყოთ ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლით – აქამდე არსებული **ოცდაორი ფაკულტეტის ნაცვლად** ამიერიდან უნივერსიტეტში მხოლოდ **ექვსი ფაკულტეტია:** იურიდიული, სამედიცინო, ჰუმანიტარული, ეკონომიკა და ბიზნესი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მე-ცნიერებები, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები.

ბუნებრივია, აქ ლოგიკურად ისმის კითხვა: რატომ ექვსი და რატომ ეს ექვსი? წესით, ამგვარი სტრუქტურული ცვლილებები რაღაც კონკრეტული პრობლემების მოგვარების მიზნით უნდა ხორციელდებოდეს.

იმის განსაზღვრა, თუ რამდენი ფაკულტეტია საჭირო უნივერსიტეტში, მთელი საუნივერსიტეტო სისტემის (სწავლების პრინციპები, აკადემიური და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა, საკადრო რესურსები და ა. შ.) ანა-ლიზს უნდა ეყრდნობოდეს. სხვანაირად შეუძლებელია გაიგო „ცოტაა“ თუ „ბევრი“ ოცდაორი ფაკულტეტი.

თუმცა, ჩვენებური რეფორმატორები ამდაგვარ „წვრილმანებს“ არად დაგიდევენ. მათ თავიანთი ხედვა აქვთ (რა „ხედვაცაა“ ეს, ქვემოთ მოგახსენებთ. დ. ზ.), სადაც ფაკულტეტების გამსხვილება ერთ-ერთი ცენტრალური პუნქტი გახლავთ.

უნივერსიტეტის რექტორისა და მისი მოადგილის განცხადებები, თითქოს ამჟამინდელი გარდაქმნების საჭიროება მათ მიერ ბოლო დროს ჩატარებული მუშაობის შედეგად გამოიკვეთა, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება სინამდვილეს. თბილისის სახელმწიფო **უნივერსიტეტში რომ ექვსი ფაკულტეტი უნდა დარჩენილიყო,** ამის შესახებ **განათლების მინისტრი** და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირები ჯერ კიდევ **შარშან აცხადებდნენ,** ეს განცხადებები კეთდებოდა სრულიად დაუფარავად და ამის ერთადერთი **არგუმენტი** ის იყო, რომ **„ევროპაში ასეა“.** სამინისტროს ხელმძღვანელობა სრულიად სერიოზულად ამტკიცებდა (და დღემდე ამტკიცებს), რომ ევროპაში უნივერსიტეტის აბსოლუტურ უმრავლესობას ოთხი-ხუთი (ჰა, ჰა, ექვსი) ზოგადი პროფილის ფაკულტეტი აქვს. არადა, ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე რაღაც ევროსტანდარტების არსებობა. თუმცა, სკოლები სულ სხვა თემაა, მართალია, არანაკლებ საინტერესო, მაგრამ მაინც სხვაა...

რაც შეეხება უნივერსიტეტებში **ფაკულტეტების რაოდენობას,** სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ აქაც **არავითარი სტანდარტი არ არსებობს:** არც ფორმალური, არც არაფორმალური. **ბოლონიის პროცესი ამ თემას საერთოდ არ ეხება.** ევროპაში მართლაც მოიძებნება ისეთი უნივერსიტეტი, სადაც ექვსი ფაკულტეტია, მაგრამ ასევე მოიძებნება ისეთი, სადაც ათი, ან თორმეტი, ან თხუთმეტი, ან კიდევ უფრო მეტი.

შორს რომ არ წავიდეთ, იგივე **ბოლონიის უნივერსიტეტი,** რომელიც მე-11 საუკუნეში დაარსდა და მსოფლიოს უძველესი უნივერსიტეტია, **ოცდასამ (23!) ფაკულტეტს ითვლის,** მე-15 საუკუნეში დაარსებული ვენის უნივერსიტეტი ჩვიდმეტს (17), მიუნჰენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტი თვრამეტს (18). მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ ფაკულტეტების რაოდენობას თითოეული უნივერსიტეტი თავად განსაზღვრავს და არა რაღაც გამოგონილი „სტანდარტით“.

ფაკულტეტების როგორც რაოდენობა, ისე მათი შინაარსი ტრადიციას ეფუძნება. ახლად დაარსებულ უნივერსიტეტებში, როგორც წესი, უფრო ცოტა და უფრო ზოგადი პროფილის ფაკულტეტებია, ვიდრე გარკვეული ტრადიციის მქონე სასწავლებელში. აქ იმასაც აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი სასწავლო დისციპლინის ან მეცნიერების დარგის სკოლაა უფრო ძლიერი ამა თუ იმ უნივერსიტეტში. ვთქვათ, ბოლონიის უნივერსიტეტში ზუსტი მეცნიერებები

ერთ ფაკულტეტშია თავმოყრილი, სამაგიეროდ იმავე ბოლონიაში ეკონომიკის სამი და ინჟინერიის ორი ფაკულტეტი ფუნქციონირებს, აი, ვენის უნივერსიტეტში კი ფიზიკის ფაკულტეტიც არის და მათემატიკისაც...

თუმცა, მოვეშვათ კონკრეტულ მაგალითებს და ევროპული ანალოგიების მოხმობას. სულ რომ არა იცოდე რა ხდება ევროპაში, ფაკულტეტების გამსხვილება, ისევე, როგორც, სხვადასხვა სასწავლებლის გაერთიანება, ელემენტარული ლოგიკიდან გამომდინარე, შეუძლებელია იყოს თავისთავად კარგი ან ცუდი. არადა, განათლების მინისტრი თავის საჯარო გამოსვლებში სწორედ ასე წარმოადგენდა საქმის ვითარებას. ამ ლოგიკით, რაც უფრო ნაკლები ფაკულტეტი იქნება მით უკეთესი, ანუ, ექვსს ხუთი ჯობია, ხუთს – ოთხი, ოთხს – სამი, სამს – ორი და მთელი უნივერსიტეტი თუ ერთი ვეებერთელა ფაკულტეტი იქნება, მთლად უკეთესი! თვალი დაუდგეს ბოლონიას!...

რა თქმა უნდა, ასეთი „ლოგიკა“ გვარიანად მოიკოჭლებს, მაგრამ სამინისტროს „პრინციპული“ პოზიცია ამ საკითხში სულაც არ გახლავთ დასანანი გაუგებრობა და შემთხვევითი გადაცდომა. ესეც რეფორმის კონცეპტუალური „ხედვიდან“ მომდინარეობს, რის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

შესაძლოა, თბილისის უნივერსიტეტში მართლაც საჭირო იყო ფაკულტეტების შემცირება, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამგვარი ცვლილების არანაირია რაციონალური დასაბუთება არავის მოუსმენია. ევროპაზე აპელირება, საუკეთესო შემთხვევაში, ისეთ არცოდნას ნიშნავს, რომელსაც არცოდვად ვერ ჩავთვლით. უფრო მეტიც, ასეთი რადიკალური ცვლილება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძირითადად არარსებული ევროსტანდარტების მიხედვით ხორციელდება და არ ხდება კონკრეტული ტრადიციის, ადამიანური რესურსის, ინფრასტრუქტურისა და სხვა ამგვარი დეტალების გათვალისწინება, ეს სხვა არაფერია, თუ არა პირდაპირ დივერსია.

ახალი ვერსია, ანუ ტესტი იდიოტებისთვის

თუკი ადრე ფაკულტეტების გამსხვილების საჭიროება დემაგოგიურად საბუთდებოდა ბოლონიის პროცესისა და ევროინტეგრაციის მოთხოვნებით, ბოლო დროს გაიჟღერა კიდევ ორმა ორიგინალურმა არგუმენტმა. უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, ქ-ნმა **მარინა ჩიტაშვილმა** ტელეკომპანია „მზეზე“ სატელევიზიო გამოსვლისას განაცხადა, რომ **„ფაკულტეტების ინტეგრაცია ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის ზრდას“,** ცოტა ხნის შემდეგ კი ისიც თქვა, რომ **ფაკულტეტების გაერთიანება,** თურმე, **დაფინანსების შემცირების მიზნით მოხდა.**

ესე იგი, რა გამოდის? ფაკულტეტების ექვსამდე დაყვანა იძულებითი ნაბიჯია და საკმარისი დაფინანსება რომ ყოფილიყო, ამას არ გააკეთებდნენ? აკი სწავლების ხარისხი გაიზრდებაო? მეორე მხრივ, სამინისტროს ხელმძღვა-

ნელობა მუდმივად აცხადებს, რომ ხარისხიანი განათლება ძვირი ღირს და დაფინანსების ზრდა ავტომატურად უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის ამაღლებას.

თავი დავანებოთ იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებაზე ლაპარაკს, რომ დაფინანსების გაზრდა, მართალია, მნიშვნელოვანი, მაგრამ სრულიად არასაკმარისი პირობაა ხარისხის ასამაღლებლად. არც იმაზე ვიტყვი არაფერს, რომ უნივერსიტეტისათვის დაფინანსების შემცირებაც წმინდა წყლის მითია. და საერთოდ, მე, ცოტა არ იყოს, დამაბნია რეფორმატორთა არგუმენტების ლოგიკამ და ამაში გარკვევა მკითხველისთვის მიმინდვია. კერძოდ, გთავაზობთ პატარა ტესტს ზოგადი უნარების სფეროდან, რომელსაც გერმანიაში სრულიად ოფიციალურად იდიოტების ტესტს ეძახიან:

როგორც გვიმტკიცებენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში:

ა) დაფინანსების ზრდა განაპირობებს სწავლების ხარისხის ზრდას;

ბ) დაფინანსების შემცირება განაპირობებს ფაკულტეტების გამსხვილებას;

გ) ფაკულტეტების გამსხვილება განაპირობებს სწავლების ხარისხის ზრდას;

დავუშვათ, ზემოთ მოყვანილი სამივე მოსაზრება ჭეშმარიტია. ამ შემთხვევაში, რომელი დასკვნა არ არის სწორი?

ა) სწავლების ხარისხი დაფინანსების ზრდისა და ფაკულტეტების გამსხვილების პირდაპირპროპორციულიცაა და უკუპროპორციულიც;

ბ) ხარისხი ნებისმიერ შემთხვევაში გარანტირებულია;

გ) ვინც თვლის, რომ სამივე ზემოთ მოყვანილი მოსაზრება ჭეშმარიტია, მთლად ჯანზე ვერ უნდა იყოს.

სწორი პასუხია ალბათ, მაგრამ ხუმრობა იქით იყოს და ამგვარი რეფორმის შემოქმედნი არათუ არ ხუმრობენ, ძალიან სერიოზულადაც გვმოძღვრავენ. თუმცა დამოძღვრას ვინღა ჩივის, როცა უკვე სიტყვიდან საქმეზე გადადიან.

ცვივა თოვლის ფანტელი...

არის ერთი სიმღერა. ქართული ესტრადის ჰიტი, რომელსაც რეფრენად გასდევს ასეთი ფრაზა:

ცვივა თოვლის ფანტელი,
ცა ფირუზისფერია...

დიდი მეცნიერული ცოდნა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ის ცა, საიდანაც ფანტელი ცვივა, ფირუზისფერი ვერანაირად ვერ იქნება. ლურჯი, უღრუბლო ციდან თოვლის ფანტელი რომ ვერ ჩამოცვივდება, ბავშვმაც კი იცის, მაგრამ აქ მოქმედებს ერთი დაუწერელი კანონი: ცალ-ცალკე აღებული

„თოვლის ფანტელის ცვენა“ და „ფირუზისფერი ცაც“ ქართველი მსმენელის ცნობიერებაში მყარად გამჯდარი პოეტური შტამპია. იმდენად მყარად გამჯდარი, რომ მათი ერთობლიობა, მიუხედავად აზრის აბსურდულობისა, სულაც არ ეხამუშება. ნაცნობ შტამპებს გონება მექანიკურად „იღებს“ და ლოგიკური შეუსაბამობა ყურადღების მიღმა რჩება.

განათლების რეფორმის „პროგრესულობისა“ და „წარუმატებლობის“ მითიც მთლიანად ამგვარ პრინციპზეა აგებული. ესაა ერთმანეთთან შეუსაბამო, ხშირად წინააღმდეგობრივი, მაგრამ აუცილებლად „დემოკრატიული“ და „ევროლიბერალური“ შეფერილობის შტამპების უსისტემო გროვა: „ბოლონიის პროცესი“, „ფაკულტეტების ინტეგრაცია“, „მეცნიერებისა და სასწავლო პროცესის შერწყმა“, „პროგრამული დაფინანსება“, „ევროსტანდარტები“ და ა. შ. ყოველივე ეს ერთობ „ევროპულად“ და „პროგრესულად“ ჟღერს, მაგრამ სამწუხაროდ, ამ მზა შტამპებს უკან ხშირად მხოლოდ ელემენტარული არაკომპეტენტურობა დგას, სხვა არაფერი...

ავიღოთ თუნდაც ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი ელემენტი განათლების რეფორმის მიმდინარეობისა. ესაა ე. წ. „ლიბერალური სწავლების“ დამკვიდრების მცდელობა უმაღლესი განათლების სისტემაში. მართალია, ამგვარი მცდელობა პირდაპირ არასოდეს გაცხადებულა, მაგრამ, თუკი რაიმე თანმიმდევრულობაზე შეიძლება ლაპარაკი განათლების სამინისტროს საუნივერსიტეტო პოლიტიკაში, ეს სწორედ აღნიშნული პრინციპის გატარებაა.

რა არის ლიბერალური სწავლება? მოსასმენად ესეც „პროგრესულად“ ჟღერს, მაგრამ იგი სრულიად კონკრეტული რამ არის. ლიბერალური სწავლება გულისხმობს უკიდურესად ზოგად, არასპეციალიზებულ სასწავლო პროგრამებს, სადაც მთავარი აქცენტი კეთდება სტუდენტის კრეატიულობაზე, კრიტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე და ა. შ.

გეცნოთ, არა? ახლა ხომ ადვილი გასაგებია, რატომ იყო ასეთი „პრინციპული“ სამინისტროსთვის ფაკულტეტების მინიმალიზაცია, რომ ხდება აქცენტების დასმა იმაზე, რომ პირველ ეტაპზე უნივერსიტეტებში აუცილებლად ზოგადი ტიპის საგნები უნდა ისწავლებოდეს და ამ მხრივ სტუდენტებისათვის არანაირი შეზღუდვა არ უნდა არსებობდეს. ამგვარი მიდგომა კვლავ ბოლონიის პროცესზე აპელირებითა და სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობის მიზნითაა დასაბუთებული.

რას ერჩი, რაღაც სისტემური ხედვა მაინც ჰქონია სამინისტროსო, იტყვის გულუბრყვილო მკითხველი. ისემც კარგი დაგემართოთ! სიამოვნებით დაგეთანხმებოდით, რომ არა ერთი „უმნიშვნელო“ დეტალი: ლიბერალური სწავლება თვითონაა პროგრამა! ეს პროგრამა გამოიყენება ამერიკის ზოგიერთ უნივერსიტეტში, რამდენიმე მათგანში ლიბერალური სწავლების ფაკულტეტიც (!) კი არსებობს, ასევე არსებობს სპეციალური კოლეჯიც ლიბე-

რალური სწავლებისთვის, მაგრამ მსოფლიოში არ არსებობს ისეთი უნივერსიტეტი, სადაც ლიბერალური სწავლება მთლიანად მოიცავდეს, ბაკალავრიატის საფეხურს! ასეთი უნივერსიტეტი არც შეიძლება არსებობდეს, რადგან ეს ავტომატურად გამორიცხავს მეცნიერულ კვლევას. ამიტომაც არ იცნობს ლიბერალური სწავლება ისეთ სტრუქტურას, როგორიცაა კათედრა. მეცნიერება ხომ ყოველთვის კონკრეტულ სპეციალობას გულისხმობს და კათედრის არსებობაც ამ კონტექსტში მოაზრება.

ჩვენებურ რეფორმატორებს კი კათედრა ლამის კომუნისტური გადმონაშთი ჰგონიათ და უმაღლესი განათლების შესახებ მათ მიერ მომზადებულ კანონპროექტში ეს სიტყვა საერთოდ გამქრალი იყო. საპარლამენტო განხილვის დროს, საბოლოო ჯამში, ისინი, იძულებული გახდნენ კომპრომისზე წასულიყვნენ, თუმცა, „ანტიკათედრული“ განწყობა მაინც არ განელებიათ და ახლა თბილისის უნივერსიტეტში ცდილობენ ჩანაფიქრის თანდათანობით აღსრულებას.

რაც შეეხება სტუდენტთა მობილობას, მათი არჩევანის თავისუფლებას სასწავლო საგნების შერჩევისას, სწორედ ამისთვისაა კრედიტების სისტემა და არჩევითი საგნები ბაკალავრიატის საფეხურზე. ეს ყველაფერი თავისუფლად შეიძლება განხორციელდეს რამდენიც გნებავთ ფაკულტეტის პირობებში.

ახლა კი მინდა ერთი პრინციპული შეკითხვა დავსვა: ნუთუ სამინისტროს ხელმძღვანელობას არ შეეძლო ხეირიანად გაერკვია, რას ნიშნავს ლიბერალური სწავლება, რა მოთხოვნებს აყენებს ბოლონიის პროცესი და რომელ უნივერსიტეტს რამდენი ფაკულტეტი აქვს ევროპაში? შეიძლება მათ ეს არ იცოდნენ, მაგრამ ინგლისური და კომპიუტერი ხომ იციან? „მაუსის“ ერთი-ორი დაწკაპუნება და საჭირო ინფორმაციასაც მაშინვე მიიღებდნენ. არც იმის გარკვევა იყო ძნელი, არის თუ არა ევროპის უნივერსიტეტებში ისეთი რამ, როგორიცაა კათედრა. საკმარისი იყო ინგლისურ-რუსული, ინგლისურ-ქართული, ან სხვა რამ ლექსიკონი გადაეშალათ და იქვე აღმოაჩენდნენ, რომ საუნივერსიტეტო კათედრა ინგლისურად გამოითქმის როგორც დეპარტმენტ ან ჩჰეარ. თუმცა, შეიძლება რეფორმატორები იმანაც დააბნია, რომ სიტყვა დეპარტმენტს ფაკულტეტსაც აღნიშნავს. რას იზამ, ასეთია ინგლისური ენის ბუნება...

მაგრამ ინფორმაციის კეთილსინდისიერად მოძიება და საკითხის გააზრება არ არის მათი სტილი! რა მნიშვნელობა აქვს, სინამდვილეში რა არის და სად როგორაა? მთავარია, სხვებს ჩააგონო, რომ ქვეყანაში წარმატებული და დემოკრატიული რეფორმა ხორციელდება. ამისთვის კი არანაირი განსაკუთრებული კომპეტენცია არ არის საჭირო. მთავარია, შარაძისა და ბაღათურიას მსგავსი პირები წარმოაჩინო შენს მოწინააღმდეგედ და თან ხშირ-ხშირად იმე-

ორო „ლიბერალური“ ჟღერადობის შტამპები. ამ შემთხვევაში სიმართლეც ისაა, რასაც ორჯერ გაიმეორებ.

და რა შუაშია აქ ბოლონია?

არც არაფერში, რადგან ბოლონიის პროცესი:

ა) არავის ავალდებულებს ფაკულტეტების გამსხვილებას თუ დაწვრილებას;

ბ) არ მიიჩნევს კათედრას წარსულის მავნე გადმონაშთად;

გ) არ ახალისებს ე. წ. ლიბერალურ სწავლებას;

დ) არ მოითხოვს ვაუჩერიზაციას და არ განსაზღვრავს დაფინანსების წესს;

ე) არანაირ მოთხოვნებს არ აყენებს უმაღლეს სასწავლებელში მიღების წესზე;

ვ) არანაირი კუთხით არ განსაზღვრავს უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრირების პრინციპებს.

მოკლედ, ძალიან ბევრ რამეს, რასაც სამინისტრო ქართული საგანმანათლებლო სისტემის ევროპეიზაციად ასაღებს, ბოლონიის პროცესი სულაც არ მოითხოვს. არც სოროსი არ მოითხოვს, არც ამერიკა, და არაკომპეტენტურობა ტიპიური ქართული ფენომენია. მთავარია, შტამპები არ გამოგელიოს და კიდევ ჩამოცვივდება თოვლის ფანტელი ფირუზისფერი ციდან...

რაც შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, აქ სისტემური რეფორმები ნამდვილად საჭიროა და ევროპის საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაციაც საშური საქმეა. ადმინისტრირების სტრუქტურული ცვლილებების ჩარჩო საკმაოდ ნათლად გახლდათ განსაზღვრული ახალი კანონის მიერ. კარგი იქნებოდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ჯერ ახალი კანონმდებლობით დადგენილი სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე ეზრუნა და შიდა რეფორმის გატარებაც ახალი წესდებით დაეწყო. ამჟამინდელი უსისტემო და ფართხა-ფურთხით გატარებული „რეფორმა“ კი სხვას არაფერს შეიძლება შეედაროს, თუ არა ფინანსური პოლიციის მიერ ამას წინათ სასაუზმე „ნიკალაში“ ჩატარებულ ოპერაციას. შეიძლება უნივერსიტეტში მართლაც ბევრი რამაა შესაცვლელი, ბევრი კადრია გამოსაცვლელი და ბევრი პროგრამა გადასახედი, მაგრამ **ასეთი უპასუხისმგებლო და არკომპეტენტური მიდგომა მთლიანად უნივერსიტეტს,** როგორც უმაღლესი განათლების სასწავლებელს, **აყენებს ზიანს** და რეფორმის იდეის დისკრედიტაციას ახდენს. და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ყველაფერი უნივერსიტეტში მოკალათებული რეტროგრადების მოსაშორებლად კეთდება, ძალიანაც ცდება. ჟღერადი შტამპებით უაზრო ოპერირება რეფორმა არ არის, ეს მხოლოდ წყლის ამღვრევაა. მღვრიე წყალში კი თევზს რა ხალხი იჭერს, კარგად მოგეხსენებათ.

არა, ბოლონია ნამდვილად არაფერ შუაშია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბოლონიის პროცესში არ მოკვდება, მას მხოლოდ ადგილობრივი კადრები თუ მოაშთობენ ბოლონიის სახელით. და ცვივა თოვლის ფანტელი...

P. S. ამის შემდეგ თითქოს ბუნებრივი იქნებოდა, უშუალოდ განათლების მინისტრისა და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხი დამეყენებინა, მაგრამ ამას შეგნებულად არ ვაკეთებ. წინ ერთიანი ეროვნული გამოცდებია და ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ამ გამოცდების წარმატებით ჩატარება, რათა არ მოხდეს თავისთავად სწორი და კარგი იდეის დისკრედიტაცია. განათლების მინისტრმა უშუალოდ იკისრა პასუხისმგებლობა გამოცდების ჩატარებაზე და თუ იგი წარმატებით გაართმევს თავს ამ ამოცანას, გულწრფელად გამიხარდება, რომ რაღაც კარგი საქმე მაინც გააკეთა. ისე, სამინისტროს ამჟამინდელ ხელმძღვანელობას ეროვნული გამოცდების იდეაც არ ეკუთვნის, მაგრამ ამაზე სხვა დროს, ისევე როგორც ზოგადი განათლების შესახებ. მით უმეტეს, რომ რაც ამ სფეროში ხდება, იმასთან შედარებით უმაღლესი განათლების რეფორმა მართლა წარმატებული ექსპერიმენტია.

დავით ზურაბიშვილი –
მწერალი, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
„24 საათი“, 22 ივნისი, 2005.

შევასწროთ ბოლონიაში

„ჩვენ განუხრელად უნდა ვებრძოლოთ მათ, ვინც გვაკრიტიკებს, უნდა მოვახდინოთ მათი ყოველი გამონათქვამისა თუ ქმედების კომპრომეტირება. იმ შემთხვევაში, თუკი მოწინააღმდეგენი არ აპირებენ დანებებას, ჩვენ მათ ფაშისტები, ნაცისტები და ანტისემიტები უნდა ვეძახოთ... ასეთი ბრალდებების მრავალჯერადი გამეორება ადრე თუ გვიან აუცილებლად დაილექება ხალხის მასების ცნობიერებაში.

თუკი საჭიროება მოითხოვს, რომ მოწინააღმდეგის საქმიანობა საზოგადოების მიღმა დარჩეს, თქვენს ოპონენტს გონებაჩლუნგი უწოდეთ“.

პატრიკ ბიუკენინი „დასავლეთის აღსასრული“.

ის, რაც რეფორმებში ჩვენთვის მისაღებია, ბოლონიის პროცესის ფუძემდებლური დოკუმენტებით არის ნაკარნახები, ხოლო ის, რასაც უაზროდ და მიუღებლად ვთვლით – განათლების სამინისტროს მიერაა თავსმოხვეული.

განათლების საპარლამენტო ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ დავით ზურაბიშვილმა თავის უაღრესად კვალიფიციურ წერილში, „სიკვდილი ბოლონიაში“, ასე აღწერა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ირგვლივ შექმნილი ვითარება: „განათლების სისტემის რეფორმა იმდენჯერ გამოცხადდა პროგრესულად და წარმატებულად, რომ ამან ლამის დოგმატის სახე მიიღო... მოგწონს რეფორმა? – მაშასადამე ჭეშმარიტი დემოკრატი ხარ! არ მოგწონს? – შენი ადგილი ნათელაშვილისა და შარაძის გვერდითაა“. მაგრამ იმისთვის, რომ მოგწონდეს, ან არ მოგწონდეს რეფორმა, ხომ უნდა გაიგო, რა არის მისი მიზანი, შინაარსი, სტრატეგიული გეგმა და რა მოსალოდნელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის განხორციელებას?! სწორედ ამის დასადგენად (ზემოხსენებული წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში) გაიმართა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **რუსუდან ლორთქიფანიძის** შეხვედრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის თანამშრომლებთან. სამწუხაროდ, ერთადერთი, რაც იმ ხმაურიან შეხვედრაზე გაირკვა, ის არის, რომ არც რექტორატს და არც განათლების სამინისტროს საუნივერსიტეტო რეფორმის კონცეფცია და სტრატეგიული გეგმა არ გააჩნიათ.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა კი ასეთი დასკვნა გამოიტანა: „მათ არ უნდათ რეფორმა! სიტყვის თითქოს ყველა რეფორმას ემხრობა, მაგრამ... და აქ იწყება რეფორმის საწინააღმდეგო მოთხოვნების წამოწყება“. საინტერესოა, ქალბატონი რუსუდანის ამ გამონათქვამში პარლამენტის კულტურის, განათლებისა და სპორტის კომიტეტიც იგულისხმება, თუ მარტო **„საუნივერსიტეტო დარბაზი“,** რომელიც ამ შეხვედრის ინიციატორი იყო?

საღი აზრი გვკარნახობს, რომ უმაღლესი განათლების რეფორმა ორ მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს: ა) სწავლების ხარისხის ამაღლებას და ბ) ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციას. ზოგადად იმის თქმა, რომ სწავლების ხარისხი უნივერსიტეტში მაღალი ან დაბალია, არ შეიძლება. დარწმუნებული ვარ, იგი სხვადასხვაა უკვე ყოფილ 22 ფაკულტეტზე. ფაკულტეტების გააზრებული რეორგანიზაცია კი შეიძლება დაწყებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის შიგნით შეიქმნებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც გარკვეული კრიტერიუმების გამოყენებით შეაფასებდა ფაკულტეტებზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხს, პერსონალის კვალიფიკაციას, გამოავლენდა ხარვეზებს, დაადგენდა ამ ხარვეზების გამომწვევ მიზეზებს და ა. შ. არაფერი ეს ჯერ გაკეთებული არ არის, თუმცა უნივერსიტეტში სასწრაფო წესით, ბრძანების საფუძველზე უკვე მოხდა ფაკულტეტების მექანიკური გაერთიანება-გამსხვილება და მივიღეთ ეს საკრამენტული 6 ფაკულტეტი.

რაც შეეხება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციას, ეს საკითხი დღეს გაიგივებულია ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების ე. წ. „ბოლონიის პროცესში“ ჩართვასთან. თავი დავანებოთ იმას, რომ ბოლონიის პროცესი უმაღლესი სასწავლებლებისათვის ევროინტეგრაციის ერთადერთი და უალტერნატივო გზა არ არის. ეს სერიოზული აკადემიური განსჯის საგანია. უბედურება ის არის, რომ განათლების სამინისტროს ჩინოვნიკების მიერ შემუშავებული და ამჟამინდელი რექტორატის მიერ ბრმად და დაუფიქრებლად ცხოვრებაში გატარებული მოთხოვნები განსხვავდება, ხშირ შემთხვევაში კი პირდაპირ უპირისპირდება ბოლონიის დეკლარაციის პრინციპებსა და რეკომენდაციებს. აღმოჩნდა, რომ ის, რაც რეფორმის განხორციელების პროცესში ჩვენთვის მისაღებია, სწორედ ბოლონიის პროცესის ფუძემდებლური დოკუმენტებით არის ნაკარნახები, ხოლო ის, რასაც უაზროდ და მიუღებლად ვთვლით – განათლების სამინისტროს მიერაა ნაჩქარევად და ყოვლად გაუაზრებლად თავსმოხვეული.

მაინც რას ითხოვს ჩვენგან ბოლონიის პროცესი? პირველ რიგში, ეს არის სამსაფეხურიანი სწავლება – ოთხწლიანი ბაკალავრიატი, ორწლიანი მაგისტრატურა და ორწლიანი დოქტორანტურა. ეს სისტემა დიდი ხნის დანერგილი და აპრობირებულია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. სამსაფე-

ხუნრიანი სწავლება, ცხადია, პანაცეა არ არის და ის პირდაპირ არ განსაზღვრავს სწავლების ხარისხს. მაგალითად, ითვლება, რომ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული თავისი ცოდნითა და მომზადებით არ ჩამორჩება (ხშირ შემთხვევაში აჭარბებს კიდეც) ევროპული უნივერსიტეტების მაგისტრებს. მაგრამ სამსაფეხურიან სწავლებას ის უპირატესობა აქვს, რომ აადვილებს ხარისხის კონტროლს და ხელს უწყობს როგორც სტუდენტთა, ისე პროფესორ-მასწავლებელთა მობილობას ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ფარგლებში. ამიტომ ვერაფერს მიუღებელს ვერ ვხედავთ ამ მოთხოვნაში და სამსაფეხურიანი სწავლების დანერგვაში ჩვენი მოკრძალებული წვლილიც გვაქვს შეტანილი.

შემდეგი, რაც ბოლონიის პროცესთან მისაერთებლადაა საჭირო, ეს არის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების თანხვედრა და ჰარმონიზაცია ევროპულ უნივერსიტეტებში არსებულ ანალოგიურ პროგრამებთან. თუმცა ბოლონია არ ითხოვს ასპროცენტიან თანხვედრას და უმაღლეს სასწავლებლებს საშუალებას აძლევს თავიანთი პროგრამების საკმაოდ სოლიდური ნაწილი საკუთარი შეხედულებისა და ადგილობრივი საჭიროების შესაბამისად ააგონ. ასევე მისაღები და გასაგებია მოთხოვნა დიპლომის დანართის შესახებ, სადაც მითითებული იქნება თუ სწავლების პროცესში სტუდენტმა რა საგანს რამდენი კრედიტ-საათი დაუთმო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია დიპლომების ნოსტრიფიკაციისათვის.

ბოლონიის პროცესი ერთმნიშვნელოვნად განმარტავს უნივერსიტეტს, როგორც ავტონომიის მქონე უმაღლეს სასწავლებელს, სადაც სამეცნიერო კვლევა და სწავლება ერთდროულად მიმდინარეობს და ურთიერთგადამკვეთ პროცესებს წარმოადგენს. ამავე დროს, ბოლონიის პროცესის განმსაზღვრელ დოკუმენტებში ხაზგასმითაა მოთხოვნილი უნივერსიტეტების ბიუჯეტში ინვესტირების (მათ შორის სახელმწიფო ინვესტირების) ყოველწლიური ზრდა.

ბოლონიის პროცესთან დაკავშირებულ დოკუმენტებში, უნივერსიტეტების ავტონომიურობასთან ერთად, უმნიშვნელოვანეს პრინციპადაა აღიარებული ცივილიზაციათა უნიკალობის დაცვა და შენარჩუნება, ისევე როგორც ადგილობრივი განათლების სისტემის პატივისცემა.

როგორც ვხედავთ, ამ მოთხოვნებში არაფერია გაუგებარი და მიუღებელი, პირიქით, ჩვენს ადგილობრივ „რეფორმატორებს“ მთავარი ძალისხმევა რომ მათი რეალიზაციისაკენ წარემართათ, მაშინ უნივერსიტეტის შიგნითაც და გარეთაც უამრავი მომხრე გამოუჩნდებოდათ. საქმე კი სულ სხვაგვარადაა.

განათლების სამინისტროს ზეპირი განკარგულების საფუძველზე რექტორატი, როგორც უკვე ვთქვით, აუქმებს 22 ფაკულტეტს და სანაცვლოდ ქმნის ექვსს. ამასთან ერთად, რექტორის მოვალეობის შემსრულებელი აღიარებს, რომ ამ გაერთიანების არავითარი კონცეფცია, ეკონომიკური გათვლა და

მოსალოდნელი შედეგების ანალიზი არ არსებობს. არც ის ვიცით ზუსტად, რომელ ფაკულტეტზე იყო სწავლების ხარისხი მაღალი და რომელზე – არადამაკმაყოფილებელი. ასეთ ვითარებაში გაუგებარია, რა საჭირო იყო ასეთი კისრისტეხით ამ ფაკულტეტების სრულიად მექანიკური შეერთება? ამას ხომ არც ბოლონიის პროცესი და არც უმაღლესი განათლების კანონი არ გვავალდებულებს? თვითონ ბოლონიის უნივერსიტეტში ხომ 23 ფაკულტეტია. რატომ უნდა შეეწიროს ვიღაც დაბოღმილი ჩინოვნიკის უგუნურ ახირებას საერთაშორისო ავტორიტეტისა და სახელის მქონე ფაკულტეტები, ვთქვათ ისეთი, როგორიცაა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი? როდესაც ადამიანი ბედავს და ამ კითხვას სვამს, რაიმე არგუმენტირებული პასუხის ნაცვლად განათლების მინისტრისაგან კორუმპირებულის, ძველი ბოლშევიკის, ან რეაქციონერის იარლიყს იღებს. ეს მეთოდი რომ დიდი ხნის აღმოჩენილია, წინამდებარე წერილის ეპიგრაფშიც კარგად ჩანს. ამ მეთოდით ნამდვილად შეიძლება გაუსწორდე ოპონენტს, მაგრამ ამით უნივერსიტეტში სწავლების ხარისხი ამაღლდება? ეჭვი მეპარება, ეს ვინმეს აღელვებდეს განათლების სამინისტროში.

დღეს უნივერსიტეტში აღარ არსებობს სამეცნიერო კვლევის საბაზო დაფინანსება. განათლების სამინისტრო გრანტების საშუალებით აფინანსებს ცალკეულ პროექტებს. რომლებს? ამასაც სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტი წყვეტს. ყველაფერი დამოკიდებულია ცალკეული მეცნიერის შესაძლებლობაზე და კიდევ იმაზე, თუ რა თვალით უყურებენ მას სამინისტროს მესვეურები. სხვათა შორის, რექტორის მოვალეობის შემსრულებელი არ ეთანხმება საბაზო დაფინანსების შეწყვეტას და მიიჩნევს, რომ პერიოდული გრანტები ვერ გადაარჩენს საუნივერსიტეტო მეცნიერებას. ეს, თუ არ ვცდები, ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ქალბატონი რუსუდანი არ ეთანხმება სამინისტროს ჩინოვნიკებს და მოდით, ამას ნუ დავუკარგავთ. ერთი კი უნდა ვიცოდეთ – სისტემატური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გარეშე ჩვენს უნივერსიტეტს არავინ ჩართავს ბოლონიის პროცესში. რატომ? იმიტომ, რომ ის უბრალოდ სხვა ტიპის სასწავლებელი (კოლეჯი, სკოლა, პროფტექნიკუმი) გახდება და აღარ იქნება უნივერსიტეტი. თუ ჩვენ ეს მიზანი გვაქვს, მაშინ თავი დავანებოთ ბოლონიის დეკლარაციის ფრიალს და თვალში ნაცარს ნუ ვაყრით ხალხს.

მოდით, ასე დავსვათ საკითხი – ფუნდამენტური კვლევის ფაქტობრივი არ არსებობის პირობებში, რა კვალიფიკაციის სპეციალისტებს მოამზადებენ გაერთიანებული ფაკულტეტები, მაგალითად, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, სადაც ერთიანდება კლასიკური და ქართული ფილოლოგია, ისტორია, დასავლეთ ევროპის ენები და ლიტერატურა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ხელოვნება (ტელე-კინო რეჟისურა, ოპერატორის ხელოვნება, მხატვრობა და დიზაინი)

და ა. შ.? ჩვენ გვპასუხობენ – ჰუმანიტარიის ბაკალავრებს. მართლაც, ძნელი იქნება ასეთი ფაკულტეტის (სადაც, საგანთა უმრავლესობა არჩევითი უნდა იყოს) კურსდამთავრებულს ფილოლოგი, ისტორიკოსი ან აღმოსავლეთმცოდნე უწოდო. მას მართლაც გარკვეული ცოდნა ექნება ჰუმანიტარიის ამა თუ იმ სფეროში (გააჩნია, რა საგნებს აირჩევს), თუმცა, ცხადია, ის ვერ იქნება სრულფასოვანი დარგობრივი სპეციალისტი ან ფუნდამენტურ მეცნიერებაში მომუშავე მკვლევარი. ამგვარ განათლებას ერთმა ჩემმა კოლეგამ ხუმრობით „განათლების მაკდონალდიზაცია“ უწოდა. მაკდონალდსი კი, როგორც ცნობილია, მთელ მსოფლიოში სწრაფი, ჯანმრთელობისათვის არც მაინცდამაინც სასარგებლო, თან საკმაოდ უგემური საჭმლის სინონიმად იქცა. ევროპაში არა, მაგრამ ამერიკის ზოგიერთ უნივერსიტეტში არსებობს ლიბერალური სწავლების ფაკულტეტები, სადაც არ მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევა, შესაბამისად არც კათედრები არსებობს და სტუდენტთათვის, როგორც წესი, ყველა საგანი არჩევითია. ფუნდამენტური საუნივერსიტეტო სწავლებისაგან განსხვავებით, ლიბერალურ სწავლებას თავისი კონკრეტული მიზნები და ამოცანები აქვს. კერძოდ, ლიბერალური სწავლების ფაკულტეტებს (ან სპეციალურ კოლეჯებს) ამთავრებენ ადამიანები, რომელთაც ამა თუ იმ პრაქტიკული მოსაზრებით ცოდნის რომელიმე დარგში გარკვევა და რაღაც მოცულობის ინფორმაციის მიღება ესაჭიროებათ, მათ არა აქვთ განზრახული კონკრეტული სპეციალობით მუშაობა ან ფუნდამენტურ კვლევაში მონაწილეობა. ამგვარი ლოკალური სეგმენტის შემოღება ექსპერიმენტის სახით, თბილისის უნივერსიტეტშიც შეიძლება, თუკი ვინმეს ეს სურს. მაგრამ, როგორც დავით ზურაბიშვილი თავის წერილში აღნიშნავს, მსოფლიოში არ არსებობს ისეთი უნივერსიტეტი, სადაც ლიბერალური სწავლება ბაკალავრიატის მთელ საფეხურს მოიცავს“. ლიბერალურ სწავლებას არც ბოლონიის პროცესი იცნობს, რადგან ამ პროცესში ჩართული უმაღლესი სასწავლებლები სწორედ ფუნდამენტური საუნივერსიტეტო განათლების კერებია და არა მაკდონალდისის რესტორნები.

განათლების სამინისტროს რეკომენდაციით ქვეყნის პრეზიდენტი აქვეყნებს ბრძანებულებას, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტის წესდება შეჩერებულია, დიდი საბჭო, ისევე როგორც ფაკულტეტების საბჭოები, გაუქმებული. თუ ამას საბაზო დაფინანსების მოსპობასაც დავუმატებთ, მაშინ ისმის კითხვა: არის თუ არა ეს ცივილიზებული მსოფლიოს მიერ აღიარებული უნივერსიტეტების ავტონომიურობის პრინციპის უხეში დარღვევა, და, ფაქტობრივად, პირდაპირ საპრეზიდენტო მმართველობის დამყარება, რისი გამართლებაც არ შეიძლება ე. წ. „გარდამავალი პერიოდის“ გამოცხადებით?! თუ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მსგავსად, პარლამენტშიც და სახელმწიფო კანცელარიაშიც სერიოზულად ფიქრობენ, რომ ერთმმართველობა უნივერსიტეტში დემოკრატიის განვითარებას ნიშნავს? როგორ ეთანხმება ეს

ყველაფერი ბოლონიის პრინციპებს? გიპასუხებთ: არანაირად არ ეთანხმება და სრულ წინააღმდეგობაშია ლისაბონის კონვენციასთან, ბოლონიის დეკლარაციასთან და სხვა მომდევნო დოკუმენტებთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლონიის პროცესი მოითხოვს უნივერსიტეტის ბიუჯეტის მუდმივ ზრდას სხვადასხვა, მათ შორის სახელმწიფო ინვესტიციების ხარჯზე. მაშინ რა უნდა დავარქვათ უნივერსიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვან შემცირებას სახელმწიფო ბიუჯეტის მკვეთრი ზრდის ფონზე?

ახლა მე მინდა ვიკითხო, ვის სურს თბილისის უნივერსიტეტში რეფორმების გატარება და საერთოევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია და ვინ უშლის ხელს ამ პროცესის ნორმალურად, აკადემიური ჩარჩოებიდან გამოუსვლელად ჩატარებას? დაე, განათლების სამინისტროსთვის ეს იყოს „ზოგადი უნარების ტესტი“, საზოგადოებამ კი პირუთვნელი შეფასება მისცეს ამ კითხვაზე გაცემულ პასუხს. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვისურვოთ, რომ დროულად შევუერთდეთ ბოლონიის პროცესს, რათა მინიმალური გარანტიები მაინც გვქონდეს არაკომპეტენტური და უპასუხისმგებლო ქართველი ჩინოვნიკებისაგან უმაღლესი განათლების სისტემის გადასარჩენად.

კოტე ჯანდიერი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი
„რეზონანსი“, 7 ივლისი, 2005

ვივა ბოლონია, ვავა საქართველო!

ბოლონიის კრიზისი საქართველოში

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს მასმედიაში განახლდა უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ავკარგიანობაზე ინტენსიური მსჯელობა. ამის მიზეზი განათლების კანონის ზოგიერთი მუხლის ცხოვრებაში გატარებისას წარმოქმნილი სკანდალური სიტუაციები გახდა. რეფორმატორები საზოგადოებას და უმაღლეს ხელისუფლებას არწმუნებენ, რომ მოქმედებენ უმაღლესი კატეგორიის ევროპელი სპეციალისტების მონაწილეობით შემუშავებული „ბოლონიის პროცესის“ კომუნიკეებისა და დეკლარაციების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებს ევროპის უნივერსიტეტების მრავალსაუკუნოვან გამოცდილებასა და არსებულ რეალობებს, ხოლო მათ მიერვე არაპოპულარულად ხსენებულ ღონისძიებებს „ბოლონიის პროცესის“ მოთხოვნებით ხსნიან. ასეთ ვითარებაში საქართველოს საზოგადოება, პარლამენტის წევრების დიდი ნაწილი და აღმასრულებელი ხელისუფალნი ენდობიან მათ და რეფორმის წარმატებულ მიმდინარეობაში ეჭვი არ ეპარებათ, ხოლო რეფორმის ოპონენტების საქმიან შენიშვნებს მათი საბჭოური აზროვნებით განსაზღვრულ ახირებად თვლიან.

ტარდება თუ არა საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმა აპრობირებული გზით – „ბოლონიის პროცესის“ რეკომენდაციების შესაბამისად? ბატონების, დავით ზურაბიშვილის („24 საათი“, 22 ივნისი, 2005) და კოტე ჯანდიერის („რეზონანსი“, 7 ივლისი, 2005) წერილებში ნათლად არის წარმოჩენილი, რომ რეფორმა ტარდება უნივერისტეტის, როგორც საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულების ორგანიზების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების, ჩვენი უნივერსიტეტის ტრადიციების, მისი ინდივიდუალობისა და, ზოგადად, არსებულ რეალობათა გათვალისწინების გარეშე. აღნიშნული წერილების ავტორები მიზნად არ ისახავდნენ „ბოლონიის პროცესის“ ცალკეული რეკომენდაციების დაწვრილებით განხილვას, ამიტომ

საჭიროდ მივიჩნიეთ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ჯერ კიდევ წარმატებულად მიიჩნევს საქართველოში მიმდინარე უმაღლესი განათლების რეფორმას, გავაცნოთ ამ პროცესის ზოგიერთი ფუძემდებლური რეკომენდაცია და შევაფასოთ, თუ რამდენად ითვალისწინებენ ჩვენი რეფორმატორები ევროპულ გამოცდილებას.

„ბოლონიის პროცესის“ ფუძემდებლური დებულებებიდან მხოლოდ რამდენიმეზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას. მისი უმთავრესი დებულება ასეა ჩამოყალიბებული: „უნივერსიტეტი არის ავტონომიური დაწესებულება, რომელიც განსხვავებული ისტორიული მემკვიდრეობისა და გეოგრაფიული პირობების გამო სხვადასხვაგვარად ორგანიზებულ საზოგადოებაში ქმნის, ამოწმებს, აფასებს და ავრცელებს კულტურას კვლევისა და სწავლების გზით“ („ბოლონიის დიდი ქარტია“, 1988 წლის 18 სექტემბერი).

ეს დებულება მეორდება „ბოლონიის პროცესის“ ყველა კომუნიკესა თუ დეკლარაციაში და გულისხმობს არსებულ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ გარემოში უნივერსიტეტის ორგანიზებას სამეცნიერო ტრადიციებისა და რეალური ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, ანუ „ბოლონიის პროცესი“ სულაც არ მოითხოვს უნივერსიტეტის ორგანიზებას ერთი რომელიმე ევროპული შაბლონის მიხედვით. გამონაკლის წარმოადგენს საბოლოოდ 3-საფეხურიანი სწავლების პრინციპი, თუმცა „ბოლონიის პროცესი“ აქაც კი აძლევს უნივერსიტეტებს გარკვეულ თავისუფლებას. კერძოდ, სალამანკის 2001 წლის 29-30 მარტის მიმართვაში აღნიშნულია: „გარკვეულ პირობებში უნივერსიტეტმა შეიძლება გადაწყვიტოს ისეთი ინტეგრირებული კურიკულუმის (სასაწავლო პროგრამა) შემუშავება, რომელიც პირდაპირ მაგისტრის ხარისხის მიღებით მთავრდება“. „ბოლონიის პროცესი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ევროპის უნივერსიტეტების მრავალფეროვნება ხელს უწყობს მათ შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებას, დაფუძნებულს განსხვავებულ ინტერესებზე, მისიასა და სიძლიერეზე“ (გრაცის 2003 წლის დეკლარაცია).

ფაკულტეტების გაუაზრებელი, მეცნიერულად დაუსაბუთებელი შერწყმის შედეგად (განსაკუთრებით, ეს ნათლად ჩანს ქართველოლოგიური ფაკულტეტების გაერთიანებით სხვა ფაკულტეტებთან) ჩვენი უნივერსიტეტი, სხვა უბედურებასთან ერთად, ინდივიდუალობასაც კარგავს).

უნივერსიტეტის დამოუკიდებლობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მის ორგანიზებასა და მართვას არა გარედან მიღებული დირექტივებით, არამედ მისსავე წიაღში შექმნილი კონცეფციით, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული უნივერსიტეტის ტრადიციებს, სპეციფიკასა და ინდივიდუალობს. სამანკის მიმართვაში აღნიშნულია: „პროგრესი მოითხოვს, რომ ევროპის უნივერსიტეტები აღიჭურვონ უფლებამოსილებით, იმოქმედონ ანგარიშვალდებული ავტონომიის პრინციპით... უნივერსიტეტებს უნდა შეეძლოთ

თავიანთი სტრატეგიის ჩამოყალიბება, სწავლებასა და კვლევებში პრიორიტეტების შერჩევა, რესურსების განაწილება, კურიკულუმების შემუშავება და პროფესორებისა და სტუდენტების მიღების საკუთარი კრიტერიუმების დაწესება... ამისათვის კი მათ ესაჭიროებათ თავისუფლება მართვაში, ნაკლებად მკაცრი მარეგულირებელი ჩარჩოები და სათანადო დაფინანსება“.

გრაცის 2003 წლის დეკლარაციაში კი აღნიშნულია: „მთავრობებმა უნივერსიტეტებს უნდა მიანიჭონ შესაბამისი უფლებამოსილებები და გააძლიერონ მათი ავტონომია სტაბილური საკანონმდებლო და ფინანსური გარემოს შექმნის მეშვეობით“. სამწუხაროდ, **ჩვენი უნივერსიტეტის რეფორმა ამ უმთავრესი რეკომენდაციების სრული იგნორირების პირობებში მიმდინარეობს.** მაგალითისათვის იმის აღნიშვნაც იკმარებს, რომ უნივერსიტეტის საბიუჯეტო სფეროდან გამოყვანის პირობებში (რაც დამანგრევლად იმოქმედებს უნივერსიტეტებზე და სხვა სამეცნიერო ცენტრებზე), სამეცნიერო თემების გრანტებით დაფინანსების საკითხს განათლების სამინისტროს ფუნქციონერები მათ მიერვე შემუშავებული, საზოგადოებისათვის უცნობი კრიტერიუმებით ახორციელებენ.

საკითხავია, ავტონომიის სრული უგულებელყოფისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროზე სრული ფინანსური დამოკიდებულების პირობებში, უნივერსიტეტმა ან სხვა სამეცნიერო ცენტრებმა როგორ უნდა შეიმუშაონ სამეცნიერო კვლევებში პრიორიტეტების განსაზღვრის საკუთარი სტრატეგია? რეფორმატორები კი აცხადებენ: „უნივერსიტეტს საერთოდ არ ჰქონდა არასოდეს ავტონომია“. ბატონებო, ამიტომ არ ითვალისწინებთ ბოლონიის რეკომენდაციას?

„ბოლონიის პროცესი! სწავლების ხარისხის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს პირობად თვლის „სწავლებისა და მეცნიერულ კვლევათა ურთიერთისაგან განუყოფელობას უნივერსიტეტში“. მოვიყვან 1988 წლის 18 სექტემბერს ბოლონიაში შემუშავებული „უნივერსიტეტის დიდი ქარტიის“ ერთ-ერთ ფუძემდებლურ დებულებას, რომლის შინაარსი მეორდება „ბოლონიის პროცესის“ ყველა დეკლარაციაში, კომუნიკესა და მიმართვაში: **„უნივერსიტეტში სწავლება და კვლევა ურთიერთისაგან განუყოფელი უნდა იყოს, რათა სასწავლო პროცესი არ ჩამორჩეს საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებს“.** ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას, ანუ სამეცნიერო კვლევის გარეშე დარჩენილ სასწავლო დაწესებულებას არ შეიძლება უნივერსიტეტი ერქვას. სწორედ ამ საფრთხის წინაშე დგას დღეს ჩვენი უნივერსიტეტები.

რა კეთდება რეალურად სწავლებისა და მეცნიერული კვლევების დაახლოებისათვის საქართველოს უნივერსიტეტებში? რეალიზებადი განათლების რეფორმა უნივერსიტეტებში საერთოდ არ ტოვებს ადგილს მეცნიერებისა-

თვის, რადგან კათედრების მნიშვნელობის დაკნინების ფონზე, საბაზო დაფინანსების გარეშე, მხოლოდ გრანტული დაფინანსებით ანუ „არამყარი დაფინანსების“ პირობებში შეუძლებელია გრძელვადიანი სამეცნიერო კვლევის დაგეგმარება და წარმოება.

უნივერსიტეტების საბაზო დაფინანსების აუცილებლობაზე მეტყველებს ბერგერის 2005 წლის 19-20 მაისის კომუნიკე, რომელშიც დაფიქსირებულია „ბოლონიის პროცესში“ საქართველოს ჩართვა. მოვიყვან ციტატას ამ კომუნიკედან: „ჩვენ ვცდილობთ მივაღწიოთ იმას, რომ განათლების ინსტიტუტებმა ისარგებლონ აუცილებელი დამოუკიდებლობით, რათა განახორციელონ რეფორმები და აუცილებლად ჰქონდეთ მყარი დაფინანსება“.

ნათელია, რომ „მყარ დაფინანსებაში“ იგულისხმება საბაზო და არა სამეცნიერო თემების მხოლოდ გრანტული წესით დაფინანსება, რაც ყველა ქვეყანაში განიხილება, როგორც მეცნიერულ კვლევათა ხელშემწყობი დამატებითი დაფინანსების ფორმა. ასეთი წესით ბიუჯეტის შეზღუდვა არა მხოლოდ „ბოლონიის პროცესში“ ჩართული ქვეყნების, არამედ მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფო უნივერსიტეტში არ ხდება.

რეფორმატორები არ ითვალისწინებენ არც სტუდენტთა გიოტებორგის დეკლარაციას (2001 წლის 25 მარტი), რომელშიც აღნიშნულია, რომ „სტუდენტები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ადეკვატური დაფინანსებით სასწავლო გრანტის ფორმით, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები შესაბამისი დაფინანსებით მათზე დაკისრებული საზოგადოებრივი ამოცანების განსახორციელებლად“. სტუდენტთა ამ დეკლარაციის დებულებები სრულად არის გაზიარებული „ევროპის ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების პრაღის შეხვედრაზე მიღებულ კომუნიკეში“ (პრაღა, 2001 წლის 19 მაისის). სხვადასხვა დონის შეხვედრებზე ამ გარემოებაზე არაერთხელ მიგვიქცევია რეფორმატორების ყურადღება, მაგრამ ისინი ყველა შენიშვნაზე ერთნაირად რეაგირებენ: „ოპონენტებისაგან საქმიანი შენიშვნა საერთოდ არ მოგვისმენია“.

უნივერსიტეტებისათვის საბაზო დაფინანსებაზე უარის თქმით სახელმწიფო, ფაქტობრივად, იხსნის პასუხისმგებლობას უნივერსიტეტების აწმყოსა და მომავალზე. ასეთ პირობებში, მაგალითად, ჩვენ დედა უნივერსიტეტს უნდა ერქვას „თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი“ და არა „თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. დარწმუნებული ვარ, რომ საბაზო დაფინანსების შენარჩუნების პირობებში უნივერსიტეტში სამეცნიერო თემების მსოფლიოში აღიარებული გრანტული წესით დამატებითი დაფინანსება ვნებათა ღელვას არ აღძრავდა.

სამწუხაროდ, სახელისუფლებო წრეებში „ბოლონიის პროცესის“ რეკომენდაცია სწავლებისა და მეცნიერული კვლევის დაახლოების შესახებ გაგე-

ბულია, როგორც სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან შერწყმისკენ მოწოდება, მაშინ როდესაც „ბერგერის კომუნიკე“ ცალსახად მიუთითებს: „ჩვენ ვაღიარებთ უმაღლესი განათლების სექტორსა და სხვა კვლევით სექტორებს (მითითებულია „ევროპის კვლევის სივრცე“, რომლის ერთ-ერთი შემადგენელია სხვადასხვა ქვეყანაში მეცნიერებათა აკადემიებში თუ სამეცნიერო საზოგადოებებში გაერთიანებული კვლევითი ინსტიტუტები) შორის სინერგიულობის გაუმჯობესების აუცილებლობას“. სხვა სიტყვებით, „ბოლონიის პროცესი!“ აფიქსირებს ევროპის ქვეყნებში უნივერსიტეტების გარდა სხვა სამეცნიერო ცენტრების არსებობის ფაქტს და უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მესვეურებს რეკომენდაციას აძლევს, კი არ გააუქმონ ისინი, არამედ ხელი შეუწყონ მათსა და უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

ჩვენთან კი პირიქით ხდება: ამ ორ სფეროს შორის ურთიერთობათა გაუმჯობესების (რაც გამოყენებულ უნდა იქნას მაგისტრატურისა და დოქტორანტურის შექმნისათვის – ესეც „ბოლონიის პროცესის“ რეკომენდაციაა) ნაცვლად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მუშავდება პროექტები, რომლებიც გულისხმობს პირველ ეტაპზე აკადემიაში გაერთიანებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საბიუჯეტო სფეროდან გამოყვანას და შემდეგ თანამშრომელთა მხოლოდ მცირე ნაწილის უნივერსიტეტებში დასაქმების გზით, სამეცნიერო ინსტიტუტების სრულ ლიკვიდაციას. ასეთი რეფორმა საბოლოოდ გაანადგურებს საქართველოში მეცნიერებას და სოციალური აფეთქების კიდევ ერთ კერას შექმნის.

„ევროპული კვლევითი სივრცის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სუბიექტის – დამოუკიდებელი სამეცნიერო ცენტრის (საქართველოში ასეთი არის, მაგალითად, მეცნიერებათა აკადემია) ლიკვიდაციის სურვილზე, მეტყველებს გაზეთ „ახალ თაობაში“ (№188, 10-16 ივლისი, 2005 წელი) გამოქვეყნებულ წერილში მოტანილი სენტენცია: „ის ხალხი, ვინც სხედან მეცნიერებათა აკადემიაში და ამბობენ, რომ მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს აკადემიის ინსტიტუტების შენარჩუნებას, ფაქტობრივად ამბობენ, ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას საქართველოში“. როგორც ჩანს, **პოლიტიკური დემაგოგიის ეს მარგალიტი ოპონენტებზე პოლიტიკური ზეწოლის მიზნით დაიწერა,** მაგრამ ავტორი ამაოდ ირჯება, საბჭოური რეპრესიების დრო დიდი ხანია დამთავრდა და ამ მეთოდების გამოყენება მხოლოდ ავტორისა და მისი თანამოაზრეების უსუსურობის თვითაღიარების მაჩვენებელია. წერილის ავტორს ნამდვილად ევალება იმის ცოდნა, რომ ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი და ბევრი სხვა სახელმწიფო, რომლებიც ნამდვილად არ არის პროსაბჭოური ორიენტაციისა, არსებობს უნივერსიტეტებისაგან დამოუკიდებელი

სამეცნიერო ცენტრები. სწორედ ასეთ ცენტრებთან სინერგულობის გაუმჯობესებაზე მიუთითებს „ბოლონიის პროცესი“,

ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში გაერთიანების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს „ბოლონიის პროცესში“ ჩართული უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) თავსებადობა.

ჩვენი უნივერსიტეტებისათვის სწორედ ეს არის მთავარი პრობლემა, რადგან დღევანდელი სასწავლო პროგრამები ყველა შემთხვევაში შეიძლება ვერ პასუხობდეს ევროპულ მოთხოვნებს. ევროპის უნივერსიტეტებთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების გარეშე კი შეუძლებელი იქნება „ბოლონიის პროცესით“ გათვალისწინებული კრედიტსაათების ტრანსფერის, დიპლომების ურთიერთცნობის, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ევროპის საგანმანათლებლო სივრცის ფარგლებში მობილობის შესაძლებლობის რეალიზაცია. ასეთი თანამედროვე სასწავლო პროგრამების შექმნით უნდა დაწყებულიყო რეფორმა. ეს რეფორმატორებს საშუალებას მისცემდა ობიექტურად, არსებული ადამიანურ რესურსებით საფუძველზე განესაზღვრათ ჩვენი უნივერსიტეტებისათვის ტრადიციული ფაკულტეტების კონკურენტუნარიანობა და პროფესორ-მასწავლებელთა კონტიგენტი, რომელსაც ხელეწიფება „ბოლონიის პროცესის“ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა. სამწუხაროდ, ჩვენთან „ცოდნის ევროპაში“ გაერთიანების ამ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

ნათელია, რომ სამეცნიერო-პედაგოგიური დაწესებულებებიდან მეცნიერთა და პროფესორ-მასწავლებელთა მასობრივი დათხოვნა, რაც დღეს საქართველოში ხდება, კიდევ უფრო გაამძაფრებს ისედაც მასიურ „ინტელექტის გადინების“ პროცესს. „ბოლონიის პროცესის“ ფარგლებში „სალამანკის შეხვედრის“ მიმართვაში (2001 წლის 29-30 მარტი) ნათქვამია: „ევროპის ზოგიერთი ქვეყნის უნივერსიტეტს ჯერჯერობით არ შესწევს უნარი ჩაებას ევროპის მასშტაბით თანაბარ კონკურენციაში და „ინტელექტის გადინების“ მისთვის არასასურველი პრობლემის წინაშე იმყოფება“, ანუ, ნაცვლად ამ პრობლემის მოგვარებისა, რეფორმა „ინტელექტის გადინების“ სტიმულირებას ახდენს და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს „ბოლონიის პროცესში“ მონაწილეობის მიღების უუნარობის იმიჯის დამკვიდრებას უწყობს ხელს.

მთლიანობაში, ვეთანხმები ბატონებს, დავით ზურაბაშვილსა და კოტე ჯანდიერს, რომ **საქართველოში რეალურად მიმდინარე რეფორმას არაფერი აქვს საერთო „ბოლონიის პროცესის“ რეკომენდაციებთან, რომლებიც მხოლოდ ღრმად გააზრებულ, კეთილშობილურ მიზნებს ისახავს.** ვშიშობ, რომ ამ რეკომენდაციების უგულებელყოფა საბოლოოდ მიგვიყვანს რეფორმის იდეის დისკრედიტაციამდე, რომლის კონტურებიც, სამწუხაროდ, სულ უფრო ნა-

თლად იკვეთება. აქვე უნდა დაისვას კითხვა, თუ რეფორმა „ბოლონიის პროცესის“ რეკომენდაციების შესაბამისად არ ტარდება, როგორი პედაგოგიური ან სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილებითა და ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები ატარებენ ამას? დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანებს, რომლებიც „მანკიერ პრაქტიკად“ თვლიან ავტორთა კოლექტივის მიერ სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებას (?!), მეცნიერებისა და განათლების სისტემის რეფორმირება გაუჭირდებათ.

ვიმედოვნებ, რომ ხელისუფლება ობიექტურად შეაფასებს განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმის პროცესში შექმნილ მდგომარეობას და მიიღებს ადეკვატურ ზომებს, რათა ეს პროცესი აპრობირებული გზით – „ბოლონიის პროცესის“ რეკომენდაციების შესაბამისად, „ველოსიპედის თავიდან გამოგონებისა“ და ვნებათა ღელვის გარეშე წარიმართოს. ამ მიზნის მისაღწევად ხელისუფლება არ უნდა მოერიდოს უმაღლესი განათლების კანონში შესწორებათა შეტანას.

თემურ ნანეიშვილი –
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

„რეზონანსი“, 2005 წლის 14 ივლისი
შემოკლებული ვარიანტი დაიბეჭდა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ (30 აგვისტო).

„ახალი ათინას“ წიწამური?

სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე
რეფორმის გამო

ღია ბარათი საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ **მიხეილ სააკაშვილს**

პატივცემულო პრეზიდენტო, ბატონო მიხეილ,

ამ ღია ბარათს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი კურსდამთავრებული გწერთ.

წინასწარ მინდა გითხრათ, რომ ეპოქაში, როდესაც პოლიტიკოსობა ბევრი ჩვენი თანამემამულისათვის ერთგვარ ხელმისაწვდომ და სარფიან ხელობად გადაიქცა, სიტყვით და საქმით ყოველთვის შორს ვიდექი პოლიტიკისაგან.

უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მუდამ მწამდა და დღესაც მწამს: სხვადასხვა წარმომავლობის საშინაო თუ საგარეო ძალებთან ხელსაყრელ და ხელფეხშემკვრელ გარიგებათა გარეშე, მხოლოდ საკუთარ პოლიტიკურ სინდისს მინდობილი მარტოკაცი ამქვეყნად ვერაფერს გახდება.

შორს ვიდექი იმიტომაც, რომ, აგრეთვე, მწამს: დღევანდელ, ხმათა დევალვაციის ეპოქაში „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ (მარკ. 1:3) დარჩებოდა თვით ილია ჭავჭავაძისეული პოლიტიკური სიბრძნით დამუხტული და გამანადგურებელი კრიტიკით აღბეჭდილი სტრიქონებიც კი.

დაბალოს, შორს ვიდექი იმიტომაც, რომ ღრმად მწამდა რუსთაველის მიერ გაცხადებული შუშასავით გამჭვირვალე პრინციპი: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს: მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს...“ („ვეფხისტყაოსანი“, 11:1-2).

სწორედ ამიტომ, არ განვსჯი, კარგად ვიქცევით თუ არა მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის, პოლიტიკის ცინიზმსა და სიცრუეში აშკარად თვალს ვხუჭავთ და ბოროტების სამსახურში ვდგებით. არ განვსჯი იმიტომ, რომ მესმის: სქილასა და ქარიბდას შორის მოქცეულ საქართველოს, შესაძლოა, სხვა პოლიტიკური გამოსავალი არც ჰქონდეს.

ამ ბარათს ერთ კონკრეტულ საკითხზე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმების გამო გწერთ.

გწერთ, რადგანაც მწამს: ყოველი ერის ცხოვრებაში დგება ისტორიული მომენტი, როდესაც ყოველ მამულიშვილს აქტიური მოქმედება მოეთხოვება და დუმილი დანაშაულის ტოლფასი ხდება. ჩემი ხმა მინდა შეუერთდეს იმ ასიათასობით ხმას, რომელსაც უკვე, თხუთმეტიოდე წელია, არსებობის, ადამიანური ღირსების ქონის, უკეთეს მომავალზე ოცნების უფლება ჩამოართვეს. უბედურებაა, რომ მოქალაქეთა „თავში ჩარტყმის“ პოლიტიკას კიდევ უფრო მძაფრი სარკაზმით ახორციელებს ის ხელისუფლება, რომელსაც არსებობისათვის ყოველდღიური ბრძოლით ქანცგაწყვეტილმა, ღირსებაწართმეულმა ერმა და ბერმა თავისი უკანასკნელი სასოება და იმედი მიანდო.

ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს სოციალურ, ეკონომიკურ და კრიმინალურ ვითარებაში ჯერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზეც მიდგა, ჩემი მშობლების თაობისა და ჩემი თანატოლების უნივერსიტეტზე, ჩვენი შვილების უნივერსიტეტზე, ჩემი დიდი მასწავლებლების უნივერსიტეტზე, რომელთა შესახებ, სხვათა შორის, 2003 წელს რომში გამოცემული ჩემი ერთ-ერთი ნაშრომის რეცენზიაში რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტის ყოფილი პრორექტორი, პროფესორი ფილიპ ლუიზიე წერს, წიგნის ავტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი მეტრების აღზრდილიაო.

საქმე ეხება არა რომელიღაც უნივერსიტეტს, ინსტიტუტს, თუ უმაღლეს სკოლას, რომელიც ახალგაზრდობის სწავლა-განათლებას ემსახურება, არამედ დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტს, რომელიც დაფუძნების დღიდანვე იყო ქართველი ერის არა მხოლოდ ინტელექტუალური ძალების სულიერი სიბრძმედე, არამედ – თავისუფალი, ალტერნატიული, ოპოზიციური აზრის აკვანი, ქვეყნის კეთილდღეობასა და მომავალზე მოფიქრალი ბრძენი ჭირისუფალი, ფეხქვეშ გათელილი ეროვნული თავმოყვარეობისა და ცნობიერების ნავსაყუდელი, საქართველოს სულიერების ერთადერთი და შეუცვლელი კერა, სამშობლოს წმიდათაწმიდა საკურთხეველი.

სულაც არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ თავის დროზე თბილისის უნივერსიტეტმა იკისრა თერგდალეულთა დიდი მისია, რომლის მოკვლასაც ილია ჭავჭავაძის განადგურებით შეეცადნენ. როდესაც ილიას მკვლელობით „ეპოქა გათავდა დიდი“, მაშინ ივანე ჯავახიშვილმა შექმნა უკვდავი უნივერსიტეტი, რითაც ქართველი ერის ისტორიაში ახალი, დიდი, დაუსრულებელი ისტორია დაიწყო. სწორედ ამიტომ **უნივერსიტეტი უფრო დიდია, ვიდრე – ყველაზე დიდი ქართველი მწერალი, ვიდრე – ყველაზე დიდი ქართველი მეცნიერი, ვიდრე – ყველაზე დიდი ქართველი პრეზიდენტი და ამიტომაც არავის არ აქვს მისი ჰაიჰარად ხელყოფის უფლება.**

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ დასანან ფურცელს, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის ისტორიაში ყველასათვის ცნობილ ისტორი-

ულ კონტექსტში ჩაიწერა და მასზე დიქტატორული პოლიტიკური რეჟიმის ძალმომრეობის შედეგი იყო, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის უნივერსიტეტს ურთულესი ისტორიული ქარტეხილების პირობებშიც არასდროს უღალატია თავისი დიდი სულიერი მისიისათვის.

ბატონო პრეზიდენტო, ვინ მოგვცა იმის უფლება, ამ საუკუნეობით ნანატრი და დღეს წმინდა სისხლის ფასად მოპოვებული თავისუფლების ხანაში დემოკრატიული პრინციპებით არჩეული ქვეყნის „ეროვნული“ ხელისუფლების პაწაწკინტელა ახალგამოჩეკილი ჩინოვნიკები ადამიანის ელემენტარული უფლებების უხეში დარღვევით შეეცადონ, ხელი ააღებინონ უნივერსიტეტს იმ მისიაზე, რომელსაც იგი, როგორც ქართველთა „ახალი ათინა“, თითქმის მთელი საუკუნეა, მუხლჩაუხრელი ემსახურება.

ბატონო პრეზიდენტო, რით შეიძლება, გავამართლოთ თბილისის უნივერსიტეტის ავტონომიურობის სტატუსის გაუქმება, რომელიც პირადად თქვენი 2005 წლის 8 ივნისის ბრძანებულებით განხორციელდა?

რით შეიძლება, გავამართლოთ ასეთი უხეში ჩარევა უნივერსიტეტის საშინაო საქმეებში, როდესაც, ფაქტობრივად, გადავაყენეთ ძველი რექტორი და მის ნაცვლად თქვენთვის სასურველი პიროვნება დანიშნეთ, შემდეგ კი სტატუსი შეუცვალეთ თავად რექტორს და რექტორის მოვალეობის შემსრულებლად აქციეთ?

სხვათა შორის, პირადად არაფერი მაქვს ქალბატონ რუსუდან ლორთქიფანიძის საწინააღმდეგო. პირიქით, მასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. როდესაც იგი იტალიაში საქართველოს ელჩი ბრძანდებოდა, მასთან ურთიერთობა ყოველთვის შინაგანად მამდიდრებდა. მე მხოლოდ უპირველესი ეროვნული განათლების ტაძრისადმი თქვენი დამოკიდებულება მაშფოთებს, რადგანაც იგი ფაქტობრივად ნიშნავს, უნივერსიტეტს უთხრა: – შენ არაფერს წარმოადგენ, არაფრით განსხვავდები ერთი ჩვეულებრივი სასწავლო დაწესებულებებისაგან და შეგვიძლია, ისე მოგექცეთ, როგორც სხვები მოვექცეოდითო. **ასეთი უაპელაციო, უცერემონიო დამოკიდებულება არავის გაუბედავს, არავის უკადრებია თბილისის უნივერსიტეტისათვის თვით კომუნისტურ ეპოქაშიც კი.**

თბილისის უნივერსიტეტის ფაქტობრივად დამანგრეველ რეფორმებს მავანნი ბოლონიის კონცეფციით ამართლებენ. ძალიან კარგად მესმის, რომ გლობალიზაცია, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, შეუქცევადი პროცესია. ცხადია, ვერც საქართველო დარჩება ორღობის მიღმა, მაგრამ არც ისაა ვინმესთვის საიდუმლო, რომ დღეს თვით ევროპაში ცალსახად აცხადებენ, რომ გლობალიზაცია არ ნიშნავს ყოველგვარი ეროვნულის, განსაკუთრებულის, თვითმყოფადობის, უნიკალურის წაშლას, სუროგატული კულტურების „გამოცხობა-გამრავლებას“. ევროცენტრისტულმა მენტალიტეტმა, შეიძლება, მოიწონოს რო-

მელიმე აფრიკული ქვეყნის (ან, თუ გნებავთ, საქართველოს) ევროპულ მოდელზე მოწყობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს საკუთარი, ევროპული, მაგალითად, ფრანგული, გერმანული და სხვა კულტურების ნიველირებას.

დღეს იტალიაში 72 უნივერსიტეტი მოქმედებს, მათ შორის, ყველაზე ძველი, ბოლონიისა, მეთორმეტე საუკუნეშია დაარსებული, **მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეუსრულებია ქვეყნისა და ერის ცხოვრებაში ისეთი როლი, როგორიც თბილისის უნივერსიტეტმა იკისრა.**

რატომ გვინდა, ჩვენი ქვეყნის ისტორიის კიდევ ერთ გამორჩეულ, მე ვიტყოდი, უმნიშვნელოვანეს ეროვნულ მონაპოვარზე ხელაღებით ვთქვათ უარი? განა არ უნდა გამოგვაფხიზლოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ბატონ **თამაზ გამყრელიძის** გაფრთხილებამ: ჩვენში ტრადიციულად ჩამოყალიბებული სამეცნიერო და საგანმანათლებლო სტრუქტურების ნაჩქარევი დაშლა და განურჩევლად ყველაფრის ლიკვიდაცია, რეფორმების „ზემოდან“ უაპელაციო გატარება და ყველაფრის ერთი საზომის მიხედვით ნიველირება გამოიწვევს ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთ პროვინციულ ქვეყნად გადაქცევას.

ამას საჯაროდ, ყველას გასაგონად აცხადებს დიდი მეცნიერი და მამულიშვილი, რომლის პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაში, ძნელია, ვინმემ ეჭვი შეიტანოს. უფრო მეტიც, იგი პირდაპირ ამბობს: უნივერსიტეტში გატარებული რეფორმებით ივანე ჯავახიშვილმა ჩვენს დღეებში „მესამე სიკვდილი“ განიცადა. უფრო გასაგებად, უფრო პირუთვნელად, უფრო ემოციურად როგორ უნდა გამოხატოს ადამიანმა თავისი აზრი, დამოკიდებულება, შეფასება. რომელი უცხოელი ჩინიანი თუ უჩინო ექსპერტის შეფასება იქნება ამაზე სანდო, ობიექტური, დამაჯერებელი, პასუხისმგებლობაზე, საქმის უკეთ ცოდნაზე დამყარებული?

თუ როგორ ტარდება სხვა ქვეყნებში საუნივერსიტეტო რეფორმები, ამის საფუძვლიან ცოდნაზე თავს ვერ დავდებ, იმას კი ვიტყვი, რომ იტალიაში ამ რეფორმებმა უაღრესად ნეგატიური შედეგი გამოიღო. აკადემიურად გამართული უმაღლესი სკოლა გადაიქცა ერთ ჩვეულებრივ სასწავლო დაწესებულებად, სადაც კაცმა თუ თვითონ არ უშველა საკუთარ თავს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქნება საკუთარი საქმის ძალიან ზედაპირული მცოდნე, საყველპურო ინგლისურით მოლაპარაკე და „მაუსის“ ძალიან კარგი დამწკაპუნებელი. სწორედ ამ საფრთხეზე მიგვანიშნებს აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.

ჩვენი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩინოვნიკები ირწმუნებიან, რომ ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები ევროპაში ფართოდ აღიარებული ბოლონიის კონვენციის საფუძველზე ხორციელდება. თუ ეს ასეა, რატომ

არ თარგმნიან ქართულად ამ დოკუმენტს და, საერთოდ, რატომ არ აცნობენ ფართო საზოგადოებას ამ კონვენციის უმთავრესი პრინციპებსა და მიზანდასახულობებს? იმიტომ ხომ არა, რომ ხალხი ნახავს, გაიგებს, რომ ეს კონვენცია არ ითვალისწინებს უნივერსიტეტის „დიდი საბჭოს“ გაუქმებას, ერთი თარგმნით არ განსაზღვრავს ამა თუ იმ უნივერსიტეტში ფაკულტეტების, კათედრების, ლაბორატორიების, კაბინეტებისა და სხვა ტრადიციული სტრუქტურების არც რაობას და არც რაოდენობას.

სხვა ქვეყნებში როგორ არის, ამას დანამდვილებით ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი ვიცი, რომ იტალიის უნივერსიტეტებში არსებობს სენატი და ადმინისტრაციული საბჭო. პირველი აკადემიურ საკითხებს წყვეტს, ხოლო მეორე – ფინანსურს, მაგრამ ისინი ბოლონიის კონვენციით კი არ არის შემოღებული, არამედ ეს იტალიის რეალობაა, ამ ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკაა. არც 1999 წლის 19 ივნისის ბილონიის დეკლარაციაში, რომელსაც ხელს აწერს ევროპის 29 ქვეყნის განათლების მინისტრი, არც ბოლონიის პროცესის მიერ დასახულ 6 უმნიშვნელოვანეს ამოცანას შორის და არც ამ პროცესის ძირითად პრინციპებში სიტყვაც არ არის დაძრული სენატზე, აკადემიურ საბჭოზე და, საერთოდ, საუნივერსიტეტო თვითმართველობის ორგანოებზე იმიტომ, რომ ამ პროცესის თანახმად, ყველას აქვს უფლება, ისეთი სტრუქტურები ჩამოაყალიბოს და ისე მართოს ისინი, როგორებსაც და როგორადაც საჭიროდ მიიჩნევს.

ახლა რაც შეეხება სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციების უნივერსიტეტის კედლებს გარეთ გატანასა და მის სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესისაგან მოწყვეტას. ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ ეს არანაირად არ შეესაბამება ბოლონიის პროცესის სულიკვეთებას. პირიქით, სტუდენტთა განსწავლის, მათი პროფესიული ფორმირებისა და სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციების ჰარმონიზაცია, მათი ურთიერთშეთანხმება გამოცხადებულია ამ პროცესის ერთერთ უძირითადეს პრინციპად. უფრო მეტიც, ბოლონიის პროცესის თანახმად, პროფესიული ფორმირებისა და სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციების ინტეგრაცია წარმოადგენს ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ორ ძირითად დედაბოძს. სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის მომზადების დიდი მნიშვნელობის გამოხატულებაა ისიც, რომ ბოლონიის პროცესი დოქტურანტურას განიხილავს როგორც პროფესიული ფორმირების უმნიშვნელოვანეს, დამამთავრებელ ეტაპს, რამაც უნდა უზრუნველყოს ევროპული განათლების სისტემის მაღალი ხარისხი და კონკურენტუნარიანობა.

ყოველივე ეს სრულიად ბუნებრივია. ბოლონიის პროცესი ხომ თავიდან ძალიან კეთილშობილური მიზნით დაიწყო: ევროკავშირის წევრ ქვეყნებს სურდათ, მოეგვარებინათ თავიანთი ქვეყნების საუნივერსიტეტო დიპლომე-

ბის ურთიერთლეგალიზაციის, ანუ ურთიერთცნობის საკითხები და არა იმის განსაზღვრა, რომელ უნივერსიტეტში რა სტრუქტურები უნდა ჩამოყალიბებულიყო და სად რა საგნები და რა მოცულობით ესწავლებინათ. ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ კონვენცია არ მოითხოვს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტატუსის გაუქმებას. მოკლედ, ჩემი და თქვენი თაობისათვის გასაგები ენით რომ ვთქვათ, მის ნუცას სკოლად გადაქცევას (ვერ გეტყვით, მომავალი თაობებისათვის გასაგები იქნება თუ არა ეს გამოთქმა, რადგანაც **არ ვიცი, დარჩა თუ არა ბატონი კახა ლომაიას რეფორმებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენისათვის“ ადგილი**).

მხოლოდ რამდენიმე, ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი რომ მოგიყვანოთ, გეტყვით, რომ ბოლონიის კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელების შემდეგაც **თავად ბოლონიის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღეს 23 ფაკულტეტი** მოქმედებს, **რომის** სახელმწიფო უნივერსიტეტ **„ლა საპიენცაში“ – 21, ნეაპოლის** ფრიდრიხ მეორის სახელობისა და **პაუდის ს**ახელმწიფო უნივერსიტეტებში – **13-13, ტურინის, ბარის, კატანიის, ფლორენციის, ტრიესტის და პალერმოს** სახელმწიფო უნივერსიტეტებში – **12-12, პიზასა** და **პერუჯას** სახელმწიფო უნივერსიტეტებში – **11-11, მილანისა** და **სიენას** სახელმწიფო უნივერსიტეტებში – **9-9.**

თუ ზოგიერთი ზემოდასახელებული ქალაქის სიდიდესთან შედარებით საუნივერსიტეტო ფაკულტეტების რაოდენობა მაინც მცირედ მოგვეჩვენება, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ქალაქებში, ზემოაღნიშნულ სახელმწიფო უნივერსიტეტთა გარდა, ფუნქციონირებენ სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც. მაგალითად, რომში, „ლა საპიენცას“ გარდა, არის კიდევ 9 სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტი, მილანში – 6 (მათ შორის, კათოლიკურიც), ნეაპოლში – 4 და ა. შ. ბოლონიის კონვენციის მიღების შემდეგ, სულ ორიოდე წლის წინათ, რომის სახელმწიფო უნივერსიტეტ „ლა საპიენცას“ ლიტერატურისა (ანუ, ჩვენი ტერმინოლოგიით, ფილოლოგიის) და ფილოსოფიის ფაკულტეტი ოთხ დამოუკიდებელ – ლიტერატურისა და ფილოსოფიის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ორიენტალისტიკისა და ფილოსოფიის ფაკულტეტებად გარდაიქმნა.

ამ ფაქტების ფონზე გეკითხებით, რომელი მათემატიკური ფორმულის საფუძველზე მოახდინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების რაოდენობის 21-დან 6-მდე შემცირება?

გეკითხებით, რა ნიშნით გახადეს ფილოლოგიის ფაკულტეტი – ქართველოლოგიის უძველესი, უპირველესი და უძლიერესი ცენტრი მსოფლიოში. ჰუმანიტარული ფაკულტეტის ერთ-ერთ რიგით სექტორად?

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ხომ განათლებით იურისტი ბრძანდებოდით? გეკითხებით, რა იურიდიული საფუძველი ჰქონდა უნივერსიტეტის

800 თანამშრომლის ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით გათავისუფლებას, თანაც – ასეთი ბარბაროსული, არნახული, ცინიკური ფორმით...

თურმე, უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის მეცნიერ-მუშაკი, უკვე გამოცემული და გამოსაცემად მომზადებული რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომის ავტორმა, თამარ კეკელიძემ, ხელფასის ასაღებად მისულმა, მოლარისაგან გაიგო, რომ ლომაიასეული რეფორმების წყალობით იგი გაძევებულია მშობლიური უნივერსიტეტიდან, რომელსაც მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა. ახალგაზრდა მარტოხელა ქალბატონმა ვერ აიტანა ასეთი შეურცხყოფა და იმავე დღეს საავადმყოფოში აღმოჩნდა, მაგრამ ვერაფერმა უშველა – გული ისე დაფლეთოდა, რომ მსგავსი შემთხვევა ექიმებსაც კი არ ახსენდებათ.

ქალბატონ თამართან გამოსათხოვებლად მისულ მოლარეს დაუტირებია: მე მოგკალი, ჩემმა სიტყვებმა შეგიწირაო.

როგორ ფიქრობთ, ბატონო პრეზიდენტო, თამარ კეკელიძე, მართლა მოლარემ შეიწირა? ან კიდევ, საერთოდ, რამე ფასი აქვს თვით ყველაზე გადაუდებელ რეფორმებს, რომლებიც ადამიანის სიცოცხლეს ითხოვს, თუნდაც, ერთი ადამიანის უბედურებაზე, ცრემლებზე, მისი იმედების დამსხვრევაზე, ოცნებების გაცრუებაზე შენდება?

სხვათა შორისა, როდესაც ეს ფაქტი საინფორმაციო საშუალებებით გახმაურდა და ამის შესახებ ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტ „კა, ფოსკარიშიც“ გაიგეს, ჩემს კოლეგებს გაოცებისაგან თვალები შუბლზე აუვიდათ, როგორ შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო, თქვენ ხომ სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებაზე გაქვთ პრეტენზიაო.

და, მართლაც, ბატონო პრეზიდენტო, როდესაც სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოს მშენებლობაზე გვაქვს პრეტენზია, განა, შეიძლება ამ სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოველგვარი მიზეზის გარეშე, უფრო სწორად, რეფორმების მომიზეზებით, სამუშაოდან გაათავისუფლონ და ულუკმაპუროდ დატოვონ ათასობით და ათეულათასობით სახელმწიფო თუ არასახელმწიფო მოხელე ისე, როგორც ეს დღეს საქართველოში ხდება?

იტალიის უნივერსიტეტებში არსებობს მოწვეული პროფესორის თანამდებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პიროვნებას უნივერსიტეტი ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში უფორმებს კონტაქტს, რომელიც მომდევნო წელს, შესაძლოა, აღარ განუახლოს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს პიროვნება უნივერსიტეტის შტატში ჩაირიცხება ნებისმიერ თანამდებობაზე, დაკავებული თანამდებობიდან მისი გათავისუფლება ძალიან სერიოზული მიზეზის გარეშე იტალიური სამართლებრივი სისტემის უხეში დარღვევა იქნება.

მარგარეტ ტეტჩერის პრემიერ-მინისტრობისას განათლების სამინისტრომ ფინანსურ სიძნელეთა გამო ლონდონის ორიენტალისტიკის სკოლაში კავკასიათმცოდნეობის კათედრის გაუქმება მხოლოდ დევიდ ლანგის პენსიაში გასვლის შემდეგ შეძლო იმიტომ, რომ სამართლებრივად უფლება არ ჰქონდა, უმუშევარი დაეტოვებინა ადამიანი, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა (მოგვიანებით, ეს კათედრა ისევ იქნა აღდგენილი და მისი ხელმძღვანელის ადგილი საქართველოში ყველასათვის კარგად ცნობილი ჯორჯ ჰიუიტმა დაიკავა). როდესაც სახელმწიფოს, რომელიც უნივერსიტეტს აფინანსებს, გადაწყვეტილი აქვს რომელიმე საუნივერსიტეტო სტრუქტურის თუ თანამდებობის შემცირება, მას მხოლოდ ის შეუძლია, რომ ეს სტრუქტურა გააუქმოს პიროვნების პენსიაში გასვლის ან გარდაცვალების შემდეგ ან უნივერსიტეტს აღარ მისცეს ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების უფლება.

სხვათა შორის, იტალიის დღევანდელი მთავრობა, კერძოდ კი, სახალხო განათლების სამინისტრო ლეტიცია მორატის მეთაურობით ცდილობს რეფორმების მომიზეზებით, გააუქმოს უმაღლეს სკოლაში მკვლევრის თანამდებობა და მის ნაცვლად მხოლოდ ერთხელ განახლებადი სამწლიანი კონტრაქტით მიიღოს პიროვნებები უნივერსიტეტში სამუშაოდ. ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, აქვე გეტყვით, რომ, ლომაიასეული რეფორმებისაგან განსხვავებით, იტალიური რეფორმები მიზნად ისახავს არა მეცნიერული კვლევის უნივერსიტეტის კედლებს გარედ გატანას, არამედ საუნივერსიტეტო აკადემიური თუ სამეცნიერო-კვლევითი თანამდებობების არასტაბილურად გადაქცევას და საუნივერსიტეტო სტრუქტურების კერძო სტრუქტურებად ჩამოყალიბებას. ამ რეფორმებს, რომლებსაც თან სდევს საზოგადოების დიდი წინააღმდეგობა, ქვეყნის პარლამენტმა რომც დაუჭიროს მხარი, იგი არ შეეხება იმათ, ვინც მათ მიღებამდე დაიკავეს მკვლევრის თანამდებობა, რადგანაც, მოგეხსენებათ, სამართლებრივ სახელმწიფოში კანონი წარსულზე კი არა, არამედ მომავალზეა გამიზნული.

ასე იქცევიან სამართლებრივ სახელმწიფოში, ბატონო პრეზიდენტო! ჩვენთან კი, თბილისის უნივერსიტეტის ზურგს უკან, თბილისის უნივერსიტეტის სახელით მთავრობაში წყვეტენ მის ბედთან დაკავშირებულ საკითხებს.

პრობლემის სამართლებრივ მხარეს თავი რომც დავანებოთ, განა, მორალური განადგურება არ არის, ადამიანებს, მით უმეტეს, მეცნიერებს, უთხრა, შინ დასხედით, ჩვენ ხელფასის მაგიერ, გარკვეული დროით, სტიპენდიას მოგცემთ (ან იქნებ, მეშლება, და ინვალიდობის პენსიაზეა საუბარი?!), თქვენ კი ახალი სამსახურის შოვნაზე იზრუნეთო?! და ეს მაშინ, როცა პროფესორიც რომ იყოს, დღეს საქართველოში, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მეეზოვის ადგილსაც ვერ იშოვი. განა ეს ამ ადამიანების ინტელექტუალურ შე-

საძლებლობებზე, მათ ღირსებაზე, თავმოყვარეობაზე, პროფესიონალიზმზე, სტატუსზე უარის თქმას, ანუ, საბჭოური ტერმინი რომ ვიხმაროთ, „ჩამოწერას“ არ ნიშნავს?

ან ამ „ჩამოწერილი“ ადამიანებისთვის ე. წ. „გრანტების“ დაპირებაც იგივე დაცინვა არ არის? რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ამ სისტემის დანერგვის შემთხვევაში სახელმწიფოს – ან, უკეთ რომ ვთქვათ, სახელმწიფოს ბატონ-პატრონ ტრანსნაციონალურ კომპანიებს – სრული და უაპელაციო კონტროლი ექნება იმაზე: ვინ რა, რამდენი ხნით და რა მოცულობით უნდა იკვლიოს.

ეს არის არადემოკრატიული, ტოტალიტარული, ცინიკური სახელმწიფოს მიერ თავისი, ისედაც ფეხქვეშგათელილი მოქალაქეების კიდევ უფრო მეტად დათრგუნვა, დამორჩილება, პირზე ლაგამის ამოდება.

დემოკრატია არ ნიშნავს, მხოლოდ ერთ კაცს ჰქონდეს იმის პრეტენზია, იცოდეს, რა არის და რა არ არის ქვეყნისთვის ბედნიერება და უბედურება და, აქედან გამომდინარე, ერთპიროვნულად წყვეტდეს ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს. სხვათა შორის, სხვას კი არაფერს აკეთებდა სტალინი, რომელსაც, როგორც პოლიტიკოსს, მოაზროვნესა და სახელმწიფო მოღვაწეს, შორიახლოსაც ვერ გაეკარება გუშინდელი თუ დღევანდელი საქართველოს – და არა მარტოს აქართველოს – ვერც ერთი მესვეური.

ეს არ არის დემოკრატია, რომლის აშენების პრეტენზიაც გვაქვს, ბატონო პრეზიდენტო, რადგანაც დემოკრატია მხოლოდ დემოკრატიის დროშების ფრიალს არ ნიშნავს!

სწორედ ამიტომ მოგიწოდებთ, დაიცვათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი!

წინააღმდეგ შემთხვევაში მე, არა პოლიტიკოსი, არამედ მარტოკაცი, რომელსაც სხვადასხვა წარმომავლობის საშინაო თუ საგარეო ძალებთან ხელსაყრელი და ხელფეხშემკვრელი გარიგება არ დამიდვია და მხოლოდ საკუთარ პოლიტიკურ სინდისს ვარ მინდობილი, რა თქმა უნდა, რევოლუციას ვერ მოგიწყობთ, იმას დაგპირდებით, რომ მომავალ საპრეზიდენტო, საპარლამენტო, თუ მუნიციპალურ არჩევნებში ხმას ვერ მოგცემთ როგორც პირადად თქვენ, ისე თქვენს პარტიას – ნაციონალურ მოძრაობას. შეიძლება, ჩემი ხმა არაფერს ნიშნავდეს ხმათა იმ დიდ ზღვაში, რაც „ვარდების“ რევოლუციის შემდგომ არჩევნებში მიიღეთ, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ზღვა წვეთობითაც დაილიაო. თანაც, სამწუხაროდ, როგორც ამბობენ, თქვენდამი გაჩენილი იმედების ზღვას ეს წვეთები უკვე აკლია, თანაც – სულ უფრო სწრაფად და საგანგაშოდ.

XXI საუკუნეში როგორ შეიძლება, საღად მოაზროვნე ადამიანი რეფორმების წინააღმდეგი იყოს, მით უფრო, თუ იგი პოსტსოციალისტურ სივრცეში ცხოვრობს, მაგრამ ეს რეფორმირება, ისე როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ყოველგვარი სხვა გარდაქმნები, უნიჭოდ, ჩიქორთულით გადმოწერილი კი არ უნდა იყოს უცხოური „შპარგალკებიდან“, არამედ ჩვენ ეროვნულ წეს-ჩვეულებებზე, ხასიათზე, ტრადიციებზე, ისტორიულ მეხსიერებაზე, გამოცდილებასა და გაკვეთილებზე უნდა იყოს დამყნობილი, რაც მთავარია, თითოეული მოყვასის უფლისეულ სიყვარულს, მასზე ზრუნვას, მის კეთილდღეობას ეფუძნებოდეს.

ამის გარეშე თვით ყველაზე დიდი სიკეთის მარცვლებით ვერ გაღვივდება ეროვნულ ხნულში, ფესვებს ვერ გაიდგამს ეროვნულ ნიადაგში, ფუჭი იქნება ყველაზე კეთილშობილური ძალისხმევაც, რადგან ხალხი, საზოგადოება, ვინც უნდა იცხოვროს ამ რეფორმებით დადგენილი ქცევის ნორმებით, არ გაითავისებს, თავის ადათ-წესად, კანონად არ გაიხდის იმ ნორმებს. სამასი წლის შემდეგ მაინც ხომ უნდა დავუგდოთ ყური ჩვენი დიდი კანონმდებლის ვახტანგ VI-ის ბრძნულ შეგონებას: „ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მიჰგავს სხვათა ქუეყანისა რიგთა და ქცეულებათა. სხვა არს (...) სისხლი და სიკუდილი, სხვა არს ღალატი და უკადრისი, ამად ესევითარისა სამართალნი სხვათა განაჩენთა შინა მოკლებით იპოვების და მათი წიგნი უფროს ჩვენდა უხმარ არს“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. თბ., 1963, გვ. 532; ხაზგასმა ჩემია).

ქართველთა წარმოდგენაში ამ წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ხასიათს, ისტორიულ მეხსიერებასა და გამოცდილებას განასახიერებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ქართველმა ხალხმა დაარსებიდანვე ერის გონების, სიბრძნისა და ზნეობის თეთრგუმბათოვან ტაძრად შერაცხა. ამიტომაც იჩენს ხალხი მისდამი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, ამიტომაც ზრუნავს გამორჩეულად მის მომავალზე, ამიტომაც სტკივა უპირველესად სწორედ მისი სატკივარი, ამიტომაც აღიქვამს მის ხელყოფას მისი დიდი დამაარსებლის – ივანე ჯავახიშვილის „მესამე სიკვდილად“.

ბატონო პრეზიდენტო, კიდევ ერთხელ უმორჩილესად გთხოვთ და მოგიწოდებთ: დაიცავით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი! დაიცავით საქართველოს მომავალი!

გაგა შურღაია –
საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი, ვენეციის სახელმწიფო
უნივერსიტეტ „კა ფოსკარის“ ევრაზიული კულტურების
კვლევის კათედრის მკვლევარი, რომის პაპის აღმოსავლური
ინსტიტუტის მოწვეული პროფესორი, ვატიკანის სამოციქულო
ბიბლიოთეკის მეცნიერი კონსულტანტი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ 30 ივლისი, 2005.

III დანართი „ხულიგანი პროფესორების“ საქმე

2006 წლის 3 ივლისს კულმინაციას მიაღწია დაპირისპირებამ „რეფორმატორებსა“ და საუნივერსიტეტო მოძრაობს შორის. **ლომაია-ხუბუას** გუნდმა უმაღლესი ხელისუფლების მხარდაჭერით გადაწყვიტა დაესაჯა მოძრაობის ლიდერები. მინისტრმა **კ. ლომაიამ** შეკვეთა მისცა სამართალდამცველ ორგანოებს, **„დასაჯონ ამ აღმაშფოთებელი ინციდენტის ორგანიზატორები... არ გაიკარონ სტუდენტებს ის ადამიანები“** (იხ. პრესელიზი, გვ. 215). ხუთი პროფესორის **(ა. არაბულის, გ. გოგოლაშვილის, გ. დოლიძის, ჯ. მებონიასა** და **თ. სანაძის)** მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის (№07063892) საქმე. საზოგადოების აქტიური მხარდაჭერის გამო ვეღარ გაბედეს **ეჭვმიტანილთა დაჭერა** და პროკურატურამ გამოიტანა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე და საქმე გადაეგზავნა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას (იხ. დადგენილება, გვ. 216). გაჩნდნენ ახალი ბრალდებულები **(დ. ბახტაძე, მ. ნათაძე, მ. სიხარულიძე** და **ვ. ტუსკია)** და გაიმართა სასამართლო (იხ. სასამართლოს სხდომის ოქმი, გვ. 220). სასამართლომ ცხრა პროფესორი ცნო სამართალდამრღვევად (იხ. დადგენილება, გვ. 270). მივმართეთ სააპელაციო სასამართლოს (იხ. საჩივარი, გვ. 298). სააპელაციო სასამართლომ „ზეპირი მოსმენის გარეშე“ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (იხ. დადგენილება, გვ. 307)...

საქმეს სტრასბურგის სასამართლო განიხილავს...

საუბედუროდ, ბატონი **თენგიზ სანაძე** და ქალბატონი **მედეა სიხარულიძე** ვეღარ მოესწრებიან სამართლიანობის აღდგენას... ჩვენ?...

ეს პუბლიკაცია პროფესორთა შელახული ღირსების აღდგენასაც ისახავს მიზნად...

პრესრელიზი

დაუყოვნებლივი გავრცელებისათვის

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის
ალექსანდრე ლომაიას განცხადება
2006 წლის 3 ივლისს თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტში მომხდარი ინციდენტის გამო

3 ივლისს, ოპოზიციური პარტიების აქტივისტთა ხელშეწყობით თსუ-ს თანამშრომელთა ერთი ჯგუფი ფიზიკური ძალის გამოყენებით შეიჭრა რექტორის სამუშაო ოთახში და კაბინეტის ბლოკირება მოახდინა. ეგზალტირებული ჯგუფის მოქმედებამ საფრთხეში ჩააგდო რექტორის და ადმინისტრაციის სხვა თანამშრომელთა ჯანმრთელობა. რექტორი იძულებული გახდა, დახმარებისთვის საპატრულო პოლიციისთვის მიემართა, რომელმაც საჯარო დაწესებულებაში საზოგადოებრივი წესრიგი აღადგინა.

რექტორმა განცხადებით მიმართა პოლიციას, რომ იმ ადამიანების მიმართ, ვინც ხელმძღვანელობდა ადმინისრტრაციის ოთახებში შეჭრას, ახდენდა სამუშაო პროცესის ბლოკირებას, შეურაცხყოფდა რექტორისადა ადმინისტრაციის სხვა თანამშრომელთა ღირსებას, **აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე** და გატარებულიყო კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მივმართავ მეც, რომ **დაისაჯონ ამ აღმაშფოთებელი ინციდენტის ორგანიზატორები**, მიღებულ იქნას ყველა ზომა, რათა ასეთი რამ აღარ განმეორდეს.

3 ივლისის ინციდენტი წარმოადგენს ყველა აკადემიური და ეთიკური სტრანდარტის გაუგონარი დარღვევის ნიმუშს. ადამიანთა ამ მცირე ჯგუფმა გადააბიჯა კანონს და ადამიანურ ღირსებას. სამწუხაროა, რომ მათ შორის არიან ის ადამიანებიც, ვინც თსუ-ს აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნება.

სწორედ ახლა, ჩვენი, თსუ-ს და ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირდაპირი მოვალეობაა, **არ გავაკაროთ სტუდენტებს ის ადამიანები**, ვინც თავიანთ კოლეგებს ნათესავებს აგინებდა, ლანძღავდა და მიმართავდა სიტყვებით: „უვიცი, შეურაცხადი, მოთრეული, ხიხო, ნაძირალა...“

უმაღლესი განათლების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებამდე აყვანა მთელი ჩვენი საზოგადოების ამოცანაა. ამ ამოცანის შესასრულებლად მთავრობამ უკვე გადადგა ქმედითი ნაბიჯები: ჩატარდა უმაღლესების ინსტიტუციური აკრედიტაცია, ერთიანი ეროვნული გამოცდები, გრძელდება ბრძოლა კორუფციასთან, ჩვენ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეს ვუახლოვდებით. ხორციელდება მრავალმილიონიანი ინფრასტრუქტურული ინვესტიციები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განსავითარებლად.

ჩვენ ამ გზიდან ერთი ნაბიჯითაც არგადავუხვევთ. ჩვენი მეცნიერების მრავალათასიან არმიასთან ერთად, ვისი აბსოლუტური უმრავლესობა კომპეტენტური და პატიოსანი ადამიანები არიან, ავაშენებთ თანამედროვე, დინამიურ, მაღალაკადემიურ და სამოქალაქო ღირებულებებზე დაფუძნებულ უმაღლესი განათლების სისტემას. ისეთ განათლების სისტემას, რომელიც ჩვენ მომავალ თაობას, ჩვენს სტუდენტებს უფრო კონკურენტურიანებად, უფრო წარმატებულებად წარმოაჩენს.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
სისხლის სამართლის №07063892 საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ

29 ივლისი 2006 წელ
ქ. თბილისი

ქ. თბილისის პროკურატურის შს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორმა **დ. ხიზანაიძემ** განვიხილე **სისხლის სამართლის №07063892 საქმე**.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

2006 წლის 03 ივლისს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №07063892 საქმეზე, ჯგუფური მოქმედების ორგანიზების ფაქტზე, რომელმაც დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოიწვია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაობის შეფერხება, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 226-ე მუხლით.

იმავე დღეს სისხლის სამართლის №07063892 საქმე ქვემდებარეობით, შემდგომი გამოძიების ორგანიზებისათვის, გადმოიგზავნა ქ. თბილისის შს მთავარ სამმართველოში

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგენილია შემდეგი:

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივლისის №277-ე ბრძანებულებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თლბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატსის შესახებ მე–2 პუნქტით დამტკიცდა ამავე უნივერსიტეტის წესდება. წესდების მიხედვით უნივერსიტეტის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა უნივერსიტეტის საბჭო, შემდგომში დიდი ს აბჭო.

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 08 ივლისის №473-ე ბრძანებულებით ძალადაკარგულად ჩაითვალა „ივანე ჯავახიშვივლის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივლისის №277-ე ბრძანებულების მე-2 პუნქტი,

რომლითაც, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, დამტკიცდა უნივერსიტეტის წესდება, ამავე ბძრანებულებით განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალოების შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილებანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულმაგამოიწვია პროფესორ-მასწავლებელთა გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება, რასაც მოჰყვა დაპირისპირება რექტორატთან.

2006 წლს 03 ივლისს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოსს **თენგიზ სანაძეს**, წერილობითი თხოვნის საფუძველზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მიეცა თანხმობა, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლები შეკრებილიყვნენ პირველი კორპუსის დიდ სააქტო დარბაზში 2006 წლის 03 ივლისს 15^{30} საათიდან 19^{00} საათამდე.

სააქტო დარბაზში შეკრებილებმა, ყოფილი დიდი საბჭოს წევრებმა, თვითნებურად აირჩიეს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ჯემალ მებონია**, რის შემდეგაც დაახლოებით 50 წევრი, **ჯემალ მებონიას**, **თენგიზ სანაძის**, **მაია ნათაძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულის**, **მედეა სიხარულიძის**, **გელა დოლიძის**, **ვახტანგ ტუსკიას** და **დემურ ბახტაძის** ხელმძღვანელობითა და მოწოდებებით გაემართნენ რექტორის მოვალეობის შემსრულებელ **გ. ხუბუასთან**, რათა აეძულებინათ იგი, გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან და დაეთმო ადგილი **ჯემალ მებონიასათვის**.

დაახლოებით 16 საათზე ზემოთ ხსენებული პირები უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მდებარე რექტორის სამუშაო ოთახთან არსებულ ფოიეში არ დაემორჩილნენ დაცვის თანამშრომელთა კანონიერ მოთხოვნას, შეიჭრნენ **გ. ხუბუას** სამუშაო ოთახში, რომელსაც აცნობეს თვითნებურად მიღებული უკანონო გადაწყვეტილება, კატეგორიულად მოსთხოვეს, დაეტოვებინა თანამდებობა და სამუშაო ოთახი დაეთმო ახლად არჩეული რექტორის **ჯ. მებონიასათვის**. მიუხედავად **გ. ხუბუას** და რექტორატის სხვა თანამშრომელთა მოთხოვნისა, დაეცვათ წესრიგი და ხელი არ შეეშელათ უნივერსიტეტის ნორმალური მუშაობისათვის **ჯემალ მებონია**, **თენგიზ სანაძე**, **მაია ნათაძე**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **ავთანდილ არაბული**, **მედეა სიხარულიძე**, **გელა დოლიძე**, **ვახტანგ ტუსკია** და **დემურ ბახტაძე** არ დაემორჩილნენ კანონიერ მოთხოვნებს და კვლავ აგრძელებდნენ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიმართ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, კერძოდ: „გაეთრიე უნივერსიტეტიდან, შე გათახსირებულო“ და სხვა. ასევე მოუწოდებდნენ ეზოში შეკრებილ სხვა თანამშრომლებს, შესულიყვნენ შენობაში მათ მხარდასაჭერად.

იმის გამო, რომ რექტორატმა ვერ მიაღწია აღნიშნულ პირებთან შეთანხმებას, სიტუაციის განმუხტვისადა საზოგადოებრივი წესრიგრის აღდგენის მიზნით, იძულებული გახდა, გამოეძახებინა საპატრულო პოლიცია.

ჯემალ მებონია, **თენგიზ სანაძე**, **მაია ნათაძე**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **ავთანდილ არაბული**, **მედეა სიხარულიძე**, **გელა დოლიძე**, **ვახტანგ ტუსკია** და **დემურ ბახტაძე** ასევე არ დაემორჩილნენ საპატრულო პოლიციის მუშაკების კანონიერ მოთხოვნას და დაახლოებით 2 საათის განმავლობაშივ აგრძელებდნენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს.

ამდენად, როგორც საქმის მასალებით ირკვევა **ჯემალ მებონიას**, **თენგიზ სანაძის**, **მაია ნათაძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულის**, **მედეა სიხარულიძის**, **გელა დოლიძის**, **ვახტანგ ტუსკიას** და **დემურ ბახტაძის** ქმედებები არ შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, მათ მიერ ჩადენილია სამართალდარღვევები, კერძოდ თვითნებობა, წვრილმანი ხულიგნობა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდესის 174-ე, 166-ე და 173-ე მუხლით გათვალისწინებულ გადაცდომებს.

რაც შეეხება მოქალაქეების ვ. კაკულიას, ლ. ჯანიაშვილის, მ. ლეკიშვილის, მ. ალექსიშვილის, დ. ქვირიას, გ. მახარაძის, მ. სიხარულიძის, ი. ნოსელიძის, თ. ქამუშაძის, გ. საფარიშვილის, ა. ხელაშვილის, მ. ყუბანეიშვილის, თ. ჯალაღონიას, ც. გოლიაძის და ქ. მარჩილაშვილის განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, თითქოსდა მათ მიმართ 2006 წლის 3 ივლისს ადგილი ჰქონდა სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, აღნიშნული ჩატარებული გამოძიებით არ დადასტურდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე უნდა შეწყდეს წინასწარი გამოძიება, ხოლო მასალები კი ადმინისტრაციული სამართლაწარმოებისათვის უნდა გადაეცეს სასამართლოს.

ვიხელმძღვანელე რა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 395-399-ე მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. შეწყდეს წინასწარი გამოძიება №07063892 სისხლის სამართლის საქმეზე იმის გამო, რომ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.

2. ამ დადგენილების ასლები გაეგზავნოთ საქართველოს სსკ-ის 398-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ პირებს, რომელთაც განემარტოთ,

რომ უფლება აქვთ გაასაჩივრონ დადგენილება თბილისის საქალაქო სასამართლოში ამ დადგენილების ასლის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში.

3. მასალები **ჯემალ მებონიას**, **თენგიზ სანაძის**, **მაია ნათაძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულის**, **მედეა სიხარულიძის**, **გელა დოლიძის**, **ვახტანგ ტუსკიას** და **დემურ ზახტაძის** მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების მიზნით გადაეგზავნოს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

ქ. თბილისის პროკურატურის შს ორგანოებში
გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის
განყოფილების პროკურორი
დ. ხიზანაიძე

საქმე №4/7207-06

სასამართლო სხდომის ოქმი

3 აგვისტო 2006 წელი
თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე **თეა თადაშვილმა**, **ნათია გორგოძის** მდივნობით, განიხილა ქ. თბილისის პროკურატრიდან შემოსული სამართალდარღვევის ოქმი და მასალები **ჯემალ მეზონიას** (დაბ. 1939 წ., მცხ.: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. №3, ბ. №1), **თენგიზ სანაძის** (დაბ. 1930 წ., მცხ.: ქ. თბილისი, ატენის ქ. №20, ბ. №52), **გიორგი გოგოლაშვილის** (დაბ. 1948 წ., მცხ.: ქ. თბილისი, მანჯგალაძის ქ. №56), **ავთანდილ არაბულის** (დაბ. 1953 წ., მცხ.: ქ. თბილისი, ვარკეთილი-3, კორპ. №403, ბ. №114), **მედეა სიხარულიძის** (დაბ. 1955 წ., მცხ.: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, გ. ბრწყინვალეს №31, ბ. №100), **გელა დოლიძის**(დაბ. 1963 წ., მცხ.: ქ. თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №9), **მაია ნათაძის**, **ვახტანგ ტუსკიას** და **დემურ ბახტაძის** მიმართ ადმინისტრაციული სასჯელის დადების შესახებ.

სხდომა დაიწყო 10:10 საათზე;

მოსამართლემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და სხდომას მოახსენა განსახილველი მასალები.

გამოცხადდა: ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორი **დავით ხიზანაიძე**, წარმოადგინა სამსახეურებრივი მოწმობა №0425, რომლის ასლიც დაერთო სხდომის ოქმს.

წარმოდგენილი იქნენ: **ჯემალ მეზონია**, **თენგიზ სანაძე**, **მედეა სიხარულიძე**, **გელა დოლიძე**, **მაია ნათაძე**, **ვახტანგ ტუსკია**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **ავთანდილ არაბული** და **დემურ ბახტაძე**.

გამოცხადდნენ: მათი წარმომადგენელი **ლია მუხაშავრია**, წარმოადგინა მინდობილობები, დაერთო სხდომის ოქმს და ავთანდილ არაბულის წარმომადგენელი ადვოკატი **თეიმურაზ ტაბატაძე**, წარმოადგინა ორდერი, დაერთო სხდომის ოქმს.

მოსამართლე აცხადებს, რომ მასალებს იხილავს მოსამართლე თეა თადაშვილი ნათია გორგოძის მდივნობით და უმარტავს მხარეებს აცილების წესს.

გიორგი გოგოლაშვილი აცხადებს:

– მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვითხოვ მოსამართლის აცი-

ლებას, რადგან 2006 წლის 25 ივნისს ამ სასამართლოში შემოვიტანე სარჩელი უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის **გია ხუბუას** წინააღმდეგ, მისი 2006 წლის 26 აპრილის ბძრანების ბათილად ცნობის მოთხოვნით. **ხუბუამ** აღნიშნული ბრძანებით გააუქმა ქართულიენის ინსტიტუტი. პირველი ბრძანება, რომელიც მან რექტორად დანიშვნისას მიიღო იყო ქართული ენის ინსტიტუტის გაუქმების თაობაზე მიღებული ბრძანება. სარჩელი ამის თაობაზე ეწერა მოსამართლე **თეა თადაშვილს**. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა ვერანაირი დოკუმენტი, რაც დაგვარწმუნებდა სარჩელის მიუღებლობაში, მოსამართლემ იგიმაინც არ მიიღო განსახილველად და შეწყვიტა საქმის წარმოება. აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ იგი არ იქნება მიუკერძოებელი და ამდენად, ვითხოვ მის ჩამოცილებას.

სამართალდამრღვევთა წარმომადგენელი **ლია მუხაშავრია** აცხადებს – გიორგი გოგოლაშვილის შუამდგომლობას მხარს ვუჭერ. საუბარია იმაზე, რომ განიხილეთ დავა იმავე მხარეებს შორის, რაც წარმოადგენს მხარისათვის საფუძვლიან მოსაზრებას, მას აქვს უნდობლობა თქვენს მიმართ და აქვს კანონიერისაფუძველი თქვენი აცილებისა. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ხორციელდება ზეწოლა სასამართლო ხელისუფლების მიერ. თქვენ ერთხელ უკვე განიხილეთ დავა იმავე მხარეებს შორის და ვთვლით, რომ თქვენ არ იყავით მიუკერძოებელი. შესაბამისად, არც ახლა იქნებით მიუკერძოებელი და გთხოვთ აიცილოთ მოცემული საქმე.

თეიმურაზ ტაბატაძე ეთანხმება ლია მუხაშავრიას შუამდგომლობას და დასამატებელი არაფერი არ აქვს.

ჯემალ მებონია აცხადებსა – რაც აქ ახლა მოვისმინე მაძლევს საფუძველს იმისა, რომ უნდობლობა გამოგიცხადოთ.

ავთანდილ არაბული აცხადებს – გიორგი გოგოლაშვილთან ერთად მეც წარმოვადგენდი მოსარჩელეს. როგორც თქვენთვის ცნობილია, მე გადაწყვეტილების გამოცხადებას არ დავსწრებივარ და გაოცებული დავრჩი, როდესაც შემხვდა უნივერსიტეტის წარმომადგენელი, რომელიც ასევე ვერ ფარავდა გაოცებას სარჩელის დაუშვებლობასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ვეთანხმები გიორგი გოგოლაშვილის პოზიციას და გთხოვთ აიცილოთ მოცემული საქმე.

მაია ნათაძე აცხადებს – ბევრი უსამართლო გადაწყვეტილება მინახავს, მაგრამ ის, რაც თქვენ არ მიიღეთ ქართული ენის ინსტიტუტის არსებობას შეეხებოდა. ამ გადაწყვეტილებით თქვენ ისეთ რამეს დაუჭირეთ მხარი, რომ თქვენს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გვაქვს.

მედეა სიხარულიძე, **გელა დოლიძე**, **თენგიზ სანაძე**, **ვახტანგ ტუსკია** და **თემურ ბახტაძე** მხარს უჭერენ მოსამართლის აცილების შუამდგომლობას და დასამატებელი არაფერი არ აქვთ.

პროკურორი **დავთი ხიზანაიძე** აცხადებს – შუამდგომლობას მოსამართლის აცილების თაობაზე არ ვეთნახმები, რადგან იგი დაუსაბუთებელია. აქ გამოთქმული მოსაზრებები აცილების საფუძველი არ არის.

მოსამართლემ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მ ე-2, 256-ე მუხლებით,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე, 34-ე, 36-ე მუხლებით, ადგილზე თათბირით

დ ა ა დ გ ი ნ ა

შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს. განვიხილე თქვენისასარჩელო განცხადება უნივერსიტეტის 2006 წლის 26 აპრილის ბრძანების ბათილად ცნობის თოაბაზე და არა სასარჩელო განცხადება გია ხუბუას წინააღმდეგ, ხოლო დღეს ვიხილავთ საკითხს თქვენი აღმინისტრაციული გადაცდომის თოაბაზე, რომელიც არსებითად სხვა საქმეა და განიხილება სხვა სამართალწარმოების, კერძოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დადგენილს წესით. გარდა ამისა, მე ჩემს მიუკერძოებლობასადა დამოუკიდებლობაში ეჭვი არ მეპარება.

უარი აცილების თოაბაზე ცალკე არ საჩივრდება. იგი შეიძლება გასაჩივრდეს შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად.

მოსამართლის შეკითხვაზე მხარეებს აქვთ თუ არა წარმოსადგენი რაიმე ან შუამდგომლობა, ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორი **დავთი ხიზანაიძე** შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე და განმარტავს:

წინა სხდომაზე დაკმაყოფილებულ იქნა შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე და მოწმის სახით დაბარებული არიან ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის თანამშრომლები – **გელა ჩარგაზია**, **ზაზა სხვიტარიძე** და **კახა ბიბილეიშვილი**. გარდა ამისა, თვითნებობის და ხულიგნობის ფაქტთან დაკავშირებით, გთხოვთ მოწმეებად დაბარებულ და დაკითხულ იქნას უნივერსიტეტის თანამშრომლები: დაცვის თანამშრომელი **ვარლამ ჯანელიძე**, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანაშემწე **მზექალა აჭაიძე** და რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილის თანაშემწე **მარინა ბერიაშვილი**.

თეიმურარ ტაბატაძე აცხადებს – შუამდგომლობას მოწმეთა დაკითხვის თაობაზე არ ვეთანხმები. მე წარმოვადგენ მხოლოდ არაბულის ინტერესებს, მაგრამ საკითხი იმდენად ერთგვაროვანია, რომ იგი ყველას თანაბრად ეხება. ბრალდების მხარეს თავისი პოზიცია ჩამოყლაიბებული აქვს იმ პირებზე, რომელთა დაკითხვის ოქმებიც საქმეშია. ვფიქრობ, არ არის აუცილებელი ამ საკითხის და ამ წრის გაზრდა, საკმარისია საქმეში არსებული მათი დაკითხვის ოქმები.

ავთანდილ არაბული ეთანხმება **თეიმურაზ ტაბატაძის** განმარტებას და დასამატებელი არაფერი არ აქვს.

ლია მუხაშავრია აცხადებს – შუამდგომლობას მოწმეთადაკითხვის თაობაზე არ ვეთანხმები. პროკურატურას ჰქონდა საკმაო დრო და სრული უფლება იმისათვის, რომ ჯერ კიდევ გამოძიებაში მიეღო სრული და ამომწურავი პასუხი ამა თუ იმ საკითხზე. მოწმეთა გამოძახება გამოიწვევს მხოლოდ საქმის განხილვის გაჭიანურებას და ვფიქრობ, უარი უნდა ეთქვას.

ჯემალ მებონია, **თენგიზ სანაძე**, **მედეა სიხარულიძე**, **გელა დოლიძე**, **მაია ნათაძე**, **ვახტანგ ტუსკია**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **ავთანდილ არაბული** და **დემურ ბახტაძე** ეთანხმებიან **ლია მუხაშავრიას** განმარტებას და დასამატებელი არაფერი არ აქვთ.

მოსამართლემ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2, 256-ე მუხლებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით, ადგილზე თათბირით

დ ა ა დ გ ი ნ ა

ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს: საქმეზე მოწმეების სახით დაბარებულ და დაკითხულ იქნან ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის თანამშრომლები: გელა ჩარგაზია, ზაზა სხვიტარიძე და კახა ბიბილეიშვილი, რომლებმაც სასამართლოს უნდა მისცენ განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლთან მიმართებაში. ასევე მოწმის სახით დაბარებულ და დაკითხულ იქნან უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი ვარლამ ჯანელიძე, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანაშემწე მზექალა აჭაიძე და რექტორის მოვალოების შემსრულებლის მოადგილის თანაშემწე მარინა ბერიაშვილი, რომლებმაც უნდა მისცენ განმარტება თვითნებობისა და წვრილმანი ხულიგნობის ფაქტთან დაკავშირებით. აღნიშნული პირების წარმოდგენა უზრუნველყოს შუამდგომლობის ავტორმა – ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორმა დავით ხიზანაიძემ. მხარემ ჩათვალა, რომ მას ამ პირების დაკითხვა სჭირდება, მე კი ვთვლი, რომ საჭიროა ეს პირები დაიკითხონ ჩემ მიერ, კიდევ ერთხელ თქვენი თანდასწრებით, ისე, რომ ამ დაკითხვაში თქვენც მიიღოთ მონაწილეობა.

მაია ნათაძე აცხადებს – აქ მოწვეული და დაკითხული უნდა იყოს **ხუბუა**, რადგან ის არის ამ ყველაფრის თავი და თავი. იმ დღეს, როდესაც ვესაუბრებოდი კაბინეტში, მან მითხრა, რომ ვარღვევდი კანონს, რის გამოც აღძრული იქნებოდა სისხლის სამართლის საქმე.

გელა დოლიძე აცხადებას – წარმოგიდგენთ ჩვენი თანაშმრომლის **გიორგი მახარაძის** განცხადებას, რომელიც იმ დღეს ჩვენთან ერთად იყო და მა-

ლიან გული წყდება, რომ ამ სიაში არ მოხვდა. წარმოდგენილი განცხადება დაერთო სხდომის ოქმს.

მოსამართლეგანუმარტავს მხარეებს – სასამართლო ხელმძღვანელობს პროკურატურის მიერ წარმოდგენილი დადგენილებით. **გიორგი მახარაძე** იქ მითითებული არ არის, შესაბამისად სასამართლო არ არის უფლებამოსილი, აწარმოოს და განიხილოს საქმე მის მიმართ.

გელა დოლიძე აცხადებს– ჩვენი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება ერთადერთ შემთხვევაში დადგეს, თუ უნივერსიტეტს აქვს წესდება და თუ ამ წესდების რომელიმე პუნქტი დავარღვიეთ. წესდების არსებობის შემთხვევაში, წესდებით გათვალისწინებულია დიდი საბჭო, რომლის წევრებიც ვართ ჩვენ, მაშინ ჩვენი ქმედება კანონიერი იყო, ხოლო თუ უნივერსიტეტს არ აქვს წესდება, მაშინ გაუგებარია, რა იურიდიული პირია და რა დავარღვიეთ. უნივერსიტეტის წესდება წარდგენილიაბანკ „რესპუბლიკასა“ და საგადასახადო ინსპექციაში და გთხოვთ გამოვითხოვოთ. თუ იქ წესდება არ არის, მაშინ გაუგებარია, როგორ ახორციელებს უნივერსიტეტი ფინანსურ გადარიცხვებს?

ლია მუხაშავრია განმარტავს – ვეთანხმები გელა დოლიძის შუამდგომლობას წესდების გამოთხოვის თაობაზე, ასევე ვშუამდგომლობ სასამართლოს წინაშე და გთხოვთ მოწმეებად გამოძახებულ და დაკითხულ იქნან რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ხუბუა** და მისი მოადგილე **ივანე ბოკერია**, რათა მათ თქვენი თანდასწრებით გასცენ პასუხი თქვენსდა ჩვენს შეკითხებს. ასევე გთხოვთ მოწმის სახით დაკითხულ იქნან მიუკერძოებელი მოწმეები – ჟურნალისტი **ირმა ინაშვილი** და მისი ოპერატორი – **გიორგი წამალაძე**, რომლებიც მთელი ამ დროის მანძილზე ჩვენ გვერდით იყვნენ და აკეთებდნენ რეპორტაჟს. ასევე დაიკითხონ **გიორგი მახარაძე** და **მერაბ ჯელია**, რომლებიც არიან ამ ინციდენტის უშუალო თვთმხილველნი. რაც შეეხება უნივერსიტეტის წესდებას, ის აუცილებლად უნდა იქნას გამოთხოვილი, რადგან დავრწმუნდეთ, რამდენად წესდების ფარგლებში მოქმედებდნენ ეს ადამიანები, მოქმედებდნენ თუ არა ისინი, როგორც დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრები. წესდების არსებობის ერთადერთი წყაროაბანკი „რესპუბლკია“ და საგადასახადო ინსპექცია და მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი გამოითხოვოს იგი.

მედეა სიხარულიძე აცხადებს – სრულიად ვეთანხმები ქალბატონი ლიას შუამდგომლობას და დამატებით მინდა გთხოვოთ, რომ მოწმის სახით დაიკითხოს ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელი **გრიგალაშვილი**.

თეიმურაზ ტაბატაძე, **ჯემალ მებონია**, **თენგიზ სანაძე**, **მაია ნათაძე**, **ვახტანგ ტუსკია**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **ავთანდილ არაბული** და **დემურ ბახტაძე** ეთანხმებიან **ლია მუხაშავრიას** შუამდგომლოაბს და დასამატებელი არაფერი არ აქვთ.

პროკურორი **დავით ხიზანაიძე** აცხადებს – შუამდგომლობას მთლიანად არ ვეთანხმები და არ უნდა დაკმაყოფილდეს. წესდება არ უნდა იქნას

გამოთხოვილი, რადგან იგი ამ საქმის განხილვასთან არაფერ შუაში არ არის, ჩვენ აბსოლიტურად სხვა საკითხს ვიხილავთ, გამოძახებული გვყავს საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც ყველაფერს რეალურად აღიქვამენ:, ამდენად გრიგალაშვილის დაკითხვის აუცილებლობას ვერ ვხედავ, ისევე, როგორც ვერ ვხედავ ჟურნალისტების, ხუბუასა და ბოკერიას მოწმედ დაკითხვის აუცილებლობას.

ლია მუხაშავრია დამატებით აცხადებს – პროკურორი ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო წინააღმდეგია ნამდვილად მიუკერძოებელი მოწმეების – ჟურნალისტების დაკითხვისა. გამოძიებაში დაკითხული და საქმეში არსებული დაკითხვის ოქმებიდან ჩანს, რომ ყველა მოწმე მიუთითებს, რომ იქ იმყოფებოდნენ ჟურნალისტები, რომლებიც დაკითხულნი არ ყოფილან. მე ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ისინი არიან მართლაც ერთადერთი მიუკერძოებელი მოწმეები, რადგან პატრულისაგან და უნივერსიტეტის თანამშრომლებისაგან განსხვავებით, ისინი არავის არ ემორჩილებიან, არიან ნამდვილად მიუკერძოებელნი. ასევე აუცილებელია წესდების გამოთხოვა, რადგან იგი არის ერთადერთი დადასტურება იმისა, მოქმედებდნენ თუ არა ეს ადამიანები წესდების ფარგლებში, თუ ნამდივლად ადგილი ჰქონდა წვრილმან ხულიგნობას. დაბეჯითებით გთხოვთ წესდების გამოთხოვასა და მიუკრეძოებელი მოწმეების დაკითვხის შუამდგომლობის დაკმაყოფილებას.

მოსამართლის შეკითხვაზე – წესდებაზე ხელი საერთოდ თუ მიგიწვდებათ?

ლია მუხაშავრია პასუხობს – არა, ჩვენ გვაქვს დოკუმენტი, რომ წესდება ძალაში არ არის, მაგრამ იგი უნდა მოქმედებდეს ბანკსა და საგადასახადო ინსპექციაში, რადგან ახორციელებენ საბანკო ოპერაციებს.

გელა დოლიძე აცხადებს – თქვენ როგორც თქვით, ხართ მიუკერძოებელი, მაშ დაამტკიცეთ ეს და გამოითხოვეთ წესდება.

გიორგი გოგოლაშვილი აცხადებს – ასევე აუცილებელია **ხუბუასა** და **ბოკერიას** დაკითხვა, რადგან წინააღმდეგობებია მათ ჩვენებაში. **ხუბუა** წერს, რომ ჩვენ მისთვის შეურაცხყოფა არ მიგვიყენებია, ხოლო **ბოკერია** წერს, რომ ჩვენ ვაგინებდით ხუბუას, იქნებ დავკითხოთ და გავარკვიოთ, სიმართლეს რომელი ამბობს და რომელი ტყუის.

ავთანდილ არაბული აცხადებს – თუ ვინმეს შეუძლია კაბინეტში შეჭრის ფაქტთან დაკავშირებით მოგვცეს განმარტება, რა თქმა უნდა, პირველ რიგში **ხუბუას**. იგი გამოძიებას ჩვენს სასარგებლო ჩვენებას აძლევს, თუმცა ამის საწინააღმდეგოდ საქმეშია ჩვენებები, სადაც აღნიშნულია, რომ ჩვენ ხუბუას „ხიხო“ ვუწოდეთ, რაც ჩვენს მიმართ ცილისწამებაა. ამიტომ ვთვლი, რომ ისინი საჯაროდ უნად დაიკითხონ.

მაია ნათაძე აცხადებს – თუ წესდება არსებობს, მაშინ ხულიგნები არი-

ან ის ადამიანები, რომლებიც ზღუდავენ ჩვენს უფლებებს და არა ჩვენ.

ჯემალ მებონია, **თენგიზ სანაძე**, **მედეა სიხარულიძე**, **ვახტანგ ტუსკია** და **დემურ ბახტაძე** ეთანხმებიან შუამდგომლობას და დასამატებელი არაფერი აქვთ.

მოსამართლემ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2, 252-ე, 256-ე მუხლებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექოსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით, ადგილზე თათბირით

დ ა ა დ გ ი ნ ა

შუამდგომლობა მოწმეებად ჟურნალისტების **ირმა ინაშვილისა** და **გიორგი წამალაძის**, ასევე **გიორგი მახარძისა** და **მერაბ ჯელიას** მოწმედ დაკითხვის თაობაზე დაკმაყოფილდეს. სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ისინი აქამდე ამ საქმეზე არ იყვნენ დაკითხულნი და არიან ფაქტის უშუალო შემსწრენი. რაც შეეხება შუამდგომლობას რექტორის მოვალეობის შემსრულებლის **გიორგი ხუბუასა** და მისი მოადგილის **ივანე ბოკერიას** მოწმედ დაკითხვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს, რადგან სასამართლო თვლის, რომ ისინი ამ საქმესთან დაკავშირებით უკვე არიან დაკითხულნი, მიცემული აქვთ ჩვენებები, რომლებიც საქმეშია წარმოდგენილი. **რაც შეხეება წესდებას, იგი არსებობს** როგორც დოკუმენტი და მე ხელთ მაქვს. იგი წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, ბანკი „რესპუბლიკა“ და საგადასახადო ინსპექცია არ არის ის ორგანოები, საიდანაც შეიძლება ის იყოს გამოთხოვილი.

გელა დოლიძე აცხადებს – თქვენ თქვით, რომ **ბუხუასა** და **ბოკერიას** დაკითხვის ოქმები არის საქმეში და ამიტომ არ ვიბარებთ. მაშ რატომ ვიბარებთ იმ პატრულებს? მათი ჩვენებაც ხომ არის საქმეში?

მოსამართლე განუმარტავს მხარეს – თქვენ სხდომაზე ჩემი გადაწყვეტილების კრიტიკის უფლება არ გაქვთ. ის შეგიძლიათგაასაჩივროთ შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად.

გელა დოლიძე აცხადებს – სხდომაზე მოწვეულ იქნას ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციის და ბანკ „რესპუბლიკის“ ხელმძღვანელი პირები, რათამათ დაადასტურონ, რომ, თუ იურიდიულ პირს არ აქვს წესდება, მაშინ ის ვერ განახორციელებს ფინანსურ ოპერაციებს.

მოსამართლის შეკითხვაზე – რა სტატუსით გნებავთ მათი დაკითხვა? დააზუსტეთ ასევე ხელმძღვანელები, კონკრეტულად ვინ?

გელა დოლიძე პასუხობს – მოწმის სახით დაიკითხონ.

გიორგი გოგოლაშვილი აცხადებს – თუ დაადსტურდება, რომ წესდება არსებობს, მოქმედებს, მაშინ ჩვენ წესდების ფარგლებში ვმოქმედებდით და მოგვეხსნება ბრალდება ხულიგნობასადა თვითნებობაზე.

ჯემალ მებონია აცხადებს – იქნებ თქვენ წესდების არსებობაში ეჭვიც არ გეპარებათ? მაშინ რაზე ვკამათობთ?

ავთანდილ არაბული აცხადებს – მისი გამოთხოვა საჭიროა, რადგან დავრწმუნდეთ, თუ რით ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ფინანსური ოპერაციების განხორციელებისას.

გიორგი გოგოლაშვილი აცხადებს – ჩვენი მოქმედება იყო კანონიერი, რადგან წესდება გაუქმებული არ არის და ვმოქმედებდით მის ფარგლებში, რადგან მისი გაუქმება მხოლოდ დიდი სამეცნიერო საბჭოს პრეროგატივაა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მისი დამტკიცება საქართველოს პრეზიდენტს.

თეიმურაზ ტაბატაძე აცხადებს – ვფიქრობ, სასამართლომ არასწორად გაიგო. ვგულისხმობთ, რომ ყველა იურიდიული პირი აღრიცხვაზე დგას საგადასახადო ინსპექციაში და ყველას აქვს წესდება, სხვაგვარად შეუძლებელია. გთხოვთ გამოვითხოვოთ, რათა დავრწმუნდეთ ეს ნამდვილად ის წესდებაა თუ რამე ახალი. ასევე გამოძახებულ იქნან ბანკი „რესპუბლიკისა“ და საგადასახდო ინსპექციის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები.

მოსამართლის შეკითხვაზე – თქვენ ფიზიკურ პირთა დაბარებას ითხოვთ?

ლია მუხაშავრია პასუხობს – დიახ, ბანკის ხელმძღვანელ პირთა დაკითხვა დაადასტურებს, თუ რით, რომელი წესდებით ხელმძღვანელობენ. მათი ჩვენებით დავრწმუნდებით, ეს ის წესდებაა თუ სხვა რამ.

გიორგი გოგოლაშვილი აცხადებს – აქ წარმოდგენილი პიროვნებები არიან **ინტელექტუალური საქართველოს საუკეთესო ნაწილი**. თქვენ წესდების გამოთხოვით ერთხელ და სამუდამოდ დაადასტურებთ, რომ მოსამართლე არის ობიექტური და რომ ითვალისწინებთ ჩვენს ღირსებებს, რომელთა შელახვის უფლებას ჩვენ არავის არ მივცემთ.

თენგიზ სანაძე, **მედეა სიხარულიძე**, **მაია ნათაძე**, **ვახტანგ ტუსკია** და **დემურ ბახტაძე** ეთანხმებიან შუამდგომლობას და დასამატებელი არაფერი არ აქვთ.

მოსამართლემ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2, 252-ე, 256-ე მუხლებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით, ადგილზე თათბირით

დ ა ა დ გ ი ნ ა

შუამდგომლობა მოწმეთა სახით ბანკი „რესპუბლიკისა“ და საგადასახადო ინსპექციის პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა დაკითხვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს, რადგან სასამართლო თვლის, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც უნდა დადასტურდეს ერთი სახის მტკიცებულებით, არ შეიძლება

დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საუბარია კონკრეტულ წერილობით დოკუმენტზე – წესდებაზე, რომლის არსებობა-არარსებობის საკითხი არ შეიძლება დადგინდეს მოწმეთა ჩვენებით.

თენგიზ სანაძე დამატებით აცხადებს – მე მოსამართლის პოზიციას ვეთანხმები, რადგან წესდება არსებობს და იგი დევს ბანკში.

11:50 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

12:25 საათზე სხდომა გრძელდება სასამართლოს იმავე შემადგენლობით.

თეიმურაზ ტაბატაძე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე და განმარტავს – შედარებისათვის მინდა წარმოგიდგინოთ დადგენილება და გთხოვთ განმიმარტოთ, ჩემსხელთ და საქმეში არსებული დადგენილება ერთი და იგივეა?

მოსამართლე ადარებს საქმეში არსებულ და თეიმურაზ ტაბატაძის მიერ აწრმოდგენილ დადგენილებებს და განმარტავს: დიახ, ეს ერთი და იგივე დადგენილებებია.

თეიმურაზ ტაბატაძე აცხადებს – ვშუამდგომლობ სასამართლოს წინაშე და გთხოვთ გამარკვიოთ ამ დადგენილების არსში, რადგან იგი ჩემთვის მეტად ბუნდოვანია. ვითხოვ ამ საკითხზე განმარტება მომცეს პროკურორმა. მისი სარეზოლუციო ნაწილი შედგება სამი ნაწილისაგან – აქვეყნებს მას, ასევე აქვეყნებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მხულს და აღნიშნავს: ამ მუხლში ჩამოთვლილია იმ პირთა წრე, რომლებსაც შეიძლება დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე გაეგზავნოთ. რატომღაც იგი გაეგზავნა ჩემს მარწმუნებელს. ამ ჩამონათვალში მოწმე მითითებული არ არის, არადა ჩემი მარწმუნებელი საქმეში მოწმედ არის დაკითხული. თუ **ავთანდილ არაბული** არ გახლავთ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული და ის მხოლოდ მოწმეა, მაშინ რატომ გაეგზავნა მას ეს დადგენილება. ასევე იგი ითვალისწინებს **გასაჩივრების 14-დღიან ვადას, რაც ვერ გამოვიყენეთ**. მე მებადება კითხვა – ამ დადგენილების თანახმად, ვინ არის ჩემი მარწუნებელი? და რატომ შეეზღუდა მას გასაჩივრების უფლება?

ლია მუხაშავრია აცხადებს – დადგენილება არის წინასწარი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე და არამც და არამც არ არის ის სამართალდარღვევის ოქმი. დაუსაბუთებელია, საიდან გაჩნდა მისი მე-3 პუნქტი, მაშინ როდესაც მის არც აღწერილობით და არც სამოტივაციო ნაწილში მასზე საუბარი არ არის.არ არის დადასტურებული სამართალდარღვევის ფაქტი და ასევე არ არის მითითებული, რატომ უნდა გადაიგზავნოს დადგენილება სასამართლოში მოწმეთა მიმართ სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით. შესაბამისად, საქმის წარმოება უნდა შეწყდეს დაუსაბუთებლობის გამო. **ასეთ რამეებზე სასამართლო არ უნდა ცდებოდეს**.

თეიმურაზ ტაბატაძე, **ჯემალ მებონია**, **თენგიზ სანაძე**, **მაია ნათაძე**, **ვახ-ტანგ ტუსკია** და **გიორგი გოგოლაშვილი** ეთანხმებიან ლია მუხაშავრიას შუამდგომლობას და დასამატებელი არაფერი არ აქვთ.

ავთანდილ არაბული აცხადებს – დაგვკითხეს ხუთი პიროვნება, როგორც მოწმეები, კაბინეტში მომხადრ ფაქტთან დაკავშირებით. გამარკვიეთ, როდის ვიქეცით მოწმეები ბრალდებულებად და რატომ დაგვკითხეთ მაშინ, როგორც ბრალდებულები, რატომ არ მოგვეცით გასაჩივრების უფლება.

დემურ ბახტაძე აცხადებს – მე საერთოდ არც მოწმედ ვყოფილვარ დაკითხული, ასევე არ დაკითხულა **მედეა სიხარულიძე**. საინტერესოა, როგორ მცანით ეჭვმიტანილად ან სამართალდამრღვევად.

პროკურორი **დავთი ხიზანაიძე** აცხადებს – შუამდგომლობას საქმის შეწყვეტის თოაბაზე არ ვეთანხმები, რადგან იგი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, დადგენილება შედგენილია კანონის სრული დაცვით.

თეიმურაზ ტაბატაძე აცხადებს – როგორც ჩანს, პროკურორი ვერ ჩასწვდა ჩვენი მოთხოვნის არსს. ჩვენთვის გაუგებარია, ეხება თუ არა ეს დადგენილება აქ წარმოდგენილ პირებს და თუ ეხება, რატომ ეწინააღმდეგება მაშინ იგი სისხლის სამართლის კოდექსის 298-ე მუხლს?

მოსამართლემ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე, 240-ე, 252-ე მუხლებით, ადგილზე თათბირით

დ ა ა დ გ ი ნ ა

მხარეთა შუამდგომლობა – დაევალოს პროკურორს მისცეს განმარტება – არ დაკმაყოფილდეს, რადგან პროკურორი განმარტებას მისცემს სასამართლოს ახსნა-განმარტების ეტაპზე. ასევე განგიმარტავთ, რომ გამოძიება დაიწყო ფაქტის და არა კონკრეტული პირების მიმართ. თქვენთვის ცნობილია, რომ გამოძიებას არ დაუდგენია არც ეჭვმიტანილი და, მითუფრო, არც ბრძალდებული. გამოძიება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა არა დანაშაულის ჩადენის ფაქტს, არამედ ადმინისტრაციულ გადაცდომას და შეადგინა პროცესუალური დოკუმენტი – დადგენილება, მიმართვა სასამართლოსადმი განიხილოს ადმინისტრაციული გადაცდომის საკითხი. ეს არ გახლავთ სისხლის სამართლის საქმის წარმოება. სასამართლო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დაადგენს, ხართ თუ არა სამართალდამრღვევნი. რაც შეეხება საქმის წარმოების შეწყვეტის თოაბაზე შუამდგომლობას, არ დაკმაყოფილდეს, რადგან წინ გვაქვს პროცესის წარმოების მთელი რიგი ეტაპები, რაც თქვენთან ერთად უნდა გავიაროთ. ფაქტიურად თქვენ მხარეებს და სასამართლოს უსპობთ უფლებას, გაიარონ პროცესის შესაბამისი ეტაპები, რათა გამორკვეულ იქნეს საქმის გარემოებანი.

ლია მუხაშავრია აცხადებს – მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია საადვოკატო საქმიანობას ვეწევი, არასოდეს არ მქონია შეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმესთან, ამიტომ გთხოვთ, კიდევ ერთხელ განგვიმარტოთ, თუ რა უფლებები გვაქვს მე და ჩემს მარწმუნებლებს.

მოსამართლე აქვეყნებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 და 252-ე მუხლებს.

თეიმურაზ ტაბატაძე აცხადებს – გთხოვთ განგვიმარტოთ, ჩემს მარწმუნებელს ეხება თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლი?

მოსამართლე განმარტავს – ბატონო თემურ, არც თქვენს მარწმუნებელს და არც სხვა პირებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლი არ ეხებათ, რადგან მათ არ აქვთ ამ მუხლში აღნიშნული სტატუსი. ისინი საქმეში მომხადრი ფაქტის თაობაზე მოწმეებს წარმოადგენენ.

გელა დოლიძე აცხადებს – ვინაიდან სასამარლოს გადაწყვეტილება და ჩვენი ბედი ჩვენთვის ცნობილია, **გთხვოთ პირდაპირ გამოაქვეყნოთ გადაწყვეტილება** და ნუღარ გვაწვალებთ.

მოსამართლე მიმართავს მხარეს – ბატონო გელა, ძალიან გთხვოთ თქვენი შუამდგომლობები შეათანხმოთ თქვენს წარმომადგენელთან, რადგან აღნიშნული შუამდგომლობას არ წარმოადგენს და სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას მასზე გიპასუხოთ.

მხარეებს სხვა შუამდგომლობა არ აქვთ.

მოსამართლე მოახსენებს განსახილველი საქმის არსს, აქვეყნებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე და 174-ე მუხლებს.

სასამართლო გადადის მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის სტადიაზე.

მოსამართლემ, თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლისა, დარბაზში მჯდომი მოქალაქე **ნუნუ გულედანი** გააფრთხილა არ ეხმაურა და დაეცვა წესრიგი, მასვე განუმარტა, რომ ასეთი საქციელის განმეორების შემთხვევაში გაძევებული იქნებოდა დარბაზიდან.

დადგენილების ავტორი – პროკურორი **დავით ხიზანაიძე** ახსნა-განმარტების სახით აქვეყნებს საქმეში არსებულ დადგენილებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის თანახმად მოსამართლე ადგენს: სასამართლო სხდომაზე წესრიგის უხეში დარღვევისთავის **გაძევებულ იქნან** სხდომის დარბაზიდან მოქალაქეები: **ნუნუ გულედანი** და **მანანა სტვილია**.

პროკურორი **დავით ხიზანაიძე** ახსნა-განმარტების სახით აგრძელებს დადდგენილების გამოქვეყნებას და დამატებით აღნიშნავს – მითითებული

პირები ცნობილ იქნან ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე და 174-ე მუხლებისა და სახდელის სახით შეეფარდოთ ჯარიმა თითოეულს 100-100 (ას-ასი) ლარის ოდენობით.

ჯემალ მებონია ახსნა-განმარტების სახით აცხადებს – დადგენილებას არ ვეთანხმები, ჩვენი მხრიდან სამართალდარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. საქმე იმაშია, რომ უნივერსიტეტში მიმდინარეობს ნგრევის პროცესი. როდესაც წავიდა საუბარი იმაზე, რომ უნდა ჩატარებულიყო კონკურსები და ამ წესით უნდა მომხდარიყო პროფესორთა შერჩევა, ჩვენ მივმართეთ კანონმდებლებს, რომ ჩვენი ინტერესი ყოფილიყო გათვალისწინებული, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქციეს, მხოლოდ განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89-ე მუხლში იდო რაღაც იმედის მომცემი, თუმცა ისიც შემდეგ დამძიმდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. პირველ ეტაპზე უნდა მომხდარიყო პროფესორ-მასწავლებელთა გადაყვანა, რაც შემდეგ პრეზიდენტის ბრძანებულებით დამძიმდა და მიეთითა გადაყვანა კონკურსის წესით. უნდა მომხდარიყო გადაყვანა, შემდეგ შეიკრიბებოდა დიდი სამეცნიერო საბჭო, რომელიც მიიღებდა წესდებას, აირჩევდა რექტორს, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავდა კონკურსის ჩატარების წესს. მხოლოდ ამ გზით თუ გადარჩებოდა უნივერსიტეტი. დაინახეს რა ეს საშიშროება განათლების სამინისტროს ხელმძღვანელებმა, გადაწყვიტეს, აქტიურად ჩარეულიყვნენ უნივერსიტეტის საქმიანობაში, ჩაეტარებინათ ღია კონურსები და შეემცირებინათ პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა. აღნიშნული საკითხების დარეგულირების მიზნით რამდენჯერმე მივმართეთ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, მაგრამ მან ჩვენი წინადადება ყურად არ იღო. მოსვლის პირველსავე დღიდან ჩადიოდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს. უფლებების აღდგენა სასამართლოს გზით ვცადეთ, მოვიგეთ კიდეც პროცესი, მაგრამ აღსრულების პროცესი არ ხორციელდება. ყოველივე ამის გამო იძულებული გავხდით, შეგვეკრიბა დიდი სამეცნიერო საბჭო და აღგვედგინა ავტონომია, აგვერჩია ახალი ხელმძღვანელი, რათა გადაგვერჩინა უნივერსიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ დაირღვა ჩვენს მიმართ კანონი, მზად ვიყავით ამას შევგუებოდით თუ განხორციელდებოდა განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტი. მთელი რიგი დარგებისა უნივერსიტეტში დღეს არის განადგურებული.

მოსამართლის შეკითხვაზე – გთხოვთ აგვიხსნათ, როგორ მოხდა სხდომის მოწვევა, თქვენი არჩევა და, საერთოდ, რა მოხდა 2006 წლის 3 ივლისს?

ჯემალ მებონია პასხუობს – ის, რაც ხდება მხოლოდ ამ ერთი მიმართულებით არის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გამოცლა. 3 ივლისს შეიკრიბა დიდი სამეცნიერო საბჭო და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის **გია ხუბუასათვის** უნდობლობის გამოცხადების

შესახებ, რაც მას დაუყოვნებლივ უნდა ცნობოდა, რის გამოც ჩავედით რექტორატში. იქ ისე შევედით, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია. ვკითხე, რექტორი მარტო იყო თუ არა, მან მიპასუხა მარტოაო და შევედით. მარჯვნივ დავუჯექი და განვუცხადე, რომ დიდმა სამეცნიერო საბჭომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო-თქო. ვუთხარი, შეეგროვებინა თავისი პირადი ნივთები და წასულიყო. რაც შეეხება შემდეგ განვითარებულ მოვლენებს, მე მონაწილეობა არ მიმიღია. ხუბუა გავიდა კაბინეტიდან. ამის შემდეგ მოვიდა საპატრულო პოლიცია და ძალიან ზრდილობიანად გვთხოვეს, რომ დაგვეტოვებინა კაბინეტი. საბჭოს წევრები გავიდნენ, მე, ეტყობა, დაღლილად გამოვიყურებოდი და ტახტით გამიყვანეს. ჩვენ დიდი სამეცნიერო საბჭოს დავალებას ვასრულებდით და არავითარი სამართალდარღვევის მსგავსი არ მომხდარა. ხუბუას ახსნა-განმარტებას თუ გაეცნობით, იქ არსად არ წერია, რომ შეურაცხყოფას ვაყენებდით ან საპატრულო პოლიციას გავუწიეთ წინააღმდეგობა. არ ვეთანხმები დადგენილებაში აღნიშნულს, ასეთს ადგილი არ ჰქონია, ტყუილია.

მაია ნათაძე ახსნა-განმარტების სახით მოახსენებს სასამართლოს – ბატონმა ჯემალმა ორ ბრალდებაზე ისაუბრა. მე მინდა დავუმატო, რომ არც ხულიგნობას არ ჰქონია ადგილი, რადგან ეს დახურულ სივრცეში მოხდა. რექტორის კაბინეტში სულ რამდენიმე პირი ვიყავით, საჰჭოს ექვსი წევრი და რამდენიმე თანამშრომელი. საკმაოდ მშვიდად ვისაუბრეთ, ვსაუბრობდით სრულიად თავისუფლად, ყოველგვარი ხმაურის და ყვირილის გარეშე. პირიქით, თვითონ **ხუბუამ** მითხრა, რომ ვარღვევდი კანონს და ამისათვის ვიქნებოდი მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, რადგან არ ვიყავით უფლებამოსილნი. შემდეგ გამოიძახეს პოლიცია, რომელმაც საკმაოდ თავაზიანად მოგვმართეს, რომ დაგვეტოვბინა კაბინეტი.

მოსამართლის შეკითხვაზე – საპატრულო პოლიციის მოსვლის შემდეგ რექტორის კაბინეტში რამდენ ხანს დაჰყავით?

მაია ნათაძე პასუხობს – ალბათ 2-3 წუთი, ძალიან ზრდილობინად გვთხოვეს და გამოვედით.

ვახტანგ ტუსკია ახსნა-განმარტების სახით მოახსენებს სასამართლოს – უნივერსიტეტის პრობლემებს აღარ შევეხები, ეს საკითხი ყველასათვის კარგადაა ცნობილი.

მოსამართლემ თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლისა, დარბაზში მჯდომი მოქალაქე **ალეკო ცქიტიშვილი** გააფრთხილა არ ეხმაურა და დაეცვა წესრიგი, მასვე განუმარტა, რომ ასეთი საქციელის განმეორების შემთხვევაში გაძევებული იქნებოდა დარბაზიდან.

ვახტანგ ტუსკია განაგძრობს – საუბარია კონკრეტულ დარღვევაზე. **ხუბუამ** თვითონ დაწერა, რომ მისთვის შეურაცხყოფა არავის მიუყენებია. უპირ-

ველეს ყოვლისა, ჩვენ შეურაცხყოფა მას კი არა, საკუთარ თავს არ მივაყენეთ.

მოსამართლის შეკითხვაზე – საპატრულო პოლიცია რომ მოვიდა, რა მოხდა, რამდენ ხანში დატოვეთ კაბინეტი?

ვახტანგ ტუსკია პასუხობს – რამდენიმეწუთში. შემოვიდა უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის უფროსი წიკლაური საპატრულო პოლიციასთან ერთად. ძალიან თავაზიანად მოგვმართეს და ჩვენც დავტოვეთ კაბინეტი. არავითარ წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია.

გიორგი გოგოლაშვილი ახსნა-განმარტების სახით მოახსენებს სასამართლოს – აქ ბევრი ითქვა უნივერსიტეტის პრობლემებზე, 3 ივლისის მიზეზებზე, რასაც აღარ გავიმეორებ. მიგვეღო ასეთივ გადაწყვეტილება, ეს უნივერსიტეტის გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყო. აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ სარჩელი გვაქვს შეტანილი საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის ბრძანებულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. ჩვენ ყველაფერი წესდების ფარგლებში გავაკეთეთ. ჩვენ საპატრულო პოლიციას კი არა,**ხუბუასა** და **ლომაიას** არ დავემორჩილეთ, რომლებიც ცდილობენ დაანგრიონ უნვიერსიტეტი. ისე არ იქნება, როგორც მათ უნდათ, არამედ ყველაფერი იქნება ისე, როგორც კანონშია და როგორც კანონიერია. მე პირადად დამემუქრა **ლომაია** ტელეიმედის სტუდიაში, რომ **სხვაგვარად გამისწორდებოდა**, ალბათ რაც აქ ხდება ამას გულისხმობდა და ამიტომაც გააუქმა ქართული ენის ინსტიტუტი, ისევე როგორც გააუქმა ენის პალატა და მოიშორა ღვინჯილია. **ხუბუა** ღუპავს უნივერსიტეტს და ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ იგი გადარჩეს, ხოლო მისი გადარჩენა საქართველოს გადარჩენაა. პირადად მე განვაცხადე საბჭოზე, თუ რატომ უნდა გადადგეს **ხუბუა** და რატომ უნდა იყოს რექტორი **მებონია**. უნივერსიტეტს უნდა მართავდეს კაცი, რომელსაც უყვარს უნივერსიტეტი, **ხუბუა** ასეთი არ არის. მე მაინტერესებს, პროკურორმა თუ ნახა ვიდეოჩანაწერი. თუ თქვენ დამიდასტურებთ, რომ მე ვინმეს უწმაწურად მივმართე, მაშინ თვითონ ჩავჯდები ციხეში და საქვეყნოდ ბოდიშსაც მოვიხდი. **ხუბუას** მე პირადად ვუთხარი, თუ ოდნავი ღირსების გრძნობა შეგრჩათ, უნდა წახვიდეთ-მეთქი. კაცი, რომელიც მამის ტოლა ხალხს ხულიგნებს უწოდებს, არ არის ღირსი მართოს უნივერსიტეტი, კაცი, რომელიც თავის გამოცდილებას, ცოდნას, იურისტობას იყენებს იმისათვის, რომ ადასტუროს უკანონობის კანონიერება, არ არის ღირსი იყოს უნივერსიტეტის რექტორი. ვისხედით **ხუბუას** ოთხაში და ჩვენი გადაწყვეტილების თოაბაზე ვსაუბრობდით. მოვიდა მისი მოადგილე **ბოკერია**, მას რაღაც უთხრა და გავიდნენ. ჩვენ გვეგონა, შევასმინეთ და წავიდა-თქო და ტაშით გავაცილეთ. ამ დროს შემოვიდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც ჩათვალეს, რომ ტაშით მათ მივეგებეთ. პოლიციამ პირველ რიგში ჟურნალისტები გაიყვანა, შემდეგ **თენგიზ სანაძემ** იტვირთა მათთვის პატარა ლექცია ჩაეტარებინა. ძალიან ყურადღებით ისმენ-

დნენ ყოველივეს; შემდეგ მეც ჩავერთე. ყველაფერი ეს საკმაოდ მშვიდად და კულტურულ გარემოში მიმდინარეობდა სულ რამდენიმე წუთით. შემდეგ გვთხოვეს დაგვეტოვებინა კაბინეტი და ჩვენც წამოვედით. ყველაფერი ისეთ მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, რომ პატრულს ისიც კი ვთხოვე, ხელი მაინც მომკიდეთ, ჩემით როგორ გავიდე-მეთქი. არ ვეთანხმები და საკმაოდ დასაბუთებული ეჭვიც მიჩნდება, როდესაც წინააღმდეგობის გაწევაზეა საუბარი, რადგან ასეთს ადგილი არ ჰქონია.

თენგიზ სანაძე ახსნა-განმარტების სახით მოახსენებს სასამართლოს – მე ფეხდაფეხ მივყვებოდი **მებონიას**; **ხუბუას** თავის ჩვენებაში ზუსტად აქვს აღწერილი იქ განვითარებული მოვლენების შესახებ, მხოლოდ ერთი შეცვალა. **მებონიამ**უთხრა პირადი ნივთები წაიღეო, მას კი უწერია, რომ „მებონიამ მითხრა მოხიკე ბარგი-ბარხანაო“. წარმოგიდგენთ საბჭოს გადაწყვეტილებას, წარმოდგენილი დაერთო სხდომის ოქმს. საბჭომ მიიღო სწორი გადაწყვეტილება, რადგან კანონი ირღვეოდა. რაც შეეხება პატრულის თანამშრომლების მოსვლის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს: ისინი ძალიან თავაზიანად იქცეოდნენ, მოვიდნენ **ხუბუას** წასვლის შემდეგ და მათთან ერთად კაბინეტში რამდენიმეწუთით დავრჩით.

ავთანდილ არაბული ახსნა-განმარტების სახით მოახსენებს სასამართლოს – იმ სამარცხვინო მოვლენების მიზეზი გახლავთ კანონის არარსებობა და არსებულის არასწორი განხორციელება; შემდეგ ეს არის ვოლუნტარიზმი, მოვლენების პროვოცირება და პიროვნებების ჩამოშორება. საბჭოს სხდომა ეს იყო ერთ-ერთი დასკვნითი ღონისძიება, რომლითაც ვცდილობდით რექტორის მოვალეობის შემსრებლისათვის რაიმე შეგვესმინა. საბჭოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ცნობდა რექტორის მოვალეობის შემსრულებელს. არადა, არცერთ კანონში არ წერია, რომ პატრულმა უნდა სდიოს ამა თუ იმ დაწესებულების თანამშრომლებს კაბინეტებში. წინააღმდეგობა სრულიად გამორიცხულია, რადგან ასეთსადგილი არ ჰქონია. **ხუბუას** კაბინეტში მე გვინ შევედი, რადგან ქალაბტონი **მაია ნათაძე** მომყავდა ხელკავით. **ბოკერია** იქ განვითარებულ მოვლენებს ტელეფონით იღებდა და საოცარია, ამ მასალას პროკურატურა რომ არ იყენებს. კაბინეტში შევედი და სკამზე ჩამოვჯექი. ამ დროს **ხუბუამ** მომმართა: „ბატონო ავთო, თუ შეიძლება ისინი გაიყვანეთო“, თავდაპირველად გადავწყვიტე, არ მეპასუხა, შემდეგ გადავწყვიტე ამეხსნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობას მძიმე შედეგები მოჰყვებოდა. **ხუბუა** გავიდა კაბინეტიდან და პატრული შემოვიდა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ისიც კი ვუთხარი, ბატონ გიას დოკუმენტაცია აქვს მაგიდაზე გაშლილი და ნახეთ, თუ რაიმე აკლია-მეთქი. საპატურლო პოლიციის თანამშრომლები კი გვეუბნებოდნენ, რომ ასეთი დავალება გვაქვს, უნდა გაგიყვანოთ და გთხოვთ,

აქ ნუ გაჩერდებითო. ჩვენც ჭიდაობას ხომ არ დავიწყებდით და გავედით.

დემურ ბახტაძე ახსნა-განმარტების სახით მოახსენებს სასამართლოს – ჩემი კოლეგების მიერ ყველაფერი ფოტოგრაფიული სიზუსტით იქნა გადმოცემული და დასამატებელი არაფერი არ მაქვს. მხოლოდ ერთი მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი მხრიდან შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია, პირიქით – თვითონ ვარ შეურაცხყოფილი ასეთი მდგომარეობით.

მოსამართლის შეკითხვაზე – რექტორის მოვალეობის შემსრულებლის კაბინეტში იყავით?

დემურ ბახტაძე პასუხობს – დიახ, იქ ვიყავი და პატრული რომ მოვიდა, გამოვედი კაბინეტიდან და დერეფანში ვიდექი მრავალ აქ მყოფ ადამიანთან ერთად. ერთადერთი, რაც **ხუბუას** და **ბოკერიას** ვუთხარი არის ის, რომ არ შეეფერებიან დაკავებულ თანამდებობებს.

მედეა სიხარულიძე ახსნა-განმარტების სახით მოახსენებს სასამართლოს – ბევრი ითქვა იმის შესახებ, თუ როგორ ირღვეოდა კანონი, ჩვენი უფლებები. ვცდილობდით ჩვენი უფლებები კანონიერი გზით, სასამართლოს საშუალებით აღგვედგინა. ერთწლიანი დავის შემდეგ ჩვენი სარჩელი დაკმაყოფილდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას **ხუბუას** მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

პროკურორი **დავით ხიზანაიძე** აცხადებს – თქვენი ახსნა-განმარტება ამ საქმესთან კავშირში არ არის, გთხოვთ საქმესთან დაკავშირებით ისაუბროთ.

მედეა სიხარულიძე აცხადებს – სწორედ საქმესთან არის კავშირში. 2006 წლის 3 ივლისს დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ოქმს ვადგენდი, ოქმის შავი ჩანაწერით წავედი რექტორის კაბინეტისაკენ. კაბინეტში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შევედი. იქ დაახლოებით 20 წუთი დავყავი, შემდეგ გამოვედი და მდივანთან ვიჯექი, ვიდეო კამერა მეჭირა და ვიღებდი. გარედან ხმები მესმოდა, ვიფიქრე გვარბევენ-მეთქი, ასეთ ფაქტს ადრეც ჰქონდა ადგილი და ამის გაფიქრებაზე ცუდად გავხდი, ისე ცუდად, რომ დაცვამ ვალიდოლიც კი მომაწოდა. რექტორის კაბინეტიდან საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელი **გრიგალაშვილი** გამოვიდა, ჩემს წინ დაჯდა, შემდეგ, რომ დამინახა ადგა, ჩემთან მოვიდა, მომიკითხა. ამ დროს გამოვიდა **ხუბუა** და ჟურნალისტები გაიყვანა, პრესკონფერენციას ჩავატარებო. შემდეგ პატრულმა საკმაოდ ზრდილობიანად გვთხოვა, რომ იქაურობა დაგვეტოვებინა. ჩვენც ჭიდაობას ხომ არ დავიწყებდით, და გამოვედით. დავინახე, პატრული როგორ შევიდა **ხუბუას**კაბინეტში, იმ დროს მე იქ არ ვიყავი, მისაღებში ვიყავი. მაგრამ ის დღე ამით არ დამთავრებულა. შევიკრიბეთ სააქტო დარბაზში, სადაც ამოქოლეს ყველა კარი და ფანჯარა და დაგვტოვეს უწყლოდ, კიბის უჯრედიდან გვაწვდიდნენ წყალს და პატრულს ბრძანება მისცეს, ის თოკი გადაეჭრათ. გასარკვევია, ვინ გასცა ასეთი ბძრანება, ამის თაობაზე გენერალურ პროკურატურაში საჩივარი გვაქვს შეტანილი. წარმოგიდგენთ დიდი სამეცნიერო სა-

ბჭოს 2006 წლის 3 ივლისის სხდომის ოქმს. ეს უკანასკნელი ოთხ ფურცლად დაერთო სასამართლო სხდომის ოქმს.

გელა დოლიძე დამატებით განმარტავს – ვერ გავიგე რა უფლება აქვს პოლიციას, რომელი კანონით და ვისი ბრძანებით მოქმედებდა, როდესაც უწყლოდ და უჰაეროდ დაგვტოვა? რომელ შეურაცხყოფაზეა საუბარი, ერთადერით, რაც **ხუბუას** ვუთხარი, რომ იგი არის ოდიოზური ფიგურა და უნივერსიტეტისათვის მიუღებელი ხელმძღვანელი. პატრულის მოსვლის შემდეგ კაბინეტში სულ რაღაც 15-16 წუთი დავყავით, რაც ძალიან სასიამოვნო ფაქტი იყო, რადგან ისინი თავს უხერხულად გრძნობდნენ, ამბობდნენ: რა ვქნათ, ასეთი ბძრანება გვაქვსო, ხოლო ბატონი **გიორგი** და ბატონი **თენგიზი** მათ ლექციას უკითხავდნენ.

თენგიზ სანაძე დამატებით განმარტავს – შეურაცხყოფა არავისთვის მიგვიყენებია. ერთადერთი რაც გვინდოდა იყო ის, რომ **ხუბუა** დამორჩილებოდა დიდი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებას.

ლია მუხაშავრია ახსნა-განმარტების სახით მოახსენებს სასამართლოს – აქ წარმოდგენილ პროფესურასთან პროფესიული დამოკიდებულება მაქვს, მათ იურიდიულ კონსულტაციას ვუწევ. 2006 წლის 3 ივლისს დაახლოებით საღამოს 10:00 საათზე დამირეკეს და მივედი უნივერსიტეტში. იგი ჩაკეტილი იყო. ვითხოვდი შესვლას, მაგრამ არ შემიშვეს. დავურეკე შიგნით მყოფებს და მითხრეს, რომ რამდენიმე ცუდად იყო. მე პირადად დავრეკე 03-ში, ამის ჩანაწერიც არსებობს და თუ გნებავთ, წარმოგიდგენთ. 03-ის თანამშრომლები მთელი ღამე მორიგეობდნენ. სამართალდარღვევას ამ ადამიანების მხრიდან ადგილი არ ჰქონია, პირიქით, დროებითმა ადმინისტრაციამ უფრო დაარღვია კანონი და შელახა ამ ადამიანების უფლებები. ყველა სამეცნიერო საბჭოს სხდომის წინ ვითხოვდით **ხუბუასაგან**, რომ მოსულიყო და სხდომას დასწრებოდა, მაგრამ არასოდეს არ მოვიდა. საბჭომ საჭიროდ ჩათვალა, რომ თვითონ მისულიყვნენ და გადაწყვეტილება ეცნობებინათ. ეს ღვაწლმოსილი ადამიანები მას შეურაცხყოფას არ მიაყენებდნენ.

მოსამართლის შეკითხვაზე მხარეებს, მათ წარმომადგენელსა და ადვოკატს ახსნა-განმარტების ეტაპზე დასამატებელი არაფერი აქვთ.

მხარეთაახსნა-განმარტებების მოსმენის ეტაპი დასრულდა.

სასამართლო გადადის შეკითხვების ეტაპზე.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე – პატრულის თანამშრომლებმა გთხოვეს თუ არა, რომ დაგეტოვებინათ კაბინეტი და დაირღვა თუ არა სამუშაო რეჟიმი?

გიორგი გოგოლაშვილი პასუხობს – დიახ, გვთხოვეს დაგვეტოვებინა კაბინეტი და ჩვენც გავედით. სამუშაო რეჟიმი არ დარღვეულა, რადგან ჩვენ არასაუნივერსიტეტო თემებზე სასაუბროდ კი არ შევსულვართ **ხუბუასთან**;

მაჩვენეთ, სად წერია, რომ პროფესურას რექტორთან შესვლის უფლება არ აქვს.

მაია ნათაძე პასუხობს – ვისი სამუშაო რეჟიმი დავარღვიეთ, გაუგებარია. ეს ჩვენი სამუშაო რეჟიმია.

ვახტანგ ტუსკია პასუხობს – ათასჯერ მაინც შევსულვარ რექტორის კაბინეტში და არცერთს არ უთქვამს, რომ დავარღვიე სამუშაო რეჟიმი და ახლა **ხუბუა** მეუბნება, რომ სამუშაო რეჟიმს ვურღვევ?

დავით ხაზანაიძის შეკითხვაზე – ვის სკამზე იჯექით და ვისი სკამით გამოგიყვანეს გარეთ? გამოყვანამდე გითხრათ თუ არა პატრულმა, რომ უნდა გამოსულიყავით?

ჯემალ მებონია პასუხობს – ვიჯექი ჩვეულებრივ სკამზე და პოლიციამ სკამით გამომიყვანა; ჩემთვის წინასწარ არ უთქვამთ; ზოგადად იყო საუბარი, რომ დაგვეტოვებინა კაბინეტი.

ავთანდილ არაბული პასუხობს – საპატრულო პოლიციის შემოყვანა იმ სიტუაციაში უნდა შეფასდეს, როგორც მოვლენათა პროვოცირება; ჩვენ ვართ უნივერსიტეტის თანამშრომლები, თანამდებობის პირები; პატრულის მოყვანა, ეს უნდა შეფასდეს, როგორც მოვლენათა პროვოცირება მათი მხრიდან. პატრული იყო უჩვეულოდ კორექტული და კაბინეტი მათი მოთხოვნისთანავე დავტოვეთ. არც სამუშაო რეჟიმი არ შეგვიფერხებია, რადგან სწავლა არ მიმდინარეობდა და თან დღის მეორე ნახევარი იყო. სხდომის თაობაზე რექტორის მოვალეობის შემსრულებელს წინასწარ ვაცნობეთ, აუდიტორიის გამოყოფა და სხდომაზე დასწრება ვთხოვეთ, გამოგვიყო 93-ე აუდიტორია, მაგრამ იქ გამოცდა მიმდინარეობდა და ამიტომ 103-ში შევედით. სხდომაზე **ხუბუა** არ მოვიდა და გადავწყვიტეთ, მისთვის მიღებული გადაწყვეტილება გვეცნობებინა. ჩვენ თუ თუნდაც ერთი საათით მისი მუშაობა შევაფერხეთ, არ ვიცი და ისე ჩვენც სამუშაოდ ვიყავით მისულები.

მაია ნათაძე აცხადებს – საინტერესოა, ბატონმა პროკურორმა თუ იცის, რომ საერთაშორისო სტანდარტების თანახმად უნივერსიტეტში პატრულის შემოყვანა არ შეიძლება? ასევე წამებად კვალიფიცირდება ქმედება, როდესაც ადამინს აიძულებ ერთი საათის განმავლობაში იყოს ჩაკეტილ ოთხაში უჰაეროდ, წყლისა და ტუალეტის გარეშე.

გელა დოლიძის შეკითვხაზე – თუ ჰკითხეთ **ხუბუას,**„ხიხო“ ვინ უწოდა ან საერთოდ ვინ თქვა ეს სიტყვები, თუ არის გამოკვლეული?

დავით ხიზანაიძე პასხუობს – საქმეზე ჩატარებულია გამოძიება, დაიკითხა მრავალი მოწმე, ხოლო თუ ვინ რა თქვა, საქმეში ნათლად არის დაფიქსირებული.

გელა დოლიძის შეკითხვასზე – მე ვსვამ კითხვას, კონკრეტულად ვინ თქვა?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – ოთხაში იყო შეძახილები.

14:55 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

15:35 საათზე სხდომა გრძელდება სასამართლოს იმავეშემადგენლობით შეკითხვების ეტაპიდან.

ავთანდილ არაბულის შეკითხვაზე – ვისი ჩვენებითაა დადასტურებული, რომ 9 კაცი ვხელმძღვანელობდით ამ მოვლენებს, არ ვემოჩრილებოდით და ვხულიგნობდით? იქ ბევრი ადამიანი იყო და რატომ მაინცადამაინც 9 კაცი? რა, ჩვენ ვართ ხულიგნები და დანარჩენები ანგელოზები?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – ჩვენ არ ვიძახით, რომ თქვენ ხულიგნები ხართ; თუ საქმეს გულდასმით გაეცნობოდით, ნახავდით, რა როგორ არის აღწერილი. ყველაფერი აღწერილია და დაფიქსირებულია ისე, როგორც იყო. ეს დადგენილია საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით.

ავთანდილ არაბულის შეკითხვაზე – გასაგებია და ამას ყველა ვაღიარებთ, რომ საბჭომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, მაგრამ ეს ფაქტები ყველას ერთნაირად გვეხება? ერთად და ყველას ერთნაირი პასუხისმგებლობა გვეკისრება?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – დადგენილებაში გარემოებები აღწერილია საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების შეკრებით.

გიორგი გოგოლაშვილის შეკითხვაზე – ჩვენებაში არის მითითებული, რომ **გოგოლაშვილი** მოუწოდებდა ხალხს, წავიდეთ და დავსხდეთ **ხუბუ-ას**ოთახშიო? მე ვიცნობ საქმის მასალას სრულად თავიდან ბოლომდე, ფურცელ-ფურცელ და იქ ასეთი რამე ვერ ვნახე.

დავით ხიზანაიძე პასუხობს – ეს არის მოწმეთა ჩვენებაში.

მაია ნათაძის შეკითხვაზე – რატომ არის ისე, რომ კაბინეტში ისე შევედით, რომ არავის არ გავუჩერებივართ და დაბკროლება არ შეგვქმნია?

დემურ ბახტაძის შეკითხვაზე – მე არ ვარ დიდი საბჭოს წევრი. დადგენილებაში გადმოტანილია ტავტოლოგია იმისა, რაც თქვენ გითხრეს, რომ გაგეკეთებინათ.

დავით ხიზანაიძე პასუხობს – თქვენ წინააღმდეგობა გაგიწიათ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანაშემწემ და უნივერსიტეტის დაცვამ, ეს ჩვენებაში არის დაფიქსირებული. ბატონო დემურ, არ არის აუცილებელი, რომ იყოთ დიდი საბჭოს წევრი იმისათვის, რომ დაარღვიოთ წესრიგი და შეხვიდეთ ვინმეს კაბინეტში.

გელა დოლიძის შეკითხვაზე – დღევანდელი სხდომა დაიწყო იმით, რომ ჩვენ მიერ დაყენებული იქნა მოთხოვნა წესდების გამოთხოვის თაობაზე, რაც არ დაკმაყოფილდა, რადგან წესდება არსებობს და მოქმედებს, რომლის საფუძველზეც საბჭო არის ლეგიტიმური ორგანო. ვისი ბძრანებით და რა უფლებით მოახდინა პატრულმა საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული ქმედების აღკვეთა?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – საქმეში არის დოკუმენტი, შეტყობინება, რომლის საფუძველზეც პატურლი უფლებამოსილი იყო და შევიდა უნივერსიტეტში.

მაია ნათაძის შეკითხვაზე – ეს შეტყობინება ანონიმური იყო?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – არ ვიცი, ჩემთვის უცნობია.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – ამ დადგენილების მე-2 პუნქტი ეხება თუ არა აქ წარმოდგენილ პირებს?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – ამ კითხვაზე მოსამართლემ ერთხელ უკვე გიპასუხათ ამომწურავად, ამიტომ ამაზე დროის დაკარგვა არ ღირს.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – კონკრეტულ კითხვას ვსვამ და გთხოვთ გამცეთ კონკრეტული პასუხი. ე. ი. ესპუნქტი აქ წარმოდგენილ პირებს არ ეხებათ?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – დიახ.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – აქ დასმული იყო კითხვა, თუ ვინ იყო ის პირი, ვინც დარეკა საპატრულო პოლიციაში და ვინ გამოიძახა ისინი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლი საუბრობს პირებზე, თუ ვისი განცხადებით დაიწყო გამოძიება, ასევე პირებზე, თუ ვის ეხება ეს დადგენილება. თქვენ დადგენილებები ვის გაუგზავნეთ?

მოსამართლე აცხადებს – ამ კითხვას ვხსნი, რადგან მასზე უკვე გეპასუხათ.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – რას ნიშნავს დადგენილების მე-2 პუნქტი და რისთვის არის დადგენილებაში შეტანილი?

მოსამართლე აცხადებს – ამ კითხვას ვხსნი, რადგან ეს საკითხი სასამართლოს არ აინტერესებს.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე –აქ წარმოდგენილ პიროვნებებს ბრალს სდებთ წვრილმან ხულიგნობაში, აქვეყვნებს აღნიშნულ მუხლს. გთხოვთ მიპასუხოთ, საზოგადოებრივი თავშეყრის რომელ ადგილზე მოხდა ქმედება, რაც თქვენ ხულიგნობად შერაცხეთ. რას წარმოადგენს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – უნივერსიტეტის შენობაში, რექტორის კაბინეტში.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბატონი **ხუბუას** კაბინეტი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილია?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – კონკრეტული ქმედება მოხდა უნივერსიტეტში და არა მარტო **ხუბუას** კაბინეტში.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – საქმის მასალებიდან გამომდინარე თუ ჩავთვლით, რომ წვრილმანი ხულიგნობის ფაქტი მოხდა **ხუბუას** კაბინეტში, ე. ი. **ხუბუას** კაბინეტი არის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი. სა-

ქართველოს კონსტიტუციაში საუბარია ადამიანის მრავალ უფლებაზე. თუ **ხუბუას** კაბინეტი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილია, მაშინ რატომ შეუზღუდეს ამ ხალხს შეკრებილიყვნენ იქ საჯაროდ და თავისუფლად?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – ადგილი ჰქონდა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის კაბინეტში შეჭრის ფაქტს და სწორედ ამიტომ იქნა ნაწარმოები ეს საქმე.

თემურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – ჩვენი კანონმდებლობა არ იცნობს კოლექტიურ პასუხისმგებლობას. იქნებ განგვიმარტოთ, რომელი დარღვევა ვის მიერ იქნა ჩადენილი, თუ ისინი ყველანი ერთნაირად და ერთად მოქმედებდნენ? **ავთანდილ არაბულის** მიერ კონკრეტულად რომელ ქმედებას ჰქონდა ადგილი?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – მათ მიერ დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი, აქვეყნებს საქართველოს სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლს.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითვხაზე – **არაბული** ვის გადაეკიდა?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – იყო შეურაცხმყოფელი შეძახილები, რაც გამოიხატა გადაკიდებაში.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – რა შეძახილებს ჰქონდა კონკრეტულად ადგილი?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – კონკრეტულად რა სიტყვები ითქვა, ამის თქმა არ შემიძლია.

თეიმრაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – ბრალს დებთ ადამიანს დაუმორჩილებლობაში, აქვეყნებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლს. აქ საუბარია არა უბრალოდ დაუმორჩილებლობაზე, არამედ ბოროტ დაუმორჩილებლობაზე. რაში გამოიხატა დაუმორჩილებლობის ბოროტება?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – საპატრულო პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა მოთხოვნას, რომ დაეტოვებინათ კაბინეტი – თავშეყრის ადგილი, რაც არ იქნა შესრულებული.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – აქვეყნებს ადმნისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174-ე მუხლს. ამიხსენით რა უფლება განახორციელეს თვითნებურად და რისი განხორციელების უფლება არ ჰქონდათ?

დავით ხიზანაიძე პასხუობს – შეიკრიბნენ, ჩაატარეს კრება, სადაც რექტორის მოვალოების შემსრულებლად აირჩიეს **მებონია**, შემდეგ გადაწყვიტეს, ყოველივე ეს ეცნობებინათ **ხუბუასათვის**, შეიჭრნენ მასთან და უთხრეს, რომ დაეტოვებინა უნივერსიტეტი.

თეიმურაზ ტაბატაბძის შეკითხვაზე – შეგიძლიათ მითხრათ, წესდების რომელი მუხლით მოქმედებდა **ხუბუა**?

მოსამართლე აცხადებს – ამ კითხვას ვხსნი, რადგან არ არის დავის საგანთან დაკავშირებული.

თეიმრაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – წესდება, რომელიც არსებობს, შეიცვალა თუ არა სხვა წესდებით და მოხდა თუ არა მისი რეგისტრაცია?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – ეს საქმესთან კავშირში არ არის. ცნობილია თუ არა, ეს აღწერილია დადგენილებაში – აქვეყნებს აღნიშნულს.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითვხაზე – მიღებულია თუ არა წესდების ახალი რედაქცია?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – არ ვიცი, ცნობილი არ არის.

ლია მუხაშავრიას შეკითხვაზე – ცნობილია თუ არა თქვენთვის, როდის იყვნენ ისნი არჩეულნი დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრებად და რა ვადით?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – არ ვიცი, მაგრამ ამას ამ ფაქტთან კავშირი არ აქვს.

ლია მუხაშავრიას შეკითხვაზე – დაინტერესდა თუ არა გამოძიება უნივერსიტეტის შინაგანაწესით? როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს პროფესორსა და რექტორს?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – დიახ ცნობილია. მე კანონის ინტერპრეტაციას ვერ მოვახდენ. დამისვით შეკითვხები სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

ლია მუხაშავრიას შეკითვხაზე – დააზუსტეთ, რა ვადით შეჩერდა მუშაობა ან დაირღვა წესრიგი უნივერსიტეტში?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – დაახლოებით ორი საათი. ამ საკითხთან დაკავშირებით სიზუსტისათვის უმჯობესია მოწმეები დავკითხოთ.

ლია მუხაშავრიას შეკითხვაზე – რაში გამოიხატა წესრიგის დარღვევა?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – ეს საკითხები დადგენილებაში ნათლად და ზუსტად არის ჩამოყალიბებული.

ლია მუხაშავრიას შეკითხვაზე – თუ არის თქვენთვის ცნობილი, ვისი ბრძანებით მოხდა პროფესორ-მასწავლებელთა ჩაკეტვა და მათი უწყლოდ, უჰასეროდ და ტუალეტის გარეშე დატოვება?

მოსამართლე აცხადებს – ამ კითხვას ვხსნი, რადგან დღეს ამ საკითხს არ ვიხილავთ.

ლია მუხაშავრიას შეკითხვაზე – თქვენთვის ცნობილია თუ არა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბძრანებულებასთან დაკავშირებით სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოშია წარდგენილი?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – ჩვენ დღეს ამ საკითხებს არ ვიხილავთ.

გელა დოლიძის შეკითხვაზე – თქვენ აღნიშნეთ, რომ არ იცით, ვინ გამოიძახა საპატრულო პოლიცია?

მოსამართლეაცხადებს – ამ კითხვას ვხსნი, რადგან არ არის დაკავშირებული განსახილველ საკითხთან.

გელა დოლიძე აცხადებს – როგორ დავრწმუნდე სასამართლოს დამოუკიდებლობასადა მიუკერძოებლობაში? ეჭვი მაქვს, რომ გადაწყვეტილება მზად გაქვთ და რაღას გვაწვალებთ, გამოგვიცხადეთ.

მედეა სიხარულიძის შეკითვხაზე – კონკრეტულად მე რა შეურაცხმყოფელი ქმედება ჩავიდინე რექტორის კაბინეტში და ვის გადავეკიდე? ვის მივაყენე შეურაცხყოფა?

დავით ხიზანაიძე პასუხობს – თქვენს ქმედებაში არ არის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. ჩადენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი.

მოსამრათლის შეკითხვაზე – აქ წარმოდგენილთაგან რომლები ხართ დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრები?

გელა დოლიძე პასუხობს – მაია ნათაძე, თენგიზ სანაძე, ავთანდილ არაბული, გიორგი გოგოლაშვილი, ჯემალ მებონია და მე მინდობილობის საფუძველზე, წარმოვადგენ ალექსანდრე კარტოზიას.

მოსამართლის შეკითხვაზე – როდის მოხდა **ჯემალ მებონიას** არჩევა რექტორის მოვალეობის შემსრულებლად და ესწრებოდით თუ არა ცხრავე?

გელა დოლიძე პასუხობს – ვახტანგ ტუსკიას გარდა ვესწრებოდით, მაგრამ დემურ ბახტაძე და მედეა სიხარულიძე არ მონაწილეობდნენ, რადგან არ არინ დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრები.

მოსამართლის შეკითხვაზე – ყველანი ერთად გაემართეთ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის კაბინეტისაკენ?

დემურ ბახტაძე პასუხობს – დიახ, მაგრამ მე გვიან შევედი, თუმცა მთელი ეს პერიოდი მათთან ერთად ვიყავი.

შეკითხვების ეტაპი დასრულდა.

სასამართლო გადადის მოწმეთა დაკითხვის ეტაპზე.

თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2, 256-ე მუხლებისა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე სმუხლისა იკითხება მოწმე **ვარლამ ჯანელიძე**, მცხ.: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-2 კვარტ. კორპ. №34, ბ. №47, სამუშაო ადგილი – ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1-ლი კორპუსის დაცვის თანამშრომელი. იგი გაფრთხილებულ იქნა ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე, რის შესახებაც ჩამოერთვა ხელწერილი, რაც დაერთო სხდომის ოქმს.

ვარლამ ჯანელიძე მოახსენებს სასამართლოს – აქ წარმოდგენილ პიროვნებებს სახით ვცნობ, სახელი და გვარი არცერთის არვიცი. ისინი უნივერსიტეტის თანამშრომლები არიან. 2006 წლის 3 ივლისს ვასრულებდი ჩემს სამსახურეობრივ მოვალოებას. სააქტო დარბაზში ტარდებოდა სხდომა, მას მეც

ვესწრებოდი. სხდომის დამთავრების შემდეგ დაახლოებით 50 კაცი წამოვიდა რექტორის კაბინეტისაკენ, დაცვასარ დაემორჩილნენ და ძალის გამოყენებით შეიჭრნენ რექტორის კაბინეტში. რექტორის კაბინეტის შესასვლელ კარში იდგა დაცვის ორი თანამშრომელი, ჩვენ მოვუწოდებდით სიმშვიდისაკენ, მაგრამ არ დაგვემორჩილენ და მე პირადად ხელის კვრით მომიშორეს.

მოსამართლის შეკითხვაზე – აქ წარმოდგენილ პირთაგან ხელის კვრით რომელმა მოგიშორათ?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – არ მახსოვს ზუსტად, რომელი იყო. ვეღარ გავედი, კარი იყო ჩაკეტილი, შემდეგ პატრულიც მოვიდა.

მოსამართლის შეკითხვაზე – პატრულის მოსვლის შემდეგ რა მოხდა?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – არ ვიცი. შემდეგ იქ აღარ ვყოფილვარ.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე – შეჩერდა თუ არა სამუშაო რეჟიმი?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – დიახ.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე – რაიმე უცენზურო შეძახილები იყო?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – დიახ, მე დერეფანში ვიდექი და შიგნიდან ისმოდა.

მოსამართლის შეკითხვაზე – პატრული რამდენ ხანში მოვიდა?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – ზუსტად არ ვიცი.

მოსამართლის შეკითხვაზე – რაში გამოიხატა სამუშაო რეჟიმის დარღვევა?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – იყო ხმაური და ვეღარ ვმუშაობდით.

გიორგი გოგოლაშვილის შეკითხვაზე – ძალით რომელი კარი შევხსენით?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – დერეფნის კარი და კორიდორში ძალით შეიჭერით.

გიორგი გოგოლაშვილის შეკითხვაზე – თქვენ სად იდექით, ჩვენ არ მოგვყვებოდით?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – დიახ, თქვენთან ერთად ვიყავი, მაგრამ რომ წამოხვედით, წინ გამოგასწარით.

ჯამალ მეზონიას შეკითხვაზე – ძალა ვინ გამოიყენა?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – სახეზე ზუსტად არ მახსოვს, რომელი იყავით.

მედეა სიხარულიძის შეკითხვაზე – თქვენ ბძრანეთ დერეფნის კარი ძალით შეხსენითო, იმ დერეფანში მრავალი კაბინეტია და კარი ვისი ბძრანებით ჩაკეტეთ? და საერთოდ, იკეტება ის კარი?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – დიახ, კარი იკეტება.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე – უნივერსიტეტში ხშირია ისეთი შემთხვევები, რომ 50 კაცი ერთად შევიდეს რექტორის კაბინეტში?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – არა, რას ამბობთ.

მედეა სიხარულიძის შეკითხვაზე – კონკრეტულად მე რა დავაშავე?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – მე თქვენ არ გიცნობთ და არც იქ არ მახსოვხართ.

გელა დოლიძის შეკითხვაზე – საქმეშია თქვენი ჩვენება, აქვეყნებს. რა შეურაცხყოფას აყენებდნენ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – „ხიხოს“ ეძახდნენ, კონკრეტულად ვინ, არ მახსოვს.

ავთანდილ არაბულის შეკითხვაზე – დაცვის თანამშრომლებისათვის თუ არსებობს დებულება, რომელიც გავალებთ, რომ პროფესორ-მასწავლებლებს უნდა შეუქმნათ ბარიერი?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – როდესაც ხალხი ჯგუფად მოდის, ჩვენ ყოველთვის წინასწარ გვატყობინებენ. ამ შემთხვევაში შეტყობინება არ იყო და ამიტომ ვცდილობდით, რომ შეგვეჩერებინეთ.

გიორგი გოგოლშვილის შეკითხვაზე – იქ ივ. ჯავახიშვილის კბაინეტია და იქნებ იქ მივდიოდით და არა რექტორთან?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – ამას წინასწარ შეგვატყობინებდნენ.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – შეგიძლიათ **არაბულზე** რაიმე კონკრეტულად მითხრათ? ხელი გკრათ? შეურაცხყოფა მოგაყენათ?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – არა.

თემურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – რატომ აჩერებდით მათ, იცოდით რისთვის მოდიოდნენ?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – რომ წამოვიდვნენ, შენიშვნა მივეცი და ვთხოვე დაბრუნებულიყვნენ.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითვხაზე – რატომ აჩერებდით?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – რომ არ შესულიყვნენ რექტორის კაბინეტში და არაფერი მომხდარიყო.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – შეხვედით თუ არა რექტორთან და მოახსენეთ თუ არა, რომ ისინი მოდიოდნენ?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – არა, მე რექტორთან არავითარი შეხება არ მაქვს.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – საიდან დაასკვენით, რომ ისინი სამართალდარღვევისათვის მიდიოდნენ?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – ერთად ბევრნი მოდიოდნენ.

ლია მუხაშავრიასშეკითხვაზე – დემურ ბახტაძე თუ იყო იქ და რა ჩაიდინა?

ვარლამ ჯანელიძე პასუხობს – იქ იყო, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია.

მხარეებსა და სასამართლოს მოწმის მიმართ შეკითხვები აღარ აქვთ.

თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე–2, 256-ე მუხლებისა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე–2 ნაწილისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლისა იკითხება მოწმე **გელა ჩარგაზია**, მცხ.: ქ. თბილისი, ვარკეთილი-3, მე-2 მ/რ, კორპ. № 25ა, ბ. № 65, სამუშაო ადგილი – ქ. თბილისის საპატურლო პოლიციის მთავარი სამმართვლოს ისანი-სამგორის განყოფილების პატრულ-ინსპექტორი. იგი გაფრთხილებულ იქნა ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე, რის შესახებაც ჩამოერთვა ხელწერილი, რაც დაერთო სხდომის ოქმს.

გელა ჩარგაზია მოახსენებს სასამართლოს – მივიღეთ შეტყობინება ჩვენი უშუალო უფროსის მიერ, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე უნდა დაგვემყარებინა წესრიგი. იქ რომ მივედით, დაახლოებით 200 კაცამდე იყვნენ თავმოყრილი. დაახლოებით შუადღე იყო, შემდეგ შიგნით შევედით, უნივერსიტეტში სწავლის პროცესი ჩაიშალა. ნაბრძანები გვქონდა, გაგვეთავსიუფლებინა რექტორის კაბინეტი.

მოსამართლის შეკითხვაზე – კაბინეტში ვინ დაგხვდათ?

გელა ჩარგაზია პასუხობს – პირველ რიგში კაბინეტში შესვლას ვცდილობდით, რადგან იქ ცოცხალი კედელი იყო აღმართული. გვლანძღავდნენ, რატომ მოხვედით და უნივერსიტეტის საქმეებში რატომ ერევითო. შემდეგ შევედით მისაღებში, შემდეგ კი კაბინეტში, სადაც დაახლოებით 20 კაცი დაგვხვდა. ვთხოვეთ, ძალიან ზრდილობიანად, რომ გასულიყვნენ:. ჩვენს მიმართ იყო შეძახილები, კონკრეტულად ვისგან, ვერ ვიტყვი, რადგან ერთი თვე გავიდა და ხელს ვერავის დავადებ, ზუსტად არ მახსოვს. ჩვენი მხრიდან იყო თხოვნა, რომ დაეტოვებინათ კაბინეტი. გვპასუხობდნენ, რომ ითხოვდნენ უნივერსიტეტის დამოუკიდებლობას და ითხოვდნენ **ხუბუას** გადადგომას.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე – თქვენს მოთხოვნას დაემორჩილნენ?

გელა ჩარგაზია პასუხობს – არა, თავიდან არა. დაახლოებით ერთი საათი დაგვჭირდა, რომ იქ შეკრებილები გამოგვეყვანა. ყველაფერი იყო ზრდილობის ფარგლებში. ისინი სააქტო დარბაზში გავიდნენ და შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი.

ჯემალ მებონიას შეკითხვაზე – დაახლოებით რომელ საათზე მოხვედით?

გელა ჩარგაზია პასუხობს – დაახლოებით შუადღე იყო, ერთი ან ორი საათი იქ დავყავით.

ჯემალ მებონიას შეკითხვაზე – წინააღმდეგობა რომელმა ჩვენგანმა გაგიწიათ?

გელა ჩარგაზია პასუხობს – ფიზიკურ წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია.

გიორგი გოგოლაშვილის შეკითხვაზე – გახსოვართ თუ არა პირადად მე ხუბუას კაბინეტში?

გელა ჩარგაზია პასუხობს – ბევრნი იყავით, ყველანი პირველად გნახეთ და რას დაგიმახსოვრებდით?

გიორგი გოგოლაშვილის შეკითხვაზე – კაბინეტში თქვენ საერთოდ იყავით?

გელა ჩარგაზია პასუხობს – დიახ, სანაძე მახსოვს პირადად. შემდეგ გამოვედი კაბინეტიდან, კარებში ვიდექი და ყველაფერი მესმოდა.

მაია ნათაძის შეკითხვაზე – გესმოდათ რექტორის მიმართ შეურაცხმყოფელი შემახილები? თვქენ რომ მოხვედით, იქ რექტორი აღარ იყო და შეესწარით თუ არა **ხუბუას** ლანძღვის ფაქტს?

გელა ჩარგაზია პასუხობს – **ხუბუას** დერეფანში ლანძღავდვნენ. კაბინეტში ასეთი რამ არ მახსოვს.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე – კაბინეტში რა გითხრეს?

გელა ჩარგაზია პასუხობს – რატომ მოხვედით და უნივერსიტეტის საქმეებში რატომ ერევითო.

მოსამართლის შეკითხვაზე – კაბინეტში რამდენი პატრული შეხვედით და სად იდექით?

გელა ჩარგაზია პასუხობს – 50-მდე ვიყავით, განლაგებულნ:ი ვიყავით სამივე ოთხაში, მე კარებში ჩავდექი, რადგან შემონგრევას ცდილობდნენ.

მედეა სიხარულძის შეკითხვაზე – გახსოვთ ის ფაქტი ჟურნალისტები როგორ გამოიყვანეს?

გელა ჩარგაზია პასუხობს – სათანადოდ და თხოვნით.

ლია მუხაშავრიას შეკითხვაზე – თქვენი გამოძახების მიზეზი არეულობა იყო? აიცილეთ რაიმე უწესრიგობა?

გელა ჩარგაზია პასუხობს – უწესრიგობას ადგილი არ ჰქონია. იყო მხოლოდ, რომ არ გვემორჩილებოდნენ, აკეთებდნენ იმას, რაც მოესურვებოდათ. იყო შემახილები, რატომ მოხვედით, ვინ დაგპატიჟათ, გაუფრთხილდით**ხუ-ბუასო** და ა. შ.

ლია მუშახავრიას შეკითხვაზე – კაბინეტში რაიმე შეურაცხყოფას ჰქონდა ადგილი?

გელა ჩარგაზია პასუხობს – არა, მე კორიდორში ვიყავი და შემახილებს ადგილი იქ ჰქონდა.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – რას ნიშნავს, ჩაიშალა სწავლის პროცესი?

გელა ჩარგაზია პასუხობს – გვიქმნიდნენ ცოცხალ კედელს. სწავლა იყო თუ არა, ზუსტად არ ვიცი. თავისუფლად ვერ გაივლიდი. სწავლა რომ ყოფილიყო, ის აუცილებლად ჩაიშლებოდა.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე – მუშაობა შესაძლებელი იყო?

გელა ჩარგაზია პასუხობს – არა, შეუძლებელი იყო.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – თქვენ ბრძანეთ, რომ შეგიქმნეს ცოცხალი კედელი, ვინ და სად? და შეგიძლიათ ამ ადამიანებს შორის მათი ამოცნობა?

გელა ჩარგაზია პასუხობს – ამოცნობა არ შემიძლია, კორიდორში ქალბატონები იყვნენ.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – თქვით, რომ შეძახილები იყოო, შეგიძლიათ ამათგან ამოიცნოთ შეძახილების ავტორი?

გელა ჩარგაზია პასუხობს – ერთხელ უკვე ვთქვი, რომ ეს შესახილები გარედან იყო.

მხარეებსა და სასამართლოს მოწმის მიმართ შეკითხვები აღარ აქვთ.

თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსის მ ე-2, 256-ე მუხლებისა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლისა იკითხება მოწმე **ზაზა სხვიტარიძე**, მცხ.: ქ. თბილისი, ე. ახვლედიანის ხევი №15, სამუშაო ადგილი – ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის განყოფილების პატრულინსპექტორი. იგი გაფრთხილებულ იქნა ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე, რის შესახებაც ჩამოერთვა ხელწერილი, რაც დაერთო სხდომის ოქმს.

ზაზა სხვიტარიძე მოახსენებს სასამართლოს – გამოგვიძახეს და შევედით უნივერსიტეტში. გავიარეთ კორიდორი. ბევრი ხალხი იყო და შევედით რექტორის მისაღებში. იქ დაახლოებით 10 წუთი მიმდინარეობდა მოლაპარაკება. ჩვენ იქ დილის 11 საათიდან ვიყავით. 15-20 წუთი ვიყავით ცარიელ ოთხაში, შემდეგ შევედით **ხუბუას** კაბინეტში, მან დაგვიბარა წესრიგის დასამყარებლად. კაბინეტში მყოფებმა შესვლაზე ტაში დაგვიკრეს. ჩვენ მოვუწოდეთ დაეტოვებინათ კაბინეტი. იქ გაიმართა დიალოგი და ერთი საათი დავყავით კაბინეტში. ძალადობას ადგილი არ ჰქონია, ლექციას გვიკითხავდნენ, რომ ამას ჩვენი შვილებისათვის აკეთებდნენ და ასე ლაპარაკ-ლაპარაკით გამოვედით გარეთ, ქალბატონ **მაიას** კორიდორიც კი გავუკეთეთ, უკეთ რომ გამოსულიყო.

მოსამართლის შეკითხვაზე – ჯემალ მებონია ამბობს, რომ იგი სკამით გამოიყვანეთ.

ზაზა სხვიტარიძე პასუხობს – დიახ, ასეთ კურიოზულ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, არ გადიოდა და სკამით გავიყვანეთ.

მოსამართლის შეკითხვაზე – კაბინეტში რამდენი ხანი გაატარეთ?

ზაზა სხვიტარიძე პასუხობს – დაახლოებით ერთი საათი.

მოსამართლის შეკითხვაზე – უნივერსიტეტში რომელ საათზე მიხვედით?

ზაზა სხვიტარიძე პასუხობს – ზუსტად არ მახსოვს.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე – ამბობენ შემახილები იყოო, თქვენ ამბობთ მოლაპარაკება მიმდინარეობდაო, რა მოლაპარაკება იყო?

ზაზა სხვიტარიძე პასუხობს – დიალოგი მიდიოდა, ნორმალურად შეგვხვდნენ, შესვლისას ტაში დაგვიკრეს, მეტი არაფერი.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე – მოსთხოვეთ თუ არა, დაეტოვებინათ კაბინეტი და დაგმორჩილებოდნენ?

ზაზა სხვიტარიძე პასუხობს – დიახ, რამდენჯერმე ვთხოვეთ და ბოლოს დაგვმორჩილდნენ.

გელა დოლიძის შეკითხვაზე – ბრძანება **ხუბუამ** მოგცათ?

ზაზა სხვიტარიძე პასუხობს – არა, ხუბუა მე ვერაფერს მიბრძანებს, იგი ჩემი უფროსი არ არის.

მოსამართლის შეკითხვაზე – კონკრეტულად რომელიმე თუ გეცნობათ, რას აკეთებდნენ?

ზაზა სხვიტარიძე პასუხობს – კაბინეტში ყველანი იყვნენ.

მედეა სიხარულიძის შეკითხვაზე – მე გეცნობით, იქ მეც ვიყავი?

ზაზა სხვიტარიძე პასუხობს – არა, თქვენ არ მეცნობით, იქ მხოლოდ ერთი ქალბატონი იყო.

მხარეებსა და სასამართლოს მოწმის მიმართ შეკითხვები აღარ აქვთ.

თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2, 256-ე მუხლებისა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლისა იკითხება მოწმე **კახა ბიბილეიშვილი**, მცხ.: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. №1/3, ბ. №26, სამუშაო ადგილი – ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის განყოფილების პატრულ-ინსპექტორი. იგი გაფრთხილებულ იქნა ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე, რის შესახებაც ჩამოერთვა ხელწერილი, რაც დაერთო ოქმს.

კახა ბიბილეიშვილი მოახსენებს სასამართლოს – ჩვენმა უფროსმა გამოგვიძახა, უნივერსიტეტში ხალხი იყო შეკრებილი.

მოსამართლემ, თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლისა, დარბაზში მჯდომი მოქალაქეები **ლინდა ციმაკურიძე**და **მზია აბულაძე** გააფრთხილა არ ეხმაურა და დაეცვათ წესრიგი, განუმარტა, რომ ასეთი საქციელის განმეორების შემთხვევაში გაძევებული იქნებოდნენ დარბაზიდან.

კახა ბიბლილეიშვილი აცხადებს – გვქონდა მითითება, რომ უნდა გაგვეთავისუფლებინა რექტორის კაბინეტი, რათა მისცემოდა ნორმალური მუშაობის საშუალება. შევედით და ვთხოვეთ, რომ დაეტოვებინათ კაბინეტი, პირველ რიგში ჟურნალისტები გავიყვანეთ. ერთმანეთისათვის შეურაცხყოფა

არ მიგვიყენებია, ვისაუბრეთ, ვთხოვეთ და ნელ-ნელა გაათავისუფლეს რექ-ტორის კაბინეტი. რექტორი დაბრუნდა კაბინეტში, ჩვენ კი სამსახურში.

მოსამართლის შეკითხვაზე – კაბინეტში რამდენი კაცი დაგხვდათ და დაახლოებით რამდენი წუთი დაჰყავით იქ?

კახა ბიბილეიშვილი პასუხობს – 20 კაცამდე იქნებოდა, ნახევარ საათზე მეტხანს გავჩერდით. ყველანი ერთად არ გასულან, სათითაოდ ვთხოვდით და თითო-თითო გადიოდნენ. წინააღმდეგობას ჩვენ კი არა, **ხუბუას** უწევდნენ.

მოსამართლის შეკითხვაზე – **ჯემალ მებონია** არ ტოვებდა კაბინეტს?

კახა ბიბილეიშვილიპასუხობს – ამ დროს მე იქ არ ვყოფილვარ და არმინახავს, ვიცი, რომ ის სკამით გაიყვანეს.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე – შესაძლებელი იყო თუ არა იმ დროს უნივერსიტეტში მუშაობა?

კახა ბიბილეიშვილი პასუხობს – არა, შეუძლებელი იყო.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე – შეძახილებს თუ ჰქონდა ადგილი?

კახა ბიბილეიშვილი პასუხობს – დიახ, გარედან, მაგრამ არა ჩვენ მი-მართ.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე = თუ მოითხოვდით, რომ დაეტოვები-ნათ კაბინეტი?

კახა ბიბილეიშვილი პასუხობს – დიახ, ვსაუბრობდით და თან ვთხოვ-დით, გასულიყვნენ.

მედეა სიხარულიძის შეკითხვაზე – შიგნით რაიმე შეძახილები იყო?

კახა ბიბილეიშვილი პასუხობს – არა, შიგნით შეძახილებს ადგილი არ ჰქონია.

მხარეებსა და სასამართლოს მოწმის მიმართ შეკითხვები აღარ აქვთ.

თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კო-დექსის მე-2, 256-ე მუხლებისა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლი-სა იკითხება მოწმე **მარინა ბერიაშვილი**, მცხ.: ქ. თბილისი, ფანასკერტელის ქ. №11, ბ. №25, სამუშაო ადგილი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მოად-გილის თანაშემწე. იგი გაფრთხილებულ იქნა ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე, რის შესახებაც ჩამოერ-თვა ხელწერილი, რაც დაერთო სხდომის ოქმს.

მარინა ბერიაშვილი მოახსენებს სასამართლოს – აქ წარმოდგენილ ადა-მიანებს სახელითადა გვარებით ვიცნობ. იმ დღეს ვიყავი ჩემს სამუშაო კაბი-ნეტში, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის 1-ლი კორპუსის 1-ლ სა-რთულზე ვეტიბულიდან მარჯვნივ. ვიცოდით, რომ პროფესორ-მასწავლებ-ლები იყვნენ შეკრებილები, რადგან რექტორატში წერილი იყო შემოსული,

რომლითაც აუდიტორიის გამოყოფას ითხოვდნენ. ზოგადად დაძაბული სიტუაცია იყო, რადგან მათ გარდა იქ უცხო ადამიანებიც იყვნენ. დაახლოებით ხუთი საათი იქნებოდა, ჩემი ოთახიდან გამოვედი და რექტორის კაბინეტისაკენ გავემართე, რადგან მისი თანაშემწისათვის წერილი უნდა გადამეცა. კორიდორის კარები ჩაკეტილი იყო და დაცვის ორი თანამშრომელი იდგა კართან. უეცრად კარი შეზარზარდა, ატყდა დიდი ჩოჩქოლი, კარი გაიღო და ადამიანები სწრაფი ნაბიჯებით გამოემართნენ რექტორის კაბინეტისაკენ. პირველი **მებონია** მოდიოდა და შეაბიჯა რექტორის კაბინეტში. იქ რა მოხდა არ ვიცი, რადგან არ შევყოლილვარ, გარეთ დავრჩი.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე – შეძახილებს თუ ჰქონდა ადგილი და რა შეძახილები იყო?

მარინა ბერიაშვილი პასუხობს – შეძახილებს ადგილი გარეთ ჰქონდა, კაბინეტში შესვლამდე.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე – სამუშაო პროცესი თუ ჩაიშალა?

მარინა ბერიაშვილი პასუხობს – დიახ, იქ მუშაობა შეუძლებელი იყო.

გელა დოლიძის შეკითხვაზე – აქვეყნებს მარინა ბერიაშვილის დაკითხვის ოქმს, ვინ ყვიროდა და შეძახილებს ვისი მხრიდან ჰქონდა ადგილი?

მარინა ბერიაშვილი პასხუობს – ვერ გეტყვით ვინ ყვიროდა, ისმოდა ყვირილი „გაეთრიეთ ნაძირლებო“.

მაია ნათაძის შეკითხვაზე – თქვენ თქვით, რომ იქ სხვებიც იყვნენ, იქნებ ისინი ყვიროდნენ?

მარინა ბერიაშვილი პასუხობს – იქ 200 კაცი იყო და ყვიროდნენ.

ჯემალ მებონიას შეკითხვაზე – კარები მე შემოვანგრიე? მე ხომ წინ ვიდექი?

მარინა ბერიაშვილი პასუხობს – კარს იქით რა ხდებოდა, არ ვიცი, მაგრამ კარი რომ გაიღო, თქვენ დაწიანურდით და დიდი სისწრაფით შეხვედით რექტორის კაბინეტში. შემოსვლამდე კარი ზანზარებდა და იმიტომ გამოვიხედე. კარები დაკეტილი იყო და დაცვის ორი თანამშრომელი იდგა. ვიდრე კარი გაიღებოდა, მის უკან ვინ იდგა, არ ვიცი, მაგრამ კარი რომ გაიღო, ბატონი ჯემალი დაწინაურდა.

გიორგი გოგოლაშვილის შეკითხვაზე – კარები იყო დაკეტილი, გაიღო და მერე დაწინაურდა ჯემალი?

მარინა ბერიაშვილი პასუხობს – კარები დაკეტილი იყო და რომ გაიღო, მებონია დაწინაურდა.

გიორგი გოგოლაშვილი აცხადებს – კარები ღია იყო, ჩვენ რომ დაგვინახეს, მერე დაფაცურდნენ, გავედით რამდენიმე კაცი და დაკეტეს, რატომ ცდილობთ სასამართლოს შეცდომაში შეყვანას?

მედეა სიხარულიძის შეკითხვაზე – ამბობთ, კარებთან დაცვა იდგაო. რა

საშვი გაქვთ ასეთი, რომ თქვენ შედიხარით და ამ ხალხს არ აქვთ შესვლის უფლება?

მარინა ზერიაშვილი პასუხობს – რაც დავინახე ის ვთქვი, ეს არის ჩემი ცოდნა ფაქტების მიმართ.

ლია მუხაშავრიას შეკითხვაზე – ბრძანეთ, რომ კარი დახურული იყოო, როგორც წესი, ის კარი ღიაა, ვინ გასცა და რატომ ბრძანება, რომ კარი დაეხურათ?

მარინა ზერიაშვილი პასუხობს – ბრძანება ვინ გასცა, არ ვიცი.

ლია მუხაშავრიას შეკითხვაზე – რა ითქვა, კარი რატომ უნდა ყოფილიყო დახურული?

მარინა ზერიაშვილი პასუხობს – ასეთ შემთხვევას ადრეც ჰქონდა ადგილი და მას შემდეგ კარები დახურულია ხოლმე.

ლია მუხაშავრიას შეკითხვაზე – მას შემდეგ თქვენს კაბინეტში რას აკეთებდით?

მარინა ზერიაშვილი პასუხობს – უბრალოდ ვიჯექი, რაიმეს კეთება შეუძლებელი იყო, საშინელი კივილი ისმოდა.

ლია მუხაშავრიას შეკითხვაზე – ვინ კიოდა?

მარინა ზერიაშვილი პასუხობს – არ ვიცი, ისმოდა გაეთრიეთო და კივილი.

ლია მუხაშავრიას შეკითვხაზე – ეს როდის მოხდა, პატრულის მოსვლამდე თუ მას შემდეგ?

მარინა ზერიაშვილი პასუხობს – არ ვიცი პატრული როდის მოვიდა.

გელა დოლიძის შეკითხვაზე – აქვეყნებს მისი დაკითხვის ოქმს, ღრიალი როდის იყო, კარის გაღებამდე თუ მას შემდეგ?

მარინა ზერიაშვილი პასუხობს – ეს ღრიალი ისმოდა საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

გელა დოლიძის შეკითხვაზე – აქედან რომელი კიოდა და ღრიალებდა?

მარინა ზერიაშვილი პასუხობს – არ ვიცი, მე მხოლოდ **ჯემალ მეზონია** მახსოვს.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – თქვენ განაცხადეთ, რომ კარი შემოანგრიესო, ეს თქვენს მიერ დანახულია თუ აღქმული?

მარინა ზერიაშვილი პასუხობს – დავინახე, კარები ზანზარებდა.

მოსამართლის შეკითხვაზე – შეესწარით თუ არა კარების გაღების – შენგრევის ფაქტს?

მარინა ზერიაშვილი პასუხობს – დიახ, იყო შეხლა-შემოხლა დაცვის თანამშრომლებთან.

ლია მუხაშავრიას შეკითხვაზე – კარი შემონგრევის შედეგად დაზიანდა?

მარინა ზერიაშვილი პასუხობს – არ მინახავს, არ დამითვალიერებია. იქ ისეთი არეულობა იყო, რომ კარების თვალიერების დრო ნამდვილად არ იყო.

მხარეებსა და სასამართლოს მოწმის მიმართ შეკითხვები აღარ აქვთ.

მოსამართლე მიმართავს მხარეებს – დასრულდა სამუშაო საათები, თანახმახართ საქმის განხილვა გავაგრძელოთ სამუშაო საათების დასრულების შემდეგ?

მხარეები თანახმანი არიან საქმის განხილვა გაგრძლდეს სამუშაო საათების დასრულების შემდეგ.

18:15 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

18:45 საათზე გრძელდება საქმის განხილვა სასამართლოს იმავე შემადგენლობით მოწმეთა დაკითხვის ეტაპიდან.

თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2, 256-ე მუხლელბისა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლისა იკითხება მოწმე **მზექალა აჭაიძე**, მცხ.: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №18ᵃ, ბ. 15, სამუშაო ადგილი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანაშემწე. იგი გაფრთხილებულ იქნა ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე, რის შესახებაც ჩამოერთვა ხელწერილი, რაც დაერთო სხდომის ოქმს.

მზექალა აჭაიძე მოახსენებს სასამართლოს – 2006 წლის 3 ვილისს სხდომთა დარბაზში იყვნენ შეგროვებულები და სხდომას ატარებდნენ. დაახლოებით 5-ის ნახევარი იქნებოდა რექტორის კარი შემოაღო **ჯემალ მეგონიამ**, მასთან ერთად იყო **გიორგი გოგოლაშვილი**, **დემურ ბახტაძე**, **მაია ნათაძე** და **თენგიზ სანაძე**. ისინი პირვლ რიგში მოდიოდნენ ჟურნალისტებთან ეთრთად. რექტორის კაბინეტთან დავდექი და ვთხოვე, მოეთმინათ. რექტორის გაფრთხილება მინდოდა და რომ შევბრუნდი, **ჯემალ მეგონიამ** კარი შეაღო და შევიდა, რექტორის გაფრთხილება ვეღარ მოვასწარი. ხუბუას აუხსნეს, რომ შეიკრიბა დიდი სამეცნიერო საბჭო, მიიღეს გადაწყვეტილება და აირჩიეს ახალი რექტორი, მოთხოვეს მას, რომ დაეტოვებინა კაბინეტი. ბატონმა გიამ თავის მხრივ სთხოვა მათ, რომ დაეტოვებინათ კაბინეტი, მაგრამ მისი თხოვნა ყურად არ იღეს.

მოსამართლის შეკითხვაზე – კაბინეტში იყო თუ არა უცენზურო საუბარი?

მზექალა აჭაიძე პასუხობს – დიახ, იყო. ყვიროდნენ გაეთრიეთო. მუდმივად კბაინეტში არ ვყოფილვარ, გამოვდიოდი ხოლმე, რადგან მაგიდაზე სამუშაო მქონად გაშლილი და უყურადღებოდ ვერ დავტოვებდი.

მოსამართლის შეკითხვაზე – მათი კაბინეტში ყოფნა რამდენ ხანს გაგრძელდა?

მზექალა აჭაიძე პასხუობს – ალბათ ერთი საათი. თავიდან ბატონი გია მარტო იყო, მისაღებში იურისტების დეკანი **დავით კერესელიძე** ელოდა თანაშემწესთან ერთად, შემდეგ შემოვიდნენ რექტორის მოადგილე **ივანე ბოკერია** და **დავით აფრასიძე**.

მოსამართლის შეკითხვაზე – პატრულის მოსვლის ფაქტს თუ შეესწარით?

მზექალა აჭაიძე პასუხობს – დიახ, იქ ვიყავი. ჩვენ სხდომათადარბაზში გამოგვიყვანეს და მათი ურთიერთობის უშუალო ფაქტს არ შევსწრებივარ.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე – პატრულის მიმართ რაიმე შეძახილს თუ ჰქონდა ადგილი?

მზექალა აჭაიძე პასუხობს – ტაშით შეხვდნენ, ზოგადად ორივე მხარისათვის ცუდი სიტუაცია იყო.

ჯემალ მებონიას შეკითხვაზე – გკითხეთ თუ არა, რომ **ხუბუა** იყო თუ არა და მარტო არის-მეთქი?

მზექალა აჭაიძე პასხუობს – არა, პირიქით, მე გთხოვეთ, რომ მოგეთმინათ, მაგრამ არ დამიჯერეთ.

თეიმურაზ ტაბატაძის შეკითხვაზე – შეგიძლიათ გვითხრათ, შეურაცხყოფას ვისი მხრიდან ჰქონდა ადგილი?

მზექალა აჭაიძე პასხუობს – კონკრეტულად რომელი ყვიროდა, ვერ გეტყვით, ყველანი ყვიროდნენ „გაეთრიეთო“.

გიორგი გოგოლაშვილის შეკითხვაზე – ვინმემ კართან წინააღმდეგობა გაგიწიათ?

მზექალა აჭაიძე პასუხობს – ხმაური რომ შემომესმა, კარი მე თავად გავაღე და გთხოვეთ, რომ მოგეთმინათ. გავედი, რომ რექტორისათვის დამერეკა, თქვენ ამ მომენტში შეხვედით მასთან. ამას ყველაფერს ქალბატონი **მედეა სიხარულიძე** იღებდა და შეგიძლიათ ნახოთ.

მხარეებსა და სასამართლოს მოწმის მიმართ შეკითხვები აღარ აქვთ.

თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2, 256-ე მუხლებისა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლისა იკითხება მოწმე **ირმა ინაშვილი**, მცხ.: ქ. თბილისი, პეტრიწის ქ. №4ᵃ, მე-5 სად., ბ. №80, სამუშაო ადგილი – საერთაშორისო კავშირ „ობიექტივის“ წევრის, ჟურნალისტი. იგი გაფრთხილებულ იქნა ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე, რის შესახებაც ჩამოერთვა ხელწერილი, რაც დაერთო სხდომის ოქმს.

ირმა ინაშვილი მოახსენებს სასამართლოს – ჩვენი ჯგუფი მუშაობს დოკუმენტურ ფილმზე, რომელიც ეხება უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებს. ჩვენ ორივე მხარესთან ვმუშაობთ. 3 ივლისს დიდი სამეცნიერო სა-

ბჭოს სხდომა უნდა ჩატარებულიყო და ეს აუცილებლად უნდა დაგვეფიქსირებინა. ყველა ტელევიზიისათვის ჩვენი ჩანაწერით გახდა ცნობილი იქ განვითარებული მოვლენების შესახებ. დიდმა სამეცნიერო საბჭომ ერთხმად აირჩია **ჯემალ მებონია** რექტორის მოვალეობის შემსრულებლად. აქვე გადაწყდა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება უნდა ეცნობებინათ ბატონი **ხუბუასათვის**. საბჭოს სხდომა 4 საათისათვის დაიწყო, დაახლოებით 5 საათი იქნებოდა, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის კაბინეტისაკენ რომ გაემართნენ საბჭოს გადაწყვეტილების გასაცნობად. მე და ჩემი ოპერატორი წინ ვიდექით და მოვლენების წინა პლანზე აღმოვჩნდით, ვიდრე პროფეოსრ-მასწავლებლები. იყო ერთი მომენტი, როდესაც ოპერატორი დავკარგე, მას ვეძებდი და ოდნავ ჩამოვრჩი. დაცვამ კარები თვითონ გააღო და იკითხა, სად მიბრძანდებითო. როდესაც პასუხი მიიღო, აღარ გვიშვებდა, რადგან, როგორც ჩანს, მითითება ჰქონდა, არ შევეშვით, მაგრამ შემდეგ გაგვატარეს. შევედით მისაღებში და **ჯემალ მებონიამ** იკითხა, რექტორი თუ არისო. იყო პასუხი, რომ გახლავთო. ამის შემდეგ ბატონი ჯემალი აღარ დაელოდა და კარი შეაღო. ბატონი **ხუბუა** კაბინეტში იყო და გაოცებული გვიყურებდა, თქვენ აქ ვინ შემოგიშვათო. იმ დღეს უამრავი კადრი გადავიღეთ და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ხულიგნობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ჩემთან ერთად იყო ჩემი ოპერატორი და რეჟისორი და **გელა დოლიძე**, **თენგიზ სანაძე**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **ავთანდილ არაბული**, **მაია ნათაძე**, **ჯემალ მებონია**.

მოსამართლის შეკითხვაზე – რექტორის მოვალეობის შემსრულებელი რომ კაბინეტში დაგვხვდათ, შემდეგ რა მოხდა?

ირმა ინაშვილი პასუხობს – ფეხზე წამოდგა, **ჯემალ მებონიამ** აუწყა გადაწყვეტილება და დაიწყო მისი კითხვა, ამის შემდეგ უთხრა, რომ მოუწოდებდა დაეტოვებინა კაბინეტი.

მოსამართლის შეკითხაზე – კაბინეტში რადმენ ხანს დაჰყავით?

ირმა ინაშვილი პასუხობს – დაახლოებით ნახევარი საათი.

მოსამართლის შეკითხვაზე – ამ ნახევარ საათში რაიმე უცენზურო გამონათქვამებს თუ ჰქონდა ადგილი?

ირმა ინაშვილი პასუხობს – მე უცენზურო სიტყვები პროფეორ-სმასწავლებელთა მხრიდან არ გამიგონია.

მოსამართლის შეკითხვაზე – ნახევარი საათი რაზე საუბრობდნენ?

ირმა ინაშვილი პასუხობს – იყო მწოდებები, რომ დატოვეთ კაბინეტიო. ამ დროს შემოვიდა **ივანე ბოკერია**, რომელიც აქტიურად ჩაერთო მათ საუბარში და **ხუბუა** გაიყვანა. არავითარ ძალადობას ადგილი არ ჰქონია და პატრულის მოყვანა საჭირო არ იყო.

მოსამართლის შეკითხვაზე – რა მოხდა საპატრულო პოლიციის მოსვლის შემდეგ?

ირმა ინაშვილი პასუხობს – ვიდრე საპატრულო პოლიცია მოვიდოდა, **ბოკერიამ** უთხრა **ხუბუას**, რომ გამოსულიყო და ჟურნალისტებისათვის კომენტარი მიეცა. ჟურნალისტებიც მას გავყევით, შიგნით არცერთი არ დავრჩენილვართ. მიუხედავად პატრულის ზოგიერთი თანამშრომლის მიმართ დიდი პატივისცემისა, მე და ჩემი ოპერატორი ძალით, ხელში აყვანილები გამოგვიყვანეს, შემდეგ შიგნით რა მოხდა, ჩემთვის უცნობია.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე – თქვენი ოპერატორი ვინ არის?

ირმა ინაშვილი პასუხობს – გიორგი წამალაძე.

გელა დოლიძის შეკითხვაზე – აქ მყოფ პირთაგან რომელი ამბობდა, გაეთრიე შე გათახსირებულოო?

ირმა ინაშვილი პასუხობს – ასეთ სიტყვებს ადგილი არ ჰქონია, არც „ხიხო“ უთქვამს ვინმეს.

მხარეებსადა სასამართლოს მოწმის მიმართ შეკითხვები აღარ აქვთ.

თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2, 256-ე მუხლებისა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლისა იკითხება მოწმე **გიორგი წამალაძე**, მცხ.: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. №3ა, მე-5 კორპ., მე-2 სად., მე-3 სართ., ბ. №54, სამუშაო ადგილი – საერთაშორისო კავშირ „ობიექტივის“ წევრი, რეჟისორ-ოპერატორი. იგი გაფრთხილებულ იქნა ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე, რის შესახებაც ჩამოერთვა ხელწერილი, რაც დაერთო სხდომის ოქმს.

გიორგი წამალაძე მოახსენებს სასამართლოს – მე ოპერატორი გახლავართ და ჩემი საქმე კადრის დაყენება და ყველა მომენტის დაფიქსირებაა. მე და ჩემი ჟურნალისტი **ირმა ინაშვილი** დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომას ვესწრებოდით. რექტორის მოვალეობის შემსრულებლად აირჩიეს **ჯემალ მეზონია** და გადაწყვიტეს, ეს გადაწყვეტილება ბატონი **ხუბუასათვის** ეცნობებინათ, რის გამოც გავემართეთ **ხუბუას** კაბინეტისაკენ. ერთ-ერთი პირველი შევედი **ხუბუას** კაბინეტში **ირმა ინაშვილთან** და ამ ბატონებთან ერთად; სამწუხაროდ, მათი სახელები არ ვიცი. ჩხუბს, ხმაურს და რაიმე უწმაწურ გამონათქვამებს ადგილი არ ჰქონია, საკმაოდ ზრდილობიანად და წყნარად საუბრობდნენ. რაზე საუბრობდნენ არ ვიცი, ოპერატორი ვარ და ასეთ რამეებს ყურადღებას არ ვაქცევ.

დავით ხიზანაიძის შეკითხვაზე – სხდომაზე ვისი თხოვნით მიხვედით? და რა მოხდა მას შემდეგ, რაც პატრული მოვიდა?

გიორგი წამალაძე პასუხობს – ვიყავით რექტორის მოვალეობის შემსრულებლის კაბინეტში, **ხუბუა** და მისი მოადგილე **ივანე ბოკერიაც** იქ იყვნენ. როდესაც ისინი გავიდნენ, ჟურნალისტებიც გაყვნენ. ამ დროს შემოვიდა პოლიცია და მეც გამომიყვანეს. ამის შემდეგ იქ რა მოხდა, არ ვიცი, მათ საუბარს არ შევსწრებივარ.

მხარეებსა და სასამართლოს მოწმის მიმართ შეკითხვები აღარ აქვთ.

თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2, 256-ე მუხლებისა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლისა იკითხება მოწმე **მერაბ ჯელია**, მცხ.: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის მე-2 კვ., მე-5 კორპ, ბ. №19, სამუშაო ადგილი – მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის ელექტრული ნაერთის კათედრის დოცენტი, ამჟამად დროებით უმუშევარი. იგი გაფრთხილებულ იქნა ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე, რის შესახებაც ჩამოერთვა ხელწერილი, რაც დაერთო სხდომის ოქმს.

მერაბ ჯელია მოახსენებს სასამართლოს – დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომას არ ვესწრებოდი, მისი წევრი არ ვარ. შედეგს კოდიროში ველოდებოდი. სხდომის გათავების შემდეგ ისინი გაემათრნენ **ხუბუას** კაბინეტისაკენ. ისე შევედით კაბინეტში, რიომ დაბრკოლება არ შეგვხვედრია. კაბინეტში რომ შევედი, ჯემალი საბჭოს გადაწყვეტილებას კითხულოჰდა და სთხოვდა, დაეტოვებინა კაბინეტი. ის, რაც გაზეთში დაიბეჭდა ტყუილია, მსგავს სიტყვებს ადგილი არ ჰქონია. აღელვებულები ვიყავით და არ მახსოვს კაბინეტში რამდენ ხანს დავრჩით, დაახლოებით ალბათ ასე 15 წუთი და შემდეგი 15 წუთი პატრულთან ვისაუბრეთ. იქ იყო **დავით კერესელიძეც**, იურისტების დეკანი. ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ და გაოცებაც კი გამოთქვა, აქამდე როგორ არ ვიცნობდით ერთმანეთს და რატომ არ გვქონდა დიალოგიო.

მოსამართლის შეკითხვაზე – მას შემდეგ რაც პატრული მოვიდა რა მოხდა?

მერაბ ჯელია პასუხობს – ჯერ **გრიგალაშვილი** მოვიდა, მათი ხელმძღვანელი, დაგვათვალიერა და შემდეგ მოვიდნენ სხვები. **თენგიზმა** პატარა ლექცია ჩაუტარა. ისინი ძალიან კორექტულები და თავაზიანებიიყვნენ, არაფერი ზედმეტი არ უბრძანებიათ. შემდეგ ერთი შემოვიდა და გამოაცხადა, აბა დატოვეთ კაბინეტიო და ნელ-ნელა გამოვედით. ალბათ ეგონათ, **მებონია** თავისი ფეხით ვერ გავა, დაღლილიაო და სკამით გამოიყვანეს.

მხარეებსა და სასამართლოს მოწმის მიმართ შეკითხვები აღარ აქვთ.

თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2, 256-ე მუხლებისა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლისა იკითხება მოწმე **გიორგი მახარაძე**, მცხ.: ქ. თბილისი, კახეთის ქ. №6, ბ. №6, სამუშაო ადგილი – მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ანალიზური ქიმიის კაბინეტისპროფესორი, ამჟამად დროებით უმუშევარი. იგი გაფრთხილებულ იქნა ცრუ ჩვენების მიცემის-

ათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თოაბაზე, რის შესახებაც ჩამოერთვა ხელწერილი, რაც დაერთო სხდომის ოქმს.

გიორგი მახარაძე მოახსენებს სასამართლოს – მე მოწმე კი არა, იმ პროცესების უშუალო მონაწილე ვარ და წესით მეც მათთან ერთად უნდა ვიყო. დიდმასამეცნიერო საბჭომ, იმის გამო, რომ **ხუბუა** არ ცნობდა განათლების შესახებ კანონს და მან მოატყუა **სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე**, გადააყენა იგი და აირჩია **ჯემალ მებონია**. შემდეგ ჩვენ წყნარად და მშვიდად გავემართეთ **ხუბუას** კაბინეტისაკენ, დაცვამ ჩვეულებრივად შეგვიშვა, კარი მე შევაღე და **ხუბუა** გაოცებული მიყურებდა და იმეორებდა, დაცვა სად არის, როგორ შემოხვედითო. პირველ რიგში ვიმყოფებოდით **მე**, **არაბული**, **დოლიძე**, **მებონია**, **სანაძე**, **ნათაძე** და **გოგოლაშვილი**. **სიხარულიძე** იყო ჩვენთან ერთად, მაგრამ კაბინეტში არ შემოსულა, გარეთ დარჩა. ჯემალმა ამცნო **ხუბუას** მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

მოსამართლის შეკითხვაზე – ჰქონდა თუ არა ადგილი შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს?

გიორგი მახარაძე პასუხობს – ერთადერთი იყო მხოლოდ ის, რომ **დოლიძე** ეუბნებოდა, ასეთი ოდიოზური ფიგურა უნივერსიტეტის რექტორი არ უნდა იყოსო და **ხუბუაც** ეთანხმებოდა. პატრული რომ მოვიდა, **ხუბუა** გავიდა, გვეგონა შევაგნებინეთ-თქო და ტაშით გავაცილეთ, პატრულმა კი ჩათვალა, რომ მას შევეგებეთ ტაშით. დროის აღქმა ცოტა ძნელი იყო, მაგრამ დაახლოებით 30 წუთი ვისაუბრეთ პატრულთან, შემდეგ **გრიგალაშვილმა** გვთხოვა, რომ ოთახი დაგვეტოვებინა და სადაც გვინდოდა იქ გაგვეგრძელებინა, მხოლოდ კაბინეტიდან გავსულიყავით. ნელ-ნელა გავედით. მე ყველაზე გვიან დავტოვე კაბინეტი. ჯემალი სკამით გამოიყვანეს.

მხარეებსა და სასამართლოს მოწმის მიმართ შეკითხვები აღარ აქვთ.

მოწმეთა დაკითხვის ეტაპი დასრულდა.

სასამართლო გადადის მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე.

მოსამართლე შეუდგა წარმოდგენილ მტკიცებულებათა შემოწმებას მათი გამოკვლევის მიზნით.

პროკურორს საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოქვეყნება არ სურს.

ლია მუხაშავრიაითხოვს საქმიდან გამოქვეყნდეს მოწმე **გიორგი ხუბუას** ჩვენება.

თეიმურაზ ტაბატაძე, **ჯემალ მებონია**, **თენგიზ სანაძე**, **მედეა სიხარულიძე**, **გელა დოლიძე**, **მაია ნათაძე**, **ვახტანგ ტუსკია**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **ავთანდილ არაბული** და **დემურ ბახტაძე** ეთანმხებიან **ლია მუხაშავრიას** მოთხოვნას.

მოსამართლე შეუდგა მოწმე **გიორგი ხუბუას** ჩვენების გამოქვეყნებას საქმის 74-ე ფურცლიდან.

ლია მუხაშავრიამ ითხოვა, რომ ნაცვლად ჩვენების სრული გამოქვეყნებისა, გამოქვეყნდეს **გ. ხუბუას** ჩვენების ის ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ **გ. ხუბუასა** და მისი თანამშრომლების მიმართ გინებას ადგილი არ ჰქონია.

მოსამართლე აქვეყნებს **გიორგი ხუბუას** დაკითხვის ოქმის ნაწილს, კერძოდ, საქმის 75-ე ფურცელს.

მხარეებს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების გამოქვეყნება არ სურთ.

მტკიცებულებათა გამოქვეყნების ეტაპი დასრულდა.

სასამართლო გადადის მხარეთაპაექრობის ეტაპზე.

ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორი **დავით ხიზანაიძე** მოახსენებს სასამართლოს – დადგენილებას მხარს ვუჭერ და სრულიად ვეთანხმები. გთხოვთ ცნოთ ისინი სამართალდამრღვევებად და სახდელის სახით შეუფარდოთ ჯარიმა თითოეულს 100 (ასი) ლარის ოდენობით.

ლია მუხაშავრია შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე და აცხადებს – გთხოვთ გადადოთ საქმის განხილვა, რათა მოგვეცეს საშუალება, სრულყოფილად ჩამოვაყალიბოთ ჩვენი პოზიცია.

თეიმურაზ ტაბატაძე, **ჯემალ მებონია**, **თენგიზ სანაძე**, **მაია ნათაძე**, **ვახტანგ ტუსკია**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **ავთანდილ არაბული** და **დემურ ბახტაძე**ეთანმხებიან **ლია მუხაშავრიას** შუამდგომლობას და დასამატებელი არაფერი არ აქვთ.

ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორი **დავთი ხიზანაიძე** აცხადებს – შუამდგომლობას არ ვეთანხმები, მხარეები დათანხმდნენ, რომ საქმის განხილვა სამუშაო საათების დასრულების შემდეგ გაგვეგრძელებინა.

ლია მუხაშავრია განმარტავს – ჩვენ თანახმანი ვიყავით დაგვესრულებინა მოწმეთა დაკითხვა და არ გვითხოვია საქმის განხილვის უსასრულოდ გაგრძელება. 10 საათია სხდომა მიმდინარეობს დაგთხოვთ გადადოთ, ამოიწურა ჩვენი შესაძლებლობები.

მოსამართლე განმარტავს, რომ დარჩა პაექრობისა და რეპლიკის სტადიები, ორივემხარე სრულად იცნობს საქმის მასალებს, მხარეები მომზადებულები არიან საქმისათვის. განვლილ ეტაპებზე გამოთქმული მოსაზრებანი და გამორკვეული გარემოებანი არ არის მოცულობითი, მხარეებს შეუძლია გააგრძელონ საქმის განხილვა.

გელა დოლიძე აცხადებს – გთხვოთ სხდომა გადადოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დარბაზს ვტოვებ.

20:05 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. საქმის განხილვა გა-

გრძელდეს 2006 წლის 4 აგვისტოს 10:00 სათზე. მხარეები გაფრთხილებულ იქნენ შესაბამისი ხელწერილით, რაც დაერთო სხდომის ოქმს.

სხდომა დაიხურა.

მოსამართლე: თეა თადაშვილი
სხდომის მდივანი:ნათია გორგოძე

2006 წლის 4 აგვისტოს 10:30 საათზე გრძელდება სხდომა სასამართლოს იმავე შემადგენლობით.

საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდნენ:

ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორი **დავით ხიზანაიძე**.

სამართალდამრღვევნი: **ჯემალ მეზონია**, **თენგიზ სანაძე**, **მედეა სიხარულიძე**, **გელა დოლიძე**, **მაია ნათაძე**, **ვახტანგ ტუსკია**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **ავთანდილ არაბული** და **დემურ ბახტაძე**.

მათი წარმომადგენელი **ლია მუხაშავრია** და **ავთანდილ არაბულის** წარმომადგენელი ადვოკატი **თეიმურაზ ტაბატაძე**.

მოსამართლე აცხადებს, რომ სხდომა გრძელდება პაექრობის ეტაპიდან.

ლია მუხაშავრია აცხადებს – მართალია, პროკურორმა საპაექრო სიტყვა წარმოთქვა, მაგრამ გთხვოთ მივცეთ საშუალება, დღეს უფრო ვრცლად წარმოადგინოს.

დავით ხიზანაიძე აცხადებს – მე საპაექრო სიტყვა უკვე ვთქვი და განმეორება საჭირო აღარ არის.

ლია მუხაშავრია აცხადებს – ძალიან გაოცებული ვარ პროკურორის სიხისტით და იმით, რომ არ გამოიყენა შესაძლებლობა, ვრცლად ჩამოეყალიბებინა თავისი პოზიცია, წარმოედგინა სხვა მასალა, თუ, რა თქმა უნდა, ჰქონდა, რაც სამართალდარღვევის ფაქტს დაადასტურებდა, რადგენ ეს უკანასკნელი საკმაოდ მწირია და რაიმეს დასადასტურებლად არ გამოდგება.

დადგენილება გახლავთ დასაბუთება იმისა, თუ რატომ შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე. იგი ჩემი მარწმუნებლებისათვის ცნობილი გახდა 2006 წლის 30 ივლისს, კვირა დღეს. საინტერესო და ყურადსაღებია ამ დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტი, რადგან **ჩემს მარწმუნებლებს ჩამოერთვათ გასაჩივრების უფლება**, რადგან 2006 წლის 1 აგვისტოდან უნდა ათვლილიყო15 დღიანი გასაჩივრების ვადა. გარდა იმისა, რომ მოთხოვნა ფორმალურად არ შესრულდა, ჩვენ კვლავ გვრჩება უფლება, რომ ეს კვლავ გახლავთ საფუძველი დადგენილების გაუქმებისა. არ შეიძლება სასამართლოში წარედგინოს საქმე გასაჩივრების უფლების ვადის გასვლის გარეშე, ეს გახლავთ **არა**

მარტო მოქმედი კანონმდებლობის, არამედ ასევე **ევროკონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების დარღვევა**. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილების გასაჩივრების უფლების შეზღუდვა არღვევს **საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს**. შუამდგომლობა, რომელიც დავაყენეთ საქმის შეწყვეტის თაობაზე, ვწუხვარ, რომ არ იქნა დაკმაყოფილებული, რადგან მართლაც არსებობს ამ საქმის შეწყვეტის აბსოლუტური საფუძვლები. რაც აქამდე მოგახსენეთ, შეეხებოდა იმას, რომ **პროკურატურამ დაარღვია ამ ხალხის უფლებები**, მაგრამ ქვეყანაში იმისთვის არსებობს სასამართლო, რომ ეს უფლებები აღდგენილ უნდა იქნას სწორედ მის მიერ. **სასამართლოს არ უნდა მიეღო ეს მასალები წარმოებაში**, რადგან გადამეტებული და დარღვეულია ფუნდამენტური უფლება კანონისა, **რადგან დაუსაბუთებელი ბრალდების საფუძველზე არ შეიძლება დაიწყოს სასამართლო წარმოება**. აქ წარმოდგენილი ბატონები **არიან უნივერსიტეტის საუკეთესო წარმომადგენლები**. ძიება მიმდინარეობდა ხუთი პირის მიმართ, ხოლო 4 პირის მიმართ ძიება არ ყოფილა, ისინი არც მოწმეებად არ დაკითხულან. ესენია – მედეა სიხარულიძე, ვახტანგ ტუსკია, დემურ ბახტაძე და მაია ნათაძე. მათი განმარტების გარეშე ყოველგვარი მსჯელობა საფუძველს მოკლებულია. იგი აბსოლუტურად დაუსაბუთებელია და უკანონოა, ამიტომ სასამართლოს იგი უნდა შეეწყვიტა. ბატონი პროკურორის გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ყოფილიყო ბრალდება, რომ ეს პირები არიან ალქაიდას წევრები, რა, ეს საკითხი უნდა განგეხილათ? მართლმსაჯულება არის ერთდაერთი ორგანო, რომელსაც ევალება ზუსტად დაიცვას ადამიანთა უფლებები. რაც შეეხება დანარჩენ ხუთ პირს, მათ მიმართ მიმდინარეობდა ძიება, მათჰქონდათ მინიჭებული სტატუსი და ასეთად დარჩნენ. მათი სტატუსი დღეს არსებული საქმიდან გამომდინარე არანაირად არ შეესაბამება საქმის მასალებს, რადგან იგი არანაირად არ დასტურდება. დადგენილება სულ ოთხ გვერდიანია, სადაც არსად არ არის გამოკვეთილად და ნათლად ნათქვამი, რატომ არის ჩადენილი მათ მიერ ესა თუ ის ქმედება და რით დასტურდება. ამ ოთხი ფარატინა ფურცლით არანაირად არ დასტურდება, რომ მათ ჩაიდინეს ეს ქმედება. ბატონო პროკურორო, **ნუ გაადაქცევთ სასამართლოს პირადი დაპირისპირების და გარჩევების არენად**. ქალბატონმა **მაია ნათაძემ** ახსნა-განმარტების ეტაპზე აღნიშნა, რომ მას **ხუბუამ**უთხრა, რომ იგი კანონს არღვევდა და აღძრული იქნებოდა სისხლის სამართლის საქმე, რადგან იგი დანაშაულს ჩადიოდა; ეს სხდომა **ხუბუას** ამ სიტყვებს პირდაპირ ამართლებს და ამას პროკურორიც მხარს უბამს. დარწმუნებული ვარ, რომ სასამართლო იმავეს არ გააკეთებს. **კახა ლომაიამ დააკვალიფიცირა მათი ქმედება „ხულიგნობად“**, ეს გახლავთ პირადი დაპირისპირების საქმე. სასამართლო არის ერთდაერთი ადგილი, სადაც უნდა დადასტურდეს მათი უდანაშაულობა. **ეს ხალხი უნივერსიტეტის და ქვეყნის ელიტური ნაწილია**, ესენი არ არიან რიგითი ადამია-

ნები, მათ მიმართ არ შეიძლება ამ ასაკში, ამ ფორმით გამოხატო დამოკიდებულება. დადგენილება დაუსაბუთებელია, იგი ვერ შეცვლის სამართალდარღვევის ოქმს, რომელიც წარმოადგენს სამართალდარღვევის აღწერის ფაქტს. ეს დოკუმენტი უნდა გავასაჩივროთ; ასევე გავასაჩივრებთ დღეს მიღებულ გადაწყვეტაილებას. რაც შეეხება თვითონ ფაქტს, იგი მოხდა კაბინეტში, რაც საზოგადოებრივი თავშეყრის კი არა, კერძოდ, პრივატულ ადგილს წარმოადგენს. მაგალითისათვის შეგიძლიათ ნახოთ ყველასათვის კარგად ცნობილი ბილ კლინტონის საქმე, როდესაც მან თავის სამუშაო კაბინეტში ჩაიდინა უმსგავსო საქციელი. ამ საქმეში კარგად არის ახსნილი, თუ რას ნიშნავს კაბინეტი და არის თუ არ ის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი. **ხუბუას კაბინეტი არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილად**. საუბარია ასევე იმაზე, რომ ეს ადამიანები შეიჭრნენ თუ შევიდნენ რექტორის კაბინეტში. ისინი არ არიან გარეშე პირები, არიან დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრები, 2004 წელს მოქმედი წესდების მიხედვით იქნენ არჩეულნი ექვსი წლის ვადით, რათა მიიღონ გადაწყვეტილებები უნივერსიტეტისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. მათ განახორციელეს საგანგებო უფლებამოსილება. 2004 წლის შემდეგ სხვა არჩევნები არ ყოფილა და შესაბამისად, არ არსებობს სხვა დოკუმენტი, რომ მათი უფლებამოსილება გაუქმებულია. ისინი წარმოადგენდნენ უფლებამოსილ პირებს. ის, რომ სხდომა ჩატარდა, საეჭვო არ უნდა იყოს, ამის თაობაზე ოქმი წარმოდგენილია. უნივერსიტეტისათვის მეტად მნიშვნელოვანია დიდი საბჭოს მუშაობა, რადგან მიმდინარეობს მუშაობა საგანმანათლებლო საკითხებზე. ეს არ არის კერძო განხილვის საგანი, არამედ ეს საკითხები განსახილველად გადაცემული აქვს სასამართლოს, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოსაც. წარმოგირდგენთ საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის საოქმო ჩანაწერს – აქვეყნებს, წარმოდგენილი დაერთო სხდომის ოქმს. შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ წესდების გაუქმება უაპელაციოდ არ არის ძალაში შესული, იგი გასაჩივრებულია ჩვენ მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში და სარჩელი მეორე კოლეგიის მიერ მიღებულია განსახილვლად. აქ წარმოდგენილი ადამიანები არიან საზოგადოებისათვის მეტად საპატივცემულო პიროვნებები და არამც და არამც არ შეიძლება ისინი ჩავთვალოთ ადამიანებად, რომლებსაც შეუძლიათ იხულიგნონ და ვინმეს შეურაცხყოფა მიაყენონ. ისინი თვითონ იყვნენ აღმზრდელები, გაზარდეს უამრავი ადამიანი. თქვენ თვითონაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი ბრძანდებით და აქ წარმოდგენილი პირები კი მათი საუკეთესო ნაწილია. ამ საქმის მტკიცების ტვირთი პროკურორზეა და მან ვერ დაადასტურა, რომ ამ პირების მხრიდან ადგილი ჰქონდა ლანძღვა-გინებას და რომ მათ დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი. ისინი მივიდნენ, რომ ეცნობებინათ დიდი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება. **ხუბუა** სხდომას არ ესწრებოდა

და იგი გახლდათ ამ გადაწყვეტილების სუბიექტი; ბუნებრივია, საბჭოს წევრებმა გადაწყვიტეს, ეცნობებინათ მისთვის მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. აქ წარმოდგენილმა ვერცერთმა მოწმემ ვერ დაადასტურა, რომ ისინი ხუბუას კაბინეტში ძალით შეიჭრნენ, არსად არ არის მითითებული, რომ მათ დერეფნის გასავლელად რაიმე ნებართვა სჭირდებათ, ან იმისათვის, რომ რექტორს შეხვდნენ, საჭიროა მისი წინასწარი გაფრთხილება. ეს მოხდა მაშინ, როდესაც სწავლა არ მიმდინარეობდა. ასევე ვერ დაადასტურეს, რომ ჩაიშალა სწავლის პროცესი. ის, რომ რექტორის თანაშემწეს დაერღვა სიმყუდროვე, არ ნიშნავს სამუშაო რეჟიმის დარღვევას. მაშინ, როდესაც უნივერსიტეტს ასეთი რთული პერიოდი უდგას, ეს ერთ–ნახევარი საათი არ შეიძლება სამუშაო რეჟიმის დარღვევად ჩაითვალოს. ნებისმიერი ნორმალური ქვეყნის უნივერსიტეტში რექტორი ვალდებულია, მოუსმინოს დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრებს, მიიღოს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება და განახორციელოს იგი.

რაც შეეხება ხულიგნობის ფაქტს, იგი არ არის დასაბუთებული, ისევე, როგორც სხვა ბრალდებები, რადგან არ არის დადგენილი, კანონის რა წესი დაარღვიეს, რომელ ქმედებაში გამოიხატა მათი თვითნებური მოქმედება. რექტორის ჩვენებაში არსად არ არის მითითებული, რომ ადგილი ჰქონდა ლანძღვა-გინებას ამ პირების მხრიდან, არანაირი ზიანი არ მისდგომია უნივერსიტეტს და არც სამუშაო პროცესი ჩაშლილა. თვითნებობას რომ ადგილი არ ჰქონია, ეს კარგად ჩანს მიუკერძოებელი მოწმეების – ჟურნალისტების, ასევე **ჯელიასა** და **მახარაძის** ჩვენებებიდან. იყო თუ არა პატრულის მხრიდან კანონიერი მოთხოვნა, ამის თაობაზე თვით პატრულმა გარკვევით განაცხადა, რომ, როდესაც ისინი უნივერსიტეტში მივიდნენ, ხმაური და აურზაური არ დახვედრიათ; მათ თქვეს, რომ ეს ბატონები და ხუბუა ისხდნენ მაგიდის ირგვლივ და საუბრობდნენ, გამართული ჰქონდათ დისკუსია; მათ ნახეს, რომ ვითარება იყო შეხვედრის და არც დაუყენებიათ კანონის მოთხოვნა, რადგან ამის აუცილებლობა არ იყო. მათ იკითხეს, რაში იყო საქმე, რატომ იყვნენ მოსულები, რაც **გოგოლაშვილმა** და **სანაძემ** აუხსნეს. ამის შემდეგ იყო მხოლოდ თხოვნა, რადგან მათ შორის დიალოგი დასრულებული იყო, გადასულიყვნენ სხვა კაბინეტში. ასეც მოიქცნენ და არანაირ გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია. ეს ადამიანები თავიანთი სტატუსიდან გამომდინარე, არ მისცემდნენ თავს უფლებას, რომ რაიმე ექსცესს ჰქონოდა ადგილი. ჩემი აზრით, **კანონი იმ ადამიანმა დაარღვია, ვინც პატრულს ცრუ ჩვენება გადასცა**. ის, რასაც **მარინა ბერიაშვილი** ბრძანებდა, კარი ზარზარებდაო, ვერ დაადასტურა თუ რა ზიანი მიადგა და კარი როგორ დაზიანდა; გაუგებარია, რატომ იყო საერთოდ დაკეტილი, თუ კი იყო დაკეტილი დერეფნის კარი, რომელიც არასოდეს არ იკეტება და რატომ იდგა იქ დაცვის ორი თანამშრომელი? **ეს ხუბუას ლაჩრობის ბრალია**, რათა თავი აერიდებინა მწვავე კითხვებისათვის. დაბოლოს, ძალიან

ვთხოვ სასამართლოს, მიიღეთ ობიექტური გადაწყვეტილება, რადგან **უნივერსიტეტი არის თავისუფლების ბასტიონი**და **ნუ მივცემთ საზოგადოებას იმის უფლებას, რომ იგი აქციოს ინტრიგებისა და პირადი დაპირისპირების ადგილად**. მივცეთ ამ ადამიანებს საშუალება, იყვნენ სათანადოდ დაფასებულნი და პატივცემულნი სახელმწიფოს მხრიდან. გთხოვთ შეწყვიტოთ საქმის წარმოება და მისცეთ ამ პირებს დადგენილების გასაჩივრების საშუალება.

თეიმურაზ ტაბატაძე მოახსენებს სასამართლოს – მთლიანად მხარს ვეჭერ და ვიზიარებ ქალბატონი ლიას დაცვით სიტყვაში ჩამოყალიბებულ პოზიციას და ამავე დროს თავს უფლებას მივცემ, თქვენი ყურადღება რამდენიმე დეტალზე გავამახვილო.

დოკუმენტი, რომელიც შექმნილია თანამდებობის პირის, კერძოდ, პროკურორის მიერ, უნდა შეიცავდეს მითითებას კანონზე, რომლის საფუძველზედაც იგი იქნა მიღებული. აქ მითითებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე, 398-ე და 399-ე მუხლები და მინდა შეგახსენოთ, რომ პროკურორისადა სასამართლოს მიერ განმარტებულ იქნა, რომ დადგენილების მე-2 პუნქტი თითქოს ჩვენ არ გვეხებოდეს. მაშ ვის ეხება? რაკი ვისაც შეიძლება ეხებოდეს და ვერ განმარტეს, აქ რატომ არის მითითებული, ჩვენ გვიჩნდება საკმაოდ დასაბუთებული ეჭვი, რომ იგი ჩვენ გვეხება და ეს გაკეთებულია შეგნებულად. დადგენილებაში მითითებულია იმ მუხლებზე, სადაც მოწმეები არ არიან მითითებულნი, მაგრამ იგი სწორედ მოწმეებს გაეგზავნათ, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი მოქმედება ჩვენზე ვრცელდება. თუ ჩვენ ამ მუხლის განმარტებიდანგამოვალთ, დაგვებადება კითხვა, **რატომ დაჩქარდა სასამართლო განხილვა და რატომ არ მოგვეცა მისი გასაჩივრების უფლება**? ამ მუხლში არსად არ არის მითითებული, რომ დადგენილება უნდა გაეგზავნოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე – აქვეყნებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 397-ე, 398-ე და 399-ე მუხლებს. პროკურორი ვალდებულია, მიმითითოს ამ დადგენილების საფუძველი, თუ რას ეფუძნება იგი. როგორც უკვე ჩემს ახსნა-განმარტებაში აღვნიშნე, არ უნდა იყოს კოლექტიური პასუხისმგებლობის საკითხი, უნდა ყოფილიყო ინდივიდუალული მიდგომა ინდივიდუალური მტკიცებულებებით. ასეთ სიტუაციაში ნებისმიერი ადამიანი შეგვიძლია წარმოვაჩინოთ როგორც სამართალდამრღვევი. ეს ბატონები საერთოდ გაუგებარია აქ რატომ არიან. **ეს გახლავთ უნიჭოდ ნაწარმოები საქმე, რომელიც უნდა შეწყდეს, რადგან არ ემყარება ფაქტებს**. იმისათვის, რათა ქმედება დაკვალიფიცირდეს წვრილმან ხულიგნობად, მას ადგილი უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე. აღარ განვმეორდები და ვიტყვი, რომ კაბინეტი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი რომ არ არის, ამაში იმედია უკვე

დავრწმუნდით. ე. ი. თუ გამოვრიცხავთ, რომ **ხუბუას** კაბინეტი არ არის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი, თავისთავად გამოირიცხება 166-ე მუხლი, ხოლო ეს საკითხი ძალიან კარგად არის გადმოცემული საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებში – აქვეყნებს მას.

რაც შეეხება 173-ე მუხლს, ამ მუხლის კვალიფიკაციისათვის საჭიროა სახეზე გვქონდეს ბოროტი დაუმორჩილებლობა. არანაირ წინააღმდეგობას და შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. რაში გამოიხატა მათი ბოროტი დაუმორჩილებლობა, გაუგებარია. როგორც თვითონ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა აღწერეს, ადგილი ჰქონდა დიალოგს, საუბარს. მე მგონი თვალნათელია, რომ არანაირად 173-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას კონკრეტული მოქმედების ადგილზე ადგილი არ ჰქონია. საერთოდ ბრალდება არის უსაფუძვლო და მისი დადასტურება ვერც **ბერიაშვილმა** და ვერც **აჭაიძემ** ვერ შეძლეს; ვერ შეძლეს, მხარი დაეჭირათ თავიანთი ხელმძღვანელობისათვის, ვერ დაადასტურეს, რადგან, **როდესაც ადამიანს რაღაცაში ბრალს სდებ**, **ეს უნდა იყოს კონკრეტული და ინდივიდუალიზებული**. ახლა ისმის კითხვა, ჰქონდა თუ არა ადგილი თვითნებობას. რა თქმა უნდა, არა, რადგან ისინი მოქმედებდნენ წესდების ფარგლებში, რომლის გამოთხოვაზეც უსაფუძვლოდ გვეთქვა უარი. გაუგებარია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პოზიცია, როდესაც ისინი ამბობენ, რომ წესდება გაუქმებულია, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან გაუქმებულია მისი მხოლოდ მტკიცებულებითი ნაწილი და თუ მან განიცადა ცვლილება, იგი უნდა გატარეუბლიყო რეგისტრაციაში. ბრალდების მხარემ ამის საწინააღმდეგო მტკიცებულება ვერ წარმოადგინა. მათ სრული უფლება ჰქონდათ, განეხორციელებინათ ის, რაც განახორციელეს. მინდა გამოვთქვა გულწრფელი პატივისცემა თქვენ მიმართ და გთხოვოთ შეწყდეს საქმის წარმოება.

მაია ნათაძე აცხადებს – უდიდესი პატივისცემა მინდა გამოვხატო თქვენ მიმართ, იმყოფებით მეტად რთულ სიტუაციაში. უნდა ყოფილიყო წესდება გამოთხოვილი, რადგან იგი არსებობს და ჩვენ მისი მოქმედების ფარგლებში ვმოქმედებდით.

გიორგი გოგოლაშვილი მოახსენებს სასამართლოს – ძალიან დიდი ყურადღებით ვისმენდი, რაც აქ ითქვა და ძალიან გული მწყდება, რომ პირველად ვარ წარმოდგენილი სხდომაზე როგორც ბრალდებული. მინდა ამ ორი დღის მოკლე ექსკურსი ჩავატარო. ჩვენთვის ძალიან სმწუხაროა, ვაკვირდები მთელი ეს პერიოდი და პროკურორის სახეზე სინანულს ვერ ვამჩნევ. ეს არის შეკვეთილი პროცესი. მაშ, რატომ მოხდა, რომ სხდომა დაინიშნა კვირა დღეს? რატომ მოიტანეს სასამართლოდან შეტყობინება ჩემს ოჯახში ღამის ორ საათზე, როცა უნივერსიტეტში მიმდინარეობდა მჯდომარე აქცია. ამ დადგენილების წაკითხვის შემდეგ გამიჩნდა ეჭვი, რომ თუ ეს დადგენილება უნივერსი-

ტეტის კურსდამთავრებულის დაწერილია, მაშინ ასეთი უნივერსიტეტი მართლაც დასახურია. **ხუბუა** არის **პატარა ჭანჭიკი იმ დიდი მანქანისა**, **რომელიც მიმართულია უნივერსიტეტის წინააღმდეგ**.

მოსამართლე შენიშვნას აძლევს **გიორგი გოგოლაშვილს**, რათა იგი დაუბრუნდს დავის საგანს.

გიორგი გოგოლაშვილი აცხადებს – დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ვთქვი, რომ უნივერსიტეტი ინგრევა და **ხუბუა** ვრ ახორციელებს მართვას. იგი ატარებს იმ ხაზს, რომელიც აღებული აქვს სამინისტროს უნივერსიტეტის მიმართ; რომ **უნივერსიტეტს აქვს ძალიან დიდი ძალა და რომ იგი აიძულებს ლომაიას**; ჩვენ უნდა მოვახსენოთ **ხუბუას**, რომ იგი, სამწუხაროდ, არის მოსული იმისათვის, რომ დაანგრიოს უნივერსიტეტი, ამიტომ იგი უნდა გადადგეს. მიუხედავად მრავალი მოწვევისა, იგი არცერთ ჩვენს შეხვედრას არ დასწრებია, რადგან მას არა აქვს არანიარი არგუმენტი. **ლომაია მე პირადად დამემუქრა „იმედის“ სტუდიაში, რომ სხვაგვარად გამისწორდებოდა, რისი დადასტურებაც ეს პროცესია. გაცილებით დიდი შეურაცხყოფაა ის, რომ ნათაძეს, სანაძეს და აქ წარმოდგენილ სხვა პირებს უწოდო ხულიგანი, ვიდრე ხუბუას უწოდო ხიხო და ბოკერიას უწიგნური**, თუმცა ასეთს ადგილი არ ჰქონია. **ლომაიას** მხრიდან გაკეთდა პირველი კომენტარი და გვეწოდა ხულიგნები, ასედაც წარიმართასაქმის წარმოება, პროკურორმაუნდა უპატაკოს, რომ ეს ზუსტად შესრულდა. ეს გახლავთ შეკვეთილი პროცესი. ჩვენი მოთხოვნა იყო სწორი და იგი, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს წინააღმდეგ მომართეს. მთელი სახელმწიფო მანქანა ჩვენს წინააღმდეგაა და არა მინდა ამაში სასამართლოც მონაწილეობდეს. მე სასამართლოს ობიექტურობის იმედი მაქვს.

დემურ ბახტაძე მოახსენებს სასამართლოს – ეს რომ ანგარიშსწორებაა, დასტურდება იმით, რომ მე არსად მოხსენიებული არ ვარ, გარდა დადგენილებისა. **ხუბუას** ჩვენებაშიც ბოლოში ვარ მიწერილი, რატომ? მას მე სულ სამჯერ შევხვდი. პირველად ვნახე **გურამ შარაძესთან** ერთად, მაშინ, როდესაც **შარაძე** დააკავეს 15 დღით. მეორედ მაღლივ პორკუსში. მან იქ, სადაც რაღაცას წარმოვადგენდით, ჩვენს გარეშე მოიწვია სხდომა, რაშიც მე ის ვამხილე. მესამედ 3 ივლისს შევედი მის კაბინეტში და არა შევიჭერი ჩემს კოლეგებთან ერთად. მაშინ, როდესაც ჩემი კოლეგები ლექციას უკითხავდნენ პოლიციას, მე **ხუბუას** ვუკითხავდი ლექციას. ვუხსნიდი, რომ ისინი არიან ნეობოლშევიკები. მინდოდა შემეგონებინა, რომ წასულიყო, რადგან ვინც ცუდად ყოფს ხელს უნივერსიტეტის საქმიანობაში, იგი თავის სიცოცხლეს ცუდად ამთავრებს, ეს ისტორიულად ასეა. საქართველოში არ დადგება დრო, რომ ნეობოლშევიკებმა იბატონონ.

თენგიზ სანაძე მოახსენებს სასამართლოს – წესდება არსებობს, მაგრამ დავუშვათ, რომ იგი გაუქმდა. 2004 წელს დამტკიცდა დიდი სამეცნიერო სა-

ბჭო ექვსი წლის ვადით. როდესაც საბჭომ დაინახა, თუ რა ხდებოდა უნივერსიტეტში, მიმართა წერილით საქართველოს პრეზიდენტს. სწორედ ამ ოთახში მოვიგეთ საქმე უკანონოდ გამოცხადებული კონკურსების თაობაზე, **რომელიც ხუბუას მხრიდან აბუჩად იქნა აგდებული**. რატომღაც მისი მხრიდან აბუჩად ადგება კანონიერია, ხოლო ჩვენი კანონიერი და ერთსულოვანი გადაწყვეტილება ხულიგნობად და თვითნებობად არის გაგებული, რაც ჩემთვის მეტად გაუგებარია.

ავთანდილ არაბული მოახსენებს სასამართლოს – მე პირადად უმადურობად მიმაჩნია ჩემი გამოსვლა მას შემდეგ, რაც მოვისმინეთ ამომწურავი გამოსვლა ჩვენი ადვოკატებისა. გამოცემული მაქვს წიგნი მჭევრმეტყველებისა. ახლა გადავწყვიტე, რომ შემდეგ გამოცემაში შევიტანო ჩვენი ადკოვატების სიტყვები. სასამართლო, რომელიც გაიმართა დღეს, გუშინ და 30 ივლისს, ეს არის ერთი ეპიზოდი იმ სამარცხვინო სიტუაციისა, რაც მიმდინარეობს განათლების სფეროში. 3 ივლისს მომხდარი ფაქტი იყო გაგრძელება იმისა, რასაც მანამდე ჰქონდა ადგილი. ბრალმდებლის მიერ გამოთქმული მოსაზრება ზუსტად შეესაბამება იმას, რაც იმ დღესვე ითქვა **ხუბუასა** და **ლომაიას** მიერ, როგორც მათ მიერ იქნა შეფასებული ჩვენი ქმედება. ჩვენს შორის „ხიხოს“ მთქმელი არ არსებობს, მაშინ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ **მინისტრმა** თვითონ მიაყენა შეურაცხყოფა **ხუბუას**. მინისტრი თავისი მიზნებისათვის იყენებს უნივერსიტეტს და გამოიყენა სასამართლო. იყო თუ არა დიდი სამეცნიერო საბჭო ლეგიტიმური, ამის მტკიცება უკვე ზედმეტად მიმაჩნია. არცერთი მოწმის ჩვენებაში არ ფიგურირებს, რომ მე, **არაბულმა**, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენე. არ არსებობს არანაირი საფუძველი იმისა, რომ ჩემ მიმართ საქმე ყოფილიყო ნაწარმოები ამ კუთხით. როგორ შეიძლება, პროფესორებს მოექცე ასე. **აქ წარმოდგენილი პირებივართ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლნიდა არა სამართალდამრღვევნი**. ვაპირებ მივმართო სასამართლოს ჩემი დარღვეული უფლებების აღდგენის მოთხოვნით. მე აღვნიშნე, რომ **ვანო ბოკერია** იღებდა მთელ იქ განვითარებულ მოვლენებს, იღებდა ასევე ყველა ტელევიზია. თუ იმ ჩანაწერებში რაიმე ჩვენი საწინააღმდეგოა, მაშინ რატომ არ იყენებენ ჩვენს წინააღმდეგ? მე მზად ვარ მოვიხადო სასჯელი, თუ ეს ნამდვილად ჩემ მიერ არის ჩადენილი.

მაია ნათაძე აცხადებს – სრულიად ვეთანხმები არაბულს, მეც მზად ვარ მოვიხადო სასჯელი, თუ ეს სამარცხვინო ქმედება მართლაც ჩემ მიერაა ჩადენილი.

ვახტანგ ტუსკია მოახსენებს სასამართლოს – სრულიად ვეთანხმები აქ გამოთქმულ მოსაზრებებს. ძალიან ძნელია, როდესაც ადამიანი 70 წელს გადასცილდები და მიიღო ასეთი სტატუსი სასამართლოს მიერ – დამტკიცება

წვრილმანი ხულიგნობისა. ამის წინააღმდეგი ვარ, რადგან სიტყვა „წვრილმანი“ არ მომწონს. ჯობდა ეთქვათ, სამშობლოს მოღალატე, ტერორისტი, ესეც ტყუილია და ისიც ტყუილი იქნებოდა.

გელა დოლიძე მოახსენებს სასამართლოს – მე არ ვარ ოპტიმისტურად განწყობილი სასამართლოს მიმართ და მის ობიექტურობას და მიუკერძოებლობაში ეჭვი მეპარება. თქვენ შეგეძლოთ ისტორიაში შესულიყავით, როგორც უნივერსიტეტის გადამრჩენი, მაგრამ რატომღაც ამაზე უარი თქვით მაშინ, როდესაც უარი განაცხადეთ წესდების გამოთხოვაზე. თქვენს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული ჩვენი არცერთი შუამდგომლობა, გარდა მოწმეების დაკითხვისა, რომლის არ დაკმაყოფილების არანაირი საფუძველი არ გქონდათ. დადგენილება არის პოლიტიკური და იურიდიული შეფასება იმისა, რაც ხდება უნივერსიტეტში. ვინ მოგცათ ამის უფლება, ბატონო პროკურორო, რომ ყოველგვარი გამოკვლვის გარეშე დაიწყეთ დასკვნების გაკეთება, რითაც გახდით სევერიან ყალიჩავას შთამომავლები, ხოლო თუ ვინ იყო სევერიან ყალიჩავა, თვითონ გაარკვიეთ.

მოსამართლე შენიშვნას აძლევს **გელა დოლიძეს**, რათა იგი დაუბრუნდეს დავის საგანს.

გელა დოლიძე აცხადებს – თქვენ შეხვალთ ისტორიაში, როგორც სამარცხვინო ლაქა.

მედეა სიხარულიძე მოახსენებს სასამართლოს – მინდა მივმართო პროკურორს. მოვუსმინეთ მოწმეებს, ვერცერთმა ვერ დაადასტურა, რომ მე ვინმეზე ვიყავი გადაკიდეუბლი, პირიქით, იქით გადამეკიდნენ. დიდი ხანია **ხუბუა** ჩადის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას. უნივერსიტეტში არის ტერორი ძველი თანამშრომლებისა. 3 ივლისი იქ არ დამთავრებულა, სადაც თქვენ გინდათ, რომ დამთავრდეს, ბატონო პროკურორო. იგი გადაიზარდა უფრო დიდ დანაშაულში. ადამიანი დატოვო უჰაეროდ, უწყლოდ, ტუალეტის გარეშე ჩაკეტილ სივრცეში, ეს უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე ის, რასაც ჩვენ აქ ვისმენთ ეს დღეები. ერთი ჩვენება მაინც მანახეთ, სადაც მე ვარ დასახელებული.

ჯემალ მებონია მოახსენებს სასამართლოს – არანაირი უნდობლობის გრძნობა არ მაქვს სასამართლოს მიმართ. კარგია, თუ ხელიგანი ვარ, ე. ი. ახალგაზრდა ვარ. მე ხომ ვიცი, რაც გავაკეთე, არ ვთვლი, რომ დანაშაული ჩავიდინე და უნდა დავისაჯო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექის 212-ე მუხლის თანახმად **მოსამართლე** ადგენს: სასამართლო სხდომაზე წესრიგის უხეში დარღვევისათვის გაძევებულ იქნა სხდომის დარბაზიდან მოქალაქე **გუჯა მებონია**.

ჯემალ მებონია აცხადებს – რექტორის მოვალეობის შემსრულებლის კა-

ბინეტში არ შევჭრილვართ და თუ შევიჭერით, გასაგებია, რადგან კანონი ყოველდღიურად ირღვეოდა **ხუბუას** მხრიდან. **რატომ იმ ახალგაზრდებს არ შეუკერეს საქმეები**, **რომლებიც შეიჭრნენ პარლამენტში და შევარდნაძე გადააყენეს**? ეს საქმე შეკვეთით შეკერეს და ძალიანაც კარგია, რადგან ეს ჩვენთვის არის ტრიბუნა, სადაც შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ისინი არიან ამ ქვეყნის დამანგრევლენი. თქვენი გადაწყვეტილება როგორიც არ უნდა იყოს, მას აუცილებლად გავასაჩივრებთ, რათა კიდევ ერთი ტრიბუნა მოვიპოვოთ.

მხარეთა პაექრობის ეტაპი დასრულდა.

რეპლიკის უფლებით სარგებლობს პროკურორი **დავით ხიზანაიძე** და აცხადებს – პირველ რიგში, მინდა განვმარტო, რომ აქ ბრალდებაზე და ბრალდებულებზე საუბარი არ არის. ეს არ გახლავთ სისხლის სამართლის საქმე, სადაც ასეთ სტატუსზე შეიძლებოდა გვქონოდა საუბარი.

ვახტანგ ტუსკია აცხადებს – არ გვინდა ამის მოსმენა, ეს ჩვენი ქვეყნის სირცხვილია.

დავით ხიზანაიძე აცხადებს – დადასტურებულია წვრილმანი ხულიგნობის ფაქტები, იგი დადასტურებულ იქნა უნივერსიტეტის თანამშრომლების – **ზერიაშვილისა** და **აჭაიძის** ჩვენებებით. დადგენილებას სრულიად ვეთანხმები და გთხოვთ ცნოთ ისინი სამართალდამრღვევებად და სახდელის სახით დაეკისროთ ჯარიმა თითოეულს 100 (ასი) ლარის ოდენობით.

მაია ნათაძე სარგებლობს რეპლიკის უფლებით და აცხადებს – გუშინ ყველამ ნათლად დავინახეთ, რომ არაფერიც არ დადასტურდა. ეს იყო მხოლოდ მცდელობა იმისა, რომ ესიამოვნებინათ უფროსებისათვის. **პროკურორის გამოსვლას ჰქვია კედელს ცერცვი შეაყარეო**.

ლია მუხაშავრია სარგებლობს რეპლიკის უფლებით და აცხადბს – ეს პროცესი რომ ზემოქმედებისაგან დაზღვეული ვერ იქნებოდა, ეს ფაქტია. აქ წარმოდგენილ პიროვნებებს ბრალი ედებათ ხულიგნობაში. მებადება კითხვა, ისინი თუნდაც გარეგნული ნიშნებით შეიძლბა იყვნენ ხულიგნები? მე ძალიან დიდ პატივს ვცემ აქ წარმოდგენილ თითოეთულ ადამიანს, თუმცა გარდა **არაბულისა** მათთან მეგობრობით ვერ დავიკვეხნი, რაზედაც ძალიან გული მწყდება. ალბათ არავის არ უკვირს, ამის შემდეგ ეს ემოციები. რას ნიშნავს პროკურორის სიტყვები, რომ ჩვენ ბრალდება ვერ გავიგეთ. გაარკვიეთ, ბატონო პროკურორო, გაქვთ კი თქვენ იმის უფლება, რომ ჩვენ რამეზე მიგვითითოთ? ისინი არ არიან ცნობილნი ეჭვმიტანილებად, ბრალდებულებად და უგზავნით დადგენილებებს. არ არსებობს მოთხოვნის დაკმაყოფილების არც სამართლებრივი ად არც ფაქტობრივი საფუძველები. მე მჯერა, რომ ჩვენი ოპტიმიზი უსაფუძვლო არ არის. ამის საფუძველს მაძლევს მოსამართლის მიუ-

კერძოებლობა, პროფესიონალიზმი და მჯერა, რომ გადაწყვეტილება იქნება ობიექტური და შეწყდება საქმე.

ჯემალ მებონია, **თენგიზ სანაძე**, **მედეა სიხარულიძე**, **გელა დოლიძე**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **ავთანდილ არაბული** და **დემურ ბახტაძე** რეპლიკის უფლებით არ სარგებლობენ.

13:05 საათზე სასამართლო გავიდა სათათბირო ოთხაში.

14:35 საათზე სასამართლო დაბრუნდა სხდომის დარბაზში და მოსამართლე აქვეყნებს თათბირის შედეგად მიღებული დადგენილების სარეზოლუციო ნაწილს, აცხადებს მისი გასაჩივრების წესს, აცხადებს სხდომის ოქმის გაცნობისა და გასაჩივრების წესს.

სხდომა დაიხურა.

მოსამართლე: თეა თადაშვილი

სხდომის მდივანი: ნათია გორგოძე

საქმის №4/7207-06

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

04 აგვისტო, 2006 წ.
თბილისი

თბილსის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ **თეა თადაშვილმა** ერთპიროვნულად,

ნათია გორგოძის მდივნობით,

თბილისის პროკურატურის შ.ს. ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის – **დ. ხიზანაიძის**,

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირების – **ჯემალ მეზონიას**, **თენგიზ სანაძის**, **მაია ნათაძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულის**, **მედეა სიხარულიძის**, **გელა დოლიძის**, **ვახტანგ ტუსკიას** და **დემურ ბახტაძის**,

აგრეთვე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთა წარმომადგენლის **ლია მუხაშავრიასა** და ადვოკატ **თეიმურაზ ტაბატაძის** მონაწილეობით,

განვიხილე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე №4/7207-06, აღძრული თბილისის პროკურატურის შ.ს. ორგანოებში საგამოძიებო საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების 2006 წლის 29 ივლისის დადგენილების საფუძველზე, მოქალაქეების – **ჯემალ მეზონიას**, დაბ. 1939 წ., მცხ. ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. №3, ბ. №1, **თენგიზ სანაძის**, დაბად. 1930 წ., მცხ.: ქ. თბილისი, ატენის ქ. №20, ბ. №52, **მაია ნათაძის**, დაბად. 1929 წ., მცხ.: ქ. თბილისი, ქუჩიშვილის ქ. №20, **გიორგი გოგოლაშვილის**, დაბად. 1948 წ. მცხ.: ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, კორპ. №403, ბ. №114, **მედეა სიხარულიძის**, დაბად.: 1955 წ., მცხ.: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, გ. ბრწყინვალის ქ. №31, ბ. №100, **გელა დოლიძის**, დაბ. 1963 წ., მცხ.: ძმები კაკაბაძეების ქ. №9, **ვახტანგ ტუსკიას**, დაბ. 1935 წ. და **დემურ ბახტაძის**, მცხ.: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, გ. ბრწყინვალის ქ. №31, ბ. №21, მიმართ, ქმედებათათვის, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე და 174-ე მუხლებით,

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2006 წლის 29 ივლისს წარმოდგენილ იქნა თბილისის პროკურატურის

მიერ იმავე 29.07.2006 წელს გამოტანილი დადგენილება თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში 2006 წლის 03 ივლისს პირთა მიერ ჯგუფური მოქმედების ორგანიზების ფაქტზე აღძრული **სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის და** მოქალაქეების – **ჯემალ მებონიას**, **თენგიზ სანაძის**, **მაია ნათაძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულის**, **მედეა სიხარულიძის**, **გელა დოლიძის**, **ვახტანგ ტუსკიას** და **დემურ ბახტაძის** მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ მასალის სასამართლოში გადმოგზავნის თაობაზე.

29.07.2006 წლის დადგენილებაში მითითებულია, რომ 2006 წლის 03 ივლისს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე უნივერსიტეტის თანამშრომლები შეიკრიბნენ I კორპუსის დიდ სააქტო დარბაზში 15:00 საათიდან 19:00 საათამდე. სააქტო დარბაზში შეკრებილმა ყოფილი დიდი საბჭოს წევრებმა თვითნებურად აირჩიეს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ჯემალ მებონია**, რის შემდეგაც დაახლოებით 50 წევრი, **ჯემალ მებონიას**, **თენგიზ სანაძის**, **მაია ნათაძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულის**, **მედეა სიხარულიძის**, **გელა დოლიძის**, **ვახტანგ ტუსკიას** და **დემურ ბახტაძის** ხელმძღვანელობით და მოწოდებებით გაერმათნენ რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან **გ. ხუბუასთან**, რათა აეძულებინათ იგი, გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან და დაეთმო ადგილი **ჯემალ მებონიასთვის**. დაახლოებით 16:00 საათზე ხსენებული პირები რექტორის მოვალეობის შემსრულებლის სამუშაო ოთახთან არსებულ ფოიეში არ დაემორჩილნენ რა დაცვის თანამშრომელთა კანონიერ მოთხოვნას, შეიჭრნენ გ. ხუბუას სამუშაო ოთახში, რომელსაც აცნობეს თვითნებურად მიღებული უკანონო გადაწყვეტილება, კატეგორიულად მოსთხოვეს, დაეტოვებინა თანამდებობა და სამუშაო ოთახი დაეთმო ახლად არჩეული რექტორისთვის – **ჯემალ მებონიასთვის**. მიუხედავად გ. ხუბუასა და სხვა თანამშრომლების მოთხოვნისა, დაეცვათ წესრიგი და ხელი არ შეეშალათ უნივერსიტეტის ნორმალური მუშაობისათვის, **ჯემალ მებონია**, **თენგიზ სანაძე**, **მაია ნათაძე**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **ავთანდილ არაბული**, **მედეა სიხარულიძე**, **გელა დოლიძე**, **ვახტანგ ტუსკია** და **დემურ ბახტაძე** არ დაემორჩილნენ კანონიერ მოთხოვნას და კვლავ აგრძელებდნენ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიმართ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, კერძოდ, „გაეთრიე უნივერსიტეტიდან, შე გათახსირებულო“ და სხვა. ასევე მოუწოდებდნენ ეზოში შეკრებილ სხვა თანამშრომლებს, შესულიყვნენ შენობაში მათ მხარდასაჭერად. რადგან რექტორმა ვერ მიაღწია სიტუაციის განმუხტვას, მან გამოიძახა საპატრულო პოლიცია; **ჯემალ მებონია**, **თენგიზ სანაძე**, **მაია ნათაძე**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **ავთანდილ არაბული**, **მედეა სიხარულიძე**, **გელა დოლიძე**, **ვახტანგ**

ტუსკია და **დემურ ბახტაძე** ასევე არ დაემორჩილნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნას და დაახლოებით ორი საათის განმავლობაში აგრძელებდნენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებსბ.

თანახმად აღნიშნული დადგენილებისა, პირების – **ჯემალ მეზონიას**, **თენგიზ სანაძის**, **მაია ნათაძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულის**, **მედეა სიხარულიძის**, **გელა დოლიძის**, **ვახტანგ ტუსკიას** და **დემურ ბახტაძის** ქმედება დაკვალიფიცირდა როგორც წვრილმანი **ხულიგნობა** (ს.ა.ს. კოლდექსის 166-ე მუხლი), პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი **დაუმორჩილებლობა** (ს.ა.ს. კოდექსის 173-ე მუხლი) და თვითნებობა (ს.ა.ს. კოდექსის 174-ე მუხლი); დადგენილება საქმის მასალებთან ერთად წარიმართა სასამართლოში ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ საკითხის გადასაწყვეტად.

თანახმად ზემოთქმულისა, დადგენილება და თანხმლები მასალა სასამართლოში წარმოდგენილ იქნა 29.07.2006 წელს; თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 262-ე მუხლისა, საქმის განხილვა დაიწყო 2006 წლის 30 ივლისს; თანახმად იმავე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლისა, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე საქმის განხილვა გადაიდო 2006 წლის 03 აგვისტოსთვის.

03.08.2006 წლის სასამართლო სხდომაზე თბილისის პროკურატურის წარმომადგენელმა **დ. ხიზანაიძემ** მხარი დაუჭირა 29.07.2006 წლის დადგენილებას და ითხოვა, რათა სამართალდამრღვევების – **ჯემალ მეზონიას**, **თენგიზ სანაძის**, **მაია ნათაძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულის**, **მედეა სიხარულიძის**, **გელა დოლიძის**, **ვახტანგ ტუსკიას** და **დემურ ბახტაძის** მიმართ ადმინისტრაციული სახდელის სახედ გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული ჯარიმა თითოეულზე 100 ლარის ოდენობით.

ამავე სასამართლო სხდომაზე მოქ. **ჯემალ მეზონია** არ დაეთანხმა 29.07.2006 წლის დადგენილებას და სასამართლოს წინაშე განმარტა, რომ მას სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, იგი თანახმად უნივერსიტეტის წესდებისა, დიდი საბჭოს სხდომაზე არჩეულ იქნა უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად, ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2006 წლის 03 ივლისს, დიდი საბჭოს მიერ, ამის შემდეგ იგი და მასთან ერთად მყოფი პირები – **თენგიზ სანაძე**, **მაია ნათაძე**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **ავთანდილ არაბული**, **მედეა სიხარულიძე**, **გელა დოლიძე**, **ვახტანგ ტუსკია** და **დემურ ბახტაძე** გაემართნენ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის – **გიორგი ხუბუას** სამუშაო კაბინეტისაკენ, მათ გზაში რაიმე წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, დაბრკოლების გარეშე შეაღწიეს **გიორგი ხუბუას** სამუშაო ოთახში, მდივანმა განუმარტათ, რომ **გ. ხუბუა** თავის ოთახში მარტო იყო; ოთახში შესვლის შემდეგ მათ

შორის გაიმართა საუბარი, გიორგი **ხუბუას** შეატყობინეს დიდი საბჭოს გადაწყვეტილება მისი (ჯემალ მებონია) რექტორის მოვალეობის შემსრულებლად არჩევის თაობაზე და მოსთხოვეს პირადი ნივთების აღება და სამუშაო ოთახის დატოვება, რისთვისაც მისცეს 10 წუთი; გარკვეული დროის შემდეგ **გიორგი ხუბუამ** დატოვა ოთახი, ამის შემდეგ ოთახში შემოვიდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც მათ სთხოვეს ოთახის დატოვება, მათ შორის გაიმართა საუბარი, **გიორგი გოგოლაშვილმა და თენგიზ სანაძემ ლექცია წაუკითხეს პატრულის თანამშრომლებს**, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით 10 წუთი, მათ დატოვეს გიორგი ხუბუას ოთახი; მათი მხრიდან ადგილი არ ჰქონია რაიმე წინააღმდეგობას პოლიციისადმი, აგრეთვე არანაირი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ გ. ხუბუასთვის. მანვე მიუთითა, რომ ის, როგორც ჩანს, დაღლილად გამოიყურებოდა, ამიტომ იგი სკამიანად გაიტანეს ოთახიდან, ზოგადად ითქვა, რომ კაბინეტი უნდა დაეტოვებინათ, მაგრამ ეს პირადად მისთვის არავის უთქვამს.

ამავე სასამართლო სხდომაზე **მაია ნათაძე** დაეთანხმა ჯემალ მებონიას განმარტებას და დამატებით განმარტა, რომ ისინი შევიდნენ გიორგი **ხუბუას** ოთახში, დასხდნენ და დაიწყეს საუბარი, გამოუცხადეს უნდობლობა, მოსთხოვეს გადამდგარიყო და დაეტოვებინა ოთახი, შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, გარკვეული დროის შემდეგ გიორგი **ხუბუამ** დატოვა ოთახი, ამის შემდეგ ოთახში შემოვიდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, ამ უკანასკნელებმა მათ ზრილობიანად მოსთხოვეს ოთახის განთავისუფლება, მათ შორის გაიმართა საუბარი, რომელიც გაგრძელდა 2-3 წუთი, ამის შემდეგ მათ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დატოვეს რექტორის კაბინეტი, პოლიციისადმი დაუმორჩილებლობას ადგილი არ ჰქონია.

ამავე სასამართლოს სხდომაზე **გიორგი გოგოლაშვილმა** განმარტა, რომ იგი არ ეთანხმება დადგენილებას, მოიწვიეს რა მათ დიდი საბჭოს სხდომა, ამ უკანასკნელზე აირჩიეს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ჯემალ მებონია** და მივიდნენ გიორგი **ხუბუასთან**, შეატყობინეს ამ გადაწყვეტილების თაობაზე და მოსთხოვეს ოთახის დატოვება, გარკვეული დროის შემდეგ გიორგი **ხუბუამ** ნამდვილად დატოვა კაბინეტი, მათ იგი ტაშისკვრით გააცილეს – იფიქრეს, რომ წავიდა, ამის შემდეგ ოთახში შემოვიდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, ამ უკანასკნელებმა მათ მოსთხოვეს ოთახის გათავისუფლება, მათ შორის გაიმართა საუბარი, რაც გაგრძელდა დაახლოებით 10 წუთს, **მან** და თ. **სანაძემ** ლექცია წაუკითხეს პატრულის თანამშრომლებს, მათ წინააღმდეგობის გარეშე დატოვეს რექტორის ოთახი და გადაინაცვლეს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.

მოქ. **თენგიზ სანაძემ** მიუთითა, რომ იგი ნამდვილად იმყოფებოდა **ჯემალ მებონიასთან** ერთად **გიორგი ხუბუას** სამუშაო ოთახში, რექტორის მოვა-

ლეობის შემსრულებელს გააცნეს დიდი საბჭოს გადაწყვეტილება, მათ შორის გაიმართა ხანგრძლივი საუბარი, რის შემდეგაც **გიორგი ხუბუამ** დატოვა თავისი სამუშაო კაბინეტი, ამის შემდეგ ოთახში შემოვიდნენ პატრულის თანამშრომლები, მათ შორის საუბარი გაგრძელდა 10-15 წუთი, ოთახი გაათავისუფლეს ნებაყოფლობით, წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

მოქ. **ავთანდილ არაბულმა**, დაეთანხმა რა **ჯ. მებონიას** და სხვათა განმარტებას, სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ ბოლო პერიოდში თითქმის ყოველდღე ტარდებოდა დიდი საბჭოს სხდომები, 2006 წლის 03 ივლისს დიდმა საბჭომ აირჩია რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ჯემალ მებონია**, მათ დაბრკოლების გარეშე გაიარეს გზა რექტორის კაბინეტამდე, მათი მხრიდან დაუმორჩილებლობას ადგილი არ ჰქონია.

მოქ. **დემურ ბახტაძემ** სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ მას რექტორის მოვალეობის შემსრულებლისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია, მან და მისმა თანამშრომლებმა – **ჯემალ მებონიამ**, **თენგიზ სანაძემ**, **მაია ნათაძე,მ გიორგი გოგოლაშვილმა**, **ავთანდილ არაბულმა**, **მედეა სიხარულიძემ**, **გელა დოლიძემ**, **ვახტანგ ტუსკიამ** გააცნეს დიდი საბჭოს გადაწყვეტილება, მოსთხოვეს დაეტოვებინა კაბინეტი, როცა გიორგი ხუბუამ დატოვა თავისი სამუშაო ოთახი, იგი მას თან გაჰყვა და გარეთ მოსაცდელში აგრძელებდა მასთან საუბარს, ანუ როცა საპატრულო პოლიციის თანამშრომლები შევიდნენ რექტორის კაბინეტში, იგი იქ არ იმყოფებოდა და შესაბამისად პოლიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობას ვერც გაუწევდა. მანვე მიუთითა, რომ გ. ხუბუასა და მის თანამშრომლებს შორის საუბარი ატარებდა კორექტულ ხასიათს.

მოქ. **ვახტანგ ტუსკია** ასევე არ დაეთანხმა დადგენილებას და განმარტა, რომ იგი ეთანხმება **ჯემალ მებონიას** განმარტებას, მანვე მიუთითა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებსა და მათ შორის საუბარი გაგრძელდა დაახლოებით 2-3 წუთს, ამის შემდეგ მათ წინააღმდეგობის გარეშე დატოვეს **გ. ხუბუას** კაბინეტი.

მოქ. **მედეა სიხარულიძემ** სასამართლოს წინაშე განმარტა, რომ იგი 2006 წლის 03 ივლისს დიდი საბჭოს სხდომაზე ადგენდა ოქმს, იგი **ჯემალ მებონიასა** და სხვებთან ერთად გაემართა გიორგი ხუბუას კაბინეტში, საბჭოს გადაწყვეტილების გასაცნობად, ოთახში შევიდნენ წინააღმდეგობის გარეშე, მათი საუბარი გაგრძელდა დაახლოებით 20 წუთი, ამის შემდეგ იგი გამოვიდა გიორგი **ხუბუას** ოთახიდან და დაჯდა მისაღებში, რადგან თავს ცუდად გრძნობდა, მოითხოვა ვალიდოლი, ამასობაში მოვიდა საპატრულო პოლიცია, მისაღებში ყოფნისას იგი შეესწრო, თუ როგორ გამოვიდა გ. **ხუბუა** თავისი კაბინეტიდან და როგორ შევიდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, იგი იმ ოთახში არ იმყოფებოდა და პოლიციელთათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

მოქ. **გელა დოლიძე** ასევე არ დაეთანხმა 29.07.2006 წლის დადგენილე-

ბას და სასამართლოს წინაშე განმარტა, რომ იგი **ჯემალ მებონიასა** და სხვებთან ერთად ნამდვილად იმყოფებოდა გ. **ხუბუას** ოთახში და ერთადერთი, რაც მან რექტორს განუცხადა, გახლავთ ის, რომ იგი (**გ. ხუბუა**) უნივერსიტეტისათვის წარმოადგენდა ოდიოზურ ფიგურას. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან მათი საუბარი გაგრძელდა დაახლოებით 10-15 წუთს, წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირების წარმომადგენელმა **ლია მუხაშავრიამ** სასამართლოს წინაშე განმარტა, რომ სასამართლოს არ უნდა მიეღო თბილისის პროკურატურის 29.07.2006 წლის დადგენილება, რადგან იგი საჩივრდება 15 დღის ვადაში, ხოლო მისი სასამართლოში წარმოდგენის დღისათვის არ იყო გასული გასაჩივრების აღნიშნული ვადა; ასეთ პირობებში სასამართლო ვალდებული იყო, შეეწყვიტა **ჯ. მებონიასა** და სხვათა მიმართ საქმის წარმოება. სასამართლოში საქმის წარმოების დაწყებით მის მარწმუნებლებს წაერთვათ დადგენილების გასაჩივრების უფლება. მანვე მიუთითა, რომ სამართალდამრღვევთაგან ოთხი პირი – **მაია ნათაძე**, **მედეა სიხარულიძე**, **ვახტანგ ტუსკია** და **დემურ ბახტაძე** გამოძიებაში დაკითხულნი არ ყოფილან, თუმცა დადგენილებაში მოიხსენიებიან როგორც სამართალდამრღვევები. **ლია მუხაშავრიას** მიაჩნია, რომ რადგან მისი მარწმუნებლები გამოძიებაში დაკითხულ იქნენ მოწმეთა სახით, მათ დღემდე უნარჩუნდებათ მოწმის სტატუსი და შესაბამისად არ წარმოადგენენ ამ საქმის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის) მხარესა და სუბიექტებს.

თავად დადგენილება (29.07.2006 წლის დადგენილება) ვერ ცვლის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, დადგენილება არ შეიცავს მითითებას კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე;

ლია მუხაშავრია ასევე თვლის, რომ არ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა, კერძოდ, მან განმარტა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის კაბინეტი არ წარმოადგენს საზოგადოებრივ ადგილს, იგი არის მისი სამუშაო ადგილი, პრივატული ხასიათის ადგილი; პროფესორები არ არიან უნივერსიტეტისათვის გარეშე პირები, ისინი არიან დიდი საბჭოს წევრები, მათი არჩევა მოხდა 2004 წლის დეკემბერში, თუმცა წესდება გაუქმდა 2005 წლის ივლისში, დიდი საბჭოს სხდომა 03.07.2006 წელს ჩატარდა დადგენილი წესის დაცვით, შედგა ოქმი, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება **ჯემალ მებონიას** რექტორის მოვალეობის შემსრულებლად არჩევის თაობაზე. აქვე განიმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 08 ივნისის №473 ბრძანებულების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლის და ფაკულტეტის დეკანის მოვა-

ლეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტია ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ პირველი, მე-2, მე-3, მე-4 მუხლების და მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, აგრეთვე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგიერთი მუხლის კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 22.06.2006 წლის გადაწყვეტილებით მიღებულია არსებითად განსახილველად, რაც **ლია მუხაშავრიას** აზრით, წარმოადგენს ისეთ გარემოებას, რომელიც გამორიცხავს უნივერსიტეტის წესდების გაუქმების, დიდი საბჭოს არარსებობის, საბჭოს გადაწყვეტილებების უკანონობის უაპელაციო მტკიცების შესაძლებლობას.

ლია მუხაშავრიამ განმარტა, რომ არ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე და 174-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტები; კერძოდ, 2006 წლის 03 ივლისს გ. **ხუბუას** კაბინეტში ადგილი არ ჰქონია პროფესორების მხრიდან რექტორზე შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს; რექტორსა და პროფესორებს შორის ურთიერთობა არ არის მოწესრიგებული რაიმე შინაგანაწესით, შესაბამისად მათ რექტორის ოთახში შესვლისათვის არ სჭირდებოდათ წინასწარი თანხმობა, ნებართვა. დიდი საბჭოს მიერ მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გაეცნოთ რექტორისათვის; იმ დღეს, დღის იმ მონაკვეთში, სასწავლო პროცესები დასრულებული იყო, ლექციები და გამოცდები არ ტარდებოდა; პროფესორებს დასჭირდათ დაახლოებით საათნახევარი დრო, რათა რექტორის მოვალეობის შემსრულებლისათვის ეცნობებიათ, გაეგებინებიათ მიღებული გადაწყვეტილება, დაერწმუნებიათ, გადამდგარიყო.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლთან მიმართებაში **ლია მუხაშავრიამ** განმარტა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ადგილზე მისვლისას უწესრიგობა არ დახვედრიათ, მხარეები ისხდნენ მაგიდის გარშემო და საუბრობდნენ, პოლიციალთა მხრიდან არც ყოფილა დაყენებული მოთხოვნა რაიმე მოქმედების შესრულების თაობაზე და რომც ყოფილიყო ასეთი მოთხოვნა, იგი კანონიერი ვერ იქნებოდა, რადგან წესრიგი არ ირღვეოდა; პოლიციის თანამშრომლებმა იკითხეს, თუ რა ხდებოდა, რაზედაც **გიორგი გოგოლაშვილმა** და **თენგიზ სანაძემ** განუმარტეს მათი იქ ყოფნის მიზეზი, პოლიციელებმა მათ სთხოვეს კაბინეტის დატოვება. როცა დიალოგი ამოიწურა, პროფესორები დაემორჩილნენ პოლიციელთა ნებას და დატოვეს ოთახი, ძალადობას ადგილი არ ჰქონია, აღნიშნული მიუთითებს, რომ პოლიცია არ უნდა გამოეძახათ, **ადგილი ჰქონდა ცრუ შეტყობინებას**.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174-ე მუხლთან მიმართებაში **ლია მუხაშავრიამ** განმარტა, რომ 29.07.2006 წლის დადგენილება არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რომელი წესი დაირღვა პროფესორთა მიერ, რაში გამოიხატებოდა თვითნებობა, არც რაიმე ზიანი დამდგარა.

ავთანდილ არაბულის ადვოკატმა **თ. ტაბატაძემ** ამავე სასამართლო სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ რადგან 29.07.2006 წლის დადგენილება გაეგზავნა **ა. არაბულსა** და დანარჩენ რვა პიროვნებას, აღნიშნული მიუთითებს, რომ დადგენილების II პუნქტი ნამდვილად ეხება ცხრავე პროფესორს და რომ სასამართლოში საქმის დაჩქარებული წესით განხილვის პირობებში მათ წაერთვათ ამ დადგენილების გასაჩივრების უფლება. მანვე მიუთითა, რომ უნივერსიტეტის წესდება არსებობს, აღნიშნული იმით დასტურდება, რომ ძველ წესდებაზეა დაფუძნებული უნივერსიტეტსა და ბანკ „რესპუბლიკას“, უნივერსიტეტსა და საგადასახადო ინსპექციას შორის ურთიერთობა და რომ ასეთ პირობებში უნივერსიტეტის პროფესორები უფლებამოსილნი იყვნენ, დიდ საბჭოზე აერჩიათ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

ადვოკატმა **თ. ტაბატაძემ** დამატებით განმარტა, რომ რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-19, 24-ე და 25-ე მუხლები მოქალაქეებს აძლევთ უფლებას, შეიკრიბონ წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ და რომ მათ აქვთ უფლება, თავისუფლად გამოთქვან და გაავრცელონ აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით, ისარგებლონ სიტყვის თავისუფლებით, **ავთანდილ არაბულსა** და მასთან ერთად მყოფ პირებს ყოველივე ამის განხორციელება შეეძლოთ უნივერსიტეტის შენობაში, კერძოდ კი რექტორის სამუშაო კაბინეტში.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირებმა და მათმა წარმომადგენლებმა ითხოვეს, რათა შეწყდეს მათ მიმართ აღძრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალის შესწავლის და მხარეთა მოსმენის შედეგად სასამართლო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მოქალაქეების – **ჯემალ მებონიას**, **თენგიზ სანაძის**, **მაია ნათაძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულის**, **გელა დოლიძის** და **ვახტანგ ტუსკიას** მიერ ჩადენილია ქმედებანი, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე და 174-ე მუხლებით, აგრეთვე მოქალაქეების – **დემურ ბახტაძის** და **მედეა სიხარულიძის** მიერ ჩადენილია ქმედებანი, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და

174-ე მუხლებით; აღნიშნული დასტურდება შემდეგით:

დადგენილია, რომ 2006 წლის 03 ივლისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, რექტორის სამუშაო ოთახში პირთა მიერ ჯგუფური მოქმედების ორგანიზების ფაქტზე, რამაც უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოიწვია უნივერსიტეტის მუშაობის შეფერხება (დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით), თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ იმავე დღეს დაიწყო წინასწარი გამოძიება.

დადგენილია, რომ თბილისის პროკურატურის 2006 წლის 29 ივლისის დადგენილებით, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“ პუნქტისა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო შეწყვეტილ იქნა ზემოხსენებულ ფაქტზე დაწყებული წინასწარი გამოძიება.

დადგენილია, რომ იმავე 2006 წლის 29 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარმოდგენილ იქნა თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის **დ. ხიზანაიძის** 2006 წლის 29 ივლისის დადგენილება და საქმის მასალა მოქალაქეების – **ჯემალ მებონიას**, **თენგიზ სანაძის**, **მაია ნათაძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულის**, **მედეა სიხარულიძის**, **გელა დოლიძის**, **ვახტანგ ტუსკიას** და **დემურ ბახტაძის** მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე და 174-ე მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებათათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ საკითხის გადასაწყვეტად.

სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მოქალაქეების – **ჯემალ მებონიას**, **თენგიზ სანაძის და სხვათა მიმართ** სამართალწარმოება დაწყებულ იქნა 29.07.2006 წლის დადგენილებისა და მისი თანმხლები მასალის საფუძველზე თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის მეორე აბზაცისა, აგრეთვე 262-ე მუხლის მე-2 აბზაცისა; კერძოდ, სასამართლო საქმის განხილვას შეუდგა მასალების მიღებიდან 24 საათში და შემდგომ იმავე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 აბზაცზე დაყრდნობით საქმის განხილვა გააგრძელა მომდევნო სხდომებზე მხარეთათვის საქმის მასალის გასაცნობად, ადვოკატის ასაყვანად და საქმის განხილვისათვის მოსამზადებლად კონკრეტული დროის დაწესებით.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 აბზაციდან გამომდინარე მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის

წარმოება სწორად იქნა დაწსებული თბილისის პროკურატურის 29.07.2006 წლის დადგენილების საფუძველზე, რადგან მოქალაქეების – **ჯემალ მებონიას**, **თენგიზ სანაძის** და **სხვათა მხრიდან** 2006 წლის 03 ივლისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას შედეგად მოჰყვა სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების დაწყება – ჩატარება, ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით (ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც აღრვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან მასში აქტიური მონაწილეობა), გამოძიების პროცესში სამართალდამრღვევთაგან ხუთი პირი (**ჯ. მებონია**, **თ. სანაძე**, **გ. გოგოლაშვილი**, **ა. არაბული**, **გ. დოლიძე**) დაიკითხა მოწმის სტატუსით; აღნიშნული თავის მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ არც 2006 წლის 03 ივლისს და არც შემდგომ პერიოდში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არ შემდგარა, რადგან საგამოძიებო ორგანოების მიერ იმავე ფაქტების კვლევა-ძიება მიმდინარეობა სისხლის სამართალწარმოების წესით;

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 აბზაცით დადგენილია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში, მაგრამ როცა დამრღვევის მოქმედებაში არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნები, ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ერთი თვისა სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

ამ სამართლებრივ ნორმაზე დაყრდნობით სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო დოკუმენტი – 29.07.2006 წლის დადგენილება ისეთივე სამართლებრივი და ფუნქციური დატვირთვის დოკუმენტია, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი; კერძოდ, წინასწარი გამოძიების დაწყების პირობებში საგამოძიებო ორგანო მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეედგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რადგან არსებობდა ეჭვი, რომ მოხდა დანაშაულის, ანუ უფრო მძიმე კატეგორიის გადაცდომის და არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა; მას შემდეგ, რაც **თბილისის პროკურატურამ დაადგინა**, **რომ ადგილი არ ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაულს**, მან ქმედების სიმძიმიდან გამომდინარე გადაცდომა დააკვალიფიცირა როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ამ უკანასკნელის ფაქტობრივი და სამართლებრივი გამოხატულება კი მოგვცა 29.07.2006 წლის დადგენილებაში; ეს უკანასკნელი, მსგავსად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა, შეიცავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლით დადგენილ ყველა აუცილებელ რეკვიზიტს, მათ შორის სამართალდარღვევის ფაქტის აღწერა, მისი ჩა-

დენის ადგილის, დროის და არსის მითითებით, ფაქტის სამართლებრივ შეფასებას, პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმატული აქტის მითითებით, დადგენილებასთან ერთად წარმოდგენილ იქნა არა მარტო იმ პირთა ახსნა-განმარტება, რომელთა ქმედებაც დაკვალიფიცირდა, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, არამედ ამ ფაქტის ირგვლივ მოწმეთა სახით დაკითხული პირების ჩვენებები. სასამართლო აქვე განმარტავს, რომ თუკი საქმეს თან არ ერთვის და რეალურად არც მომხდარა მოქალაქეების – **მაია ნათაძის**, **მედეა სიხარულიძის**, **ვახტანგ ტუსკიას** და **დემურ ბახტაძის** დაკითხვა, მათთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა, ასეთი საპროცესო ვაკუუმის შევსება უნდა მოხდეს სასამართლოს სხდომაზე მხარეთა დასწრებით საქმის განხილვის პროცესში, რაც განხორციელდა კიდეც რეალურად.

რაც შეეხება დადგენილების გაგზავნის მომენტს, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავს, რომ 29.07.2006 წლის დადგენილება მოქალაქეებს – **ჯემალ მეზონიას**, **თენგიზ სანაძეს**, **მაია ნათაძეს**, **გიორგი გოგოლაშვილს**, **ავთანდილ არაბულს**, **მედეა სიხარულიძეს**, **გელა დოლიძეს**, **ვახტანგ ტუსკიას** და **დემურ ბახტაძეს** გაეგზავნათ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის საფუძველზე, როგორც ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირებს და არა როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლის სამართლის საპროცესო სტატუსის მქონე პირებს. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 398-ე მუხლის I ნაწილით დადგენილია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების ასლებს პროკურორი უგზავნის ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დამცველს, დაზარალებულს და მის წარმომადგენელს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს და მათ წარმომადგენელს, აგრეთვე იმ პირს, რომლის განცხადებითაც დაიწყო წინასწარი გამოძიება.

იმავე 398-ე მუხლის II ნაწილით დადგენილია, რომ I ნაწილში მითითებულ პირებს უნდა განემარტოთ საქმის მასალის გაცნობისა და დადგენილების გასაჩივრების უფლება.

ამდენად, სასამართლო განმარტავს, რომ თუმცა 29.07.2006 წლის დადგენილების მე-2 პუნქტი შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 398-ე მუხლის I ნაწილით დადგენილი წესის განმარტებას, აღნიშნული პუნქტი არ შეეხება მოქალაქეებს – **ჯემალ მეზონიას**, **თენგიზ სანაძეს**, **მაია ნათაძეს**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულს**, **მედეა სიხარულიძეს**, **გელა დოლიძეს**, **ვახტანგ ტუსკიას** და **დემურ ბახტაძეს**, რადგან ისინი არ გვევლინებიან იმავე 398-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ სისხლის სამართალწარმოების სუბიექტებად, შესაბამისად ისინი მოკლე-

ბულნი არიან შესაძლებლობას, გაასაჩივრონ 29.07.2006 წლის დადგენილება სისხლის სამართალწარმოების წესით სასამართლოში 15 დღის ვადაში. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, მოქალაქეებს – **ჯემალ მებონიას**, **თენგიზ სანაძეს**, **მაია ნათაძეს**, **გიორგი გოგოლაშვილს** და **სხვებს**, როგორც ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირებს, არ წართმევიათ შესაძლებლობა, ედავათ დადგენილების კანონიერებაზე, რადგან საბოლოო გადაწყვეტილება ამ კონკრეტული სამართალდარღვევის თაობაზე გამოტანილი იქნა სასამართლოს მიერ ზემოხსენებულ პირთა მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რომლის პირობებშიც ორივე მხარე სარგებლობს სრული შესაძლებლობით, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ფაქტობრივი გარემოებების დადგენაში, მტკიცებულებათა წარმოდგენაში, მათ გამოკვლევასა და გაქარწყლებაში, მათ სამართლებრივ შეფასებაში.

საქმის მასალით, მათ შორის თავად ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირების – **ჯემალ მებონიას**, **თენგიზ სანაძის**, **მაია ნათაძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულის**, **მედეა სიხარულიძის**, **გელა დოლიძის**, **ვახტანგ ტუსკიას** და **დემურ ბახტაძის** მიერ 2006 წლის 03-04 აგვისტოს სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებებით, აგრეთვე მათი მოწმეთა სახით დაკითხვის ოქმებით, საქმეში არსებული სხვა მასალით დადგენილია, რომ 2006 წლის 03 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი საბჭოს სხდომაზე 78 წევრის მონაწილეობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ავტონომიის აღდგენის თაობაზე, უნდობლობა გამოუცხადეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ თ.ს.უ.-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს **გ. ხუბუას** და რექტორის მოვალეობის შესრულება დაეკისრა **ჯემალ მებონიას**; ამავე სხდომაზე გადაწყდა, რომ მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებიათ **გ. ხუბუასა** და მისი ადმინისტრაციისათვის.

ჯემალ მებონიას, **თენგიზ სანაძის**, **მაია ნათაძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულის**, **მედეა სიხარულიძის**, **გელა დოლიძის**, **ვახტანგ ტუსკიას** და **დემურ ბახტაძის** ახსნა-განმარტებით ასევე დადგენილია, რომ დიდი საბჭოს სხდომის დასრულებისთანავე სხდომის მონაწილენი, მათ შორის **ჯემალ მებონია**, **თენგიზ სანაძე**, **მაია ნათაძე**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **ავთანდილ არაბული**, **მედეა სიხარულიძე**, **გელა დოლიძე**, **ვახტანგ ტუსკია და დემურ ბახტაძე** მივიდნენ **გ. ხუბუას** სამუშაო კაბინეტში, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის I კორპუსის I სართულზე; ადგილზე მისვლისას მათ **გ. ხუბუა** კაბინეტში დახვდათ მარტო, მისულებმა, კერძოდ **ჯემალ მებონიამ** და **თენგიზ სანაძემ** მას გააცნეს დიდი საბჭოს გადაწყვეტილება და მისცეს 10 წუთი უნივერსიტეტის დასატოვებლად. აღნიშნულზე რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **გ. ხუბუამ** მიუთითა, რომ მათი მოქმედება იყო უკანონო და

რომ ისინი ჩადიოდნენ სისხლის სამართლის დანაშაულს.

დადგენილია, რომ გამოძიების სტადიაზე მოწმეთა სახით დაკითხვის დროს მოქალაქეებმა – **გელა დოლიძემ**, **თენგიზ სანაძემ**, **ავთანდილ არაბულ-მა**, **ჯემალ მებონიამ და გიორგი გოგოლაშვილმა** განმარტეს, რომ დიდი საბჭოს სხდომები იყო ლეგალური და კანონიერი, რადგან უნივერსიტეტის წესდება დღემდე არსებობს, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 08 ივნისის №473 ბრძანებულებით საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივლისის №277 ბრძანებულების მე-2 პუნქტის გაუქმების პირობებში გაუქმებულ იქნა ამ ბრძანებულების მხოლოდ მტკიცებულებითი ნაწილი, ხოლო თავად წესდება არ გაუქმებულა და იგი დღემდე ძალაშია. წესდების გაუქმებასთან დაკავშირებული მოსაზრება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცებულ პირთა მიერ გაზიარებულ და გამეორებულ იქნა ასევე სასამართლოში ახსნა-განმარტების მიცემისას.

საქმეზე მოწმედ დაკითხული **გ. ხუბუას** ჩვენებით დგინდება, რომ მასთან ყოველგვარი გაფრთხილებისა და წინასწარი შეთანხმების გარეშე შეიჭრა პირთა ჯგუფი, მათ შორის **ჯემალ მებონია**, **თენგიზ სანაძე**, **გელა დოლიძე**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **მაია ნათაძე**, **ავთანდილ არაბული**, **ვახტანგ ტუსკია**, **მედეა სიხარულიძე** და **დემურ ბახტაძე**; აღნიშნულმა ჯგუფმა მას შეატყობინა დიდი საბჭოს გადაწყვეტილება: **ჯემალ მებონიამ** მას მოსთხოვა, რომ 10 წუთის განმარვლობაში მოეგროვებინა თავისი „ბარგი-ბარხანა“ და დაეტოვებინა რექტორის თანამდებობა და უნივერსიტეტის შენობა.

რექტორის მოვალეობის შემსრულებლისათვის დიდი საბჭოს ამ გადაწყვეტილების გაცნობისა და თანამდებობისა და კაბინეტის, უნივერსიტეტის შენობის დატოვების მოთხოვნის შესახებ გარემოების არსებობას ადასტურებენ გამოძიებაში მოწმედ დაკითხული პირები – **მაკა ძამუკაშვილი** (ს.ფ. 2-5), **ლელა ჯანაშვილი** (ს.ფ. 6-8), **დავით კერესელიძე** (ს.ფ. 11-13);

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირებისა და მათი წარმომადგენლების მტკიცება, რომ მათ თვითნებობა არ ჩაუდენიათ, დაკავშირებულია უნივერსიტეტის წესდების არსებობა-არარსებობის საკითხის გარკვევასთან. სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 08 ივნისის №473 ბრძანებულების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლის და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით ძალადაკარგულად ჩაითვალა „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივლისის №277 ბრძანებულე-

ბის მე-2 პუნქტი. ამ უკანასკნელით თავის დროზე დამტკიცებული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანდართული წესდება.

აგრეთვე დადგენილია, რომ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივლისის №277 ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. იმავე ბრძანებულების მე-3 პუნქტით დადგინდა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება დაევალა საქართველოს განათლების სამინისტროს.

ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება ცალსახა და ერთმნიშვნელოვანია, რაც მდგომარეობს შემდეგში: საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 08 ივნისის №473 ბრძანებულების მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით ძალადაკარგულად ჩაითვალა რა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივლისის №277 ბრძანებულების მე-2 პუნქტი, აღნიშნული მიუთითებს, რომ დღეის მდგომარეობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წესდება არ გააჩნია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრეთვე მისი თანამშრომლები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად გამოიყენონ უნივერსიტეტის წესდება, რადგან ეს სამართლებრივი დოკუმენტი დღეისათვის ძალადაკარგულია და აღარ მოქმედებს. სასამართლო ვერ გაიზიარებს სამართალდამრღვევთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 08.06.2005 წლის №473 ბრძანებულებით გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 13.07.2001 წლის №277 ბრძანებულების მტკიცებითი ნაწილი და რომ თავად წესდება არსებობს და მოქმედებს; „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ საჯარო სამართლის იურიდილუი პირის წესდება (დებულება) მტკიცდება კანონით დადგენილი წესით. ამ სამართლებრივ ნორმაზე დაყრდნობით სასამართლო განმარტავს, რომ იმისთვის, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდებამ შეიძინოს შესაბამისი სამართლებრივი ძალა და მნიშვნელობა, იგი უნდა დამტკიცდეს კანონით დადგენილი წესით. უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 13.07.2001 წლის №277 ბრძანებულების მე-2 პუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს თავად წესდების ძალადაკარგულად გამოცხადებას, რადგან შესაბამისი (კანონით დადგენილი) წესის დაცვით დამტკიცების გარეშე წესდებას არ გააჩნია შესაბამისი იურიდილუი ძალა; აღნიშნული კი თავის მხრივ იმაზე მიუთითებს,

რომ უნივერსიტეტის წესდებით დაფუძნებული უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანო – უნივერსიტეტის დიდი საბჭო დღეისათვის გაუქმებულია და მისი სახელით 2006 წლის 03 ივლისს ჩატარებული სხდომა და ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებანი არალეგიტიმურია, კანონშეუსაბამოა; თვით ამ გაუქმებული წესდებისა და დღეს მოქმედი სამართლებრივი აქტის – საქართველოს პრეზიდენტის 28.06.2005 წლის №473 ბრძანებულების სამართლებრივი ანალიზი და ერთმანეთთან შედარება ცხადყოფს, რომ გარდამავალ პერიოდში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 87-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოს არჩევამდე, ამ დაწესებულების საქმიანობის წარმართვის, წარმომადგენლობის და დაწესებულების სახელით მოქმედების ფართო უფლებამოსილება მინდობილი აქვს უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 08.06.2005 წლის №473 ბრძანებულების ცალკეული პუნქტები გასაჩივრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, კერძოდ საკონსტიტუციო სარჩელი მიღებულია არსებითად განსახილველად, ვერანაირად ვერ განაპირობებს უნივერსიტეტის დიდი საბჭოს სხდომების და გადაწყვეტილებების ლეგალურობას, კანონისადმი შესაბამისობას, რადგან სამართალდარღვევსი ფაქტის ჩადენის დღისთვისაც – 2006 წლის 03 ივლისისთვისაც და დღესაც 08.06.2005 წლის №473 ბრძანებულება მთლიანად ძალაშია, არ გაუქმებულა მისი არცერთი ნორმა;

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთა მოსაზრება, რომ უნივერსიტეტი ბანკთან და საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობაში მაინც იყენებს ძველ წესდებას, ალოგიკურია და სამართლებრივად დაუშვებელი; წესდების გაუქმების პირობებში, იგი გაუქმებულია ყველასთვის, მასთან შემხებლობაში მყოფი ყველა სუბიექტისთვის, გაუქმებული წესდება არ შეიძლება არეგულირებდეს უნივერსიტეტის საქმიანობის რომელიმე სფეროს; ეჭვი, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მაინც იყენებს ძველ წესდებას, არ გახლავთ საფუძველი იმისა, რომ უნივერსიტეტის პროფესორებმა საკუთარ თავს მისცენ უფლებამოსილება, აღადგინონ გაუქმებული მართვის ორგანო – დიდი საბჭო, ამ უკანასკნელის სახელით მოიწვიონ სხდომები, მიიღონ გადაწყვეტილებანი, შეეცადონ ამ გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანას;

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174-ე მუხლით დადგენილია, რომ თვითნებობა არის კანონით დადგენილი წესის დარღვევით ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულვებული უფლების თვითნებურად განხორციელება, რასაც მოქალაქეების ან სახელმწიფოს თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის არსებითი ზიანი არ მოჰყოლია.

ამდენად, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სამარ-

თალდამრღვევებმა **ჯემალ მეზონიამ**, **თენგიზ სანაძემ**, **მაია ნათაძემ**, **გიორგი გოგოლაშვილმა**, **ავთანდილ არაბულმა**, **მედეა სიხარულიძემ**, **გელა დოლიძემ**, **ვახტანგ ტუსკიამ და დემურ ბახტაძემ** ჩაიდინეს თვითნებობა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მათ საქართველოს პრეზიდენტის 08.06.2005 წლის №473 ბრძანებულების საწინააღმდეგოდ თავისად დაიგულვეს უფლება, აღედგინათ დიდი საბჭო, ამ უკანასკნელის სახელით ჩაეტარებინათ სხდომები, მიეღოთ გადაწყვეტილება უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად **ჯემალ მეზონიას** არჩევის თაობაზე, მათვე თავისად დაგულვებული ამ უფლებების თვითნებურად განხორციელების მიზნით რექტორის მოვალეობის შემსრულებელს გ. ხუბუას აიძულებდნენ, მოითხოვდნენ გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან, დაეტოვებინა თავისი სამუშაო ოთახი, წასულიყო უნივერსიტეტიდან.

კანონით დადგენილი წესის დარღვევა კი იმაში გამოიხატება, რომ დღეს მოქმედი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 87-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად დღეის მდგომარეობით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი არის საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული და არა არჩევითი თანამდებობის პირი, სამართალდამრღვევებმა კი კანონით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ თვითნებურად აირჩიეს რექტორის მოვალეობის შემსრულეელი და შეეცადნენ კანონით დადგენილი წესის დაცვით დანიშნული რექტორის თანამდებობიდან გადაყენებას, უნივერსიტეტიდან განდევნას, მათ მიერ არჩეული პირისათვის მართველობითი ფუნქციების მიკუთვნებას.

რაც შეეხება არარსებითი ზიანის არსებობას, სასამართლო განმარტავს, რომ ეს უკანასკნელი ნამდვილად დადგა უშუალოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მოქალაქეებისათვის, საზოგადოებისათვის, რაც იმაში გამოიხატა, რომ ზემოხსენებულმა მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ განაპირობა (გამოიწვია) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება, ყოველივე აღნიშნულს თან ახლდა უნივერსიტეტში არეულობის ორგანიზება, წესრიგის დარღვევა, ჩვეული, სტაბილური პროცესების (სასწავლო, საგამოცდო თუ შრომითი პროცესების) აღრევა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით დაკვალიფიცირებული ქმედების ნაწილში სასამართლოს მიერ გამოკვლეული და დადგენილ იქნა შემდეგი გარემოებანი:

დადგენილია, რომ მოქალაქეებმა – **ჯემალ მეზონიამ**, **თენგიზ სანაძემ**, **მაია ნათაძემ**, **გიორგი გოგოლაშვილმა**, **ავთანდილ არაბულმა**, **მედეა სიხარულიძემ**, **გელა დოლიძემ**, **ვახტანგ ტუსკიამ და დემურ ბახტაძემ** სასამართლოს-

თვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში მიუთითეს, რომ მათ 03.07.2006 წელს გ. ხუბუას სამუშაო ოთახში ამ უკანასკნელს გააცნეს დიდი საბჭოს გადაწყვეტილება, გამოუცხადეს უნდობლობა და მოსთხოვეს დაკავებული თანამდებობიდან გადადგომა, სამუშაო ოთახის და უნივერსიტეტის დატოვება. მათვე მიუთითეს, რომ მათ გ. ხუბუასთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, არ გადაკიდებიან შეურაცხმყოფლად, მათი ქმედებით უნივერსიტეტში არ ჩაშლილა შრომითი (სასწავლო) პროცესები.

საქმეზე მოწმის სახით დაკითხულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის კონსულტანტი **მაკა ძამუკაშვილი**, რომელმაც ჩვენებაში მიუთითა, რომ 03.07.2006 წელს დაახლოებით 16:00 საათზე იგი და მასთან ერთად მყოფი პირები – **ლელა ჯანაშვილი**, **დათო კერესელიძე**, **ნანა ჭიღლაძე** შეესწრნენ, თუ როგორ შევიდნენ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის – **გ. ხუბუას** სამუშაო ოთახში უნივერსიტეტის რამდენიმე პროფესორი, მათ შორი **თენგიზ სანაძე**, **გელა დოლიძე**, **მაია ნათაძე**, **ჯემალ მებონია**, **გიორგი გოგოლაშვილი**, აგრეთვე რამდენიმე ჟურნალისტი. პროფესორები ყვირილით მოუწოდებდნენ **გ. ხუბუას**, დაეტოვებინა კაბინეტი, ეუბნებოდნენ, რომ დიდმა საბჭომ რექტორის მოვალეობის შემსრულებლად აირჩია **ჯემალ მებონია**, აღადგინა უნივერსიტეტის ავტონომია; პასუხად **გ. ხუბუამ** მოუწოდა სიმშვიდისაკენ და სთხოვა დაეტოვებინათ მისი სამუშაო ოთახი, რადგან იგი პასუხისმგებელი იყო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე და წესრიგზე, მათვე განუმარტა, რომ მის კაბინეტში შემოჭრა იყო სისხლის სამართლის დანაშაული. შემოჭრილები ყვიროდნენ „წადი, წადი“, რექტორს მიმართავდნენ უპატივცემულოდ, ეზოში და დერეფანში მყოფ ხალხს მოუწოდებდნენ მათთან შემოერთებას, რათა აღესრულებინათ დიდი საბჭოს გადაწყვეტილება. ამგვარი მდგომარეობა გაგრძელდა დაახლოებით ორი საათი, ამ ხნის განმავლობაში პარალიზებული იყო მუშაობა, ჩაიშალა მთელი რიგი შეხვედრები, ვერც რექტორი და ვერც მისი ადმინისტრაციის წესვრები ვერ ახორციელებდნენ სამსახურებრივ მოვალეობებს (იხ. ს/ფ 2-5);

საქმეზე მოწმედ დაკითხული იქნა **ლელა ჯანაშვილი**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამშემწე, რომელმაც მიუთითა, რომ იგი, **მაკა ძამუკაშვილი**, **დავით კერესელიძე**, **ნანა ჭიღლაძე**, **მზექალა აჭაიძე**, აგრეთვე ცოტა მოგვიანებით – **ივანე ზოკერია** შეესწრნენ შემდეგ ფაქტს: დაახლოებით 16:00 საათისათვის გ. ხუბუას ოთახში თავი მოიყარეს ყოფილი დიდი საბჭოს წევრებმა – **ჯემალ მებონიამ**, **თენგიზ სანაძემ**, **გიორგი გოგოლაშვილმა**, **გელა დოლიძემ**, **მაია ნათაძემ**, **ვახტანგ ტუსკიამ**, **დალი ქვირიამ**, **ავთანდილ არაბულმა**, **მედეა სიხარულიძემ**, **დემურ ბახტაძემ** და სხვებმა, აღნიშნული პირები არ ათავისუფლებდნენ რექტორის კაბინეტს, უცენზურო სიტყვებით შეურაცხყოფდნენ **გ. ხუბუას**, მის მოადგილეს **ი. ზოკერიას** და ადმი-

ნისტრაციას, ისინი ფანჯრებიდან და ტელეფონის მეშვეობით მოუწოდებ-დნენ გარეთ მყოფ ხალხს, ამოსულიყვნენ ზემოთ და დაეკავებინათ ადმინის-ტრაციული შენობა, ოთახში შეჭრილები შეურაცხყოფას აყენებდნენ რექტორს, დაჟინებით, კატეგორიულად მოითხოვდნენ დაეტოვებინა თანამდებობა (იხ. ს/ფ 6-8);

საქმეზე მოწმედ დაკითხულმა **დავით კერესელიძემ**, იურიდიული ფა-კულტეტის დეკანმა, განმარტა, რომ 03.07.2006 წელს, გ. ხუბუას სამუშაო ოთახში თავმოყრილმა პროფესორებმა ამ უკანასკნელს გააცნეს დიდი საბჭოს გადაწყვეტილება, მოსთხოვეს ადგილის დაუყოვნებლივ გათავისუფლება, ავ-ლენდნენ აშკარა აგრესიას და აცხედებდნენ მზადყოფნას, რომ თუ იგი ნებით არ დატოვებდა კაბინეტს, მას იძულებით გააბრძანებდნენ გარეთ, ეს ყოველი-ვე გაგრძელდა დაახლოებით საათნახევარი, ორი საათის განმავლობაში. ამ დროის განმავლობაში პარალიზებული იყო უნივერსიტეტის ადმინისტრაცი-ის ფუნქციონირება, ოთახში შეჭრილები გ. ხუბუას მიმართ გამოხატავდნენ აშკარა უპატივცემულობას (იხ. ს/ფ 11-13).

საქმეზე მოწმის სახით დაკითხულ იქნა **ნანა ჭიღლაძე**, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, რომელმაც ასევე დაადასტურა, რომ რექ-ტორის კაბინეტში შესულმა პირებმა – **გ. გოგოლაშვილმა**, **მ. ნათაძემ**, **გ. დო-ლიძემ**, **ჯ. მებონიამ** და სხვებმა რექტორს მოსთხოვეს გადადგომა, კაბინეტში ისმოდა ისტერიული ყვირილი – „წადი...“, ისმოდა შეურაცხმყოფელი ფრაზე-ბი: „ეს არ არის გია ჟორაევიჩის ადგილი, სირცხვილია მას ეს სკამი ეკავოს“; ამ დროს **გ. ხუბუა** იდგნა ფეხზე, მოუწოდებდა, დაეტოვებინათ მისი კაბინეტი, რაზედაც ოთახში მყოფნი უარს აცხადებდნენ, ზოგიერთმა მათგანმა სავარძე-ლიც კი დაიკავა ოთახში და ამ ფორმით გამოხატა გადაწყვეტილება, არ გასუ-ლიყო ოთახიდან; რექტორსა და პროფესორებს შორის ასეთი სახის ურთიერ-თობა გაგრძელდა დაახლოებით ორ საათს (იხ. ს/ფ. 14-16);

საქმეზე მოწმედ დაკითხულმა თ.ს.უ.-ს სოციალურ და პოლიტიკურ მე-ცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა **დავით აფრასიძემ** დაადასტურა, რომ 03.07.2006 წელს, დაახლოებით 16:00 საათზე, იგი პროფესორების – **გელა დო-ლიძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ჯემალ მებონიას**, **მაია ნათაძის**, **თენგიზ სა-ნაძის**, **დემურ ბახტაძის** ჯგუფთან ერთად აღმოჩნდა **გ. ხუბუას** ოთახში, პრო-ფესორები რექტორს მოუწოდებდნენ, დაეტოვებინა კაბინეტი; **გელა დოლიძე** ეზოში მყოფ ხალხს ფანჯრიდან მოუწოდებდა, ამოსულიყვნენ რექტორის ოთახში და გაეძევებინათ იგი (რექტორი). **გ. ხუბუა** მიუთითებდათ, რომ სახე-ზე იყო კანონის დარღვევა და სთხოვდათ კაბინეტის დატოვებას; პროფესორ-თა ასეთი მოქმედებით ჩაიშალა სამუშაო პროცესი, ხელი შეეშალათ ადმინის-ტრაციის თანამშრომლებს თავიანთ საქმიანობის განხორციელებაში, განსა-კუთრებით აგრესიული და აქტიური იყო **გელა დოლიძე**, იგი უყვიროდა და

შეურაცხმყოფელ, ცილისმწამებლურ განცხადებებს აკეთებდა რექტორისა და ადმინისტრაციის სხვა წევრების მისამართით (იხ. ს/ფ. 17-19);

საქმეზე მოწმედ დაკითხულმა თ.ს.უ.-ს რექტორის მოადგილემ **ივანე ბოკერიამ** დაადასტურა, რომ **თენგიზ სანაძე**, **ჯემალ მებონია**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **მაია სანაძე**, **ვახტანგ ტუსკია**, **დალი ქვირია**, **ავთანდილ არაბული**, **მედეა სიხარულიძე**, **დემურ ბახტაძე** და სხვები რექტორის წინაშე აყენებდნენ ულტიმატუმს, რათა მას 10 წუთში დაეტოვებინა თავისი სამუშაო კაბინეტი, რადგან დიდმა საბჭომ უკვე აირჩია რექტორის მოვალეობის შემსრულებლად **ჯემალ მებონია**. **გიორგი ხუბუამ** მათ აუხსნა, რომ ისინი ჩადიოდნენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, რასაც გავლენა არ მოუხდენია პროფესორებზე, ეს უკანასკნელნი აგრძელებდნენ თავიანთი მოთხოვნის გაცხადებას აგრესიული ტონით, ხშირად ხმარობდნენ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, როგორც რექტორის, ისე მისი (ივანე ბოკერიას) მიმართ, კერძოდ ხმარობდნენ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: უწიგნური, ხიხო და სხვა, აღნიშნული სცენა გაგრძელდა დაახლოებით საათნახევარი – ორ საათს. ამ დროის განმავლობაში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მუშაობის გაგრძელება. გამოძახებული იქნა საპატრულო პოლიცია. მას შემდეგ რაც **გ. ხუბუამ** და მან (ივანე ბოკერიამ) დატოვეს რექტორის კაბინეტი, ამ უკანასკნელში შევიდნენ პოლიციის თანამშრომლები (იხ. ს/ფ. 26-28);

საქმეზე მოწმედ დაკითხულმა თ.ს.უ.-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **გ. ხუბუამ** დაადასტურა, რომ 2006 წლის 03 ივლისს, მის სამუშაო ოთახში წინასწარი გაფრთხილების და შეთანხმების გარეშე შეიჭრა ოცამდე თანაშრომელი, მათ შორის იყვნენ **ჯემალ მებონია**, **თენგიზ სანაძე**, **გელა დოლიძე**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **მაია ნათაძე**, **ავთანდილ არაბული**, **ვახტანგ ტუსკია**, **დალი ქვირია**, **მედეა სიხარულიძე**, **დემურ ბახტაძე**, **ბორის ბერულავა; ჯემალ მებონიამ** მას აცნობა დიდი საბჭოს გადაწყვეტილება და კატეგორიულად მოსთხოვა, მოეგროვებინა „ბარგი-ბარხანა“ და 10 წუთში დაეტოვებინა რექტორის თანამდებობა, კაბინეტი და უნივერსიტეტის შენობა, ყველაფერი ეს მიმდინარეობდა დიდი აყალმაყალის, ხმაურის და მის მიმართ მოწოდებების – „წადი, წადი...“ ფონზე. რექტორის და თანამშრომლების მისამართით პირად შეურაცხყოფას, გინებას ადგილი არ ჰქონია. მის კაბინეტში შეჭრილ პირებს **გ. ხუბუამ** რამდენჯერმე მოუწოდა, დაეტოვებინათ ოთახი, რომ ჩადიოდნენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, პასუხად ისინი (პროფესორები) ამბობდნენ, რომ თავად **გ. ხუბუა** იყო უკანონო რექტორი და რომ ისინი წარმოადგენდნენ და იცავდნენ კანონს, მანვე **თენგიზ სანაძეს** შესთავაზა, განეხილათ შექმნილი სიტუაცია რამდენიმე პიროვნებასთან ერთად, ხოლო დანარჩენებს დაეტოვებინათ კაბინეტი, რაზედაც მან კატეგორილუი უარი მიიღო. ეს არეულობა გრძელდებოდა დაახლოებით საათნახევრი, ამ დროის მანძილზე პარა-

ლიზებული იყო მთლიანად ადმინისტრაცია. ამ პერიოდში რექტორს და მის თანამშრომლებს დაგეგმილი ჰქონდა რამდენიმე შეხვედრა, რაც ამ არეულობის გამო ჩაიშალა. ოთახში ყოფნის დროს **გელა დოლიძე** ეზოში მყოფ პირებს მოუწოდებდა, შემოსულიყვნენ რექტორის კაბინეტში. საათნახევრის განმავლობაში **გ. ხუბუა** პროფესორებს მოუწოდებდა წესრიგისაკენ და სთხოვდა, დაეტოვებინათ მისი კაბინეტი, მანვე განუმარტა, რომ იძულებული იქნებოდა, მოეხმო პოლიციისათვის დასახმარებლად, ამ განმარტებამაც შედეგი არ გამოიღო. **გ. ხუბუა** იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი კაბინეტი, რადგან მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყვა. **გ. ხუბუამ** დახმარებისთვის მიმართა პოლიციას და სთხოვა წესრიგის დამყარება (იხ. ს/ფ. 74-75);

საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა რექტორის თანაშემწემ **მზექალა აჭაიძემ** დაადასტურა, რომ 2006 წლის 03 ივლისს, დაახლოებით ხუთის ნახევრისათვის **გ. ხუბუას** ოთახში შევიდნენ **ჯემალ მებონია**, **დემურ ბახტაძე**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **მაია ნათაძე**, **თენგიზ ტუსკია** და სხვები, აგრეთვე რამდენიმე ჟურნალისტი, პროფესორების მოსვლისას იგი იმყოფებოდა რექტორის მისაღებში, მან ვერ მოასწრო **გ. ხუბუას** გაფრთხილება, **ჯემალ მებონიამ** **გ. ხუბუას** გააცნო დიდი საბჭოს გადაწყვეტილება და მოსთხოვა ოთახის დატოვება, იყო ხმამაღალი საუბარი, პროფესორები მოუწოდებდნენ ხუბუას წასულიყო, უყვიროდნენ – „გაეთრიეო“, იყო უცენზურო სიტყვებით მიმართვა გ. ხუბუასადმი. აღნიშნული გაგრძელდა დაახლოებით ერთ საათს (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი);

საქმეზე მოწმედ დაკითხულმა ჟურნალისტმა **ირმა ინაშვილმა** დაადასტურა, რომ დაახლოებით ხუთის ნახევრისათვის პროფესორების ჯგუფი შევიდა **გ. ხუბუას** კაბინეტში, ეს უკანასკნელი ოთახში მარტო იყო, მას **ჯემალ მებონიამ** გააცნო დიდი საბჭოს გადაწყვეტილება და მოსთხოვა კაბინეტის დატოვება. უცენზურო გამონათქვამებს ადგილი არ ჰქონია. პროფესორების და გ. ხუბუას საუბარი გაგრძელდა დაახლოებით ნახევარ საათს (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი);

საქმეზე მოწმედ დაკითხულმა **გიორგი წამალაძემ** დაადასტურა იგივე, რაც **ირმა ინაშვილმა** (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი);

საქმეზე მოწმედ დაკითხულმა **მერაბ ჯელიამ** და **გიორგი მახარაძემ** დაადასტურეს, რომ **ჯემალ მებონიას** მეთაურობით ისინი მივიდნენ გ. ხუბუასთან და გააცნეს დიდი საბჭოს გადაწყვეტილება, საუბარი გაგრძელდა 15-30 წუთი, შეურაცხყოფას, ბილწსიტყვაობას ადგილი არ ჰქონია; **გელა დოლიძემ** **გ. ხუბუას** განუმარტა, რომ იგი უნივერსიტეტისთვის იყო მეტად ოდიოზური ფიგურა (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი);

სასამართლო განმარტავს, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების, კერძოდ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთა ახსნა-განმარტე-

ბებისა და მოწმეთა ჩვენებების ანალიზი ცხადყოფს, რომ პირების **ჯემალ მებონიას**, **თენგიზ სანაძის**, **მაია ნათაძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულის**, **მედეა სიხარულიძის**, **გელა დოლიძის**, **ვახტანგ ტუსკიას და დემურ ბახტაძის** მიერ ჩადენილია წვრილმანი ხულიგნობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ 2006 წლის 03 ივლისს, დაახლოებით საღამოს ხუთის ნახევრისათვის პირთა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ ჯემალ მებონია, თენგიზ სანაძე, მაია ნათაძე, გიორგი გოგოლაშვილი, ავთანდილ არაბული, მედეა სიხარულიძე, გელა დოლიძე, ვახტანგ ტუსკია და დემურ ბახტაძე, წინასწარი შეთანხმებისა და ნებართვის გარეშე დაიკავეს **გ. ხუბუას** კაბინეტი და რექტორის მოვალეობის შემსრულებელს მოსთხოვეს თანამდებობიდან გადადგომა, სამუშაო ოთახის და უნივერსიტეტის დატოვება, „ბარგი-ბარხანის შეგროვება“ და წასვლა, აღნიშნულს ისინი ახორციელებდნენ კანონშეუსაბამო გადაწყვეტილების (იგულისხმება დიდი საბჭოს გადაწყვეტილება) საფუძველზე, **გ. ხუბუას** კაბინეტში მათი ყოფნა გაგრძელდა დაახლოებით საათნახევარი, ორი საათი. ისინი არ ემორჩილებოდნენ და არ იზიარებდნენ უფლებამოსილი პირის – რექტორის **გ. ხუბუას** კანონიერ მოთხოვნას, დაეტოვებინათ მისი სამუშაო ოთახი, რითაც აღიკვეთებოდა კაბინეტში და მის მიმდებარე ოთახებში დამყარებული ქაოსი და შესაძლებელი იქნებოდა სამუშაო პროცესის ნორმალურ რიტმში დაბრუნება. რექტორის კაბინეტში განვითარებულ მოვლენებს შეესწრო უნივერსიტეტის თანამშრომლების ნაწილი – დ. კერესელიძე, მ. ძამუკაშვილი, ლ. ჯანაშვილი, ნ. ჭიღლაძე, დ. აფრასიძე, ი. ბოკერია, მ. აჭაიძე, რამდენიმე ჟურნალისტი, მათ შორის ირმა ინაშვილი და გიორგი წამალაძე; უნივერსიტეტის რექტორის სამუშაო ოთახში განვითარებული მოვლენების შესახებ ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებისათვის ტელევიზიის საშუალებით; პროფესორების ქმედებით ფაქტიურად შეილახა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის **გ. ხუბუას** და ადმინისტრაციის და სხვა წევრების უფლება, ნორმალურ სამუშაო პირობებში განეხორციელებინათ თავიანთი შრომითი საქმიანობა, სასამართლო პროფესორთა ჯგუფის აღნიშნულ ქმედებას განიხილავს, როგორც რექტორის მოვალეობის შემსრულებლის გ. ხუბუასადმი, აგრეთვე ადმინისტრაციის სხვა წევრებისადმი შეურაცხმყოფ გადაკიდებას და სხვა იმგვარი სახის ქმედებას, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს;

სასამართლო არ იზიარებს სამართალდამრღვევ პირთა მოსაზრებას, იმის შესახებ, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის სამუშაო კაბინეტი არ წარმოადგენს საზოგადოებრივ ადგილს; კერძოდ, რექტორის კაბინეტი განთავსებულია უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, I სართულზე, თავად უნივერსიტეტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ანუ საჯარო დაწესებულებას, უნივერსიტეტის რექტორი გვევლინება უმაღლესი თა-

ნამდებობის პირად, უდაოა, რომ **რექტორის სამუშაო კაბინეტი წარმოადგენს საზოგადოებრივ ადგილს**, რადგან იქ ყოველთვის თავმოყრილი იყო ასევე 2006 წლის 03 ივლისსაც შეიკრიბა ადამიანების საზოგადოება – ადმინისტრაციის წევრები, ჟურნალისტები, თავად პროფესორები. სამუშაო ოთახი არ წარმოადგენს საზოგადოებისაგან იზოლირებულ, განცალკევებულ ადგილს, მით უფრო, რომ რექტორის კაბინეტში 2006 წლის 03 ივლისს, დაახლოებით 16:00 საათიდან განვითარებული მოვლენები ცნობილი გახდა ასევე ფართო საზოგადოებისათვის უშუალოდ უნივერსიტეტში და უნივერსიტეტის გარეთაც. სასამართლო განმარტავს, რომ ნებისმიერი ადგილი, მიუხედავად მისი სამართლებრივი რეჟიმისა თუ ფუნქციური დატვირთვისა, წარმოადგენს ან შეიძლება იქცეს საზოგადოებრივ ადგილად, თუკი იქ თავს მოიყრის ადამიანთა ჯგუფი და მათი თანდასწრებით, მათი მონაწილეობით განვითარდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება. სასამართლო არ იზიარებს ასევე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-19, 24-ე და 25-ე მუხლები მათ აძლევთ უფლებას, შეიკრიბონ წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ და რომ მათ აქვთ უფლება, თავისუფლად გამოთქვან და გაავრცელონ აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით, ისარგებლონ სიტყვის თავისუფლებით, მათ ყოველივე ამის განხორციელება შეეძლოთ უნივერსიტეტის შენობაში, კერძოდ კი რექტორის სამუშაო კაბინეტში.

სასამართლო განმარტავს, რომ თუმცა პირი უფლებამოსილია ისარგებლოს კონსტიტუციის მე-19, 24-ე და 25-ე მუხლებით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით, იგი იმავდროულად ვალდებულია, თავისი უფლებების რეალიზების პროცესში არ დაუშვას სხვა პირთა უფლებების და ინტერესების, ღირსებისა და პატივის შელახვა, კანონით დაკისრებული წესრიგის დაცვის ვალდებულების დარღვევა, არ დაუშვას, რომ თავისი კონსტიტუციური უფლებების რეალიზების სახელით ფაქტიურად ჩაიდინოს კანონით აკრძალული ქმედებანი, რასაც, სასამართლოს აზრით, ჰქონდა კიდეც რეალურად ადგილი 2006 წლის 03 ივლისს, რექტორის სამუშაო კაბინეტში **ჯემალ მებონიას**, **თენგიზ სანაძის** და **სხვათა** მხრიდან.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით დაკვალიფიცირებული ქმედების ნაწილში სასამართლოს მიერ გამორკვეულ და დადგენილ იქნა შემდეგი გარემოებანი:

სასამართლოსთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში სამართალდამრღვევმა პირებმა – **ჯემალ მებონიამ**, **თენგიზ სანაძემ**, **მაია ნათაძემ**, **გიორგი გოგოლაშვილმა**, **ავთანდილ არაბულმა**, **მედეა სიხარულიძემ**, **გელა დოლი-**

ძემ, **ვახტანგ ტუსკიამ და დემურ ბახტაძემ** უარყვეს პოლიციის თანამშრომელთა კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტი და განმარტეს, რომ მას შემდეგ, რაც **გ. ხუბუამ** დატოვა თავისი სამუშაო ოთახი, ამ უკანასკნელში შევიდნენ პატრულის თანამშრომლები და იკითხეს თუ რა ხდებოდა, რაზედაც **გ. გოგოლაშვილმა და თ. სანაძემ** მათ აუხსნეს მათი შეკრების მიზეზი (მათივე სიტყვებით, წაუკითხეს ლექცია), ეს საუბარი გაგრძელდა დაახლოებით 10-15 წუთს, რის შემდეგაც მათ თავად დატოვეს რექტორის კაბინეტი და გადაინაცვლეს სააქტო დარბაზში. მოქ. **ჯემალ მეზონიამ** დამატებით მიუთითა, რომ იგი ალბათ ძალზედ დაღლილად გამოიყურებოდა, რადგან პატრულის თანამშრომლებმა იგი სკამიანად ასწიეს და გააბრძანეს ოთახიდან, ზოგადად კი ითქვა, რომ ოთახი უნდა გაეთავისუფლებიათ, მაგრამ უშუალოდ მისთვის არავის მიუმართავს.

საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა **ზაზა სხვიტარიძემ** განმარტა, რომ 2006 წლის 03 ივლისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით სხვა თანამშრომლებთან ერთად გამოძახებულ იქნა ადგილზე, უნივერსიტეტის დერეფნებში იყო ხალხმრავლობა, მათ მიაღწიეს და გაჩერდნენ რექტორის მისაღებში, იქნებოდა დაახლოებით 18:00 საათი, რა დროსაც კაბინეტიდან გამოვიდა **გ. ხუბუა**, რომელმაც მათ განუმარტა, რომ მისი კაბინეტი დაკავებული ჰქონდათ პროფესორებს და არ ემორჩილებოდნენ მას, სთხოვათ მისი კაბინეტის განთავისუფლება და წესრიგის დამყარება, ამის შემდეგ ის და მისი თანამშრომლები, დაახლოებით 15 კაცი, შევიდნენ რექტორის კაბინეტში, ოთახში დახვდათ 15-20 კაცი, ისხდნენ მაგიდის ირგვლივ, დამხვდურებმა მათ ტაში დაუკრეს, მხარეებს შორის გაიმართა საუბარი, რაც გაგრძელდა დაახლოებით ერთი საათი, შეიძლება ცოტა მეტი, ამ დროის მანძილზე მან და მისმა თანამშრომლებმა პროფესორებს ბევრჯერ სთხოვეს კაბინეტის დატოვება, რასაც შედეგი არ მოჰყოლია, ისინი უარს ამბობდნენ კაბინეტიდან გასვლაზე; დაახლოებით საათის ბოლოს პროფესორებმა დატოვეს კაბინეტი, მათგან ერთ-ერთი უარს აცხადებდა ოთახიდან გასვლაზე, იგი სკამზე იჯდა; **ზაზა სხვიტარიძის** ჩვენებით, ეს უკანასკნელი სკამიანად იქნა გატანილი რექტორის კაბინეტიდან (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი, აგრეთვე ს.ფ. 68-69);

საქმეზე მოწმედ დაკითხულმა პატრულ-ინსპექტორმა **კახა ბიბილეიშვილმა** განმარტა, რომ 2006 წლის 03 ივლისს, ის და მისი თანამშრომლები გამოძახებულ იქნენ უნივერსიტეტში, იქნებოდა დაახლოებით 18:00 საათი, როცა ისინი შევიდნენ რექტორის მისაღებში, **გ. ხუბუა** გამოვიდა თავისი კაბინეტიდან და მათ განუმარტა, რომ მის თანამშრომლებს უკანონოდ ჰქონდათ დაკავებული მისი სამუშაო ოთახი, არ ემორჩილებოდნენ მის მოთხოვნას, დაეტოვებინათ კაბინეტი, **გ. ხუბუამ** მათ სთხოვა, კაბინეტიდან პროფესორების

გამოყვანა. კაბინეტში მათ დახვდათ 15-20 კაცამდე, რამდენჯერმე სთხოვეს ოთახის დატოვება, პროფესორებმა უარი განაცხადეს, გაიმართა საუბარი, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით ერთ საათს, საუბარმა შედეგი გამოიღო – პროფესორებმა ძალის გამოყენების გარეშე დატოვეს ოთახი (იხ. სასამართლოს სხდომის ოქმი, ს.ფ. 66-67);

იგივე იქნა განმარტებული საქმეზე მოწმის სახით დაკითხული პატრულ-ინსპექტორის **დავით გოჩიტაშვილის** მიერ (იხ. ს.ფ. 70-71);

საქმეში წარმოდგენილია მოქ. **გელა დოლიძის** 2006 წლის 05 ივნისს მოწმედ დაკითხვის ოქმი, სადაც **გელა დოლიძე** განმარტავს, რომ რექტორის კაბინეტში ყოფნისას იგი და მისი თანმხლები პირები სიტყვიერად არ დაემორჩილნენ პოლიციელთა მოთხოვნას, მაგრამ როდესაც პოლიციის თანამშრომლებმა მათ ხელი მოჰკიდეს, ისინი იძულებული გახდნენ, დამორჩილებოდნენ მათ, ანუ დაეტოვებინათ ოთახი (იხ. ს.ფ. 42-45);

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით დადგენილია, რომ დაუმორჩილებლობა ეს არის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა.

ამდენად, სასამართლო **დადგენილად მიიჩნევს** იმ გარემოებას, რომ სამართალდამრღვევებმა – **ჯემალ მებონიამ**, **თენგიზ სანაძემ**, **მაია ნათაძემ**, **გიორგი გოგოლაშვილმა**, **ავთანდილ არაბულმა**, **გელა დოლიძემ და ვახტანგ ტუსკიამ** ჩაიდინეს საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა კანონიერი მოთხოვნისადმი **ბოროტი დაუმორჩილებლობა**, რაც იმაში გამოიხატა, რომ აღნიშნული პირები 2006 წლის 03 ივლისს, დაახლოებით 16:30 საათიდან უკანონოდ იკავებდნენ რექტორის კაბინეტს, ხოლო დაახლოებით 18:00 საათიდან წინააღმდეგობას უწევდნენ პატრულის თანამშრომლებს, არ დაემორჩილნენ მათ კანონიერ მოთხოვნას და არ ათავისუფლებდნენ რექტორის კაბინეტს, პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ოთახის გათავისუფლების მოთხოვნა გამეორებულ იქნა მრავალჯერ, რასაც თითქმის ერთი საათი შედეგი არ მოჰყოლია, ერთი საათის შემდეგ პროფესორებმა თუმცა ნებაყოფლობით დატოვეს ოთახი, ამ აქტს წინ უძღვოდა პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა, აგრეთვე აღსანიშნავია, რომ **ჯემალ მებონია** ბოლომდე უარს აცხადებდა ოთახიდან გასვლაზე, იგი პატრულის თანამშრომელთა მიერ სკამით იქნა გატანილი ოთახიდან. სასამართლო ვერ გაიზიარებს სამართალდამრღვევთა მოსაზრებას, რომ თავად პოლიციის თანამშრომელთა ყოფნა იყო უკანონო, ხოლო მათი მოთხოვნა – უსაფუძვლო და ასევე უკანონო იმ თვალსაზრისით, რომ იქ წესრიგი არ ირღვეოდა; კერძოდ, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ **პროფესორთა მხრიდან ადგილი ჰქონდა თვითნებობას** (174-ე მუხლი) და **წვრილმან**

ხულიგნობას (166-ე მუხლი), რამაც გამოიწვია წესრიგის დარღვევა, არეულობა, უნივერსიტეტში მიმდინარე ჩვეული პროცესების აღრევა, რექტორის კაბინეტის უკანონოდ დაკავება თავისად დაგულვებული უფლების თვითნებურად რეალიზაციის, კერძოდ, **გ. ხუბუას** გადაყენების, კაბინეტიდან და უნივერსიტეტიდან მისი გაძევების, მმართველობითი ძალაუფლების **ჯემალ მეზონიასთვის** გადაცემის მიზნით, რაც თავისთავად უკვე წარმოადგენს წესრიგის დარღვევას და საჭიროებს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მის დარეგულირებას. 2006 წლის 03 ივლისს, დაახლოებით 16:30 საათიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მათ შორის, **გ. ხუბუას** კაბინეტში განვითარებული პროცესი, თავისი ფაქტობრივი გამოვლინებით, აგრეთვე სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით უნივერსიტეტისათვის არ წარმოადგენდა ჩვეულებრივ, ორდინალურ პროცესს; აღნიშნული პროცესის სამართლებრივი შეფასება ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია, რადგან პროცესი მთლიანობაში შედგებოდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათაგან.

ამდენად, სასამართლო განმარტავს, რომ 2006 წლის 03 ივლისს, უნივერსიტეტში საპატრულო პოლიციის გამოძახება და პოლიციის თანამშრომელთა მოთხოვნა – მოწოდება პროფესორებისადმი რექტორის კაბინეტის დატოვების თაობაზე კანონიერია და კანონზომიერი, რაც პროფესორებისათვის წარმოშობდა ვალდებულებას, პირველივე ჯერზე დამორჩილებოდნენ ასეთ მოთხოვნას და შეეწყვიტათ წესრიგის დარღვევა.

სასამართლო განმარტავს, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან გამომდინარე არ უნდა იქნეს გაზიარებული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთა ახსნა-განმარტებანი იმ ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე, რომლებიც უკავშირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რადგან ისინი არ შეესაბამება სინამდვილეს და მოხმობილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით.

რაც შეეხება **მედეა სიხარულიძისა და დემურ ბახტაძის** ქმედებათა დაკვალიფიცირებას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით, სასამართლო განმარტავს, რომ საქმის მასალიდან გამომდინარე ამ ნაწილში საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, თანახმად იმავე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის პირველი პუნქტისა, რომელიც ადგენს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება უნდა შეწყდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო;

მოქ. მედეა სიხარულიძის ახსნა-განმარტებით დგინდება, რომ იგი თუმცა სხვა პროფესორებთან ერთად შევიდა **გ. ხუბუას** ოთახში და იქ დაჰყო

დაახლოებით 20 წუთი, იგი აღნიშნული დროის შემდეგ გამოვიდა კაბინეტიდან, ჩამოჯდა და იცდიდა რექტორის მისაღებში, ანუ პატრულის თანამშრომელთა მოსვლისას იგი არ იმყოფებოდა რექტორის ოთახში და შესაბამისად ვერც წინააღმდეგობას გაუწევდა პატრულის თანამშრომლებს.

ასევე მოქ. **დემურ ბახტაძის** ახსნა-განმარტებით დგინდება, რომ იგი თუმცა სხვა პროფესორებთან ერთად იმყოფებოდა რექტორის ოთახში, მოგვიანებით იგი **გ. ხუბუასთან** ერთად გამოვიდა მისაღებში, სადაც გააგრძელა მასთან საუბარი, იგი პატრულის თანამშრომლებს ოთახში არ დახვედრია, შესაბამისად ვერც წინააღმდეგობას გაუწევდა პოლიციის თანამშრომლებს; საქმეზე შეკრებილი მასალით ვერ იქნა დადასტურებული ზემოთქმულის საწინააღმდეგო გარემოებათა არსებობა, რაც ამ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია.

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სამივე მუხლით (166-ე, 173-ე და 174-ე მუხლები) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებანი ჩადენილია ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა განხორციელება გრძელდებოდა მისი შეწყვეტის შესახებ საამისოდ უფლებამოსილ პირთა მოთხოვნის მიუხედავად, რაც თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 35-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებისა, წარმოადგენს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს. სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართალდამრღვევი პირების – **ჯემალ მეგონიას**, **თენგიზ სანაძის**, **მაია ნათაძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულის**, **მედეა სიხარულიძის**, **გელა დოლიძის**, **ვახტანგ ტუსკიას და დემურ ბახტაძის** მიმართ ადმინისტრაციული სახდელის სახედ გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული ჯარიმა, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით ჯარიმის ოდენობად დადგენილია 100 (ასი) ლარი, 173-ე მუხლით – შრომის ანაზღაურების ათი მინიმალური ოდენობა, ანუ 15 (თხუთმეტი) ლარი, ხოლო 174-ე მუხლით – შრომის ანაზღაურების ნახევარი მინიმალური ოდენობა, ანუ 0,75 (სამოცდათხუთმეტი) თეთრი; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 აბზაცით დადგენილია, რომ თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო, სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევისათვის. ამ სამართლებრივი ნორმის საფუძველზე სასამართლო ჯარიმის ოდენობად ადგენს 100 ლარს, რადგან ეს უკანასკნელი დაწესებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებათაგან ყველაზე უფრო სერიოზულისათვის – წვრილმანი ხულიგნობისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე, 38-ე 231-ე, 232-ე, 234-ე, 240-ე, 262-ე, 266-ე, 267-ე, 268-ე 271-ე, 279-ე 166-ე, 173-ე და 174-ე მუხლებით,

დაადგინა:

1. მოქ. **ჯემალ მეგონია** ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე და 174-ე მუხლებით და ადმინისტრაციული სახდელად შეეფარდოს – ადმინისტრაციული ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით.

2. მოქ. **თენგიზ სანაძე** ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე და 174-ე მუხლებით და ადმინისტრაციული სახდელად შეეფარდოს – ადმინისტრაციული ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით.

3. მოქ. **მაია ნათაძე** ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე და 174-ე მუხლებით და ადმინისტრაციული სახდელად შეეფარდოს – ადმინისტრაციული ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით.

4. მოქ. **გიორგი გოგოლაშვილი** ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე და 174-ე მუხლებით და ადმინისტრაციული სახდელად შეეფარდოს – ადმინისტრაციული ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით.

5. მოქ. **ავთანდილ არაბული** ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე და 174-ე მუხლებით და ადმინისტრაციული სახდელად შეეფარდოს – ადმინისტრაციული ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით.

6. მოქ. **გელა დოლიძე** ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე და 174-ე მუხლებით და ადმინისტრაციული სახდელად შეეფარდოს – ადმინისტრაციული ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით.

7. მოქ. **ვახტანგ ტუკსია** ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე და 174-ე მუხლებით და ადმინისტრაციული სახდელად შეეფარდოს – ადმინისტრაციული ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით.

8. მოქ. **მედეა სიხარულიძე** ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 174-ე მუხლებით და ადმინისტრაციული სახდელად შეე-

ფარდოს – ადმინისტრაციული ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით.

9. მოქ. **დემურ ბახტაძე** ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 174-ე მუხლებით და ადმინისტრაციული სახდელად შეეფარდოს – ადმინისტრაციული ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით.

10. შეწყდეს მოქ. **მედეა სიხარულიძის** მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით აძღრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

11. შეწყდეს მოქ. **დემურ ბახტაძის** მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით აძღრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

12. დადგენილება შეიძლება გადაისინჯოს (გაუქმდეს ან შეიცვალოს) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 279-ე მუხლის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ (მისამ. ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა), თბილისის საქალაქო, სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით.

მოსამართლე: თ. თადაშვილი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს,
ქალბატონ **ე. ტყეშელაშვილს**

მის. გრ. რობაქიძის ქ. №7ა

მოქალაქეების:

1. **ჯემალ მებონიას**
   მცხ. ცაბაძის 3, ბ. 1;
2. **თენგიზ სანაძის**
   მცხ. ატენის 20, ბ. 52;
3. **მაია ნათაძის**
   მცხ. წყნეთი, დიდგორის ქ. №2;
4. **გიორგი გოგოლაშვილის**
   მცხ. მანჯგალაძის 56;
5. **ავთანდილ არაბულის**
   მცხ. ვარკეთილი-3, IV მ/რ, კ. 403, ბ. 114;
6. **გელა დოლიძის**
   მცხ. ძმები კაკაბაძეების 9;
7. **ვახტანგ ტუსკიას**
   მცხ. თაბუკაშვილის 41;
8. **მედეა სიხარულიძის**
   მცხ. კეკელიძის 8;
9. **დემურ ბახტაძის**
   მცხ. დიდი დიღომი, გიორგი
   ბრწყინვალის 41, ბ. 21.

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

საქმეზე №4/7207-06 თბილისის საქალაქო სასამარსლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე – თ. თადაშვილი) 2006 წლის 04 აგვისტოს დადგენილებისა გამო.

მიგვაჩნია, რომ **სასამართლომ მიიღო** არა მოქმედ კანონმდებლობაზე დამყარებული, მოტივირებული და დასაბუთებული, არამედ **პოლიტიკური გადაწყვეტილება**.

სასამართლომ ფაქტობრივად მოახდინა **კ. ლომაიას** იმ სატელევიზიო გამოსვლის სანქცირება, რითაც იგი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს ხულიგნებად მოგვიხსენიებდა, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, სასამართლომ „პირნათლად“ შეასრულა პოლიტიკური დაკვეთა, რითაც თავდაცვის მდგომარეობაში ჩაგვაყენა და დამკვეთთა ნებისამებრ, უნივერსიტეტისათვის

უმნიშვნელოვანეს საკითხებს უსამართლოდ ჩამოგვაშორა.

ერთი მხრივ, ეს ყველაფერი „ბუნებრივადაც“ კი შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან, ლოგიკურად თუ მივუდგებით, უნდა გვცოდნოდა, რომ გაბატონებული ძალის მიერ შერჩეული მოსამართლეები, მიუხედავად მათი შიანაგანი განწყობისა, ვერ გაბედავდნენ ამ ძალისადმი წინააღმდეგობას.

სხვა შემთხვევაში **კ. ლომაიას** პასუხი უნდა ეგო ჩვენი ღირსების, პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შებღალვისათვის, პოზიციის გამო პიროვნებათა დევნისათვის, რასაც მოსამართლემ „ოსტატურად“ გადაარჩინა და თუ ეს „ოსტატობა“ თქვენც არ გამოიჩინეთ, სრულად წარმოჩნდება **ლომაიას** სახე.

თუმცა ოფიციოზის მხრივ დემოკრატიისა და კანონიერების თუნდაც ფორმალური აღიარება ჩვენ უფლებას არ გვაძლევს, დუმილით შევყურებდეთ მოვლენების მიმდინარეობას.

სიმართლე გითხრათ, არც ახლა ვართ დიდად დაიმედებული, რომ ვიღაცას გულს ავუჩუყებთ და სინდისს გავუღვიძებთ, მაგრამ ფორმალურ შესაძლებლობას მაინც ვიყენებთ („ცუდად ხომ მაინც არ ჩაითვლის...“). საბედნიეროდ, ცხოვრება მხოლოდ აწმყო არ არის – ეს ისტორიაა – ისევე, როგორც უკვე ისტორიის ნაწილია ჩვენ მიერ გასაჩივრებული დადგენილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ აღარ შევუდგებით ხსენებული ისტორიის „ანალებში“ წვდომას და თქვენთვის მის შეხსენებას. ამისათვის არსებობს ოქმი და დადგენილება.

ჩვენ მოკლედ და მხოლოდ იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს შევეხებით, რისი არდანახვაც მრავალ ეჭვს წარმოშობს.

1. დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოსამართლე ადმინისტრაციული საქმის წარმოებას შეუდგა თბილისის პროკურატურის 29.07.2006 წლის დადგენილების საფუძველზე.

ჩვენ მიერ ვერ იქნება გაზიარებული მოსამართლის განმარტება იმის შესახებ, რომ „საპროცესო დოკუმენტი 29.07.2006 წლის დადგენილება ისეთივე ფუნქციური დატვირთვის დოკუმენტია, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი“.

ასეთი რამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მითითებული არ არის და თუკი ჩვენ იმავე ფორმალური ლოგიკით ვიხელმძღვანელებთ, რითაც მოსამართლე ხელმძღვანელობს, გამოვა, რომ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი იმავე ფუნქციური დატვირთვის დოკუმენტია“, როგორც 29.07.2006 წლის დადგენილება, რაც, რბილად რომ ვთქვათ, აბსურდულად გვეჩვენება.

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი ყოველი სამართალდამრღვევი სუბიექტის მიმართ შედგენილ უნდა იქნეს ინდივიდუალურად. ასევე ინდივიდუალური უნდა იყოს სამართალდარღვევის არსი (ვინ რა სა-

მართალდარღვევა ჩაიდინა, რაში გამოიხატა და რა მტკიცებულებებით დასტურდება სამართალდარღვევა).

მოსამართლის დასაბუთებიდან ისე გამოდის, თითქოს 9 (ცხრა) პირი დროსა და სივრცეში სიამის ტყუპებივით „შეწებებული“ ვმოქმედებდით და სინქრონულად წარმოვთქვამდით ერთსა და იმავე ფრაზებს.

3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით – 166, 173 და 174 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს შ/ს ორგანოები.

ამავე კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების თანახმად: „ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენელი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი...“

ოქმის შედგენისას განემარტება ამ კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები, რაც აღინიშნება ოქმში.

გამოდის, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროკურატურის ხსენებულ დადგენილებას ვაღიარებთ ოქმად, გამომძიებელი ვალდებული იყო, წარმოედგინა იგი ხელმოსაწერად და განემარტა ჩვენი უფლება-მოვალეობანი დადგენილებაში შეტანით, რაც არ გაუკეთებია. ვფიქრობთ, დიდი ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება იმას, რომ აღნიშნულით დაირღვა კანონი და შეილახა ჩვენი სამოქალაქო უფლებები.

4. სასამართლომ არასწორად გაიგო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის შინაარსი და ხულიგნობად „მონათლა“ უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრების, ანუ ჩვენი, დაპირისპირება უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილად მიიჩნია ისეთი პრივატული ადგილი, როგორიც რექტორის მოვალეობის შემსრულებლის კაბინეტია.

ასეც რომ ყოფილიყო და რექტორის კაბინეტი საზოგადოების თავშეყრის ადგილად მივიჩნიოთ, რა უფლებით გვიზღუდავთ ჩვენს კონსტიტუციურ უფლებებს, გათვალისწინებულს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილით, 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილით; 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 39-ე მუხლით?

დავუშვათ, აქაც მართალია მოსამართლე. ახლა გავიხსენოთ, რომ 166-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების არსებობისათვის სავალდებულოა დადგინდეს ლანძღვა-გინება; მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება ან სხვა ამგვარი ქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს.

– რას ნიშნავს ყოველივე ეს? – ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედების კვალიფიკაციისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით –

1. ქმედება განხორციელებული უნდა იყოს საზოგადოებრივ ადგილებში;

2. უნდა იყოს მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება ან სხვა ამგვარი მოქმედება;

3. ქმედება უნდა არღვევდეს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს.

თითოეულ ჩვენგანის ქმედების აღნიშნული მუხლით კვალიფიკაციისათვის, მითუმეტეს სასამართლოს დადგენილების გამოტანისას მაინც, პერსონალურად უნდა აღწერილიყო, ვინ ვის შეაგინა, გადაეკიდა ან გადაკიდებისმაგვარი რა ქმედება განახორციელა; პერსონალურად უნდა მიეთითებინათ, ვისი სიმშვიდე დავარღვიეთ. ისე, თუ პერსონალურ და პროფესიულ სიმშვიდეზეა ლაპარაკი და არა სამართლიანად სიმშვიდის დარღვევაზე, მაშინ კარგა ხანია ჩვენი მოწინააღმდეგეები უკანონოდ გვირღვევენ სიმშვიდეს, ლახავენ ჩვენს უფლებებს და იქნებ პირველ რიგში მათი პასუხისმგებლობის საკითხი დაგესვათ, რაც შეეხება ბატონ **ხუბუას** სიმშვიდეს, იგი ისედაც ვერ იქნება მშვიდად, ამას აქვს ობიექტური მიზეზი და მას მხოლოდ ჩვენ ნუ მოგვაწერთ.

ჩვენ არავინ გვიგინებია და არც არავის გადავკიდებივართ, არც შეურაცხყოფა მიგვიყენებია ვინმესთვის; სიმშვიდე კი შეიძლება ვინმეს დავურღვიეთ მხოლოდ იმით, რომ უკეთურთ სიმართლეს პირში ვეუბნებით.

თვით პროკურორმა **დავით ხიზანაიძემ**, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში ჩვენს ბრალმდებლად გამოვიდა, არ იცის, რას ნიშნავს წვრილმანი ხულიგნობა, რაც აშკარად გამოჩნდა მის პასუხებში ადვოკატ **თემურ ტაბატაძის** შეკითხვაზე, კერძოდ, – „**არაბული** ვის გადაეკიდა?“ დავით ხიზანაიძე პასუხობს: – „იყო შეურაცხმყოფელი შეძახილები, რაც გამოიხატა გადაკიდებაში“.

თემურ ტაბატაძის შეკითხვაზე, – „რა შეძახილებს ჰქონდა კონკრეტულად ადგილი?“ **დავით ხიზანაიძე** პასუხობს: – „კონკრეტულად რა სიტყვები ითქვა, ამის თქმა არ შემიძლია“ (ს.ფ. 134 ოქმი).

ჩვენი აზრით, პროკურორის მხრიდან გაცემული ამ პასუხების შემდეგ ობიექტურ და სამართლიან მოსამართლეს საქმის განხილვაზე აღარ უნდა ეფიქრა და საქმე უნდა შეეწყვიტა, რადგან გამოდის, რომ პროკურორი ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებს გადაკიდებას შეურაცხმყოფელი შეძახილებისაგან და იმის თქმაც არ შეუძლია, რა შეძახილისათვის ითხოვს ჩვენს დასჯას. იქნებ ეს შეძახილები, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს, შეურაცხმყოფელი სულაც არ იყო?

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული ბრალდების მოწმეები; ვარლამ ჯანელიძე (ს/ფ 135-139), გელა ჩარგაზია (ს/ფ 139-140), ზაზა სხვიტარიძე (ს/ფ 142), კახა ბიბილეიშვილი (ს/ფ 143), მარინა ბერიაშვილი (ს/ფ 147), მზექალა აჭაიძე (ს/ფ 150) აცხადებენ, რომ უნივერსიტეტის შენობაში შე-

გროვილი იყო 200-მდე მოქალაქე და გაურკვეველი იყო, ვინ რას იძახდა;

რექტორის მოვალეობის შემსრულებლის გ. ხუბუას კაბინეტში იყო 20-მდე პირი, ისინი არ იგინებოდნენ, ხოლო პატრულის მოთხოვნაზე, დაეტოვებინათ კაბინეტი, ზრდილობიანი დიალოგის შემდეგ მათ დატოვეს კაბინეტი.

ყველა ხსენებული პირი აცხადებს, რომ არცერთი ჩვენგანისაგან ლანძღვა-გინებას, გადაკიდებას, შეურაცხყოფას ან სხვა ამგვარ ქმედებას ადგილი არ ჰქონია. ისინი აცხადებენ, რომ შეძახილები იყო გარედან.

ისმის კითხვა: თუ გარეთ 200-მდე კაცი იყო და არც კი იციან, იმ 200-დან ვინ რას ამბობდა, ჩვენ რას გვერჩიან? იმას ხომ არა, რომ „ჩვენ იმათ ვგავართ, ისინი კი ჩვენ“? ყოველ შემთხვევაში, პროკურატურის ქმედებიდან ასე გამოდის. რას იზამთ, ეტყობა ბრალდების თეორიაში ახალი „მიგნებების“ ეპოქა დაიწყო.

სამწუხაროდ, სასამართლომ თავი აარიდა **გ. ხუბუას** და **ი. ბოკერიას** უშუალო დაკითხვას, რითაც მიჩქმალულ იქნა ჭეშმარიტება, თუმცა **გ. ხუბუა** წერილობით ჩვენებაში ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ჩვენი მხრიდან არც მისი და არც არავის მიმართ არანაირი ფორმის შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია.

5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (ადმინისტრაციულ გადაცდომად) მიიჩნევს „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების ... კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტ დაუმორჩილებლობას“.

ხსენებული მუხლის დეფინიცია მიგვანიშნებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის არსებობისათვის აუცილებელია, რომ ერთდროულად:

1. სამართალდამცავი ორგანოების განკარგულება ან მოთხოვნა იყოს კანონიერი;

2. კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნის დაუმორჩილებლობა უნდა იყოს ბოროტი („ბოროტი დაუმორჩილებლობა“).

მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავი ორგანოების, კერძოდ, საპატრულო პოლიციის მოთხოვნა კანონიერად არ მიგვიჩნევია, მცირე დიალოგის შემდეგ (რაც გამოიხატა ჩვენი გადაწყვეტილების განმარტებასა და მისი სამართლიანობის დასაბუთებაში), ჩვენ ყოველგვარი გართულებისა და შეპასუხების გარეშე დავტოვეთ ხუბუას კაბინეტი.

დაუმორჩილებლობაზე, თანაც ბოროტ დაუმორჩილებლობაზე საუბარი უხერხულადაც გვეჩვენება, რადგან ასეთ საქციელს არ ვიკადრებდით თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი პრეტენზია არა სამართალდამცავებს, არამედ კანონის დამრღვევებს, კერძოდ, გ. ხუბუას და ზოგადად განათლების მინისტრს ეხებოდა.

ყურადღება უნდა მივაქციოთ მითითებულ მუხლში გამოყენებულ სიტყვას „ბოროტი“. სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, ბოროტი ნიშნავს ავის მოქმედს – ავს, ანუ ბოროტება ავისმოქმედებაა, სიავეა, სხვისთვის ვნების მოტანაა. ისმის კითხვა: რა სიავე ჩავიდინეთ სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნების მიმართ ან თუნდაც სხვათა მიმართ?

ვფიქრობთ, ბოროტებაა ის, რასაც ჩვენთან დაპირისპირებული ადამიანები ზოგადად განათლების სისტემის წინააღმდეგ, კერძოდ კი ჩვენ წინააღმდეგ სჩადიან. ეს არის სწორედ ავი საქმე და ვნების მოტანა, თუნდაც ავკაცობა, როცა ძალადობრივად თავდაცვის პოზიციაზე გადასვლა გვაიძულეს და, მათი უკეთური განზრახვით, ჩამოგვაცილეს უნივერსიტეტისათვის ესოდენ მტკივნეული საკითხების განსჯას.

სასამართლო სხდომაზე უშუალოდ დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებით (იხ. ოქმი), რასაც ჩვენც ვადასტურებთ, დადგენილია, რომ ჩვენი მხრიდან არანაირ დაუმორჩილებლობას ადგილი არ ჰქონია. საპატრულო პოლიციასთან დიალოგი სრულიადაც არ იყო დაუმორჩილებლობა; ჩვენ ჩავთვალეთ, რომ მათი მოთხოვნა იყო უკანონო, თუმცაღა ურთიერთმოსმენის შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ უპრობლემოდ დაგვეტოვებინა ხუბუას კაბინეტი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა: რაში მდგომარეობს დაუმორჩილებლობა, მითუმეტეს, ბოროტი დაუმორჩილებლობა?

მოსამართლეს ამ კითხვაზე გაცემული აქვს პასუხი (იხ. ოქმი), რომელიც არათუ სამართლებრივ, არამედ უმარტივეს კრიტიკასაც ვერ უძლებს, რადგან თვით სამართალდამცავები აცხადებენ, რომ ჩვენი მხრიდან მათ მიმართ დაუმორჩილებლობა არ ყოფილა. **გ. ხუბუასადმი** „დაუმორჩილებლობაზე“ საუბარი კი აქ ზედმეტია, მით უფრო, რომ იგი ჯერჯერობით სამართალდამცავი ორგანოს არ წარმოადგენს.

6. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიიჩნევს თვითნებობას, ესე იგი კანონით დადგენილი წესის დარღვევით ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულვებული უფლების თვითნებურად განხორციელებას, რასაც მოქალაქეების ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის არსებითი ზიანი არ მოჰყოლია.

აღნიშნული მუხლის დეფინიციიდან გამომდინარეობს, რომ ამა თუ იმ პირის ქმედება თვითნებობად დაკვალიფიცირდება, თუ პირმა:

1. ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულვებული უფლება თვითნებურად განახორციელა;

2. ხსენებული უფლების განხორციელებას მოქალაქეებისათვის, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ზიანი კი მოჰყვა, მაგრამ ეს ზიანი არსებითი არ არის.

მოსამართლის განმარტებით, თვითნებობა გამოიხატა ჩვენ მიერ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 08 ივნისის №473 ბრძანებულების საწინააღმდეგოდ იმ უფლების ჩვენად დაგულვებაში, რომ აღგვედგინა დიდი საბჭო და საბჭოს სახელით მიგვეღო გადაწყვეტილება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის (კანდიდატურის) არჩევის შესახებ. აგრეთვე **გ. ხუბუასადმი** მოწოდებაში, გადამდგარიყო თანამდებობიდან, დაეტოვებინა სამუშაო ოთახი და წასულიყო უნივერსიტეტიდან.

მოსამართლეს მიაჩნია, რომ ჩვენმა ქმედებამ გამოიწვია არაარსებითი ზიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მოქალაქეებისათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, „რაც იმაში გამოიხატა, რომ ზემოხსენებულმა მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ განაპირობა (გამოიწვია) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება“.

თუ ლოგიკურად გავიაზრებთ მოსამართლის გამონათქვამებს, გამოდის, რომ არარსებითი, მაგრამ მაინც ზიანი უკავშირდება თვითნებობის ფონზე ჩვენ მიერ წვრილმანი ხულიგნობისა და ბოროტი დაუმორჩილებლობის ჩადენას, რაც სრული აბსურდია, რამეთუ, როგორც უკვე მოგახსენეთ, 166-ე და 173-ე მუხლები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სრულიად დამოუკიდებელი მუხლებია. უფრო მეტიც, წვრილმანი ხულიგნობა სრულიად სხვა მე-13 თავშია მოქცეული, თვითნებობა კი მე-14-ში, ამასთან, ვფიქრობთ, დავასაბუთეთ, რომ ჩვენ არც „წვრილმანი ხულიგნობა“ ჩაგვიდენია და არც „ბოროტი დაუმორჩილებლობა“.

ნებსით თუ უნებლიეთ იძულებულნი ვხდებით, გავიხსენოთ უახლესი ისტორია და ე. წ. „ვარდების რევოლუციის გარიჟრაჟი“, როცა რევოლუციონერები მ. სააკაშვილი და მისი მომხრეები პარლამენტის შენობაში შეიჭრნენ, მაშინდელ პრეზიდენტს მოხსენება შეაწყვეტინეს, თავპირი დაამტვრიეს შევარდნაძის მომხრეებს და პრეზიდენტთან ერთად განდევნეს ისინი (მაშინ მ. სააკაშვილის ქმედება შეფასდა როგორც კანონიერი). იქნებ გვიპასუხოთ, რა მოვიმოქმედეთ ჩვენ ისეთი, რაც მოყვანილ მაგალითს აღემატება? იქნებ იმაშია ჩვენი ბრალი, რომ არავისთვის შეურაცხყოფა არ მიგვიყენებია, თავპირი არ დაგვიმტვრევია და გ. ხუბუას ფინჯნიდან ჩაი არ დაგვილევია.

ახლა შევეხოთ ამ საკითხის სამართლებრივ მხარეს:

დადგენილია, რომ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივლისის №277 ბრძანებულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული იყო უნივერსიტეტის წესდება.

საქართველოს ახალი პრეზიდენტის 2005 წლის 08 ივნისის №473 ბრძანებულების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმა-

ნათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლის და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულ გამოცხადების შესახებ“ მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით ძალადაკარგულად ჩაითვალა პრეზიდენტ შევარდნაძის 2001 წლის 13 ტვდტსტს №277 ბრძანებულების მე-2 პუნქტი.

ჩვენ ვამბობთ, რომ წესდების დამტკიცების ნაწილში პრეზიდენტის ბრძანებულების გაუქმება – ეს საკითხის მხოლოდ ფორმალური გადაწყვეტაა, რადგან წესდება ფაქტობრივად მოქმედებაშია მანამ, სანამ სათანადო ცვლილებები არ შევა საჯარო სამართლის იურიდიული პირის „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სარეგისტრაციო ჩანაწერებში. ეს დასტურდება არა მხოლოდ სამართლებრივი კუთხით. უნივერსიტეტის სარეგისტრაციო მასალებში ძველი, 2001 წლის 13 ივლისს დამტკიცებული წესდების პირებია, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს, ვიმოქმედოთ უნივერსიტეტის დიდი საბჭოს სახელით.

აბსურდულია ბრალდების მტკიცება, თითქოს გარდამავალ პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება მოქმედებდეს წესდების გარეშე, მხოლოდ პრეზიდენტის ბრძანებულების ფარგლებში, რადგან საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „საჯარო სამართლის იურიდიული პირი, როგორც ამ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა და იურიდიული პირის სტატუსს იძენს წესდების (დებულების) დამტკიცებისა და იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნიდან (არჩევიდან)“.

ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდება (დებულება) უნდა შეიცავდეს ამ პირის მართვის ორგანოების შექმნის წესსა და კომპეტენციას“.

ზემოხსენებული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს ერთადერთი გონივრული დასკვნა, კერძოდ, ის, რომ თუ დამტკიცებული არ არის იურიდიული პირის წესდება (დებულება), იურიდიულ პირს არ შეიძლება გააჩნდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. და მეორე: წესდება აუცილებლად უნდა შეიცავდეს მართვის ორგანოების შექმნის წესსა და კომპეტენციას.

ვინაიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არ გააჩნია სხვა წესდება, გარდა ჩვენ მიერ ხსენებულისა, აღიარებული უნდა იქნეს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოქმედებს ამ წესდების საფუძველზე, ან მას არ გააჩნია სტატუსი, რაც იმის ტოლფასია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ არსებობს!

ამის შემდეგ, ბატონო მოსამართლევ, თქვენთვის მოგვინდვია იმის გადაწყვეტა, არსებობს თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჩვენ კი მივიჩნევთ, რომ არსებობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გააჩნია მას წესდება და ეს ის წესდებაა, რომლის საფუძველზეც ჩატარდა უნივერსიტეტის დიდი საბჭოს სხდომა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში.

ჯემალ მებონია
თენგიზ სანაძე
მაია ნათაძე
გიორგი გოგოლაშვილი
ავთანდილ არაბული
გელა დოლიძე
ვახტანგ ტუსკია
მედეა სიხარულიძე
დემურ ბახტაძე

თბილისის სააპელაციო სასამართლო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №4/ა-555-06 **04 სექტემბერი, 2006 წ.**
თბილისი

თბილსის სააპელაციო სასამართლომ, **ზეპირი მოსმენის გარეშე**, განიხილა მოქალაქეების **ჯემალ მებონიას**, **თენგიზ სანაძის**, **მაია ნათაძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულის**, **გელა დოლიძის**, **ვახტანგ ტუსკიას**, **მედეა სიხარულიძის**, **დემურ ბახტაძის** საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 4 აგვისტოს დადგენილებაზე და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით მოქალაქეების **ჯემალ მებონიას**, **თენგიზ სანაძის**, **მაია ნათაძის**, **გიორგი გოგოლაშვილის**, **ავთანდილ არაბულის**, **გელა დოლიძის**, **ვახტანგ ტუსკიას**, **მედეა სიხარულიძის**, **დემურ ბახტაძის** მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის გამოყენებული იქნა ადმინისტრაციული სახდელი.

თბილისის საქალაქო სასამარლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის აღნიშნული დადგენილება გაასაჩივრეს პირებმა, რომელთა მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ საჩივარს, საქმეში არსებულ მასალებს და მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამარლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 4 აგვისტოს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ მოქალაქეების ჯ. მებონიას, თ. სანაძის, მ. ნათაძის, გ. გოგოლაშვილის, ა. არაბულის, გ. დოლიძის, ვ. ტუსკიას, მ. სიხარულიძის, დ. ბახტაძის მიმართ **კანონიერია**, **დასაბუთებულია** და გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალებიდან, ხოლო წარმოდგენილი **საჩივარი მოკლებულია საფუძველს**, რის გამოც უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 279-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოქალაქეების ჯემალ მებონიას, თენგიზ სანაძის, მაია ნათაძის, გიორგი გოგოლაშვილის, ავთანდილ არაბულის, გელა დოლიძის, ვახტანგ ტუსკიას, მედეა სიხარულიძის, დემურ ბახტაძის საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 4 აგვისტოს დადგენილებაზე, **არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო**.

2. **უცვლელად დარჩეს** თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 4 აგვისტოს **დადგენილება**.

3. დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
თავმჯდომარე ეკა ტყეშელაშვილი

IV დანართი 2013 წლის შემდეგ

2013 წლის თებერვალში ოთხმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მივმართეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. მიმართვა გამოქვეყნდა პრესაში („საქართველოს რესპუბლიკა“, 27 თებერვალი, 2013 წ.). პრემიერ-მინისტრმა მიმართვა გადაუგზავნა იუსტიციის პინისტრს; იუსტიციის მინისტრმა მთავარ პროკურორს. აპრილში შევხვდით ბ-ნ არჩილ კბილაშვილს. მივიღეთ დაპირება პროკურატურისაგან. პროცესი ამ ეტაპზეა შეჩერებული...

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ **ბიძინა ივანიშვილს**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,
ბატონ **დავით უსუფაშვილს**

ბატონებო,

მოგმართავთ **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი ვითარების გამო**.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის იყო ქართული განათლების ფლაგმანი და საერთაშორისო დონის სამეცნიერო-სასწავლო დაწე-სებულება. დღიდან დაარსებისა იგი წარმართავდა ქართულ საზოგადოებრივ აზრს. **უნივერსი-ტეტში დღეს შექმნილი სავალალო ვითარება ხელისუფლებისაგან საგანგებო ყურადღებას იმსახურებს**.

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „**ქართული ოცნების“ გამარჯვებამ** დიდი იმედი გააჩინა იმისა, რომ **საქართველოში აღდგებოდა კანონიერება და სამართლიანობა**. კარგია, რომ ეგ პროცესი დაიწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, **კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჯერჯერობით არ შეხებია**...

შევეცდებით აღვადგინოთ წინა ხელისუფლების დროს უნივერსიტეტის მიმართ განხორციელებულ დანაშაულებათა მოკლე ისტორია:

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი მთავარი სამიზნე იმთავითვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა. მიზეზი: უნივერსიტეტი იყო ის დაწესებულება, რომელსაც ქართულ საზოგადოებაზე ზემოქმედების განუსაზღვრელი ძალა ჰქონდა; ამიტომ დაისახეს მიზნად ამ ძალის განეიტრალება, რომ ხელში აეღოთ საზოგადოების მართვის სადაველები. „ვარდების რევოლუციამდე“ (2002 წლიდან) დაიწყო გეგმაზომიერი ბრძოლა უნივერსიტეტის წინააღმდეგ...

ხელისუფლება განსაკუთრებით აღაშფოთა უნივერსიტეტის კრიტიკულმა დამოკი-დებულებამ განსახილველად შემოთავაზებული კანონპროექტის მიმართ: 2004 წლის გა-ზაფხულზე გამოქვეყნდა კანონპროექტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ (დამტკიცდა წლის ბოლოს). 27 სექტემბერს უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ დაიწუნა კანონპროექტი. ამის გამო პირველი შეტევა მ. სააკაშვილმა „წითელ პროფესურაზე“, „კორუმპირებულებზე“, „უსინდისოებზე“ განახორციელა 2004 წლის 28 სექტემბერს ცხრუკვეთიდან. ამას მოჰყვა კ. ლომაიასა და მისი გუნდის მასშტაბური შეტევა უნივერსიტეტზე.... მინისტრმა კ. ლომაიამ საჯაროდ დაიქადნა: „ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვძირკვავთო“...

2004 წლის 31 ოქტომბერს აიძულეს რ. მეტრეველი, გადამდგარიყო რექტორობიდან და დანიშნეს რექტორის მოვალეობის შემსრულებლად უნივერსიტეტისათვის უცხო პირი – რ. ლორთქიფანიძე; იგი 13 დეკემბერს ხელისუფლების აქტიური ჩარევით აირჩიეს რექტორადაც...

2005 წლის იანვარში ძალაში შევიდა ახალი კანონი და დაიწყო ხანგრძლივი უკანონობის პერიოდი:

1. უკანონოდ შეაჩერეს დიდი საბჭოს ფუნქციონირება... გადაწყვეტილებები მიიღებოდა ერთპიროვნულად.

2. გააუქმდა ყველა კათედრა.

3. ბოლონიის პროცესის მოთხოვნათა საბაბით შეაერთეს ფაკულტეტები; ეს მოხდა გაუაზრებლად, სპეციალისტთა აზრის გაუთვალისწინებლად. ამ შეერთების უარყოფით შედეგებზე ბევრი ითქვა; ისიც ითქვა, ბოლონია არაფერ შუაშიაო...

4. 2005 წელს საბიუჯეტო **დაფინანსება მოეხსნა** უნივერსიტეტის **სამეცნიერო სექტორს**. დაიხურა ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, კაბინეტი, სამეცნიერო ცენტრი; ვანდალურად განადგურდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზები; ბიბლიოთეკები... უმუშევარი დარჩა 1500-

ზე მეტი მეცნიერ-მუშაკი. ამით **განუზომელი და აუნაზღაურებელი ზიანი მიადგა ქართულ მეცნიერებასა და განათლებას**...

5.არნახული ძალადობისა და უკანონობის მსხვერპლი შეიქმნა **აკადემიური სექტორი.** იმჟამად აკადემიური კონკურსების გამოცხადება და ჩატარება იყო ახლადმიღებული კანონის რამდენიმე პუნქტის უგულებელყოფა (**დაირღვა** უმაღლესი განათლების **კანონის 89-ე მუხლის I და მე-11 პუნქტები; 87-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 34-ე მუხლის I და მე-3 პუნქტები**...)...

კატასტროფულად შემცირდა აკადემიური სექტორი: „რეფორმამდე" უნივერსიტეტში აკადემიურ სექტორში იყო 4000-ზე მეტი თანამშრომელი; განათლების მინისტრის უშუალო მოთხოვნით კონკურსი გამოცხადდა მხოლოდ 700 საშტატო ერთეულზე; აკადემიური სექტორი შემცირდა თითქმის 5-ჯერ; სხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს შემცირება შეეხო მხოლოდ 3-4%-ით!.. (ეს იყო მინისტრის, კ. ლომაიას, „შურისძიება" უნივერესიტეტისადმი: პირველად, 2005 წელს, უნივერსიტეტში კონკურსი გამოცხადდა თითქმის იმავე რაოდენობაზე, რაც იყო კონკურსამდე; უნივერსიტეტმა პროტესტი გამოთქვა ამ უკანონო კონკურსის გამო; ამ პროტესტით გაღიზიანებულმა მინისტრმა გააუქმა გამოცხადებული კონკურსი და დაევალა რექტორს, რ. ლორთქიფანიძეს, 700 ერთეულზე გამოეცხადებინა ახალი კონკურსი. რ. ლორთქიფანიძის წინააღმდეგობა გახდა მისი რექტორის თანამდებობიდან გაშვებისა და გ. ხუბუას დანიშვნის მიზეზი.)

6.ამ კონკურსების შედეგად გაუქმდა ტრადიციული დარგები, გაქრა სპეცი-ალობები... ორიოდე კონკრეტული მაგალითი: 2006 წლამდე ფიზიკის ფაკულტეტზე 112 პროფესორ-მასწავლებელი იყო; კონკურსი გამოცხადდა 23 ადგილზე (ეს რომ გაუთვლელი შემცირება იყო, იქიდანაც ჩანს, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო გახდა დამატებით 100 მასწავლებლის მოწვევა...)! 2005 წელს ძველი ქართული ენის კათედრაზე 23 თანამშრომელი იყო, ამჟამად მხოლოდ 3 თანამშრომელია (მათ შორის მხოლოდ ერთია ქართული ენის გრამატიკის სპეციალისტი!) და სხვა... ესეც არის **უდიდესი დანაშაული ქართული განათლებისა და მეცნიერების წინაშე**...

სწორედ ამის გამო თქვა იმჟამად პარლამენტარმა **დ. ზურაბიშვილმა: „ის, რაც დღეს უნივერსიტეტში ხდება, კანონთან არანაირ კავშირშია. ეს არის თვითნებობა".**

საგანგებო მსჯელობის საგანია უნივერსიტეტის **ყოფილი რექტორის, გ. ხუბუას**, მიერ ჩადენილი უამრავი უკანონობა და უსამართლობა; ფაქტობრივ, მთელი მისი საქმიანობა იყო უნივერსიტეტზე განხორციელებული ძალადობისა და შეურაცხყოფის არნახული მაგალითები...

პროფესორ-მასწავლებლების მთავარი მოთხოვნა იყო – „**რეფორმა მოექცეს კანონის ფარგლებში**“. ამ მოთხოვნას გ. ხუბუამ პოლიცია დაუპირისპირა: 2006 წლის 19 და 20 ივნისს მან პოლიცია შემოიყვანა უნივერსიტეტში და პროტესტის გამომხატველი პროფესორები ხელგადაგრეხილები გაიყვანეს უნივერსიტეტიდან...

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა 2006 წლის 3 ივლისს გ. ხუბუას მოქმედებამ: უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა რექტორის მოვალეობის შემს-რულებელს, გ. ხუბუას და მოსთხოვა, დაეტოვებინა თანამდებობა. ისევ **პოლიცია შემოიყვანეს უნივერსიტეტში** და რექტორის კაბინეტში სასაუბროდ შესული პროფესურა იძულებით გამორეკეს გარეთ; პროფესურამ სააქტო დარბაზში გადაინაცვლა. აქ მოხდა **ადამიანის უფლებების არნახული დარღვევა**: პოლიციის მეშვეობით ჩაკეტეს ყველა კარი (გასასვლელი წყლისაკენ, ტუალეტებისაკენ; ამოქოლეს კარ-ფანჯრები; არავის აძლევდნენ საშუალებას, გარედან მიეწოდებინათ წყალი, საჭმელი. სააქტო დარბაზში შეკრებილებს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება ერთი დღე-ღამის განმავლობაში... ამის შესახებ უამრავი მასალაა იმჟამინდელ პრესაში, ტელეარქივებში)... 3 ივლისს შემოყვანილი პოლიცია უნივერსიტეტში დატოვეს თითქმის ორი თვე და ამ ხნის მანძილზე უნივერსიტეტში პოლიციური რეჟიმი შექმნეს; პოლიციას სიები გადაეცა „რეფორმასთან“ დაპირისპირებული პროფესორებისა და მათ აეკრძალათ უნივერსიტეტში შესვლა...

გთხოვთ გაითვალისწინოთ: მსგავსი რამ მხოლოდ **1939 წელს მოხდა**, როცა **ფაშისტებმა კრაკოვის ნივერსიტეტიდან გარეკეს პროფესორები**... ისიც გავიხსენოთ: 2007 წლის იანვარში ათენის ქუჩებში სტუდენტების მასობრივი გამოსვლები იყო. პოლიციისაგან შევიწროებულმა სტუდენტობამ უნივერსიტეტის ეზოს შეაფარა თავი და პოლიციამ იქ შესვლა არ იკადრა! და რაც მთავარია, **უნივერსიტეტის ეზოში შესვლა ვერ გაბედეს 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ჯარისკაცებმა**!..

სიტყვიერი დაპირისპირებისათვის **გ. ხუბუამ** რექტორად მოსვლის პირველივე დღეებში **დააჭერინა და საპატიმროში ჩაასმევინა** განსხვავებული აზრის მქონე **პროფ. გ. შარაძე**.

გ. ხუბუას მოთხოვნით საუნივერსიტეტო მოძრაობის ინიციატორები ატარეს პრო-კურატურაში, როგორც დამნაშავეები; შემდეგ **9 მათგანი გაასამართლეს „წვრილმანი ხულიგნობის“ მუხლით** (სარჩელი ამჟამად სტრასბურგის სასამართლოში განიხილება)...

არაერთგზის დაიწერა იმ **ფინანსურ კანონდარღვევებზე**, რაც უნივერსიტეტში ხდებოდა „რეფორმის“ პერიოდში (იხ. მაგალითად, გაზეთი „ქრონიკა“ № 39, 2006 წ.); **სახელმწიფო ქონების მართვის არაეფექტიანობაზე**; სამართლებრივი შეფასება არ მისცემია თუნდაც იმ ფაქტებს, რის გამოც გაუშვეს უნივერსიტეტიდან გ. ხუბუა (მოპარული უნიკალური წიგნები; არასწორად ჩატარებული ტენდერები ა.შ.); ცალკე თემაა ამ პერიოდში გამოვლენილი **ნეპოტიზმის შემთხვევები**; **არასწორი დანიშვნები**; კა-

ნონდარღვევით ჩატარებული და **გაყალბებული კონკურსები** (2006, 2009, 2012 წლებში; არსებობს სასამართლოზე აღიარებული ფაქტები); გახმაურებული ამბავი **უკანონოდ გაცემული დიპლომებისა...**

ყოველივეს ჩამოთვლა, რა თქმა უნდა, არ მოხერხდება. გავხაზავთ: თითქმის **ყველა უკანონობაზე საუნივერსიტეტო საზოგადოება ახდენდა სამართლებრივ რეაქციას**: მომზადდა არაერთი **სარჩელი**, რომლებიც განიხილეს **საქალაქო, სააპელაციო და საკონსტიტუციო სასამართლოებმა;** სარჩელების უმრავლესობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა. სამ საქმეს ამჟამად **სტრასბურგის სასამართლო** განიხილავს...

ამ ფონზე საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის **სრულიად მოულოდნელი იყო უნივერსიტეტში გ. ხუბუას დაბრუნება**; მეტიც, მას გაუხსნეს ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი... ეს კი გარკვეულ ეჭვს აჩენს უნივერსიტეტის სასიკეთო პერსპექტივისას...

ბატონებო,

აუცილებელია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო **უნი-ვერსიტეტში აღდგეს კანონიერება და სამართლიანობა**; უნივერსიტეტს დაუბრუნდეს ის ფუნქცია და ღირსება, რომელიც მას ჰქონდა და „რეფორმატორთა“ ინტერესებს შეეწირა. ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, **შეიქმნეს კომპეტენტური კომპლექსური კომისია**, რომელიც შეისწავლის 2004-2012 წლებში უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს, არსებულ კანონდარღვევებს (მათ შორის ფინანსურს), სახელმწიფო ქონების მართვის ეფექტიანობასა და **მოახდენს ყოველივეს პოლიტიკურ და სამართლებრივ შეფასებას (**იმის გათვალისწინებით, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია ამას ქვეყნისთვის); დაისმება ყველა დამნაშავის სამართლებრივი თუ მორალური პასუხისმგებლობის საკითხი.

ასევე, უნივერსიტეტის ტრადიციული სახის აღსადგენად და მნიშვნელობის და-საბრუნებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაწესდეს **გარდამავალი პერიოდი** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში**, შეიქმნეს დროებითი მმართველობა**, რომელიც დეტალურად **შეისწავლის და ობიექტურად შეაფასებს არსებულ ვითარებას; შეიმუშავებს უნივერსიტეტის გადარჩენისა და განვითარების გზებს; მოამზადებს საფუძველს უნივერსიტეტის რეალური ავტონომიის დასამკვიდრებლად**.

„ქართული აკადემია“
„საუნივერსიტეტო დარბაზი“
„სოლოდარობა განათლებული საქართველოსთვის“
„უნივერსიტეტელი“

შინაარსი

წინასიტყვა....3

ბედი ქართული უნივერსიტეტისა ათასწლეულის კარიბჭესთან

- წინასიტყვა....5
- ამბავი დასაწყისისა....6
- მიზეზი და მიზანი....11
- ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის....15
- სტრუქტურული ცვლილებების პრობლემები....26
- სამეცნიერო სექტორის ბედი....30
- კონკურსები....38
- ენოვნული გამოცდები და ქართული უნივერსიტეტი....44
- ვის რა უნდა, თქვას?....48
- ბოლოსიტყვა....50

ქართული უნივერსიტეტის „წიწამური“, ანუ ჟამი „ახალი ბერბიჭაშვილებისა“

- დასაწყისი....53
- მორალურ-ზნეობრივი სახე გ. ხუბუასი....55
- „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“....68
- „მე იურისტი ვარ“... 71
- დასასრული....80

ჯავახიშვილის უნივერსიტეტი თუ ხუბუას დაწესებულება?....82
ტყუილი გ. ხუბუას პროფესიულ ჩვევად გადაექცა....83
დადგა დრო, დავიბრუნოთ უნივერსიტეტი....89
ვინ გადაარჩენს უნივერსიტეტს?....93
უნივერსიტეტი ისევ იმ რელსებზე დგას, ლომაიამ რომ შეაყენა....97
უნივერსიტეტი შველას ითხოვს ხელისუფლებისაგან....101
დანგრეული უნივერსიტეტი და გაყიდული სინდისი....104
ჭკუისა და სინდისის გამოცდის ჟამი....110
და სხვა პუბლიკაციები უნივერსიტეტის თემაზე (გ. გოგოლაშვილისა)....113

I დანართი – „საუნივერსიტეტო დარბაზის“ ქრონიკა....115

გაღმა გასვლისა მსურველთა უკუღმა მიგვყავს ბორანი....116
დედოზარი და დანარჩენებიც („თბილისი“, **ნ. სხირტლაძე**)....117

ვინ ხელყოფს დედაუნივერსიტეტის დამოუკიდებლობას („საქ. რესპ.“, **ს. ქობულია**).....120
„დარბაზი“ ბრძანებას არ ემორჩილება („თბილისი“, **ნ. სხირტლაძე**) 123
უნივერსიტეტი კოლეჯად არ უნდა გადავაქციოთ (მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს – („საქ. რესპ.“).....126
რეფორმა ჩიხში შევიდა („საქ. რესპ.“, **ს. ქობულია**).....129
უნივერსიტეტი ღელავს (მიმართვა... „თბილისი“).....132
ძალადობა კი არა, მოწიწებით უნდა ვუხდიდეთ ქუდს („საქ. რესპ.“, **ს. ქობულია**).....134
ირონიული პასუხების პასუხად („თბილისი“, **ნ. სხირტლაძე**).....137
ინტელექტუალური ომი ძალადობის წინააღმდეგ („საქ. რესპ.“, **ს. ქობულია**).....141
ვინც ამ ტაძარს გადაარჩენს („თბილისი“, **ნ. სხირტლაძე**) 145
ბატონი უნივერსიტეტი იღვიძებს („სამყარო“, **გ. გობეჩია**).....148
მიმართვა საერთაშორისო ირგანიზაციებს („საქ. რესპ.).....151
ტოტალური სიყრუე უნდა დაიძლიოს (**ა. არაბული**).....153
„ვერ მივცემ მტერსა მამულსა საჯიჯგნად, დასაზიანად“ (საქ. რესპ.“).....157
უნივერსიტეტის პროფესორთა 80 პროცენტი უმუშევარი რჩება (**გ. გოგოლაშვილი**).....160
უკანონო კონკურსებს პროტესტი გამოვუცხადე (**მ. ცაცანაშვილი**).....165
პრეზიდენტი ხარ და გევალება (**გ. გოგოლაშვილი**).....171

II დანართი – „ბოლონიის პროცესი“ – მიზეზი თუ საბაბი.....176

ბომბი, თანაც არაერთი (**მ. ცაცანაშვილი**).....177
სიკვდილი ბოლონიაში (**დ. ზურაბიშვილი**).....181
შევასწროთ ბოლონიაში (**კ. ჯანდიერი**).....191
ვივა ბოლონია, ვავა საქართველო (**თ. ნანეიშვილი**).....197
„ახალი ათინას“ წიწამური (**გ. შურღაია**).....204

III დანართი – „ხულიგანი პროფესორების“ საქმე.....214

პრესრელიზი.....215
დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ.....217
სასამართლოს სხდომის ოქმი.....221
დადგენილება პროფესორების დამნაშავედ ცნობის თაობაზე.....271
საჩივარი სააპელაციო სასამართლოს.....299
დადგენილება სააპელაციო სასამართლოსი.....308

IV დანართი – 2013 წლის შემდეგ
მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს.....310